



ჩარლზ
ლიქენსი
ოლივერ
ტვისტი



თავი 1 ოლივერ ტვისტის დაბადების ადგილისა და გარემოებების შესახებ

ერთ-ერთ ქალაქში, რომლის დასახელებისგან მრავალი მიზეზის გამო თავს შევიკავებ და არც გამოგონილ სახელს დავარქმევ, მრავალრიცხოვანი საჯარო ნაგებობის გვერდით იდგა დაწესებულება. ამ დაწესებულებას თითქმის ყველა დიდ თუ პატარა ქალაქში შეხვდებოდით და მას შრომის სახლი ეწოდებოდა. სწორედ ასეთ სახლში დაიბადა - თავს ვერ ვაიძულებ დრო და საათი მივუთითო, რადგან ამას მკითხველისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა არა აქვს და ჯერჯერობით არც მონათხრობისთვის არის საჭირო - მოკვდავი, რომლის სახელი ამ წიგნს ჰქვია.

როდესაც სამრევლოს

ექიმმა ის ტანჯვითა და ვაებით აღსავსე ამქვეყნიურ ცხოვრებაში შემოიყვანა, დიდხანს საექვო იყო, ბავშვი გადარჩებოდა თუ არა და მის სახელზე ჯერ არავინ

ფიქრობდა; ყოველ შემთხვევაში, ეს მემუარები საერთოდ არ გამოქვეყნდებოდა ან მხოლოდ ორი-სამი ნაბეჭდი გვერდი იქნებოდა და ამ მიზეზის გამო ნებისმიერი ქვეყნისა და საუკუნის ლიტერატურაში უმცირესი მოცულობის მემუარებად ჩაითვლებოდა.

თუმცა, არ შემიძლია ვამტკიცო, რომ ახალი ადამიანის დაბადება ამ სახლში ყველაზე ბედნიერი და შესაშური რამ არის, რაც შეიძლება ადამიანს ამქვეყნად შეემთხვეს, მაგრამ, ჩემი აზრით, მოცემულ პირობებში ოლივერისთვის მაინც საუკეთესო გამოსავალი გახლდათ, იმიტომ, რომ ძალზე რთული იყო იმის მიღწევა, ოლივერ ტვისტს თავის თავზე აეღო საკუთარ სუნთქვაზე ზრუნვა.

ეს

მართლაც მეტად რთული რამ არის, თუმცა, ჩვენი უღრუბლო არსებობისთვის იმავდროულად სასიცოცხლოდ აუცილებელ ჩვევას წარმოადგენს. ერთხანს ოლივერი მატყლის ლეიბზე იწვა და სულს ვერ ითქვამდა; ამ და იმ ქვეყანას შორის საზღვარზე მყოფი აშკარად იმ ქვეყნის სასარგებლოდ ფიქრობდა. ამ ხანმოკლე დროში ოლივერი მზრუნველი ბებიაქალების, აღელვებული დეიდებისა

და მამიდების, გამოცდილი სანიტრებისა და ბრძენი ექიმების ხელში რომ მოხვედრილიყო, ის უეჭველია, დაიღუპებოდა. მაგრამ რაკი შორიახლოს არავინ

იმყოფებოდა ლუდის ზედმეტი დოზით გაბრუებული მოხუცი ქალისა და სამრევლოს ექიმის გარდა, რომელიც თავის მოვალეობას დადებული ხელშეკრულების მიხედვით ასრულებდა, ამიტომ ეს ბრძოლა ოლივერისა და ბუნების გამარჯვებით დასრულდა. ხანმოკლე გაბრძოლების შემდეგ ოლივერმა ამოიოხრა, დააცემინა და შრომის სახლის მცხოვრებთ ახალი საზრუნავის შესახებ აუწყა ისეთი ხმამაღალი ტირილით, რომელიც მხოლოდ მამრობითი სქესის ახალდაბადებულს შეუძლია, სამიოდე წუთის წინ ბუნებით ბოძებული შესანიშნავი ძღვენის, ხმის შესახებ რომ შეიტყო.

როგორც კი ოლივერმა თავისი ფილტვების თავისუფალი მოქმედების შესაბამისი დამადასტურებელი საბუთი წარმოადგინა, რკინის საწოლზე დაუდევრად მიგდებული საკერებლიანი საბანი შეირხა, ახალგაზრდა ქალმა ფერმკრთალი სახე ბალიშიდან წამოსწია და სუსტი ხმით წაილულლულა:

- ბავშვი მაჩვენეთ, ვიდრე მოკვდები.

ექიმი ბუხართან იჯდა და გასათბობად ხელებს იზელდა. როდესაც ახალგაზრდა ქალის ხმა მოესმა, წამოდგა, მის სასთუმალს მიუახლოვდა და იმაზე ალერსიანად უთხრა, ვიდრე მისგან მოსალოდნელი იყო:

- ოჰ, ასეთ რამეს როგორ ამბობთ!

- მოწყალე ღმერთმა დაგიფაროს! - ჩაერია სანიტრად გამწესებული ბებრუხანა, ჯიბეში საჩქაროდ დამალა მწვანე ბოთლი, რომლის შიგთავსს აშკარა სიამოვნებით უსინჯავდა გემოს ოთახის კუთხეში მიყუჟული, - ღმერთმა დაგიფაროს! აი, სერ, როდესაც იმდენ ხანს იცოცხლებს, რამდენი წლისაც მე ვარ, ცამეტ ბავშვს გააჩენს, რომელთაგან ცოცხალი მხოლოდ ორი გადარჩება და ისინიც მასთან ერთად შრომის სახლში იცხოვრებენ, მერე კი ჭკუაზე მოვა და მიხვდება, რომ არ არის საჭირო ყველაფრის გულთან ახლოს მიტანა!.. დაფიქრდით, ძვირფასო, რას ნიშნავს დედობა! რა საყვარელი შვილიკო გყავთ!

მაგრამ ჩანდა, რომ დედობის ამ დამამშვიდებელმა პერსპექტივამ სათანადო შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. ავადმყოფმა თავი გააქნია და ხელები ბავშვისკენ გაიშვირა.

ექიმმა ახალშობილი მკლავებში ჩაუწვინა. ქალი ცივი, ფერმკრთალი ტუჩებით დააკვდა ბავშვის შუბლს, ხელებით მოეფერა სახეზე, გარშემო ველურივით მიმოიხედა, შემდეგ საწოლზე უკან გადავარდა... და გარდაიცვალა. დაუზილეს გული, ხელები, საფეთქლები, მაგრამ გული სამუდამოდ გაჩერდა. რაღაცას ეუბნებოდნენ იმედსა და სიმშვიდეზე, მაგრამ უკვე დიდი ხანია, აღარაფერი ესმოდა.

- ყველაფერი დასრულდა, მისის ტინგამი! - თქვა ბოლოს ექიმმა.

- დიახ, ყველაფერი დასრულდა. ეჰ, საბრალო! - თქვა ბებრუხანამ და მწვანე ბოთლის საცობი, რომელიც ბავშვის ასაყვანად დახრილს საწოლზე დაუვარდა, სასწრაფოდ აიღო, - საბრალო!

- თუ ბავშვი ტირილს დაიწყებს, ჩემთან არავის გამოგზავნა საჭირო არ არის, - თქვა ექიმმა, თან ნელ-ნელა იცვამდა ხელთათმანს, - სავარაუდოდ, შფოთიანი იქნება. თხელი ფაფა მიეცით, - ექიმმა ქუდი დაიხურა, კარისკენ გაემართა და საწოლთან შეჩერებულმა, იკითხა, - სანდომიანი ქალია... საიდან მოვიდა?

- გუშინ სადამოს მოიყვანეს, - უპასუხა ბებრუხანამ, - ზედამხედველის განკარგულებით. ქუჩაში მწოლიარე იპოვეს. შორიდან არის მოსული, მისი ფეხსაცმლის ლანჩები სრულიად გაცვეთილია, მაგრამ საიდან მოვიდა ან საით აპირებდა წასვლას, არავინ იცის.

ექიმი გარდაცვლილისკენ დაიხარა და მისი მარცხენა ხელი ასწია.

- ჩვეულებრივი ამბავია, - თქვა მან და დანაწევრებით გაიქნია თავი, -

ქორწინების ბეჭედი არ უკეთია... აბა, ღამე მშვიდობის!

პატივცემული ექიმი სასადილოდ წავიდა, ბებრუხანამ კიდევ ერთხელ მოიყუდა მწვანე ბოთლი, შემდეგ ბუხართან დაბალ სკამზე ჩამოჯდა და ჩვილის შეხვევას შეუდგა.

სამოსის ძალმოსილების წარმოსაჩენად რა კარგი მაგალითი იყო ახალდაბადებული ოლივერ ტვისტი! საბანში გახვეული, რაც აქამდე მისი ერთადერთი სამოსი გახლდათ, ის შეიძლებოდა ყოფილიყო აზნაური ან მათხოვრის შვილი; ყველაზე ძველი საგვარეულოს წარმომადგენელიც კი ვერ მოახერხებდა მისთვის საზოგადოებაში შესაფერისი ადგილი მიეჩინა. მაგრამ ახლა, როდესაც ხანგრძლივი გამოყენებისგან სრულიად გაყვითლებული კოლენკორის პერანგი გადააცვეს, შესაბამისი იარლიყი ჩამოჰკიდეს, მანაც მაშინვე დაიკავა კუთვნილი ადგილი - სამრევლოს კმაყოფაზე მყოფი ობოლი შრომის სახლიდან - მოკრძალებული, სანახევროდ მშვიერი ვირის მუშა, რომელსაც მთელი ცხოვრება ცემითა და სილის გარტყმით უმასპინძლებიან, რომელიც ყველას ეზიზღება და არავის ებრალება.

ოლივერი ხმამაღლა ყვიროდა. რომ სცოდნოდა საკუთარი ბედი - ეკლესიის, სამრევლოს მეურვეებისა და მზრუნველების ანაზრად დარჩენილი ობლისა - ალბათ, უფრო ხმამაღლაც იყვირებდა.

თავი 2 როგორ ზრდიდნენ, წვრთნიდნენ დაროგორ გამოკვებულ ოლივერ ტვისტი

მომდევნო რვა თუ ათი თვის განმავლობაში ოლივერი მუდმივი ორგულობისა და სიცრუის მსხვერპლი იყო. მშვიერი ობოლი ჩვილის შესახებ, რომელსაც არაფერი გააჩნდა, შრომის სახლის მუშაკებმა სამრევლოს ხელმძღვანელობას მოახსენეს. სამრევლოს ღრმად პატივცემული ხელმძღვანელობა შრომის სახლის მმართველებს დაეკითხა, ხომ არ ცხოვრობდა მათთან მდედრობითი სქესის არსება, რომელსაც ოლივერისთვის ასე აუცილებელი კვებისა და მოვლის უზრუნველყოფა შეეძლო. შრომის სახლის მესვეურთა თქმით, ასეთი ბინადარი

მათ არ ჰყავდათ. მაშინ სამრევლოს ხელმძღვანელობამ დიდსულოვნად დაადგინა, რომ ოლივერი „ფერმაში“ უნდა გაემწესებინათ, სხვა სიტყვებით, უნდა გადაეყვანათ შრომის სახლიდან დაახლოებით სამი მილით დაშორებულ განყოფილებაში, სადაც ღარიბების შესახებ კანონის

ოცი-ოცდაათი ნორჩი დამრღვევი მთელ დღეებს იატაკზე ატარებდა; მათ არც საკვები აკლდათ, არც სამოსი ხანდაზმული ქალბატონის მეთვალყურეობის წყალობით, რომელიც თითოეული ბავშვის მოსავლელად მრევლისგან შვიდ-ნახევარ პენსს იღებდა. შვიდ-ნახევარი პენსი კვირაში ურიგო თანხა არ არის ბავშვის შესანახად; უთვალავი რამის ყიდვა შეიძლება, რომ მუცელი ამოუყორო და შესაბამისი შედეგები გამოიწვიო. ხანდაზმული ქალბატონი გონიერი და გამოცდილი გახლდათ - კარგად იცოდა, ბავშვებს რა არგებს... და

ასევე ზედმიწევნით კარგად ჰქონდა შეგნებული, თავად მას რა არგებდა. ამიტომ

ბავშვების მოვლისთვის გათვალისწინებული თანხის უმეტეს ნაწილს თავისთვის იტოვებდა, ხოლო სამრევლოს მოზარდ თაობას იმაზე ნაკლებს უთმობდა, ვიდრე

მათთვის იყო გამოყოფილი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უძირო სიღრმეებში

კიდევ უფრო მეტი სიღრმე აღმოაჩინა და თავი ნამდვილად ფრიად გამოცდილ ფილოსოფოსად წარმოაჩინა.

საყოველთაოდ ცნობილია სხვა ფილოსოფოსის ამბავი, რომელსაც ეკუთვნის

სახელგანთქმული თეორია იმის თაობაზე, რომ ცხენი საკვების გარეშე ციფიცირდება. და თეორიის ჭეშმარიტება თავად დაამტკიცა შესანიშნავად, რადგან

საკუთარი ცხენის ყოველდღიური საკვები თივის ერთ ღერომდე დაიყვანა; რასაკვირველია, მისგან უაღრესად ენერგიულ და მკვირცხლ ცხოველსაც დააყენებდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ცხენი ერთი დღით ადრე მოკვდა იმ ღირსშესანიშნავ თარიღამდე, როდესაც მისი ერთადერთი საკვები ჰაერი უნდა გამხდარიყო. იმ ქალბატონის ემპირიული ფილოსოფიის საუბედუროდ, რომელსაც ოლივერ ტვისტისა და მისწავლების მოვლა ევალებოდა, მისი სისტემა,

ძირითადად, ასეთივე შედეგებით მთავრდებოდა; იმ წუთიდან, როდესაც ბავშვის

ორგანიზმი ეჩვეოდა სრულიად გამოუსადეგარი საკვების მინიმალური ულუფით

სხეულში სიცოცხლის შენარჩუნებას, სიცივის ან შიმშილობის გამო ავადდებოდა,

ან უყურადღებობის გამო ცეცხლში ჩავარდებოდა, ან იგუდებოდა. ნებისმიერ ასეთ შემთხვევაში პატარა იმ ქვეყნად ხვდებოდა თავის მშობლებს, რომლებიც ამქვეყნიურ ცხოვრებაში, სამწუხაროდ, ვერ გაიცნო.

ხანდახან განსაკუთრებული სიმკაცრით იწყებდნენ სამრევლოს მზრუნველობაში მყოფი იმ ბავშვის დალუპვის გარემოებების გამოძიებას, რომელმაც თავზე საწოლი დაიმხო ან უყურადღებობის გამო სარეცხის რეცხვისას

ქვაბში ძალაუნებურად მოხარშეს – თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას,

ასეთი შემთხვევები არც ისე ხშირი იყო, რადგან რეცხვა ფერმაში იშვიათი ხილი

გახლდათ, – ნაფიცი მსაჯულები უხერხულ კითხვებს სვამდნენ, ხოლო მრევლი

საპროტესტო წერილებს წერდა და არ წყნარდებოდა. მაგრამ ასეთი თავხედური

გამოსვლები ძირშივე აღიკვეთებოდა ექიმის ან ბიძლის

ჩვენების წყალობით. პირველი ყოველთვის კვეთდა გვამს და სხეულში

ვერაფერს პოულობდა – ეს ყველაფერი სიმართლეს ჰგავდა, ხოლო მეორე ფიცის

დადების შემდეგ იმას ჰყვებოდა, რისი გაგონებაც მრევლს სურდა – და ესეც ღვთისმოსავის საქციელი გახლდათ. როდესაც ისინი ხანდახან ფერმას სტუმრობდნენ, ბავშვები დანაყრებულები, სუფთები ხვდებოდნენ – მეტი რა უნდა

ინატრო!

შეუძლებელია ფერმაში მიღებულ აღზრდის ამგვარ სისტემას რაიმე განსაკუთრებული ან მდიდარი მოსავალი ჰქონოდა. იმ დღეს, როდესაც ოლივერ

ტვისტი ცხრა წლისა შესრულდა, ერთი ფერმკრთალი, გამხდარი, ავადმყოფური

შესახეობის ბავშვი იყო, მაგრამ ბუნებამ ოლივერის გულში სიკეთის

მარცვლები დათესა და ისინიც თავისუფლად იზრდებოდა, რასაც ძალიან უწყობდა ხელს დაწესებულებაში შემოდებული მკაცრი დიეტა. შესაძლოა,

სწორედ ამ გარემოების წყალობით გახდა შესაძლებელი, რომ ოლივერმა ცხრა

წლის შესრულება მოახერხა.

ასეა თუ ისე, თავის მეცხრე დაბადების დღეს ორ ახალგაზრდა ჯენტლმენტან ერთად ქვანახშირის შესანახად განკუთვნილ სარდაფში ატარებდა – სამივენი საფუძვლიანად გაროზგეს, რადგან გაბედეს და დაიჩივლეს, გვშიაო – და დაწესებულების მმართველი, მისის მანი, გააკვირვა ბიდლის, მისტერ ბამბლის, მოულოდნელმა ვიზიტმა, რომელიც გამწარებული ბაღის კარიბჭის გაღებას ცდილობდა.

– ღმერთო ჩემო! ეს თქვენ ხართ, მისტერ ბამბლ? – წამოიძახა მისის მანმა, რომელმაც თავი ფანჯრიდან გაყო და ცდილობდა, მეტისმეტად გახარებული მოსჩვენებოდა (სიუზენ, ოლივერი და დანარჩენი ორი სარდაფიდან მალლა აიყვანე და ახლავე დაბანე!)), – ღმერთო ჩემო! მისტერ ბამბლ, როგორ მიხარია თქვენი მოსვლა!

მსუქანი და ფიცხი მისტერ ბამბლი სრულებით არ აფასებდა ამგვარ „გულწრფელ“ მისალმებას. გამწარებულმა ჭიშკარი შეაჯანჯღარა, მერე კი ისეთი წიხლი უთავაზა, როგორც მოსალოდნელი იყო ბიდლისგან.

– ღმერთო, – წამოიძახა მისის მანმა, რომელიც სახლიდან გამოვარდა და ჭიშკრისკენ გაიქცა, – სამივე ბიჭი უკვე მალლა ჰყავდათ აყვანილი, – სულ დამავიწყდა! ჩვენი ძვირფასი ბავშვების გადაამკიდე ჭიშკარი შიგნიდანაა ჩაკეტილი! მობრძანდით, სერ! გთხოვთ, შემობრძანდით, მისტერ ბამბლ, მობრძანდით, სერ!

მართალია, ამ ყველაფერს ისეთი რევერანსი ახლდა, სამრევლოს მოხელესაც კი გულგრილს ვერ დატოვებდა, მაგრამ ბიდლის გულის მოგება ვერ შეძლო.

– მისის მან, ნუთუ გგონიათ, რომ მისაღები და სათანადო საქციელია, სამრევლოს საბჭოს დავალებით მოსულ თანამდებობის პირებს ბაღის ჭიშკართან ალოდინოთ? – იკითხა მისტერ ბამბლმა, თან თავის ხელჯოხს იქნევდა, – იქნებ დაგავიწყდათ, რომ თქვენ, ერთგვარად, არჩეული პირი ხართ და სამრევლო ხელფასს გიხდით?

– მისტერ ბამბლ, მე ხომ მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი საყვარელი პატარებიდან რამდენიმეს, რომელთაც ძალიან უყვარხართ, თქვენი მობრძანება ვაცნობე, – თავმდაბლად უპასუხა მისის მანმა.

მისტერ ბამბლი თავის მჭევრმეტყველურ ნიჭსა და პიროვნულ მნიშვნელობაზე დიდი წარმოდგენის ბრძანდებოდა. პირველი გამოიჩინა და მეორე განამტკიცა. გული ცოტათი მოუღბა.

– კარგი, მისის მან, – უპასუხა ცოტათი დაწყნარებულმა, – შეიძლება მართლაც

ასე იყო, შეიძლება. სახლში შევიდით, მისის მან. საქმეზე მოვედი და რაღაც უნდა გაცნობოთ.

მისის მანმა ბიდლი მომცრო სასტუმრო ოთახში შეიყვანა, რომელსაც აგურის იატაკი ჰქონდა, სკამი მიაწოდა, ხოლო მის წინ მაგიდაზე სამკუთხა ქუდი და ხელჯოხი დადო. მისტერ ბამბლმა ფეხით გასეირნების შემდეგ გაოფლილი

შუბლი მოიწმინდა, კმაყოფილი იერთ დახედა სამკუთხა ქუდს და გაიღიმა. დიახ, გაიღიმა. ბიდლებიც ხომ ადამიანები არიან და მისტერ ბამბლმაც გაიღიმა.

- ახლა კი ნუ გამიბრაზდებით იმის გამო, რასაც გეტყვით, - მომხიბლავი თავაზიანობით შენიშნა მისის მანმა, - თქვენ დიდი გზა გამოიარეთ ფეხით, ასე რომ არ ყოფილიყო, ამას არც კი ვახსენებდი. მისტერ ბამბლ, ხომ დალევთ სულ ერთ წვეთ... .

- არც ერთს! არც ერთს! - მარჯვენა ხელი უარყოფის ნიშნად, მაგრამ მშვიდად აიქნია მისტერ ბამბლმა.

- ჩემი აზრით კი, შეიძლება, - განაგრძო მისის მანმა და გუნებაში დააფიქსირა მისი უარის ტონიცა და ჟესტიც, - სულ ერთი წვეთი, ცივი წყლის დამატებით და ერთი ნატეხი შაქრით.

მისტერ ბამბლმა ჩაახველა.

- მხოლოდ ერთი წვეთი, - არწმუნებდა მისის მანი.

- რისი ერთი წვეთი? - იკითხა ბიდლმა.

- იმის, რაც ყოველთვის მაქვს სახლში ბავშვების გამო, რათა საჭიროების შემთხვევაში დაფის ელექსირში ჩავამატო და ავადმყოფობის დროს დავალევი, მისტერ ბამბლ, - უპასუხა მისის მანმა, ბუფეტი გამოაღო და იქიდან ბოთლი და ყიქა გამოიღო, - ეს ჯინია. არ მოგატყუებთ, მისტერ ბამბლ, ჯინია.

- ბავშვებს ჯინს ასმევთ, მისის მან? - შეეკითხა ბამბლი და თან თვალს არ აცილებდა ნარევის მომზადების საინტერესო პროცედურას.

- ღმერთი დალოცავს ამ ბავშვებს, დიახ, ვასმევ, თუმცა, ეს საკმაოდ ძვირი მიჯდება, - უპასუხა აღმზრდელმა, - იცით, სერ, არ შემოდლია ვუყურო, როგორ იტანჯებიან ჩემ თვალწინ.

- სწორედ ასეა, - მოწონების ნიშნად თავი დაუქნია მისტერ ბამბლმა, - არ შეგიძლიათ. კეთილი ქალი ხართ, მისის მან, - ქალმა ჭიქა მაგიდაზე დადგა, - პირველივე ხელსაყრელ შემთხვევაში ამის შესახებ საბჭოს მოვახსენებ, მისის მან, - ბიდლმა ჭიქა თავისკენ მისწია, - ნამდვილად დედობრივი გრძნობა გაქვთ, მისის მან, - ჯინში წყალი შეურია, - მე... დიდი სიამოვნებით შევსვამ თქვენი დღეგრძელობისას, მისის მან.

და ერთი ამოსუნთქვით გადაკრა ნახევარი ჭიქა.

- ახლა კი საქმეზე გადავიდეთ, - განაგრძო ბიდლმა და ჯიბიდან ტყავის საფულე ამოიღო, - აღსაზრდელ ტვისტს, რომელსაც ოლივერი დაარქვეს, დღეს ცხრა წელი შეუსრულდა.

-- ღმერთმა დალოცოს, - ჩაურთო მისის მანმა და მარცხენა თვალი წინსაფრის ბოლოთი გაწითლებამდე მოისრისა.

- იმის მიუხედავად, რომ სამრევლომ ჯილდოდ ათი გირვანქა სტერლინგი დააწესა, რომელიც შემდეგ ოცამდე გაიზარდა, ასევე მისი არნახული ძალისხმევის მიუხედავად, - განაგრძობდა ბამბლი, - მაინც ვერ გავარკვიეთ, ვინ არის მამამისი, ვერც მისი საცხოვრებელი ადგილი, ვერც დედამისის ვინაობა.

მისის მანმა გაკვირვების ნიშნად ხელები ზეცისკენ აღაპყრო და ხანმოკლე ფიქრის შემდეგ იკითხა:

- კი მაგრამ, გვარი როგორდა აქვს?

ბიდლმა ამაყად ასწია თავი და თქვა:

- მე მოვიფიქრე.

- თქვენ, მისტერ ბამბლ?

- დიახ, მისის მან. ჩვენს აღსაზრდელებს ანბანური რიგის დაცვით სახელებსა და გვარებს ჩვენვე ვარქმევთ. წინა აღსაზრდელი იყო ასო ს-ზე და მისი გვარი

გახდა სოუბლი, ეს კი ტ-ზე იყო და შესაბამისად, ტვისტი. შემდეგი იქნება უნუინი

და მერე ფილიპე. ანბანის ყველა ასოზე მაქვს გვარი მოფიქრებული. როდესაც ანბანის ბოლომდე მივალთ, ისევ თავიდან მომიწევს გვარების მოფიქრება.

- თქვენ ნამდვილი მწერალი ყოფილხართ, სერ! - წამოიძახა მისის მანმა.

- არ ვიცი, არ ვიცი, - თქვა ბიდლმა, რომელსაც ქება აშკარად ესიამოვნა, -

შეიძლება ასეც არის... იქნებ ასეც არის, მისის მან.

წყლიანი ჯინი ბოლომდე დალია და განაგრძო:

- რაკი ოლივერ ტვისტი წამოიზარდა და აქ მისი დატოვება აღარ შეიძლება, საბჭომ მისი უკან, შრომის სახლში გადაყვანა დაადგინა. მის წასაყვანად ვარ მოსული. რაც შეიძლება სწრაფად მოიყვანეთ.

- ახლავე მოვიყვან, - თქვა მისის მანმა და ოთახიდან გავიდა.

ოლივერ ტვისტი, რომელსაც ამასობაში ერთი დაბანის წყალობით სახიდან და ხელებიდან ჭუჭყის ზედა ფენა ჩამოაცილეს, მისმა საყვარელმა აღმზრდელმა მისაღებ ოთახში შეიყვანა.

- ჯენტლმენს მიესალმე, ოლივერ, - თქვა მისის მანმა.

ოლივერმა თავი დაუკრა როგორც სკამზე მჯდარ ბიძლს, ისე მაგიდაზე დადებულ სამკუთხა ქუდს.

- გინდა ჩემთან ერთად წამოხვიდე, ოლივერ? - მედიდურად შეეკითხა მისტერ ბამბლი.

ოლივერი მზად იყო, ეთქვა, რომ ვისაც გინდა, გაჰყვება, ოღონდ აქედან წავიდეს, მაგრამ თვალეები ასწია თუ არა, ბიძლის სკამის უკან მდგარი მისის მანის მრისხანე მზერას წააწყდა, რომელმაც მუქარის ნიშნად მუშტი დაანახვა. ოლივერის სხეულზე ამ მუშტს ხშირად დაუტოვებია კვალი და შესაბამისად, კარგადაც ჩაებეჭდა გონებაში მისი მნიშვნელობა.

- ჩემთან ერთად ესეც უნდა წამოვიდეს? - იკითხა საბრალო ოლივერმა.
- არა, მას არ შეუძლია წამოსვლა, - უპასუხა მისტერ ბამბლმა, - მაგრამ ხანდახან მოგინახულებს ხოლმე.

ეს სრულებით არ იყო ბიჭისთვის ნუგეში. ასაკის მიუხედავად, იმდენი ყკუა კი

ეყო, თავი ისე მოეჩვენებინა, თითქოს ძალიან სწყდებოდა წასვლით გული. წამოტირება სრულებით არ გასყირვებია. შიმშილსა და ცუდად მოჰყრობას კარგი

დახმარების გაწევა შეუძლიათ, როცა ტირილია საჭირო. ოლივერიც ტიროდა და

უნდა ითქვას, საკმაოდ დამაჯერებლადაც. მისის მანმა ათასი კოცნა აჩუქა - ყველაზე მეტად ოლივერს სწორედ ეს სჭირდებოდა, ასევე კარაქიანი პური, შრომის სახლში მისულს ძალიან დამშეულის იერი რომ არ ჰქონოდა.

პურის ყუით ხელში, თავზე სამრევლოს კუთვნილი ყავისფერი ნაჭრის ქუდით,

ოლივერი მისტერ ბამბლმა იმ საზიზღარი სახლიდან წაიყვანა, სადაც მისი ბავშვობის წლებში არც ერთი ალერსიანი სიტყვა, ალერსიანი მზერაც კი არ ღირსებია. მაშინაც კი, როდესაც კოტეჯის ჭიშკარი ოლივერის ზურგს უკან დაიხურა, მისი ბავშვური წუხილი გულში ღრმად იყო ჩამარხული.

ოლივერის

უბედურების თანამონაწილე ბავშვები, მართალია, ასევე შესაბრალისები იყვნენ,

მაგრამ ისინი მისი ერთადერთი მეგობრები გახლდნენ და უზარმაზარ სამყაროში

მარტოდ დარჩენის გრძნობამ პატარა ბიჭი შეძრა.

მისტერ ბამბლი დიდი ნაბიჯებით მიდიოდა. პატარა ოლივერი, მის ოქროსფერგადანაკვეციანი წამოსასხამის კალთას მაგრად ჩაჭიდებული, ყოველი მეოთხედი მილის გავლის შემდეგ ეკითხებოდა, მალე მივალთ თუ არაო და ამ

შეკითხვებზე მისტერ ბამბლი უხეშად და მოკლედ პასუხობდა, რადგან წყლიანი

ჯინით გამოწვეული კეთილგანწყობა იმ დროისთვის უკვე აორთქლდა და ისევ ჩვეულებრივ ბიძლად იქცა.

შრომის სახლში მისული ოლივერი ვიდაც ბებრუხანას მიაბარეს და პურის მეორე ყუა ჯერ შეჭმულიც არ ჰქონდა, რომ მისტერ ბამბლი დაბრუნდა. იმ საღამოს საბჭოს სხდომის გამართვის შესახებ მოუყვა და ისიც აცნობა, რომ

საბჭოს სურვილით ოლივერი მის წევრებს უნდა ენახათ.

ოლივერს წარმოდგენა არ ჰქონდა, საბჭო რა იყო, ამიტომ ისე დააბნია ბიდლის ნათქვამმა, რომ ვერ მიხვდა, ეცინა თუ ეტირა. მაგრამ ფიქრისთვის დიდი დროც არ ჰქონია, რადგან მისტერ ბამბლმა გამოსაცოცხლებლად თავში ხელჯოხი დაჰკრა, კიდეც ერთი დარტყმა ზურგში უთავაზა გასამხნეველად და

მერე უბრძანა, უკან გაჰყოლოდა. შეთეთრებულკედლებიან დიდ ოთახში აღმოჩნდნენ, სადაც მაგიდას რვა თუ ათი მსუქანი ჯენტლმენი უჯდა.

მაგიდის

თავში, სხვებზე უფრო მაღალ სავარძელში, წითელსახიანი ძალიან სქელი ჯენტლმენი მოკალათებულიყო.

- თავი დაუკარი საბჭოს, - უთხრა ბამბლმა.

ოლივერმა ჯერ კიდეც შეუმშრალი ცრემლები მოიწმინდა, საბედნიეროდ, წინ მაგიდა დაინახა და თავი მას დაუკრა.

- რა გქვია, ბიჭუნა? - შეეკითხა მაღალ სავარძელში მჯდარი ჯენტლმენი.

ოლივერი ამდენი ჯენტლმენის დანახვამ დააბნია, ბიდლმა უკნიდან კიდეც ერთი წიხლი უთავაზა, რამაც აიძულა, ატირებულიყო. ამ ორი მიზეზის გამო

სახელი და გვარი ხმადაბლა ძლივს ამოილულლუდა. თეთრყილეტიანმა ჯენტლმენმა ბავშვი სულელად გამოაცხადა და ძალიან გამხიარულდა.

- მისმინე, ბიჭუნა, - წამოიწყო მაღალ სავარძელში მჯდარმა ჯენტლმენმა, - იმედია, შენთვის ცნობილია, რომ ობოლი ხარ.

- ეს რა არის, სერ? - იკითხა საბრალო ოლივერმა.

- ბიჭი გონებასუსტია! ასეც ვიცოდი, - გაიმეორა თეთრყილეტიანმა ჯენტლმენმა.

- ჩუმად! - დაიძახა იმ ჯენტლმენმა, რომელმაც საუბარი დაიწყო, - შენ იცი,

რომ დედ-მამა არა გყავს და შენზე მრევლი ზრუნავს, ხომ ასეა?

- დიახ, სერ, - უპასუხა ოლივერმა და მწარედ ატირდა.

- რა გატირებს? - შეეკითხა თეთრყილეტიანი ჯენტლმენი.

მართლაც გასაოცარია! რატომ უნდა ეტირა ამ ბიჭუნას?

- იმედია, ლოცვას ყოველდამე კითხულობ, - მკაცრად წარმოთქვა სხვა ჯენტლმენმა, - და როგორც ქრისტიანს შეჰფერის, ლოცულობ იმათთვის, ვინც

გაჭმევს და შენზე ზრუნავს!

- დიახ, სერ, - ენის ბორძიკით თქვა ბიჭმა.

ჯენტლმენი, რომელმაც ბოლოს ილაპარაკა, მისდა უნებურად მართალი იყო. ოლივერი კარგი, იშვიათად კარგი ქრისტიანი იქნებოდა, იმათთვის რომ ელოცა,

ვინც კვებავდა და მასზე ზრუნავდა. მაგრამ ის არ ლოცულობდა, იმიტომ, რომ ლოცვა მისთვის არავის უსწავლებია.

- მშვენიერია! აქ აღსაზრდელად და გამოსადეგი ხელობის შესასწავლად მოგიყვანეს, - თქვა მაღალ სავარძელში მჯდომმა წითელსახიანმა ჯენტლმენმა.

- და ხვალვე, დილის ექვსი საათიდან ძენძის გაწეწვას დაიწყებ, - პირქუშად დაამატა თეთრჭილეთიანმა ჯენტლმენმა.

ძენძის გაწეწვის არც ისე რთული საქმისთვის ხელის მოკიდების სამადლობლად ოლივერმა, ბიდლის მითითებით, ჯენტლმენებს თავი მდაბლად დაუკრა. ის სწრაფად გაიყვანეს დიდ ოთახში, სადაც უხემ და მაგარ საწოლზე იქამდე ექითინებდა, ვიდრე არ ჩაეძინა. ინგლისის გულმოწყალე კანონების რა შესანიშნავი ილუსტრაციაა! ისინი ღარიბებს ნებას რთავენ, დაიძინონ!

საბრალო ოლივერი! ეძინა და წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომ სწორედ იმ დღეს საბჭომ ისეთი გადაწყვეტილება მიიღო, რომელიც მთელ მის შემდგომ ცხოვრებაზე იქონიებდა გავლენას. მაგრამ საბჭომ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო და ის შემდეგი შინაარსის გახლდათ:

საბჭოს წევრები ბრძენი და შორსმჭვრეტელი ფილოსოფოსები იყვნენ და როდესაც მათ, ბოლოს და ბოლოს, ყურადღება შრომის სახლებზე შეაჩერეს, მაშინვე შენიშნეს ის, რასაც უბრალო მოკვდავები ვერ ხვდებოდნენ, კერძოდ: ღარიბებს შრომის სახლები უყვარდათ! ის მათთვის გასართობი ადგილი იყო; სამიკიტნო, სადაც არაფერს იხდი; უფასო საუზმე, სადილი, ჩაი და ვახშამი მთელი წლის განმავლობაში; აგურისა და კირისგან შექმნილი სამოთხე, სადაც მხოლოდ თამაშობენ და არ მუშაობენ! „ოჰო! - მრავალმნიშვნელოვნად წამოიძახა საბჭომ, - ჩვენ წესრიგის დამყარება გვევალება. ამიტომ ამას დაუყოვნებლივ უნდა მოვუღოთ ბოლო“ და საბჭოს წევრებმა დაადგინეს, რომ ყველა ღარიბს არჩევანი ჰქონდა (რასაკვირველია, არავის დამალეა არ სურდათ), შიმშილით ნელ-ნელა მომკვდარიყო შრომის სახლის კედლებში ან მის

გარეთ. ამ მიზნით საბჭომ ხელშეკრულება გააფორმა წყალმომარაგების კომპანიასთან წყლით მუდმივად მომარაგების შესახებ და ასევე ხორბლით მოვაჭრე აგენტთან, რათა მას ზომიერი რაოდენობით მიეწოდებინა შრომის სახლისთვის შვრია და დაადგინა, დღეში სამჯერ სახლის ბინადრებისთვის ექმიათ წყალწყალა ფაფა, კვირაში ორჯერ - ხახვი და კვირაობით ნახევარი ფუნთუშა. საბჭომ კიდევ ბევრი ბრძნული და ჰუმანური გადაწყვეტილება მიიღო,

განსაკუთრებით ქალებთან დაკავშირებით, მაგრამ ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. მისი წევრები დაეთანხმნენ, გაყრის საშუალება მიეცათ ღარიბებისთვის, რადგან მათ დოკტორს-კომონსში

ამ პროცესის წამოწყება ძვირი უჯდებოდათ. ნაცვლად იმისა, ადამიანი ეიძულებინათ ოჯახი შეენახა, როგორც ეს ადრე ხდებოდა, ამიერიდან უბრალოდ,

ოჯახს ართმევდნენ და ის მარტოხელა ხდებოდა! ძნელია იმის თქმა, საზოგადოების სხვა ფენებიდან რამდენი ადამიანი მიმართავდა მათ ფინანსური დახმარებისთვის, ბოლო ორი პუნქტი მხოლოდ შრომის სახლების ბინადრებისთვის რომ არ ყოფილიყო გათვალისწინებული. მაგრამ საბჭოს

წევრები წინდახედული ადამიანები იყვნენ და ამგვარი გართულების თავიდან ასარიდებლად საჭირო ზომები მიიღეს. ფინანსური დახმარების მიმღები დაკავშირებული უნდა ყოფილიყო შრომის სახლსა და იქაურ ფაფასთან, ეს კი ხალხს აფრთხობდა.

ოლივერ ტვისტის გამოჩენიდან პირველი ექვსი თვის განმავლობაში სისტემა ყველა წესის დაცვით მოქმედებდა. თავდაპირველად, ხარჯმა ძალიან იმატა, შესამჩნევად გაიზარდა მეკუბოისთვის გათვალისწინებული ანგარიშიც და გარდა ამისა, დაუსრულებლად ღარიბების სამოსის დავიწროება იყო საჭირო, რადგან ფაფით კვებიდან ორი-სამი კვირის შემდეგ გაძვალტყავებულ ტანზე ტომარასავით ეკიდათ. იმავდროულად, მნიშვნელოვნად შემცირდა შრომის სახლების ბინადართა რიცხვი და საბჭოც აღფრთოვანებული გახლდათ.

ყმაწვილებს აგურისკედლებიან დიდ დარბაზში აჭმევდნენ, რომლის ერთ ბოლოში დიდი ქვაბი იდგა. ამ ქვაბიდან საჭირო საათებში წინსაფრიალი ზედამხედველი ერთი ან ორი ქალის დახმარებით ფაფას არიგებდა.

თითოეული

ყმაწვილი ამ შესანიშნავი საკვების მხოლოდ ერთ ჯამს იღებდა, მეტს არა. გამონაკლისი დღესასწაულის დღეები გახლდათ, როდესაც მათ კიდევ ერგებოდათ პური – ორი უნცია და მეოთხედი. ჯამებს გარეცხვა არ სჭირდებოდა.

ბიჭები მას კოვზებით იქამდე ფხვდნენ, ვიდრე ისევ პრიალს არ დაიწყებდა; ამის შემდეგ (ჯამის ამოსუფთავებას დიდი დრო არ სჭირდებოდა, რადგან კოვზი

თითქმის ჯამისხელა იყო) ისხდნენ და ისეთი ხარბი თვალებით მისჩერებოდნენ

ქვაბს, თითქოს მის გარშემო დალაგებული აგურების ჭამა სურდათ. თითებს გამალებით წუწნიდნენ ზედ შემთხვევით დარჩენილი ფაფის ნარჩენის აღმოჩენის იმედით. საზოგადოდ, ყმაწვილებს კარგი მადა გამოარჩევს.

ოლივერ

ტვისტი და მისი მეგობრები სამი თვე ითმენდნენ წამებას და ნელ-ნელა შიმშილით იხოცებოდნენ; ბოლოს ისეთი ხარბები გახდნენ და შიმშილისგან ისე

გაავდნენ, რომ ერთმა, თავისი ასაკისთვის ზორბა ყმაწვილმა, ამგვარ მოპყრობას შეჩვეული რომ არ იყო (მამამისს ოდესდაც სამიკიტნო ჰქონდა), მეგობრებს გაუმხილა, რომ თუ ფაფის ულუფას არ გაუზრდიდნენ, ღამით შესაძლოა მის გვერდით მწოლიარე რომელიმე გალეული ბიმჭი შეეყამა. შემლილი, მშიერი თვალეები ჰქონდა და ბავშვებმაც ბრმად დაუჯერეს. ითათბირეს, წილი ყარეს, იმ საღამოს ვის უნდა ეთხოვა ზედამხედველისთვის ფაფის დამატება, და წილი ოლივერ ტვისტს ხვდა.

მოსალამოვდა. ბიჭებმა ადგილები დაიკავეს. მზარეულის წინსაფრიალი ზედამხედველი დიდ ქვაბთან დადგა. ზურგს უკან მისი ლატაკი თანაშემწეები გამწკრივდნენ. მწირი სადილის წინ გრძელი ლოცვა წაიკითხეს. ფაფა ჯამებში ჩამოარიგეს. ფაფა გაქრა. ბიჭები ერთმანეთში ჩურჩულებდნენ და თვალს უკრავდნენ ოლივერს, მის გვერდით მსხდომნი კი მუჯლუგუნებს არ იშურებდნენ.

ის კი ჯერ სრულიად ბავშვი იყო; შიმშილისგან სასოწარკვეთილი და მწუხარებისგან გონებადაბინდული წამოდგა, ჯამითა და კოვზით ხელში ზედამხედველს მიუახლოვდა და საკუთარი თავხედობით ცოტათი შემინებულმა

უთხრა:

- მაპატიეთ, სერ, კიდეც მინდა.

ზედამხედველი, ტანსრული, მოსული მამაკაცი ამ სიტყვების გაგონებაზე გაფითრდა. რამდენიმე წამს გაოგნებული იდგა და პატარა მემბოხეს მისჩერებოდა. მერე, თითქოს დასაყრდენს ეძებო, ქვაბს მიეყუდა. მის თანაშემწეებს ენა გაოცებისგან ჩაუვარდათ, ოლივერს კი - შიშისგან.

- რა მოხდა? - ბოლოს და ბოლოს, მისუსტებული ხმით იკითხა ზედამხედველმა.

- მაპატიეთ, სერ, - გაიმეორა ოლივერმა, - ფაფა კიდეც მინდა.

ზედამხედველმა ოლივერს თავში ჩამჩა ჩასცხო, ხელები ჩასჭიდა და მთელი ხმით აყვირდა, ბიდლს უხმობდა.

საბჭო საზეიმო შეკრებისთვის ემზადებოდა, როდესაც აღელვებული მისტერ ბამბლი ოთახში შევარდა და მაღალ სავარძელში მჯდომ ჯენტლმენს მიმართა:

- მისტერ ლიმკინს, მაპატიეთ, სერ! ოლივერ ტვისტმა ფაფის დამატება მოითხოვა!

ყველაფერი აირია. ჯენტლმენებს შემფოთებისგან სახეები მოექცათ.

- ფაფის დამატება? - შეეკითხა მისტერ ლიმკინსი, - დაწყნარდით, ბამბლ, და

ჩემს კითხვებზე გასაგებად მიპასუხეთ. თუ სწორად გაგიგეთ, მისი კუთვნილი ვახშამი მიირთვა და მერე მოითხოვა ფაფის დამატება?

- სწორედ ასე იყო, სერ, - უპასუხა ბამბლმა.

- ეს ბიჭი სიცოცხლეს სახრჩობელაზე დაასრულებს, - თქვა თეთრჭილეთიანმა ჯენტლმენმა, - დანამდვილებით ვიცი, ეს ბიჭი სახრჩობელაზე მოკვდება.

ჯენტლმენის წინასწარმეტყველება სადავოდ არავის გაუხდია. გაცხარებული მსჯელობა გაიმართა. ოლივერის დაუყოვნებელი დაპატიმრება გადაწყდა; მეორე

დილით შრომის სახლის კარზე განცხადება გამოაკრეს, რომელიც ჯილდოდ ხუთ

გირვანქა სტერლინგს

ჰპირდებოდა ნებისმიერს, ვინც მრევლს ოლივერ ტვისტზე ზრუნვისგან გაათავისუფლებდა. სხვა სიტყვებით, საკმარისი იყო ხუთი გირვანქა სტერლინგის გადახდა და ოლივერ ტვისტს წაიყვანდა ნებისმიერი მამაკაცი ან ქალი, რომელიც რაიმე ხელობას მისდევდა ან ვაჭრობდა, ან რაიმე სხვა საქმიანობას ეწეოდა და შეგირდი ესაჭიროებოდა.

როდესაც მეორე დილით თეთრჭილეთიანმა ჯენტლმენმა კარზე გამოკრული განცხადება წაიკითხა, დააკაკუნა და ჩაილაპარაკა:

- არასოდეს არაფერში ისეთი დარწმუნებული არ ვყოფილვარ, როგორც იმაში,

რომ ეს ბიჭი სიცოცხლეს სახრჩობელაზე დაასრულებს.

შემდეგში რომ ნახოს მკითხველმა, მართალი იყო თუ არა თეთრჭილეთიანი

ჯენტლმენი, ხოლო ჩემს მონათხრობს ინტერესი რომ არ დაეკარგოს (ჩემი აზრით, ის ინტერესს იმსახურებს), ამიტომ წინასწარ არ ვიტყვი, ელის თუ არა ოლივერ

ტვისტს ასეთი საზარელი სიკვდილი.

თავი 3 ოლივერ ტვისტი კინაღამ როგორ მოხვდა

ისეთადგილზე, რომელიც სრულიადაც არ იყო სინეკურა

სამარცხვინო და უპატიებელი დანაშაულის ჩადენიდან – ფაფის დამატებითი

ულუფის მოთხოვნიდან ერთი კვირის განმავლობაში, საბჭოს ბრძნული და სულგრძელი გადაწყვეტილების თანახმად, ოლივერი ბნელ ოთახში ჰყავდათ გამოკეტილი. ერთი შეხედვით თითქოს კეთილგონივრულია იმის ვარაუდი, რომ

თუ ბიჭი თეთრყილეტიანი ჯენტლმენის წინასწარმეტყველებას სათანადო პატივისცემით მოეპყრობოდა, ცხვირსახოცის ერთ ბოლოს კედელში გამოჩრილ კაუჭს გამოაბამდა, მეორეს კი კისერზე შემოიხვევდა და ამ გზით ერთხელ და სამუდამოდ დაადასტურებდა მის წინასწარმეტყველურ უნარს. მაგრამ ასეთი გმირობის ჩადენას წინ ერთი დაბრკოლება ელოებოდა: ცხვირსახოცები ფუფუნების საგნად მიიჩნეოდა და სამუდამოდ იყო აკრძალული ღარიბთა ცხვირებისთვის ისევ და ისევ საბჭოს განსაკუთრებული ბრძანებით, რომელიც სრული შემადგენლობით მიიღეს, დაადასტურეს ხელმოწერებითა და ბეჭდით, შემდეგ კი საზეიმოდ გამოაცხადეს. კიდევ უფრო დიდი დაბრკოლება ოლივერის

ასაკი და ბავშვურობა გახლდათ. ბიჭი მთელი დღე გულამოსკვნილი ტიროდა, ხოლო როდესაც ჩამობნელდა, თვალებზე ხელები აიფარა, სიბნელე რომ აღარ დაენახა, კუთხეში მიიყუჩა და დაძინება სცადა. დროდადრო გამოიღვიძებდა, წამოჯდებოდა და მთელი სხეულით აკანკალდებოდა, მერე უფრო მჭიდროდ ეკვროდა ნესტიან კედელს, თითქოს მისი მყარი ზედაპირი ამ უკუნეთში მარტოობისგან იცავდა.

„სისტემის“ მტრები ნუ იფიქრებენ, რომ მარტოობაში გამოკეტილი ოლივერი მოკლებული იყო ჯანმრთელობისთვის საჭირო ვარჯიშს ადამიანური ურთიერთობისა და სულიერი ნუგეშის სახით. ვარჯიშს რაც შეეხება, მშვენიერი

ცივი ამინდი იდგა და მას ყოველ დილით უფლება ჰქონდა, აგურის კედლებით

შემოსაზღვრულ ეზოში ცივი შხაპი მიეღო მისტერ ბამბლის მეთვალყურეობით, ხოლო გაცივების თავიდან ასაცილებლად, ბიდლის ხელჯოხი მთელ სხეულში სასიამოვნო სითბოს იწვევდა. ადამიანურ ურთიერთობას რაც შეეხება, ყოველ ორ დღეში ერთხელ ოლივერი იმ დარბაზში მიჰყავდათ, სადაც ბიჭები სადილობდნენ, და მათთვის ჭკუის სასწავლებლად ყველას თვალწინ როზგავდნენ. სულიერი ნუგეში რომ არ მოჰკლებოდა, ყოველ საღამოს, ლოცვის

ჟამს, იმავე დარბაზში წიხლებით შეაგდებდნენ და ნებას რთავდნენ, ყური დაეგდო ბიჭების საერთო ლოცვისთვის; ლოცვას საბჭოს განკარგულებით დამატება ჰქონდა დართული და ამ დამატების თანახმად, ისინი ღმერთს ევედრებოდნენ, ყოფილიყვნენ კარგები, სათნოები, კმაყოფილები, მორჩილები,

თავიდან აერიდებინა მათთვის ოლივერ ტვისტის ცოდვები და მანკიერებანი – ეს

უკანასკნელი ლოცვაში ხაზგასმული იყო და ისე გამოდიოდა, რომ მას განსაკუთრებით სწყალობდნენ და მფარველობდნენ ბოროტი ძალები და ის

თავად ეშმაკის შექმნილი გახლდათ.

ერთ დილას, როდესაც ოლივერი ასეთ სასიკეთო ვითარებაში იმყოფებოდა, ჰაი-სტრიტზე საკვამურების მწმენდავმა, მისტერ ჰემფილდმა ჩაიარა. ის ღრმად

ჩაფიქრებული მიდიოდა, როგორ და რა საშუალებით დაეფარა ქირა, რომელსაც

სახლის მეპატრონე მისგან დაჟინებით ითხოვდა. საკუთარი ფინანსების ყველაზე ოპტიმისტურად დათვლითაც კი მისტერ ჰემფილდს ხუთი გირვანქა სტერლინგი აკლდებოდა, სწორედ საჭირო თანხა. არითმეტიკულ სასოწარკვეთილებებში ჩავარდნილი, თავს იმტვრევდა, რა მოეხერხებინა, ხანაც თავისი ვირის თავის გახეთქას აპირებდა. უცერად, როდესაც შრომის სახლს გაუსწორდა, მის კარზე გამოკრული განცხადება დაინახა.

- თოქშიი, - შეუძახა მისტერ ჰემფილდმა ვირს.

ღრმა ფიქრებში წასული ვირი, ალბათ, იმაზე ფიქრობდა, ბოლოს და ბოლოს,

აღირსებდნენ თუ არა ერთ ან ორ ცალ მურკს, როდესაც ჭვარტლით სავსე ორ ტომარას მოაშორებდნენ, რომლითაც პატარა ურიკა იყო დატვირთული; ამიტომ

პატრონის შეძახილი არ გაუგონია და სვლას აგრძელებდა.

მისტერ ჰემფილდმა ვირს უშვერად შეაგინა, განსაკუთრებით მისი თვალების გამო, ცხოველს გამოეკიდა და თავში ისე ჩაარტყა, რომ ნებისმიერ ცოცხალ არსებას ქალას გაუპობდა, მაგრამ ვირს ეს არ ემუქრებოდა; მერე მისტერ ჰემფილდმა აღვირი ღონივრად მოქაჩა, რათა ცხოველისთვის შეეხსენებინა, ვინ

არის პატრონი და ასე დააბრუნა უკან. ყოველი შემთხვევისთვის კიდევ ერთხელ

ჩაარტყა თავში, მის დაბრუნებამდე ფეხი რომ არ მოეცვალა. მხოლოდ ამის შემდეგ მიუახლოვდა კარს განცხადების წასაკითხად.

კართან თეთრყილეტიანი ჯენტლმენი იდგა, ხელები ზურგს უკან შემოეწყო და თვალს ადევნებდა მისტერ ჰემფილდისა და მისი ვირის შეკამათებას. მან სიხარულით გაიღიმა, რადგან მაშინვე მიხვდა, ოლივერ ტვისტს სწორედ მისტერ

ჰემფილდისთანა მოძღვარი სჭირდებოდა. განცხადების წაკითხვის შემდეგ მისტერ ჰემფილდმაც გაიღიმა, რადგან მას სწორედ ხუთი გირვანქა ესაჭიროებოდა; ამ თანხის დანამატად მომყოლ ბიყს რაც შეეხება, მისტერ ჰემფილდს შესანიშნავად მოეხსენებოდა, როგორ კვებავდნენ შრომის სახლში და დარწმუნებული გახლდათ, ის სწორედ საკვამურებში ჩასაძრომად ზედგამოჭრილი, მინიატიურული არსება იქნებოდა. ამიტომ განცხადება კიდევ ერთხელ დაკვირვებით წაიკითხა და მერე თეთრყილეტიან ჯენტლმენს მიუახლოვდა, პატივისცემის ნიშნად თავისი ბეწვის ქუდი ასწია:

- სერ, აეს ბიჭი, შეგირდად მიბარება რო სურს სამრევლოს... - წამოიწყო მისტერ ჰემფილდმა.

- დიახ, ჩემო კარგო, - მოწყალე ღიმილით გამოეხმაურა თეთრყილეტიანი ჯენტლმენი, - აბა, რას იტყვით მასზე?

- სამრევლოს თუ უნდა, ბიჭმა ხელობა ისწავლოს, საკვამურის მწმენდავის

ძირძველი ხელობა, - აგრძელებდა მისტერ ჰემფილდი, - შეგირდი მჭირდება და შემოდგომა ავიყვანო.

- შემობრძანდით, - უთხრა თეთრფილეტიანმა ჯენტლმენმა.

მისტერ ჰემფილდი შეყოვნდა, ვირს ყოველი შემთხვევისთვის კიდევ ერთი მუშტი უთავაზა თავში, აღვირიც მოქაჩა თითქოს გასაფრთხილებლად, ფეხი არ

მოეცვალა, მერე თეთრფილეტიან ჯენტლმენს იმ ოთახში შეჰყვა, სადაც ის ოლივერ ტვისტმა პირველად ნახა.

- ეს ცუდი ხელობაა, - განაცხადა მისტერ ლიმკინსმა, როდესაც მისტერ ჰემფილდმა საბჭოს თავისი წინადადება გააცნო.

- ბიჭები საკვამურებში იგუდებოდნენ, - დაამატა მეორე ჯენტლმენმა.

- ეგ იმიტო, რო ბუხარში დანთებამდე ჩალას ნამავდნენ, ბიჭისთვის რო გარეთ გამოსვლა ეძულეზინათ, - თქვა მისტერ ჰემფილდმა, - ნამიანი ჩალა რა,

აბოლდება, სხვა რა ხეირია მისგან, ბოლი კიდე ბიჭს აძინებს და არი გაჭედილი

საკვამურში. ჯენტლმენებო, ბიჭები ძალიან ზარმაცები და ჯიუტები არიან, ცეცხლს

რა ჯობია, დაანთებ და ეგრევე ამოხტებიან. ეგ კეთილი საქმეცაა, ქუსლებს შეუტრუსავ და ისინი კიდე მთელი ძალით ამოსვლას ცდილობენ.

ამ განცხადებამ ძალიან გაამხიარულა თეთრფილეტიანი ჯენტლმენი, მაგრამ მისი სიხარული მისტერ ლიმკინსის მზერის შემდეგ ჩაქრა. რამდენიმე წუთი საბჭოს წევრები ერთმანეთში თათბირობდნენ, მაგრამ ისე ხმადაბლა, რომ ისმოდა მხოლოდ სიტყვები: „ხარჯის შემცირება“, „ბალანსზე დადებითად ასახვა“, „ბეჭდური ანგარიშის გამოცემა“, ისიც იმიტომ, რომ ხშირად და განსაკუთრებული გამომსახველობით იმეორებდნენ.

ბოლოს ჩურჩული შეწყდა, ყველანი სათათბირო მაგიდას დაუბრუნდნენ და საზეიმო სახეებით შემოუსხდნენ. მისტერ ლიმკინსმა თქვა:

- თქვენი წინადადება განვიხილეთ და მხარს არ ვუჭერთ.

-- სრულებითაც არ ვუჭერთ მხარს, - თქვა თეთრფილეტიანმა ჯენტლმენმა.

- გადაჭრით არ ვუჭერთ მხარს, - დაამატეს საბჭოს სხვა წევრებმა.

წარსულში მისტერ ჰემფილდი დააზარალა უმნიშვნელო ბრალდებამ სამი თუ ოთხი ბიჭის სიკვდილამდე ცემის თაობაზე და მას გაუეღვა აზრმა, რომ შესაძლოა საბჭოს წევრებმა, მისთვის გაუგებარი ახირების გამო, სწორედ საქმესთან დაუკავშირებელი ამ მიზეზის გამო უთხრეს უარი. მართალია, როგორც

წესი, საბჭო ასე არ იქცეოდა, მაგრამ რაკი არ სურდა, ძველი ჭორები წამოტივტივებულიყო, ქუდით ხელში გასასვლელისკენ დაიძრა.

- ესე იგი, არ დამითმობთ, ჯენტლმენებო, ხომ? - იკითხა კართან შეჩერებულმა მისტერ ჰემფილდმა.

- არ გვინდა, - უპასუხა მისტერ ლიმკინსმა, - ცუდი ხელობა გაქვთ და ვთვლით, რომ შემოთავაზებული პრემია უნდა შევამციროთ.

მისტერ ჰემფილდს სახე გაუბრწყინდა; სწრაფად მიაშურა მაგიდას და იკითხა:

- რამდენს მომცემთ, ჯენლმენებო? აბა, ჰე! ნუ დაჩაგრავთ ღარიბ კაცს. რამდენს?

- ჩემი აზრით, სამი გირვანქა სტერლინგი და ათი შილინგი სრულიად საკმარისია, - უპასუხა მისტერ ლიმკინსმა.

- ათი შილინგი მოვაკლოთ, - განაცხადა თეთრყილეტიანმა ჯენტლმენმა.

- მისმინეთ! - წამოიძახა ჰემფილდმა, - ოთხზე შევთანხმდეთ, ჯენლმენებო. ოთხზე და სამუდამოდ მოიცილებთ თავიდან. მოსულა?

- სამი გირვანქა სტერლინგი და ათი შილინგი, - მტკიცედ უპასუხა მისტერ ლიმკინსმა.

- მისმინეთ, ჯენლმენებო, ხარჯი თანაბრად გავიყოთ, - შესთავაზა ჰემფილდმა, - სამი გირვანქა სტერლინგი და თხუთმეტი.

- არც ერთ ფართინგს არ დავამატებ, - არ შეეპუა მისტერ ლიმკინსი.

- ძალიან მჩაგრავთ, ჯენლმენებო, - ყოყმანით თქვა ჰემფილდმა.

- ოჰ, ოჰ, რა სისულელეა! - თქვა თეთრყილეტიანმა ჯენტლმენმა, - საერთოდაც ყოველგვარი პრემიის გარეშე რომ წაიყვანოთ, ესეც კი ღირს. მოჰკიდეთ ხელი და წაიყვანეთ, უტვინო ადამიანო! ეს ბიჭი ყველაზე მეტად შეგეფერებათ შეგირდად. დროდადრო ჯოხით მორჯულება სჭირდება, მისთვის ეს სასარგებლო იქნება. მის შესანახად კი ბევრს არაფერს დახარჯავთ, იმიტომ, რომ დაბადებიდან წესიერად არ უყამია, ჰა-ჰა-ჰა!

მისტერ ჰემფილდმა ეშმაკურად შეხედა მაგიდასთან მსხდომებს და როდესაც შენიშნა, რომ ყველა ილიმებოდა, თავადაც ჩაიცინა. გარიგება შედგა. მისტერ ბამბლს დაუყოვნებლივ აცნობეს, რომ ოლივერი და მისი დოკუმენტები იმავე დღეს მოსამართლისთვის უნდა გადაეცა ხელის მოსაწერად და დასამოწმებლად.

ამ გადაწყვეტილების აღსასრულებლად მეტისმეტად გაკვირვებული პატარა ოლივერი ოთახიდან გამოიყვანეს და სუფთა პერანგის ჩაცმა უბრძანეს. ბიჭისთვის უაღრესად უჩვეულო ეს ვარჯიში რომ ჩაამთავრა, მისტერ ბამბლმა საკუთარი ხელით მიუტანა ერთი ჯამი ფაფა და პურის სადღესასწაულო დღეებისთვის განკუთვნილი ულუფა - ორი უნცია და მეოთხედი.

ამ არნახული ამბის გამო ოლივერი გულამოსკვნით ატირდა, რადგან ჩათვალა, რომ საბჭომ მისთვის უცნობი, რომელიდაც სასარგებლო მიზნით, მისი მოკვლა გადაწყვიტა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამდენ საჭმელს არ მისცემდნენ.

- ნუ ტირი, ოლივერ, თორემ თვალები დაგიწითლდება. ჭამე ფაფა და მადლიერი იყავი! - უთხრა მისტერ ბამბლმა შთაგონებული და სადღესასწაულო იერით, - შეგირდად მიგაბარეს, ოლივერ.

- შეგირდად, სერ? - შეეკითხა აკანკალებული ბიძი.

- ჰო, ოლივერ, - თქვა მისტერ ბამბლმა, - კეთილ და სულგრძელ ჯენტლმენებს, რომლებიც მშობლების მაგივრობას გიწვევენ, რადგან ისინი არა გყავს, ოლივერ, სურთ, ხელობა ისწავლო და კაცი გამოხვიდე. ეს ყველაფერი

სამრევლოს სამი გირვანქა სტერლინგი და ათი შილინგი დაუჯდება! სამი გირვანქა სტერლინგი და ათი შილინგი, ოლივერ! - სამოცდაათი შილინგი - ას

ორმოცი ექვსპენსიანი! - და ეს ყველაფერი უმაქნისი ობლისთვის, რომლის შეყვარება არავის შეუძლია!

ამ საზეიმო ტირადის წარმოთქმის შემდეგ მისტერ ბამბლმა სულის მოსათქმელად შეისვენა, ხოლო საბრალო ოლივერი გულამოსკვნით ატირდა.

- გეყოფა, - თქვა მისტერ ბამბლმა იმით კმაყოფილმა, რომ მისმა მჭევრმეტყველებამ ასეთი შთაბეჭდილება მოახდინა, - გეყოფა, ოლივერ! თვალები ქურთუკის სახელოთი მოიწმინდე და ცრემლებს ფაფაში ნუ ჩაღვრი, ეს დიდი უგუნურება იქნება, ოლივერ.

მართლაც დიდი უგუნურება იქნებოდა, რადგან ფაფაში წყალი ისედაც საკმაოზე მეტი იყო.

სასამართლოსკენ მიმავალ გზაზე მისტერ ბამბლმა ოლივერს აუხსნა, რომ ახლა მას ბედნიერი სახე უნდა ჰქონდეს, და როდესაც მოხუცი ჯენტლმენი შეეკითხება, უნდა თუ არა შეგირდობა, უპასუხოს, რომ ძალიან უნდა. ოლივერი დაჰპირდა, რომ ყველაფერს შეასრულებდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, რაც მოელოდა, ამის შესახებ მისტერ ბამბლმა დელიკატურად მიანიშნა.

სასამართლოში მისვლისას მისტერ ბამბლმა ბიჭი პატარა ოთახში ჩაკეტა და დაიბარა, მისი დაბრუნებისთვის დაეცადა.

დაახლოებით ნახევარი საათი ელოდა ბიძი, გულს ბაგაბუგი გაჰქონდა. ამ დროის გასვლის შემდეგ კარი გაიღო და მისტერ ბამბლმა ოთახში თავი შეყო, ამჯერად სამკუთხა ქუდი აღარ ეხურა:

- ოლივერ, ძვირფასო, ჯენტლმენებთან უნდა წავიდეთ, - ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ მისტერ ბამბლმა პირეუში სახე მიიღო და ჩურჩულით დაამატა, - გახსოვდეს, რაც გითხარი, სამაგელო ბიჭო!

ოლივერმა გულუბრყვილოდ შეხედა მისტერ ბამბლს, რომელმაც ასე მოულოდნელად შეცვალა მიმართვის ტონი, მაგრამ ბიჭს ხმის ამოდება არ დასცალდა, რადგან მაშინვე შეიყვანეს გვერდითა ოთახში, რომლის კარი გამოღებული გახლდათ.

ეს იყო ფართო ოთახი დიდი ფანჯრით. საწერ მაგიდასთან ორი მოხუცი

ჯენტლმენი იჯდა. გაპუდრული პარიკები ეხურათ. ერთი გაზეთს კითხულობდა.

მეორეს კუს ბაცნისჩარჩოიანი სათვალე მოემარჯვებინა და მის წინ დადებულ ეტრატს ჩასცქეროდა. საწერი მაგიდის წინ ერთ მხარეს მისტერ ლიმკინსი იდგა,

მეორე მხარეს კი მისტერ ჰემფილდი - მას სახე, ასე თუ ისე, დაებანა; იქვე ორი-სამი ჩექმიანი და უხეში გარეგნობის მამაკაცი მიმოდიოდა.

სათვალისმომხედველად ეტრატის კითხვისას ჩათვლიდა და როდესაც მისტერ ბამბლმა ოლივერი მაგიდის წინ დააყენა, რამდენიმე წუთით სიჩუმე ჩამოვარდა.

- აი, თქვენო კეთილშობილებავ, ეს არის ბიჭი, - თქვა მისტერ ბამბლმა.

მოხუცმა ჯენტლმენმა, რომელიც გაზეთს კითხულობდა, ერთი წუთით თავი ასწია და მეორე მოხუც ჯენტლმენს სახელოზე მოქაჩა, ისიც გამოფხიზლდა.

- ოჰ, ეს ბიჭუნაა? - იკითხა მან.

- დიახ, სწორედ ესაა, სერ, - უპასუხა მისტერ ბამბლმა, - ძვირფასო, მოსამართლეს თავი დაუკარი.

აკანკალებულმა ოლივერმა მოსამართლეს მდაბლად დაუკრა თავი. ბავშვი მის პუდრით დაფარულ თმას ათვალისწინებდა და გაოგნებული ფიქრობდა, ნუთუ

საბჭოს ყველა წევრი ასეთი თეთრი თმით იბადებოდა და მერე საბჭოს წევრი ხდებოდა.

- აბა, - წარმოთქვა მოხუცმა ჯენტლმენმა, - იმედია, საკვამურის მწმენდავის ხელობა მოსწონს?

- ჭკუას კარგავს ამ საქმეზე, თქვენო კეთილშობილებავ, - უპასუხა მისტერ ბამბლმა და მალულად ოლივერს უჩქმიტა, რომ საწინააღმდეგო არაფერი ეთქვა.

- სურს საკვამურის მწმენდავი გახდეს, ასეა? - იკითხა მოხუცმა ჯენტლმენმა.

- ხვალ რომ რაიმე სხვა ხელობის შესწავლა დავაწყებინოთ, მაშინვე გაიქცევა, თქვენო კეთილშობილებავ, - უპასუხა ბამბლმა.

- და ეს კაცი, მისი ბატონი... თქვენ, სერ... მას კარგად მოეპყრობით... კარგად გამოკვებავთ... და ასე შემდეგ, ხომ ასეა, სერ? - შეეკითხა მოხუცი ჯენტლმენი.

- ხო ვთქვი, ჰოდა, ასე იქნება, - უკმეხად უპასუხა მისტერ ჰემფილდმა.

- უხეში მეტყველება გაქვთ, მეგობარო, მაგრამ პატიოსანი და პირდაპირი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებთ, - თქვა მოხუცმა ჯენტლმენმა და თავისი სათვალით დააკვირდა ოლივერის მოპოვების მსურველს.

ამ საზიზღარ არსებას სახეზე აღბეჭდოდა სისასტიკე, მაგრამ მოსამართლეს თვალი აკლდა და გონებრივადაც უკვე უკან, ბავშვობას უბრუნდებოდა, ამიტომ საეჭვოა, ის შეენიშნა, რასაც სხვები თვალის ერთი შევლებით ამჩნევდნენ.

- იმედია, ასეა, სერ, - საზიზღარი ღიმილით უპასუხა მისტერ ჰემფილდმა.

- ეჭვი არ მეპარება, ჩემო მეგობარო, - გამოეხმაურა მოხუცი ჯენტლმენი, სათვალე ცხვირზე მოირგო და სამელნის ძეგნაში მიიხედ-მოიხედა.

ეს ოლივერის ცხოვრებაში გადამწყვეტი მომენტი გახლდათ. სამელნე თავის ადგილზე რომ მდგარიყო, მოხუცი ჯენტლმენი მელანში კალამს დაასველებდა,

დოკუმენტს ხელს მოაწერდა და ოლივერს მაშინვე წაიყვანდნენ. მაგრამ რაკი სამელნე ცხვირწინ ედგა და ვერ შენიშნა, დაიწყო მთელი მაგიდის მოთვალისწინება და უეცრად პატარა ოლივერ ტვისტის შემინებულ და გაფითრებულ სახეს მოჰკრა თვალი, რომელიც ყურადღებას არ აქცევდა ბამბლის

გამაფრთხილებელ მზერასა და მუჯღუგუნებს, თავზარდაცემული, შიშით მისჩერებოდა მომავალი პატრონის საზარელ სახეს. ეს ყველაფერი ისეთი ცხადი

გახლდათ, რომ მოხუცმა ჯენტლმენმაც კი შეამჩნია.

მოხუცი ჯენტლმენი შეეცვნდა, კალამი დადო და მზერა ოლივერიდან მისტერ ლიმკინსზე გადაიტანა, რომელმაც თამბაქოს მწიკვი აიღო, რათა ერვენებინა, როგორი უდარდელი და თავდაჯერებულია.

- ბიჭუნა! - თქვა მოხუცმა ჯენტლმენმა და მაგიდაზე გადაიხარა.

ამ სიტყვების გაგონებაზე ოლივერი შეხტა. მას უნდა ეპატიოს ამგვარი საქციელი, რადგან ხმა ალერსიანი იყო, უცხო ხმები კი ადამიანებს აშინებს. ბიჭი

მთელი სხეულით აკანკალდა და თვალეები ცრემლებით აევსო.

- ბიჭუნა, - გაიმეორა მოხუცმა ჯენტლმენმა, - გაფითრებული ხარ და კანკალებ. რაშია საქმე?

- ბიყს მოშორდით, ბიდლო... - წარმოთქვა მეორე მოსამართლემ, რომელსაც

გაზეთი გვერდზე გადაედო და დაინტერესებული წინ გადმოხრილიყო, - ახლა კი,

ბიჭუნა, აგვიხსენი, რაშია საქმე. ნუ გეშინია.

ოლივერი მუხლებზე დაეცა, ხელები გადააჭდო და მოსამართლეებს შეევედრა, უკან, იმ ბნელ ოთახში წაეყვანათ და დაემწყვდიათ... დაე, აშიმშილონ... დაე, სცემონ... თუნდაც მოკლან, როგორც მოესურვებათ, ოღონდ ამ

საზარელ ადამიანს ნუ გააყოლებენ.

- აი, თურმე რაშია საქმე! - წამოიძახა მისტერ ბამბლმა, ხელები საზეიმოდ აღმართა და თვალეებიც ჭერისკენ ალაპყრო, - აი, თურმე რა! ყველა ეშმაკი და

სამაგელი ობლებიდან, ვინც კი შემხვედრია, შენ, ოლივერ, ყველაზე სინდის-ნამუსგარეცხილი ხარ.

- ენა დაიმოკლეთ, ბიდლო, - თქვა მეორე მოსამართლემ, როდესაც მისტერ ბამბლმა თავისი ეს რთული ეპითეტი წარმოთქვა.

- მაპატიეთ, თქვენო კეთილშობილებავ, - უპასუხა მისტერ ბამბლმა, რომელიც საკუთარ ყურებს არ უჯერებდა, - თქვენმა კეთილშობილებამ მე მომმართა?

- ჰო, ენა დაიმოკლეთ.

გაოგნებული მისტერ ბამბლი გაშეშდა. ბიდლს უბრძანეს, ენა დაიმოკლოს! ეს ხომ ზნეობრივი რევოლუციაა, მეორედ მოსვლა! მოხუცმა ჯენტლმენმა კუს ბაკნისჩარჩოიანი სათვალით კოლეგას გადახედა. მან მრავალმნიშვნელოვნად დაუქნია თავი.

- ამ ხელშეკრულების დამოწმებაზე უარს ვამბობთ, - განაცხადა მოხუცმა ჯენტლმენმა და ეტრატი მოისროლა.

- ვი... ვიმედოვნებ, - ენის ბორძიკით წამოიწყო მისტერ ლიმკინსმა, - იმედია, ბავშვის ჩვენებაზე დაყრდნობით, რომელიც არაფრითაა გამყარებული, მოსამართლეები ისეთ დასკვნას არ გამოიტანენ, რომ სამრევლოა დამნაშავე რაიმე უღირს ქმედებაში.

- მოსამართლეები არ არიან ვალდებული, ამ საკითხზე რაიმე დასკვნა გამოიტანონ, - მკვახედ მიუგო მეორე ჯენტლმენმა, - ბიჭი უკან, შრომის სახლში წაიყვანეთ და წესიერად მოეპყარით, ჩანს, რომ ეს სჭირდება.

იმავე სადამოს თეთრყილეტიანმა ჯენტლმენმა სრული კატეგორიულობით განაცხადა, რომ ოლივერს არა მხოლოდ ჩამოახრჩობდნენ, არამედ სახრჩობელაზე ასვლამდე შაყის კვრითაც დასჯიდნენ. მისტერ ბამბლმა პირქუშად და იდუმალად გადააქნია თავი და განაცხადა, რომ სურს, კეთილი გახდეს; რასაც მაშინვე უპასუხა მისტერ ჰემფილდმა, რომ ჯობდა, გონს მოსულიყო. მართალია, ის ყველაფერში ეთანხმებოდა სამრევლოს ბიდლს, მაგრამ ამ შემთხვევაში მაინც არ დაუყირა მხარი.

მეორე დილით მრევლს კიდევ ერთხელ აცნობეს, რომ ოლივერ ტვისტი ქირავდება და ნებისმიერი, ვინც ხუთ გირვანქა სტერლინგს გადაიხდის, მისი პატრონი გახდება.

თავი 4 ოლივერს სხვა ადგილი შესთავაზეს დაის

პირველად გადის ცხოვრების ასპარეზზე

თუკი ახალგაზრდა კაცს არისტოკრატიული ოჯახიდან ვერ უზრუნველყოფენ ხელსაყრელი თანამდებობით ანდერძის ძალით, ჩუქების ან ნასყიდობის სიგელით, მიღებულია სანაოსნოდ მისი გაგზავნა. ასეთი ბრძნული და მხსნელი

მაგალითის მიბაძვით, საბჭოს წევრებმა სჯა-ბაასი გააბეს, მართებული ხომ არ იქნებოდა, ოლივერ ტვისტი რომელიმე პაწია სავაჭრო გემზე გაემწესებინათ, რომელიც შესანიშნავი, ჯანმრთელობისთვის დამდუშაველი პორტისკენ მიემგზავრებოდა. ისე ჩანდა, თითქოს ეს იყო საუკეთესო გამოსავალი მათ შორის, რაც შეიძლებოდა მისთვის შეეთავაზებინათ: როგორდაც, სადილობის შემდეგ ან სულიერი აღტყინების ჟამს შკიპერი გაროზგავდა და ცემით სიკვდილამდე მიიყვანდა, ან კიდევ თავის ქალას რკინის ძალაყინით გაუპობდა;

როგორც ბევრისთვის არის ცნობილი, როგორც ერთი, ისე მეორე, ამ ყაიდის ვაჟბატონების ყოველდღიური და საყვარელი გასართობია. საბჭოს წევრები რაც უფრო დიდხანს განიხილავდნენ მოცემულ შემთხვევას ხსენებული თვალსაზრისით, ჩაფიქრებული გეგმის მით უფრო მეტი უპირატესობა იშლებოდა

მათ თვალწინ. ისინიც მივიდნენ გადაწყვეტილებამდე, რომ ერთადერთი საშუალება ოლივერისთვის სიკეთის ქმნისა, იყო მისი სანაოსნოდ გადაუდებლად გამგზავრება.

მისტერ ბამბლი გაგზავნეს წინასწარ საჭირო ცნობების გასაგებად და ისეთი კაპიტნის მოსამძებნად, რომელსაც საკუთარი თავის ანაბარა დარჩენილი კაიუტ-იუნგა ესაჭიროებოდა. მისტერ ბამბლიც მალე დაბრუნდა და ის იყო, საბჭოს წინაშე თავისი მისიის თაობაზე ანგარიშით უნდა წარმდგარიყო, რომ მოულოდნელად ჭიშკართან შეხვდა მისტერ საუერბერის, სამრევლოს მეკუბოეს.

მისტერ საუერბერი ტანმაღალი, ხმელი, ძვალმსხვილი კაცი იყო. ეცვა გაცვეთილი შავი კოსტიუმი, ასევე შავი ბამბის დაკემსილი წინდები და იმავე ფერის მაღალყელიანი ფეხსაცმელი. მისი სახე ბუნებით არ იყო განკუთვნილი ღიმილისთვის, მაგრამ საზოგადოდ, პროფესიული მხიარულება მისთვის უცხო სრულებით არ გახლდათ. მოქნილი სიარული იცოდა, ხოლო მისი სახე გულწრფელ სიამოვნებას გამოხატავდა, როდესაც მისტერ ბამბლს მიუახლოვდა და გულმხურვალედ ჩამოართვა ხელი.

- ორ ქალს ზომა ავუღე, რომლებიც ამ ღამით გარდაიცვალნენ, მისტერ ბამბ4ლ,

- თქვა მეკუბოემ.

- საკმაო ქონებას დააგროვებთ, მისტერ საუერბერი, - გამოეხმაურა ბიდლი, თან დიდი და საჩვენებელი თითი მეკუბოსის მიწოდებულ სათუთუნეში ჩაყო; ეს

იყო ოსტატურად შესრულებული კუბოს პატარა მოდელი, - გარწმუნებთ, საკმაო

ქონებას დააგროვებთ, მისტერ საუერბერი! - გაიმეორა ბატონმა ბამბლმა და მეკუბოეს მხარზე ხელჯოხი მეგობრულად დაუტყაპუნა.

- ასე ფიქრობთ? - ისეთი ტონით თქვა მეკუბოემ, თითქოს თან ეთანხმებოდა და თან ეწინააღმდეგებოდა მოვლენათა მსგავს განვითარებას, - სამრევლოს საბჭომ ძალზე დაბალი ფასი დაადო, მისტერ ბამბლ.

- კუბოებიც არცთუ დიდია... - უპასუხა ბიდლმა, თან თავს უფლება მისცა, არ

გაეღიმა იმაზე მეტად, ვიდრე ეს მისნაირ მნიშვნელოვანი თანამდებობის პირს შეეფერებოდა.

მისტერ საუერბერი ამან ძალზე გაახალისა, რაც სავსებით გასაგები იყო, და კარგა ხანს თავშეუკავებლად იცინოდა.

- თქმა არ უნდა, მისტერ ბამბლ, - თქვა ბოლოს, - შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ მას შემდეგ, რაც კვების ახალი სისტემა შემოვიდა, კუბოები ადრინდელთან შედარებით დავიწროვდა და დადაბლდა. მაგრამ ხომ უნდა მივიღოთ რაღაც მოგება, მისტერ ბამბლ! გამომშრალი, გამოყვანილი ხე იაფი სრულებითაც არ ღირს, სერ, და რკინის სახელურები კი ბირმინგემიდან არხის

გავლით იგზავნება.

- ეს კი ასეა, - თქვა მისტერ ბამბლმა, - ყოველი ხელობა ხარჯს ითხოვს.
რა

თქმა უნდა, პატიოსანი მოგების მიღება ნებადართულია.

- ცხადია, - დაადასტურა მეკუბოემ, - შეიძლება რომელიმე პუნქტში
გასავალი
მეტი იყოს, მაგრამ რას იზამ, ბოლოს და ბოლოს, ჩემსას მაინც მივიღებ,
ხი-ხი-ხი!

- სწორედ ასეა, - თქვა მისტერ ბამბლმა.

- თუმცა, უნდა ვთქვა, - განაგრძობდა მეკუბოე და ისევ იმ აზრს
დაუბრუნდა,
რომელიც ბიდლმა გააწყვეტინა, - თუმცა, უნდა ვთქვა, მისტერ ბამბლ, რომ
არის

არცთუ უმნიშვნელო დაბრკოლება: ისე ხდება, რომ უფრო ხშირად
ფერხორციანი

ადამიანები კვდებიან. ვინც მეტად უზრუნველყოფილი იყვნენ და მრავალი
წელი

გადასახადებს იხდიდნენ, შრომის სახლებში მოხვედრილები პირველად ისინი
კვდებიან. და ნება მიბოძეთ, გითხრათ, მისტერ ბამბლ, სამი-ოთხი დუიმი,
ნორმის ზევით, სახუმარო დანაკარგი არაა, განსაკუთრებით, თუ ოჯახის
შენახვა

გიწევთ, სერ.

მისტერ საუერბერიმ ეს სიტყვები სრულიად მისატყვებელი რისხვით
წარმოთქვა, როგორც განაწყენებულმა ადამიანმა, და რამდენადაც მისტერ
ბამბლმა იგრძნო, ამ სიტყვებში დაფარული იყო რაღაც, რაც სამრევლოსთვის
სამრახისი იქნებოდა, ამიტომ როგორც ჯენტლმენმა, საჭიროდ ჩათვალა,
საუბარი

სხვა თემაზე გადაეტანა.

- სხვათა შორის, - თქვა მისტერ ბამბლმა, - ხომ არ იცით ვინმე, ვისაც
ბიჭი

სჭირდება? სამრევლოს შეგირდი, რომელიც დღევანდელ დღეს ტვირთადაა
ქცეული, მე ვიტყვოდი, დოლაბია მრევლის კისერზე... ხელსაყრელი
პირობებია,

ბატონო საუერბერი, ხელსაყრელი პირობები.

ეს თქვა და მისტერ ბამბლმა ხელჯოხი შეახო განცხადებას, რომელიც მის
თავზემით კარზე ეკიდა და სამჯერ გამოკვეთილად დაჰკრა სიტყვებს - ხუთი
გირვანქა სტერლინგი - რომელიც დაბეჭდილი იყო რომაული შრიფტის
გიგანტური

ასოებით.

- ოჰ, ღმერთო ჩემო! - წამოიძახა მეკუბოემ და ხელი ჩავლო მისტერ
ბამბლის

წამოსასხამის ოქროს სირმით შემოკერილ საყელოს გადანაკეცს, - სწორედაც
ამის შესახებ მსურდა თქვენთან გასაუბრება! იცით... ღმერთო ჩემო, რა
ლამაზი

ლილია, მისტერ ბამბლ, აქამდე არც კი მიმიქცევია მისთვის ყურადღება.

- დიახ, მგონია, ურიგო არ არის, - ჩაიბურტყუნა ბიდლმა, თან ამაყად შეათვალიერა თავისი წამოსასხამის დიდი ბრინჯაოსფერი ღილები, - შტამპი იგივეა, როგორც სამრევლო ბეჭედზე: ავადმყოფისა და უძღურის განმკურნებელი კეთილი სამარიტელი. სამრევლო საბჭომ მიბოძა ეს წამოსასხამი ახალ წელს, მისტერ საუერბერი. მახსოვს, პირველად მაშინ ჩავიცვი, როდესაც დავესწარი იმ გაკოტრებული მოვაცრის საქმის გამოძიებას, რომელიც შუადამისას სადარბაზოსთან გარდაიცვალა.

- მახსენდება, - თქვა მეკუბოემ, - მსაჯულებმა მიიღეს გადაწყვეტილება: „გარდაიცვალა სიცივისგან და სიცოცხლის გაგრძელებისთვის აუცილებელი პირობების არარსებობის გამო“, სიმართლეს ვამბობ, არა?

მისტერ ბამბლმა თანხმობის ნიშნად თავი დააქნია.

- და მსაჯულებმა თითქოს გამოიტანეს სპეციალური ვერდიქტი, - განაგრძო მეკუბოემ, - რომ თუკი ლატაკებზე მეთვალყურეობის მოხელეს, ბიდლს...

- სისულელეა! მონაჩმახი! - გააწყვეტინა ბიდლმა, - საბჭოს რომ ყური დაეგდო იმ სიბრიყვეებისთვის, რასაც ამბობენ უვიცი მსაჯულები, ყელამდე იქნებოდა საქმეებში ჩაფლული.

- ჭყეშმარიტი სიმართლეა, - დაეთანხმა მეკუბოე, - ყელამდე.

- მსაჯულები, - განაგრძობდა მისტერ ბამბლი, თან ხელჯოხს მაგრად უჭერდა თითებს, რადგან ასეთი ჩვევა ჰქონდა, როცა ბრაზობდა, - მსაჯულები გაუნათლებელი, უხამსი, საცოდავი არამზადები არიან!

- მართალია, - დაუმოწმა მეკუბოემ.

- ფილოსოფიასა და პოლიტიკურ ეკონომიაში მათ, აი, ამდენი გაეგებათ! - თქვა ბიდლმა და ზიზღით გაატკაცუნა თითები.

- სწორედაც რომ ასეა, - ისევ დაამოწმა მეკუბოემ.

- მძულს ისინი! - თქვა ბიდლმა და მთლად აჭარხლდა.

- მეც, - დაურთო მეკუბოემ.

- მხოლოდ ისღა მინდა, რომ ეს დამოუკიდებელი მსაჯულები მოხვდნენ ჩვენთან სახლში ერთი-ორი კვირით, - თქვა ბიდლმა, - საბჭოს შემოდებული განაწესი და წესრიგი მათ სწრაფად დაამშვიდებდა.

- თავი დავანებოთ მსაჯულებს, - თქვა მეკუბოემ.

ამ სიტყვებთან ერთად მან კეთილად გაიღიმა, რათა მოეთოკა აღშფოთებული სამრევლო მოხელის მრისხანება, რომელიც თანდათან მძლავრობდა.

მისტერ ბამბლმა სამკუთხა ქუდი მოიხადა და მისი სიღრმიდან ცხვირსახოცი ამოაძვრინა. გაბოროტებულს შუბლი ოფლმა დაუცვარა. მოიწმინდა და ისევ დაიხურა სამკუთხა ქუდი, მერე მეკუბოეს მიუტრიალდა და უფრო დამშვიდებულმა თქვა:

- ეს კი, მაგრამ ბიჭისთვის რა გავაკეთოთ?

- ოჰ, რომ იცოდეთ, მისტერ ბამბლ, არც ისე ცოტა გადასახადს ვიხდი ლატაკებისთვის.

- აჰა! - თქვა მისტერ ბამბლმა, - მერე რა?

- აი, რა, - უპასუხა მეკუბოემ, - ვიფიქრე, თუკი ამდენს ვიხდი ლატაკებისთვის, მაშინ, ასეც უნდა იყოს, მაქვს უფლება, მათგან მივიღო რაც შეიძლება მეტი, მისტერ ბამბლ, და... და... ვფიქრობ, თავად წავიყვან ამ ბიჭს.

მისტერ ბამბლმა მეკუბოეს ხელი სტაცა და სამრევლო საბყოს შენობისკენ წაიყვანა. მისტერ საუერბერის სულ ხუთი წუთი დასჭირდა საბჭოს წევრებთან მოლაპარაკებისთვის და გადაწყდა, რომ ოლივერი მასთან იმავე ღამეს „გამოსაცდელად“ წავიდოდა. სამრევლო შეგირდისთვის ეს შემდეგს ნიშნავდა: თუკი მეპატრონე ხანმოკლე საგამოცდლო პერიოდის შემდეგ დარწმუნდება, რომ შეუძლია, ბიჭის კვებაზე არცთუ დიდი ზრუნვის გამოჩენის კვალდაკვალ, აიძულოს იგი, გვარიანად იშრომოს, ის შეგირდს განსაზღვრული ვადით დაიტოვებს და თავისი შეხედულებისამებრ დაასაქმებს.

როდესაც პატარა ოლივერი იმავე საღამოს მიიყვანეს „ჯენტლმენებთან“ და განუცხადეს, რომ დღეიდანვე მეკუბოს სამსახურში უნდა ჩადგეს და თუკი მოეპოვებოდა თავის მდგომარეობაზე წუწუნის ატეხა და კიდევ ოდესმე დაბრუნდება სამრევლოში, მას სანაოსნოდ გაგზავნიან, სადაც თავს გაუტეხენ,

ოლივერს მღელვარება დიდად არ დასტყობია, ამიტომ ყველამ ერთხმად აღიარა

იგი მოურჯულებელ ყმაწვილ არამზადად და მისტერ ბამბლს მეკუბოესთან ბიჭის დაუყოვნებლივ წაყვანა უბრძანეს.

სავსებით ბუნებრივია, რომ საბჭოს წევრებს სხვაზე მეტად უნდა გამოეხატათ უდიდესი და სათნო გაკვირვება თუ თავზარდაცემა ნებისმიერი ადამიანისგან უგრძნობლობის ნიშანწყალის მცირეოდენი გამოხატვისთანავეც კი, მაგრამ ამ შემთხვევაში ისინი რამდენადმე ცდებოდნენ. საქმე ის არის, რომ ოლივერი სრულიად არ იყო უგრძნობელი; მეტიც, იგი გამოირჩეოდა კიდევ უზომო მგრძნობელობით, მაგრამ ცუდი მოპყრობის გამო მისი იმჟამინდელი მდგომარეობა ახლოს იმასთან, რომ სიცოცხლის ბოლომდე პირქუში და ჩლუნგი დარჩენილიყო. სრული მდუმარებით მიიღო ბიყმა ცნობა თავისი შემდგომი ბედის შესახებ. მოკრიბა თავისი მწირი ქონება - მისი წაღება არცთუ

ძნელი იყო, რადგან შესახვევი ქალაქის ნახევარი ფუტის სიგრძის, ნახევარი ფუტის სიგანისა და სამი ფუტის სისქის პაკეტში ეტეოდა. ოლივერმა ქუდი თვალებზე ჩამოიფხატა, ჩაებლაუჭა მისტერ ბამბლის წამოსასხამის კალთას და ხსენებულ თანამდებობის პირთან ერთად გაეშურა ახალი ტანჯვა-წამების ადგილისკენ.

თავდაპირველად, მისტერ ბამბლს ოლივერი ისე მიჰყავდა, რომ ყურადღებასაც არ აქცევდა და არც შენიშვნა მიუცია მისთვის, რადგან თავი მაღლა აეწია, როგორც ბიდლს შეეფერება; ქარიანი ამინდი იყო, პატარა ოლივერს სრულებით ფარავდა მისტერ ბამბლის წამოსასხამის კალთები,

რომლებიც ფრიალებდა და მთელი სილამაზით აშიშვლებდა ყვითელი
ჟილეტის

გადანაკვეცებს, ასევე, ყავისფერი პლუშის მოკლე შარვალს. მაგრამ როგორც კი
მიუახლოვდა დანიშნულების ადგილს, მისტერ ბამბლმა საჭიროდ ჩათვალა,
დაეხედა და დარწმუნებულიყო, რომ ახალი ბატონის წინაშე წარსადგომად
ბიცი

სათანადოდ გამოიყურებოდა. იგი ასეც მოიქცა და განსაკუთრებული იერი
მოირგო, მფარველი და მოწყალე.

-- ოლივერ! - თქვა მისტერ ბამბლმა.

- დიახ, სერ? - ჩუმი, აკანკალებული ხმით გამოეპასუხა ოლივერი.

- ქუდი შუბლზე აიწიეთ, სერ, და თავი მაღლა ასწიეთ!

ოლივერმა ბრძანება მყისვე შეასრულა და თავისუფალი ხელი სწრაფად
ჩამოისვა თვალებზე, მაგრამ როდესაც ისინი მაღლა ადაპყრო და გამცილებელს
შეხედა, მათში ცრემლები კიაფობდნენ. მისტერ ბამბლმა მკაცრად შეხედა
ოლივერს, მაგრამ ბიჭს ცრემლი ლოყაზე ჩამოუგორდა. მას მოჰყვა კიდეც
ერთი

და მერე კიდეც ერთი. ბავშვმა წარმოუდგენელი ძალისხმევით სცადა თავს
მორეოდა, მაგრამ ცრემლებს ვერაფერი მოუხერხა. ოლივერმა მისტერ ბამბლს
ხელი გამოსტაცა, ორივე ხელი სახეზე აიფარა და ატირდა, ცრემლები კი
ნიკაპსა

და გამხდარ თითებს შორის ჟონავდა.

- ასე, არა? - წამოიძახა მისტერ ბამბლმა, შეჩერდა და თავის აღზრდილს
ავი

თვალებით შეხედა, - ასე, არა? ყველაზე უმადურ და გაფუჭებულ ბავშვთა
შორის,

როგორებიც კი შემხვედრია, შენ, ოლივერ, ყველაზე...

- არა, არა, სერ! - სლუკუნით წამოიძახა ოლივერმა, თან იმ ხელს
ებლაუჭებოდა, რომელსაც კარგად ნაცნობი ხელჯოხი ეჭირა, - არა, არა,
სერ!

გამოვსწორდები, მართლა გამოვსწორდები, სერ! ჯერ კიდეც ძალიან პატარა
ვარ,

სერ, და ისეთი... ისეთი...

- ისეთი, როგორი? - იკითხა გაკვირვებულმა მისტერ ბამბლმა.

- ისეთი მიუსაფარი, სერ, ძალიან მიუსაფარი! - წამოიძახა ბავშვმა, -
ყველას

ვძულვარ. ოჰ, სერ, გთხოვთ, ნუ გამიჯავრდებით!

ბიჭმა ხელი გულთან მიიტანა და გულმართალი მწუხარებით გამოწვეული
ცრემლიანი თვალებით სახეში შეაცქერდა თანამგზავრს.

მისტერ ბამბლი ოდნავი გაკვირვებით შეხვდა ოლივერის უმწეო და
საწყალობელ შემოხედვას, სამ-ოთხჯერ ჩახრინწული ხმით ჩაახველა, რაღაც
წაიბურტყუნა „მომამბეზრებელ ხველაზე“, ოლივერს ცრემლების შემრობა და
კარგად მოქცევა უბრძანა, შემდეგ ისევ ჩასჭიდა ბიჭს ხელი და ჩუმად
განაგრძო
გზა.

როდესაც მისტერ ბამბლი შევიდა, მეკუბოეს, რომელმაც ის-ის იყო, ფარდულის დარაბები მიხურა, რაღაც ჩანაწერები შეჰქონდა შემოსავალ-გასავლის წიგნში სანთლის იქაურობისთვის შესაფერის უღიმღამო შუქზე.

- ეჰე! - თქვა მეკუბოემ, რომელიც წიგნს ისე მოსცილდა, სიტყვის ჩაწერა არ

დაუსრულებია, - ეს თქვენ ბრძანდებით, ბამბლ?!

- გახლავართ, მისტერ საუერბერი, - უპასუხა ბიდლმა, - აი, ასე! ბიჭი მოგიყვანეთ.

ოლივერმა თავი დაუკრა მეკუბოეს.

- მაშ, ესაა ის ბიჭი? - იკითხა მეკუბოემ, თან სანთელი თავს ზემოთ ასწია, რომ უკეთესად დაენახა ოლივერი, - მისის საუერბერი, გეთაყვა, ერთი წუთით

აქეთ მობრძანდი, ჩემო ძვირფასო.

დახლის უკან მდებარე პატარა ოთახიდან მისის საუერბერი შემოვიდა. ეს იყო საშუალო სიმაღლის, გამხდარი, ხმელი ქალი გესლიანი სახით.

- ჩემო კარგო, - მოკრძალებით თქვა მისტერ საუერბერიმ, - ეს ის ყმაწვილია

შრომის სახლიდან, ვისზედაც გელაპარაკე.

ოლივერმა ისევ დაუკრა თავი.

-- ოჰ, ღმერთო ჩემო! - წამოიძახა მეკუბოს ცოლმა, - რა პატარაა!

- დიახ, ნამდვილად პატარაა სიმაღლით, - დაეთანხმა მისტერ ბამბლი, თან ისე შესცქეროდა ოლივერს, თითქოს ბიჭის დანაშაული იყო, რომ ვერ გაიზარდა, -

მართლაც პატარაა. ამის უარყოფა შეუძლებელია. მაგრამ გაიზრდება, მისის საუერბერი, გაიზრდება.

- რა თქმა უნდა! - გაღიზიანებით გამოეპასუხა ეს ლედი, - გაიზრდება ჩვენი

პურ-სანოვაგით, ვერავითარ მოგებას ვერ ვხედავ სამრევლო ბავშვებისგან: მათი

შენახვა უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე ისინი ღირან. მაგრამ მამაკაცებს მუდამ ჰგონიათ, რომ ყველაფერი ჩვენზე უკეთ იციან... აბა, გასწი ქვევით, ძვლების ტომარავ!

ამ სიტყვებთან ერთად მეკუბოს ცოლმა გააღო გვერდითა კარი და ოლივერი ხელის კვრით მიაგდო დაქანებული კიბისკენ, რომელიც მიემართებოდა ქვით ნაგები და სამზარეულოდ წოდებული ნესტიანი და ბნელი სარდაფისკენ, რომელსაც, თავის მხრივ, ნახშირსაყრელის შესასვლელის ფუნქციაც ეკისრებოდა; აქ იჯდა გოგო, ჭუჭყიანი ტანისამოსით, მოღრეცილი ქოშებითა და

მატყლის ლურჯი, დახვრეტილი წინდებით.

- შარლოტ, - თქვა მისის საუერბერიმ, რომელიც ოლივერს კვალდაკვალ

ჩაჰყვა, - ამ ბიჭს ცივი ხორცის ნარჩენები მიეცი, რომელიც ტრიპისთვის იყო გადადებული. ტრიპი დილიდან არ მოსულა შინ და უამისოდაც გაძლებს. იმედია, ბიჭი არ არის იმდენად წუნია, რომ უარი თქვას ხორცზე... ასე არაა, ბიჭო?

ოლივერს თვალები აუელვარდა სიტყვა „ხორცის“ გაგონებაზე, ჭამის სურვილმა მთელი სხეული აუკანკალა და ეს იყო მისი საპასუხო თანხმობა, რის

შემდეგაც ოლივერის წინ ნარჩენებით სავსე თეფში დადგეს.

ძალიან მსურს, რომელიმე გამომძიარმა ფილოსოფოსმა, რომლის მუცელშიც ხორცი და ღვინო ღვარძლად იქცევა, ვისი სისხლიც ყინულივით ცივია, ხოლო

გული რკინისა აქვს, - ძალიან მსურს, მან დაინახოს, როგორ ეცა ოლივერი მისთვის გამორჩეულ ხორაგეულობას, რომელზედაც ძალიან კი უარს იტყოდა!

მსურდა, იგი გამხდარიყო მოწმე იმისა, როგორი სიხარბით გლეჯდა ხორცის ნაჭრებს საშინელი შიმშილისგან გაწამებული ოლივერი. კიდევ უფრო მეტად მსურს დავინახო, როგორი სიამოვნებით შეჭამს ასეთივე კერძს იგივე ფილოსოფოსი.

- რა ხდება? - იკითხა მეკუბოსის ცოლმა, როდესაც ოლივერმა მოათავა ვახშმობა; ქალი მდუმარე თავზარდაცემით თვალყურს ადევნებდა ბიჭს, თან შემოფოთებით იგუმანა, როგორი ექნებოდა ბავშვს მადა, - დაასრულე?

როცა ოლივერმა სიახლოვეს სხვა საკვები ვერ აღმოაჩინა, თანხმობის ნიშნად თავი დააქნია.

- ჰოდა, უკან მომეყვი, - უთხრა მისის საურბერიმ, აიღო ქჭუყყიანი, მკრთალად მოკიაფე ლამპა და კიბეს აუყვა, - შენი საწოლი დახლქვეშაა. იმედია, შეგიძლია კუბოებს შორის ძილი. თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს, შეგიძლია თუ არა, იმიტომ, რომ შენი დასაძინებელი ადგილი სხვაგან არსადაა.

იარე! მთელი ღამე აქ ხომ არ დავრჩები!

ოლივერს აღარ დაუხანებია და მორჩილად მიჰყვა თავის ახალ დიასახლისს. თავი 5 ოლივერი „კოლეგებს“ ეცნობა; :დაკრძალვაზე პირველად მოხვედრილს თავისიპატრონის ხელობაზე უსიამოვნო დასკვნა გამოაქვს

მეკუბოსის ფარდულში მარტოდ დარჩენილმა ოლივერმა ლამპა დაზგაზე დადგა და გაუბედავად მიმოიხედა ირგვლივ შიშისა და რიდის გრძნობით, რასაც

ადვილად გაიგებენ მასზე გაცილებით უფროსი ადამიანები. დაუმთავრებელი კუბო, რომელიც ფარდულის შუაგულში იდგა, იმდენად უსიცოცხლო და ავის მომასწავებელი ჩანდა, რომ ოლივერს ზურგზე სიცივემ დაურბინა, როდესაც ამ

პირქუშ საგანს ათვალთვლებდა: ბიჭს ეჩვენებოდა, რომ რომელიღაც საშინელი ფიგურა ნელ-ნელა წამოსწევდა თავს და ოლივერი შიშისგან ჭკუაზე შეიშლებოდა. კედლის გასწვრივ სანიმუშო წესრიგით იყო ჩამოლაგებული კუბოებისთვის დამზადებული თელის ფიცრები; მქრქალ შუქზე ჯიბეებში ხელებჩაწყობილ მოკუზულ მოჩვენებებს წააგავდნენ. ფირფიტები კუბოებისთვის,

ბურბუმელა, ბრჭყვიალათავიანი ლურსმნები და შავი ქსოვილის ნაკუწები

იატაკზე ეყარა, ხოლო დახლსუკანა კედელს ამშვენებდა ნახატი, რომელზედაც ძალზე ცოცხლად იყო გამოხატული ორი უტყვი მოზარე, გახამებული ჰალსტუხებით, რომლებიც პოსტზე იდგნენ სახლის კართან, ოთხი ყორანა ცხენშეკაზმული კატაფალკი რომ უნდა მისდგომოდა. ფარდულში დახუთული და

ცხელი ჰაერი იდგა. თითქოს კუბოს სუნით იყო გაჟღენთილი, ადგილი კი დახლს

უკან, სადაც ლეიბი დაუგდეს, საფლავს წააგავდა.

მხოლოდ ეს ვითარება არ თრგუნავდა ოლივერს. იგი სრულიად მარტო იყო უცნობ ადგილას, ის კი ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ მიუსაფრად და უბედურად შეიძლება იგრძნოს თავი თითოეულმა ჩვენგანმა ასეთ ვითარებაში. ბიჭს არავინ ჰყავდა ისეთი, ვინც ეყვარებოდა ან ვისაც ეყვარებოდა. არ ჰქონდა

ვინმესთან განშორების გამო სინანულის განცდა; არავინ იყო ძვირფასი, ახლობელი პირი, რომლის ნახვასაც მტკიცებულად დაემურებოდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, გულზე სიმძიმე აწვა; და როდესაც თავის ვიწრო სარეცელზე

ამვრა, მოუნდა, ეს სარეცელი კუბოდ ქცეულიყო, თავად კი, უშფოთველად და

მოუბრუნებლად მძინარე, დაემარხათ სასაფლაოზე, სადაც მის თავზემთ იშრიალებდა მაღალი ბალახი და დაუნანავებდა ძველი ზარის ხშირი რეკვა.

დილით ოლივერი გამოაღვიძა ფარდულის კარზე ფეხების ხმამაღალმა ბრაზუნმა; ვიდრე მოასწრო და ტანთ სამოსი როგორდაც მოიცვა, გაშმაგებული რახარუხი ბარე ოცდახუთჯერ განმეორდა. როდესაც ბიჭმა კარის ჯაჭვის შეხსნა

დაიწყო, კარზე მობრაზუნე ფეხები დამშვიდდნენ და ხმაც გაისმა:

- გააღეთ, გესმით! - ყვიროდა ხმა, რომელიც იმავე პირს ეკუთვნოდა, რომელსაც ფეხები.

- ახლავე გავაღებ, სერ, - თქვა ოლივერმა, თან ჯაჭვი შეხსნა და გასაღები გადაატრიალა.

- როგორც ჩანს, შენ ის ახალი ბიყი ხარ, არა? - იკითხა ხმამ გასაღების ყჭრილიდან.

- დიახ, სერ, - უპასუხა ოლივერმა.

- რამდენი წლის ხარ? - დაინტერესდა ხმა.

- ათის, სერ, - ისევ უპასუხა ოლივერმა.

- ერთს კარგად შემოგცხებ, როგორც კი შემოვალ, - აცნობა ხმამ, - დაიმახსოვრე ჩემი სიტყვა, სამრევლოს ლეკვო!

ასეთი თავაზიანი დანაპირების შემდეგ სტვენა გაისმა. ოლივერს ძალზე ხშირად უწვნივია ის, რასაც სულ ახლახან ნახსენები სიტყვა აღნიშნავდა, ამდენად, ოდნავადაც არ შეჰპარვია ეყვი, რომ ის, ვისაც ხმა ეკუთვნოდა, კეთილსინდისიერად აასრულებდა თავის მუქარას. აკანკალებული ხელით გასწია ურდული და კარი გააღო. კიდევ ორიოდე წამი ოლივერი ქუჩას ათვალეირებდა, გაიხედა მარჯვნივ, მერე მარცხნივ, გახედა მოპირდაპირე

ტროტუარს, რადგანაც ჩათვალა, რომ უცნობი, რომელიც გასაღების
ჭრილიდან
ესაუბრებოდა, გასათბობად ქუჩაში სეირნობდა. საქმე ის იყო, რომ ოლივერი
მის

წინ ვერავის ხედავდა, გარდა უპატრონი ბავშვთა სახლის ყოფილი
აღსაზრდელისა. მოზრდილი ყმაწვილი სახლისწინა ტუმბაზე იჯდა და
კარაქიანი

პურის ნატეხს შეექცეოდა, რომელსაც საკუთარი პირის სიდიდის ნაჭრებად
დასაკეცი დანით ჭრიდა და დიდი მოხერხებულობით ყლაპავდა.

- მაპატიეთ, სერ, - თქვა ოლივერმა, როცა დარწმუნდა, რომ სხვა არავინ
ჩანდა, - თქვენ აკაკუნებდით?

- ფეხებს ვუბრაგუნებდი, - უპასუხა უპატრონო ბავშვთა სახლის
აღზრდილმა.

- კუბო გჭირდებათ, სერ? - გულუბრყვილოდ ჰკითხა ოლივერმა.

ამ სიტყვების გაგონებისთანავე ყმაწვილმა უჩვეულოდ მრისხანე სახე მიიღო
და განაცხადა, რომ ძალიან მალე თავად ოლივერს დასჭირდება კუბო, თუკი
საკუთარ თავს კიდევ მისცემს უფლებას, ასე იოხუნჯოს უფროსებთან.

- სამრევლოს ლეკვო, იცი, ვინ ვარ? - განაგრძო უპატრონო ბავშვთა სახლის
აღზრდილმა, თან მედიდური სახით ჩამოძვრა ტუმბიდან.

- არ ვიცი, სერ, - მიუგო ოლივერმა.

- ბატონი ნოე კლეიპოლი ვარ, - თქვა ყმაწვილმა, - შენ კიდევ ჩემს
დაქვემდებარებაში იმყოფები. დარაბები გააღე, ზარმაცო ნაგავო!

ამ სიტყვებთან ერთად ბატონმა კლეიპოლმა ოლივერს პანდური ჰკრა და
ფარდულში დიდი ღირსებით შევიდა, რაც მას პატივს მატებდა. ნებისმიერ
ვითარებაში დიდთავა, პატარათვალეზიანი და ბრიყვულსიფათიანი მსუქანი
ყმაწვილისთვის იოლი სულაც არ იყო ღირსეული სახის მიღება და მით უფრო
ძნელი იყო ეს, როცა ყოველივეს ემატებოდა წითელი ცხვირი და მოკლე
ყვითელი
შარვალი.

ოლივერმა ჩამოხსნა დარაბები და სცადა, გადაეთრია ეზოში, სადაც დღისით
მიჰქონდათ ხოლმე, მაგრამ პირველივე დარაბის სიმძიმისგან
დაბარბაცებულმა,

ფანჯრის მინა ჩაამსხვრია, რის შემდეგაც ნოე, რომელმაც დაამშვიდა
ოლივერი,

რომ „აუცილებლად მოხვდება“, შემწყნარებლური სახით მიემშველა. მალევე
ფარდულში მისტერ საუერბერი ჩამოვიდა. მასთან ერთად გამოჩნდა მისის
საუერბერიც. ოლივერს, ნოეს წინასწარმეტყველების თანახმად, „მოხვდა“,
ხოლო

შემდეგ ამ ახალგაზრდა ჯენტლმენტან ერთად დაბლა გაეშურა სასაუზმოდ.

- მიუჯექით კერიას, ნოე, - უთხრა შარლოტმა, - თქვენთვის შემოვინახე
მკერდის ამონაჭრის გვარიანი შებოლილი ნაჭერი მეპატრონის საუზმიდან...
ოლივერ, ბატონი ნოეს უკან კარი მიხურე და აიღე შენთვის ნამუსრევი,
რომელიც

ქვების თავსახურზე დავდე. აი, შენი ფინჯანი ჩაიც. დადგი ყუთზე და იქვე შესვი,

თან იჩქარე, იმიტომ, რომ მალევე გამოგიძახებენ ფარდულში. გაიგონე?

- გაიგონე, სამრევლოს ლეკვო? - თქვა ნოე კლეიპოლმა.

- ოჰ, ღმერთო ჩემო, ნოე! - წამოიძახა შარლოტმა, - რა უცნაური ბიჭი ხართ?

რატომ არ ასვენებთ ყმაწვილს?

- მოვასვენო? - გაიმეორა ნოემ, - ის ხომ ყველამ მოასვენა. არც მამა, არც დედა ხელს არ შეუშლიან. ყველა ნათესავი ნებას აძლევს, იაროს თავისი გზით,

ასე არაა, შარლოტ? ხი-ხი-ხი!

- ოჰ, თქვე ახირებულო! - წამოიძახა შარლოტმა, თან ახარხარდა, რასაც ნოეც

შეუერთდა.

შემდეგ ორივემ ზიზღით შეათვალიერა საწყალი ოლივერ ტვისტი, რომელიც ყუთთან იდგა ოთახის ყველაზე ცივ კუთხეში და კანკალებდა, თან ჭამდა მისთვის საგანგებოდ გადადებულ აქოთებულ ნარჩენებს.

ნოე უპატრონო ბავშვთა სახლის აღზრდილი იყო, მაგრამ არა ობოლი შრომის სახლიდან. იგი არ გახლდათ მიგდებული ბავშვი, შეეძლო საკუთარი წარმომავლობა გამოეკვლია და შორიანხლოს მცხოვრები მშობლების ვინაობაც გაეგო - დედა მრეცხავი იყო, მამა კი გალოთებული ჯარისკაცი, რომელიც თადარიგში გავიდა ხის ფეხით, დღიური ორპენსნახევრიანი პენსიით, და რაღაც

უსარგებლო ხარახურის მფლობელი.

ბიჭები მეზობელი ფარდულებიდან უკვე კარგა ხანია ნოეს ქუჩაში შეურაცხმყოფელი თიკუნებით მიმართავდნენ, მაგალითად, „ტყავის შარვალი“,

„უპატრონო“ და ასე შემდეგ, ნოეც უსიტყვოდ იტანდა შეურაცხყოფას; მაგრამ ახლა, როცა ბედმა გზად შეახვედრა უპატრონო ობოლი, ვისზედაც ნამდვილ არარაობასაც კი შეეძლო ზიზღით მიეთითებინა, დიდი ხნის დაგროვილი ბოლდმა

ოლივერზე ამოანთხია.

ყოველივე შესანიშნავ საფუძველს იძლევა განსჯისთვის. ვხედავთ, თუ რა არაჩვეულებრივი შეიძლება იყოს ადამიანის არსი, როგორი შესანიშნავი თვისებები შეიძლება განუვითარდეს დიდგვაროვან ლორდსა თუ უპატრონო ბავშვთა სახლის ყველაზე ჭუჭყიან ბიეს.

სამი-ოთხი კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც ოლივერი მეკუბოესთან დასახლდა. ფარდული დაკეტილი იყო, მისტერ და მისის საუერბერები უკანა სასტუმრო ოთახში ვახშობდნენ, როცა მისტერ საუერბერიმ რამდენჯერმე მოწიწებით შეხედა ცოლს და თქვა:

- ჩემო ძვირფასო...

მას გაგრძელება სურდა, მაგრამ მისის საუერბერიმ ისე ანჩხლად შეხედა, რომ კაცმა ხმა გაიკმინდა.

- რაო? - მკვახედ იკითხა მისის საუერბერიმ.

- არაფერი, ჩემო ძვირფასო, არაფერი! - თქვა მისტერ საუერბერიმ.

- უჰ, არამზადა! - თქვა მისის საუერბერიმ.

- გარწმუნებ, არაფერი, ჩემო ძვირფასო, - მორჩილად გამოეპასუხა მისტერ საუერბერი, - მომეჩვენა, თითქოს არა ხარ მოსასმენად განწყობილი, ძვირფასო.

მხოლოდ ის მინდოდა მეთქვა...

- ნუ მეტყვი, რისი თქმა გსურდა, - გააწყვეტინა მისის საუერბერიმ, - მე ხომ

არარაობა ვარ; გეთაყვა, ნულარ მომმართავ რჩევისთვის, არ მსურს, გამოგტყუო

შენი საიდუმლოებები.

ამ სიტყვებთან ერთად მისის საუერბერის ისტერიკული სიცილი აუვარდა, რაც კარგს არაფერს მოასწავებდა.

- კი, მაგრამ, ჩემო ძვირფასო, - თქვა მისტერ საუერბერიმ, - შენთან მოთათბირება მსურს.

- არა, არა! ნურაფერს მკითხავ! - საწყალობელი ხმით წაიკნავლა მისის საუერბერიმ, - ვინმე სხვას ეთათბირე.

ისევ გაისმა ისტერიკული სიცილი, რამაც მისტერ საუერბერი ძალზე შეაშინა. ასეთია მეუღლისადმი მიმართვის გავრცელებული და რეკომენდებული სისტემა,

რომელიც ხშირად სასურველი შედეგის მომტანია. ამან მისტერ საუერბერი აიძულა, ცოლისთვის განსაკუთრებული პატივის სახით ეთხოვა, მისთვის ნება დაერთო, ეთქვა ის, რისი გაგონებაც ასე სურდა მისის საუერბერის. არცთუ ხანგრძლივი კინკლაობის შემდეგ, რომელმაც სამი მეოთხედი საათი გასტანა, ნებართვა მოწყალედ გაიცა.

- ეს ყმაწვილ ტვისტს ეხება, ჩემო ძვირფასო, - თქვა მისტერ საუერბერიმ, - ძალზე სანდომიანი სახის ბიჭია, ძვირფასო.

- რატომაც არა, როცა ამდენს ყამს! - შენიშნა მისის საუერბერიმ.

- მას მეღანქოლიური გამომეტყველება აქვს, ჩემო ძვირფასო, - განაგრძობდა

მისტერ საუერბერი, - და ეს ძალზე საინტერესოს ხდის... მისგან, ჩემო ძვირფასო,

შესანიშნავი უტყვი მოტირალი გამოვიდოდა.

მისის საუერბერიმ დაუფარავი გაკვირვებით შეხედა მეკუბოეს. მისტერ საუერბერიმ ეს შეამჩნია და ისე, რომ არც დაელოდა კეთილი ქალბატონის შეკამათებას, განაგრძო:

- მე ვამბობ არა ნამდვილ უტყვ მოტირალზე, რომელიც ესწრება მოზრდილ ადამიანთა დაკრძალვას, არამედ უტყვ მოტირალზე ბავშვებისთვის, ძვირფასო.

ეს ისეთი სიახლე იქნებოდა, საყვარელო, გყავდეს შესაბამისი სიმაღლის უტყვი

მოტირალი. დარწმუნებული იყავი, რომ ეს საოცარ შთაბეჭდილებას მოახდენს.

მისის საუერბერი, რომელსაც შესანიშნავი გემოვნება ჰქონდა, როდესაც საქმე დაკრძალვას შეეხებოდა, ამ იდეის სიახლემ გააოცა, მაგრამ ამის აღიარება მის ღირსებას უეჭველად შელახავდა, ამიტომ მხოლოდ მკვახედ იკითხა, ასეთი მარტივი აზრი მანამდე რატომ არ მოაფიქრდა ჩემს ძვირფას მეუღლესო?

მისტერ

საუერბერიმ სრულიად მართებულად მიიჩნია მისი შეკითხვა თანხმობად. ასე რომ, გადაწყდა, ოლივერისთვის ხელობის ყველა საიდუმლო გაენდოთ, რათა მას საჭიროების შემთხვევაში ბატონის თანხლება შესძლებოდა.

შემთხვევამაც არ დაიგვიანა. მეორე დღით, საუზმე ნახევარი საათის დასრულებული ჰქონდათ, როდესაც ფარდულში მისტერ ბამბლი შევიდა, ხელჯობი დახლზე მიაყუდა, ტყავის მოზრდილი საფულიდან ქალაღის ნაგლეჯი

ამოიღო და საუერბერის გაუწოდა.

- აჰა! - თქვა მეკუბოემ და სახე გაუბრწყინდა, - კუბოს შეკვეთაა?

- ჭერ კუბოს, შემდეგ სამრევლო დაკრძალვის, - უპასუხა მისტერ ბამბლმა, რომელიც თასმის შეკვრას ცდილობდა მასავით ზორბა საფულეზე.

- ბეიტონი? - თქვა საუერბერიმ და მზერა ქალაღის ნაგლეჯიდან მისტერ ბამბლზე გადაიტანა, - ეს გვარი არასოდეს გამიგია.

ბამბლმა თავი გააქნია და უპასუხა:

- ჭიუტი ხალხია, მისტერ საუერბერი, ძალიან ჯიუტი, და ვშიშობ, ამასთან, ამაყიც.

- ამაყი? - გაეცინა მისტერ საუერბერის, - ეს უკვე მეტისმეტია.

- ოჰ, ნამდვილად აუტანელია! - უპასუხა ბიდლმა, - და ამორალურიც, მისტერ საუერბერი.

- მართალი ბრძანდებით, - დაეთანხმა მეკუბოე.

- ამ ოჯახის შესახებ მხოლოდ მესამე საღამოა, რაც გავიგეთ, - განაგრძობდა ბიდლი, - ვერც ვერაფერს შევიტყობდით, რომ არა იმავე სახლში მცხოვრები ქალი, რომელმაც სამრევლოს საბჭოს თხოვნით მიმართა, ექიმი გაეგზავნათ ავადმყოფის სანახავად - ძალიან ცუდად არისო. ექიმი სადილზე გახლდათ მიწვეული და შინ არ იყო, ამიტომ მისმა შეგირდმა (ძალიან საზრიანი ყმაწვილია)

მამინვე გაუგზავნა წამალი გუტალინის ქილით.

- პუნქტუალურობაც ამას ჰქვია, - თქვა მეკუბოემ.

- სწორედაც ასეა! - განაგრძო ბიდლმა, - მაგრამ როგორ შეხვდნენ ეს უმადური

დაუმორჩილებლები ასეთ მოპყრობას? ქალის ქმარმა ექიმთან გაგზავნა შესატყობინებლად, რომ მისი ცოლი ამ წამალს არ მიიღებს, რადგან მის

დაავადებას არ შველის. ამბობს, რომ ქალი წამალს არ მიიღებს, სერ!
მშვენიერი,
ძლიერმოქმედი, სასარგებლო წამალი, რომელიც სულ რაღაც ერთი კვირის
წინ
შესანიშნავად მოუხდა ორ ირლანდიელ მუშასა და ქვანახშირის
დამტარებელს...
უფასოდ გაუგზავნეს, გუტალინის ქილით, ის კიდევ პასუხობს, რომ მისი
ცოლი ამ
წამალს არ დალევს, სერ!

როდესაც მისტერ ბამბლმა სრულად შეიგრძნო ამ საქციელის სისასტიკე, ჯოხი
ძლიერად დაჰკრა დახლს და მრისხანებისგან სახე წამოუჭარხლდა.

- ჰმ! - თქვა მეკუბოემ, - ვერასოდეს ვიფიქრებდი...

- ვერასოდეს, სერ, - წამოიძახა ბიდლმა, - ვერც ვერავინ იფიქრებდა!
ახლა,
როდესაც ქალი მკვდარია, უნდა დავმარხოთ! აი, მისამართი, და რაც უფრო
მალე
მოხდება ეს, მით უკეთესი.

ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ არნახულად განრისხებულმა მისტერ
ბამბლმა ვერც კი შენიშნა, რომ სამკუთხა ქუდი უკუღმა დაიხურა და სწრაფი
ნაბიჯით დატოვა მეკუბოის ფარდული.

- ჰო, ოლივერ, ისე გაბრაზდა, დაავიწყდა კიდევაც შენზე ეკითხა, - თქვა
მისტერ საუერბერიმ, რომელმაც ქუჩაში მიმავალ ბიდლს თვალი გააყოლა.

- დიახ, სერ, - უპასუხა ოლივერმა, რომელიც ამ შეხვედრის დროს
ცდილობდა,
ბიდლს თვალში არ შესჩხიროდა და მისი ხმის გახსენებაზე თავიდან
ფეხებამდე
აკანკალა.
თუმცა, მისტერ ბამბლის მზერას რომ გაჰქცეოდა, ამაოდ ცდილობდა, რადგან
სამრევლოს მიერ დანიშნული ეს მოხელე, რომელზედაც თეთრფილეტიანი
ჯენტლმენის წინასწარმეტყველებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, თვლიდა,
რომ მეკუბოის მიერ გამოსაცდელი ვადით აყვანილი ოლივერის შესახებ
ჯობდა,
სიტყვა არ დაეძრა, რათა ხელშეკრულების ძალით შვიდი წლის განმავლობაში
მეკუბოესთან დარჩენილიყო, და ამ გზით სამრევლო საბოლოოდ აიცილებდა
თავიდან მისი შრომის სახლში დაბრუნებისა და შენახვის საშიშროებას.

- მშვენიერია! - წამოიძახა მისტერ საუერბერიმ და შლაპას სტაცა ხელი, -
რაც
უფრო მალე მოვკიდებთ ამ საქმეს ხელს, მით უკეთესი იქნება... ნოე,
აქაურობას
მიხედე... ოლივერ, ქუდი დაიხურე და წამომყევი.

ოლივერი დაემორჩილა და საქმეზე წასულ ბატონს უკან გაჰყვა.

თავდაპირველად, ხალხით გადაჭედებული ქალაქის მჭიდროდ დასახლებული
კვარტალები გაიარეს, მერე ვიწრო ქუჩაზე შეუხვიეს, რომელიც იმაზე
ჭუჭყიანი

და საზარელი სანახავი იყო, ვიდრე მანამდე გავლილი ქუჩები. ბოლოს შეჩერდნენ, რადგან საჭირო სახლს ეძებდნენ. ქუჩის ორივე მხარეს დიდი და მალალი სახლები იდგა, მაგრამ ისინი ძალიან დიდი ხნის წინ აეშენებინათ და ყველა სახლში ღარიბები ცხოვრობდნენ: ამას მოწმობდა სახლების ჭუჭყიანი ფასადები და კიდევ, ქალებისა და მამაკაცების სმისგან დასივებული სახეები

რამდენიმე ასეთი არსება, გულხელდაკრეფილი და ლამის წელში ორად მოხრილი, ქურდული სიფრთხილით მიაბიჯებდა. სახლებში ოდესღაც ფარდულებიც იყო, მაგრამ ახლა მათი კედლები ფიცრებით აეკრათ, ისინი შიგნიდან ინგრეოდა, მხოლოდ ზედა სართულები გახლდათ დასახლებული. ზოგიერთი ძალიან ძველი სახლის კედლებისთვის, სულმთლად რომ არ ჩამონგრეულიყო, ტროტუარის კიდეში ჩამაგრებული ხის დიდი ბომები შეეშველებინათ. მაგრამ ეს სანახევრო ნანგრევებიც კი უსახლკარო დღატაკებისთვის თავშესაფარს წარმოადგენდა, რადგან კარებსა და ფანჯრებზე აკრული ფიცრები ისე გამოეტეხათ, რომ ადამიანს შიგ შეძრომა შესძლებოდა. წყალსადინარ თხრილებში დამყაყებული, ბინძური წყალი იდგა. ამ საზიზღარ ადგილზე მომრავლებული ვირთხებიც კი შიმშილისგან გაძვალტყავებული გახლდნენ.

იმ ღია კართან, სადაც ოლივერი და მისი ბატონი შეჩერდნენ, არც დასაკაკუნებელი ჩაქუჩი მოჩანდა, არც ზარი. მეკუბოე ხელის ცეცებით მიიკვლევდა გზას ბნელ დერეფანში და თან ოლივერს ამხნევებდა, არ შეშინებოდა და არ ჩამორჩენოდა. ორივენი მეორე სართულზე ავიდნენ. მეკუბოე კიბის ბაქანზე გამავალ კარს წააწყდა და მოკაკული თითებით დააკაკუნა.

კარი დაახლოებით ცამეტი-თოთხმეტი წლის გოგონამ გააღო. მეკუბოემ თვალი შეავლო თუ არა ოთახს, მიხვდა, რომ საჭირო ადგილზე მოვიდა. შიგნით შევიდა და მას ოლივერიც მიჰყვა.

ბუხარში ცეცხლი არ ენთო, მაგრამ ვიდაც კაცი, ძველი ჩვეულებისამებრ, მოკუნტული იჯდა ცივ კერძასთან. მის გვერდით, დაბალ ტაბურეტზე, დედაბერი მოკალათებულიყო. ოთახის მეორე ბოლოში დაფლეთილსამოსიანი ბავშვები ფუთფუთებდნენ, ხოლო კარის პირდაპირ მდებარე პატარა ნიშაში ძველი საბნით დაფარული რაღაც იდო. ოლივერმა იმ მხარეს გაიხედა, აკანკალდა და უნებურად ბატონს მიეკრო; მართალია, საგანი საბნით იყო დაფარული, მაგრამ მაშინვე მიხვდა, მის ქვეშ ცხედარი იდო.

ცივი ბუხრის წინ მჯდომ მამაკაცს გამხდარი, ძალიან ფერმკრთალი სახე ჰქონდა; თვალები ჩასისხლიანებოდა. დედაბრის სახე ნაოჭებს დაეფარა; ქვემო ზაგის ზემოთ ორი გადარჩენილი კბილი მოუჩანდა, ხოლო გამჭრიახი თვალები უბრწყინავდა. ოლივერს დედაბრისა და მამაკაცის შეხედვის ეშინოდა. ისინი ძალიან ჰგავდნენ იმ ვირთხებს, რომლებიც ცოტა ხნის წინ ქუჩაში დაინახა.

- მასთან მიკარებას ვერავინ გაბედავს! - ბოროტად წამოიყვირა მამაკაცმა, სკამიდან წამოხტა, როდესაც მეკუბოე ნიშისკენ გაემართა, - არ მიეკაროთ! ღმერთმა დაგწყევლოთ! თუ სიცოცხლე არ მოგბეზრებიათ, არ მიეკაროთ!

- ნუ სულელობ, მეგობარო! - უპასუხა მეკუბოემ, რომელიც მწუხარების მრავალგვარად გამოვლინებას უკვე შეჩვეული გახლდათ, - ნუ სულელობ!

- გეუბნებით, - არ ცხრებოდა მამაკაცი, რომელმაც მუშტები შეკრა და განრისხებულმა ფეხები ააბაკუნა, - მომისმინეთ! ნებას არ მოგცემთ, მიწაში დაფლათ! იქაც ვერ მოისვენებს: ჭიები არ მოასვენებენ... მის ხორცს ვერ შეჭამენ, იმიტომ, რომ ხორცი აღარ შერჩა.

ამ სიგიჟეზე მეკუბოეს პასუხი არ გაუცია, ჯიბიდან სანტიმეტრი ამოიღო და გარდაცვლილის წინ მუხლებზე დაეშვა.

- ოჰ! - წამოიძახა მამაკაცმა, თვალებიდან ცრემლები წამოსცვივდა და ქალის ფეხებთან დაეშვა, - ყველამ, ყველამ დაიჩოქეთ მის წინაშე და ჩემი სიტყვები დაიმახსოვრეთ! გეუბნებით, შიმშილით მოკლეს! არ ვიცოდი, ასე ცუდად თუ იყო,

ვიდრე სიცხემ არ აუწია. და მაშინ სხეულზე მისი ყველა ძვალი გამოჩნდა. ბუხარში ცეცხლი არ ენთო, არც სანთელი იყო. სიბნელეში მოკვდა - სრულ სიბნელეში! თავისი შვილების სახეების დანახვაც არ შეეძლო, თუმცა, გვესმოდა, სახელებს როგორ ეძახდა. მისთვის ვმათხოვრობდი, მათ კი ციხეში ჩამსვეს. რომ

დავბრუნდი, მოკვდა და ძარღვებში სისხლი გამეყინა, იმიტომ, რომ შიმშილით

მოკლეს. ღმერთს ვფიცავ, რომლის თვალწინაც ეს მოხდა, შიმშილით მოკლეს!

კაცმა თმაში ხელები წაივლო და ღრიალით იატაკზე გაგორდა; თვალები გაუშემდა, ხოლო პირზე ქაფი მოადგა.

შემინებული ბავშვები აღრიალდნენ, მაგრამ დედაბერმა, რომელიც მანამდე აუღელვებლად იჯდა, თითქოს არ ესმოდა, გარშემო რა ხდებოდა, მუქარით ჩააჩუმა ისინი. მერე იატაკზე მწოლიარე მამაკაცს მიუახლოვდა და ჰალსტუხი შეუხსნა. ლასლასით მიუახლოვდა მეკუბოეს.

- ეს ჩემი ქალიშვილია, - თქვა დედაბერმა და მიცვალებულის მხარეს გადააქნია თავი, თან რაღაც სულელურად ჩაუკრა თვალი, რაც იმაზე უფრო საზარელ შთაბეჭდილებას ტოვებდა, ვიდრე გარდაცვლილი, - ღმერთო, ღმერთო!

რა საოცრებაა! მე ვშვი და მაშინ ახალგაზრდა ვიყავი, ახლა კიდევ ბებერი და

ჯანმრთელი ვარ, ის კი აქ წევს, ასეთი ცივი და გაშეშებული! ღმერთო, ღმერთო,

წარმოსადგენადაც კი ძნელია: თითქოს თეატრია, ნამდვილი სცენა!

ვიდრე ეს საბრალო არსება ხითხითებდა, ჩიფჩიფებდა, ამაზრზენად მხიარულობდა, მეკუბოე კარისკენ გაემართა.

- მოიცადეთ! - ჩურჩულით შეაჩერა დედაბერმა, - როდის დამარხავენ - ხვალ,

ზეგ თუ ამ საღამოს? მე მოვამზადე დასამარხავად, და იცით რა, კუბოს უნდა

გავყვე. დიდი და თბილი წამოსასხამი გამომიგზავნეთ, იმიტომ, რომ ძალიან ცივა. და კიდევ, ფუნთუშები უნდა შევჭამოთ და ღვინო დავლიოთ, ვიდრე

სასაფლაოზე წავალთ! კარგი! პური გამოგვიგზავნეთ, პური და ჭიქა წყალი...

ძვირფასო, პური ხომ გვექნება? - მოუთმენლად შეეკითხა დედაბერი და მეკუბოეს პალტოზე ჩაეჭიდა, როდესაც ის ისევ კარისკენ გაემართა.

- ჰო, ჰო, - უთხრა მეკუბოემ, - რა თქმა უნდა. ყველაფერი გექნებათ, რასაც ისურვებთ!

როგორც იქნა, დედაბერი თავიდან მოიშორა და ოლივერთან ერთად ოთახიდან გავიდა.

მეორე დღეს (ამასობაში ოჯახმა დახმარება მიიღო - ორი გირვანქა პური და ყველის ნაჭერი, რაც თავად მისტერ ბამბლმა მიიტანა), ოლივერი ბატონთან ერთად ისევ დაბრუნდა იმ სოროში; იქ უკვე მისულიყო მისტერ ბამბლი და კიდევ

ოთხი კაცი მიეყვანა შრომის სახლიდან, რომლებსაც კუბო სასაფლაომდე უნდა წაეღოთ. მამაკაცსა და დედაბერს მონძებზე შავი წამოსასხამები მოაცვეს. მას შემდეგ, რაც სადა კუბოს სახურავი ჩაახრახნეს, ოთხმა მამაკაცმა ის მხრებზე მოიგდო.

- ახლა კი ფეხს აუჩქარეთ, მოხუცო, - უჩურჩულა მისტერ საუერბერიმ დედაბერს, - ვაგვიანებთ, მღვდელი რომ გველოდოს, ცუდია. წინ, ბიჭებო, რაც

შეგიძლიათ სწრაფად!

ამ განკარგულების შემდეგ ოთხმა მამაკაცმა ლამის სირბილით გასწია თავისი მსუბუქი ტვირთით, ორი ჭირისუფალი კი ცდილობდა, მათ არ ჩამორჩენოდა. მისტერ ბამბლი და მისტერ საუერბერი ცოცხლად მიაბიჯებდნენ წინ, ოლივერი კი, რომელსაც მათსავით გრძელი ფეხები არ ჰქონდა, გვერდით მირბოდა.

თუმცა, მისტერ საუერბერის ვარაუდი არ გამართლდა და ტყუილად იჩქარეს, რადგან სასაფლაოს მიგდებულ, ჭინჭრით დაფარულ კუთხეს როდესაც მიაღწიეს,

მღვდელი ჯერ კიდევ არ იყო მისული, ხოლო საეკლესიო სამოსლის ოთახში ბუხართან მოკალათებულმა კლერკმა მათ აცნობა, რომ დაახლოებით ერთ საათში მობრძანდებოდა. ამიტომ კუბო ახალგაჭირილი საფლავის კიდესთან დადეს, ორი ჭირისუფალი იქვე, ჭუჭყში იდგა და მოთმინებით ელოდა. ცივი წვიმა ცრიდა, ხოლო დაფლეთილსამოსიანმა ბიჭებმა, რომლებიც სასაფლაოზე სანახაობამ მიიზიდა, დამალოზანას ხმაურიანი თამაში წამოიწყეს სასაფლაოს ქვებს შორის, მერე ახალი გასართობი მოიფიქრეს კუბოზე გადახტომის სახით. მისტერ საუერბერი და მისტერ ბამბლი, როგორც კლერკის მეგობრები, ბუხართან ისხდნენ და გაზეთს კითხულობდნენ.

ერთი საათის გასვლის შემდეგ საფლავთან მისტერ ბამბლი, მისტერ საუერბერი და კლერკი გამოჩნდნენ. მათ უკან მღვდელი მოდიოდა, რომელიც სტიქარს გზადაგზა იცვამდა. წესრიგის მოჩვენებითად დასაცავად მისტერ ბამბლმა ერთ-ორ ბიჭუნას წაუთაქა, მერე მღვდელმა იმდენი ლოცვა წაიკითხა,

რამდენიც ზუსტად ოთხ წუთშია შესაძლებელი, სტიქარი კლერკს გადასცა და

წავიდა.

- აბა, ბილ, - მიმართა მისტერ საუერბერიმ მესაფლავეს, - ამოავსეთ საფლავი.

სამუშაო ძნელი სრულებით არ გახლდათ, რადგან საფლავში უკვე იმდენი კუბო იყო, რომ მიწის ზედაპირიდან მხოლოდ რამდენიმე ფუტი აშორებდა. მესაფლავემ მიწა დააყარა, მერე ფეხებით დატკეპნა, მხარზე ნიჩაბი გაიღო და ბიჭებთან ერთად წავიდა, რომლებიც უკმაყოფილოდ ყვიროდნენ, რადგან გასართობი ძალიან სწრაფად დასრულდა.

- შინ წადი, მეგობარო, - მხარზე ხელი დაჰკრა მისტერ ბამბლმა ჭირისუფალ მამაკაცს, - სადაცაა სასაფლაოს დაკეტავენ.

მამაკაცმა, რომელიც საფლავის კიდესთან მანამდე გაუნძრევლად იდგა, თავი ასწია, მისტერ ბამბლს შეხედა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და მერე გონდაკარგული დაეცა. შეშლილი დედაბერი წართმეულ წამოსასხამს (მესაფლავემ სასაფლაოს კუთვნილი ქონება წაიღო) გლოვობდა და ძალიან იყო

დაკავებული, ასე რომ, მამაკაცისთვის ყურადღება არ მიუქცევია. ამიტომ საბრალოს ერთი ვედრო ცივი წყალი შეასხეს, შემდეგ სასაფლაოდან გასვლაში დაეხმარნენ, ჭიშკარი ჩაკეტეს და ყველამ თავის გზაზე გასწია.

- აბა, ოლივერ, როგორ მოგეწონა ეს ყველაფერი? - შეეკითხა ბიყს მისტერ საუერბერი შინისკენ მიმავალ გზაზე.

- არა უშავს, გმადლობთ, სერ, - ყოყმანით თქვა ოლივერმა, - არც ისე, სერ.

- დროთა განმავლობაში მიეჩვევი, ოლივერ, - თქვა საუერბერიმ, - არაფერია, მიეჩვევი.

ოლივერს აინტერესებდა, თავად მისტერ საუერბერის დიდი ხანი დასჭირდა თუ არა, რომ შესჩვეოდა, მაგრამ ჩათვალა, რომ ასეთი შეკითხვის დასმა არ ღირდა. ფარდულში დაბრუნებული თავისთვის ფიქრობდა იმ ყველაფერზე, რაც ნახა და მოისმინა.

თავი 6 ნოეს დაცინვით თავმოებურებული

ოლივერიმოქმედებას იწყებს და მას გააოცებს კიდევ

გამოსაცდელი ერთთვიანი ვადა მიიწურა და ოლივერი ფორმალურად შეგირდად მიიღეს. სწორედ მაშინ ავადმყოფობების გავრცელების მხრივ წელიწადის კარგი დრო იდგა. კომერციული თვალსაზრისით კი რომ ვთქვათ, კუბოებზე დიდი მოთხოვნა იყო; შესაბამისად, ოლივერმა სულ რამდენიმე კვირის

განმავლობაში საკმაო გამოცდილება მიიღო. მისტერ საუერბერის მახვილგონივრული ჩანაფიქრის წარმატებამ მის ყველაზე თამამ მოლოდინსაც კი გადააჭარბა. ხანდაზმულებს არც კი ახსენდებოდათ პერიოდი, როდესაც ასე

მძლავრობდა წითურა და ამას ასეთი სავალალო შედეგები მოჰყვა ბავშვებში; ძალიან ბევრ სამგლოვიარო პროცესიას ოლივერი მიუძღოდა, რომელსაც თავზე

ეხურა შლაპა მუხლამდე დაშვებული ლენტით და მთელი ქალაქის დედები ენით

აუწერელი მღელვარებითა და აღფრთოვანებით უმზერდნენ ბიჭს. ოლივერი უფროსების დასაფლავებაში მონაწილეობდა თავის ბატონთან ერთად, რათა თავის დაჭერისა და აუღელვებელი ქცევის მესაფლავისთვის ასეთი საჭირო ჩვევა გამოემუშავებინა, ამიტომ არაერთხელ მისცემია შესაძლებლობა, თავად ედევნებინა თვალი, ძლიერი სულის ადამიანები განსაცდელსა და ახლობელი ადამიანების დაკარგვას როგორი მორჩილებითა და სულის სიმტკიცით ხვდებოდნენ.

მაგალითად, როდესაც საუერბერი კუბოს შეკვეთას იღებდა რომელიმე მდიდარი მოხუცი ქალბატონის ან ჯენტლმენის დასაკრძალავად, რომელიც მძისწულებითა თუ დისწულებით იყო გარშემორტყმული და მისი ავადმყოფობის

პერიოდში გარეშე თვალისთვის მართლაც დამწუხრებულები ჩანდნენ, სწორედ ეს არსებები თავის წრეში თავს შესანიშნავად და საკმაოდ უდარდელადაც გრძნობდნენ, ერთმანეთს ისე მხიარულად და ძალდაუტანებლად ესაუბრებოდნენ, თითქოს სრულიად არაფერი მომხდარა, რაც მათ სიმშვიდეს დაარღვევდა. ქმრები ცოლების გარდაცვალებას გმირული სიმშვიდით იტანდნენ.

თავის მხრივ, სამგლოვიარო სამოსელში გამოწყობილი ცოლები სრულებითაც არ

გლოვობდნენ, არამედ ყველაზე მეტად იმაზე ზრუნავდნენ, სამგლოვიარო სამოსი

რაც შეიძლება მოხდენილი სცმოდათ. იმის შემჩნევაც შესაძლებელი იყო, დასაფლავების ცერემონიაზე გვემული ქალბატონები და ბატონები შინ დაბრუნებისთანავე როგორ უბრუნდებოდნენ უწინდელ მდგომარეობას და ჩაის სმის დასრულებამდე სრულიად მშვიდდებოდნენ. ამ ყველაფრის ნახვა სასიამოვნო და ჭკუის სასწავლებელიც იყო და ოლივერი აღფრთოვანებული აკვირდებოდა ყველაფერს.

მართალია, მისი ბიოგრაფი ვარ, მაგრამ მიჭირს, ვამტკიცო, რომ ამ კეთილი ადამიანების მაგალითმა ოლივერს ბედისადმი ერთგვარი მორჩილება ასწავლა; გადაჭრით შემძლია იმის თქმა, რომ მრავალი თვის განმავლობაში მორჩილებით იტანდა ნოე კლეიპოლის თავგასულობასა და ცუდად მოპყრობას:

ნოეს შურდა, რომ ახალ შეგირდს შავი კვერთხი და შლაპაზე დასამაგრებელი ლენტი მისცეს, ის კი, ძველი შეგირდი, ისევ ბრტყელი შლაპითა და ტყავის შარვლით დადიოდა. შარლოტი ოლივერს ცუდად ეპყრობოდა, რადგან ასე ექცეოდა ნოე; ხოლო მისის საუერბერი მას დაუმიწებელ მტრად მოეგლინა, რადგან მისტერ საუერბერი ოლივერთან დამეგობრებისთვის მზად გახლდათ; ერთ მხარეს ეს სამი ადამიანი იდგა, მეორე მხარეს კი უთვალავი დასაკრძალავი

ცერემონიალი და ოლივერი ნამდვილად ვერ გრძნობდა თავს ისე კომფორტულად, როგორც ლუდსახარშის ბედელში შემთხვევით დამწყვდეული მშვიერი გომი.

ახლა კი ოლივერის თავგადასავლის ძალიან მნიშვნელოვანი ეპიზოდი უნდა გაიმბოთ. ერთი შეხედვით თითქოს უმნიშვნელო და არაარსებითი ამბავია, მაგრამ მან მისი გეგმები და შეხედულებები ძირეულად შეცვალა.

ერთხელ ოლივერი და ნოე ჩვეულებისამებრ სასადილოდ სამზარეულოში ჩავიდნენ ცხვრის ხორციტ დასანაყრებლად – ხორცის ნაჭერი

გირვანქანახვერიანი გახლდათ, ანუ ყველაზე საზიზღარი ხარისხის. შარლოტს დაუძახეს და ის სამზარეულოდან გავიდა, ხოლო ნოემ გადაწყვიტა, ეს ხელსაყრელი შემთხვევა ხელიდან არ გაეშვა და რაც შეიძლება კარგად გამოეყენებინა, ანუ პატარა ოლივერისთვის დაეცინა და გაემწარებინა.

უწყინარი გართობისთვის მზადმყოფმა ნოემ ფეხები სუფრაგადაფარებულ მაგიდაზე შემოაწყო, ოლივერს თმა მოქაჩა, ყური აუწია; მერე ხმამაღლა გამოთქვა ვარაუდი, რომ ის „ენატანიაა“; შემდეგ არ დაუმაღლავს და ასევე ხმამაღლა ისურვა, აუცილებლად საკუთარი თვალთ ენახა ისეთი სასიამოვნო ამბავი, როგორც ოლივერის სახრჩობელაზე აყვანაა. კიდევ ბევრი ამგვარი ენამწარე რამ უთხრა, რაც ობლების სახლში აღზრდილი მისნაირი მავნე და ბოროტი ბიჭისგან გასაკვირი არ არის; მაგრამ ვერ მიაღწია მიზანს, ოლივერი ვერ აატირა, ამიტომ გადაწყვიტა, ის ხერხი გამოეყენებინა, რომელსაც დღესაც მიმართავენ მასზე გამოცდილები გასამხიარულებლად – ის პირად საკითხს შეეხო.

– მისმინე, სამრევლოს ლეკვო, – თქვა ნოემ, – დედაშენი თავს როგორ გრძნობს?

– დედაჩემი გარდაიცვალა, – უპასუხა ოლივერმა, – სიტყვა არ დასძრათ მასზე.

ამ სიტყვების თქმასთან ერთად ოლივერს სახე შეუფაკლდა, სუნთქვა გაუხშირდა, ტუჩები და ნესტოები უცნაურად ამოდრავა და მისტერ კლეიპოლმა

ჩათვალა, რომ ეს გულამოსკვნილი ქვითინის საწინდარი იყო. ამ შთაბეჭდილებით გულმოცემულმა თავისი საზიზღარი საქმე განაგრძო:

– რისგან მოკვდა, სამრევლოს ლეკვო? – შეეკითხა ნოე.

– როგორც მოხუცი ძიძები მეუბნებოდნენ, გულგატეხილობისგან, – წარმოთქვა ოლივერმა, მაგრამ ეს უფრო მისი ხმამაღალი ფიქრი გახლდათ, ვიდრე ნოეს შეკითხვაზე პასუხი, – მგონი, მესმის, რასაც ნიშნავს გულგატეხილობისგან სიკვდილი!

– ლა-ლა-ლა-ლა, სამრევლოს ლეკვო! – წამოიძახა ნოემ, როდესაც ოლივერის ლოყაზე ჩამოგორებული ცრემლი დაინახა, – რამ აგატირა?

– თქვენმა სიტყვებმა არა, – მკვახედ უპასუხა ოლივერმა, – საკმარისია. სიტყვა არ დასძრათ მასზე, ასე სჯობია თქვენთვის.

– ასე სჯობიაო! – წამოიძახა ნოემ, – როგორ არა! ასე სჯობია! სამრევლოს ლეკვო, ფრთხილად იყავი. დედაშენი მშვენიერი ბოზი იყო. ოჰ, ასე იყო, ღმერთმანი!

ნოემ თავი მრავალმნიშვნელოვნად დააქნია და რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, თავისი პატარა წითელი ცხვირი აპრიხა.

– რომ იცოდე, სამრევლოს ლეკვო, – განაგრძო ოლივერის დუმილით

გამხმარებელმა დამცინავი და მოჩვენებითი სიბრალების ტონით, - რომ იცოდე, ამას ახლა უკვე ველარაფრით გამოასწორებ და მაშინაც ვერაფერს უშველიდი; ძალიან გული მწყდება ამის გამო. რასაკვირველია, ყველას გული გვწყდება და გვებრალები. მაგრამ ეს უნდა იცოდე, სამრევლოს ლეკვო, დედაშენი ნამდვილი ბოზი იყო.

- რა თქვით? - ჩაემია ოლივერი.

- ნამდვილი ბოზი, სამრევლოს ლეკვო, - ცივად თქვა ნოემ, - და მისთვისეა უკეთესი, სამრევლოს ლეკვო, რომ მოკვდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბრაიდლელში მოუწევდა მძიმე სამუშაოს შესრულება ან ოკეანის გაღმა გაამგზავრებდნენ, ან სახრჩობელაზე აიყვანდნენ. უფრო მეტად ეს უკანასკნელია სავარაუდო, გასაგებია?

მრისხანებისგან აჭარხლებული ოლივერი ფეხზე წამოიყრა, მაგიდა და სკამი გადააბრუნა და ნოეს ყელში ეცა; იქამდე აჯანჯღარებდა მის თავს, ვიდრე ნოემ კბილის კბილზე ცემინება არ დაიწყო; მერე ოლივერმა მთელი ძალ-ღონე მოიკრიბა და ერთი დარტყმით ძირს დასცა.

ერთი წუთის წინ ეს იყო მშვიდი, უწყინარი, დარდიანი არსება, როგორც ჩამოაყალიბა უხეშად მოპყრობამ, მაგრამ ახლა მისი სული აჯანყდა: გარდაცვლილი დედის შეურაცხყოფამ მის სისხლს ცეცხლი წაუკიდა. მკერდი საბერველივით აუდ-ჩაუდიოდა; მთელი სხეულით გაიმართა; თვალები მრისხანებით უელავდა; ოლივერის მთელი არსება შეიცვალა, იღვა და მის ფეხებთან მოკუნტულ მწვალბელს დაჟინებით მისჩერებოდა და გამოწვევის მისაღებად მზადმყოფი, აქამდე მისთვის უცნობ ენერგიას ასხივებდა.

- მომკლავს, - დაიღრიალა ნოემ, - შარლოტ! მისის! ეს ახალი შეგირდი მომკლავს! მიშველეთ! დამეხმარეთ! ოლივერი გაგიჟდა! შარლოტ!

ნოეს ღრიალს შარლოტის ხმამაღალი ვიშვიში და მისის საუერბერის კიდეც უფრო ხმამაღალი კვილი შეუერთდა; შარლოტი სამზარეულოში გვერდითა ოთახიდან შევარდა, ხოლო მეორე ქალი კიბის თავზე მანამდე იღვა, ვიდრე არ დარწმუნდა, რომ ქვემოთ ჩასვლით ადამიანის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრებოდა.

- ოჰ, შე პატარა არამზადავ! - კიოდა შარლოტი: ოლივერს ისეთი ძალით ჩაებლაუჭა, ჯანღონიან მამაკაცს რომ შეეფერებოდა, - ოჰ, შე პატარა უ-მა-დუ-რო, სისხ-ლის-მსმე-ლო, სა-მა-გე-ლო ა-რა-მზა-დავ!

მარცვლებს შორის შარლოტი მთელი ძალით ურტყამდა ოლივერს და თან, დამსწრეთა გასამხმარებლად, ამ ყველაფერს მისი კვილიც ერთვოდა.

შარლოტს საკმაოდ მწარე ხელი ჰქონდა, მაგრამ მისის საუერბერიმ ჩათვალა,

რომ მხოლოდ მოსამსახურის მუშტები საკმარისი არ იყო, ამიტომ
სამზარეულოს
მიაშურა ნოეს დასახმარებლად: ცალი ხელით ოლივერი ეჭირა, მეორით კი
სახეს
უკაწრავდა. ასეთი ხელსაყრელი ვითარებით ნოემაც ისარგებლა, წამოდგა და
ოლივერს ზურგში მუშტები დაუშინა.

რა თქმა უნდა, ეს ენერგიული ვარჯიში დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა.
როდესაც ცემითა და კაწვრით ძალა გამოელიათ, ოლივერი საკუჭნაოსკენ
წათრიეს და იქ ჩაკეტეს. ბიჭი მათ უძალიანდებოდა, ყვიროდა და ხელ-ფეხს
იქნევდა, მაგრამ დაშინებული სრულებით არ გახლდათ. ეს საქმე რომ
მოითავეს,
მისის საუერბერი სავარძელში ჩაეშვა და ცრემლები გადმოსცვივდა.

- ღმერთო, კვდება! - თქვა შარლოტმა, - ნოე, საყვარელო, წყალი
მოიტანე.
გაინძერი!

- ოჰ, შარლოტ! - წამოიძახა მისის საუერბერიმ, რომელიც გასაგებად
ლაპარაკს ცდილობდა ჰაერის უკმარისობისა და ნოეს მოტანილი ცივი წყლით
უხვად გაწუწვის მიუხედავად, - ოჰ, შარლოტ, რა ბედნიერებაა, რომ
საწოლში არ
გამოგვასალმეს სიცოცხლეს!

- ჰო, მართლაც ბედნიერებაა, მისის, - დაუდასტურა მოსამსახურემ, -
იმედია,
ეს ჭკუას ასწავლის ბატონს, რომ სხვა დროს შეგირდად ასეთი საზარელი
არსებები აღარ აიყვანოს, ისინი ხომ მკვლელებად და ავაზაკებად იბადებიან.
საბრალო ნოე! ძლივს სუნთქავდა, დროზე მივუსწარი.

- შე საწყალო! - თქვა მისის საუერბერიმ და ობოლთა თავშესაფრის
აღზრდილს თანაგრძნობით შეავლო თვალი.

ნოე, რომლის ჟილეტის ქვედა ღილი ოლივერის კეფას უსწორდებოდა,
მისდამი გამოჩენილი ასეთი თანაგრძნობისას თვალებს ისრესდა და
საწყალობლად ქსუტუნებდა, ერთი-ორი ცრემლის გადმოგდებას ცდილობდა.

- როგორ მოვიქცეთ? - წამოიძახა მისის საუერბერიმ, - თქვენი ბატონი შინ
არ
არის; სახლში არც ერთი მამაკაცი არაა, ის კი კარს ისე უბრაზუნებს,
აღბათ,
ათიოდე წუთში გამოამტვრევს კიდეც.
მართლაც, ოლივერი კარად წოდებულ ხის ნაჭერს გამეტებით ურტყამდა
წიხლებს და მისის საუერბერის ვარაუდი სიმართლეს მოკლებული
სრულებითაც
არ გახლდათ.

- ღმერთო, ღმერთო! არ ვიცი, მისის, - თქვა შარლოტმა, - იქნებ
პოლიციისთვის დაგვეძახა.

- ან ჯარისკაცებისთვის, - დაამატა მისტერ კლეიპოლმა.

- არა, არა, - იუარა მისის საუერბერიმ, რომელსაც ოლივერის ძველი
ნაცნობი

გაახსენდა, - ნოე, მისტერ ბამბლთან გაიქეცი და ყველაფერს მოუყევი, და უთხარი, წუთიც არ დაკარგოს, აქეთკენ გამოეშუროს; თავი დაანებე ქუდის ძებნას! გაიქეცი და თან თვალზე ჯაყვა გედოს, ეგ სილურჯე ჩაგიცხრება.

ნოეს პასუხის გასაცემად დრო არ დაუკარგავს და მაშინვე ქუჩაში გავარდა. გამვლელები გაოცებული უყურებდნენ ობოლთა თავშესაფრის აღზრდილს, რომელიც ბრბოში უქუდოდ, ჩალურჯებულ თვალზე ჯაყვამიდებული სწრაფად მიიკვლევდა გზას.

თავი 7 ოლივერის ჯანყი გრძელდება

ნოე კლივიპოლი ქუჩებში მიქროდა და შეუსვენებლად მიიბრინა შრომის სახლის ჭიშკრამდე. ერთ წუთს სული მოითქვა, რომ კარგად აქსუტუნებულიყო

და რაც შეიძლება საწყალობელი და შეშინებული სახე მიედო, მერე მაგრად დააბრაზუნა ჭიშკარზე და როდესაც მოხუცმა ლატაკმა გაულო, ისიც კი გააკვირვა

ნოეს ასეთმა საწყალობელმა იერმა, თუმცა, გარშემო გამუდმებით მხოლოდ ასეთივე საწყალობელ სახეებს ხედავდა.

- რა დაგემართა, ბიჭო! - წამოიძახა მოხუცმა ლატაკმა.

- მისტერ ბამბლ! მისტერ ბამბლ! - აყვირდა ნოე მოჩვენებითი მწუხარებით და

ისეთი განწირული ხმით, რომ შორიახლოს მყოფმა მისტერ ბამბლმაც კი გაიგონა

და შემფოთებული ეზოში სამკუთხა ქუდის გარეშე გაიქცა, - ეს კი განსაკუთრებით საინტერესო და აღსანიშნავი ამბავი გახლდათ და იმას მოწმობდა, რომ მოულოდნელი და ძლიერი სტიმულის წყალობით ბიდლსაც კი

შეიძლება დროებით თავშეკავებამ უღალატოს და ღირსება დაივიწყოს.

- ოჰ, მისტერ ბამბლ! - დაიყვირა ნოემ, - ოლივერი, სერ... ოლივერმა...

- რა? რა მოხდა? - გააწყვეტინა მისტერ ბამბლმა და თვალეზი სიხარულით გაუბრწყინდა, - ნუთუ გაიქცა? ნუთუ გაიქცა, ნოე?

- არა, სერ, არა. არ გაქცეულა, სერ, მაგრამ ნამდვილი ბოროტმოქმედი გამოდგა, - უპასუხა ნოემ, - ჩემი მოკვლა სცადა, სერ, და შარლოტისაც; და კიდევ

ქალბატონის. ოჰ! რა სატანჯველია!

ნოე მთელი სხეულით დაიკრუნჩხა და დაიკლაკნა, რათა მისტერ ბამბლისთვის მოეჩვენებინა, თითქოს ოლივერის თავდასხმამ მძიმე შინაგანი დაზიანებები გამოიწვია და ვეღარ უძლებს ტკივილს.

როდესაც დაინახა, ნათქვამმა მისტერ ბამბლი მეტისმეტად გააოგნაო, შთაბეჭდილების გასაძლიერებლად თავისი ჭრილობების გამო კიდევ უფრო ხმამაღლა და მოთქმით გოდება დაიწყო. ეზოში თეთრყილეტიანი ჯენტლმენი დაინახა და მიხვდა, მისი ყურადღება აუცილებლად უნდა მიეპყრო და მისი რისხვა გამოეწვია, ამიტომ ხმას კიდევ უფრო აუწია.

ჯენტლმენმა მართლაც ძალიან მალე მიაქცია ყურადღება. სამიოდე ნაბიჯი არ ჰქონდა გადადგმული, რომ განრისხებული შემობრუნდა და იკითხა, ეს უგვანი

ბიჭი ასე რატომ ყვირის და რატომ არ მოექცევა მისტერ ბამბლი ისე, რომ ყვირილად წოდებული ეს ხმები უნებურად აღმოხდესო.

- ეს საბრალო ბიჭი ობოლთა თავშესაფრის სკოლიდანაა, სერ, - უპასუხა მისტერ ბამბლმა, - კინალამ მოკლა, შეიძლება ითქვას, ბეწვზე გადარჩა - იმ ბიყმა, ტვისტმა.

- ჯანდაბა! - წამოიძახა თეთრჟილეტიანმა ჯენტლმენმა და გაშეშდა, - ასეც ვიცოდი! თავიდანვე ვგრძნობდი, ეს თავხედი ბიჭი სიცოცხლეს სახრჩობელაზე რომ დაასრულებს!

- მოსამსახურის მოკვლაც სცადა, სერ, - დაამატა მისტერ ბამბლმა, რომელსაც სახეზე მიწისფერი ედო.

- და დიასახლისისაც, - სიტყვა ჩაურთო მისტერ კლეიპოლმა.

- და ბატონისაც, ასე არ თქვი, ნოე? - შეეკითხა მისტერ ბამბლი.

- არა, ბატონი შინ არ არის, თორემ იმასაც მოკლავდა, - უპასუხა ნოემ, - თქვა, რომ მოკლავდა.

- რაო? თქვა, რომ მოკლავდა? - იკითხა თეთრჟილეტიანმა ჯენტლმენმა.

- დიახ, სერ, - უპასუხა ნოემ, - და მაპატიეთ, სერ, ქალბატონს უნდოდა, გაეგო, მისტერ ბამბლი დროს ხომ ვერ გამონახავს, რომ მოვიდეს და კარგად გალახოს, იმიტომ, რომ ბატონი შინ არ არის.

- რა თქმა უნდა, ჩემო ბიჭო, რა თქმა უნდა, - თქვა თეთრჟილეტიანმა ჯენტლმენმა, მოწყალებით გაიღიმა და თავზე ხელი გადაუსვა ნოეს, რომელიც დაახლოებით სამი დუიმით მასზე მაღალი გახლდათ, - კარგი, ძალიან კარგი ბიჭი ხარ. აჰა, შენ, ეს პენი აილე. ბამბლ, ახლავე საუერბერისთან გაემურეთ თქვენი კვერთხით და ნახეთ, რისი გაკეთება შეიძლება. ნუ დაინდობთ, ბამბლ.

- არ დავინდობ, სერ, - უპასუხა ბიდლმა, რომელმაც იმ დროისთვის თავზე ქუდი მოირგო და ხელში ხელჯოხიც შეათამაშა.

მისტერ ბამბლი და ნოე სწრაფი ნაბიჯით მეკუბოის სახლისკენ გაემურნენ.

იქ კი საქმე უკეთესობისკენ სრულებით არ შეცვლილიყო. საუერბერი შინ ჯერ კიდევ არ დაბრუნებულიყო, ოლივერი კი წინანდელი გაშმაგებით წიხლებს ურტყამდა საკუჭნაოს კარს. მისის საუერბერისა და შარლოტის სიტყვებით, მისი

რისხვა ისეთი დაუოკებელი გახლდათ, რომ მისტერ ბამბლმა ჯერ მოლაპარაკება

და კარის მხოლოდ შემდეგ გაღება ამჯობინა. ამ მიზნით შესავლის სახით კარს

წიხლი მიართყა, შემდეგ ტუჩები საკლიტულთან მიიტანა და ხმადაბლა, რისხვით

აკანკალებული ხმით დაიძახა:

- ოლივერ!
- აქედან გამომიშვით! - დაიყვირა ოლივერმა.
- ჩემი ხმა იცანი, ოლივერ? - ჰკითხა მისტერ ბამბლმა.
- ჰო, - უპასუხა ოლივერმა.
- და არ გეშინია? არ კანკალებ, როცა ჩემი ხმა გესმის? - შეეკითხა მისტერ ბამბლი.
- არა! - უკმეხად უპასუხა ოლივერმა.

პასუხმა, რომელიც სრულებით არ ჰგავდა იმას, რასაც ელოდა და შეჩვეული იყო, მისტერ ბამბლი დააბნია. ის საკლიტულს მოშორდა, წელში გაიმართა და გაოგნებული მიაჩერდა იქ მყოფებს, ხან ერთს უყურებდა, ხან მეორეს, ხანაც მესამეს.

- ოჰ, ხედავთ, მისტერ ბამბლ, ჭკუიდან შეცდა, - თქვა მისის საუერბერიმ, -
ვერც ერთი ბიძი ვერ გაბედავს, ასე დაგელაპარაკოთ.

- ეს სიგიჟე არ არის, - რამდენიმეწამიანი ჩაფიქრების შემდეგ უპასუხა მისტერ ბამბლმა, - ამის მიზეზი ხორცია.
- რა ბრძანეთ? - წამოიძახა მისის საუერბერიმ.

- ხორცი, მისის, ხორცი, - პირქუშად და გამოთქმით წარმოთქვა მისტერ ბამბლმა, - ძალიან ბევრს აჭმევთ, მისის, და მასში არაბუნებრივი და წინააღმდეგობრივი სული გააღვიძეთ, რაც სრულებით არ სჭირდება მისი მდგომარეობის ადამიანს. ამას საბჭოს წევრებიც გეტყვიან, მისის, რომლებიც, იმავდროულად, გამოცდილი ფილოსოფოსებიც ბრძანდებიან. დატაკს სული რისთვის სჭირდება? ისიც ეყოფა, მის განკარგულებაში სხეულს რომ ვტოვებთ.
ბიჭისთვის მარტო ფაფა რომ მიგეცათ, ასეთი რამ არ მოხდებოდა.

- ოჰ, ღმერთო ჩემო! - წამოიყვირა მისის საუერბერიმ და თვალებთან ცხვირსახოცი მიიტანა, - აი, რა მოაქვს გულუხვობას!

მისის საუერბერის გულუხვობა იმით გამოიხატებოდა, რომ ოლივერს გულისამრევი ნარჩენებით უმასპინძლებოდა, რომელსაც სხვა პირს არაფრისდიდებით არ დააკარებდა. და შესაბამისად, მზად იყო, მისტერ ბამბლის მიერ წამოყენებული ეს მძიმე ბრალდება ნებაყოფლობით საკუთარ თავზე მიეღო. სიმართლე მოითხოვს აღინიშნოს, რომ არც აზრით, არც სიტყვით, არც საქმით ის დამნაშავე არ გახლდათ.

- აჰ! - თქვა მისტერ ბამბლმა, როდესაც ქალმა თვალები ძირს დახარა, - ახლა მხოლოდ ერთი რამაა შესაძლებელი: ერთი-ორი დღე საკუჭნაოში იჯდეს, რომ

ცოტათი მოშვიდეს, მერე იქიდან გამოიყვანეთ და შეგირდობის დასრულებამდე მხოლოდ ფაფა აქამეთ. ბიჭი ცუდი ოჯახიდანაა. ადვილად რომ ადლეგგზნებიან,

ისეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება, მისის საუერბერი! ძიძაც და ექიმიც ამბობდნენ, დედამისი აქამდე ისეთი წვალებისა და ტანჯვის მიუხედავად ჩამოვიდა, რომელიც ნებისმიერ სხვას ბოლოს მოუღებდაო.

როდესაც მისტერ ბამბლმა დედამისი ახსენა, ოლივერმა, რომელსაც მხოლოდ ეს მოესმა და მეტი არაფერი, ისეთი გაშმაგებით დაუშინა წიხლები საკუჭნაოს კარს, რომ ყველა ხმა გადაფარა.

სწორედ ამ კრიტიკულ მომენტში დაბრუნდა შინ საუერბერი. როდესაც ორივე ქალმა ოლივერის საქციელის შესახებ ისეთი გადაჭარბებით უამბო, რომ რაც შეიძლებოდა განერისხებინათ, მისტერ საუერბერი მაშინვე საკუჭნაოს კარს ეცა, თავის დაუმორჩილებელ შეგირდს ქეჩოში ხელი წაავლო და გამოათრია.

ცემის დროს ოლივერის ტანსაცმელი სრულიად დაფლეთილიცყო; სახე ჩალურჯებოდა და ნაკაწრებით ჰქონდა დაფარული; გაწეწილი თმა შუბლზე ჩამოშლოდა, მაგრამ მისი სახე ისევ მრისხანებას გამოხატავდა. როდესაც საკუჭნაოდან გამოიყვანეს, ნოეს პირქუშად შეხედა და შეშინებული სრულებითაც არ ჩანდა.

- რას ჰგავს შენი საქციელი, ჰა? - თქვა მისტერ საუერბერიმ და სილა გააწნა.

- დედაჩემს ლანძღავდა, - უპასუხა ოლივერმა.

- მერე რა მოხდა, თუ ლანძღავდა, უმადურო არამზადავ, - წამოიძახა მისის საუერბერიმ, - რასაც მასზე ამბობენ, იმსახურებს და იმაზე მეტსაც.

- არა, არ იმსახურებს, - არ შეეპუა ოლივერი.

- იმსახურებს, - არ ჩამორჩა მისის საუერბერი.

- ტყუილია! - წამოიძახა ოლივერმა.

მისის საუერბერის ცრემლებმა მისტერ საუერბერის არჩევანის საშუალება მოუხპო. თუ ბიჭის მკაცრად დასჯის საქმეში ცოლი ყოყმანს შეატყობდა, როგორც

არაერთხელ მომხდარა ცოლ-ქმრის კამათისას, ქალი უწოდებდა პირუტყვს, აუტანელ ქმარს, საზარელ არსებას, მამაკაცის პაროდისა და კიდევ სხვა მრავალ მსგავს მეტსახელს, რომელთა ჩამოთვლისთვის ამ თავში ადგილი არ გვეყოფა. სიმართლე ითხოვს, ითქვას, რომ მისი ძალაუფლების ფარგლებში - ეს

ფარგლები კი მეტისმეტად შეზღუდული გახლდათ - მისტერ საუერბერი მზად იყო,

ბიჭი შეებრალებინა, რადგან ეს მის ინტერესებს პასუხობდა, ან შესაძლოა, იმიტომაც, რომ მის ცოლს ბიჭი არ მოსწონდა. მაგრამ ცოლის ცრემლებმა გამოუვალ მდგომარეობაში ჩააგდო და ოლივერს ისე სცემა, რომ მისის საუერბერი სრულიად დაკმაყოფილდა, ხოლო მისტერ ბამბლს თითის განძრევა და თავისი კვერთხის გამოყენება არც კი დასჭირვებია. დაღამებამდე ოლივერი

საკუჭნაოში ჰყავდათ ჩაკეტილი, სადაც მის მარტობას ტუმბო და პურის ყუა იზიარებდა; სადამოს კარის იქით მდგარმა მისის საუერბერიმ რამდენიმე, დედამისის ხსოვნისთვის არცთუ სასიამოვნო შენიშვნა გამოთქვა, ნოე და შარლოტი ენამწარე ხუმრობებს არ იშურებდნენ. შემდეგ მისის საუერბერიმ უბრძანა, ზემოთ დასადინებლად ასულიყო.

მხოლოდ მეკუბოს პირქუში ფარდულის სიჩუმეში მარტოდ დარჩენილმა მისცა თავს უფლება ოლივერმა, იმ განცდებისთვის მიეცა გზა, რომლებიც ამგვარი დღის შემდეგ ზავშვის სულში შეიძლება აღიმრას. ზიზლით უსმენდა დამცინავ შენიშვნებს, უსიტყვოდ აიტანა გაჯოხვა და მისი გული ისეთი სიამაყით

აღივსო, კოცონზე დასაწვავადაც რომ აეყვანათ, ხმას არც მაშინ ამოიღებდა. ახლა, როდესაც არავინ ხედავდა და მისი არავის ესმოდა, ოლივერი მუხლებზე

დაეცა, სახე ხელებში ჩარგო და ცხარე ცრემლით ატირდა. ამ უნარს ღმერთი ყველა ადამიანს უგზავნის, მაგრამ მის ასაკში ცოტას თუ მისცემია ასე გულამოსკვნით ტირილის საბაზი.

დიდხანს უძრავად იყო ოლივერი ამ მდგომარეობაში. როდესაც წამოდგა, სანთელი თითქმის მილეულიყო. ფრთხილად მიიხედ-მოიხედა და მიაყურადა, მერე ჩუმად გაალო კარი და ქუჩაში გაიხედა.

ცივი, ბნელი ღამე იდგა. ბიჭის აზრით, დედამიწისგან ვარსკვლავები ჩვეულებრივზე შორს მოჩანდა; უქარო ამინდი იდგა და მიწაზე დაფენილი ხეების

ჩრდილი სამარისებურად უძრავი იყო. კარი ჩუმად ჩაკეტა. თითქმის ჩამწვარი სანთლის სუსტ შუქზე ცხვირსახოცში გაახვია მწირი სამოსი, მერე სკამზე ჩამოჯდა და გათენებას დაელოდა.

როგორც კი დარაბებში სინათლის პირველი სხივები გაკრთა, ოლივერი წამოდგა და ისევ გახსნა საკეტი. ფარდულს მორცხვად მოავლო თვალი, სულ ერთ წამს შეყოყმანდა, მერე ზურგს უკან კარი გამოიხურა და ქუჩაში გავიდა.

ჯერ მარჯვნივ გაიხედა, შემდეგ მარცხნივ - არ იცოდა, საით გაქცეულიყო. გაახსენდა, ქალაქიდან გასასვლელად საზიდრები გორაკზე ადიოდნენ. მანაც გორაკისკენ მიმავალი გზა აირჩია. როდესაც მინდვრის გადამკვეთ ბილიკს მიაღწია, რომელიც ქალაქიდან გამავალ გზაზე გადიოდა, უკვე უყოყმანოდ დაადგა მას.

ოლივერს კარგად ახსოვდა, როგორ მორბოდა ამავე ბილიკზე მისტერ ზამბლის გვერდით, როდესაც მან ბიჭი ფერმიდან შრომის სახლში წაიყვანა. გზად ფერმისთვის უნდა ჩაეველო. ეს რომ გაიფიქრა, გულმა ბაგაბუგი დაუწყო და

კინალამ უკან მიბრუნდა. მაგრამ უკვე დიდი მანძილი ჰქონდა გავლილი, უკან

დაბრუნებით მეტ დროს დაკარგავდა. გარდა ამისა, დილაადრიაანი იყო და ვერავინ დაინახავდა; ამიტომ გზა განაგრძო.

ფერმის კოტეჯს მიაღწია. მის ბინადრებს ჯერ კიდევ ეძინათ. ოლივერი შეჩერდა და ბადში შეიხედა. პატარა ბავშვი კვალში მიწას ჩიჩქნიდა. მან ფერმკრთალი სახე ასწია და ოლივერმა თავისი ძველი მეგობარი იცნო. მისმა დანახვამ ქალაქიდან წასვლამდე გაახარა; ბიჭი მასზე უმცროსი იყო, ოლივერი

მასთან მეგობრობდა და ერთად ხშირად თამაშობდნენ. მათ ერთად სცემდნენ, აშიმშილებდნენ, დასასჯელად ამწყვდევენ.

- ჩუ, დიკ! - თქვა ოლივერმა, როდესაც ბიჭმა ჭიშკართან მიივლია და მისასალმებლად რიკულებში ხელები გაყო, - ჯერ ხომ არ ამდგარან?

- არა, ყველას სძინავს, - უპასუხა ბიჭუნამ.

- დიკ, არავის უთხრა, რომ მნახე, - თქვა ოლივერმა, - გავიქეცი. მცემდნენ და მბრაზებდნენ და გადავწყვიტე, აქედან შორს ვეწიო ბედს, მაგრამ არ ვიცი, სად. როგორი ფერმკრთალი ხარ!

- გავიგონე, ექიმმა თქვა, მალე მოკვდებაო, - უნიათოდ გაიღიმა ბიჭუნამ, - მიხარია შენი ნახვა, ახლა კი წადი, წადი!

- არა, უნდა დაგემშვიდობო, - უპასუხა ოლივერმა, - ისევ შევხვდებით ერთმანეთს, დიკ. ვიცი, რომ ასე იქნება! ჯანმრთელი და ბედნიერი იქნები!

- იმედია, - თქვა ბიჭუნამ, - ალბათ, რომ მოკვდები, მერე. ვიცი, რომ ექიმი მართლს ამბობს, ოლივერ, იმიტომ, რომ ძალიან ხშირად მესიზმრება ზეცა, ანგელოზები, კეთილი სახეები, რომლებსაც ცხადში ვერ ვხედავ. მაკოცე, - და პატარა, დაბალ კუტიკარზე აბობლდა, ოლივერს კისერზე მკლავები შემოხვია, - მშვიდობით, ძვირფასო! ღმერთი იყოს შენი შემწე.

ეს დალოცვა ბავშვმა წარმოთქვა, მაგრამ ოლივერმა პირველად გაიგონა ის და წინააღმდეგობით, მწუხარებით, უბედურებითა და დაბრკოლებებით აღსავსე ცხოვრების განმავლობაში აღარასოდეს დავიწყებია. თავი 8 ოლივერი ლონდონში მიდის; გზად უცნაურ ახალგაზრდა ჯენტლმენს გადაეყრება

ოლივერი ალაგეს მიადგა, რომლითაც ბილიკი მთავრდებოდა, შემდეგ ისევ ფართო გზაზე გავიდა. დილის რვა საათი იყო. ქალაქს თითქმის ხუთი მილი აშორებდა. მთელი შუადღე მირბოდა, რადგან მდევერების ეშინოდა. ბოლოს გზის პირას მიწების მაჩვენებელ სვეტთან ჩამოჯდა და იმაზე დაიწყო ფიქრი, საით წასულიყო და როგორ ეცხოვრა ამიერიდან.

სვეტზე, რომლის ძირშიც იჯდა, დიდი ასოებით ეწერა, რომ ლონდონამდე სამოცდაათი მილია დარჩენილი. ამ წარწერამ ბიჭს ათასი ფიქრი აუშალა. ლონდონი!.. დიადი, უნარმაზარი ქალაქი!... ვერავინ, მისტერ ბამბლიც კი ვერასოდეს იპოვის იქ! შრომის სახლის მოხუცები ამბობდნენ, რომ საზრიან ყმაწვილს ლონდონში არაფერი გაუჭირდება, რომ ამ დიდ ქალაქში ფულის შოვნის იმდენი საშუალებაა, პროვინციელებს არც კი დასიზმრებიათ. ეს სწორედ უსახლკარო ბიჭისთვის შესაფერისი ადგილი იყო, რომელიც ქუჩაში დარჩენილი, დახმარების გარეშე შეიძლება მომკვდარიყო. ამ ფიქრებმა როგორც კი გაუელვა,

ოლივერი წამოხტა და გზა განაგრძო.

ლონდონამდე მანძილი კიდევ ოთხი მილით შეამცირა და პირველად მაშინ დაფიქრდა, კიდევ რამდენის მოთმენას შეძლებდა, ვიდრე თავისი მოგზაურობის საბოლოო მიზანს მიაღწევდა. ნაბიჯი შეანელა და ახლა იმაზე დაიწყო ფიქრი, როგორ მიეღწია იქამდე. პატარა ფუთაში პურის ქერქი, ხამი ტილოს პერანგი და ორი წყვილი წინდა ედო. კიდევ ჯიბეში მისტერ საუერბერის ნაჩუქარი პენი ეგულეობდა, როდესაც რომელიღაც დაკრძალვაზე ოლივერმა თავი განსაკუთრებით ისახელა. „სუფთა პერანგი შესანიშნავი რამაა, - გაიფიქრა ოლივერმა, - ასევე ორი წყვილი დაკემსილი წინდა და პენიც, მაგრამ ეს მეტად მწირი დახმარებაა იმისთვის, ვისაც ზამთარში სამოცდახუთი მილი აქვს გასავლელი“.

სხვა ადამიანების მსგავსად, ოლივერიც სიძნელეების შემჩნევისა და აღმოჩენის განსაკუთრებული უნარით გამოირჩეოდა, მაგრამ მათი გადალახვისთვის რაიმე საშუალების მოფიქრებას რაც შეეხება, სრულიად უმწეო გახლდათ. ამოდ ბევრი იფიქრა, მერე თავისი ფუთა მეორე მხარზე მოიგდო და გზა განაგრძო.

იმ დღეს ოლივერმა ოცი მილი გაიარა; იმ ხნის განმავლობაში პურის გამხმარი ქერქის გარდა პირში არაფერი ჩასვლია, ხოლო გზის პირას ერთ-ერთ კოტეჯში წყლის დაღვევის ნებართვა ითხოვა. დაბნელებისთანავე მინდორში გადავიდა, თივის ზვინში ჩაწვა და გადაწყვიტა, დილამდე აქ დარჩენილიყო. თავიდან შეშინდა, რადგან მოშიშვლებული ველების თავზე ქარის ხმა ნაღვლიან კვნესად ისმოდა; სციოდა, შიოდა და არასოდეს უგრძნია თავი ასე მარტოსულად. მაგრამ სიარულისგან ძალიან დაღლილს მალევე ჩაეძინა და თავისი გასაჭირი დროებით დაავიწყდა.

მეორე დილით, გაღვიძებულს შეამცივნა, კიდურები გაშეშებოდა და ისე მოშივდა, პირველივე შემხვედრ სოფელში თავისი პენი პურის პაწაწინა ნაჭერზე გადაცვალა. თორმეტ მილზე მეტის გავლა ვერ შეძლო, როდესაც ისევ დაბნელდა. სიარულისგან ქუსლები სტკიოდა და ფეხები თავისით ეკეცებოდა. კიდევ ერთმა ღამემ გაიარა, რომელიც ცივ და ნესტიან ადგილზე გაატარა; თავი უფრო ცუდად იგრძნო; და დილით გზას რომ დაადგა, ძლივსლა მიჩანჩალეობდა.

ციცაბო გორაკის ძირში იდგა და საფოსტო კარეტის მოახლოებას ელოდა, რათა გარეთ მჯდომი მგზავრებისთვის მოწყალება ეთხოვა, მაგრამ ყურადღება ცოტამ თუ მიაქცია და უთხრეს, ნახევარ პენის მხოლოდ მაშინ მიიღებ, თუ

მკვირცხლად აირბენ გორაკის წვერამდეო. საბრალო ოლივერი ცდილობდა, კარეტას არ ჩამორჩენოდა, მაგრამ არ გაუმართლა: ძალიან დაღლილი იყო და ფეხები სტკიოდა. მგზავრებმა მომზადებული ნახევარი პენი ჯიბეებში ჩააბრუნეს და უთხრეს, ზარმაცი ლეკვი ყოფილხარ, ამიტომ არაფერს იმსახურებო. კარეტა გზაზე წარახრახდა და მტვრის ღრუბელი დატოვა.

ზოგიერთ სოფელში დიდი ფერადი დაფები იყო დამაგრებული და წარწერები იუწყებოდა, რომ ამ ოლქში მათხოვრობისთვის პატიმრობით სჯიდნენ. ოლივერს ასეთი წარწერის დანახვა ყოველთვის შიშს ჰგვრიდა, ამიტომ რაც შეიძლება სწრაფად შორდებოდა იქაურობას. სხვა სოფლებში სასტუმროების წინ იდგა და დაღვრემილი შესცქეროდა გამვლელებს: როგორც წესი, ეს იმით მთავრდებოდა, რომ სასტუმროს დიასახლისი ფოსტის რომელიმე თანამშრომელ ბიჭუნას სთხოვდა, უცნაური ბიჭი მისი სასტუმროს მიდამოებიდან მოეცილებინა, რადგან დარწმუნებული გახლდათ, ბიჭი რაღაცის ასაწაპნად ემზადებოდა. თუ ფერმას მიადგებოდა, ათიდან ცხრა შემთხვევაში ძალის მიქსევით ემუქრებოდნენ; თუ სავაჭრო ფარდულში შეიხედავდა, მაშინვე ბიდლის მოყვანით ემუქრებოდნენ და ოლივერს მის ხსენებაზე შიშით პირი უშრებოდა – ძალიან ხშირად კი მრავალი საათის ნაშიმშილარს პირში მხოლოდ ნერწყვი ედგა.

ოლივერის ტანჯვა იმაზე ადრე დასრულდებოდა, ვიდრე დედამისის, საგზაო შლაგბაუმის გულკეთილ დარაჯსა და დიდსულოვან მოხუც ლედის რომ არ გადაჰყროდა; სხვაგვარად რომ ვთქვათ, საბრალო დიდ სამეფო გზაზე სულს განუტევებდა. დარაჯმა პურიტა და ყველით დააპურა, ხოლო მოხუცმა ლედიმ, რომლის შვილიშვილი რომელიდაც შორეულ ქვეყანაში ფეხშიშველი დახეტიალებდა, რადგან მისი ხომალდი ზღვაში დაიღუპა, საბრალო ობოლი შეიცოდა და ის მცირედი საგზალი გაუყო, რაც თან ჰქონდა; მაგრამ რაც მთავარია, მან ოლივერს კეთილი, ალერსიანი სიტყვები აჩუქა თანაგრძნობისა და კეთილგანწყობის ცრემლებთან ერთად. ეს კი ოლივერს უფრო ღრმად ჩარჩა გულში, ვიდრე მანამდე თავს დამტყდარი ყველა გასაჭირი.

მშობლიური ქალაქის დატოვებიდან მეშვიდე დღეს ოლივერმა კოჭლობით, ნელა შეაბიჯა პატარა ქალაქ ბარნეტში. მზე მთელი თავისი დიდებულებით ამოდიოდა, მაგრამ დღის სინათლემ ოლივერს უფრო ცხადად აგრძნობინა საკუთარი მარტოობა და მარტოსულობა, როდესაც გასისხლიანებული, მტვრიანი ფეხებით რომელიდაც სახლის კიბეზე იჯდა.

ნელ-ნელა გააღეს დარაბები, ფანჯრებზე ფარდები გადასწიეს, ქუჩაში გამვლელები გამოჩნდნენ. ზოგიერთი ნაბიჯს ანელებდა და ოლივერს უმზერდა, სხვები გზას აგრძელებდნენ და მერე უკან იხედებოდნენ; მაგრამ ბიჭისთვის დახმარების ხელი არავის გაუწვდია და არ უკითხავს, საიდან მოხვდა ამ

ქალაქში. მოწყალეების სათხოვნელად სითამამე არ ეყო. ისევ ისე იჯდა კიბის საფეხურზე, კართან.

დიდხანს იჯდა ასე მოკუნტული; გაკვირვებით უმზერდა ქუჩაზე ჩამწკრივებულ

უთვალავ ლუდხანას (ბარნეტის ყოველი მეორე სახლის პირველ სართულზე დიდი

ან მომცრო ტავერნა იყო გახსნილი), გულგრილად ათვალიერებდა ჩაქროლილ კარეტებს და იმაზე ფიქრობდა, რომ იმ მანძილის დაფარვას, რასაც თავისი ასაკისთვის გასაოცარი სიმამაცითა და შეუპოვრობით შვიდი დღე მოანდომა, ისინი სულ რამდენიმე საათში ახერხებდნენ. ამაზე ფიქრობდა, როდესაც უეცრად

ვიღაც ბიჭი დაინახა: რამდენიმე წუთის წინ მან გულგრილად ჩაუარა, ახლა კი

დაბრუნდა და მოპირდაპირე ქუჩიდან ადევნებდა თვალს. თავდაპირველად, ოლივერმა ეს არაფრად ჩააგდო და ყურადღება არ მიაქცია, მაგრამ ბიჭი უკვე იმდენ ხანს უთვალთვალებდა, რომ ოლივერმა თავი ასწია და ჯიქურ შეხედა. მაშინ ბიჭმა ქუჩა გადაჭრა, ოლივერს მიუახლოვდა და ჰკითხა:

- ეჭვი, ძმობილო, ცუდი ამბავი მოხდა?

ყმაწვილი, რომელმაც ახალბედა მოგზაურს მიმართა, დაახლოებით მისი ასაკის იყო, მაგრამ იმ ბიჭებს შორის, რომლებსაც ოლივერი შეხვედრია, ყველაზე

გასაოცარი გახლდათ. პაჭუა ცხვირი და ბრტყელი შუბლი ჰქონდა, სახის გამომეტყველებითაც დიდად არ გამოირჩეოდა, მაგრამ ისეთი ქუყყიანი იყო, რამდენადაც კი ამის წარმოდგენა შესაძლებელია; ამის მიუხედავად, თავი დიდივით მედიდურად ეჭირა. თავისი ასაკისთვის ტანდაბალი იყო, მოღრეცილი

ფეხები ჰქონდა და საზიზღარი თვალები. კეფაზე შლაპა ძლივს უმაგრდებოდა,

ყოველ წუთს ქვემოთ მოცოცავდა და თავიდან გადმოუვარდებოდა კიდეც, მაგრამ

მის მფლობელს დროდადრო თავის შერხევის ჩვევა ჰქონდა, რისი წყალობითაც

ქუდი ძველ ადგილს უბრუნდებოდა. ბიჭს მამაკაცის კოსტიუმი ეცვა, რომელიც

კოჭხამდე სწვდებოდა. სახელოები სანახევროდ გადაეკეცა და ხელის მტევნები მოუჩანდა, როგორც ჩანს, იმიტომ, რომ ველვეტის შარვლის ჯიბეებში გამომწვევად ჩაედო. ერთი სიტყვით, ეს გახლდათ მაღალყელიან ზონრიან ფეხსაცმელში გამოწყობილი ყველაზე თავდაჯერებული და უდარდელი, დაახლოებით ექვსი ფუტი სიმაღლის ახალგაზრდა ჯენტლმენი.

- ეჭვი, ძმობილო, ცუდი ამბავი მოხდა? - შეეკითხა ეს უცნაური ახალგაზრდა

ჯენტლმენი ოლივერს.

- ძალიან დავიღალე და მომშივდა, - უპასუხა თვალცრემლიანმა ოლივერმა,

-

შორიდან მოვდივარ. უკვე მეშვიდე დღეა.

- შვიდი დღეა მოდიხარ?! - წამოიძახა ახალგაზრდა ჯენტლმენმა, - ჰო,

ვხედავ. ნისკარტის ორდერის გამო, ხომ ასეა? მაგრამ, - დაამატა მან, როდესაც ოლივერის გაკვირვებულ სახეს თვალი შეავლო, - ჩემმა ნორჩმა კომ-პა-ნი-ონ-მა არ იცის, ნისკარტი რა არის.

ოლივერმა მორიდებით უპასუხა, რომ ნისკარტი ჩიტის პირია, ყოველ შემთხვევაში, ასე გაუგია.

- რა არიფია! - წამოიძახა ახალგაზრდა ჯენტლმენმა, - ნისკარტი ხომ მოსამართლეა. ჰოდა, მოსამართლის ორდერით მიდიხარ არა სწორ გზაზე, არამედ პირდაპირ სახრჩობელას ყულფამდე. იქიდან კი ველარაფერი დაგიხსნის.

საფეხურებიანი ბორბალი
თუ გინახავს?

-- როგორი ბორბალი?

- საფეხურებიანი! ბორბალი, რომელიც ისეთი პატარაა, რომ ციხეშიც კი შეიძლება ამუშაო. და რაც უფრო უკეთ მუშაობს, მით უფრო ცუდად გრძნობენ თავს ისინი, ვინც ამ ბორბალს ამუშავენ, იმიტომ, რომ თუ ადამიანები კარგად ცხოვრობენ, მის ასამუშავებლად ხალხს ვერ იპოვი... მაგრამ მისმინე, - განაგრძობდა ახალგაზრდა ჯენტლმენი, - ახლა შენ სათოხლავი გჭირდება და მიიღებ კიდევ. ახლა მე თვითონაც უფულოდ ვარ - მარტო ბობი და კაჭკაჭი მაქვს, მაგრამ რაკი ასეა საქმე, ჯიბეზე ხელს გავიკრავ. ადექი! მიდი! აი, ეგრე!
წავედით!

ახალგაზრდა ჯენტლმენი ოლივერს წამოდგომაში დაეხმარა და უახლოეს რძის ფარდულში შეიყვანა, სადაც ლორი და ოთხგირვანქიანი ფუნთუშის ნახევარი იყიდა, ან, როგორც თავად თქვა, „ოთხი პენსის მარცვლეული“; ლორს მტვრისგან მახვილგონივრული გამოგონება ინახავდა: ფუნთუშას რბილი გულის ნაწილს აცლიდნენ და შიგ ლორს დებდნენ. ახალგაზრდა ჯენტლმენმა პური ილლიაში ამოიჩარა, პატარა ლუდხანაში შეუხვია და უკანა ოთახში შევიდა. აქ, იდუმალი ახალგაზრდა ჯენტლმენის განკარგულებით, მას კათხა ლუდი მიუტანეს. ოლივერმა ახალი მეგობრის მიპატიჟებით ისარგებლა და დიდხანს და ბევრს ჭამდა. ამ ხნის განმავლობაში ახალგაზრდა ჯენტლმენი ლუდს ნება-ნება წრუპავდა და მას დაკვირვებით ათვალიერებდა.

- ლონდონში მიდიხარ? - ჰკითხა მას შემდეგ, რაც ოლივერმა, როგორც იქნა, ჭამა დაასრულა.

- ჰო.

-- ბინა თუ გაქვს?

- არა.

- ფული?

- არა.

ამის გაგონებაზე უცნაურმა ახალგაზრდა ჯენტლმენმა დაუსტვინა და ხელები ისე ღრმად ჩაიდო ჯიბეებში, რამდენადაც ამის საშუალებას კოსტიუმის გრძელი სახელოები იძლეოდა.

- თქვენ ლონდონში ცხოვრობთ? - შეეკითხა ოლივერი.

- ჰო. როცა შინ ვარ, - უპასუხა ახალგაზრდა ჯენტლმენმა, - ალბათ, ღამის გასათევი გჭირდება, ხომ ასეა?

- ძალიან მინდა, - უპასუხა ოლივერმა, - ჭერქვეშ არ მიძინია მას შემდეგ, რაც ჩემი ქალაქიდან წამოვედი.

- ამისათვის თვალების სრესა საჭირო არ არის, - თქვა ახალგაზრდა ჯენტლმენმა, - ამ საღამოს ლონდონში უნდა ვიყო, იქ კარგი ნაცნობი მყავს, ღირსეული მოხუცი ჯენტლმენი, რომელიც მუქთად შეგიფარებს და ხურდასაც არ

გამოგართმევს, - რასაკვირველია, ისეთმა ჯენტლმენმა უნდა მიგიყვანოს, რომელსაც ის იცნობს. განა მე არ მიცნობს? ოჰ, არა! სრულიადაც არა! რასაკვირველია, წარმოდგენა არა აქვს, ვინ ვარ!

ახალგაზრდა ჯენტლმენმა გაიღიმა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ბოლო წინადადებები ხუმრობით იყო ნათქვამი. მან თავისი ლუდი გამოცალა.

თავშესაფრის შემოთავაზება იმდენად მაცდური გახლდათ, რომ მასზე უარის თქმა შეუძლებელი იყო. გარდა ამისა, ამას მოჰყვა დამაიმედებელი სიტყვები, რომ ეს ღირსეული ჯენტლმენი ოლივერს უახლოეს ხანში მოუძებნიდა კარგ ადგილს. ამას მოჰყვა კიდევ უფრო გულითადი და გულახდილი საუბარი, რომლის

დროსაც ოლივერმა გაარკვია, რომ მის მეგობარს ჯეკ დაუკინსი ჰქვია და ზემოთ

ხსენებული ჯენტლმენის განსაკუთრებული სიყვარულითა და მფარველობით სარგებლობს.

მისტერ დაუკინსის გარეგნობა სრულებით არ მოწმობდა იმ კომფორტს, რომელსაც მისი პატრონი თავისი მფარველობის ქვეშ მყოფთ უწევდა. მაგრამ საკმაოდ ქარაფშუტულად და გულახდილად საუბრობდა და ისიც დაამატა, მეგობრები ხუმრობით მეტსახელად „მარჯვე ცუდლუტს“ მეძახიანო. ოლივერმა დაასკვნა, ალბათ, ამ უდარდელ და ქარაფშუტა ბიჭზე მისი მზრუნველის დარიგებამ აქამდე სათანადოდ არ იმოქმედაო. ამიტომ თავისთვის გადაწყვიტა,

მოხუცი ჯენტლმენის კეთილგანწყობა რაც შეიძლებოდა სწრაფად დაემსახურებინა და თუ ცუდლუტი არ გამოსწორდებოდა, მისგან თავი შორს დაეჭირა.

რაკი ჯეკ დაუკინსს ლონდონში შესვლა დადამებამდე არ სურდა, კიდევ თერთმეტი საათი იცადეს და მხოლოდ ამის შემდეგ მიაღწიეს იზლინგტონის საგზაო შლაგაუმს. „ენჯელიდან“

სენტ-ჯონ-როუდზე შეუხვიეს, პატარა ქუჩა გაიარეს, რომელიც სედლერს-უელსის

თეატრთან

მთავრდებოდა, ექსმაუთ-სტრიტსა და კოპის-როუს ჩაუარეს, შრომის სახლის პატარა ეზო გადაიარეს, გადაჭრეს ჰოკლი-ინ-ზი-ჰოული, საიდანაც საფრონ-ჰილზე შეუხვიეს, მერე გრეიტ-საფრონ-ჰილზე და აქ კი ცუდლუტი წინ სირბილით გაიქცა, ოლივერს კი უბრძანა ფეხდაფეხ მიჰყოლოდა.

მართალია, ოლივერის მთელი ყურადღება იქით იყო მიპყრობილი, გამყოლი თვალთახედვის არიდან არ დაეკარგა, მაინც ახერხებდა მიდამოს დათვალიერებას. ამაზე ბინძური და საძაგელი ადგილი არასოდეს უნახავს. ძალიან ვიწრო და ჭუჭყიანი ქუჩა იყო, ყარდა. უთვალავი პატარა სავაჭრო ფარდულის ერთადერთი გასაყიდი საქონელი ბავშვები გეგონებოდათ, რომლებიც ასეთი გვიანი დროის მიუხედავად, ან შესასვლელ კარებში ირეოდნენ,

ან მთელი ხმით ყვიროდნენ სახლებში. ამ გულისამრევ ადგილზე მეტ-ნაკლებად

მომგებიანი საქმიანობით პაბები გამოირჩეოდა, რომლებშიც ირლანდიელთა შორის ყველაზე ნაძირალები გალემილიყვნენ და რაც ძალი და ღონე ჰქონდათ,

ღრიალებდნენ. მთავარი ქუჩის სიახლოვეს მდებარე ჩიხებსა და ეზოებშიც ერთმანეთის მიჯრით აგებული სახლები მოჩანდა. ამ სახლების ბინადარი ქალები და მამაკაცები, ასევე მთვრალები, ლამის ტალახში გორაობდნენ. ზოგიერთი სახლიდან ფეხაკრეფით გამოიძურწებოდნენ ხოლმე ვიღაც საეჭვო გარეგნობის ყმაწვილები, აშკარად არცთუ ისე სასახელო და უხიფათო საქმეების

მოსაგვარებლად.

ოლივერმა ისიც კი გაიფიქრა, აქედან ჩუმად ხომ არ გავიპარო, მაგრამ გორაკიდან უკვე ეშვებოდნენ, როცა მეგზურმა ხელი სტაცა, ფილდ-ლეინის სიახლოვეს მდებარე ერთ-ერთი სახლის კარი გააღო, დერეფანში შეიყვანა და კარი ჩაკეტა.

- ეი, მანდ ვინ არის? - მოისმა ქვემოდან ხმა ცუდლუტის სტვენის საპასუხოდ.

- ეშმაკობა და იღბალი, - იყო პასუხი.

როგორც ჩანს, ეს პაროლი ან სიგნალი გახლდათ, რომელიც იმას ნიშნავდა, რომ ყველაფერი რიგზეა; გრძელი დერეფნის ბოლოს - სანთლის სუსტი შუქი,

ხოლო სამზარეულოსკენ მიმავალი კიბის დამტვრეული მოაჯირიდან მამაკაცის სახე გამოჩნდა.

- ორნი ხართ, - თქვა მან და ცალი ხელით სანთელი ასწია, მეორით კი თვალები სინათლისგან მოიჩრდილა, - ეს მეორე ვინ არის?

- ახალი მეგობარი, - უპასუხა ჯეკ დაუკინსმა და ოლივერი ხელის კვრით წინ გასწია.

- საიდან გაჩნდა?

- არიფების ქვეყნიდან... ფეიჯინი ზემოთაა?

- ჰო, აწაპნულ ნივთებს ახარისხებს. ზემოთ ადი!

სანთლის შუქი და მასთან ერთად მამაკაცის სახეც გაქრა. ოლივერი ცალი ხელით სიბნელეში გზის გაგნებას ცდილობდა, მისი მეორე ხელი ახალ მეგობარს

მაგრად ჩაებდუჯა, გაჭირვებით მიიკვლევდა გზას კიბეზე, რომელზედაც მისი მეგზური ისეთი სიმარჯვეთა და სისწრაფით ადიოდა, რომ ცხადი იყო, გზას კარგად იცნობდა. ჯეკმა უკანა ოთახის კარი გააღო და ოლივერიც შეიყვანა.

ამ ოთახის კედლები და იატაკი დრო-ჟამსა და მტვერს სრულიად გაეშავებინა.

ბუხრის წინ ფიჭვის მერქნისგან გამოჩორკნილი მაგიდა იდგა. მასზე ჯანჯაფილის

ლუდის ბოთლის ყელში ჩამაგრებული სანთელი მოჩანდა, ორი თუ სამი ალუმინის ჭიქა, პური, კარაქი და თეფშიც დაეწყით. ბუხრის თავზე, მავთულით

ჩამოკიდებულ ტაფაზე, სოსისი იწვებოდა, ხოლო ტაფასთან პურის შემწვარი ნაჭრების გადასაბრუნებელი ჩანგლით ხელში მოხუცი, დანაოჭებულსახიანი ებრაელი იდგა, რომლის ბოროტ, ამაზრზენ სახეს ყალყზე დამდგარი წითური თმა გარს ევლებოდა. გაქონილი ფლანელის ხალათი ეცვა ღია საყელოთი, ყურადღებით დასცქეროდა ხან სოსისებს, ხან კი საკიდს, რომელზედაც უთვალავი ცხვირსახოცი ეკიდა. იატაკზე საწოლებად გამოყენებული ძველი ტომრები დაეგოთ. მაგიდასთან დაახლოებით ცულლუტის ასაკის ოთხი-ხუთი ბიჭი იჯდა და სოლიდური მამაკაცებისთვის დამახასიათებელი

სერიოზულობით

გრძელ თიხის ჩიბუხებს ეწეოდნენ, თან სასმელს ყლურწავდნენ. ყველა ცულლუტს შემოერთყა გარს, როდესაც მან მოხუც ებრაელს რამდენიმე სიტყვა უჩურჩულა, მერე შებრუნდნენ, ოლივერს უყურებდნენ და იღიმოდნენ. ასევე მოიქცა ებრაელიც, რომელსაც ჩანგალი ისევ ხელში ეჭირა.

- აი, ეს არის, ფეიჯინ, - თქვა ჯეკ დაუკინსმა, - ჩემი მეგობარი ოლივერ ტვისტი.

ებრაელმა ჩაიცინა, ოლივერს თავი მდაბლად დაუკრა, ხელი გაუწოდა და იმედი გამოთქვა, რომ მისი უფრო ახლოს გაცნობის პატივი ეღირსებოდა. ოლივერს ჩიბუხიანი ყმაწვილებიც შემოეხვივნენ, ორივე ხელს მაგრად ართმევდნენ, განსაკუთრებით იმას, რომლითაც ფუთა ეჭირა. ერთ-ერთმა ახალგაზრდა ჯენტლმენმა მისი ქუდი განსაკუთრებული მოწიწებით დაკიდა, ხოლო მეორემ ჯიბეებში ხელები ჩაუყო, რათა მგზავრობით დაღლილ ოლივერს

იქიდან ნივთების ამოღებით თავი აღარ შეეწუხებინა. მათი მზრუნველობა, ალბათ, კიდევ გაგრძელდებოდა, მაგრამ ებრაელი ბიჭებს თავისი ჩანგლით დაერია - ზოგს თავში ურტყამდა და ზოგსაც ბეჭებზე.

- მოხარული ვართ, რომ გაგიცანით, ოლივერ; ძალიან, ძალიან გვიხარია... -

თქვა ებრაელმა, - ცულლუტო, სოსისი გადმოიღე და ცეცხლთან ახლოს მოიტანე

კასრი ოლივერისთვის. ცხვირსახოცებს უყურებ, ბიჭუნა? ბევრია, ხომ ასეა? ისინი

ეს-ეს არის, გადავარჩიეთ, ასე ვთქვათ, გასარეცხად მოვამზადეთ. სულ ეს არის,

ოლივერ, სულ ეს არის. ჰა-ჰა-ჰა!

მხიარული მოხუცი ჯენტლმენის ბოლო სიტყვებს მისი ნიჭიერი შეგირდები ხარხართა და ხმაურით შეხვდნენ; ასე მხიარულად შეუდგნენ ვახშმობას.

ოლივერმა თავისი ულუფა შეყამა, შემდეგ ებრაელმა წყლით გაზავებული ცხელი ჯინი დაუსხა და უბრძანა, ერთი ყლუპით დაეღია, რადგან ჭიქა სხვა ჯენტლმენს სჭირდებოდა. ოლივერი დაემორჩილა და მაშინვე იგრძნო, როგორ გადაიყვანეს ერთ-ერთ ტომარაზე, მერე ღრმად ჩაეძინა. თავი 9 სანდომიანი ხანდაზმული ჯენტლმენისა დამისი ნიჭიერი შეგირდების შესახებ

ხანგრძლივი, ღრმა ძილის შემდეგ ოლივერს მეორე დღეს გვიან გაეღვიძა. მოხუცი ებრაელის გარდა ოთახში არავინ იყო; ის საუზმისთვის ყავას ხარშავდა, რკინის კოვზით ურევდა და ხმადაბლა უსტვენდა. დროდადრო ჩუმდებოდა და ქვემოდან ამომავალ ხმაურს აყურადებდა, ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების შემდეგ კი ისევ აგრძელებდა სტვენასა და ყავის მორევას.

მართალია, ოლივერს აღარ ეძინა, მაგრამ მასზე გაღვიძებულსაც ვერ იტყოდით. არსებობს ასეთი მთვლემარე მდგომარეობა ძილსა და ღვიძილს შორის, როდესაც სანახევროდ დახუჭული თვალებით წევხართ და ასევე სანახევროდ აღიქვამთ იმას, რაც გარშემო ხდება, მაგრამ ხუთ წუთში შეიძლება იმდენი ზიანება ნახოთ, რამდენსაც ვერასოდეს იხილავთ თუნდაც ხუთი დამის განმავლობაში მაგრად დახუჭული თვალებით ღრმა ძილისას. ასეთ დროს მოკვდავმა საკუთარი სულის შესახებ ზუსტად იმდენი იცის, რომ შეიტყოს მისი დიადი ძლიერების შესახებ, თუ როგორ მოსწყდება ის მიწას და სხეულის ხაფანგიდან თავდაღწეული დროსა და სივრცეში ლაღად დანავარდობს.

სწორედ ასეთ მდგომარეობაში გახლდათ ოლივერი. სანახევროდ დახუჭული ქუთუთოების ქვემოდან ებრაელს ხედავდა, მისი სტვენა ესმოდა და ხმაურზე ხვდებოდა, რომ კოვზი ყავის სახარშის ძირს ეხებოდა. იმავდროულად, მისი გონება თითქმის ყველა იმ ადამიანზე ფიქრობდა, ვისაც ბიჭუნა იცნობდა.

როდესაც ყავა მოდულდა, მოხუცმა ებრაელმა სახარში ბუხრის ლითონის თაროდან გადმოდგა. რამდენიმე წუთს ჩაფიქრებული იდგა, თითქოს არ იცოდა, რა გაეკეთებინა, მერე შებრუნდა, ოლივერს შეხედა, სახელი დაუძახა, მაგრამ მას ხმა არ გაუცია, როგორც ჩანს, ეძინა.

დამშვიდებული ებრაელი კართან მივიდა და ჩაკეტა. შემდეგ, როგორც ოლივერს მოეჩვენა, იატაკის ქვეშ მოწყობილი სამალავიდან მომცრო ზარდახშა ამოიღო და ფრთხილად დადგა მაგიდაზე. როდესაც სახურავი ახადა და შიგ ჩაიხედა, თვალები გაუბრწყინდა. მაგიდასთან ძველი სკამი მისწია, ჩამოჯდა და ზარდახშიდან ძვირფასი თვლებით მორთული შესანიშნავი ოქროს საათი ამოიღო.

- აჰა! - ჩაილაპარაკა ებრაელმა, მხრები აწურა და სახეზე საზიზღარი ღიმილი

გამოესახა, – ჭკვიანი ძაღლები! ჭკვიანი ძაღლები! ძაღლივით ერთგულები!
მოხუც
მოდღვარს მაინც არ უთხრეს, საიდან არიან. მოხუცი ფეიჯინი არ დაასმინეს!
და
რატომ უნდა დაესმინათ? ეს ყულფს ვერ გახსნიდა და განაჩენს ერთი
წუთითაც
კი ვერ გადადებდა. არა, არა, არა! ყოჩად! ყოჩად!

ებრაელი ამ და კიდევ სხვა გაუგებარ სიტყვებს ბურტყუნებდა, საათი ისევ
ზარდახშაში ჩააბრუნა. იქიდან კიდევ სულ მცირე, ნახევარი დუჟინი საათი
სათითაოდ ამოალაგა და თითოეულს არანაკლები სიამოვნებით
ათვალიერებდა;
შემდეგ საუცხოოდ ნაკეთები ბეჭდების, გულსაბნევეების, სამაჯურებისა და
ისეთი
ძვირფასეულობის ჯერი დადგა, რომელთა სახელები ოლივერმა არც კი
იცოდა.

ამ ნივთების ზარდახშაში ჩალაგების შემდეგ ებრაელმა კიდევ რაღაც ამოიღო
იქიდან: ისეთი პატარა ნივთი, რომელიც მის ხელისგულზე ეტეოდა. როგორც
ჩანს, მასზე რაღაც წარწერა იყო ძალიან წვრილი ასოებით, იმიტომ, რომ
ნივთი
მაგიდაზე დადო, თვალები ხელით მოიჩრდილა, დიდხანს და ყურადღებით
ათვალიერებდა. ბოლოს, თითქოს წარმატების მიღწევის იმედი დაკარგაო,
სკამის საზურგეს მიეყრდნო და ჩაილაპარაკა:

– მშვენიერი რამ არის სიკვდილით დასჯა! მკვდრები ცოდვებს არ ინანიებენ;
მკვდრები არასასიამოვნო ამბებს არ დააყრანტალებენ. არა, ასეთი
ხელობისთვის ნამდვილად მშვენიერი რამაა სიკვდილით დასჯა! ხუთი
გასკვანჩეს და ერთიც აღარ დარჩა, რომ თანამზრახველი ხაფანგში შეიტყუოს
ან
რომელიმემ იდედლოს და სხვები გასცეს!

როდესაც ამ სიტყვებს ბურტყუნებდა, ებრაელი აელვარებულ მუქ თვალებს
აქეთ–იქით აცეცებდა და მოულოდნელად ოლივერის სახეზე შეჩერდა. ბავშვის
თვალები დაუფარავი ცნობისმოყვარეობით უმზერდა. მათი თვალები
ერთმანეთს სულ რაღაც წამის მეათედით შეხვდა ერთმანეთს, მაგრამ ეს
საკმარისი აღმოჩნდა, რათა მოხუცი მიმხვდარიყო – მას უთვალთვალეზდნენ.

ზარდახშის სახურავი ხმაურით დახურა, მაგიდაზე დადებულ პურის დანას
ხელი სტაცა და განრისხებული წამოხტა. მთელი სხეულით კანკალებდა;
შიშით

თავზარდაცემული ოლივერი ხედავდა, როგორ ირხეოდა დანა ჰაერში.

– ეს რა არის? – დაიყვირა ებრაელმა, – რატომ მითვალთვალეზ? რატომ
გაიღვიძე? რა დაინახე? ხმა ამოიღე, გესმის! ახლავე, თუ გინდა, ცოცხალი
დარჩე!

– მეტი ძილი აღარ შემემლო, სერ, – თვინიერად უპასუხა ოლივერმა, –
მაპატიეთ, თუ ხელი შევიშაღეთ, სერ.

– ერთი საათია, რაც გლვიძავს? – შეეკითხა ებრაელი და პირქუშად
დააცქერდა
ბიჭუნას.

- არა! არა! - წამოიძახა ოლივერმა.

- ეს მართალია? - დაიყვირა ებრაელმა და კიდევ უფრო მრისხანე მზერა მიაპყრო, თანაც ისე დადგა, რომ ბიჭს შეშინებოდა.

- გეფიცებით, სერ, მეძინა, - ცოცხლად უპასუხა ოლივერმა, - მართლა, სერ, მეძინა.

- კარგი, კარგი, ჩემო ძვირფასო, - თქვა ებრაელმა, საუბრის მისეულ მანერას დაუბრუნდა, ვიდრე დანას ისევ მაგიდაზე დადებდა, ხელში შეათამაშა, თითქოს სურდა, ეჩვენებინა, რომ გასართობად აიღო, - რასაკვირველია, ვიცი, ჩემო ძვირფასო! მარტო შენი შეშინება მინდოდა. მამაცი ბიჭი ხარ, ჰა-ჰა! მართლაც მამაცი ხარ, ოლივერ.

ებრაელმა ხელები ხითხითით მოიფშვნიტა, მერე შემფოთებით გადახედა ზარდახმას.

- ეს ლამაზი ნივთები თუ დაინახე, ჩემო ბიჭუნა? - ხანმოკლე ღუმილის შემდეგ ჰკითხა ებრაელმა და ზარდახმას ხელი დაადო.

- დიახ, სერ, - უპასუხა ოლივერმა.

- აჰა! - თქვა ებრაელმა და გაფითრდა, - ისინი ჩემია, ოლივერ; ჩემი პატარა ქონება. ყველაფერი ის, რაც დამრჩა, რათა სიბერეში არაფრის მეშინოდეს. ზოგიერთი ძუნწს მეძახის, ძვირფასო. მხოლოდ და მხოლოდ ძუნწს. ეს არის და ეს.

ოლივერმა გაიფიქრა, რომ მოხუცი ჯენტლმენი, ალბათ, მართლაც ძუნწი იყო, რადგან ამდენი საათის პატრონი ასეთ ბინძურ სოროში ცხოვრობდა, მაგრამ მერე დაასკვნა, ალბათ, ცულლუტსა და სხვა ბიჭებზე ზრუნვა დიდ ხარჯს ითხოვსო, ამიტომ ებრაელს მოწიწებით შეხედა და ადგომის ნებართვა ითხოვა.

- რასაკვირველია, ჩემო ბიჭო, რასაკვირველია, - უპასუხა მოხუცმა ჯენტლმენმა, - აი იქ, კართან, კუთხეში, წყლიანი დოქია. აქ მოიტანე, მე კი ტაშტს მოგცემ და დაიბანე.

ოლივერი ადგა და ოთახის მეორე ბოლოს მიაშურა, წყლიანი დოქის ასადებად დაიხარა. როდესაც შებრუნდა, მაგიდიდან ზარდახმა უკვე გამქრალიყო.

დაბანა, თავის მოწესრიგება და ებრაელის მითითებით, ჭუჭყიანი წყლის ფანჯრიდან გადასხმა ძლივს მოასწრო, რომ ცულლუტი მეგობართან ერთად დაბრუნდა, რომელიც წინა საღამოს ოლივერმა ჩიბუხით იხილა; ახლა ის ოფიციალურად წარუდგინეს ჩარლი ბეიტსის სახელით. ოთხივე საუზმის

მისართმევედ მაგიდას შემოუსხდა. საუბრეზე ყავა, ლორი და ცულლუტის მიერ ქუდით მოტანილი ცხელი ფუნთუშები მიირთვეს.

- აბა, - თქვა ებრაელმა, ეშმაკურად გადახედა ოლივერს და მერე ცულლუტს მიუბრუნდა, - იმედია, ძვირფასებო, დღეს იმუშავეთ?

- გვარიანად, - უპასუხა ცულლუტმა.

- უზადოდ, - დაამატა ჩარლი ბეიტსმა.

- კარგი ბიჭები ხართ, ძალიან კარგი, - განაგრძო ებრაელმა, - რა მოიტანე, ცულლუტო?

- ორი საფულე, - უპასუხა ამ ახალგაზრდა ჯენტლმენმა.

- სარჩულიანი? - დიდი ენთუზიაზმით ჰკითხა ებრაელმა.

- საკმაოდ სქელია, - უპასუხა ცულლუტმა და ორი საფულე გადასცა, ერთი მწვანე, მეორე - წითელი.

- შეიძლება უფრო მძიმეც ყოფილიყო, - შენიშნა ებრაელმა, რომელმაც ორივეს შიგთავსი ყურადღებით დაათვალიერა, - მაგრამ ძალიან აკურატულად და კარგადაა დამზადებული. კარგად იმუშავა, ხომ ასეა, ოლივერ?

- ძალიან კარგად, სერ, - უპასუხა ოლივერმა.

ჩარლი ბეიტსმა ოლივერის გასაკვირად გადაიხარხარა, გასაკვირად, რადგან ოლივერის აზრით, მას სასაცილო არაფერი უთქვამს.

- შენ რაღა მოიტანე, ჩემო ძვირფასო? - მიუბრუნდა ფეიჯინი ჩარლი ბეიტსს.

- საწმენდები, - უპასუხა ყმაწვილმა ბეიტსმა და ოთხი ცხვირსახოცი გაუწოდა.

- მაგასაც არა უშავს, - ებრაელი ყურადღებით დააკვირდა ცხვირსახოცებს, - ძალიან, ძალიან კარგებია. მაგრამ ნიშანი ცუდად დაადე, ჩარლი - ძაფით უნდა მოვაშოროთ. ოლივერს ვასწავლით, ეს როგორ ხდება. გასწავლოთ, ოლივერ? ჰა-ჰა-ჰა!

- დიახ, სერ, თუ შეიძლება, - თქვა ოლივერმა.

- გინდა ცხვირსახოცები ისევე მარჯვედ გააკეთო, როგორც ჩარლი ბეიტსს ეხერხება, ხომ ასეა, ჩემო ძვირფასო? - შეეკითხა ებრაელი.

- ძალიან მინდა, მასწავლოთ, სერ, - უპასუხა ოლივერმა.

ყმაწვილი ბეიტსი მისმა პასუხმა ისევ არნახულად გაამხიარულა და გადაიხარხარა, ხოლო ხარხარი კინაღამ მისი ნაადრევი სიკვდილით დასრულდა, რადგან ყავას სვამდა და სასმელი სასულეში გადასცდა.

- ღმერთო, რა არიფია! - წამოიძახა ჩარლი ბეიტსმა მოსულიერების შემდეგ და

ბოდიში მოიხადა უგვანი საქციელისთვის.

ცულლუტს ხმა არ ამოუღია, მხოლოდ თმა აუჩქა ოლივერს ისე, რომ თვალებზე ჩამოეყარა, შემდეგ თქვა, დროთა განმავლობაში დაჭკვიანდებო; ებრაელმა, რომელმაც შენიშნა, დამორცხვებული ოლივერი როგორ გაწითლდა, საუბრის თემა შეცვალა და იკითხა, დილით სიკვდილით დასჯას ბევრი ხალხი

თუ ესწრებოდაო. ოლივერი კიდეც უფრო გაოცდა, რადგან ბიჭების პასუხებით

გაირკვა, რომ ორივე იქ იყო, მაშინ გაუგებარია, ასე ბეჯითად მუშაობა როდისღა

მოასწრეს.

საუზმის შემდეგ მაგიდა აალაგეს და მხიარულმა მოხუცმა ჯენტლმენმა ორივე ბიჭთან ერთად საკვირველი და უცნაური თამაში წამოიწყო: შარვლის ერთ ჯიბეში სათუთუნე ჩაიდო, მეორეში – ბლოკნოტი, ჟილეტის ჯიბეში – საათი,

რომლის ძეწკვი კისერზე ჰქონდა შემოხვეული, პერანგზე ყალბი

ბრილიანტისთვლიანი სარჭი დაიმაგრა, სერთუკი ბოლომდე შეიკრა, მის ჯიბეში

სათვალის ბუდე და ცხვირსახოცი ჩაიდო და ხელჯოხით ხელში ოთახში ბოლთის

ცემას მოჰყვა ნაშუადღევს ქუჩებში სასაიროდ გასული მოხუცი ჯენტლმენების დარად. ხან ბუხრის, ხანაც კარის წინ შეჩერდებოდა, თითქოს ვიტრინებს დიდი

ყურადღებით ათვალიერებო. დროდადრო აქეთ-იქით იხედებოდა, ქურდების ეშინოდა, მალიმალ ჯიბეებზე იკრავდა ხელს და ამოწმებდა, რაიმე ხომ არ დაკარგა. ეს ყველაფერი ისეთი ბუნებრივი და თან სასაცილო იყო, რომ ოლივერს

სიცილით ცრემლები წამოუვიდა. ორივე ბიჭი უკან ფეხდაფეხ მისდევდა, როცა

მოხუცი შემობრუნდებოდა, ისე ოსტატურად იმალებოდნენ, რომ მათთვის თვალის მიდევნება შეუძლებელი იყო. ბოლოს ცულლუტმა მოხუცს ვითომ შემთხვევით ფეხზე დააბიჯა თუ შემთხვევით წამოედო, ხოლო ჩარლი ბეიტსი უკნიდან მივარდა და ორივემ თვალის დახამხამებაში ამოაცალა სათუთუნე, ბლოკნოტი, ძეწკვიანი საათი, ცხვირსახოცი და სათვალის ბუდეც კი.

თუ მოხუცი ჯიბეში რომელიმეს ხელს იგრძნობდა, მაშინვე ყვიროდა და თამაში თავიდან იწყებოდა.

ეს თამაში მრავალჯერ ითამაშეს, მერე ახალგაზრდა ჯენტლმენების სანახავად ორი ახალგაზრდა ლედი მოვიდა. ერთს ბეტი ერქვა, მეორეს კი – ნენსი. არც ისე რიგიანად დავარცხნილი თმის დიდი ბულულები ჰქონდათ, ჭუჭყიანი წინდები და ფეხსაცმელი ეცვათ. მათზე ვერ იტყოდი, სასიამოვნო გარეგნობის არიანო, მაგრამ ორივეს კარგი ფერი ედო სახეზე, ჯანმრთელები და

მხიარულები იყვნენ, თანაც სასიამოვნო მანერები ჰქონდათ, ამიტომ ოლივერმა გადაწყვიტა, მშვენიერი გოგონები არიანო და უეჭველია, ასეც იყო.

მათმა სტუმრობამ დიდხანს გასტანა. ვისკი დალიეს, რადგან ერთ-ერთმა ახალგაზრდა ლედიმ განაცხადა, რომ შიგნით, სხეულში ყველაფერი გაუშემდა.

ძალიან მხიარული და სასიამოვნო საუბარი წარიმართა. ბოლოს ჩარლი ბეიტსმა თქვა, მუხლის გამართვის დროაო. ოლივერმა გაიფიქრა, ალბათ, ეს სასიეროდ წასვლას ნიშნავსო, რადგან სულ მალე ცულლუტი, ჩარლი და ორივე ახალგაზრდა ლედი წავიდნენ, მაგრამ მანამდე გულკეთილი მოხუცი ებრაელისგან სახარჯო თანხა მიიღეს.

- აი, ჩემო ძვირფასო, - თქვა ფეიჯინმა, - ამას ჰქვია ცხოვრება, ასე არ არის?

მთელი დღით წავიდნენ.

- მუშაობა უკვე დაამთავრეს, სერ? - დაინტერესდა ოლივერი.

- სწორედ ასეა, - უპასუხა ებრაელმა, - თუმცა, სეირნობისას შესაძლოა რაიმე

საქმე გამოუჩნდეთ და მენდე, ჩემო ძვირფასო, ხელიდან არ გაუშვებენ, ეჭვი არ

შეგეპაროს. მიჰბაძე მათ, ჩემო ძვირფასო, მიჰბაძე, - გაუმეორა და თავისი სიტყვებისთვის მეტი წონა რომ მიენიყებინა, კერძაზე ქვანახშირის ასაღები თუთიის ნიჩბით დააკაკუნა, - ისე მოიქეცი, როგორც გიბრძანებენ, მათ რჩევას

დაუჯერე, განსაკუთრებით, ჩემო ძვირფასო, ცულლუტისას. მისგან დიდი ადამიანი დადგება და შენც დიდი ადამიანი დადგები, თუ ყველაფერში მიჰბაძავ.

ჰო, მართლა, ჩემი ჯიბიდან ცხვირსახოცის წვერი ხომ არ მოჩანს? - შეეკითხა უცებ ებრაელი.

- დიახ, სერ, - თქვა ოლივერმა.

- ვნახოთ, შეძლებ თუ ვერა მის შეუმჩნეველად ამოცოცებას. დილით უკვე ნახე,

ბიჭები როგორ აკეთებდნენ ამას, როდესაც ვთამაშობდით.

ოლივერმა ცალი ხელი ჯიბეს ქვემოთ მოჰკიდა, როგორც ამას ცულლუტი აკეთებდა, მეორე ხელით კი ფრთხილად ამოაძრო ცხვირსახოცი.

- მზადაა? - წამოიძახა ებრაელმა.

- აი, სერ! - ოლივერმა ცხვირსახოცი აჩვენა.

- ჰკვიანი ბიჭი ხარ, ჩემო ძვირფასო, - თქვა კმაყოფილმა მოხუცმა ჯენტლმენმა და ოლივერს თავზე ხელი გადაუსვა, - ასეთი ხელმარჯვე ჯერ არავინ

მინახავს. აი, შენ, შილინგი, თუ ასე გააგრძელებ, მსოფლიოში უდიდესი ადამიანი

გახდები. ახლა კი აქ მოდი, გაჩვენებ, ცხვირსახოცებს დადებული ნიშანი როგორ

უნდა მოაცილო.

ოლივერს არ ესმოდა, მოხუცი ჯენტლმენის ჯიბიდან, თუნდაც ხუმრობით

ცხვირსახოცის ამოღება რატომ უკავშირდებოდა დიდ ადამიანად მის გახდომას.

მაგრამ ჩათვალა, რომ მოხუცი ჯენტლმენი მასზე ასაკით ბევრად უფროსია და ეს

უკეთ იცის, ამიტომ ფიქრით თავი აღარ შეუწუხებია, მაგიდასთან ჩამოჯდა და

ახალ სამუშაოს ჩაულრმავდა.

თავი 10 ოლივერი ახალი მეგობრების ზნესუკეთ ეცნობა

და გამოცდილებასაც დიდირისკის ფასად მიიღებს;

მომცრო, მაგრამ ამონათხრობის მნიშვნელოვანი თავი

მოხუცი ებრაელის ოთახიდან ოლივერი დიდხანს არ გასულა, ცხვირსახოცებს ნიშნებს ამორებდა (ყოველდღიურად უამრავი ცხვირსახოცი მოჰქონდათ) და ზოგჯერ წინა თავში აღწერილ თამაშში მონაწილეობდა. მოხუცი ებრაელი ორ ბიჭთან ერთად ყოველ დილით თამაშობდა. ოლივერს სუფთა ჰაერი მოენატრა და არაერთხელ სთხოვა მოხუც ებრაელს ორ მეგობართან ერთად სამუშაოდ გაეშვა.

ოლივერი მოუთმენლად ელოდა მუშაობის დაწყებას კიდევ იმიტომაც, რომ კარგად გაიცნო მოხუცი ჯენტლმენის პირქუში, მკაცრი ხასიათი. თუ ცუდლუტს და

ჩარლი ბეიტსი სადამოობით ხელცარიელი ბრუნდებოდნენ, გაცხარებული დაუსრულებლად ესაუბრებოდა უსაქმურობისა და დროის ფუჭად ფლანგვის მავნე ჩვევაზე, მათგან მუშაობას მოითხოვდა და დასაძინებლად უვახშმოდ უშვებდა. ერთხელ ისე გაცხარდა თავისი ქადაგების დროს, რომ ორივენი კიბიდან დააგორა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში მეტისმეტად შორს

შეტოპა.

ბოლოს ის დილაც დადგა, როდესაც ოლივერმა იმის ნებართვა მიიღო, რასაც ასე დაჟინებით ითხოვდა. ორი თუ სამი დღე ბიჭებს ცხვირსახოცები არ მოუტანიათ და საქმე არაფერი ჰქონდა. სადილებიც მეტისმეტად მწირი გახდა.

შესაძლოა, ეს იყო იმის მიზეზი, რომ მოხუცი ოლივერის გაშვებას დათანხმდა.

ასე იყო თუ ისე, ოლივერს გარეთ გასვლის ნებართვა მისცა, მასზე ზედამხედველობა კი ჩარლი ბეიტსსა და მის მეგობარს, ცუდლუტს დაავალა. სამივე ბიჭი სასეირნოდ წავიდა. ცუდლუტს, ჩვეულებისამებრ, აწეულსახელოებიანი კოსტიუმი ეცვა, ქუდი კი კეფაზე მოეგდო; ყმაწვილი ბეიტსი

ჯიბებში ხელებჩაწყობილი მიაბიჯებდა; მათ შორის კი ოლივერი მიდიოდა, რომელსაც ვერაფრით გაეგო, სად მიდიოდნენ და რა ხელობა უნდა ესწავლა მეგობრებისგან.

ზანტად მიაბიჯებდნენ, არსად ეჩქარებოდათ და ოლივერმა ისიც კი გაიფიქრა,

რომ მის მეგობრებს მოხუცი ჯენტლმენის მოტყუება სურდათ და სრულებითაც არ

აპირებდნენ სამუშაოდ წასვლას. გარდა ამისა, ცუდლუტს ცუდი ჩვევა ჰქონდა

– გზადაგზა ბავშვებს თავიდან ქუდებს ხდიდა და ეზოებში ისროდა, ხოლო ჩარლი

ბეიტსმა კერძო საკუთრების მისეული, არცთუ სახარბიელო გაგება გამოავლინა

– ტროტუარის გასწვრივ მდგარი ყველა შემხვედრი დახლიდან ვაშლსა და ხახვს

იტაცებდა და ჯიბეებში იწყობდა. გეგონებოდათ, ეს ჯიბეები უზარმაზარია და მთელი კოსტიუმიც მხოლოდ ჯიბეებისგან შედგებოდა. ოლივერს ძალიან არ მოეწონა მათი საქციელი, იმის თქმაც კი დააპირა, რომ უკან დაბრუნება სურდა, მაგრამ მისმა აზრებმა მიმართულება სრულიად შეიცვალა, რადგან ცულლუტის ქცევა შესამჩნევად შეიცვალა.

რატომღაც „მწვანე მინდვრად“ წოდებულ კლერკენუელის მოედანთან ახლოს, ვიწრო ეზოდან ის-ის იყო გავიდნენ, რომ უეცრად ცულლუტი შეჩერდა, თითო ტურქებთან მიიღო და თავისი მეგობრები ფრთხილად წაიყვანა უკან.

- რა მოხდა? - იკითხა ოლივერმა.
- ჩუ! - უპასუხა ცულლუტმა, - აი, იმ ბებერს თუ ხედავ წიგნებთან?
- მოპირდაპირე ქუჩაზე ხანდაზმულ ჯენტლმენს? ჰო, ვხედავ.
- გამოდგება! - თქვა ცულლუტმა.
- მაგარია! - დაასკვნა ჩარლი ბეიტსმა.

ოლივერი გაკვირვებული უყურებდა ხან ერთს, ხან მეორეს, მაგრამ კითხვის დასმა არ დასცალდა, რადგან ორივე ბიჭმა შეუმჩნევლად გადაირბინა ქუჩის მეორე მხარეს და უკნიდან მიეპარნენ მოხუც ჯენტლმენს, რომელიც მანამდე შორიდან დაანახვეს. ოლივერმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, არ იცოდა, მათ კვალს გაჰყოლოდა, თუ უკან დაბრუნებულიყო. იდგა და გაცეხილი უსიტყვოდ შეჰყურებდა მეგობრებს.

მოხუც ჯენტლმენს გაპუდრული თმითა და ოქროსჩარჩოიანი სათვალით ფრიად პატივსაცემი პერსონის შესახედაობა ჰქონდა, მუქი მწვანე, შავი ხავერდისსაყელოიანი ფრაკი ეცვა და ღია ფერის შარვალი, ხოლო ილლიაში ბამბუკის ხელჯოხი ამოეჩარა. დახლიდან წიგნი აეღო, იდგა და ისეთი ყურადღებით კითხულობდა, თითქოს საკუთარ კაბინეტში, სავარძელში იყო მოკალათებული. შესაძლოა, მართლაც ასე წარმოედგინა, რადგან მისი შემხედვარე ნათელი იყო, ვერც დახლს, ვერც ქუჩას, ვერც ბიჭებს ამჩნევდა, ვერაფერს, გადამლილი წიგნის გარდა: გვერდს გულდასმით ჩაიკითხავდა, მერე გადაფურცლავდა და ახალი გვერდის კითხვას აგრძელებდა. კითხულობდა დიდი ინტერესით.

უსაზღვრო გახლდათ რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით მდგარი ოლივერის შიში და თავზარდაცემა, როდესაც დაინახა, ცულლუტმა როგორ ჩაუყო ხელი ჯიბეში ხანდაზმულ ჯენტლმენს, იქიდან ცხვირსახოცი ამოაცოცა და ჩარლი ბეიტსს გადასცა. მერე ორივე გაიქცა და ქუჩის კუთხეს მიეფარა.

ბიჭი ერთ წამში მიხვდა ცხვირსახოცების, საათების, ძვირფასეულობისა და ებრაელის საიდუმლოს. ჯერ გაუნძრევლად იდგა, მის მარღვებში სისხლი ისე ჩუხჩუხებდა, თითქოს ცეცხლი წაუკიდესო; მერე, დაბნეული და შეშინებული, ისე,

რომ ვერც კი მიხვდა, რას აკეთებდა, ადგილს მოსწყდა და გაიქცა.

ეს ყველაფერი სულ რაღაც ერთ წუთში მოხდა. სწორედ მაშინ, როდესაც ოლივერი გაიქცა, ხანდაზმულმა ჯენტლმენმა ცხვირსახოცის ამოსაღებად ჯიბეში

ხელი ჩაიყო და რომ ვერ ნახა, ირგვლივ მიმოიხედა. გაქცეული ბიჭის დანახვაზე,

რასაკვირველია, დამნაშავედ ის მიიჩნია და მთელი ხმით აყვირდა: „ქურდი დაიჭირეთ!“ და თავადაც წიგნით ხელში უკან გაევიდა.

მაგრამ განგაში მხოლოდ ხანდაზმულ ჯენტლმენს არ აუტეხია. ცუდლუტი და ჩარლი ბეიტსი, რომლებსაც ქუჩაში სირბილი და ყურადღების მიქცევა არ სურდათ, პირველივე სადარბაზოში შეიმაღლნენ. ყვირილის ხმაზე და გაქცეული

ოლივერის დანახვაზე მაშინვე მიხვდნენ, რაც მოხდა, სადარბაზოდან ისინიც ყვირილით გამოცვივდნენ ძახილით, „ქურდი დაიჭირეთ!“ და პატიოსანი მოქალაქეების დარად, დევნაში ჩაერთნენ.

მართალია, ოლივერი ფილოსოფოსების აღზრდილი გახლდათ, თუმცა, თეორიულად მისთვის არავის აუხსნია აქსიომა, რომ თავის გადარჩენა ბუნების

პირველი კანონია. ეს რომ სცოდნოდა, შექმნილი ვითარებისთვის მომზადებული

იქნებოდა. მაგრამ არ იცოდა, კიდევ უფრო შეშინდა და ქარივით მიქროდა, უკან

კი ხანდაზმული ჯენტლმენი და ორი ბიჭი მისდევდნენ.

„ქურდი დაიჭირეთ! ქურდი დაიჭირეთ! – ამ სიტყვებში მაგიური ძალაა. ფარდულის მესაკუთრე თავის ფარდულს ტოვებს, ხორცის გამყიდველი – თავის

დახლს, მეფუნთუშე კალათას მიაგდებს, მერძევე – ვედროს, კურიერი – პაკეტებს,

სკოლის მოსწავლე ბურთულებით თამაშს მოსწყდება, გზის მუშა ხელიდან ნიჩაბს გააგდებს, ხოლო ბავშვი – ვოლანს.

და ყველა ერთად გარბის, ყვირიან, ერთმანეთს ხელს ჰკრავენ, ქუჩებში უხვევენ,

გამვლელებს ეჯახებიან, ძაღლებს აშინებენ, ქათმებს აფრთხოვენ; ხოლო ეს წამოძახილი ქუჩიდან ქუჩაზე გადადის.

„ქურდი დაიჭირეთ! ქურდი დაიჭირეთ!“ – ასობით ხმა იმეორებს ამ სიტყვებს,

ყოველ მოსახვევში მდევნელთა რიცხვი იმატებს. ჰოდა, გარბიან, ტალახიან გუბებში მიტოპავენ, ტროტუარებზე მიალაჯებენ; ფანჯრებს ალებენ, სახლებიდან

ადამიანები გამორბიან, ბრბო წინ მიქრის; მაყურებელს პანჩის

თავგადასავალი აღარ აინტერესებს, ბრბოს უერთდება და ახალი ენერგიით აიტაცებს წამოძახილს: „ქურდი დაიჭირეთ! ქურდი დაიჭირეთ!“

„ქურდი დაიჭირეთ! ქურდი დაიჭირეთ!“ ადამიანის გულში ღრმად არის ჩამარხული ვინმეს დევნის ვნება. საბრალო, გაწამებული ბავშვი დაღლილობისგან სულს ძლივს ითქვამს; სახეზე შიში აწერია, თვალელები სასოწარკვეთა ჩასდგომია, ლოყებზე ოფლის მსხვილი წვეთები წურწურით

ჩამოსდის - თითოეული ნერვი დაუძაბავს, რომ როგორმე მდევარს დაუსხლტეს,
ისინი კი მისდევენ, ყოველ წამს სულ უფრო უახლოვდებიან, ხედავენ, როგორ ეცლება ძალა, და სულ უფრო ხმამაღლა ყვირიან, ღრიალებენ, სიხარულს ვერ მალავენ: „ქურდი დაიჭირეთ! ქურდი დაიჭირეთ!“ ოჰ, ღვთის გულისთვის, დაიჭირეთ ვინმემ, თუნდაც გულმოწყალების გამო!

ბოლოს და ბოლოს, დაიჭირეს! მარჯვე დარტყმა და ის ქვაფენილზე წვეს, ცნობისმოყვარეობით აღსავსე ბრბო კი გარშემო შემორტყმია. ახალმოსულები მუჯღუგუნებს იქნევენ და წინ წაწევას ცდილობენ, რომ დაინახონ. „განზე გაიწიეთ!“ „სუნთქვის საშუალება მიეცით!“ - „რა სისულელეა! სუნთქვის ღირსი არ არის!“ - „ის ჯენტლმენი სად არის?“ - „აი, ისიც, ქუჩაში მოდის“ - „ჯენტლმენი გამოატარეთ! - „ეს ბიჭია, სერ?“ - „დიახ“.

ჭუჭყითა და მტვრით დაფარული, პირგასისხლიანებული ოლივერი იწვა, გარშემომყოფთ შემოიღობილი მზერით ათვალიერებდა, როდესაც წრეში მოხუცი ჯენტლმენი შემოიყვანეს.

- დიახ, - თქვა ჯენტლმენმა, - ვშიშობ, რომ სწორედ ეს ბიჭია.
- ეშინია! - ერთმანეთს გადაუჩურჩულეს ბრბოში, - ვითომ გულკეთილია!
- საბრალო! - თქვა ჯენტლმენმა, - დაშავდა.

- მე დავიჭირე, სერ! - წინ გამოვიდა მოსული, ტლანქი ახალგაზრდა, - აი, მაგის კბილებზე მუშტი დავიზიანე. მე დავიჭირე, სერ.

ახალგაზრდამ ჩაიცინა და ხელი შლაპაზე მიიღო, გაწეული სამსახურისთვის ჯილდოს ელოდებოდა, მაგრამ მოხუცმა ჯენტლმენმა ზიზლით შეხედა და ადელვებულმა მიიხედ-მოიხედა, თითქოს თავადაც გასაქცევად ეშაადებოდა. შესაძლოა, ასეც მოქცეულიყო და მაშინ ახალი დევნა დაიწყებოდა, მაგრამ სწორედ იმ წუთს ბრბო პოლისმენმა გაარღვია (როგორც წესი, ასეთ შემთხვევებში ის ყველაზე ბოლოს გამოჩნდება ხოლმე) და ოლივერს ქეჩოში ჩაავლო ხელი.

- მიდი, ადექი! - უხეშად თქვა მან.

- მე არა, სერ. სხვა ორი ბიჭი იყო! - წამოიძახა ადელვებულმა ოლივერმა, რომელსაც ხელები გადაეჭდო და აქეთ-იქით იხედებოდა, - ისინი სადღაც აქვე უნდა იყვნენ.

- მაგრამ აქ არ არიან, - უპასუხა პოლისმენმა. სურდა, თავის სიტყვებში რაც შეიძლებოდა მეტი ირონია ჩაექსოვა, მაგრამ სრულ ჭეშმარიტებას ამბობდა: ცუდლუტმა და ჩარლი ბეიტსმა პირველივე ხელსაყრელი შესაძლებლობით ისარგებლეს და რომელიღაც ეზოს შეაფარეს თავი, - ადექი!

- ზიანს ნუ მიაყენებთ! - თანაგრძნობით თქვა მოხუცმა ჯენტლმენმა.

- არა, არა, ზიანს არ მივაყენებ! - უპასუხა პოლისმენმა და თავისი სიტყვების დასამტკიცებლად ოლივერს კინაღამ ქურთუკი ჩამოახია, - წამოდი, კარგად გიცნობ, ამ სისულელეებს მოეშვი. ადგები თუ არა ბოლოს და ბოლოს ფეხზე, ეშმაკის ფეხო?!

ოლივერმა როგორღაც მოახერხა ფეხზე დადგომა. ის მაშინვე წინ გაიგდეს. ჯენტლმენი პოლისმენის გვერდით მიაბიჯებდა, ხოლო ისინი, ვინც ბრბოდან უფრო ფეხმარდი გახლდათ, წინ გაიქცა, დროდადრო უკან იხედებოდნენ და ოლივერს ათვალიერებდნენ. ბიჭები მხიარულად ყვიროდნენ, ასე აგრძელებდნენ გზას.
თავი 11

მონათხრობი საპოლიციო სასამართლოსმოსამართლის, მისტერ ფენგის და იმის შესახებ, როგორ აღასრულებდა ის მართლმსაჯულებას

დანაშაული დედაქალაქის საკმაოდ ცნობილი საპოლიციო უბნის საზღვრებში შემავალ რაიონში მოხდა. სიამოვნებისგან აღვსილმა ბრბომ ოლივერს მხოლოდ ორ-სამ ქუჩაზე სდია და ეგრეთ წოდებულ მატონ-ჰილამდე მიაცილა, ხოლო იგი დაბალი თაღის გავლით საპოლიციო სასამართლოს ქუჩუკიან ეზოში შეიყვანეს. ამ პაწია მოკირწყლულ ეზოში მათ შემოხვდათ ზორბა მამაკაცი, ბლუჯა-ბლუჯა ბაკენბარდებით სახეზე და გასაღებების აცმით ხელში.

- აქ კიდევ რაღა მოხდა? - უგულისყუროდ იკითხა მან.

- ცხვირსახოცებზე მონადირეა, - უპასუხა კაცმა, რომელმაც ოლივერი მოიყვანა.

- თქვენ დაზარალებული მხარე ბრძანდებით, სერ? - იკითხა გასაღებებიანმა კაცმა.

- დიახ, გახლავართ, - უპასუხა მოხუცმა ჯენტლმენმა, - მაგრამ არა ვარ დარწმუნებული, რომ ამ ბიჭმა მართლა ამწაპნა ცხვირსახოცი... მე... არ მსურს, რომ ამ საქმეს მსვლელობა მიეცეს...

- ახლა რჩება მხოლოდ მოსამართლესთან მისვლა, - თქვა გასაღებებიანმა კაცმა, - მისი ღირსება ერთ წუთში გათავისუფლდება. მიდი, ახალგაზრდა არამზადავ, - ამ სიტყვებით მიიპატიჟა კაცმა ოლივერი კარში, რომელიც გააღო -
ეს იყო აგურისკედლიანი საკნის კარი. ოლივერი გაჩხრიკეს და ვერაფერი რომ ვერ უპოვეს, იქვე გამოკეტეს.

ფართობითა და ინტერიერით საკანი ღვინის სარდაფს წააგავდა, მაგრამ უარესად იყო განათებული. იგი აუტანლად ქუჩუკიანი გახლდათ; ორშაბათის დილა იდგა, მაგრამ შაბათის საღამო ხანიდან აქ დამწყვდეული იყო ექვსი ლოთი. ეს კიდევ წვრილმანია. ჩვენს საპოლიციო უბნებში ყოველ საღამოს საპატიმროში სვამენ კაცებსა და ქალებს სრულიად უსუსური ბრალდებებით - და

უნდა აღინიშნოს, რომ ისინი სასჯელს ნამდვილ ჯურღმულებში იხდიან; მათთან შედარებით ნამდვილი სასახლეა უკვე გასამართლებული და სიკვდილმისჯილი, ყველაზე საშიში დამნაშავეებით სავსე ნიუგეტის საკნები. ვისაც ამ სიტყვების სიმართლეში ეყვი ეპარება, შეუძლია თავად შეამოწმოს და შეადაროს.

როდესაც გასაღები კლიტეში აღრჭიალდა, მოხუცი ჯენტლმენი თითქმის ისევე დასევდიანდა, როგორც ოლივერი. იგი ოხვრით შეუდგა წიგნის კითხვას, რომელიც უნებურად ატეხილი ალიაქოთის მიზეზი გახდა.

- ამ ბიჭის სახეში, - თქვა მოხუცმა ჯენტლმენმა, რომელიც ნელა მოსცილდა კარს და ჩაფიქრებული სახით ნიკაპზე ითათუნებდა წიგნს, - ამ ბიჭის სახეში არის რაღაც ისეთი, რაც მაინტერესებს და მალეღვებს. შესაძლებელია თუ არა,

რომ უდანაშაულო იყოს? ისეთი სახე აქვს... ჰო, მართლა! - წამოიძახა მოხუცმა ჯენტლმენმა, როცა შეჩერდა და თვალეზი ზეცას მოაპყრო, - ოჰ, ღმერთო ჩემო!

ადრე სად უნდა მენახა ასეთი სახე?

რამდენიმეწუთიანი ყოყმანის შემდეგ მოხუცი ჯენტლმენი, წინანდებურად ჩაფიქრებული, შევიდა მოსამართლის ოთახის წინკარში, რომელიც ეზოში გადიოდა და, აქ, კუთხეში მიმდგარმა, მეხსიერებაში აღიდგინა გრძელი მწკრივი სახეებისა, რომელთაც უკვე მრავალი წელია გადაჰფარებოდა მწუხრის საბურველი.

- არა! - თქვა მოხუცმა ჯენტლმენმა, თან თავს აქნევდა, - როგორც ჩანს, ეს ჩემი ფანტაზიაა!

მან ისევ მიმოავლო გონების თვალი სახეებს. მოხუცმა ისინი გამოიწვია და არ იყო ადვილი მათთვის საბურველის თავიდან გადაფარება, რომელიც მათ ასე დიდხანს ფარავდა. აქ თავი მოეყარათ მეგობრების, მტრების, თითქმის უცნობი

ადამიანების სახეებს, ბრბოდან დაჟინებით მომზირლებს, აქ ჩანდა ახალგაზრდა, გაფურჩქნილი გოგონების, ახლა კი ბებრუხანების სახეები; სიკვდილისაგან დამახინჯებული და საფლავებში ჩამარხული სახეები. მაგრამ მათზე გაბატონებული სული სილამაზითა და სინორჩით წინანდებურად მოსავდა

მათ, აღადგენდა მეხსიერებაში თვალეზის ბრწყინვას, გამკრთალ ღიმილს, სულის ბრწყინვალეობას, გამონათებულს ნეშტიდან. ბუნდოვანი მიღმური სამყაროდან მოჩურჩულე სილამაზე შეცვლილიყო მხოლოდ იმისთვის, რომ მეტი

სიკაშკაშით აბრიალებულიყო და მიწისთვის წართმეული, იმ ჩირაღდნად ქცეულიყო, რომელიც აცისკროვნებს ნაზი სხივებით ზეცისკენ მიმავალ ბილიკს.

მაგრამ მოხუცმა ჯენტლმენმა ვერ შეძლო გაეხსენებინა ვერც ერთი სახე, ვისი ნაკვეთებიც შეემლო ეპოვა ოლივერის იერში. ღრმა ამოოხვრით დაემშვიდობა იგი მისგან გაცოცხლებულ მოგონებებს და რამდენადაც, თავისდა საბედნიეროდ,

დაბნეული მოხუცი ჯენტლმენი ბრძანდებოდა, ისევ ჩამარხა ისინი წიგნის გაყვითლებულ გვერდებს შორის.

მხოლოდ მაშინ გამოერკვა, როცა გასაღებებისაცმიანი კაცი მის მხარს შეეხო და შესთავაზა, მასთან ერთად შესულიყო მოსამართლის ოთახში. მოხუცმა სწრაფად დახურა წიგნი და დიდებული და განთქმული ბატონი ფენგის წინაშე წარდგა.

მოსამართლის კაბინეტი განთავსებული იყო პანელებით მოფიცრულ პირველ ოთახში, ბატონი ფენგი შორეულ კუთხეში იჯდა, ხოლო კართან ხის ბაკის მსგავსი რამ მოეთავსებინათ, სადაც უკვე დაემწყვდიათ საბრალო პატარა ოლივერი, რომელიც შიშით ცახცახებდა.

ბატონი ფენგი გამხდარი, განიერწელიანი და გახევებულკისრიანი, საშუალო სიმაღლის კაცი იყო, კეფასა და საფეთქლებზე ამოზრდილი მეჩხერი თმით. აჭარხლებული და მოღუშული სახე ჰქონდა. მხოლოდ იმდენს სვამდა, რამდენიც

მისი ჯანმრთელობისთვის სასარგებლო იყო, მაგრამ თამამად შეეძლო, აღედრა ცილისწამების საქმე სასამართლოში საკუთარი უშნოდ აჭარხლებული სიფათის წინააღმდეგ და გულუხვი ჯილდოც დაემსახურებინა მიღებული ზარალის გამო.

მოხუცმა ჯენტლმენმა მოწიწებით დაუკრა თავი ბატონ ფენგს და მოსამართლის მაგიდასთან მიახლოებულმა ვითარებისთვის შესატყვისად მიმართა:

- ეს გახლავთ ჩემი გვარი და მისამართი, სერ.

შემდეგ უკან დაიხია ორიოდ ნაბიჯით და კიდევ ერთი მოწიწებული ჯენტლმენური თავის დაკვრით დაკითხვას დაელოდა.

ისე მოხდა, რომ ბატონი ფენგი ზუსტად იმ წუთს კითხულობდა დილის გაზეთის მოწინავე სტატიას, რომელშიც ნახსენები იყო მისი ერთ-ერთი ბოლოდროინდელი გადაწყვეტილება და შინაგან საქმეთა მინისტრისთვის სამასორმოცდამეთექვრ შეთავაზებული წინადადება, ამ საქმისთვის განსაკუთრებული და საგანგებო ყურადღება მიექცია. მოსამართლე ძალიან ცუდ გუნებაზე იდგა და მოღუშული სახით თავი ასწია.

- ვინ ხართ? - იკითხა ბატონმა ფენგმა.

მოხუცმა ჯენტლმენმა ოდნავი გაკვირვებით მიუთითა თავის სავიზიტო ბარათზე.

- პოლიციელო, - თქვა ბატონმა ფენგმა, რომელმაც ზიზღით მოისროლა გაზეთი და სავიზიტო ბარათი, - ვინ არის ეს სუბიექტი?

- სერ, ჩემი გვარია, - თქვა მოხუცმა ჯენტლმენმა, როგორც შემვენის საუბარი

ჯენტლმენს, - ჩემი გვარია, სერ, ბრაუნლოუ... ნება მიბოძეთ, გავიგო იმ მოსამართლის გვარი, რომელიც სარგებლობს საკუთარი წოდების დაცვით და დაუმსახურებელ და ყოვლად გაუმართლებელ შეურაცხყოფას აყენებს პატივცემულ პირს.

ამ სიტყვებთან ერთად ბატონმა ბრაუნლოუმ მზერა მოავლო ოთახს, თითქოს ეძებდა ვინმეს, ვინც მიაწვდიდა მას მოთხოვნილ ინფორმაციას.

- პოლიციელო, - გაიმეორა ბატონმა ფენგმა, თან განზე მოისროლა ფურცელი,

- რა ბრალი ედება ამ სუბიექტს?

- მას არაფერში ედება ბრალი, თქვენო ღირსებავ, - უპასუხა პოლიციელმა,

- იგი ბრალმდებლად გამოდის ბიჭის წინააღმდეგ, თქვენო ღირსებავ.

მისმა ღირსებამ მშვენივრად იცოდა ეს, მაგრამ ამგვარი საქციელი შესანიშნავი საშუალება იყო მოწმის განაწყენებისთვის, თანაც სრულიად უსაფრთხო.

- გამოდის ბრალმდებლად ბიჭის წინააღმდეგ, აი, თურმე, რა! - თქვა ფენგმა

და თავით ფეხამდე შეათვალიერა ბატონი ბრაუნლოუ ზიზღნარევი მზერით, - დაადებინეთ ფიცი!

- ვიდრე ფიცს დავდებ, გთხოვთ ნებას, ერთი სიტყვა ვთქვა, - განაცხადა ბატონმა ბრაუნლოუმ, - სახელდობრ, ვერასოდეს დავიჯერებდი, თუ არა საკუთარი გამოცდილებით...

- ენა დაიმოკლეთ, სერ! - მბრძანებლურად წარმოთქვა ბატონმა ფენგმა.

- სურვილი არა მაქვს, სერ! - უპასუხა მოხუცმა ჯენტლმენმა.

- ახლავე დაიმოკლეთ ენა, თუ არა და, ვბრძანებ, გაგაძევონ აქედან! - წამოიძახა ბატონმა ფენგმა, - თავხედი ბრძანდებით! როგორ ბედავთ მოსამართლესთან უხეშობას?

- რა ბრძანეთ? - წამოიძახა აწითლებულმა მოხუცმა ჯენტლმენმა.

- დაადებინეთ ფიცი ამ კაცს! - უთხრა ფენგმა კლერკს, - არ მსურს არც ერთი სიტყვის მოსმენა. დაადებინეთ ფიცი!

ბატონი ბრაუნლოუს აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა, მაგრამ მოისაზრა, რომ მას მხოლოდ ვნების მოტანა შეეძლო ბიჭისთვის, თუკი თავს ვერ მოთოკავდა. მან ვნება დაიცხრო და მორჩილად დადო ფიცი.

- აბა, - თქვა ფენგმა, - რა ბრალი ედება ამ ბიჭს? რა გსურთ თქვათ, სერ?

- ვიდექი წიგნის ფარდულთან... - დაიწყო ბატონმა ბრაუნლოუმ.

- გაჩუმდით, სერ, - თქვა ბატონმა ფენგმა, - პოლიციელო! სად არის პოლიციელი?... აქ ყოფილა. დაადებინეთ ფიცი ამ პოლიციელს... მაშ, ასე, პოლიციელო, რა ხდება?

პოლიციელმა სათანადო სიმშვიდით მოახსენა მოსამართლეს იმის თაობაზე, თუ როგორ დააკავა ბრალდებული, როგორ გაჩხრიკა ოლივერი და ვერაფერი უპოვა და იმის თაობაზე, რომ ამ ამბის შესახებ სხვა არაფერი იცის.

- არიან კიდევ მოწმეები? - მოიკითხა ბატონმა ფენგმა.

- სხვა არავინ, სერ, - უპასუხა პოლიციელმა.

ბატონი ფენგი რამდენიმე წუთი დუმდა, შემდეგ მიტრიალდა დაზარალებულისკენ და დაუფარავი გაბოროტებით წარმოთქვა:

- გნებავთ, მოგვახსენოთ, როგორია თქვენი ბრალდება ამ ბიჭის მიმართ, თუ არ გნებავთ? თქვენ ფიცი დადეთ. თუკი უარს აცხადებთ ჩვენების მიცემაზე, დაგსჯით სასამართლოს შეურაცხყოფისთვის. თქვენი...

ფრაზის დაბოლოება უცნობი რჩება, რადგან ზუსტად ამ დროს კლერკმა და მედილეგემ ძალიან ხმამაღლა დაახველეს და პირველმა მათგანმა იატაკზე მძიმე წიგნი დაანარცხა - ბუნებრივია, შემთხვევით, - რისი შემწეობითაც შეუძლებელი გახდა სიტყვების გარჩევა.

ბატონმა ბრაუნლოუმ, რომელსაც ხშირად აწყვეტინებდნენ სიტყვას და წამდაუწუმ შეურაცხყოფასაც აყენებდნენ, მოახერხა თავისი საქმის გადმოცემა, თან განაცხადა, რომ პირველივე მომენტში, დაბნეული, ბიჭს გამოუდგა, როცა

დაინახა, რომ იგი მირბოდა; შემდეგ გამოთქვა იმედი, რომ მოსამართლე ბიჭს

დამნაშავედ ცნობდა არა ქურდობაში, არამედ ქურდების თანამზრახველობაში და გამოიჩინდა მის მიმართ შემწყნარებლობას, კანონის დაურღვევლად.

- ის ამის გარეშეც უკვე დაიჩაგრა, - თქვა დასასრულს მოხუცმა ჯენტლმენმა, -

და ვშიშობ, - ენერგიულად დაამატა მან, თან მოსამართლეს შეხედა, - ნამდვილად ვშიშობ, რომ ავადაა!

- როგორ არა, ნამდვილად, - თქვა დამცინავად მოღიმარმა ბატონმა ფენგმა, -

ეი, მაწანწალავ, თავი დაანებე თვალთმაქცობას, ვერაფერს გიშველის. რა გქვია?

ოლივერი ცდილობდა, ეპასუხა, მაგრამ ენა არ ემორჩილებოდა. მას მიწისფერი ედო და ეჩვენებოდა, რომ მთელი ოთახი მის თვალწინ ტრიალებდა.

- რა გქვია, შე ურჯულო არამზადავ? - ჰკითხა ბატონმა ფენგმა, - პოლიციელო, რა ჰქვია?

მიმართვა განკუთვნილი იყო მოუხეშავი, შესახედად გულკეთილი, მოაჯირთან მდგარი მოხუცისთვის, რომელსაც ზოლიანი ჟილეტი ეცვა. იგი ოლივერისკენ დაიხარა და კითხვა გაუმეორა, მაგრამ როცა დარწმუნდა, რომ ბავშვს ძალა აღარ

შესწევდა მისთვის გაეგო, თან იცოდა, რომ ბიჭის დუმილი უფრო გააცოფებდა

მოსამართლეს და გაცილებით მკაცრ განაჩენს გამოუტანდა, პოლიციელმა გაბედა და ალაღბედზე უპასუხა:

- ამბობს, რომ ტომ უაიტი ჰქვია, თქვენო ღირსებავ, - თქვა ამ გულჩვილმა ქურდებზე მონადირემ.

- აჰა, ლაპარაკის სურვილიც არა აქვს? - თქვა ფენგმა, - მშვენიერია,

მშვენიერი. სად ცხოვრობს?

- სადაც მოუხერხდება, თქვენო ღირსებავ! - განაცხადა პოლიციელმა, თან ისე

აჩვენებდა მოსამართლეს თავს, თითქოს ოლივერს იცნობდა.

- მშობლები ჰყავს? - დაინტერესდა ბატონი ფენგი.

- ამბობს, რომ გარდაიცვალნენ, როცა ძალიან პატარა იყო, - ალაღბედზე თქვა პოლიციელმა, როგორც აქამდე იქცეოდა.

როცა დაკითხვამ ამ სტადიას მიაღწია, ოლივერმა თავი ასწია ვედრების მზერით და სუსტი ხმით წყლის ყლუპი ითხოვა.

- სისულელეა! - თქვა ბატონმა ფენგმა, - ჩემი გასულელება არც იფიქრო.

- მეჩვენება, რომ მართლა ავადაა, თქვენო ღირსებავ, - შეეკამათა პოლიციელი.

- მე უკეთ ვიცი, - თქვა ბატონმა ფენგმა.

- მიეხმარეთ ბიჭს, პოლიციელო, - თქვა მოხუცმა ჯენტლმენმა და თან ხელები

გაიწვდინა, - საცაა დაეცემა!

- მოშორდით, პოლიციელო! - დაიყვირა ფენგმა, - თუ ასე სურს, დაეცეს.

ოლივერმა ისარგებლა ნაწყალობევი ნებართვით, გონება დაკარგა და იატაკზე დაეცა. დამსწრეებმა ერთმანეთს გადახედეს, მაგრამ განძრევაც კი ვერავინ გაბედა.

- ვიცოდი, რომ თვალთმაქცობდა, - თქვა ფენგმა, თითქოს ეს ყოფილიყო თვალთმაქცობის უცილობელი დადასტურება, - იწვეს ასე, მალე მობეზრდება.

- როგორ ფიქრობთ ამ საქმის გადაწყვეტას, სერ? - იკითხა კლერკმა.

- ძალიან ადვილად! - უპასუხა ბატონმა ფენგმა, - მას მიესჯება სამთვიანი პატიმრობა და, რა თქმა უნდა, მძიმე სამუშაო. გაათავისუფლეთ დარბაზი!

კარი გაიღო და ის იყო, ორი კაცი მოემზადა გრძნობადაკარგული ბიჭის ტუსაღთა საკანში გადასაყვანად, რომ ოთახში მოულოდნელად შევარდა გაცვეთილ შავ კოსტიუმში გამოწყობილი, შესახედავად წესიერი, მაგრამ ღარიბი

ხნიერი კაცი და მოსამართლის მაგიდისკენ გაემართა.

- მოიცადეთ! ნუ წაიყვანთ! ღვთის გულისათვის, ერთი წუთით მოიცადეთ!

-

წამოიძახა სწრაფი სიარულისგან აქოშინებულმა ახალშემოსულმა.

მავანნი, რომლებიც მსგავს ადგილებში მოთავეობენ, სარგებლობენ სრული და შეუზღუდავი ძალაუფლებით თავისუფლებაზე, კეთილ სახელზე, რეპუტაციასა

და მისი უდიდებულესობის ქვეშევრდომთა, განსაკუთრებით უღარიბესი კლასების წარმომადგენლების, სიცოცხლეზეც კი; და თუმცა, ამ კედლებში თამაშდება ისეთი ფანტასტიკური სცენები, რომ ანგელოზებს შეუძლიათ

თვალეები ტირილით დაუსივდეთ; თუმცა, ეს ყოველივე დაფარულია საზოგადოებისგან, მაგრამ რაღაც-რაღაცები პრესაში მაინც იპარება, ყოველივე ამის გამოისობით ფენგმა ძალზე მკაცრად შეაფასა დაუპატიჟებელი სტუმრის შემოჭრა, რომელმაც უპატივცემლოდ დაარღვია წესი და რიგი.

- ეს რა არის? ეს ვინ არის? გააძვევთ ეს კაცი! გაათავისუფლეთ დარბაზი! - იყვირა ბატონმა ფენგმა.

- ვილაპარაკებ! - იყვირა კაცმა, - არავის მივცემ უფლებას, აქედან გამაძვევოს!
ყველაფერი დავინახე. წიგნის ფარდულის მეპატრონე ვარ. მოვითხოვ, რომ ფიცი დამადებინონ! ვერ მაიძულებთ, გავჩუმდე, ბატონო ფენგ, უნდა მომისმინოთ! არ შეგიძლიათ უარი მითხრათ, სერ.

ეს კაცი მართალი იყო. მტკიცე გამომეტყველება ჰქონდა, ხოლო საქმემ იმდენად სერიოზული ხასიათი მიიღო, რომ მისი მიჩქმალვა შეუძლებელი გახდა.

- დაადებინეთ ამ კაცს ფიცი! - ამრეზით წაიბურტყუნა ბატონმა ფენგმა, - აბა, რა გსურთ, თქვათ?

- აი, რა: დავინახე, რომ სამი ბიჭი, დაპატიმრებული და კიდევ ორი, დაეხეტებოდა ქუჩის მეორე მხარეს, როცა ეს ჯენტლმენი წიგნს კითხულობდა.
ქურდობა სხვა ბიჭმა ჩაიდინა. დავინახე, როგორ მოხდა ეს და დავინახე ასევე, რომ ეს ბიჭი სრულიად განცვიფრებული და შეძრწუნებული იყო.

ამ დროისთვის წიგნის ფარდულის ღირსეულმა მფლობელმა ოდნავ სული მოითქვა და ამჯერად უფრო დალაგებულად მოჰყვა, თუ რა ვითარებაში მოხდა ქურდობა.

- აქ ადრე რატომ არ გამოცხადდით? - დუმილის შემდეგ იკითხა ფენგმა.

- არავინ იყო, რომ მისთვის ფარდული დამეტოვებინა, - უპასუხა მფლობელმა,

- ყველა, ვისაც ჩემთვის დახმარების გაწევა შეეძლო, დევნაში მონაწილეობდა.

სულ რაღაც ხუთიოდე წუთის წინაც ვერავინ ვიპოვე, აქეთ სულ სირბილით გამოვეშურე.

- მოსარჩლე კითხულობდა, ასე არაა? - დაინტერესდა ფენგი და ისევ დადუმდა.

- დიახ, - უპასუხა კაცმა, - აი, ზუსტად იმ წიგნს, რომელიც ახლა ხელთ აქვს.

- ზუსტად მას, არა? - თქვა ფენგმა, - ფასი გადახდილია?

- არა, არ არის გადახდილი, - ღიმილით უპასუხა წიგნით მოვაჭრემ.

- ოჰ, ღმერთო ჩემო, ეს სულ დამავიწყდა! - გულუბრყვილოდ წამოიძახა დაბნეულმა მოხუცმა ჯენტლმენმა.

- კაცმა რომ თქვას, ღირსეული ადამიანია და საცოდავ ბავშვს კი ბრალს სდებს! - თქვა ფენგმა, თან სასაცილოდ ჩანდა მისი მცდელობა, გულშემატკივრად ეჩვენებინა თავი, - მიმაჩნია, სერ, რომ თქვენთვის მეტად საეჭვო და უღირს ვითარებაში დაეუფლეთ ამ წიგნს და შეგიძლიათ თავი ბედნიერად ჩათვალოთ კიდევ, რომ მისი მფლობელი არ აპირებს სასამართლო დევნა დაიწყოს თქვენს წინააღმდეგ. ეს თქვენთვის გაკვეთილად დარჩეს, პატივცემულო, თუ არა და, მართლმსაჯულება თქვენით დაინტერესდება აუცილებლად... ბიჭი გამართლებულია. გაათავისუფლეთ დარბაზი!

- ეშმაკმა დალახვროს! - წამოიყვირა მოხუცმა ჯენტლმენმა, რომელსაც მრისხანების დასაფარავად ძალა აღარ შესწევდა, - ეშმაკმა დალახვროს! მჰე...

- გაათავისუფლეთ დარბაზი! - თქვა მოსამართლემ, - პოლიციელო, გესმით? გაათავისუფლეთ დარბაზი!

ბრძანება შეასრულეს. და განრისხებული ბატონი ბრაუნლოუ, რომელიც ცოფს ყრიდა სიბრაზისა და აღშფოთებისგან, გაიყვანეს დარბაზიდან ცალ ხელში წიგნით და მეორე ხელში ზამბუკის ხელჯოხით. გავიდა ეზოში თუ არა, მოხუც

ჯენტლმენს სიმშაგემ გაუარა. მოკირწყლულ ეზოში იწვა პატარა ოლივერ ტვისტი

გაღელილი პერანგითა და წყლით დასველებული საფეთქლებით; სახე საოცრად გაფითრებოდა, მთელი სხეული უცახცახებდა.

- საბრალო ბიჭი, საბრალო ბიჭი! - თქვა ბატონმა ბრაუნლოუმ და მისკენ დაიხარა, - კარეტა! თუ შეიძლება, ვინმემ კარეტა დაიქირავეთ. სწრაფად!

გამოჩნდა კარეტა და როცა ოლივერი ფრთხილად დააწვინეს ერთ დასაჯდომზე, მოხუცმა ჯენტლმენმა მეორე დაიკავა.

- ნებას მომცემთ, თქვენთან ერთად წამოვიდე? - სთხოვა წიგნის ფარდულის მეპატრონემ, თან კარეტაში იცქირებოდა.

- აჰ, ღმერთო ჩემო, რა თქმა უნდა, ძვირფასო სერ! - სწრაფად უპასუხა ბატონმა ბრაუნლოუმ, - სულ გადამავიწყდით. ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! ისევ თან მაქვს ეს ავადსახსენებელი წიგნი! სწრაფად შემოდით! საცოდავი ბიყუნა! წუთის დაკარგვაც კი არ შეიძლება.

წიგნის ფარდულის მფლობელი კარეტაში ჩაჯდა და ისინი გაემგზავრნენ.

თავი 12 ოლივერზე ისე კარგად ზრუნავენ, როგორც არასოდეს; ამავე თავში მკითხველი ისევ იგებს ამბავს მხიარული მოხუცი ჯენტლმენისა დამისი შეგირდების შესახებ

კარეტა გრუხუნით მიგორავდა თითქმის იმავე გზით, რომელი გზითაც ოლივერი მიდიოდა, როდესაც პირველად შედგა ფეხი ლონდონში, ცუდლუტის თანხლებით; იზლინგტონის „ენჯელთან“ მისულმა სხვა მხარეს შეუხვია და,

ბოლოს და ბოლოს, პენტონვილის
ახლოს წყნარ, ხეებით დაჩრდილულ ქუჩაზე, სუფთა პატარა სახლთან
შეჩერდა.

აქ ოლივერს სასწრაფოდ გაუმზადეს საწოლი და თავად ბატონმა ბრაუნლოუმ
მიადევნა თვალყური, რომ მასში ფრთხილად ჩაეწვინათ მისი ყმაწვილი
აღსაზრდელი; ამ სახლში ბავშვს უსაზღვრო სინაზითა და მზრუნველობით
უვლიდნენ, მაგრამ მრავალი დღის მანძილზე ოლივერი უგრძნობი იყო
თავისი

ახალი მეგობრების ზრუნვისადმი. მზე ჩავიდა და ამოვიდა, ისევ ჩავიდა და
ამოვიდა და ეს გრძელდებოდა მრავალი დღე-ღამის განმავლობაში, ბიჭი კი
საწოლში ბორგავდა ციებ-ცხელების სიმხურვალისგან გათანგული. გვამში
მოკალათებული ქჷიაყელაც კი ვერ ასრულებს ისეთი გაბედულებით თავის
სამუშაოს, როგორც ეს მცოცავი ცეცხლი ბავშვის ცოცხალ სხეულში.

სუსტი, გამხდარი და ფერმკრთალი, ბოლოს და ბოლოს, გონს მოვიდა,
თითქოს ხანგრძლივი მშფოთვარე ძილის შემდეგ გამოიღვიძა.

- ეს რა ოთახია? სად მომიყვანეს? - იკითხა ოლივერმა, - აქ არასოდეს
დამიძინია.

ბიჭი გამოფიტული და დასუსტებული იყო და ეს სიტყვები ჩუმი ხმით
წარმოთქვა, თუმცა, ყველამ იმწამსვე გაიგო ნათქვამი. სასთუმალთან
დაკიდებული ფარდა სასწრაფოდ გადასწიეს და გულკეთილმა მოხუცმა
ლედიმ,

სუფთად და სადად ჩაცმულმა, წამოიწია საწოლის ახლოს მდგარი
სავარძლიდან, რომელშიც მანამდე იჯდა და დროს ქსოვით კლავდა.

- ჩუმი, ჩემო ძვირფასო, - ალერსიანად თქვა მოხუცმა ლედიმ, - ძალიან
მშვიდად უნდა იწვე, თუ არა და, ისევ ავად გახდები. ძალიან ცუდად
იყავი, ისე
ცუდად, რომ უარესი არც კი შეიძლება. დაწევი, ჭკვიანად მოიქეცი!

ამ სიტყვებით მოხუცმა ლედიმ ფრთხილად დაადებინა თავი ოლივერს
ბალიშზე და თმა შუბლიდან გადაუწია ისეთი სიკეთითა და სიყვარულით,
რომ

ბიჭმა უნებურად თავისი გამხდარი ხელი ჩაავლო ქალის ხელს და ყელზე
შემოიჭდო.

- ღმერთო, შემინდე! - თქვა თვალებზე ცრემლებმომდგარმა მოხუცმა
ლედიმ,

-- როგორი მადლიერი და საყვარელი ბავშვია! როგორი კარგია! რას
იგრძნობდა

დედამისი, თუკი მუდამ მის გვერდით იჯდებოდა, როგორც მე, მის
საწოლზე და

შესძლებოდა ახლა მისთვის ეცქირა.

- შეიძლება ახლა მხედავს, - წაიჩურჩულა ოლივერმა და ხელები გადაიჭდო,
-

შეიძლება ჩემს სიახლოვეს იჯდა. მეჩვენებოდა, რომ აქ იჯდა.

- ციება გაქვს, ჩემო ძვირფასო, - ალერსიანად უთხრა მოხუცმა ლედიმ.

- შეიძლება ასეა, - უპასუხა ოლივერმა, - იმიტომ, რომ ზეცა ჩვენგან ძალზე შორსაა, ისინი კი იქ ძალზე ბედნიერები არიან, რისთვის უნდა მოვიდნენ ავადმყოფი ბავშვის საწოლთან. მაგრამ თუკი იცოდა, რომ ავად ვიყავი, იქ უნდა შევბრალებოდი, ისიც ხომ ძალზე ავად იყო სიკვდილის წინ. თუმცა, მას არ შეუძლია ჩემ შესახებ რამე იცოდეს, - დუმილის შემდეგ დაამატა ოლივერმა, - თუ ხედავდა, როგორ მჩაგრავდნენ, ეს დაასევდიანებდა, მაგრამ, როცა მესიზმრებოდა, სახე ყოველთვის ალერსიანი და ბედნიერი ჰქონდა.

მოხუცმა ლედიმ ამაზე არაფერი უპასუხა; ჯერ თვალები მოიწმინდა, შემდეგ ზეწარზე დადებული სათვალე გაწმინდა, თითქოს ის თვალების განუყოფელი ნაწილი ყოფილიყო, ბოლოს ოლივერს მიაწოდა რაღაც გამაგრებელი სასმელი, შემდეგ კი ხელით ლოყაზე მოეფერა და უთხრა, მშვიდად უნდა იწვე, თუ არა და, ისევ ავად გახდებიო.

და ოლივერიც იწვა მშვიდად, ნაწილობრივ იმიტომ, რომ სურდა, დამორჩილებოდა კეთილ მოხუც ლედის, ხოლო ნაწილობრივ, სიმართლე რომ ითქვას, იმიტომაც, რომ ძალზე მისუსტდა ამ საუბრის შემდეგ. მალე ბიჭს ჩაეძინა და როცა იმ სანთლის შუქმა გამოაღვიძა, რომელიც საწოლთან დაედგათ, დაინახა ჯენტლმენი, რომელსაც ხელში დიდი, ხმამაღლა მოწიკწიკე საათი ეჭირა, ოლივერს მაჯას უსინჯავდა და ბოლოს თქვა, ბიჭი გაცილებით უკეთ არისო.

- გაცილებით უკეთ ხარ, ხომ ასეა? - ჰკითხა ოლივერს.

- დიახ, გმადლობთ, - უპასუხა ოლივერმა.

- ვიცი, რომ უკეთ ხარ, - თქვა ჯენტლმენმა, - და ჭამა გინდა, ხომ მართალია?

- არა, სერ, - უპასუხა ოლივერმა.

- ჰო! - თქვა ჯენტლმენმა, - ვიცი, რომ არ გინდა. მას არ სურს ყამა, მისის

ბედუინ, - ღრმავაროვანი სახით თქვა ჯენტლმენმა.

მოხუცმა ლედიმ მოწიწებით დახარა თავი, თითქოს იმის ნიშნად, რომ ექიმს ჭკვიან კაცად თვლიდა. როგორც ჩანს, თავად ექიმიც ამავე აზრისა იყო.

- ძილი გერევა, ხომ ასეა, ჩემო კარგო? - თქვა ექიმმა.

- არა, სერ, - უპასუხა ოლივერმა.

- ასე! - თქვა ექიმმა ძალზე გამჭრიახი და კმაყოფილი გამომეტყველებით, - ძილი არ გერევა. წყლის დალევაც არ გსურს, არა?

- დალევა მსურს, სერ, - უპასუხა ოლივერმა.

- ასეც ვვარაუდობდი, მისის ბედუინ, - თქვა ექიმმა, - ძალიან ბუნებრივია,

რომ დალევს სურს. შეგიძლიათ მცირეოდენი ჩაი დაალევინოთ, მისის ბედუნინ,
და უკარაქო გაფიცებული პური აჭამოთ. ძალზე ნუ ჩაათბუნებთ, მაგრამ კეთილინებთ და იზრუნეთ, რომ არც შესცივდეს.

მოხუცმა მისის ბედუნინმა რევერანსით უპასუხა. ექიმმა გასინჯა გამამხნევებელი სასმელი და კმაყოფილების გამოხატვის შემდეგ, სწრაფად გაეცალა იქაურობას; როცა კიბეზე ჩადიოდა, მისი მაღალყელიანი ფეხსაცმელი მჭახედ და მედიდურად ჭრიალებდა.

ამის შემდეგ მალევე ოლივერს ისევ ჩაეძინა, მაგრამ როცა გაიღვიძა, თითქმის შუალამეს იყო მიტანებული. მოხუცმა მისის ბედუნინმა ალერსიანად უსურვა ბიჭს ძილი ნებისა და ახალმოსული მსუქანი დედაბრის მზრუნველობას

მიაზარა, რომელსაც თან მოეტანა ბოხჩა პატარა ლოცვანითა და ღამის დიდი ჩაჩით. მოხუცმა ჩაჩი თავზე წამოიცვა, ლოცვანი მაგიდაზე დადო და ოლივერს

ამცნო, რომ მის ღამის მომვლელად მოვიდა, შემდეგ კი სკამი მიაჩოჩა ბუხართან

და ძილში ჩაეფლო, რომელიც დროდადრო უწყდებოდა იმის გამო, რომ თავს აკანტურებდა, ოხრავდა და ქსუტუნებდა. თუმცა, ამის გამო არავითარი უსიამოვნება არ მომხდარა, მაგრამ ხანგამოშვებით იღვიძებდა და ხმაურით იხოცავდა ცხვირს, რის შემდეგაც ისევ იძინებდა.

ღამის საათები ნელა მიიზღაზნებოდა. ოლივერს დიდხანს არ დაეძინა, ითვლიდა ნათელ წრეებს, რომელთაც ჭერზე ქუდით თავდახურული ლერწმის სანთელი გამოხატავდა, ან დაღლილი მზერით შესცქეროდა შპალერის რთულ ნახატს. ოთახში ბინდბუნდი და სიჩუმე გაბატონებულიყო. მათ აფიქრებინეს ბიჭს, რომ მრავალი დღისა და ღამის განმავლობაში აქ სიკვდილი ტრიალებდა და შესაძლებელია, ოთახში ჯერ კიდევ იყო მისი საშინელი ყოფნის კვალი; მან

ბალიშში ჩარგო თავი და მხურვალე ლოცვას შეუდგა.

ბოლოს და ბოლოს, დაიძინა იმ ღრმა და მშვიდი ძილით, რომელიც მოერევა ადამიანს ცოტა ხნის წინ გადატანილი მძაფრი განცდების შემდეგ; იმ უშფოთველი, წყნარი ძილით, რომლის დარღვევაც აუტანელია. თუკი სიკვდილიც

ასეთია, ვინ მოისურვებს მას წინ აღუდგეს აწმყოზე ზრუნვით გამოწვეული ცხოვრებისეული შფოთვით, მომავლის შიშით და უპირველესად წარსულის მძიმე

მოგონებებით დატვირთული!

კარგა ხნის გათენებული იყო, როდესაც ოლივერმა თვალები გაახილა; მხნედ და ბედნიერად გრძნობდა თავს. კრიზისმა მშვიდობით ჩაიარა. ოლივერი ქვეყნიერებას დაუბრუნდა.

სამი დღე გავიდა და მას უკვე სავარძელში ჯდომა შეეძლო, ყოველი მხრიდან ბალიშებით გარშემორტყმულს; და რამდენადაც ჯერ კიდევ სუსტად იყო და სიარული არ შეეძლო, მისის ბედუნინმა, მწე ქალმა, ხელში ატატებული ჩაიყვანა

ქვედა სართულზე, პატარა ოთახში, რომელიც ქალს ჰქონდა დაკავებული. ქალმა

ბიჭი ბუხართან დასვა, კეთილი ლედი თავადაც ჩამოჯდა და იმით გახარებული,

რომ ოლივერი თავს გაცილებით უკეთ გრძნობდა, გულამომჯდარი ატირდა.

- ნუ მომაქცევ ყურადღებას, ჩემო ძვირფასო, - უთხრა მოხუცმა ლედიმ, -
კარგად მინდა წავიტირო... ესეც ასე, ყველაფერმა გაიარა და გული
სიხარულით
მაქვს სავსე.

- ძალიან, ძალიან კეთილად მექცევით, ქალბატონო, - თქვა ოლივერმა.

- გეყოფა, ამაზე ნუ ფიქრობ, ჩემო ძვირფასო, - მიუგო მოხუცმა ლედიმ, -
ამას

არავითარი კავშირი არა აქვს შენს ბულიონთან. კარგა ხანია, უნდა გეყჩამა,
იმიტომ, რომ ექიმმა ნება დართო ბატონ ბრაუნლოუს ამ დილით გინახულოს
და

კარგად უნდა გამოიყურებოდე: რაც უფრო კარგი შესახედავი იქნები, მით
უფრო

კმაყოფილი დარჩება.

ამ სიტყვებთან ერთად მოხუცი ლედი შეუდგა ქვაბში ჩასხმული ბულიონის
დიდი ულუფის შეცხელებას, რომელიც იმდენად სქელი იყო, რომ,
ოლივერის

აზრით, თუკი საჭიროების მიხედვით შეანელებდნენ, სადილადაც კი
ივარგებდა,

ყველაზე მიახლოებითი დაანგარიშებით, სამას ორმოცდაათამდე ლატაკისთვის.

- გიყვარს ნახატები, ჩემო ძვირფასო? - იკითხა მოხუცმა ლედიმ, როცა
შეამჩნია, რომ ოლივერი დაჟინებით შეჰყურებდა კედელზე, ზუსტად მისი
სავარძლის წინ ჩამოკიდებულ პორტრეტს.

- სიმართლე გითხრათ, არც კი ვიცი, მემ, - უპასუხა ოლივერმა, თან
ტილოს

თვალს არ აშორებდა, - იმდენად ცოტა ნახატი მაქვს ნანახი, რომ თავადაც
არ

ვიცი კარგად. რა მშვენიერი და თვინიერი სახე აქვს ამ ლედის!

- აჰ! - თქვა მოხუცმა ლედიმ, - მხატვრები ახალგაზრდა ქალბატონებს
ყოველთვის უფრო მშვენივრებს ხატავენ, ვიდრე არიან, თორემ შეკვეთები
ალარ

ექნებათ, ჩემო ბიჭუნა. კაცი, რომელმაც პორტრეტების გადამღები მანქანა
გამოიგონა, უნდა მიმხვდარიყო, რომ ის წარმატებას ვერ მოუტანდა. ასეთი
პორტრეტი ზედმეტად ნამდვილია, ზედმეტად ნამდვილი, - თქვა მოხუცმა
ლედიმ,

რომელიც საკუთარ ხუმრობაზე გულიანად იცინოდა.

- ეს... ეს პორტრეტია, მემ? - იკითხა ოლივერმა.

- დიახ, - თქვა მოხუცმა ლედიმ და წუთით ბულიონს თავი დაანება, - ეს
პორტრეტია.

- ვისი, მემ? - ჰკითხა ოლივერმა.

- სიმართლე გითხრა, არ ვიცი, ჩემო ძვირფასო, - გულკეთილად უპასუხა
მოხუცმა ლედიმ, - ამ პორტრეტზე გამოსახულ არსებას, მგონი, არც
ვიცნობთ.

თითქოს მოგეწონა, არა?

- ძალიან ლამაზია, - თქვა ოლივერმა.

- ხომ არ გეშინია მისი? - ჰკითხა მოხუცმა ლედიმ, რადგან, თავისდა დიდად გასაკვირად, შეამჩნია, რომ ბიჭი რაღაც მოწინებულნი ძრწოლით შეჰყურებდა სურათს.

- არა! - სწრაფად უპასუხა ოლივერმა, - მაგრამ თვალები ისეთი სევდიანი აქვს

და იმ ადგილიდან, სადაც ვზივარ, ისე ჩანს, თითქოს მე შემომცქერიან.

გულიც

ძალიან ძლიერად მიცემს, - ჩურჩულით დასძინა ოლივერმა, - თითქოს ეს პორტრეტი ცოცხალია და ჩემთან გასაუბრება სურს, მაგრამ არ შეუძლია.

- ღმერთო, შემიწყალე! - წამოიძახა შემკრთალმა მოხუცმა ლედიმ, - ამას ნუ

ამბობ, ჩემო ბიჭუნა. ჯერ კიდევ სუსტად ხარ და ავადობის შემდგომ ნერვები მთლად წესრიგში ვერ გაქვს. მოდი, შენს სავარძელს მეორე კედლისკენ გავაჩოჩებ და მაშინ ველარ დაინახავ სურათს. აი, ასე! - თქვა მოხუცმა ლედიმ,

როცა განზრახვა აღასრულა, - ახლა კი ველარ ხედავ.

ოლივერი პორტრეტს მაინც უყურებდა თავისი შინაგანი მზერით, ისევე ნათლად, თითქოს ადგილი არც კი ჰქონოდა შეცვლილი; მაგრამ გადაწყვიტა, არ

ეწყენინებინა კეთილი მოხუცი ლედისთვის; ამიტომაც თვინიერად გაუღიმა, როცა

ქალმა შეხედა. მისი ბედუნმა, გახარებულმა იმით, რომ ბიჭი დამშვიდდა, ბულიონი მარილით შეაზავა და ორცხობილის ნაჭრებიც ჩაალბო; ამ საზეიმო პროცედურის დროს ქალი შეუსვენებლივ ფუსფუსებდა. ოლივერმა მალე მოუღო

ბოლო ბულიონს. ძლივს მოასწრო ბოლო კოვზის გადაყლაპვა, რომ კარზე ოდნავ

გასაგონად დააკაკუნეს.

- მობრძანდით, - თქვა მოხუცმა ლედიმ.

და მისტერ ბრაუნლოუც გამოჩნდა.

მოხუცი ჯენტლმენი ყოჩაღად შევიდა ოთახში, მაგრამ როგორც კი სათვალე შუბლზე აიწია და ხელები ზურგზე დაიწყო ხალათის კალთებქვეშ, რათა კარგად

დაჰკვირვებოდა ოლივერს, მისმა სახემ როგორღაც უცნაურად დაიწყო ტოკვა.

ოლივერი ძალზე გამოფიტული და სიფრიფანა ჩანდა ავადმყოფობის შემდეგ.

თავის კეთილისმყოფლისთვის პატივისცემის ნიშნად წამოდგომა უშედეგოდ დააპირა, რაც იმით დასრულდა, რომ ისევ სავარძელზე დაენარცხა.

სიმართლე

ითქვას, მისტერ ბრაუნლოუს გულმა, ისეთმა დიდმა, რომ იგი

კაცთმოყვარეობისკენ მიდრეკილ კიდევ ექვსიოდე მოხუც ჯენტლმენს

ეყოფოდა,

მისი თვალები აიძულა, ცრემლებით ავსებულიყო რაღაც ჰიდრავლიკური პროცესის შემწეობით, რომელთა ახსნისაგან თავს ვიკავებთ საკუთარი

არასაკმარისი ფილოსოფოსობისა გამო.

- საბრალო ბიჭი, საბრალო ბიძი! - ხველებ-ხველებით თქვა მისტერ ბრაუნლოუმ, - დღეს ხმა ჩამეხრინწა მცირეოდენ, მისის ბედუინ. ვშიშობ, გავცივდი.

- იმედია, არა, სერ, - თქვა მისის ბედუინმა, - თქვენი ყველა სამოსი ზედმიწევნით მშრალი იყო, სერ.

- არ ვიცი, ბედუინ, არ ვიცი, - თქვა მისტერ ბრაუნლოუმ, - როგორც ჩანს, გუშინ

სადილობისას სველი ხელსახოცი მომაწოდეს, თუმცა, ეს არ არის მნიშვნელოვანი... თავს როგორ გრძნობ, ჩემო კარგო?

- ძალიან კარგად, სერ, - უპასუხა ოლივერმა, - მადლობელი ვარ, სერ, გაწეული სიკეთისთვის.

- დიდებული ბიჭია... - გადაწყვეტით თქვა მისტერ ბრაუნლოუმ, - ასადილეთ, ბედუინ? აჭამეთ რომელიმე თხელი წვნიანი?

- სერ, ახლახან მიირთვა ერთი თევში შესანიშნავი სქელი ბულიონი, - უპასუხა მისის ბედუინმა, თან გასწორდა და მახვილი გამოკვეთილად დაასვა ბოლო სიტყვას, თითქოს ამით ამზობდა, თხელი წვნიანი და კარგად მომზადებული სქელი ბულიონი ერთმანეთს ვერც კი შეედრება სამკურნალო თვისებებით.

- უფ! - თქვა მისტერ ბრაუნლოუმ და თან მხრები აიჩეჩა, - ორი სირჩა კარგი პორტვინი უფრო მეტ სარგებლობას მოუტანდა. ხომ მართალია, ტომ უაიტი?

- ოლივერი მქვია, სერ, - გაკვირვებით თქვა პატარა ავადმყოფმა.

- ოლივერი, - გაიმეორა ბატონმა ბრაუნლოუმ, - ოლივერი, გაგრძელება? ოლივერ უაიტი, არა?

- არა, სერ, ტვისტი, ოლივერ ტვისტი.

- უცნაური გვარია, - თქვა მოხუცმა ჯენტლმენმა, - კი, მაგრამ, რატომ უთხარი მოსამართლეს, რომ უაიტი ხარ?

- მისთვის ასეთი რამ არ მითქვამს, სერ, - შეეპასუხა გაოცებული ოლივერი.

ეს ისე წააგავდა ტყუილს, რომ მოხუცმა ჯენტლმენმა საკმაოდ მკაცრად შეხედა ოლივერს. უაზრო იყო მისი სიტყვების არდაჯერება: მისი თხელი, გამხდარი სახე სიმართლით სუნთქავდა.

- რაღაც გაუგებრობაა! - თქვა მისტერ ბრაუნლოუმ.

მას უკვე საფუძველი აღარ ჰქონდა, დაჟინებით ეცქირა ოლივერისთვის, თუმცა, აზრი რომელიდაც ნაცნობ სახესთან ოლივერის მსგავსებისა ისევ აეკვიტა მოხუც ჯენტლმენს, თან ისე ძალუმად, რომ ბიჭისთვის თვალის მოცილება არ შეეძლო.

- იმედია, არ მიბრაზდებით, სერ? - ჰკითხა ოლივერმა და მუდარით სავსე თვალები მიაპყრო.

- ოდნავადაც არა! - თქვა მოხუცმა ჯენტლმენმა, - ეს რას ნიშნავს?..
ბედუინ,
შეხედეთ!

ამ სიტყვებთან ერთად მან სწრაფად მიუთითა ბიჭის თავზე დაკიდებულ პორტრეტზე, შემდეგ კი ოლივერის სახეზე. ეს იყო ცოცხალი ასლი - იგივე ნაკვეთები, თვალები, შუბლი, პირი. სახის გამომეტყველებაც იგივე, თითქოს უმცირესი მოხაზულობაც კი აღდგენილიყო განსაცვიფრებელი სიზუსტით! ოლივერმა ვერ გაიგო ამ მოულოდნელი წამოძახილის მიზეზი და რადგანაც ძალა

არ შესწევდა, გადაეტანა გამოწვეული ელდა, გრძნობა დაკარგა.

მისი სისუსტე საშუალებას გვაძლევს, დავაკმაყოფილოთ მკითხველის ცნობისმოყვარეობა მხიარული მოხუცი ჯენტლმენის ორი ყმაწვილი შეგირდის თაობაზე და გვინდა ვაუწყოთ, რომ როდესაც ცულლუტმა და მისმა ღირსეულმა

მეგობარმა, ყმაწვილმა ბეიტსმა, მონაწილეობა მიიღეს ოლივერის დევნაში, რაც,

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მისტერ ბრაუნლოუს პირადი საკუთრების უკანონოდ მითვისებით დაიწყო, შემდეგ უკვე საკუთარ თავზე უნდა ეზრუნათ.

ჭეშმარიტი ინგლისელი, უპირველეს ყოვლისა, სამოქალაქო თავისუფლებებითა და ადამიანის უფლებებით ტრაბახობს; ალბათ, ზედმეტია მკითხველის ყურადღება მიექცეს იმ გარემოებებს, რომ ცულლუტისა და ყმაწვილი ბეიტსის საქციელმა ისინი უნდა აამაღლოს ყველა საზოგადო მოღვაწისა და პატრიოტის თვალში ზუსტად იმდენად, რამდენადაც ეს უტყუარი დადასტურება მათი წუხილისა საკუთარ უსაფრთხოებასა და კეთილდღეობაზე ამკვიდრებს და ამყარებს კანონთა მცირე კრებულს, რომელიც მაგანმა ღრმად მოაზროვნე ფილოსოფოსებმა საფუძვლად დაუდეს ბუნების ყოველგვარ ქმედებასა და ქმნადობას! ხსენებულმა ფილოსოფოსებმა ძალზე ბრძნულად დაიყვანეს ამ კეთილი ლედის - ბუნების ქმედებები წესებსა თუ თეორიებზე, თან მეტად თავაზიანი და სასიამოვნო კომპლიმენტი უძღვნეს მის მაღალ სიბრძნესა და გონებას, რითაც სრულიად ჩამოაცილეს ყველაფერი, რაც კავშირშია გულთან, სულგრძელ გულისწადილსა და გრძნობებთან, რამეთუ ეს თვისებები სრულიად

არ შეეფერება არსებას, რომელიც საყოველთაო თანხმობით აღიარებულია თავისი სქესისთვის დამახასიათებელ მრავალრიცხოვან მცირე სისუსტესა და ნაკლზე მაღლა მდგომად.

ამ ახალგაზრდა ჯენტლმენების ქცევის ფილოსოფიური ხასიათის სასარგებლოდ კიდევ რაიმე დადასტურების მოპოვება რომ მომენდომებინა, სწრაფად ვიპოვიდი იმ ფაქტში (რაც უკვე აღვნიშნეთ ამ ნაწარმოების წინა ნაწილში), რომ მათ თავი ანებეს დევნას, როგორც კი ოლივერი საყოველთაო ყურადღების საგანი შეიქნა და სწრაფად გაემუხრნენ შინისკენ მოკლე გზით. თუმცა, არ ვაპირებ, ვამტკიცო, რომ ყოვლისმცოდნე ბრძენთ ჩვევად აქვთ, შეამოკლონ დიადი დასკვნებისკენ მიმავალი გზები (სინამდვილეში, ისინი უფრო

მოწადინებულნი არიან, გაზარდონ მანძილი სიტყვაკაზმული ბუნდოვანი მჭევრმეტყველებისა და ყოყმანის დახმარებით, რისკენაც მიდრეკილნი არიან

მთვრალელებიც აზრების მძლავრი მოზღვავეების ზეგავლენით), მაგრამ განზრახული მაქვს, ვთქვა და დარწმუნებით ვამბობ, რომ ბევრი უდიდესი ფილოსოფოსი თეორიის განვითარებისას დიდ სიბრძნესა და წინდახედულობას იჩენს, როცა ყოველგვარი, თუნდაც უმცირესი ხიფათის შემცველი შემთხვევითობის საწინააღმდეგო ზომებს იღებს. ასე და ამგვარად, იმისათვის, რომ დიადი სიკეთე ქმნათ, უფლება გაქვთ, მცირედი ბოროტება ჩაიდინოთ და შეგიძლიათ მიმართოთ ნებისმიერ საშუალებას, რომელთა გამართლება შესაძლებელია თქვენ მიერ დასახული მიზნით. ბოროტებისა და სიკეთის ხარისხის განსაზღვრა და მათ შორის სხვაობის მოძებნაც კი სრულად არის დამოკიდებული ამით დაინტერესებული ფილოსოფოსის შეხედულებაზე, რადგან მან ისინი დაადგინა ყოველი კერძო შემთხვევის ნათელი, გონიერი და მიუკერძოებელი გამოკვლევის შემდეგ.

ორივე ბიჭმა სწრაფად გაირბინა ვიწრო ქუჩებისა თუ ეზოების ლაბირინთები და მხოლოდ მაშინდა გაბედეს შეჩერება დაბალ, ბნელ სადარბაზოში. ერთხანს ჩუმად იყვნენ, ვიდრე სული არ მოითქვეს და მეტყველების უნარი არ დაუბრუნდათ, შემდეგ კი ყმაწვილმა ბეიტსმა მხიარულად წამოიქჷყვივლა, თავშეუკავებელი სიცილი აუტყდა, პარმალზე დაემხო და აღფრთოვანებისგან ჭკუადაკარგული გადაკოტრიალდა.

- რა მოხდა? - ჰკითხა ცულლუტმა.

- ჰა-ჰა-ჰა! - ხარხარებდა ჩარლი ბეიტსი.

- მოკეტე, - უბრძანა ცულლუტმა და ფრთხილად მიმოიხედა, - გინდა, რომ დაგიჭირონ, შტერო?

- თავს ვერ ვიკავებ, - თქვა ჩარლიმ, - თავს ვერ ვიკავებ! როგორ მოკურცხლა, როცა შენობის კუთხესთან გაუხვია, ტუმბებს ეხლებოდა და ისევ გარბოდა, თითქოს თავადაც რკინისა იყო, როგორც ტუმბა, ცხვირსახოცი კი ჩემს ჯიბეში იდო, მე კიდევ მთელი ხმით გავყვიროდი. აჰ, ღმერთო ჩემო!

ყმაწვილი ბეიტსის ცოცხალმა წარმოსახვამ მთელი სცენა მოჭარბებულ კაშკაშა ფერებში ალადგინა. აღფრთოვანებულმა ისევ პარმალზე კოტრიალი დაიწყო და კიდევ უფრო ხმამაღლა ახარხარდა.

- ფეიჯინი რას იტყვის? - იკითხა ცულლუტმა, რომელმაც ისარგებლა იმ წუთით, როდესაც მისი ძმაბიჭი ისევ კინაღამ გაიგუდა სიცილით.

- რა? - იკითხა ჩარლი ბეიტსმა.

- აი, სწორედ, რა? - გაიმეორა ცულლუტმა.

- კი მაგრამ, რა უნდა თქვას? - იკითხა ჩარლიმ, რომელმაც უეცრად შეწყვიტა მხიარულება, რადგან ცულლუტის გამომეტყველება მეტად სერიოზული იყო, - რა უნდა თქვას?

მისტერ დაუკინსმა ორი წუთი უსტვინა, შემდეგ შლაპა მოიხადა, თავი მოიქექა და სამჯერ დააქნია იგი.

- რისი თქმა გასურს? - ჰკითხა ჩარლიმ.

- ტრა-ლა-ლა! სისულელეა და როშევა, ეშმაკმა დალახვროს! - თქვა ცულლუტმა და მის ჰკვიან სიფათზე ღიმილი გაკრთა.

ეს ახსნა იყო, მაგრამ არადაძმავყოფილებელი. ყმაწვილმა ბეიტსმა შეატყო ეს და გაიმეორა:

- რისი თქმა გასურს?

ცულლუტმა არაფერი უპასუხა; შლაპა დაიხურა, გრძელი სერთუკის კალთები აიკეცა, ენით ლოყა გამობუმტა, ჩვეულებისამებრ, ექვსჯერ, მაგრამ მეტისმეტად მეტყველად, წვიპურტი დაირტყა ცხვირის ფუძეზე, ქუსლებზე შეტრიალდა და ეზოში დურთა თავი. შეფიქრიანებული ყმაწვილი ბეიტსი მას მიჰყვა.

ამ საუბრის შემდეგ რამდენიმე წუთის გასვლიდან მოღრჭიალე კიბეზე ნაბიჯების ხმამ მიიპყრო მხიარული მოხუცი ჯენტლმენის ყურადღება, რომელიც

კერიასთან იჯდა, მარცხენა ხელში ეჭირა იაფფასიანი ძეხვი და პური, ხოლო მეორეში - დასაკეცი დანა: ზედადგარზე კალის ქვაბი შემოედგა. საზიზღარი ღიმილი მოედო მის ფერმკრთალ სახეს, როცა სქელი, წითური წარბებს ქვეშიდან გამჭრიახი მხერით შეტრიალდა კარისკენ და მიაყურადა.

- ეს რა არის? - წაიბურტყუნა ებრაელმა და სახე შეეცვალა, - მხოლოდ ორნი?

მესამე სადღაა? უბედურებას ხომ არ გადაეყარნენ?

ნაბიჯები ახლოვდებოდა; მათი ხმა უკვე კიბის ნაკვეთურიდან ისმოდა. კარი ნელა გაიღო, ცულლუტი ჩარლი ბეიტსთან ერთად ოთახში შევიდა და ორივემ ზურგს უკან კარი მიხურა.

თავი 13 გონიერი მკითხველი ახალ სახეებს გაეცნობა; ასევე ამბავთან დაკავშირებული სხვადასხვაგარემოების შესახებაც მეტს შეიტყობს

- სად არის ოლივერი? - მრისხანედ იკითხა ებრაელმა და ფეხზე წამოხტა, - ბიჭი სად არის?

ქურდმა ყმაწვილებმა, მფარველის ფეხზე ფიცხლად წამოხტომით შემოფოთებულებმა, ერთმანეთს გადახედეს, მაგრამ არაფერი უპასუხეს.

- ბავშვს რა დაემართა? - დაიყვირა ებრაელმა, ცულლუტს ქეჩოში ხელი ჩაავლო და საზარელი წყევლა-კრულვის ნიაღვარი არ დაიშურა მისთვის, - მიპასუხე, თორემ დაგახრჩობ!

ჩანდა, რომ მისტერ ფეიჯინი სრულებით არ ხუმრობდა და ჩარლი ბეიტსი, რომელიც სრულიად სამართლიანად ფიქრობდა საკუთარ უსაფრთხოებაზე და

დარწმუნებული იყო, ცულლუტის შემდეგ პატრონი მისთვისაც მოიცილდა, მუხლებზე დაეცა და ხმამაღლა, გაბმით აყვირდა. ეს ყვირილი რაღაც გარდამავალი გახლდათ გაცოფებული ხარის ბლავილსა და ხმის გამამღიერებლის ხრიალს შორის.

- ამოიღებ თუ არა ხმას? - დაიღრიალა ებრაელმა და ისეთი ძალით შეანჯღრია ცულლუტი, რომ გასაოცარი გახლდათ, როგორ არ გამოვარდა ეს უკანასკნელი თავისი უზარმაზარი სერთუკიდან.

- ძაღლებმა გასკვანჩეს, ეგ არის და ეგ! - ბრაზიანად თქვა ცულლუტმა, - გამიშვით, გესმით თუ არა!

ბიჭმა გაიწია და ებრაელს ხელთ მხოლოდ მისი სერთუკი შერჩა. ცულლუტმა პურის ნაჭრების შესაწვავ დიდ ჩანგალს დაავლო ხელი და მოიქნია, მოხუცი ჯენტლმენის ჟილეტს უმიზნებდა; მისი განზრახვა წარმატებით რომ დაგვირგვინებულიყო, მოხუცი კარგა ხნით დაკარგავდა მხიარულების ხალისს. სწორედ ამ კრიტიკულ მომენტში ებრაელი ისეთი სისხარტით გადახტა უკან, რაც ძნელი წარმოსადგენი იყო მისნაირი უძლური და მიხრწნილი არსებისგან, დოქს წამოავლო ხელი და მოწინააღმდეგის თავს მოუღერა, მაგრამ იმწამს მისი ყურადღება ჩარლი ბეიტსის საზარელმა ყვირილმა მიიპყრო, გადაიფიქრა და დოქი ამ ახალგაზრდა ჯენტლმენს ესროლა.

- რა ჯანდაბაა! - გაისმა ვიღაცის უკმაყოფილო ბანი, - ეს ვინ ისროლა? კიდევ კარგი, ლუდი მომხვდა და არა დოქი, თორემ ვიღაცას ჩემგან მოხვდებოდა! ჰო, რა თქმა უნდა! ამ ეშმაკისეული, მდიდარი, მყვლეფავი ბებერი ებრაელის გარდა ვინ დააქცევს ტყუილუბრალოდ სასმელს! მარტო წყალს თუ გაიმეტებს, ისიც იმ შემთხვევაში, თუ ყოველ სამ თვეში ერთხელ წყალმომარაგების კომპანიას მოატყუებს. რა მოხდა, ფეიჯინ? ჯანდაბა, ჩემი ყელსახვევი მთლიანად ლუდითაა სველი! შემოდი, საძაგელო პირუტყვო, მანდ, კარს უკან რას აკეთებ, თითქოს შენი პატრონის გემინია! აქ მოდი!

ეს წარმოთქვა დაახლოებით ოცდათხუთმეტი წლის ჩასკვნილმა ახალგაზრდამ, რომელსაც შავი ხავერდის სერთუკი, მეტისმეტად ჭუქჭყიანი მოკლე მუქი შარვალი, თასმიანი ფეხსაცმელი და ბამბის წინდები ეცვა, რომლებიც მჭიდროდ ეკვროდა გამოწეულ კოყებს. ასეთი ფეხები აღწერილ კოსტიუმთან ერთად დაუსრულებლის შთაბეჭდილებას ტოვებს, თუ მათ ბორკილები არ ამშვენებს. თავზე ყავისფერი შლაპა ეხურა, ყელზე კი ჭრელი, გრძელი შარფი მოეხვია, რომლის დამენძილი ბოლოებით ახლა ლუდით დასველებულ სახეს იწმენდა. როდესაც ამ საქმეს მორჩა, აღმოჩნდა, რომ ფართო, უხეში სახე აქვს, რომელსაც რამდენიმე დღეა საპარსი არ მიჰკარებია; პირქუში თვალები ჰქონდა, ერთის გარშემო კი ფერადი ლაქა მოუჩანდა - ცოტა ხნის წინ მიღებული დარტყმის შედეგი.

- აქ მოდი, გესმის? - წაიბუზღუნა ამ სიმპათიურმა სუბიექტმა.

ოთახში დაკაწრულსახიანი, თეთრბეწვიანი, გაბურმგნილი ძალი შევარდა.

-- რატომ არ შემოდის? - იკითხა სუბიექტმა, - ძალიან ამაყი გახდი და ჩემთან ერთად ხალხში გამოჩენის გრცხვენია? დაწევი!

ბრძანებას ახლდა წიხლიც, რომელმაც ცხოველი ოთახის მეორე ბოლოში მოისროლა. მაგრამ ძალი, როგორც ჩანს, ამგვარ მოპყრობას მიჩვეული იყო, იმიტომ, რომ მშვიდად დაწვა კუთხეში, ხმა არ ამოუღია, ყოველ ოც წუთში ერთხელ ბოროტ თვალებს ახამხამებდა და გეგონებოდათ, ოთახს ათვალერებსო.

- რას აკეთებთ? ბავშვებს აწვალე, გაუმაძღარო, ძუნწო, ხარბო ბებერო? - თქვა კაცმა და მშვიდად ჩამოჯდა, - მიკვირს, აქამდე რომ არ მიგასიკვდილეს!

მათ ადგილზე ამას ნამდვილად გავაკეთებდი! თქვენი შეგირდი რომ ვყოფილიყავი, ამას დიდი ხნის წინ ვიზამდი, თქვენი გაყიდვა კიდევ არ გამოვიდოდა, ვის რაში სჭირდებით? დიდი-დიდი, მინის ქილაში შეგინახონ სიმახინჯის ეტალონად, მაგრამ ასეთ დიდ მინის ქილებს არ ამზადებენ.

- ჩუ, ჩუ, მისტერ საიკს, - კანკალით თქვა ებრაელმა, - ასე ხმამაღლა ნუ ლაპარაკობთ!

- თავი დაანებეთ ამ მისტერებით ლაპარაკს! - გამოეპასუხა თავზე ხელაღებული ახალგაზრდა, - ასე როცა იწყებთ საუბარს, რაღაც საზიზღრობა გაქვთ ჩაფიქრებული. ჩემი გვარი იცით და ის დამიძახეთ! როცა ამის დრო მოვა, მას არ შევარცხვენ!

- კარგი, კარგი, ბილ საიკს, - თითქოს მორჩილად თქვა ებრაელმა, - კარგ ხასიათზე არ უნდა იყოთ, ბილ.

- შესაძლოა, ასეც არის, - უპასუხა საიკსმა, - იმის თქმაც შემიძლია, რომ არც თქვენ ხართ ყოჩაღად, თუ გგონიათ, ზიანს არავის აყენებთ, როდესაც ლუდით სავსე დოქებს ისვრით?

- თქვენ რა, შეიშალებთ? - წამოიყვირა ებრაელმა, სახელოში სწვდა და ბიჭებზე მიუთითა.

მისტერ საიკსი იმით დაკმაყოფილდა, რომ მარცხენა ყურის ზემოთ წარმოსახვითი თასმა შეკრა, ხოლო თავი მარჯვენა მხარეს გადახარა. როგორც ჩანს, ებრაელმა შესანიშნავად გაიგო ამ პანტომიმის არსი. შემდეგ ჟარგონით, რომელიც ჩვეულებრივ მის მეტყველებას უხვად ახასიათებდა და რომელსაც აქ არ მოვიყვანთ, რადგან მკითხველი ბევრს ვერაფერს გაიგებს, მისტერ საიკსმა ყელის გასველება მოითხოვა.

- ოღონდ შიგ საწამლავის ჩაყრა არც კი იფიქროთ, - დაამატა მან.

ეს ხუმრობით იყო ნათქვამი, მაგრამ რომ დაენახა, როგორ ბოროტად მოწკურა

ებრაელმა თვალები და ბუფეტისკენ შებრუნებულმა გაფითრებული ტუჩები

მოიკვნიტა, შესაძლოა, თავში მართლაც მოსვლოდა აზრი, რომ წინდახედულობა

ზედმეტი სრულებით არ არის და მხიარული მოხუცი ჯენტლმენი ღვინის ჩამომსხმელის ნახელავის გაუმჯობესებაზე, ალბათ, უარს არ იტყოდა.

ორი-სამი ჭიქის დაღვევის შემდეგ საიკსი, როგორც იქნა, ახალგაზრდა ჯენტლმენებთან დაინტერესდა; მის ასეთ გულკეთილობას მოჰყვა გულახდილი

საუბარი, რომლის დროსაც ოლივერის დაპატიმრების ამბავს დაწვრილებით მოჰყვენენ იმგვარი ცვლილებებითა და ტყუილებით, რაც ცუდლუტის აზრით, ახლანდელ ვითარებას შეესატყვისებოდა.

- ვშიშობ, - თქვა ებრაელმა, - თუ რამე თქვა, ჩვენთვის ეს ცუდად დამთავრდება.

- ყველაფერი შეიძლება, - ბოროტად ჩაიღიმა საიკსმა, - თქვენ გიღალატებენ, ფეიჯინ.

- ვშიშობ, - განაგრძო ებრაელმა, თითქოს ყურადღებას არ აქცევდა, რომ შეაწყვეტინეს, თან დაჟინებით უმზერდა თანამოსაუბრეს, - ვშიშობ, თუ ჩვენი თამაში წაგებით დასრულდა, არც სხვას დაადგება სიკეთე, თქვენთვის კი, ჩემო ძვირფასო, უფრო ცუდადაც დასრულდება.

ახალგაზრდა კაცი შეხტა და ებრაელისკენ მკვეთრად შებრუნდა, მაგრამ მოხუცმა ჯენტლმენმა მხრები აიწურა და დაბნეული მიაშტერდა მოპირდაპირე კედელს.

კარგა ხანს ხმა არავის ამოუღია. თითქოს ღრმად პატივსაცემი საზოგადოების თითოეული წევრი თავის საფიქრალს მისცემოდა, მათ შორის - ძალიც, რომელიც ღვარძლიანად ილოკავდა დრუნჩს, თითქოს ქუჩაში გასვლისთანავე პირველივე შემხვედრ ჯენტლმენს ან ლედის ფეხებში უნდა სცემოდა და ამისთვის ემზადებოდა.

- ვინმემ უნდა გაიგოს, მოსამართლესთან რა მოხდა, - თქვა შესამჩნევად მორბილებულმა მისტერ საიკსმა.

ებრაელმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

- თუ არ ჩაგიშვათ და ციხეშია, საშიში არაფერია იქამდე, ვიდრე გამოუშვებენ,

- თქვა მისტერ საიკსმა, - მერე კი მისახედი იქნება. როგორმე ხელში უნდა ჩაიგდოთ.

ებრაელმა ისევ დაუქნია თავი.

მოქმედების ამგვარი გეგმა სავსებით გამართლებული იყო, მაგრამ, საუბედუროდ, მის შესრულებას დიდი დაბრკოლება უშლიდა ხელს. საქმე ის იყო,

რომ ცუდლუტი, ჩარლი ბეიტსი, ფეიჯინი და მისტერ უილიამ საიკსი საპოლიციო

უბნის სიახლოვეს გასეირნებას ნებისმიერი მიზეზითა თუ საბაბით

ერიდებოდნენ, მისგან თავი ისევე შორს ეჭირათ, როგორც ჭირისგან.

მნელი სათქმელია, რამდენ ხანს ისხდებოდნენ ერთმანეთის პირისპირ გაურკვეველობაში. თუმცა, არ არის საჭირო რაიმეს გამოცნობა, რადგან ორი ახალგაზრდა ლედის მოულოდნელმა გამოჩენამ საუბარი გამოაცოცხლა.

- სწორედ ის არის, რაც გვჭირდება! - თქვა ებრაელმა, - ბეტი წავა. ხომ წახვალ, ძვირფასო?

- სად? - შემფოთებით იკითხა ახალგაზრდა ლედიმ.

- მხოლოდ და მხოლოდ საპოლიციო უბანში, ჩემო ძვირფასო, - შეაპარა მოხუცმა ებრაელმა.

სიმართლე ითქვას, ახალგაზრდა ლედის პირდაპირ არ უთქვამს, რომ იქ წასვლა არ სურდა, მაგრამ გაცხარებით ბრძანა, მირჩევნია, დაწყველილი ვიყო, ვიდრე საპოლიციო უბანში მივიდეო. ეს ზრდილობიანი და დელიკატური მერყეობა იმას მოწმობდა, რომ ახალგაზრდა ლედი ბუნებით ზრდილობიანი გახლდათ და ახლობლებისთვის პირდაპირი, მჭახე უარით გულისტკენა მის ბუნებას არ შეეფერებოდა.

ებრაელს სახე დაუგრძელდა და ზურგი შეაქცია ამ ახალგაზრდა ლედის, რომელსაც კობტა, კაშკაშა წითელი კაბა და მწვანე ფეხსაცმელი ეცვა და ყვითელი პაპილოტები ეკეთა.

- ნენსი, ჩემო ძვირფასო? - მამებლურად მიმართა მეორე გოგონას ებრაელმა, - შენ რას იტყვი?

- იმას, რომ არ წავალ; დამალეხას აზრი არა აქვს, ფეიჯინ, - უპასუხა ნენსიმ.

- ამით რის თქმა გსურს? - ჩაერია მისტერ საიკსი და პირქუშად შეხედა.

- იმის, რაც უკვე ვთქვი, ბილ, - მშვიდად უპასუხა ლედიმ.

- შენ ხომ ყველაზე მეტად გამოდგები ამ საქმისთვის. აქ არავინ გიცნობს.

- ჰოდა, რაკი არც მინდა, რომ მიცნობდნენ, - ისევ მშვიდად უპასუხა ნენსიმ, -

ამიტომ უფრო არას გეტყვით, ვიდრე ჰოს, ბილ.

- წავა, ფეიჯინ, - თქვა საიკსმა.

- არა, არ წავალ, ფეიჯინ, - იყო ნენსის პასუხი.

- წავა, ფეიჯინ, - გაიმეორა საიკსმა.

და მისტერ საიკსი არ შემცდარა. დაშინების, დაპირებების, მოქრთამვის გზით ახალგაზრდა ლედი, ბოლოს და ბოლოს, აიძულეს, ამ მისიის შესრულება ეკისრა.

მართლაც, მას თავისი მეგობარებით ხელის შემშლელი გარემოებები არ ჰქონდა:

დაშორებული, მაგრამ არისტოკრატიული, რეტკლიფის გარეუბნიდან

მეზობლად მდებარე ფილდ-ლეინში გადმოსულს, ბევრი ნაცნობი არ ჰყოლია და ვერავინ იცნობდა.

ნენსიმ ებრაელის ამოუწურავ მარაგში ნაპოვნი თეთრი წინსაფარი კაბის ზემოდან დაიმაგრა, ყვითელი პაპილოტები ჭილის ქუდში შემაღა და დავალების შესასრულებლად მოემზადა.

- ერთ წუთს დაიცადე, ჩემო ძვირფასო, - უთხრა ებრაელმა და თავსახურიანი კალათა გაუწოდა, - ასე უფრო პატივსაცემი იერი გაქვს.

- ფეიჯინ, სახლის გასაღები მიეცით, ხელში ეჭიროს, - ჩაერთო მისტერ საიკსი,
- ასე უფრო ბუნებრივი და მართებული იქნება.

- მართალია, ძვირფასო, - თქვა ებრაელმა და დიდი გასაღები ახალგაზრდა ლედის მარჯვენა ხელის საჩვენებელ თითზე ჩამოჰკიდა.

- აი, ასე! მშვენიერია, ძვირფასო! - თქვა ებრაელმა და კმაყოფილმა ხელები მოიფშვნიტა.

- ოჰ, ძამიკო! ჩემი საწყალი, საყვარელი, უდანაშაულო ძამიკო! - წამოიძახა ნენსიმ, თვალები ცრემლებით აევსო, თან გასაღებსა და კალათის სახელურს ნერვიულად აწვალებდა, - რა დაემართა? სად წაიყვანეს? ოჰ, მითხარით, ჯენტლმენებო, გეთაყვა, რა უყავით საბრალო ბიყუნას? გეხვეწებით, მითხარით, ჯენტლმენებო!

ეს სიტყვები აღფრთოვანებული მსმენელის წინაშე მის ნენსიმ საწყალობელი, გულში ჩამწვდომი ხმით წარმოთქვა, შემდეგ მთელ კამპანიას თვალი ჩაუკრა, გაიღიმა, თავი დაუქნია და ოთახიდან გავიდა.

- ოჰ, ჭკვიანი გოგონაა, ჩემო ძვირფასებო, - თქვა ებრაელმა და ახალგაზრდებს მიუბრუნდა, თავს ისე აქნევდა, თითქოს მათაც იწვევდა, იმწუთას ნანახი შესანიშნავი მაგალითისთვის მიეზამათ.

- მისი სქესისთვის ნამდვილად ღირსეულია, - თქვა მისტერ საიკსმა, კიდევ ერთი ჭიქა დალია და მაგიდას მუშტი დაჰკრა, - მის სადღეგრძელოს ვსვამ და მინდა ყველა ქალი მას ჰგავდეს!

ვიდრე ღირსეული ნენსის ქებას არ იშურებდნენ, ახალგაზრდა ლედი სწრაფი ნაბიჯებით მიემშურებოდა პოლიციის განყოფილებისკენ, რომელსაც მალე მიაღწია კიდევ. ბუნებრივი მორცხვობის გამო, ახალგაზრდა ლედი თავს უხერხულად გრძნობდა, რომ გამცილებლის გარეშე უწევდა ქუჩაში სიარული.

უკანა შესასვლელიდან შესულმა ერთ-ერთი საკნის კარზე გასაღებით ფრთხილად დააკაკუნა და ყური მიუგდო. ხმა არ ისმოდა; მაშინ ჩაახველა, კიდევ მიაყურა და როცა არავინ უპასუხა, კართან ახლოს მივიდა:

- ნოლი,

საყვარელო! - ალერსიანად ჩაიჩურჩულა ნენსიმ, - ნოლი!

საკანში არავინ იყო საბრალო, ფეხშიშველი დამნაშავეს გარდა, რომელიც ფლეიტაზე დაკვრისთვის დააპატიმრეს; რაკი საზოგადოების წინააღმდეგ ჩადენილი მისი დანაშაული დადასტურდა, მისტერ ფენგმა ერთთვისანი პატიმრობა მიუსაჯა და ირონიულად შენიშნა, თუკი ასეთი ძლიერი სუნთქვა აქვს, უმჯობესია, საფეხურებიან ბორბალზე სამუშაოდ გამოიყენოს, ვიდრე მუსიკალურ ინსტრუმენტზე დასაკრავადო. დამნაშავე ნენსის ხმას არ სცემდა, რადგან გონებაში საგრავოს სასარგებლოდ ჩამორთმეულ ფლეიტას დასტიროდა. ნენსიმ კარზე დააკაკუნა.

- რა გნებავთ? - ვიღაცამ ჩუმად, მისუსტებული ხმით იკითხა.
- აქ პატარა ბიჭუნა ხომ არ არის? - ჰკითხა ნენსიმ, მაგრამ მანამდე ამოიქვიტიანა.

- არა! - უპასუხა პატიმარმა, - ღმერთმა დაგვიფაროს!

ეს სამოცდახუთი წლის მაწანწალა გახლდათ, რომელიც იმიტომ დააპატიმრეს, რომ ფლეიტაზე არ უკრავდა, ანუ ქუჩაში მათხოვრობდა და არაფერს აკეთებდა საკუთარი თავის სარჩენად.

მომდევნო საკანში დამნაშავე იჯდა, რომელსაც ასევე ციხეში უკრეს თავი, რადგან უნებართვოდ ვაჭრობდა კალის ქვაბებით, ესე იგი, თავს არიდებდა გადასახადების გადახდას და რაღაცას ახერხებდა საკუთარი თავის სარჩენად.

რაკი არც ერთი დამნაშავე არ გამოეხმაურა მის დამახილს „ოლივერ“ და მასზე ვერაფერი გაიგო, ნენსიმ ზოლიანჭილეტიან კეთილ მოხუცს მიმართა. მისი ოხვრა და წუწუნი ძალიან საწყალობელი იყო, თანაც ოსტატურად აწვალებდა კალათის სახელურსა და გასაღებს, თან თავისი საყვარელი ძმის ამბავს ეკითხებოდა.

- ჩემთან არ არის, ძვირფასო, - უპასუხა მოხუცმა.

- აბა, სად არის? - წამოიკვილა ნენსიმ.

- ჰენტლმენმა წაიყვანა, - უპასუხა მოხუცმა.

-- რომელმა ჯენტლმენმა? ღმერთო დიდებულო! რომელმა ჯენტლმენმა? - წამოიძახა ნენსიმ.

ამ უაზრო კითხვაზე მოხუცმა აღელვებულ დას აუხსნა, რომ ოლივერი მოსამართლის ოთახში ცუდად გახდა, ის გაამართლეს, რადგან მოწმემ აჩვენა, რომ ქურდობა მან კი არა, სხვა ორმა ბიჭმა ჩაიდინა და ისინი ჯერ თავისუფალი არიან, რომ მომჩივანმა გულწასული ოლივერი თავის სახლში წაიყვანა. ამ სახლის შესახებ მოხუცმა მხოლოდ ის იცოდა, რომ პენტონვილში მდებარეობდა, ეს სიტყვა გაიგონა, როდესაც კარეტა დაიქირავეს და მეეტლეს მისამართი უკარნახეს.

აღელვებული და დაბნეული ახალგაზრდა ქალი ლასლასით გაემართა ჭიშკრისკენ, შემდეგ, თვალს მიეფარა თუ არა, სწრაფი ნაბიჯით გაუდგა გზას ებრაელის ბინისკენ და იქ უფრო მიხვეულ-მოხვეული გზებით მივიდა.

მისტერ ბილ საიკსმა მოისმინა თუ არა მისი მონაცოლი, მაშინვე თეთრ ძაღლს დაუმახა, შლაპა დაიხურა და ისეთი სისწრაფით გავიდა ოთახიდან, დროც კი არ დაუხარჯავს ისეთ ფორმალობაზე, როგორც გამომშვიდობებაა.

- ჩემო კარგებო, უნდა გავიგოთ, სად არის! უნდა მოვძებნოთ! - თქვა ძალიან

აღელვებულმა ებრაელმა, - ჩარლი, ჯერჯერობით ნურაფერს გააკეთებ, აქეთ-იქით იქამდე იყიალე, ვიდრე მასზე რაიმეს არ შეიტყო. ნენსი, ჩემო ძვირფასო, აუცილებლად უნდა ვიპოვოთ. ყველაფერში გენდობით, ჩემო საყვარელო, შენ და ცუდლუტს! მოიცადეთ, მოიცადეთ, - დაამატა ებრაელმა, -

აკანკალებული ხელით გახსნა მაგიდის უჯრა, - აი, თქვენ, საყვარლებო, ფული.

დღეს აქაურობას ვკეტავ. იცით, სად მიპოვოთ! არც ერთი წუთით აღარ დაახანოთ

აქ! არც ერთი წუთი, ძვირფასებო!

ამ სიტყვებით სამივენი ოთახიდან გაყარა და საკლიტულში ორჯერ გადააბრუნა გასაღები, კარი საგდულითაც ჩაკეტა. სამალავიდან ზარდახმა გამოაძვრინა, რომელიც ოლივერმა შემთხვევით დაინახა. შემდეგ საათებისა და ძვირფასეულობის ტანსაცმელში დამალვას შეუდგა.

კარზე მოულოდნელმა კაკუნმა ეს საქმე შეაწყვეტინა.

- ვინ არის? - დაიყვირა გამყივანი ხმით.

- მე ვარ! - გაისმა ცუდლუტის ხმა.

- რაღა გინდა? - მოუთმენლად ჰკითხა ებრაელმა.

- ნენსი კითხულობს, თუ ვიპოვეთ, სხვა ბუნაგში გადავიყვანოთ? - დაინტერესდა ცუდლუტი.

- ჰო! - უპასუხა ებრაელმა, - სადაც უნდა წააწყდეს! მოძებნეთ, მოძებნეთ, ეს

არის და ეს! მე ვიცი, მერე რა გავაკეთო. ნუ გეშინიათ!

გასაგებიაოთ, ჩაიბურტყუნა ბიჭმა და მეგობრების დასაწევად გაიქცა.

- ჯერჯერობით არაფერი უთქვამს, - თქვა ებრაელმა და დაწყებული საქმე გააგრძელა, - თუ ახალ მეგობრებთან რაიმეს დაფქვას დააპირებს, მოვასწრებთ

და პირს ამოვუქოლავთ.

თავი 14 მისტერ ბრაუნლოუსთან ოლივერის ცხოვრების

წვრილმანები; ასევე იმ

წინასწარმეტყველებაზე, რომელიც დავალების

შესასრულებლად წასული ოლივერის შესახებ მისტერ

გრემუიგმა გამოთქვა

ოლივერი მისტერ ბრაუნლოუს მოულოდნელი წამომახილით გამოწვეული

გულყრისგან მალე მოვიდა გონს, ხოლო მოხუცი ჯენტლმენი და მისის ბედუინი

შემდგომში ყველა ხერხით ცდილობდნენ, პორტრეტზე კრინტი აღარ დაემრათ:

მათ საუბარს არაფერი ჰქონდა საერთო ოლივერის წარსულ ცხოვრებასთან, არც

მის მომავალს შეეხებოდა, არამედ მხოლოდ ისეთ თემებზე ლაპარაკობდნენ, რომლებიც ბიჭს გაახალისებდა, მაგრამ არ ააღელვებდა. ოლივერი ჯერ კიდევ საკმაოდ სუსტად გრძნობდა თავს და საუზმისთვის ადგომა არ შეეძლო, მაგრამ

მეორე დღეს მწე ქალის ოთახში ჩასულმა მოუთმენელი მზერა მაშინვე კედელს მიაპყრო იმ იმედით, რომ იმ ლამაზი ლედის პორტრეტს დაინახავდა. მაგრამ იმედი გაუცრუვდა – კედელი ცარიელი იყო.

– აი, თურმე რა, – თქვა მწე ქალმა, როდესაც ოლივერის მზერა შენიშნა, – როგორც ხედავ, ჩამოხსნეს.

– ვხედავ, რომ ჩამოხსნეს, მემ, – უპასუხა ოლივერმა, – რატომ წაიღეს?

– ჩამოხსნეს, შვილო, იმიტომ, რომ მისტერ ბრაუნლოუს აზრით, თითქოს შენ

ძალიან გამფოთებდა. ამან კი შენს გამოჯანმრთელებას შეიძლება ხელი შეუშალოს, – უპასუხა მოხუცმა ლედიმ.

– ოჰ, არა, სრულიადაც არა! სრულებითაც არ მაშფოთებდა, მემ, – თქვა ოლივერმა, – ძალიან მომწონდა მისი ცქერა. ეს ნახატი თითქმის შემეცვარდა კიდევ.

– კარგი, კარგი! – თქვა გამხიარულებულმა მოხუცმა ლედიმ, – რაც შეიძლება

სწრაფად უნდა გამოჯანმრთელდე, ძვირფასო, და მაშინ პორტრეტი წინანდელ ადგილზე დაბრუნდება. აი, აჟ! ამის პირობას გაძლევ! ახლა კი, მოდი, სხვა

რამეზე ვილაპარაკოთ.

აი, სულ ეს იყო, რის გაგებაც ოლივერმა მაშინ მოახერხა პორტრეტის შესახებ.

ცდილობდა, ამაზე აღარ ეფიქრა, რადგან მოხუცი ლედი გულისხმიერად ეპყრობოდა ავადმყოფობის დროს და ოლივერიც ყურადღებით უსმენდა მის დაუსრულებელ მონათხრობს ქალიშვილის შესახებ, რომელიც სოფელში მცხოვრებ თავაზიან და სანდომიან ახალგაზრდას გაჰყვა ცოლად, ასევე ვაჟიშვილზე, რომელიც ვესტ-ინდოეთში ვაჭრის კლერკად მუშაობდა, ასევე შესანიშნავი ყმაწვილი გახლდათ და წელიწადში ოთხჯერ შინ ისეთ თავაზიან წერილებს გზავნიდა, რომ მათ გახსენებაზე დედას თვალელები ცრემლებით ევსებოდა. მოხუცი ლედი დიდხანს ლაპარაკობდა თავისი შვილების შესანიშნავ თვისებებზე, ასევე თავის კეთილ, საყვარელ მეუღლეზე, რომელიც, საბრალო,

ზუსტად ოცდაექვსი წლის წინ გარდაიცვალა. შემდეგ ჩაის დალევის დრო მოდიოდა. ჩაის შემდეგ მოხუცი ლედი ოლივერს კრიბეჯს

ასწავლიდა, რომელსაც ისევე ადვილად ითვისებდა, როგორი სიმარტივითაც ქალი უხსნიდა; და ამ თამაშს დიდი ინტერესითა და სერიოზულობით თამაშობდნენ იქამდე, ვიდრე წყალგარეული შემთბარი ღვინის დალევის დრო არ

მოვიდოდა. ამის შემდეგ ოლივერი დასაძინებლად წვებოდა.

ეს ოლივერის გამოჯანმრთელების ბედნიერი დღეები გახლდათ. აქ ყველაფერი ისეთი მშვიდი, სუფთა და მოწესრიგებული იყო, ყველანი ისეთი გულკეთილები და ალერსიანები იყვნენ, რომ მის ცხოვრებაში აქამდე არსებული ხმაურისა და არეულობის შემდეგ, ოლივერს თავი სამოთხეში ეგონა. როგორც კი ისე მომაგრდა, რომ ტანზე დაუხმარებლად ჩაცმა შეძლო, მისტერ ბრაუნლოუს ბრძანებით ახალი კოსტიუმი, შლაპა და ფეხსაცმელი უყიდეს. ოლივერს უთხრეს, რომ ძველი სამოსის თავისი სურვილისამებრ განკარგვა შეეძლო, ამიტომ ბიჭმა ყველაფერი მოსამსახურეს მისცა, მისდამი კეთილად რომ იყო განწყობილი, სთხოვა, რომელიმე მემკვლმანე ებრაელისთვის მიეყიდა, ხოლო თანხა თავისთვის დაეტოვებინა. მისი თხოვნა მოსამსახურემ ხალისით შეასრულა. როდესაც სასტუმრო ოთახის ფანჯარასთან მდგარმა ოლივერმა დაინახა, მეწვრილმანე ებრაელმა მისი ძველი ტანსაცმელი თავის ტომარაში როგორ ჩადო, ენით აუწერელმა სიხარულმა აიტანა, რომ ძველმანები წაიდეს და მისი ჩაცმა აღარასოდეს მოუწევდა. სიმართლე ითქვას, ის ტანსაცმელი ნამდვილი ძონძები გახლდათ და ოლივერს აქამდე არასოდეს ჰქონია ახალი კოსტიუმი. ერთ საღამოს, პორტრეტთან დაკავშირებული ამბიდან დაახლოებით ერთი კვირის თავზე, ოლივერი მისის ბედუინს ესაუბრებოდა, როდესაც მისტერ ბრაუნლოუსგან შეტყობინება მიიღეს, თუ ოლივერი თავს საკმარისად კარგად გრძნობს, ჩემთან სასაუბროდ კაბინეტში მოვიდესო.

- ღმერთო, დაგვიფარე და დაგვიცავი! ხელები დაიბანე, შვილო, და მოდი, თმას კარგად დაგივარცხნი! - წამოიძახა მისის ბედუინმა, - ღმერთო! რომ მცოდნოდა შენს ნახვას მოისურვებდა, სუფთა საყელოს გაგიკეთებდი და ახალი ექვსპენსიანივით გაკრიალებული იქნებოდი!

ოლივერი დაემორჩილა მოხუც ლედის, ის კი დარდიანად ჩიოდა, რომ მისი პერანგის გოფირებული საყელოს გაუთოების დრო აღარ იყო; მაგრამ ოლივერი ძალიან კოხტა და საყვარელი ჩანდა ასეთი მნიშვნელოვანი მორთულობის გარეშე და მისის ბედუინმაც კი, როდესაც თავით ფეხამდე კმაყოფილებით აათვალიერ-ჩაათვალიერა, დაასკვნა, რომ წინასწარაც რომ გაეფრთხილებინათ, შესაძლოა, უფრო მეტად მისი გალამაზება ვერც კი მოეხერხებინა.

ამ სიტყვებით გულმოცემულმა ოლივერმა კაბინეტის კარზე დააკაკუნა.

როდესაც მისტერ ბრაუნლოუმ შესვლის ნებართვა მისცა, ოლივერი წიგნებით სავსე პატარა ოთახში აღმოჩნდა, რომლის ფანჯრები ლამაზ ბაღს გადაჰყურებდა. ფანჯარასთან მაგიდა იდგა. მაგიდასთან მისტერ ბრაუნლოუ იჯდა და კითხულობდა. ოლივერის დანახვაზე წიგნი გადადო, მაგიდასთან ახლოს მისვლა და ჩამოჯდომა შესთავაზა. ბიჭი დაემორჩილა და თან უკვირდა, ნუთუ არსებობენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც კაცობრიობის დაჭკვიანებისთვის განკუთვნილი ამდენი წიგნის წაკითხვა შეუძლიათო. ეს ამოუხსნელი ამოცანა გახლდათ იმაზე გამოცდილი ადამიანებისთვისაც კი,

ვიდრე ოლივერ ტვისტი იყო.

- ბევრი წიგნია, ხომ ასეა, ჩემო ბიჭო? - შეეკითხა მისტერ ბრაუნლოუ, როდესაც შენიშნა, როგორი ცნობისმოყვარეობით ათვალაიერებდა ოლივერი წიგნის თაროებს, იატაკიდან ჭერამდე რომ ასდევდა კედლებს.

- ძალიან ბევრია, სერ, - უპასუხა ოლივერმა, - ამდენი არასოდეს მინახავს.

- თუ კარგად მოიქცევი, მათ წაიკითხავ, - ალერსიანად უთხრა მოხუცმა ჯენტლმენმა, - ეს უფრო მოგეწონება, ვიდრე მხოლოდ მათი ყუების თვალაიერება.

თუმცა, ყოველთვის არა: ისეთი წიგნებიც არის, რომელთა ერთადერთი ღირსება

ყუა და ყდაა.

- ალბათ, ის მძიმე წიგნებია ასეთი, სერ, - შენიშნა ოლივერმა და ოქროთი მოვარაყებულ ყდებზე მიანიშნა.

- არა, ეგენი არა, - უპასუხა მოხუცმა ჯენტლმენმა, თავზე ხელი გადაუსვა და

გაიღიმა, - ასეთი მძიმე წიგნებიც არსებობს, მაგრამ ისინი ამათზე ბევრად პატარებია. გინდა ჭკვიანი გაიზარდო და წიგნები წერო?

- ვფიქრობ, უფრო მეტად მათი წაკითხვა მინდა, სერ, - უპასუხა ოლივერმა.

- როგორ, არ გინდა მწერალი გამოხვიდე? - ჰკითხა მოხუცმა ჯენტლმენმა.

ოლივერმა ცოტა ხანს იფიქრა და თქვა, ყველაზე უკეთესი წიგნების გაყიდვააო; ამ პასუხმა მოხუცი ჯენტლმენი გაამხიარულა, გადაიხარხარა და უთხრა, მართლაც მოსწრებული პასუხიაო. ოლივერსაც გაუხარდა, თუმცა, ვერ

მიხვდა, რა იყო ასეთი გასამხიარულებელი მის ნათქვამში.

- მშვენიერია! - თქვა შემდეგ მოხუცმა ჯენტლმენმა, - ნუ გეშინია! მწერლად

ძალით არ გაქცევთ, რადგან არსებობს რომელიმე პატიოსანი ხელობის დაუფლების საშუალება ან სულაც შეიძლება აგურით მოპირკეთება ისწავლო.

- მაღლობელი ვარ, სერ, - უპასუხა ოლივერმა.

ასეთი სერიოზული პასუხის გაგონებაზე მოხუცმა ჯენტლმენმა ისევ გადაიხარხარა და რაღაც თქვა ინსტინქტების უცნაურობის შესახებ, მაგრამ ოლივერმა ბევრი ვერაფერი გაიგო.

- ახლა კი, ჩემო ბიჭო, - განაგრძო მისტერ ბრაუნლოუმ, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო ალერსიანად, მაგრამ მისი სახე ისეთი სერიოზული გახლდათ,

როგორც ოლივერს არასოდეს უნახავს, - მინდა ძალიან დიდი ყურადღებით მოისმინო, რასაც ახლა გეტყვი. შენთან სრულიად გულახდილი ვიქნები, იმიტომ,

რომ დარწმუნებული ვარ, არანაკლებ კარგად შეგიძლია გამიგო, ვიდრე შენზე უფროსებს ეხერხებათ ეს.

- ოჰ, გთხოვთ, სერ, არ მითხრათ, რომ ჩემი გაგდება გასურთ! - წამოიძახა მოხუცი ჯენტლმენის სერიოზულობით შეშინებულმა ოლივერმა, - ქუჩაში საწაწალოდ ნუ გამაგდებთ! ნება მომეცით, აქ დავრჩე და თქვენი მსახური ვიყო.

უკან, იმ საზარელ ადგილზე, საიდანაც აქ მოვხვდი, ნუ გამგზავნით!
შეიცოდეთ
საწყალი ბიჭი, სერ!

- ჩემო საყვარელო ბიჭო, - თქვა ოლივერის მოულოდნელი და მხურვალე ვედრებით აღელვებულმა მოხუცმა ჯენტლმენმა, - ტყუილად შიშობ, რომ ოდესმე შენს მიტოვებას ვაპირებ, თუ, რა თქმა უნდა, ამის საბაბს თავად არ მომცემ.

- არასოდეს, ეს არასოდეს მოხდება, სერ! - ჩაურთო ოლივერმა.

- იმედია, - განაგრძო მოხუცმა ჯენტლმენმა, - არა მგონია, ოდესმე ასე მოიქცე.

ბევრჯერ მოვუტყუებია იმ ადამიანებს, ვის დახმარებასაც ვცდილობდი, მაგრამ რატომღაც გენდობი, არც კი ვიცი, რატომ ვარ შენით ასე დაინტერესებული. ადამიანები, რომლებსაც ჩემი მხურვალე სიყვარული ვუძღვენი, საფლავებში წვანან; და მართალია, მათთან ერთად ჩემი ცხოვრების ბედნიერება და სიხარულიც დაიმარხა, ჩემი გული სამარედ არ მიქცევია, ისევ ღია მაქვს სიკეთისთვის. ღრმა მწუხარებამ მხოლოდ განამტკიცა და გააკეთილშობილა ჩემი გრძნობები.

რაკი მოხუცი ჯენტლმენი ხმადაბლა ლაპარაკობდა, თითქოს უფრო მეტად თავის თავს ესაუბრებო, შემდეგ კი დადუმდა, სიჩუმე არც ოლივერს დაურღვევია.

- კარგი, კარგი! - თქვა ბოლოს მოხუცმა ჯენტლმენმა უფრო მხიარულად, - ამ

თემაზე საუბარი იმიტომ დავიწყე, რომ ნორჩი გული გაქვს და როდესაც ჩემი დარდისა და მწუხარების ამბავს შეიტყობ, ალბათ, შეეცდები, ახალი ტანჯვა არ

მომაყენო. როგორც ამბობ, ობოლი ხარ და არც ერთი მეგობარი არა გყავს; ჩემი

შეკრებილი ცნობებიც ამას ადასტურებს. შენს თავზე ყველაფერი მომიყევი: საიდან მოხვედი, ვინ გზრდიდა, როგორ მოხვდი იმ ხალხთან, ვის

გვერდითაც

გაპოვე? სიმართლე მითხარი და სიცოცხლის ბოლომდე შენი ერთგული მეგობარი

ვიქნები.

რამდენიმე წუთის განმავლობაში სლუკუნის ოლივერს საუბრის დაწყებაში ხელს უშლიდა; როდესაც მოყოლა უნდა დაეწყო ფერმაში ცხოვრების შესახებ, ასევე იმის თაობაზე, როგორ წაიყვანა იქიდან მისტერ ბამბლმა შრომის სახლში,

სადარბაზოს კარზე მკვეთრად, ორჯერ დააკაკუნეს და კიბეზე ამოსულმა მოსამსახურემ მისტერ გრიმუიგის მოსვლა აუწყა.

- აქ მოდის? - დაინტერესდა მისტერ ბრაუნლოუ.

- დიახ, სერ, - უპასუხა მოსამსახურემ, - იკითხა, შინ ცხელი ფუნთუშები თუ გაქვთო, და როცა დავუდასტურე, თქვა, ჩაის დასალევად მოვედიო.

მისტერ ბრაუნლოუს გაეცინა, მერე ოლივერს მიუბრუნდა და აუხსნა, რომ მისტერ გრიმუიგი მისი დიდი ხნის მეგობარია, ოლივერმა ყურადღება არ უნდა მიაქციოს მის, ცოტა არ იყოს, უხემ მანერებს, რადგან სინამდვილეში უაღრესად ღირსეული ადამიანია და ეს კარგად იცის მისტერ ბრაუნლოუმ.

- ქვემოთ ჩავიდე, სერ? - შეეკითხა ოლივერი.

- არა, - უპასუხა მისტერ ბრაუნლოუმ, - მინდა აქ დარჩე.

იმავე წუთს ოთახში შემოვიდა სქელ ხელჯოხზე დაყრდნობილი ზორბა მოხუცი

ჯენტლმენი, რომელიც ცალი ფეხით ოდნავ კოჭლობდა; ეცვა ლურჯი ფრაკი, ზოლიანი ჟილეტი, ნაშურის

შარვალი და გეტრები; ეხურა მწვანე ქობით მორთული ფართოფარფლიანი თეთრი შლაპა. ჟილეტის ზემოდან წვრილად გოფირებული ჟაბო მოუჩანდა, ქვემოთ კი საათისთვის განკუთვნილ ძალიან გრძელ ფოლადის ძეწკვზე მხოლოდ გასაღები ეკიდა. მისი თეთრი ჰალსტუხის ბოლოები ფორთოხლისხელა

კვანძს ქმნიდა, ხოლო სახის გამომეტყველების გამუდმებული უცნაური ცვლის აღწერა სრულიად შეუძლებელი გახლდათ. საუბრისას, ჩვეულებისამებრ, თავს გვერდზე გადახრიდა ხოლმე, თანამოსაუბრეს თვალის კუთხით უმზერდა და საოცრად ემსგავსებოდა თუთიყუშს. სწორედ ასეთ პოზაში შეჩერდა ოთახში შესული, ხელში ფორთოხლის ქერქის ნაგლეჯი ეჭირა, უკმაყოფილო, ბუზღუნა ხმით წამოიძახა:

- შეხედეთ! ხედავთ? განა უცნაური და გასაოცარი არ არის: საკმარისია, ვინმესთან სახლში შევიდე, რომ მაშინვე ამას, საცოდავი ექიმების შესანიშნავ დამხმარეს წავაწყდები ხოლმე! ოდესღაც ფორთოხლის ქერქის გამო დავკოჭლდი და ვიცი, ეს მომიღებს ბოლოს. სწორედ ასე იქნება, სერ! ჩემი სიკვდილის მიზეზი ფორთოხლის ქერქი იქნება და თუ ასე არ მოხდა, მზად ვარ, საკუთარი თავის ქალა შევჭამო, სერ!

ამ შესანიშნავი პირობით ამთავრებდა მისტერ გრიმუიგი ყველა თავის განცხადებას თუ დასკვნას, რაც უცნაური გახლდათ, რადგან გინდაც დავუშვათ,

რომ მეცნიერება განვითარების ისეთ საფეხურს მიაღწევს, როდესაც სურვილის შემთხვევაში ჯენტლმენს საკუთარი თავის ქალის შეჭმის შესაძლებლობა ექნება,

მისტერ გრიმუიგს იმხელა თავი ჰქონდა, ერთ ჯერზე მისი შეჭმის იმედი ასეთ

ოპტიმისტ ადამიანსაც კი არ უნდა ჰქონოდა; აღარაფერს ვამბობთ მის თმაზე დაყრილი პუდრის უსქელეს ფენაზე.

- საკუთარ თავის ქალას შევჭამ, სერ! - გაიმეორა მისტერ გრიმუიგმა და

ხელჯოხი იატაკს დაჰკრა, - მოიცა! ეს რა არის? - ოლივერს შეხედა და ორი ნაბიჯით უკან დაიხია.

- ეს ყმაწვილი ოლივერ ტვისტია, რომლის თაობაზეც ვსაუბრობდით, - თქვა მისტერ ბრაუნლოუმ.

ოლივერმა თავი დაუკრა.

- იმედია, ეს ის ბიჭი არ არის, ციებ-ცხელებით რომ იყო ავად? - უკან დაიხია მისტერ გრიმუიგმა, - მოიცა! არაფერი თქვათ! მოიცა, - განაგრძო მისტერ გრიმუიგმა, რომელსაც ახლა ციებ-ცხელების აღარ ეშინოდა, - ეს ის ბიჭია, ვისაც ფორთოხალი ჰქონდა? სწორედ ეს უნდა იყოს ის ბიჭი, ვინც ქერქი კიბეზე დააგდო, მზად ვარ, ჩემი თავის ქალა შეეჭამო და მერე ამისიც დავაყოლო, სერ!

- არა, მას ფორთოხალი არ ჰქონია, - სიცილით უპასუხა მისტერ ბრაუნლოუმ, - გეყოფათ! დადეთ შლაპა და ჩემს ყმაწვილ მეგობარს გაესაუბრეთ.

- სერ, ეს საკითხი ძალიან მაწუხებს, - თქვა გაღიზიანებულმა მოხუცმა ჯენტლმენმა და ხელთათმანი გაიხადა, - მთელი ჩვენი ქუჩა ფორთოხლის ქერქითაა მოფენილი და კარგად ვიცი, მათ კუთხეში მცხოვრები ქირურგის ბიჭი ყრის ხოლმე. გუშინ სადამოს ახალგაზრდა ქალს ქერქზე ფეხი აუსრიალდა და ჩემი ბალის ჭიშკართან დაეცა. როცა წამოდგა, დავინახე, როგორ უყურებდა მის წითელ აბრას, უტყვად რომ იწვევდა შესასვლელად. „მასთან არ შეხვიდეთ! - დავუყვირე ფანჯრიდან, - ეგ კაცის მკვლელია! ხაფანგებს აგებს!“ და მართლაც ასეა... და თუ ასე არ არის...

და აქ მოხუცმა ჯენტლმენმა მთელი ძალით დასცხო თავისი ხელჯოხი იატაკს ჩვეული სიტყვების წარმოთქმის სანაცვლოდ. შემდეგ ისე, რომ ხელჯოხი ხელიდან არ გაუშვია, ჩამოჯდა, ფართო შავ ლენტზე დამაგრებული ლორწეტი

გახსნა და ოლივერს მიაჩერდა. ეს უკანასკნელი, ასეთი დაჟინებული დაკვირვების ობიექტი, წამოწითლდა და კიდევ ერთხელ დაუკრა თავი.

- ეს ის ბიჭია, ხომ? - თქვა ბოლოს მისტერ გრიმუიგმა.

- სწორედ ისაა, - უპასუხა მისტერ ბრაუნლოუმ.

- თავს როგორ გრძნობ? - შეეკითხა მისტერ გრიმუიგი.

- ბევრად უკეთ, გმადლობთ, სერ, - უპასუხა ოლივერმა.

მისტერ ბრაუნლოუ შეშინდა, მის უცნაურ მეგობარს კიდევ რაიმე მკვახედ არ ეთქვა, ამიტომ ოლივერს სთხოვა, ქვემოთ ჩასულიყო და მისის ბედუინისთვის

ეთხოვა, ჩაის მომზადებაზე ეზრუნა; ოლივერს სტუმრის ქცევა დიდად არ მოეწონა, ამიტომ სიხარულით გაემართა დავალების შესასრულებლად.

- კარგი ბიჭია, ხომ მართალია? - იკითხა მისტერ ბრაუნლოუმ.

- არ ვიცი, - ბუზღუნით გამოეხმაურა მისტერ გრიმუიგი.

- არ იცით?

- არ ვიცი. ბიჭებს შორის განსხვავებას ვერ ვხედავ. მხოლოდ ორი ტიპის ბიჭები ვიცი: ფერმკრთალები და ფერხორციანები.

-- ოლივერი რომელს მიეკუთვნება?

-- ფერმკრთალებს. ჩემს ერთ მეგობარს ფერხორციანი ბიჭი ჰყავს. მშობლები შესანიშნავ ბიჭუნას ეძახიან: მრგვალი თავი, წითელი ლოყები და დაჭყეტილი თვალები აქვს. საშინელი ბიჭია. იმხელა გულმკერდი, ხელები და ფეხები აქვს,

გეგონება, მისი ლურჯი კოსტიუმის ყველა ნაკერი სადაცაა გასკდება; ხმა ლოცმანისას მიუგავს, მადა კი მგლისას არ ჩამოუვარდება. კარგად ვიცნობ! ნამდვილი არამზადაა!

- გეყოფათ! ამ ყველაფერს ყმაწვილ ოლივერ ტვისტთან საერთო არაფერი აქვს, შესაბამისად, თქვენს რისხვასაც არ უნდა იწვევდეს.

- მართალია, არაფერია საერთო, - შენიშნა მისტერ გრიმუიგმა, - შეიძლება სხვა უარესი თვისებები აქვს. გეუბნებით, შეიძლება უარესი თვისებები აქვს, -

გაიმეორა მისტერ გრიმუიგმა, - საიდან გამოტყვრა? რას წარმოადგენს? ვინ არის? ციებ-ცხელება ჰქონდა. მერე რა! ციებ-ცხელებით ავადმყოფობა წესიერი

ადამიანების პრივილეგია არ არის, ხომ ასეა? ხანდახან ცუდი ადამიანებიც ავადდებიან ციებ-ცხელებით, მართალი ვარ? ერთ კაცს ვიცნობდი, იამაიკაზე ჩამოახრჩვეს, რადგან თავისი ბატონი მოკლა. ჰოდა, ექვსჯერ იყო ავად ციებ-ცხელებით, მაგრამ ეს არ გამხდარა მისი შეწყალების მიზეზი. ტფუ! რა სისულელეა!

საქმე ის გახლავთ, რომ გულის სიღრმეში მისტერ გრიმუიგი მზად იყო ეღიარებინა, რომ ოლივერი შესახედავად და საქციელითაც მეტად მიმზიდველი

ბიჭი იყო; მაგრამ წინააღმდეგობის გაწევის დაუოკებელი მოთხოვნილება ჰქონდა, რაც იმ დღეს კიბეზე ნაპოვნმა ფორთოხლის ქერქმა გაუმძაფრა; ამიტომაც თავისთვის გადაწყვიტა, ამქვეყნად ვერც ერთი ადამიანი ვერ მაიძულებს, ბიჭზე ვთქვა, რომ ლამაზია ან მახინჯიო და მაშინვე კრიჭაში ჩაუდგა

მეგობარს. როდესაც მისტერ ბრაუნლოუმ განაცხადა, რომ მის არც ერთ შეკითხვაზე პასუხი არა აქვს, რადგან ბიჭის წარსულ ცხოვრებასთან დაკავშირებული გამოძიება გადადებულია იქამდე, ვიდრე უკეთ არ გახდება, მისტერ გრიმუიგმა ღვარძლიანად ჩაიცინა. მერე იქედნურად ურჩია მეგობარს, მნე ქალისთვის დაევალებინა, ღამდამობით ვერცხლის დანა-ჩანგალი გადაეთვალა; თუ ერთ მშვენიერ დილას რამდენიმე კოვზის დანაკარგს ვერ აღმოაჩენდა, ის, მისტერ გრიმუიგი, მზად იყო... და ასე შემდეგ, როგორც სჩვეოდა.

მეგობრის ახირებულობას მისტერ ბრაუნლოუ კარგად იცნობდა და თუმცა, თავადაც მეტად ფიცხი ჯენტლმენი ბრძანდებოდა, ეს ტირადა მშვიდად

მოსმინა; ჩაის სმა წყნარად გაგრძელდა, რადგან მისტერ გრიმუიგმა მასპინძელს პატივი დასდო და ფუნთუშები შეუქო, ხოლო ოლივერს ადრინდელივით აღარ რცხვენოდა ბრაზიანი მოხუცი ჯენტლმენისა.

-- ოლივერ ტვისტის ცხოვრებისა და თავგადასავლის სრული, ნამდვილი და დაწვრილებითი მონათხრობი როდისდა უნდა მოისმინოთ? -- შეეკითხა მისტერ გრიმუიგი მისტერ ბრაუნლოუს მას შემდეგ, რაც ჩაის სმა დაასრულეს; ამასთან, ბიჭს აღმაცერად გადახედა.

- ხვალ დილით, - უპასუხა მისტერ ბრაუნლოუმ, - ხვალ ამ დროს მასთან ერთად ვიქნები. დილის ათ საათზე ჩემთან მოხვალ, ძვირფასო.

- როგორც მიბრძანებთ, სერ, - თქვა ოლივერმა, ცოტა არ იყოს, დაბნეულმა,

რისი მიზეზიც მისტერ გრიმუიგის დაჟინებული მზერა გახლდათ.

- აი, რას გეტყვით, - უჩურჩულა მისტერ ბრაუნლოუს, - ხვალ დილით თქვენთან არ მოვა, დავინახე, როგორ შეცბა. გატყუებთ, ჩემო ძვირფასო მეგობარო.

- მზად ვარ დავიფიცო, რომ არ მატყუებს! - წამოიძახა გაცხარებულმა მისტერ ბრაუნლოუმ.

- თუ არ გატყუებდეთ, - თქვა მისტერ გრიმუიგმა, - მეც მზად ვარ... - და იატაკს ხელჯოხი დაჰკრა.

- საკუთარი სიცოცხლით ვაგებ პასუხს, რომ ეს ბიჭი არ იტყუება! - თქვა მისტერ ბრაუნლოუმ და მაგიდას მუშტი დაჰკრა.

- მე კი თავს დავდებ, რომ ტყუის! - არ შეეპუა მისტერ გრიმუიგი და ასევე ხელი დაჰკრა მაგიდას.

- ვნახოთ! - უპასუხა მისტერ ბრაუნლოუმ, რომელიც ბრაზს ძლივს იოკებდა.

- ჭეშმარიტებას ბრძანებთ! - გამაღიზიანებელი ღიმილით უპასუხა მისტერ გრიმუიგმა, - ვნახოთ!

ბედისწერამ ისე იხება, რომ იმ წუთს მისის ბედუინმა კაბინეტში წიგნების მომცრო შეკვრა შეიტანა. ეს წიგნები დილით მისტერ ბრაუნლოუს შეეძინა მკითხველისთვის უკვე ნაცნობ წიგნის ფარდულში. შეკვრა მისის ბედუინმა მაგიდაზე დადო და ოთახიდან გასვლა დააპირა.

- ბიჭი შეაყოვნეთ, მისის ბედუინ, - თქვა მისტერ ბრაუნლოუმ, - მინდა რაღაც გავატანო.

- უკვე წავიდა, სერ, - უპასუხა მისის ბედუინმა.

- დააბრუნეთ, - თქვა მისტერ ბრაუნლოუმ, - ეს ძალიან მნიშვნელოვანია. წიგნის ფარდულის მეპატრონე ღარიბია, წიგნის ფული კი არ გადამიხდია. გარდა

ამისა, რამდენიმე წიგნი დასაბრუნებელია.

სადარბაზოს კარი გააღეს. ოლივერი ერთ მხარეს გაიქცა, მოსამსახურე – მეორე მხარეს, მისის ბედუინი ზღურბლზე იდგა და გამკვივანი ხმით წიგნის გამყიდველის კურიერს უხმობდა, მაგრამ ბიჭის ჭაჭანება არსად იყო.

ოლივერი

და მოსამსახურე აქომინებულები დაბრუნდნენ და მოახსენეს, რომ მის კვალსაც

კი ვერსად მიაგნეს.

– ოჰ, ღმერთო ჩემო, რა საწყენია! – წამოიძახა მისტერ ბრაუნლოუმ, – ძალიან

მინდოდა დდღეს საღამოს ამ წიგნების უკან გაგზავნა!

-- ოლივერს გაატანეთ, – ირონიული ღიმილით თქვა მისტერ გრიმუიგმა, – დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, უსაფრთხოდ ჩააბარებს.

– დიახ, თუ შეიძლება, ნება მომეცით, სერ, მე წავიღებ! – ჩაერია

ოლივერი, –

სირბილით წავალ, სერ.

მოხუც ჯენტლმენს უნდოდა ეთქვა, რომ ოლივერს არავითარ შემთხვევაში არ გაუშვებდა, მაგრამ მისტერ გრიმუიგის ღვარძლიანმა ჩახველებამ აიძულა, სხვაგვარი გადაწყვეტილება მიეღო: დავალების სწრაფად შესრულებით ოლივერი მისტერ გრიმუიგს დაუმტკიცებდა მისი ეჭვების უსაფუძვლობას ამ საკითხზე მაინც და თანაც, დაუმტკიცებდა ძალიან სწრაფად.

– კარგი! შენ წადი, ძვირფასო, – თქვა მოხუცმა ჯენტლმენმა, – წიგნები ჩემს

მაგიდასთან, სკამზე დევს. აქ მოიტანე.

გახარებულმა, რომ შეიძლებოდა რაიმე სარგებლობა მოეტანა, ოლივერმა წიგნების შეკვრა ილიაში ამოიჩარა და ქუდით ხელში ელოდებოდა,

სიტყვიერად

რის გადაცემას დაავალდებდნენ.

– ამ წიგნებს გადასცემ, – განაგრძობდა მისტერ ბრაუნლოუ, თან დაჟინებით უყურებდა მისტერ გრიმუიგს, – ეტყვი, რომ მათ ვაბრუნებ, და კიდევ ოთხ გირვანქა სტერლინგსა და ათ შილინგს გადაუხდი, რაც ვალად მაქვს. აი, ხუთი

გირვანქა სტერლინგი. ხურდა, ათი შილინგი უნდა დამიბრუნო.

– ათი წუთიც არ დამჭირდება და აქ გავჩნდები, სერ! – წამოიძახა გახარებულმა ოლივერმა.

ბიჭმა ფული ყელამდე შეკრული ქურთუკის ჯიბეში შეინახა, წიგნები მოხერხებულად ამოიღო ილიაში, ჯენტლმენებს თავი დაუკრა და ოთახიდან გავიდა. მისის ბედუინმა სადარბაზოს კარამდე მიაცილა, არაერთი მითითებით

მიანიშნა, როგორ მისულიყო უმოკლესი გზით, დაუსახელა წიგნების

გამყიდველის გვარი და ქუჩის სახელი; როგორც ოლივერმა განაცხადა,

ყველაფერი შესანიშნავად გაიგო. მოხუცმა ლედიმ კიდევ სხვა დარიგებებიც

დაამატა, ისიც, რომ გზაში არ გაცივებულიყო და, როგორც იქნა, სახლიდან გაუშვა.

-- ღმერთმა დალოცოს მისი საყვარელი სახე! - თქვა მოხუცმა ლედიმ, რომელიც მიმავალს გასცქეროდა, - არ ვიცი, რატომ, მაგრამ ძალიან მიჭირს მისი ასე გაშვება.

სწორედ იმწამს ოლივერმა მხიარულად უკან მიიხედა და თავი დაუქნია, ვიდრე კუთხეში შეუხვევდა. მოხუცმა ლედიმ ხელის დაქნევითა და ღიმილით უპასუხა, კარი ჩაკეტა და თავის ოთახში შებრუნდა.

- აბა, ვნახოთ, ოციოდე წუთში უნდა დაბრუნდეს, - თქვა მისტერ ბრაუნლოუმ, ჯიბიდან საათი ამოიღო და მაგიდაზე დადო, - იმ დროისთვის დაბნელობა კიდევ.

-- ოჰ! ნუთუ მართლა ფიქრობთ, რომ დაბრუნდება? - შეეკითხა მისტერ გრიმუიგი.

- თქვენ ასე არ ფიქრობთ? - ღიმილით შეეკითხა მისტერ ბრაუნლოუ.

მისტერ გრიმუიგი წინააღმდეგობის გაწევის სურვილმა ისევ აიტანა, ხოლო მეგობრის თავდაჯერებულმა იერმა და ღიმილმა კიდევ უფრო გაუმძაფრა ეს სურვილი.

- არა, ასე არ ვფიქრობ! - თქვა მან და მაგიდას მუშტი დაჰკრა, - ბიჭს ახალი კოსტიუმი აცვია, ძვირფასი წიგნების შეკვრა მიაქვს, ჯიბეში ხუთი გირვანქა უდევს. თავის ქურდ ძმაკაცებთან მივა და გულიანად დაგცინებთ. თუ ოდესმე ეს ბიჭი აქ დაბრუნდა, სერ, მზად ვარ, საკუთარი თავის ქალა შევჭამო.

ამ სიტყვების შემდეგ სკამი მაგიდისკენ მისწია. ორი მეგობარი მდუმარედ იჯდა და ელოდა, მათ წინ საათი იდო.

სიმართლე მოითხოვს აღინიშნოს ის მნიშვნელობა, რასაც ვანიჭებთ ჩვენს განსჯასა და იმ სიამაყეს, რომლითაც მცდარი და სწრაფი დასკვნის გამოტანა გვიყვარს ხოლმე; მისტერ გრიმუიგი სრულებით არ გახლდათ უსულგულო ადამიანი, მას ძალიან ეწყინებოდა, თუ მის პატივსაცემ მეგობარს ვინმე მოატყუებდა ან აბუჩად აიგდებდა, მაგრამ, იმავდროულად, იმწუთას გულწრფელად და მთელი გულით სჯეროდა, რომ ოლივერ ტვისტი აღარასოდეს დაბრუნდებოდა.

ჩამობნელდა. ციფერბლატზე ციფრების გარჩევა უკვე ჭირდა, მაგრამ ორი მოხუცი ჯენტლმენი ისევ მდუმარედ იჯდა მაგიდასთან, მათ შორის კი საათი იდო და წიკწიკებდა.

თავი 15 ამ თავში მკითხველი შეიტყობს, როგორ ნაზად უყვარდათ ოლივერიმხიარულ მოხუც ებრაელსა და ნენსის

იაფფასიანი პაბის ბნელი დარბაზი ლიტლ-საფრენ-ჰილის ყველაზე ბინძურ ნაწილში; ბნელ და პირქუშ, სპირტის სუნით აყროლებულ ბუნაგში, სადაც ზამთრობით მთელი დღე გაზის სანათი ანთია და ზაფხულობით მზის ერთი

სხვიც კი ვერ აღწევს, მაგიდაზე მდგარ კალის დოქსა და ჭიქას ხავერდის ქურთუკში, მუქ მოკლე შარვალში, გეტრებსა და თასმებიან ფეხსაცმელში გამოწყობილი მამაკაცი მისჯდომოდა, რომელშიც, ამ ბინდუნდის მიუხედავად,

პოლიციის ყველაზე გამოუცდელი აგენტიც კი მისტერ უილიამ საიკსს ამოიცნობდა. ფეხებთან თეთრბეწვიანი, წითელთვალემა ძალღიგაფილი გაწოლილიყო, რომელიც ხან თვალებს ახამხამებდა და პატრონს შესცქეროდა, ხანაც დრუნჩზე ახალთახალ ჭრილობას ილოკავდა, როგორც ჩანს, ბოლოდროინდელი ჩხუბის შედეგს.

- დაწყნარდი, ნაგავო! დაწყნარდი-მეთქი! - უეცრად უბრძანა ცხოველს მისტერ საიკსმა და დუმილი დაარღვია.

ისეთი დაძაბული ფიქრობდა რაღაცას, რომ ძაღლის თვალების ხამხამმა ხელი შეუშალა თუ თავისივე აზრებმა გააღიზიანა და მათ დასალაგებლად აუცილებელი გახდა, უწყინარ ცხოველს წიხლით გამასპინძლებოდა, ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის ეს გაურკვეველია. როგორც უნდა ყოფილიყო მიზეზი, ძაღლმა წიხლი იწვნია, რასაც ზედ უშვერი გინება და წყევლა-კრულვა დაერთო.

ძაღლებს, როგორც წესი, არ სჩვევიათ პატრონისგან მიყენებული გულსტკენისთვის შურისძიება, მაგრამ მისტერ საიკსის ძაღლი პატრონივით ავი ზნისა იყო და ჩანს, შეურაცხყოფით გაბრაზებული კბილებით ჩაეჭიდა მის ფეხსაცმელს. კარგად რომ დაეჯაჯგურა, მერე სკამის ქვეშ შეძვრა და დროულადაც, რათა თავიდან აეცილებინა მისკენ მოქნეული კალის დოქი.

- აი, თურმე რა! - თქვა საიკსმა, ცალი ხელი ცეცხლის საჩხრეკს წამოავლო, მეორით კი ჯიბიდან ამოღებული დანა გაშალა, - აქ მოეთრე, ეშმაკის გაგდებულო! აქ-მეთქი! გეყურება?

რასაკვირველია, ძაღლს ესმოდა, იმიტომ, რომ მისტერ საიკსს მჭახე ხმა და საუბრის უხეში მანერა ჰქონდა, მაგრამ, ალბათ, ძალიან არ სურდა, ყელი გამოეჭრათ მისთვის, ამიტომ ადგილიდან არ დაძრულა და სკამის ქვეშ მოკალათებულმა ხმამაღლა დაიღრინა; კბილებით ცეცხლის საჩხრეკს ჩააფრინდა და ველური ცხოველივით მისი ღრღნა დაიწყო.

მისტერ საიკსი ამგვარმა დაუმორჩილებლობამ გააცოფა, მუხლებზე დადგა და ცხოველს შეუტია. ძაღლი ერთი კუთხიდან მეორეს აწყდებოდა, იღრინებოდა, ყეფდა, კაცი კი იგინებოდა, ურტყამდა და წყევლიდა; ბრძოლამ ის იყო, კულმინაციას მიაღწია, რომ უეცრად კარი გაიღო და ცხოველი ოთახიდან გავარდა, ბილ საიკსი კი ცეცხლის საჩხრეკითა და დანით ხელში დატოვა.

ძველი ანდაზის თანახმად, ჩხუბისთვის ორი მხარეა საჭირო. რაკი ძაღლის სახით მოწინააღმდეგე დაკარგა, მისტერ საიკსმა მთელი რისხვა ახალმოსულს დაატეხა:

- ეშმაკმა დალახვროს! რა ჯანდაზად ჩაერიეთ ჩემი და ძაღლის ჩხუბში? - მუქარით, ხელების ქნევით წამოიყვირა საიკსმა.

- არ ვიცოდი, ძვირფასო, არ ვიცოდი, - მორიდებულად უპასუხა ფეიჯინმა,
-
ახალმოსული სწორედ ის გახლდათ.

- მშიშარა ქურდო, არ იცოდით, არა? - წაიბუზღუნა საიკსმა, - ჩხუბის ხმა
არ
გაგიგონიათ?

- ერთი სიტყვაც არ გამიგონია, ბილ, აქვე მიწა გასკდეს და თან ჩამიტანოს,
თუ გატყუებდეთ, - უპასუხა ებრაელმა.

- ჰო, აბა, რა! რა თქმა უნდა, არაფერი გესმით, - ბოროტად გაიღიმა
საიკსმა, -
ისე მიპარვით დაიარებით, ვერავინ გაიგებს, როდის შედიხართ და როდის
გამოდიხართ! დასანანია, ფეიჯინ, რომ სულ რაღაც ნახევარი წუთის წინ ამ
ძაღლის ადგილზე თქვენ არ იყავით.

- რატომ? - ნამალადევი ღიმილით დაინტერესდა ებრაელი.

- იმიტომ, რომ მთავრობა ისეთ ნაგავზე ნაგავი ადამიანების სიცოცხლეზე
ზრუნავს, როგორც თქვენ ხართ, სამაგიეროდ, ნებას იძლევა, როცა ადამიანს
მოესურვება, მაშინ გამოსჭრას ყელი მაწანწალა ძაღლს, - უპასუხა საიკსმა და
მრავალმნიშვნელოვანი იერით დაკეცა დანა, - აი, რატომ.

ებრაელმა ხელები მოიფშვნიტა, მაგიდასთან დაჯდა და ნამალადევად
გაიცინა მეგობრის ხუმრობაზე. სიმართლე ითქვას, თავს არცთუ ისე კარგად
გრძნობდა მისი ნათქვამის გამო.

- ჰო, იცინეთ! - განაგრძო საიკსმა, ცეცხლის საჩხრეკი თავის ადგილზე
დადო
და ბოლმიანი ზიზღით მიაჩერდა, - ვერასოდეს დამცინებთ, ეს შეიძლება
მხოლოდ მაშინ მოხდეს, თუ სახრჩობელაზე აღმოვჩნდები. ჩემს ხელში ხართ,
ფეიჯინ, და დაწყევლილი ვიყო, თუ კლანჭებიდან გაგიშვებ. ჰო! თუ
გამბაწრეს,
თქვენც ჩავარდებით. ამიტომ ჩემთან ცოტა ფრთხილად იყავით.

- კარგი, კარგი, ჩემო ძვირფასო, - თქვა ებრაელმა, - ეს ყველაფერი
კარგად
ვიცი; ჩვენ... ჩვენ საერთო ინტერესები გვაქვს, ბილ, საერთო ინტერესები.

- ჰმ, - ჩაიბუზღუნა საიკსმა, თითქოს თვლიდა, რომ ყველა ინტერესი არ
ჰქონდათ საერთო, - აბა, რისი თქმა გინდოდათ?

- ტიგელში
ყველაფერმა წესიერად გაიარა, - უპასუხა ფეიჯინმა, - თქვენი წილი
მოვიტანე.
იმაზე მეტია, ჩემო ძვირფასო, ვიდრე გეგონათ, მაგრამ რაკი ვიცი, რომ
შემდეგში
აღარ გამაბრაზებთ, ამიტომ...

- მორჩით ლაყობას! - მოუთმენლად შეაწყვეტინა მძარცველმა, - სად არის?
მოიტათ!

- კარგი, ბილ, ნუ მაჩქარებთ, ნუ, - შემრიგებლურად თქვა ებრაელმა, -
აი,
ისიც! ყველაფერი აქ არის!

ამ სიტყვებით ბამბის ძველი ცხვირსახოცი ამოიღო გულის ჯიბიდან და მისი ერთ-ერთი გაკვანძული ბოლო გახსნა, საიდანაც ქაღალდის პატარა პაკეტი ამოაცოცა. საიკსმა პაკეტი ხელიდან გამოსტაცა, სწრაფად გახსნა და სოვერენების თვლას შეუდგა.

- სულ ეს არის? - იკითხა საიკსმა.

- სულ, - უპასუხა ებრაელმა.

- გზაში ხომ არ გაგახსნიათ პაკეტი და ერთი-ორი მონეტა ხომ არ გადაგიყლაპავთ? - დაეჭვებით შეეკითხა საიკსი, - რას იმანჭებით აღმფოთებულნი, თითქოს ასეთი რამ ჯერ არ მომხდარა. დააზარუნეთ!

ჩვეულებრივ ენაზე თუ გადმოვთარგმნით, ბოლო სიტყვა ზარის დარეკვას ნიშნავდა. ზარის ხმაზე სხვა ებრაელი შემოვიდა. ის ფეიჯინზე ახალგაზრდა იყო,

მაგრამ თითქმის მასავით ამაზრზენი გარეგნობისა. მან შესანიშნავად გაიგო საიკსის მინიშნება, დოქი ასავსებად გაიტანა, მაგრამ ვიდრე ოთახიდან გავიდოდა, მრავალმნიშვნელოვანი მზერით ფეიჯინს გადახედა, რომელმაც, თითქოს მის მზერას ელოდებოდა, ერთი წამით ასწია თავი და საპასუხოდ ოდნავ დაუქნია. ამის შემჩნევა მხოლოდ დაკვირვებულ მაყურებელს შეეძლო.
ეს

ყველაფერი არ დაუნახავს საიკსს, რომელიც ძაღლისგან დაგლეჯილი თასმის შესაკრავად დახრილიყო. შესაძლოა, ფარული ნიშნების ასეთ გაცვლას მისი ეჭვი

აღეძრა, რომ ეს ყველაფერი ცუდად დამთავრდებოდა.

- აქ კიდევ არის ვინმე, ბარნი? - იკითხა ფეიჯინმა, როდესაც საიკსმა თავი ასწია; ებრაელი ლაპარაკობდა და თან იატაკს ჩასჩერებოდა.

- არავინ, - უპასუხა ბარნიმ, რომელიც სიტყვებს აუცილებლად ცხვირის გავლით წარმოთქვამდა.

- არავინ? - ჩაეკითხა გაკვირვებული ფეიჯინი, თითქოს მიაწინა, სიმართლე ეთქვა.

- არავინ, მის ნენსის თუ არ ჩავთვლით, - უპასუხა ბარნიმ.

- ნენსი! - წამოიძახა საიკსმა, - სად არის? თვალები დამაწყდეს, თუ ამ გოგონას მისი ბუნებრივი ნიჭის გამო პატივს არ ვცემდე.

- ბუფეტში მოხარშული ხბოს ხორცი შეუკვთა, - იყო ბარნის პასუხი.

- აქ გამოგზავნეთ, - თქვა საიკსმა და არაფერი ჭიქაში დაისხა, - უთხარით, აქ მოვიდეს.

ბარნიმ მორიდებით გადახედა ფეიჯინს, თითქოს ნებართვას მისგან ელოდებოდა; რაკი ებრაელი დუმდა და თავი არ აუწევია, ბარნი გავიდა და მალე დაბრუნდა ნენსისთან ერთად, რომელსაც ჭილის ქუდი ეხურა და წინსაფარი

ეკეთა, ხელში კი თავსახურიანი კალათი და გასაღები ეჭირა.

- კვალს მიაგენი, ნენსი? - ჰკითხა საიკსმა და არაყი შესთავაზა.

- ჰო, ბილ, - ახალგაზრდა ლედიმ ჭიქა გამოცალა, - და გვარიანად დავიდალე.

ბიჭი ავად იყო, ლოგინიდან არ ამდგარა და...

- ოჰ, ნენსი, ძვირფასო! - თქვა ფეიჯინმა და თავი ასწია.

შესაძლოა, ებრაელის უცნაურად შეეყმუხნა წითურმა წარბებმა და სანახევროდ დახუჭულმა თვალებმა მის ნენსი მიახვედრა, რომ საიკსთან მეტისმეტად გულახდილი იყო, მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. მოცემულ შემთხვევაში ჩვენ მხოლოდ ფაქტი გვინტერესებს. ფაქტი კი ის არის, რომ ნენსიმ უეცრად შეწყვიტა ლაპარაკი, მისტერ საიკსს გაუღიმა და საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა.

დაახლოებით ათი წუთის შემდეგ მისტერ ფეიჯინს ხველების შეტევა დაეწყო; ნენსიმ მხრებზე შალი მოიხურა და განაცხადა, ჩემი წასვლის დროაო. მისტერ საიკსი დაინტერესდა და როდესაც აღმოჩნდა, გზის ნაწილი ერთი და იმავე ქუჩებით უნდა გაევლოთ, გაცილება შესთავაზა; ისინი ერთად წავიდნენ. პატრონი როგორც კი ქუჩაში დაიგულა, უკანა ეზოდან მისი ძალი გამოიძურწა და შორიახლო აედევნა.

საიკსი ოთახიდან გავიდა, ებრაელმა კი კარიდან გახედა, ბნელ დერეფანში მიმავალს უყურებდა და მუშტი მოუღერა, თან წყევლა-კრულვაც მიაყოლა.

მერე

საზიზღარი ღიმილით ისევ მაგიდას მიუჯდა და სულ მცირე ხანში

საპოლიციო

გაზეთის „დაიჭირე! დააკავე!“

მეტად საინტერესო გვერდების კითხვას ჩაულრმავდა.

ამასობაში ოლივერ ტვისტი, რომელმაც არც კი იცოდა, რა მცირე მანძილი ამორებდა მხიარული მოხუცი ჯენტლმენისგან, წიგნების ფარდულისკენ მიდიოდა. კლერკენუელამდე მისულმა შეცდომით იმ ქუჩაზე შეუხვია, რომლისთვისაც შეიძლებოდა გვერდი აექცია, მაგრამ გზის ნახევარი უკვე გავლილი ჰქონდა, როდესაც თავის შეცდომას მიხვდა; რაკი დარწმუნებული იყო,

დანიშნულების ადგილზე ამ ქუჩითაც მივიდოდა, უკან დაბრუნება

გადაიფიქრა,

ნაზიჯს აუჩქარა ილიაში წიგნებამოჩრილმა.

მიდიოდა და იმაზე ფიქრობდა, როგორი ბედნიერი და კმაყოფილი იყო, როგორ უნდოდა საბრალო პატარა დიკისთვის თუნდაც ერთხელ შეეველო თვალი -

შიმშილითა და ცემა-ტყეპით განაწამები, ვინ იცის, იქნებ სწორედ ამწუთას გულამოსკვნილი ტიროდა. უეცრად ვიდაც ახალგაზრდა ქალის გამყვიანმა კივილმა გამოაფხიზლა:

- ოჰ, ჩემო საყვარელო ძამიკო!

ვერც კი მოასწრო, მიეხედა და გაეგო, რა მოხდა, რომ ვიღაცის ხელი მაგრად შემოეხვია კისერზე.

- გამიშვით! - თავის დახსნა სცადა ოლივერმა, - ხელი გამიშვით! ვინ ხართ?
რატომ გამაჩერეთ?

ერთადერთი პასუხი ამ შეკითხვებზე ახალგაზრდა ქალის ხმამაღალი მოთქმა იყო. ქალს ხელში კალათი და სახლის გასაღები ეჭირა.

- ოჰ, ღმერთო ჩემო! - ყვიროდა ახალგაზრდა ქალი, - ვიპოვე! ოჰ, ოლივერ!
სამაგელო ბიჭო, როგორ მანერვიულე. წამოდი, შინ, საყვარელო, წამოდი! ღმერთო, ვიპოვე! ღმერთო, როგორ მადლობელი ვარ შენი, რომ ვიპოვე!

ამ უაზრო წამომახილებს მოჰყვა ქვითინი და ახალგაზრდა ქალი ლამის ისტერიკაში ჩავარდა. ყვირილზე შემოსწრებული ორი ქალიდან ერთ-ერთი ხორცის გამყიდველის ფარდულში მივიდა და იქ მომუშავე ბიჭუნას, რომელსაც

თმა საქონლის ქონით გაეპოხა, ჰკითხა, ექიმის მოსაყვანად ხომ არ წავიდოდა.

ბიჭს, როგორც ჩანს, დასვენება სურდა, ამიტომ ზანტად უპასუხა, რომ ამის საჭიროებას ვერ ხედავდა.

- ოჰ, ყურადღებას ნუ მიაქცევთ! - თქვა ახალგაზრდა ქალმა და ოლივერს ხელი მაგრად ჩასყიდა, - უკვე უკეთ ვარ. ახლავე წამოდი სახლში უგულო ბიყფო!
წავედით!

- რა მოხდა, ქალბატონო? - შეეკითხა ქალებიდან ერთ-ერთი.

- აჰ, ქალბატონო! - წამოიძახა ახალგაზრდა ლედიმ, - დაახლოებით ერთი თვის წინ მშობლების, მშრომელი და პატიოსანი ხალხის სახლიდან გაიქცა, ქურდებსა და არამზადებს გადაეყარა და დედაჩემს გული ატკინა.

- სამაგელი ბიყი! - თქვა პირველმა ქალმა.

- ახლავე შინ წადი, ბრიყვო! - დაამატა მეორემ.

- არა, არა! - წამოიყვირა შეშინებულმა ოლივერმა, - ამას არ ვიცნობ! არც და მყავს, არ დედა და არც მამა! ობოლი ვარ და პენტონვილში ვცხოვრობ!

- არა, ყური დაუგდეთ, როგორ უარყოფს ყველას! - წამოიძახა ახალგაზრდა ქალმა.

- ეს ხომ ნენსია! - დაიყვირა ოლივერმა, რომელიც მხოლოდ ახლა დააკვირდა ქალს სახეზე და გაკვირვებულმა უკან დაიხია.

- ხედავთ, მიცნო! - გასძახა ნენსიმ მოსერიეებს, - ახლა ველარაფერს იტყვის.

დამეხმარეთ, შინ დამაბრუნებინეთ, თორემ თავის გულკეთილ დედ-მამას

მოკლავს და გულს მატკენს!

- ეშმაკმა დალახვროს, აქ რა ხდება? - დაიყვირა ლუდხანიდან გამოვარდნილმა ვიდაც კაცმა, რომელსაც ფეხდაფეხ თეთრი ძალი მოსდევდა,

- პატარა ოლივერი! ძალიშვილო, ახლავე საწყალ დედაშენთან წადი! ახლავე დაბრუნდი შინ!

- ეს ჩემი ნათესავი არ არის! მათ არ ვიცნობ! მიშველეთ! მიშველეთ! - დაიყვირა ოლივერმა და ამ კაცის ძლიერი ხელებისგან თავის დახსნა სცადა.

- მიშველეთო? - გაიმეორა კაცმა, - ჰო, ახლავე გიშველი პატარა არამზადავ! ეს რა წიგნებია? მოიპარე? ახლავე მომეცი!

ამ სიტყვებით ბიჭს ხელიდან წიგნები გამოსტაცა და თავში ჩაართყა.

- სწორია! - დაიყვირა ვიდაც უსაქმურმა სხვენის სარკმლიდან, - მარტო ასე თუ მოაჭკვიანებთ!

- მართალია! - სარკმლისკენ აიხედა ნამძინარევი სახის მქონე დურგალმა.
- მისთვის სასარგებლო იქნება! - დაასკვნა ორივე ქალმა.

- ჰო, სასარგებლო იქნება! - განაგრძო მამაკაცმა, კიდევ ჩაართყა ოლივერს და ქეროში სწვდა, - წამოეთრე, არამზადავ!.. ეი, ხარისთვალა, მოდი აქ! ეს ბიჭი დაიმახსოვრე! კარგად დაიმახსოვრე!

ახალგადატანილი ავადმყოფობით დასუსტებული, უეცარი თავდასხმითა და დარტყმებით დარეტყინებული, ძალის ავი ღრენითა და უცნობი მამაკაცის მხეცური მოქცევით დაშინებული, რისი შემძლე იყო საბრალო ბავშვი, რომლის

არამზადობაში შეკრებილთაგან ეჭვი არავის ეპარებოდა? დაბინდდა; იმ ადგილებში მდებრიო ხალხი ცხოვრობდა და დახმარების ხელს არავინ გაუწვდიდა. წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა. წუთის შემდეგ ბიჭი პირქუში ვიწრო ქუჩების ლაბირინთში შეიყვანეს, თუკი ხანდახან წამოიყვირებდა, აიძულებდნენ, ისე სწრაფად ევლო, რომ სიტყვების გარჩევა შეუძლებელი გახლდათ. ან რა მნიშვნელობა ჰქონდა მათ გარჩევას, გარკვევითაც რომ გაეგონათ, როდესაც გამოსარჩლებისთვის თავს არავინ გამოიღებდა?!

გაზის სანათები აანთეს. მისის ბედუინი აღელვებული იდგა სადარბაზოს ღია კართან; მოსამსახურე ოცჯერ მაინც გავიდა ქუჩაში, იქნებ ოლივერისთვის თვალი

მოეკრა. ორი მოხუცი ჯენტლმენი კი ისევ ჩაბნელებულ სასტუმრო ოთახში იჯდა

და მათ შორის საათი წიკწიკებდა.

თავი 16 იმის თაობაზე, თუ რა დაემართა ოლივერ

ტვისტსმას შემდეგ, რაც მასზეპრეტენზია ნენსიმ

გამოთქვა

ვიწრო ქუჩები და ეზოები ბოლოს ფართო და ღია მოედანზე გავიდა. აქ

მსხვილფეხა საქონლის ბაზარი იყო პირუტყვისთვის განკუთვნილი ბოსლებითა და სხვა დანარჩენით, რაც ამ საქმეს სჭირდება. ამ ადგილას მისვლისთანავე საიკსმა ნაბიჯი შეანელა: გოგონას ასე სწრაფად სიარული აღარ შეეძლო. ოლივერისკენ შებრუნდა და უხეშად უბრძანა, ხელი ნენსისთვის მოეკიდა.

- შენ რა, არ გესმის? - დაიღრიალა საიკსმა, რადგან ოლივერი აქეთ-იქით იყურებოდა.

ხალხით სავსე ქუჩებისგან მოშორებით, ბნელ ჩიხში იყვნენ. ოლივერი კარგად ხედებოდა, წინააღმდეგობა ამო იქნებოდა და ხელი გაუწოდა ნენსის, რომელმაც მაგრად ჩასჭიდა.

- მეორე ხელი მე მომეცი, - უთხრა საიკსმა და ოლივერის თავისუფალი ხელი ჩაბღუჯა, - მოდი აქ, ხარისთვალა!

ძალღმა თავი ასწია და დაიღრინა.

- შეხედე, ბიჭო! - საიკსმა ოლივერს კისერზე დაადო მეორე ხელი, - თუ ერთ სიტყვას მაინც იტყვის, მაშინვე ეცი! დაიმახსოვრე!

ძალღმა ისევ დაიღრინა, დრუნჩი მოილოკა და ოლივერს ისე შეხედა, თითქოს ერთი სული ჰქონდა, დაუყოვნებლივ ყელში სწვდომოდა.

- თავს ვფიცავ, ნებისმიერ ქრისტიანზე გულმოდგინედ უდარაჯებს! - თქვა საიკსმა, ცხოველს ერთდროულად პირქუში და მრისხანე მოწონებით შეხედა, -

შენ კი, ყმაწვილო, უკვე ხვდები, რაც გელოდება; იმდენი იყვირე, რამდენიც გინდა - ძალღი შენს გართობას ბოლოს მოუღებს. აბა, წინ, პატარავ! ამ უჩვეულოდ გულთბილი მოპყრობის გამო მადლობის ნიშნად ხარისთვალამ კუდი ააქიციანა, ოლივერს გასაფრთხილებლად კიდევ ერთხელ დაუღრინა და წინ გაიქცა.

სმითფილდი

გადაჭრეს, მაგრამ თუნდაც გროსვენორ-სკვერის გავლით ევლოთ, ოლივერი მაინც ვერ იცნობდა გზას. ბნელი და ნისლიანი საღამო იდგა. ნისლის ფარდის მიღმა ფარდულების სინათლეები ძლივს მოჩანდა. ნისლი კი თანდათან სქელდებოდა, თავის ფარდაში ახვევდა ქუჩებსა და სახლებს; უცნობი ადგილები ოლივერს კიდევ უფრო უცხოდ ეჩვენებოდა, მისი დაბნეულობა კი სულ უფრო მეტად დამთრგუნველი და უიმედო ხდებოდა.

კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადადგეს, როდესაც სამრეკლოდან ზარის ხმა მოისმა. პირველივე ზარზე ოლივერის თანამგზავრები შეჩერდნენ და იმ მხარეს გაიხედეს, საიდანაც რეკვის ხმა ისმოდა.

- რვა საათია, ბილ, - თქვა ნენსიმ, როდესაც ზარის ხმა მიწყდა.

- რა აზრი აქვს რაიმეს თქმას? განა მე არ მესმის? - უპასუხა საიკსმა.

- როგორ მინდა ვიცოდე, იმათაც თუ ესმით? - შეეკითხა ნენსი.

- რასაკვირველია, ესმით, - თქვა საიკსმა, - წმინდა ბართლომეს დღეს ამიყვანეს და ბაზრობაზე ყველაზე იაფფასიან საყვირზე დაწრიპინებულიც კი მესმოდა. გარეთ რომ ხმაური და გრუხუნია, მასთან შედარებით დაწყევლილ ძველ ციხეში ისეთი სიჩუმე იყო, რომ სიმწრით რკინის კარს თავს ვურახუნებდი.

- საბრალოები, - ჩაილაპარაკა ნენსიმ, რომელიც ისევ იმ მხარეს იყურებოდა, საიდანაც ზარის ხმა მოისმა, - ოჰ, ბილ, რა კარგი ყმაწვილები არიან!

- ჰო, თქვენ, ქალები, მარტო ამაზე ფიქრობთ, - ჩაიბუზდუნა საიკსმა, - რა კარგი ყმაწვილები არიან! რაღა მკვდრები და რაღა ისინი. რა აზრი აქვს მათზე ლაპარაკს.

ასეთი სანუგეშო სიტყვებით მისტერ საიკსი თითქოს უეცრად მორეული ეჭვიანობის დაფარვას ცდილობდა, ოლივერს უფრო მაგრად მოუჭირა ხელი და უბრძანა, ევლო.

- ერთი წუთით! - წამოიძახა გოგონამ, - სულ არ ვიჩქარებდი, ბილ, სახრჩობელა შენ რომ გელოდებოდეს, როცა შემდეგ ჯერზე სადამოს რვა საათი ჩამოჰკრავს. მოედნის სიახლოვეს ვიხეტიალებდი, მაშინაც კი, თუ მიწა თოვლით იქნებოდა დაფარული და არც შალი მექნებოდა მოსასხმელად.

- და რა სარგებელი იქნებოდა? - შეეკითხა მისტერ საიკსი, რომლისთვისაც სენტიმენტალურობა უცხო ხილი გახლდათ, - თუ არ შეგიძლია ქლიბი და ოციარდიანი გამძლე თოკი შემომიგზავნო, გინდა ორმოცდაათი მილის დაშორებით იბოდიალე და გინდა ერთ ადგილზე იდექი, ჩემთვის ამას რა სარგებლობა ექნებოდა. წამოდი, რა აზრი აქვს აქ დგომასა და ქადაგებას!

გოგონამ გადაიხარხარა და გზა განაგრძეს. ოლივერი გრძნობდა, ხელი როგორ უკანკალებდა ნენსის, ხოლო როდესაც გაზის სანათს ჩაუარეს, სახეზე შეხედა და დაინახა, მიტკალივით გასთეთრებოდა.

დაახლოებით ნახევარი საათი ყრუ და ბინძური ქუჩებით იარეს. გამვლელები კანტიკუნტად თუ ხვდებოდნენ და მათი გარეგნობის პატრონებს, საზოგადოებაში

მისტერ საიკსზე უკეთესი მდგომარეობა ნამდვილად არ ეკავათ. ბოლოს რომელიღაც ძალიან ვიწრო, ასევე ბინძურ ქუჩაზე გავიდნენ, რომლის ორივე მხარეს მეძველმანეებს ფარდულები ჩამწკრივებინათ. ძალღი წინ გარბოდა, თითქოს ესმოდა, რომ მეტად აღარ მოუწევდა ყურადღებით ყოფნა; ჩაკეტილი და, სავარაუდოდ, ცარიელი ფარდულის კართან გაჩერდა. სანახევროდ დანგრეული სახლის კედელზე გაკრული ფირფიტა იუწყებოდა, რომ სახლი ქირავდება: ეტყობოდა, უკვე მრავალი წელია აქ ეკიდა.

- ყველაფერი რიგზეა! - დაიძახა საიკსმა და ფრთხილად მიმოიხედა.

ნენსი დარაბებთან შეჩერდა და ოლივერმა ზარის ხმა გაიგონა. ქუჩის მოპირდაპირე მხარეს გადავიდნენ და ცოტა ხანს ქუჩის სანათის ქვეშ იდგნენ. ხმაური გაისმა, თითქოს ვიღაცამ ფრთხილად ასწია ფანჯარა; მერე ასევე ფრთხილად გაიღო კარი. მისტერ საიკსი დაშინებულ ბიყს ქეროში სწვდა და სამივენი სწრაფად შევიდნენ სახლში.

დერეფანში ბნელოდა. ცოტა ხანს დაელოდნენ, ვიდრე ის, ვინც შეუშვა, კარს დაკეტავდა ურდულითა და ჯაჭვით.

- ვინმე არის? - იკითხა საიკსმა.

- არავინაა, - უპასუხა ხმამ.

ოლივერს მოეჩვენა, რომ ეს ხმა სადღაც უკვე გაეგონა.

- ბებერი აქაა? - არ ისვენებდა მძარცველი.

- აქ არის, - გამოეპასუხა ხმა, - გვარიანად შეშინდა. გგონია, თქვენი ნახვა არ გაუხარდება? გეგონოს!

გამოთქმა, გამოყენებული სიტყვები, ხმა - ოლივერისთვის ნაცნობი იყო, მაგრამ სიბნელეში მოლაპარაკე არ ჩანდა.

- გაგვინათე, - თქვა საიკსმა, - თორემ კისერს მოვიტეხთ ან ძაღლს დავაბიჯებთ. ფეხებს გაუფრთხილდი, თუ ასე მოხდა.

- ერთ წუთს მოიცადეთ და გაგინათებთ, - უპასუხა ხმამ.

ნაბიჯების ხმაზე გასაგები იყო, რომ სადღაც წავიდა. რამდენიმე წუთის შემდეგ მისტერ ჯეკ დაუკინსი, იგივე ცულლუტი, გამოჩნდა მარჯვენა ხელში ჯოხის განახლეჩში ჩამაგრებული ქონის სანთლით.

ახალგაზრდა ჯენტლმენმა დამცინავად ჩაიღიმა იმის ნიშნად, რომ ოლივერი იცნო, მაგრამ შებრუნდა და სტუმრებს შესთავაზა, კიბეს ქვემოთ ჩაჰყოლოდნენ.

ცარიელი სამზარეულო გაიარეს და შევიდნენ დაბალქერიან ოთახში, სადაც მიწის სუნი იდგა, როგორც ჩანს, ოთახი უკანა ეზოში იყო აგებული. მათ შესვლას ხარხართ შეხვდნენ.

- ოჰ, ღმერთო, ღმერთო! - მთელი ხმით აჰყვივლდა ყმაწვილი ჩარლი ბეიტსი, -

აი, ისიც! ოჰ, ღმერთო, აქ არის! ოჰ, ფეიჯინ, ერთი შეხედეთ! თვალებს არ

ვუჯერებ, აღარ შემიძლია ამის ატანა. ვინმემ გამაჩერეთ, ხარხარს ვერ ვწყვეტ!

გამხიარულებული, აღტყინებული ბეიტსი იატაკზე გაგორდა და ხუთი წუთის განმავლობაში ფეხებს იქნევდა, რითაც თავის აღფრთოვანებას გამოხატავდა. შემდეგ წამოხტა, ცულლუტს ხელიდან სანთლიანი ჯოხი გამოსტაცა და ყოველი

მხრიდან ოლივერის დათვალიერებას შეუდგა. მოხუცმა ებრაელმა კი ღამის ჩაჩი

მოიხადა და გაოცებულ ბიჭს თავის დაკვრით რამდენჯერმე მიესალმა.

ცულლუტი,

რომელიც მეტისმეტად პირქუში ვინმე იყო და თავს გამხიარულების უფლებას იშვიათად აძლევდა, თუ ეს საქმეს ვნებდა, ახლა ოლივერის ჯიბეებს დიდი მონდომებით ჩხრეკდა.

- მის სამოსს შეხედეთ, ფეიჯინ! - თქვა ჩარლიმ და ისე ახლოს მიიტანა სანთელი ოლივერის კოსტიუმთან, რომ კინაღამ ცეცხლი წაუკიდა, - მის კოსტიუმს შეხედეთ! უდახვეწილესი ქსოვილი და მკერავის შესანიშნავი ოსტატობა! ამას რას ხედავს ჩემი თვალები! წიგნებიც! ნამდვილი ჯენტლმენია, ფეიჯინ!

-- მოხარული ვარ, ასე გამოწყობილს რომ გხედავ, ჩემო ძვირფასო, - თქვა ებრაელმა და დამცინავი თავმდაბლობით კიდევ ერთხელ დაუკრა თავი, - ცულლუტი სხვა სამოსს მოგცემს, შენი საკვირაო კოსტიუმი რომ არ დასვარო. რატომ არაფერი მოგვწერე, ჩემო ძვირფასო, რატომ არ გაგვაფრთხილე, რომ მოსვლას აპირებდი? ვახშმისთვის რაიმე ცხელს დაგახვედრებდით.

ამ სიტყვებზე მისტერ ბეიტსი ისე ახარხარდა, რომ ფეიჯინიც კი გახალისდა, ხოლო ცულლუტმა გაიღიმა, რადგან ოლივერის ჯიბეში ხუთი გირვანქა სტერლინგის ბანკნოტი იპოვა, მაგრამ გაუგებარია, ეს ღიმილი რამ გამოიწვია -
ებრაელის ხუმრობამ თუ ფულის პოვნამ.

- ეს რაღაა? - იკითხა საიკსმა, წინ გადადგა ნაბიჯი, როდესაც ებრაელმა ბანკნოტს ხელი სტაცა, - ეს მე მეკუთვნის, ფეიჯინ!

- არა, არა, ჩემო ძვირფასო, - წამოიძახა ებრაელმა, - ეს ჩემია, ბილ, ჩემი. შენ წიგნებს მიიღებ.

- კი, როგორ არა! - თქვა ბილ საიკსმა და მტკიცე გამომეტყველებით შლაპა დაიხურა, - ჩემი და ნენსის არის; მომეცით, თორემ ბიჭს უკან წავიყვან.

ებრაელი ამ სიტყვების გაგონებაზე შეკრთა. შეკრთა ოლივერიც, მაგრამ სრულიად სხვა მიზეზით; იმედი გაუჩნდა, რომ ეს შეკამათება მართლაც მისი უკან წაყვანით დასრულდებოდა.

- მომეცით! გესმით თუ არა! - თქვა საიკსმა.

- ეს უსამართლობაა, ბილ, უსამართლობაა, ხომ მართალი ვარ, ნენსი? - შემფოთდა ებრაელი.

- სამართლიანია თუ უსამართლო, გეუბნებიან, მომეცით-მეთქი! - არ შეეპუა საიკსი, - თქვენ რა, გგონიათ, მე და ნენსის მეტი საქმე აღარ გვაქვს, ქუჩა-ქუჩა ვიწანწალოთ და თქვენი უთავობის გამო ბიჭები მოვიტაცო?! გეუბნებით, მომეცით-მეთქი ფული, ძუნწო ბებერო ჩონჩხო! გესმით თუ არა!

ამგვარი თავაზიანი მოთხოვნის შემდეგ საიკსმა ებრაელს ცერსა და საჩვენებელ თითებს შორის მოქცეული ბანკნოტი აართვა, ბებერს ცივად შეხედა,

ფული გაკეცა და თავის ცხვირსახოცში გაახვია.

- ეს ჩვენი სამუშაოს საფასურია, თუმცა, ორჯერ მეტი გვეკუთვნის, - თქვა საიკსმა, - წიგნები თქვენთვის დაიტოვეთ, თუ კითხვა გიყვართ, ან გაყიდეთ.

- რა ლამაზებია! - თქვა ჩარლი ბეიტსმა, რომელიც ყვიროდა და ისე იმანჭებოდა, თითქოს ერთ-ერთ წიგნს კითხულობდა, - ძალიან საინტერესოა, ხომ ასეა, ოლივერ?

როცა შეატყო, როგორი სევდით უყურებდა ოლივერი თავის მწვანელებს, ბეიტსი, რომელიც ყველაფერში მხოლოდ სასაცილოს ხედავდა, კიდევ მეტად აღფრთოვანდა.

- ეს მოხუცი ჯენტლმენის წიგნებია! - სიმწრისგან ხელებს იმტვრევდა ოლივერი, - კეთილი, საუცხოო მოხუცი ჯენტლმენის, რომელმაც შემიფარა და მივლიდა, როდესაც კინაღამ მოვკვდი ციებ-ცხელებით დაავადებული! ოჰ, ძალიან გთხოვთ, უკან გაუგზავნეთ წიგნები და ფული! თუ გნებავთ, აქ სიცოცხლის ბოლომდე დამამწყვდიეთ, მაგრამ ესენი გაუგზავნეთ. იფიქრებს, რომ მოვიპარე. მოხუცი ლედიც და ყველანი, ვინც ჩემდამი ასეთი კეთილგანწყობილი იყო, ყველა იფიქრებს, რომ მოვიპარე! ოჰ, შემიბრალებთ, გთხოვთ, უკან გაუგზავნეთ!

მგზნებარე სევდით წარმოთქმული ამ სიტყვების შემდეგ ოლივერი ებრაელის წინ მუხლებზე დაეცა და სასოწარკვეთილს, ხელები ერთმანეთისთვის გადაეჭდო.

- ბიჭი მართალს ამბობს, - შენიშნა ფეიჯინმა და აბურმენილი წარბები შეეჭმუხნა, - მართალს ამბობ, ოლივერ, მართალს. რასაკვირველია, იფიქრებენ, რომ მოიპარე. ჰა-ჰა! - ჩაიცინა ებრაელმა და ტაში შემოჰკრა, - ამაზე უკეთესს ვერც კი მოვიფიქრებდით!

- რა თქმა უნდა, ასეა, - ჩაურთო საიკსმა, - მაშინვე ამაზე ვიფიქრე, როცა კლერკენუელზე გამოჩნდა ილიაში ამოდებული წიგნებით. ყველაფერი მართლაც ასეა. გულკეთილი ქრისტიანები არიან, ამიტომ შეიფარეს. ახლა კიდევ მის ძებნას არ შეუდგებიან, იმიტომ, რომ იციან, დასჯა არ ასცდება. აქ ყოფნა მისთვის უსაფრთხოა.

ვიდრე ასე საუბრობდნენ, ოლივერი ხან ერთს უყურებდა, ხან მეორეს, თითქოს კარგად არც კი ესმოდა, რა ხდებოდა; მაგრამ, როდესაც ბილ საიკსი დადუმდა, უეცრად წამოხტა და თავქუდმოგლეჯილი კარისკენ გაიქცა, თან დახმარებას ითხოვდა გამგმირავი ყვირილით. მისი ყვირილი მთელ ცარიელ სახლში ექოდ ისმოდა.

- ძალი დააკავე, ბილ! - დაიყვირა ნენსიმ, რომელიც კარისკენ გაიქცა და ჩაკეტა, ებრაელისა და მისი ორი შეგირდის დადევნების შემდეგ, - ძალი დააკავე, ბავშვს დაგლეჯს!

- ჰოდა, ეგრე მოუხდება! - დაიყვირა საიკსმა, რომელიც გოგონას

მკლავებიდან გასხლტომას ცდილობდა, - ჩამომეცალე, თორემ ამ კედელზე ტვინს მიგასხმევენებ!

- სულ არ მედარდება, ბილ, სულ არ მედარდება, - აყვირდა გოგონა და კაცს მთელი ძალით ჩაებდაუშჭა, - ეს ძალი ბავშვს არ გაეკარება, ამისათვის ჯერ მე უნდა მომკლა!

- არ დაგლეჯს, - წაისისინა საიკსმა, - ამას მე გავაკეთებ, თუ არ მომეშვები! - მძარცველმა ნენსის ხელი ჰკრა და ოთახის მეორე ბოლოსკენ მოისროლა. სწორედ მაშინ შემოვიდნენ ოთახში ებრაელი და მისი ორი შეგირდი, რომლებიც ოლივერს მოათრევდნენ.

- რა მოხდა? - იკითხა ფეიჯინმა და მიიხედ-მოიხედა.

- მგონი, გოგონა შეიშალა, - უპასუხა გაცოფებულმა საიკსმა.
- არა, არ შეშლილა, - ქოშინით თქვა ნენსიმ, - არა, ჭკუიდან არ შემცდარა, ფეიჯინ, მსგავსი არაფერი იფიქროთ!

- დაწყნარდი, კარგი? - თქვა ებრაელმა და პირქუშად შეხედა.

- არა, ამას არ ვიზამ, - ხმას აუწია ნენსიმ, - აბა, ახლა რაღას იტყვით?

ფეიჯინი საკმარისად კარგად იცნობდა იმ ტიპის ადამიანების ზნესა და ჩვევებს, რომლებსაც ნენსიც მიეკუთვნებოდა და იცოდა, მასთან საუბრის გაგრძელება სრულებითაც არ გახლდათ უსაფრთხო საქმე. ოთახში მყოფთა ყურადღების გადასატანად ებრაელი ოლივერს მიუბრუნდა:

- ესე იგი, გაპარვას აპირებდი, ჩემო ძვირფასო, ასეა? - თქვა ებრაელმა და ბუხართან დაგდებულ უსწორმასწორო და დაკორძილ ხელკეტს ხელი წამოავლო.

ოლივერს ხმა არ ამოუღია. ებრაელის ყველა მოძრაობას ყურადღებით ადევნებდა თვალს და მძიმედ სუნთქავდა.

- დახმარება გინდოდა, პოლიციას ეძახდი, არა? - დასცინოდა ებრაელი, მერე ბიჭს ხელი წაავლო, - არა უშავს, ასეთი აზრებისგან მალე განგკურნავთ, ჩემო ახალგაზრდა ჯენტლმენო!

ებრაელმა ოლივერს მარჯვედ ჩაართვა ხელკეტი ზურგში და კიდევ მოუქნია, მაგრამ გოგონა წინ გაიჭრა და მკლავში ეცა, ხელკეტი გამოსტაცა და ისეთი ძალით მოიქნია ბუხარში, რომ იატაკზე ნაკვეთი ნაკვეთები მიმოიფანტა.

- არ მინდა ამ ყველაფერს ვუყურო, ფეიჯინ! - დაიყვირა ნენსიმ, - ბიჭი ხელში გყავთ, მეტი რაღა გინდათ? ხელი არ ახლოთ, არც ერთმა არ ახლოთ ხელი, თორემ ვინც უნდა იყოს, სიცოცხლეს გამოვასალმებ და დროზე ადრე მოვხვდები

სახრჩობელაზე.

ეს მუქარა რომ წარმოთქვა, გოგონამ ბრაზით ფეხები დააბაკუნა, ტუჩები მოკუმბა და მუშტები მოიღერა, მერე ჯერ ებრაელს შეხედა, შემდეგ კი მძარცველს;

სახე მკვდარივით გაფითრებოდა მრისხანებისგან, რომლის მიზეზიც თავად იყო.

- ოჰ, ნენსი! - შემპარავად დაიწყო ფეიჯინმა და დარცხვენილმა გადახედა საიკსს, - დღეს იმაზე უფრო ჭკვიანი ხარ, ვიდრე ოდესმე ყოფილხარ. ჰა-ჰა! ჩემო ძვირფასო, შესანიშნავად გაითამაშე შენი როლი.

- ჰო! - უპასუხა გოგონამ, - ჰოდა, ფრთხილად იყავი, როლში ზედმეტად არ შევიდე! თუ ეს მოხდა, შენთვის ძალიან ცუდად დამთავრდება, ფეიჯინ, და გაფრთხილებ, ჩემგან თავი შორს გეჭიროს.

ცოტაა ისეთი მამაკაცი, რომელიც მოინდომებს, წინ აღუდგეს განრისხებულ ქალს, თუ მის თავაწყვეტილ ვნებებს სასოწარკვეთა და განუსჯელობაც ემატება.

ებრაელი მიხვდა, თავის მოკატუნებას, თითქოს ნენსის მრისხანებას ვერ ამჩნევდა, აზრი არ ჰქონდა, უნებურად უკან დაიხია და მავედრებელი და ლაჩრული მზერით გახედა მისტერ საიკსს, თითქოს სთხოვდა, ქალთან საუბარი მას გაეგრძელებინა.

მისტერ საიკსი მიხვდა ამ უსიტყვო ვედრებას და შესაძლოა, ისიც იგრძნო, რომ მისი სიამაყე და ავტორიტეტი შეილახებოდა, თუ მის ნენსის ახლავე ჭკუაზე

არ მოიყვანდა, ამიტომ გოგონას მაშინვე ათობით წყევლა და მუქარა დაატეხა თავს, რომელთა გამომგონებლობაში ვერავინ შეეცილებოდა. მაგრამ ამ ყველაფერმა სრულებით არ მოახდინა შთაბეჭდილება ნენსიზე, ამიტომ უფრო წონიანი არგუმენტების მოშველიებას შეეცადა.

- ეს რას ნიშნავს? - იკითხა საიკსმა და შეკითხვას მეტად გავრცელებული შეკურთხებაც მიაყოლა ადამიანის სახის ამ ულამაზესი ნაწილის მიმართ: ზეცაში

ამ შეკურთხებისთვის ყური რომ დაეგდოთ თუნდაც დღეში ერთხელ წარმოთქმული ორმოცდაათი ათასიდან, მაშინ სიბრმავე ისეთივე გავრცელებული დაავადება გახდებოდა, როგორც წითელა, - ეს რას ნიშნავს? ცეცხლმა დამფერფლოს! თუ გესმის, ვინა ხარ და რას წარმოადგენ?

- ჰო, მშვენივრად ვიცი, - უპასუხა გოგონამ, ისტერიკულად გადაიხარხარა, თავი გააქნია და ამაოდ ცდილობდა, გულგრილად მოეჩვენებინა თავი.

- თუ ასეა, ხმა ჩაიწყვიტე, - წაიღრინა საიკსმა ისეთივე ტონით, როგორითაც თავის ძაღლს მიმართავდა ხოლმე, - თორემ დიდი ხნით ჩაგაჩუმებ.

გოგონამ კიდევ უფრო ხმამაღლა, ისტერიკულად გადაიხარხარა, საიკსს თვალი შეავლო, შებრუნდა და ტუჩი ისე მოიკვნიტა, რომ სისხლი წამოუვიდა.

- მშვენიერია, ვერაფერს იტყვი, - დაამატა საიკსმა და ზიზღით შეხედა, - სწორედ შენ უნდა იდგე კაცობრიობის ქომაგთა და კეთილშობილ ადამიანთა გვერდზე. სწორედ შენ ხარ ის შესაფერისი არსება, რომელსაც ბავშვი, როგორც თავად ეძახი, უნდა დაუმეგობრდეს!

- მართალია და დაე, ყოვლისშემძლე ღმერთი დამეხმაროს! - გულმხურვალედ წამოიძახა გოგონამ, - უკეთესი იქნებოდა, ქუჩაში სული გამძრობოდა, ან სიამოვნებით გავუცვლიდი ადგილს იმათ, ვის გვერდითაც დღეს ჩავიარეთ, იმიტომ, რომ თქვენ ბავშვის აქ მოყვანაში დაგეხმარეთ! ამ საღამოდან მოყოლებული, ის ქურდი, მატყუარა, სატანა და ღმერთმა იცის, კიდევ რა იქნება. იქნებ ამ ბებერ ნაძირალას ეს ევოტავება და უნდა, ცემაც დაამატოს?

- გეყოფა, გეყოფა, - საიკსის დამშვიდებას ცდილობდა ებრაელი და ბიჭებზე ანიშნებდა, რომლებიც იქვე იდგნენ და ცნობისმოყვარეობით ადევნებდნენ თვალს მომხდარს, - ზრდილობიანად უნდა ვილაპარაკოთ, ბილ.

- ზრდილობიანად ვილაპარაკოთ! - დაიყვირა განრისხებულმა გოგონამ, რომელიც საზარელი სანახავი იყო, - ზრდილობიანად ვილაპარაკოთო, ნაძირალავ! ჰო, როგორ არა, იმსახურებთ ჩემგან ზრდილობიან სიტყვებს! მასზე ორჯერ პატარა თქვენთვის ვქურდობდი! - ნენსიმ ოლივერზე მიუთითა, - ამ საქმეს ვეწეოდი და ოცი წელი გემსახურებოდიო. რა, ეს არ იცით? გეკითხებით, არ იცით-მეთქი?

- კარგი, კარგი, - მის დამშვიდებას შეეცადა ებრაელი, - თუ ასეა, შენ ხომ თავს ინახავდი ამ ხელობით.

- აბა, რა! - არ შეეპუა გოგონა; კი არ ლაპარაკობდა, არამედ წიოდა და სიტყვები მისი ბაგეებიდან შეუწყვეტელ ნაკადად მოედინებოდა, - ამით ვცხოვრობ! ცივი, ნესტიანი, ჭუჭყიანი ქუჩები ჩემი სახლია! შენ კი ის ნაძირალა ხარ, რომელმაც ამ ქუჩებში გამაგდო წლების წინ და ასე გაგრძელდება დღიდან დღემდე, ღამიდან ღამემდე, ვიდრე სული არ ამომხდება.

- ეს რა არის, მეტსაც ვიზამ! - გააწყვეტინა ამ საყვედურით გაღიზიანებულმა ებრაელმა, - თუ კიდევ ხმას ამოიღებ, ბოლოს მოგიდებ!

გოგონას მეტი არაფერი უთქვამს; მრისხანებისგან თმას იგლეჯდა და უეცრად, თვალის დახამხამებაში, ებრაელს ეცა. ეს შეტევა ნაყოფს აუცილებლად გამოიღებდა, რომ არა საიკსის სიმარჯვე, რომელიც ხელებში ეცა ნენსის და რამდენიმე უშედეგო გაბრძოლების შემდეგ, გოგონა გულწასული დაეცა. - ახლა ყველაფერი რიგზეა, - თქვა საიკსმა და ნენსი ოთახის კუთხეში დააწვინა, - როცა ასე ბრაზდება, ხელებში გასაოცარი ძალა აქვს.

ებრაელმა შუბლი მოიწმინდა და გაიღიმა, როგორც ჩანს, გულზე მოეშვა, მაგრამ ისიც, ებრაელიც, ძალიც და ბიჭებიც, ეტყობოდა, ამ ყველაფერს თავიანთი ხელობის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევდნენ.

- აი, რატომ არის ცუდი ქალებთან საქმის დაჭერა, - თქვა ებრაელმა და ხელკეტი თავის ადგილას დადო, - მაგრამ ისინი მეტად მარჯვეები არიან და ჩვენ

კიდევ, ჩვენი ხელობიდან გამომდინარე, მათ გარეშე არ შეგვიძლია. ჩარლი, ოლივერს თავისი საწოლი უჩვენე.

- ფეიჯინ, ჩემი აზრით, სრულებითაც არ არის საჭირო, ხვალ თავისი საგარეო

კოსტიუმი ეცვას, შენ რას იტყვი? - ჰკითხა ჩარლი ბეიტსმა.

- რა თქმა უნდა, - უპასუხა ებრაელმა და ისე ჩაიცინა, როგორც ჩარლი ბეიტსმა, როდესაც კითხვა დასვა.

დავალების მიღებით გახარებულმა ჩარლი ბეიტსმა ჯოხში ჩასმულ სანთელს ხელი წამოავლო და ოლივერი გვერდით ოთახში გაიყვანა, რომელიც, იმავდროულად, სამზარეულოს მაგივრობასაც სწევდა და ორი-სამი მონჯღრეული

საწოლიც იდგა, რომელთა მსგავსზეც ადრე ეძინა ოლივერს. ახარხარებულმა ბეიტსმა საიდანღაც ოლივერის ძველი ტანსაცმელი გამოაძვრინა, რომელიც ბიჭმა ასეთი სიხარულით მოიშორა მისტერ ბრაუნლოუს სახლიდან; მეწვრილმანე

ებრაელის მიერ შემთხვევით ნაჩვენები ამ ტანსაცმლის წყალობით, რომელიც ფეიჯინმა იყიდა, ის პირველი კვალი იპოვეს, რამაც ოლივერის ადგილსამყოფელი აღმოაჩენინათ.

- გაიხადე შენი საგარეო კოსტიუმი, - უთხრა ბიჭს ჩარლიმ, - ფეიჯინს მივცემ,

ის უკეთ შეინახავს. რა სასაცილოა!

საბრალო ოლივერი უხალისოდ დაემორჩილა. ყმაწვილმა ბეიტსმა ახალი კოსტიუმი გაკეცა, ილიაში ამოიჩარა, ოთახიდან გავიდა და კარი ჩაკეტა. ოლივერი სიბნელეში მარტო დარჩა.

ჩარლის ყურისწამლები ხარხარი და მეგობრის გრძნობაზე მოსაყვანად წყლის შესასხმელად, ასევე, სხვა სამსახურის გასაწევად ოთახში შემოსული ბეტის ხმა

შესაძლოა ოლივერზე უკეთეს ხასიათზე მყოფი მრავალი ადამიანისთვის ღამის გატეხის საბაბი გამხდარიყო, მაგრამ ღონეგამოცლილ, სრულიად განადგურებულ

ოლივერს ღრმად ჩაეძინა.

თავი 17 ბედისწერა ოლივერს კვლავ დევნის; მისი

სახელისგასატეხად ლონდონში დიადი ადამიანი ჩადის

არსებობს ტრადიცია, რომლის თანახმადაც, ყველა წესიერ სისხლიან

მელოდრამაში მკაცრი რიგითობის დაცვით ერთმანეთს უნდა ენაცვლებოდეს ტრაგიკული და კომიკური სცენები, როგორც წითელი და თეთრი ხორცის ფენები

ლორის ნაჭერზე. ბორკილებით, საკუთარი უბედურებით დამძიმებული მთავარი

გმირი თავის ჩალის სარეცელზე ეშვება; მომდევნო სცენაში მისი ერთგული საყურველთმტვირთველი, რომელმაც ჯერ არაფერი იცის, მაყურებელს კომიკური

სიმღერით ამხიარულებს. აკანკალებული გულით ვუყურებთ ამაყი და უხეში

ბარონის მბრძანებლობას დამორჩილებულ მთავარ მოქმედ გმირ ქალს; მის ღირსებასა და სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, ქალი ხანჯალს იშიშვლებს, რომ

ერთი ან მეორე დაიცვას; ხოლო სწორედ იმწამს, როდესაც ჩვენი მღელვარება უმაღლეს წერტილს აღწევს, სასტვენის ხმა ჩაგვესმის და უეცრად ციხესიმაგრის

დიდ დარბაზში აღმოვჩნდებით, სადაც ჭაღარა სენეშალი

მხიარულ სიმღერას მღერის სასაცილო ვასალების გუნდთან ერთად. ეს ვასალები ნებისმიერ ადგილზე შეიძლება შეგვხვდეს - ეკლესიებში თუ სასახლეებში, გუნდად დადიან და მუდამ მხიარულ სიმღერებს მღერიან. ასეთი ცვლილებები თითქოსდა აბსურდულია, მაგრამ ისინი იმაზე მეტად ბუნებრივია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. რეალურ ცხოვრებაში სანოვაგით დატვირთული სუფრიდან სასიკვდილო სარეცელზე, სადღესასწაულო სამოსიდან

სამგლოვიაროზე გადასვლა არანაკლებ გასაოცარია; განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ რეალურ ცხოვრებაში ჩვენ მსახიობები ვართ და არა პასიური მაყურებელი, სწორედ ეს გახლავთ არსებითი განსხვავება. ვითარების მოულოდნელი შეცვლა, ბრაზის თუ მწუხარების უეცარი შემოტევა სრულებით არ

არის უცხო ამქვეყნიური ცხოვრების სცენაზე, მაგრამ თეატრალური წარმოდგენის

პასიურ მაყურებელს უკვე სასაცილოდ და უადგილოდ ეჩვენება.

სცენების მოულოდნელი ცვლილება, ასევე დროისა და სივრცის სწრაფი შეცვლა წიგნებში უკვე დიდი ხანია დამკვიდრდა და მეტიც, ამ ხერხების გამოყენება მწერლის დიდი ოსტატობის დასტურად ითვლება: ბევრი კრიტიკოსი

მწერლის ოსტატობას იმით აფასებს, რამდენად შესწევს მას უნარი, გამოუვალი

მდგომარეობა შეუქმნას თავის გმირებს; შესაძლოა, ეს მცირე შესავალი არასაჭიროდაც მიიჩნიონ, მაგრამ ასეთ შემთხვევაში, დაე, ის ჩაითვალოს ისტორიკოსის მინიშნებად, რომ მკითხველი იმ ქალაქში დაბრუნდება, სადაც ოლივერი დაიბადა; მკითხველი უნდა ენდოს მწერალს, რომ ამ მოგზაურობისთვის სათანადო და არსებითი მიზეზები არსებობს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას არ შესთავაზებდნენ.

დილით ადრე მისტერ ბამბლი შრომის სახლის ჭიშკრიდან გავიდა და ჰაი-სტრიტს ზორბა ადამიანისთვის შესაფერისი მედიდური და საზეიმო ნაბიჯით

გაუყვა. თავისი თანამდებობით აღმრული სიამაყისგან ლამის ანათებდა; მისი სამკუთხა ქუდისა და წამოსასხამის ბრინჯაოს ღილები დილის მზის სხივებზე ბრწყვიალებდა. ხელჯობი არაჩვეულებრივი ჯანმრთელობისა და ძალაუფლების სიმბოლოდ ხელში მაგრად ჩაებლუჯა. მისტერ ბამბლი ყოველთვის თავაწეული დაბრძანდებოდა, მაგრამ იმ დილას ჩვეულებრივზე მაღლა ეჭირა თავი. მზერა ისეთი გაფანტული ჰქონდა, დამკვირვებელი იფიქრებდა, ბილლის გონება ისეთი

დიადი აზრებითაა დაკავებული, მათი სიტყვებით გამოთქმა შეუძლებელიაო.

მისტერ ბამბლი მცირე ფარდულების მეპატრონეებთან ან იმათთან, ვინც მოწიწებით ესალმებოდა, სასაუბროდ არ შეჩერებულა, გზას აგრძელებდა, მისალმებაზე მხოლოდ ხელის დაქნევით პასუხობდა და მედიდურად მიაბიჯებდა. ასე გრძელდებოდა, ვიდრე იმ ფერმას არ მიუახლოვდა, სადაც მისის

მანი დღედაღამ სამრევლოს ობლებს თავს დაჰფოფინებდა.

- ეშმაკმა დასწყევლოს ეს ბიდლი! - თქვა მისის მანმა, როდესაც ჭიშკარზე კარგად ნაცნობი კაკუნი მოესმა, - რა ჯანდაბამ მოიყვანა ამ დილაადრიან! მისტერ ბამბლ, რა კარგია, რომ მოხვედით! ოჰ, ღმერთო ჩემო, ეს ხომ ნამდვილი სიამოვნებაა! მისაღებ ოთახში მობრძანდით, სერ, გთხოვთ!

მისის მანის წარმოთქმული პირველი წინადადება სიუზანისთვის იყო განკუთვნილი; ხოლო სიხარულის გამომხატველი წამოძახილები - მისტერ ბამბლისთვის; კეთილმა ლედიმ ჭიშკარი გააღო და სტუმარს მლიქვნელური მოწიწებით შეუძღვა სახლში.

- მისის მან, - თქვა მისტერ ბამბლმა, რომელიც მავანი თავხედივით ერთბაშად კი არ დაეხეთქა სავარძელში, არამედ ნელა და თანდათანობით ჩაეშვა მასში, - მისის მან, დილა მშვიდობისა.

- თქვენც მშვიდობიან დილას გისურვებთ, სერ, - უპასუხა გაღიმებულმა მისის მანმა, - იმედია, თავს კარგად გრძნობთ?

- არა მიშავს, მისის მან, - უპასუხა ბიდლმა, - სამრევლოს ცხოვრება ია-ვარდებით მოფენილი არ არის, მისის მან.

- ჰო, ეს კი მართალია, მისტერ ბამბლ! - აიტაცა ნათქვამი ლედიმ.

ფერმის პატარა ბინადრებს ეს რომ გაეგონათ, ისინიც ერთხმად აიტაცებდნენ ნათქვამს.

- სამრევლოს ცხოვრება, მემ, - განაგრძო მისტერ ბამბლმა და ხელჯოხი მაგიდას დაჰკრა, - საზრუნავით, უსიამოვნებებით, მძიმე შრომითაა აღსავსე, მაგრამ იმის თქმა კი შემიძლია, რომ ყველა მოხელემ უნდა დაითმინოს უსამართლოდ დევნა.

მისის მანი წესიერად ვერც მიხვდა, რას გულისხმობდა ბიდლი, ამიტომ თანაგრძნობის გამოსახატავად ხელები ზეცისკენ ალაპყრო და ამოიოხრა.

- ოჰ, მისის მან, მართლაც ოხვრა-ვიში თუ დაგვრჩენია, - თქვა ბიდლმა.

რაკი დარწმუნდა, მართებულად მოვიქეციო, მისის მანმა კიდევ ერთხელ ამოიოხრა, თავი გადააქნია, რითაც სამრევლოს მოხელე მეტად კმაყოფილი დარჩა; ამ უკანასკნელმა პირქუშად დახედა თავის სამკუთხა ქუდს და ასე დაფარა თვითკმაყოფილი ღიმილი, შემდეგ თქვა:

- მისის მან, ლონდონში მივდივარ.

- ოჰ, მისტერ ბამბლ! - წამოძახა მისის მანმა და უკან დაიხია.

- ლონდონში, მემ, - გაიმეორა შეუვალმა ბიდლმა, - და საფოსტო კარეტიტ წავალ. მე და ორი ლატაკი, მისის მან! დასახლების ადგილის შესახებ სასამართლოს სხდომა იმართება და კლერკენუელში

კვარტალურ მოსმენაზე

მოწმედ გამომიძახეს, გესმით, მისის მან, მე გამომიძახეს; და ძალიან მაინტერესებს, - დასძინა ოდნავ დამშვიდებულმა, - როგორ მოახერხებს კლერკენუელის სესიაზე სასამართლო ჩემთან დაპირისპირებას.

- ოჰ, ძალიან მკაცრად ნუ განსჯით მათ, სერ! - მისი დაყოლიება სცადა მისის მანმა.

- კლერკენუელის სესიის მოსამართლეებმა თავად მიიყვანეს თავი ამ მდგომარეობამდე, მემ, - უპასუხა მისტერ ბამბლმა, - და თუ საქმე იმაზე ცუდად დასრულდა, ვიდრე თავად წარმოუდგენიათ, მხოლოდ საკუთარ თავს უნდა უმადლოდნენ.

მისტერ ბამბლის სიტყვებში ისეთი თავდაჯერებულობა და მოვალეობის შეგნება გამოსჭვიოდა, ასევე მუქარაც, რომ მისის მანი თითქოს ერთობ დაშინდა. ბოლოს იკითხა:

- კარეტით მიდიხართ, სერ? მე კი მეგონა, ლატაკებს საზიდრებით გზავნიდნენ.

- თუკი ავად არიან, მისის მან, - თქვა ბიდლმა, - წვიმიან ამინდში, ავადმყოფი ლატაკები რომ არ გაცივდნენ, ღია საზიდრებით ვამგზავრებთ.

- ოჰ! - წამოიძახა მისის მანმა.

- უკანა გზაზე მეეტლე თავის თავზე იღებს მათ ადგილზე მიყვანას, თანაც ხელსაყრელ ფასად, - თქვა მისტერ ბამბლმა, - ორივე ძალიან მძიმედ არის და ვთვლით, რომ მათი წაყვანა ორი გირვანქა სტერლინგით უფრო იაფი დაჯდება, ვიდრე მათი დასაფლავება იმ შემთხვევაში, თუ ვერ შევძელით მათი სხვა სამრევლოსთვის გადაცემა; თუმცა, ეს სრულებით შესაძლებელ საქმედ მიმაჩნია, მთავარია, გზაში არ ამოხდეთ სული, ჰა-ჰა!

მისტერ ბამბლმა ცოტა ხანს იცინა, მერე მისი მზერა ისევ სამკუთხა ქუდზე შეჩერდა და დასერიოზულდა.

- საქმეები სულ დაგვავიწყდა, მემ, - თქვა ბიდლმა, - აი, თქვენი ერთი თვის ჯამაგირი.

ამ სიტყვებით მისტერ ბამბლმა საფულიდან ქალაქში გახვეული მონეტები ამოიღო და ხელწერილი მოითხოვა, რომელიც მაშინვე დაწერა მისის მანმა.

- ძალიან დაისვარა მელნის ლაქებით, სერ, - თქვა მცირეწლოვანთა აღმზრდელმა, - მაგრამ, ჩემი აზრით, ფორმალურად ისე წერია, როგორც საჭიროა. მადლობას მოგახსენებთ, მისტერ ბამბლ, სერ, ძალიან დავალებული ვარ, ძალიან.

რევერანსის საპასუხოდ მისტერ ბამბლმა მისის მანს მოწყალედ დაუქნია თავი და იკითხა, ბავშვები თავს როგორ გრძნობენო.

-- ღმერთმა დალოცოს მათი პატარა ძვირფასი გულები! - წამოიძახა გრძნობამორეულმა მისის მანმა, - საყვარლები, კარგად არიან! რასაკვირველია,

იმ ორის გამოკლებით, რომლებიც გასულ კვირას გარდაიცვალნენ და კიდევ, პატარა დიკის.

- ეგ ბიჭი ვერ გამომჯობინდა? - იკითხა მისტერ ბამბლმა.

მისის მანმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

- ცუდი, მანკიერი, უზნეო და გაფუჭებული სამრევლოს ბავშვია, - ბრაზით თქვა

მისტერ ბამბლმა, - სად არის?

- ერთ წუთში თქვენთან გაჩნდება, სერ, - უპასუხა მისის მანმა, - დიკ, აქ მოდი!

რამდენიმე დამახების შემდეგ დიკი, როგორც იქნა, იპოვეს. სახე დაბანეს და მისის მანის კაბის კალთით მოსწმინდეს, რის შემდეგაც ის პირქუში ბიდლის წინაშე წარდგა.

ბავშვი ფერმკრთალი და გამხდარი იყო; ლოყები ჩავარდნოდა; გაფართოებული თვალები უბრწყინავდა. სამრევლოს ნაბობები ძონძები სუსტ სხეულზე ეკიდა; ხელ-ფეხის კანი მოხუცივით გამოშრობოდა.

საბრალო არსება აკანკალებული იდგა მისტერ ბამბლის წინ, თავის აწევას ვერ ბედავდა და იატაკს ჩასცქეროდა, ბიდლის ხმის გაგონებაზეც კი შიშით ძრწოდა.

- არ შეგიძლია ჯენტლმენს თვალებში შეხედო, ჯიუტო ბიჭო? - თქვა მისის მანმა.

ბავშვმა მორცხვად ასწია თავი და მისი მზერა მისტერ ბამბლისას შეხვდა.

- რა დაგემართა, სამრევლოს დიკ? - სწორედ რომ შესაფერისი მხიარულებით ჰკითხა მისტერ ბამბლმა.

- არაფერი, სერ, - ხმადაბლა უპასუხა ბიყუნამ.

- რასაკვირველია, არაფერი! - თქვა მისის მანმა, რომელმაც მაშინვე გაიცინა მისტერ ბამბლის ხუმრობაზე, - დარწმუნებული ვარ, არაფერი გაკლია.

- მინდოდა... - ენის ბორძიკით წამოიწყო ბავშვმა.

- აი, თურმე რა! - გააწყვეტინა მისის მანმა, - ასე მგონია, იმის თქმას აპირებ, რომ აქ რაღაც გაკლია? სამაგელო პატარა ბიჭო!

- მოიცა, მისის მან! - თქვა ბიდლმა და ავტორიტეტულად აღმართა ხელი, - რა

გნებავდათ, სერ?

- მინდოდა, - ბორძიკით განაგრძო ბავშვმა, - ვინმეს ჩემი სახელით რამდენიმე სიტყვა დაეჯღაბნა ქაღალდის ნაგლეჯზე, მერე ეს ქაღალდი გაკეცონ, კონვერტში ჩადონ და დამალონ, როდესაც დამასაფლავებენ.

- რას ამბობს ეს ბავშვი! - წამოიყვირა მისტერ ბამბლმა, რომელიც ბიჭუნას

გულსაკლავმა საუბარმა და გამოფიტულმა სხეულმა, ცოტა არ იყოს, შეაშფოთა, თუმცა, ასეთ რამეს მიჩვეული გახლდათ, - რას ამბობთ, სერ?

- ძალიან მინდა, - განაგრძო დიკმა, - საბრალო ოლივერ ტვისტს ჩემი მხურვალე სალამი გადასცენ, რომ იცოდეს, ხშირად ვიჯექი და ვტიროდი, თან

იმაზე ვფიქრობდი, ბნელ ღამეში სადღაც როგორ დაეხეტება, დამხმარე კი არავინ ჰყავს. ძალიან მინდა ვუთხრა, - ბავშვი მთელი გატაცებით ლაპარაკობდა,

პატარა ხელები ერთმანეთისთვის მაგრად გადაეჭდო, - რომ მიხარია, პატარა ასაკისა რომ ვკვდები; რომ გავიზარდო და მოვხუცდე, ზეცაში ჩემი დაიკო ვეღარ

მიცნობს და შეიძლება, არ მოვეწონო; ბევრად უკეთესია, თუ იქ, ზეცაში, ერთმანეთს ისევ ბავშვებად შევხვდებით.

მისტერ ბამბლმა პატარა ორატორი თავით ფეხამდე გაოგნებულმა აათვალიერ-ჩათვალიერა, მერე მისის მანს მიუბრუნდა და თქვა:

- ყველა ერთმანეთს ჰგავს, მისის მან. იმ სამაგკელმა ოლივერმა ყველა გააფუჭა.

- ამას ვერასოდეს დავიჯერებდი, სერ! - თქვა მისის მანმა და ხელები, ჩვეულებისამებრ, ზეცისკენ აღმართა, დიკს კი მრისხანედ გადახედა, - ასეთი ჩამოყალიბებული პატარა არამზადა ჯერ არ შემხვედრია!

- აქედან წაიყვანეთ, მემ! - მბრძანებლურად თქვა მისტერ ბამბლმა, - ეს ამბავი საბჭოს უნდა მოვახსენო, მისის მან!

- ვიმედოვნებ, ჯენტლმენები მიხვდებიან, რომ ჩემი ბრალი არ არის, სერ? - საწყალობლად წაიტირა მისის მანმა.

- მიხვდებიან, მემ; მათ საქმის ნამდვილი გარემოებები ეცოდინებათ, - თქვა მისტერ ბამბლმა, - ახლა კი აქედან მოაშორეთ, მისი თვალით დანახვაც არ მინდა.

დიკი მაშინვე წაიყვანეს და ქვანახშირის შესანახ სარდაფში ჩაკეტეს. მალე ფერმის სახლი მისტერ ბამბლმაც დატოვა, რადგან გასამგზავრებლად უნდა მომზადებულიყო.

მეორე დღეს, დილის ექვს საათზე, მისტერ ბამბლმა სამკუთხას ნაცვლად მრგვალი ქუდი დაიხურა, თავისი სხეული კაპიუმონიან ლურჯ პალტოში გაახვია და თავისი ადგილი დაიკავა საფოსტო კარეტაში ორ დამნაშავესთან ერთად, რომელთა დასახლების ადგილიც საკამათო გამხდარიყო.

ბიდლი ლონდონში საჭირო დროს ჩავიდა. გზად უსიამოვნება არაფერი შეხვედრია, თუ არ ჩავთვლით ორი ღატაკის საზიზღარ საქციელს - მათ წუწუნს

სიცივეზე და დაუსრულებელ კანკალს; ბოლოს მისტერ ბამბლმა განაცხადა, რომ

თავადაც სიცივისგან კბილს კბილზე აცემინებდა, თუმცა, თბილ პალტოში იყო

გახვეული.

როდესაც ის ორი ბოროტი ადამიანი თავიდან მოიშორა და ღამის გასათევ ადგილას გაგზავნა, მისტერ ბამბლი იმ სახლში დაბინავდა, რომლის წინაც კარეტა გაჩერდა, და მოკრძალებული სადილი შეუკვეთა: შემწვარი ხორცი, ხამანწკების საწებელი და პორტერი.

ბუხრის თაროზე ცხელი, წყლიანი ჯინის ჭიქა შემოდგა, სკამი ცეცხლთან ახლოს

მიდგა და მორალთან დაკავშირებულ ფიქრებს მიეცა იმის შესახებ, თუ როგორი

ფეხმოკიდებულია უკმაყოფილებისა და უმადურობის დამღუპველი სენი, შემდეგ

გაზეთის საკითხავად მოემზადა.

პირველივე გვერდზე მისი ყურადღება განცხადებამ მიიპყრო, რომელშიც ეწერა:

„ჯილდო ხუთი გინეა

გასული კვირის ხუთშაბათს პენტონვილში მდებარე სახლიდან გაიქცა ან ძალით წაიყვანეს პატარა ბიჭი, ოლივერ ტვისტი, და მას შემდეგ მასზე არაფერია

ცნობილი. ზემოთ ნახსენებ ჯილდოს მიიღებს ნებისმიერი, ვინც დაგვეხმარება ოლივერ ტვისტის ადგილსამყოფლის აღმოჩენაში, ან ნათელს მოჰფენს მის ადრინდელ ცხოვრებას. ეს ინფორმაცია მიზეზთა გამო მეტად აინტერესებს განცხადების განმთავსებელ პირს“.

ამას მოსდევდა ოლივერის სამოსისა და გარეგნობის აღწერა, ასევე, მისი მოულოდნელი გამოჩენისა და ასეთივე გაქრობის დეტალები, მითითებული იყო

მისტერ ბრაუნლოუს გვარი და მისამართი.

მისტერ ბამბლმა თვალეზი დაყვიტა; განცხადება სამჯერ წაიკითხა ნელა და დაკვირვებით; ხუთი წუთის შემდეგ უკვე პენტონვილისკენ მიდიოდა – ისეთი აღელვებული იყო, ბუხრის თაროზე შემოდგმული ჯინიანი ჭიქისთვის ხელიც არ

უხლია.

– მისტერ ბრაუნლოუ შინ ბრძანდება? – შეეკითხა მისტერ ბამბლი გოგონას, რომელმაც კარი გაუღო.

ამ შეკითხვას გოგონამ ჩვეული, თუმცა, ორაზროვანი კითხვით უპასუხა:

– არ ვიცი. თქვენ ვინ ბრძანდებით?

მისტერ ბამბლმა მოსვლის მიზეზის ახსნა დაიწყო და ოლივერ ტვისტის სახელი ახსენა თუ არა, მისაღებ ოთახში მყოფი მისის ბედუინი, რომელიც კართან იდგა და ყურს უგდებდა, აქოშინებული დერეფანში გაიქცა.

– შემობრძანდით, შემობრძანდით! – წამოიყვირა მოხუცმა ლედიმ, – ვიცოდი,

მასზე რაიმეს გავიგებდით. საბრალო! ვიცოდი, გავიგებდით! დარწმუნებული ვიყავი. ღმერთმა დალოცოს მისი გული! სულ ამას ვამბობდი!

ამ სიტყვების შემდეგ მოხუცი ლედი ისევ უკან, მისაღებ ოთახში შებრუნდა,

დივანზე ჩამოჯდა და ატირდა. მოსამსახურე გოგონა ნაკლებად მგრძობიარე გახლდათ, მან კიბეზე აირბინა, თან მისტერ ბამბლს შესთავაზა, უკან გაჰყოლოდა.

მისტერ ბამბლი პატარა კაბინეტში შეიყვანეს, სადაც გრაფინებითა და ჭიქებით სავსე მაგიდასთან მისტერ ბრაუნლოუ და მისი მეგობარი, მისტერ გრიმუიგი, ისხდნენ. ამ უკანასკნელმა მაშინვე წამოიძახა:

- მზად ვარ, საკუთარი თავის ქალა შევქაჩო, თუ ეს ბიძლი არ არის.
- გეთაყვა, არ გინდათ, - თქვა მისტერ ბრაუნლოუმ, - თუ შეიძლება, დაბრძანდით!

მისტერ გრიმუიგის ნათქვამით შეცბუნებული მისტერ ბამბლი სკამზე ჩამოჯდა.

მისტერ ბრაუნლოუმ ლამპა ისე მისწია, რომ მისი სახე კარგად დაენახა, მერე ისეთი ხმით ჰკითხა, რომელშიც მოუთმენლობა იგრძობოდა:

- აბა, სერ, ალბათ, გაზეთში განცხადება ნახეთ და იმიტომ მოხვედით?
- დიახ, სერ, - უპასუხა მისტერ ბამბლმა.
- და ბიძლი ხართ? - შეეკითხა მისტერ გრიმუიგი.
- სამრევლოს ბიძლი ვარ, ჯენტლმენებო, - ამაყად თქვა მისტერ ბამბლმა.
- ჰო, რა თქმა უნდა, - შენიშნა მისტერ გრიმუიგმა, მერე მეგობარს მიუბრუნდა,
- ასეც ვფიქრობდი. თხემით ტერფამდე ბიძლია.

მისტერ ბრაუნლოუმ ოდნავ გადააქნია თავი, რითაც მეგობარს ანიშნა, გაჩუმდიო, მერე განაგრძო:

- ის საბრალო ბიჭი ახლა სად არის, იცით?
- იმაზე მეტად არა, ვიდრე ნებისმიერმა სხვამ, - უპასუხა მისტერ ბამბლმა.
- აბა, მასზე რა იცით? - შეეკითხა მოხუცი ჯენტლმენი, - მოგვიყვით, ჩემო მეგობარო, ყველაფერი, რაც სათქმელი გაქვთ. რა იცით მასზე?
- ალბათ, კარგი არაფერი, ხომ ასეა? - გესლიანად შენიშნა მისტერ გრიმუიგმა, ყურადღებით რომ აკვირდებოდა მისტერ ბამბლის სახეს.

მისტერ ბამბლმა მაშინვე დაიჭირა შეკითხვის ტონი და თავი საზეიმო მედიდურობით დაუქნია.

- ხედავთ?! - წამოიძახა მისტერ გრიმუიგმა და გამარჯვებულის სახით გადახედა მეგობარს.

მისტერ ბრაუნლოუმ შიშით შეხედა მისტერ ბამბლის მოღუშულ სახეს და სთხოვა, რაც შეიძლებოდა მოკლედ მოეყოლა ყველაფერი, რაც იცოდა.

მისტერ ბამბლმა ქუდი მოიხადა; პალტოს ღილები გაიხსნა; გულზე ხელები დაიკრიფა; თავი მრავალმნიშვნელოვნად დახარა და მცირე ფიქრის შემდეგ

დაიწყო.

მკითხველისთვის მეტად მოსაწყენი იქნება ბიდლის მოყოლილის მისივე სიტყვებით გადმოცემა, რასაც დაახლოებით ოცი წუთი დასჭირდა. მთავარი არსი

ის გახლდათ, რომ მისტერ ბამბლის თქმით, ოლივერი მდაბიო და ბიწიერი მშობლების ნაშიერი გახლდათ; რომ დაბადებიდანვე გამოავლინა არც ისეთი შესაშური თვისებები, როგორცაა მზაკვრობა, უმადურობა და ღვარძლიანობა; მშობლიურ ქალაქში ხანმოკლე ცხოვრება იმით დაასრულა, რომ საზიზღრად თავს დაესხა უდანაშაულო ბიეს, მერე ღამით თავისი ბატონის სახლიდან გაიქცა.

თავისი ვინაობის დამადასტურებელი საბუთები, რომლებიც თან ჰქონდა, მისტერ

ბამბლმა მაგიდაზე დადო. გულხელდაკრეფილი იჯდა და ელოდებოდა მისტერ ბრაუნლოუს, რომელიც საბუთებს გულდასმით კითხულობდა.

- ვშიშობ, ეს ყველაფერი მართალია, - დარდიანად თქვა მოხუცმა ჯენტლმენმა, როდესაც საბუთები გადაიკითხა, - თქვენი შეტყობინებისთვის დაწესებული ჯილდო დიდი არ არის, მაგრამ მოხარული ვიქნებოდი, სამჯერ მეტი

მომეცა თქვენთვის, თუ მიღებული ცნობები უფრო ბიჭის სასარგებლოდ იმეტყველებდა.

ეს გარემოება მისტერ ბამბლს მანამდე რომ სცოდნოდა, შესაძლოა, მისი მონათხრობი ოდნავ შეცვლილიყო კიდეც, მაგრამ ახლა ეს შეუძლებელი გახლდათ, ამიტომ თავი ნელა დაუქნია, მიღებული ჯილდო ჯიბეში ჩაიღო და კაბინეტიდან გავიდა.

მისტერ ბრაუნლოუ რამდენიმე წუთი ოთახში ბოლთას სცემდა; კარგად ჩანდა, როგორ დაამწუხრა ბიდლის მონათხრობმა, ამიტომ მისტერ გრიმუიგს ხმა

აღარ ამოუღია, კიდეც მეტად რომ არ გაელიზიანებინა მეგობარი.

ბოლოს მისტერ ბრაუნლოუ შეჩერდა და ზარი დარეკა.

- მისის ბედუინ, - მიმართა მისტერ ბრაუნლოუმ ოთახში შესულ მწე ქალს, - ეს

ბიჭი, ოლივერი, ნამდვილი არამზადა გამოდგა.

- შეუძლებელია, სერ, შეუძლებელია! - გულმხურვალედ წამოიძახა მისის ბედუინმა.

- გეუბნებით, ასეა, - არ დაიშალა მოხუცმა ჯენტლმენმა, - რის საფუძველზე

ამბობთ ამას? ეს-ესაა, მოვისმინეთ მისი ამბავი დაბადებიდან დღემდე; მთელი

თავისი ცხოვრება პატარა ეშმაკი არამზადა ყოფილა.

- ამას არასოდეს დავიჯერებ, სერ, - მტკიცედ თქვა მოხუცმა ლედიმ, - არასოდეს!

- მოხუც ქალბატონებს მხოლოდ ექიმბაშებისა და სულელური ამბების

სჯერათ, - ჩაიზულუნა მისტერ გრიმუიგმა, - ეს ყველაფერი თავიდანვე ვიცოდი.

რჩევა რატომ არ მკითხეთ? ციებ-ცხელებით რომ არ გამხდარიყო ავად, ხომ შემეკითხებოდით? საინტერესო მოგეჩვენათ? საინტერესო! ჰო, როგორ არა! - მისტერ გრიმუიგმა საჩხრეკით გულმოსულად მისწი-მოსწია ნაკვერჩხლები.

- ის საყვარელი, მაღლიერი, თვინიერი ბავშვი იყო, სერ! - აღშფოთებით უპასუხა მისის ბედუინმა, - ბავშვებს კარგად ვიცნობ, სერ. ვიცნობ უკვე ორმოცი

წელია; ხოლო, ვინც მათზე არაფერი იცის, უმჯობესია, ხმა არ ამოიღოს. აი, ასეთია ჩემი აზრი!

ეს სიტყვები, რასაკვირველია, უშვილო მისტერ გრიმუიგზე იყო ნათქვამი. ამას

მისტერ გრიმუიგმა მხოლოდ ღიმილით უპასუხა, მოხუცმა ლედიმ კი თავი გადააქნია, წინსაფარი შეისწორა და ახალი შეტევისთვის მოემზადა, მაგრამ მისტერ ბრაუნლოუმ შეაჩერა.

- საკმარისია! - თქვა მოხუცმა ჯენტლმენმა, რომელიც თავს გაბრაზებულად აჩვენებდა, თუმცა, ასე სრულიადაც არ იყო, - აღარ მინდა ამ ბიჭის სახელის

გაგონება. ამისთვის დაგიძახეთ. აღარასოდეს, აღარასოდეს-მეთქი, ხომ გესმით?! ახლა შეგიძლიათ წახვიდეთ, მისის ბედუინ. დაიმახსოვრეთ, რაც ვთქვი! სრულებით არ ვხუმრობ.

მისტერ ბრაუნლოუს სახლში იმ დღეს ყველას დამძიმებული ჰქონდა გული.

უკეთ არც ოლივერი გრძნობდა თავს, როდესაც თავის კეთილ, მოყვარულ მეგობრებზე ფიქრობდა; კიდევ კარგი, არ იცოდა, რა შეიტყვეს მათ, თორემ გული

გაუსკდებოდა.

თავი 18 როგორ ატარებს დროს ოლივერითავისი

პატივსაცემი მეგობრებისსულის მოსათქმელ

გარემოცვაში

მეორე დღეს, როდესაც ცულლუტი და ჩარლი ბეიტსი, ჩვეულებრივ, სამუშაოდ

ქუჩაში გავიდნენ, მისტერ ფეიჯინმა დრო იხელთა და ოლივერს ხანგრძლივი ლექცია წაუკითხა უმადურობის საზარელი ცოდვის შესახებ, რაშიც არანაკლებ დამნაშავე ოლივერიც იყო, რადგან შეგნებულად გაურბოდა აღელვებულ მეგობრებს და მეტიც, ამდენი წვალუბრისა და გაღებული ხარჯის საფასურად ნაპოვნმა გაქცევაც კი დააპირა. მისტერ ფეიჯინი განსაკუთრებული ხაზგასმით შეახსენებდა, რომ ოლივერს თავშესაფარი მაშინ მისცა, როდესაც ამ დახმარების გარეშე ის შიმშილით მოკვდებოდა; და მერე მოუყვა ერთი ბიჭის გულის ამაჩუყებელ ამბავს, რომელსაც კაცთმოყვარეობის გამო თითქმის იმავე პირობებში მყოფს დაეხმარა, მაგრამ ეს ბიჭი ფეიჯინის ნდობის ღირსი არ აღმოჩნდა, პოლიციას დაუკავშირდა და, სამწუხაროდ, ერთ დილას ოლდ-ბეილიში

ჩამოახრჩვეს. მისტერ ფეიჯინს არც დაუმაღავს, ამ ტრაგედიაში მისი წვლილიც

რომ იყო, მაგრამ თვალცრემლიანი უყვებოდა ნახსენები ყმაწვილის

სულმდაბლური ღალატის ამბავს, რის გამოც აუცილებელი გახდა,

სასამართლოზე მის წინააღმდეგ ჭეშმარიტებასთან არცთუ ისე ახლომდგომი

ჩვენებების მიცემა, მაგრამ ეს აუცილებელი იყო მისი (მისტერ ფეიჯინის) და მისი

რჩეული მეგობრების უსაფრთხოებისთვის. დასკვნის სახით მისტერ ფეიჯინმა მეტისმეტად უხეშად აღწერა ის უსიამოვნებანი, რაც ჩამოხრჩობას ახლავს, და მეგობრულად და თავაზიანად გამოთქვა იმედი, რომ მას ამგვარი საძაგელი ოპერაციისთვის ოლივერ ტვისტის გაწირვა არ მოუწევს.

პატარა ოლივერს ძარღვებში სისხლი გაეყინა, როდესაც ებრაელს უსმენდა და ხვდებოდა იმ მუქარასაც, რაც მის სიტყვებში იმალებოდა. უკვე იცოდა, რომ სასამართლომ შეიძლება დამნაშავედ შერაცხოს უდანაშაულო, თუ ერთიცა და მეორეც შემთხვევით ერთმანეთის გვერდიგვერდ აღმოჩნდებიან; ხვდებოდა, რომ

მეტისმეტად გათვითცნობიერებული ან ყბედი ადამიანების თავიდან მოსაშორებლად ებრაელს არაერთხელ მოუფიქრებია საიდუმლო გეგმები და შეუსრულებია კიდეც: ოლივერს გაახსენდა ფეიჯინისა და მისტერ საიკსის შეკამათება, რომელიც რაღაც შეთქმულებას ეხებოდა. მან მორცხვად ასწია თავი

და ებრაელის გამომცდელ მზერას წააწყდა. ბავშვმა იგრძნო, მისი სიფითრე და

კანკალი ამ გამჭრიახ მოხუც ჯენტლმენს შეუმჩნეველი არ დარჩენია და კმაყოფილება მოჰგვარა.

ებრაელმა საზიზღარი ღიმილით ოლივერს თავზე ხელი გადაუსვა და უთხრა, მე და შენ უთუოდ დავმეგობრდებით, თუ კარგად მოიქცევი და მუშაობასაც დაიწყებო. მერე შლაპა აიღო, ძველი, დაკემსილი პალტო ჩაიცვა, ოთახიდან გავიდა და კარი ჩაკეტა.

იმ დღეს და მომდევნო დღეებში ოლივერი დილაადრიანიდან შუალამემდე ვერავის ხედავდა და საკუთარი ფიქრების ამარა იყო დარჩენილი. მისი აზრები

ისევ და ისევ კეთილ მეგობრებს დასტრიალებდა და იმ მოსაზრებას, რაც მათ ჩამოუყალიბდებოდათ ოლივერის შესახებ, და ეს აზრები მეტად სევდიანი გახლდათ.

ერთი კვირის გასვლის შემდეგ ებრაელმა შეწყვიტა კარის ჩაკეტვა, ამიტომ ოლივერი მთელ სახლში დაბორიალებდა.

ყველაფერი ძალიან ქუჩყიანი იყო. ზემო სართულის ოთახებში მოჩანდა უზარმაზარი, ჭერამდე სიმაღლის ბუხრები, დიდი კარები, ხის პანელაკრული კედლები, დრო-ჟამისა და ჭუჭყის გამო ჩაშავებული, მაგრამ ათასნაირი ორნამენტით დამშვენებული ლავგარდანები ჭერში. ამ ყველაფრის ხილვის შემდეგ ოლივერმა დაასკვნა, რომ მრავალი წლის წინ, ჯერ კიდევ მოხუცი ებრაელის დაბადებამდე, სახლი ვიდაც სხვა, უფრო ღირსეულ და შესაძლოა, მხიარულ და ლამაზ ადამიანებს ეკუთვნოდათ, მაგრამ ახლა ასეთი პირქუში და

მოსაწყენი გამხდარიყო.

ოთახების კუთხეებში ობობებს ქსელები გაებათ, ხოლო ზოგჯერ, როდესაც ოლივერი რომელიმე ოთახში ჩუმად შედიოდა, დამფრთხალი თავგები აქეთ-იქით გარბოდნენ და სოროებში იმალებოდნენ. თავგებს თუ არ ჩავთვლით,

სახლში არც ერთი სხვა სულიერი არსება არ ჭაჭანებდა; ხშირად, შებინდებისას,

როდესაც ოლივერი ოთახებში სიარულით დაიღლებოდა, შემოსასვლელ კართან მიიკუნტებოდა, ცოცხალ ადამიანებთან უფრო ახლოს რომ ყოფილიყო, იჯდა, ყურს უგდებდა და საათებს ითვლიდა, ვიდრე ებრაელი ან ბიჭები დაბრუნდებოდნენ.

დაფხავებული დარაბები ყველა ოთახში დაეხურათ, ხოლო მათი ჩასაკეტი ურდულები მაგრად იჯდა ხეში; სინათლე მხოლოდ ზემოდან, მრგვალი ნახვრეტებიდან შემოდის, რის გამოც ოთახები კიდევ უფრო პირქუში ჩანდა და უცნაური ჩრდილებით ივსებოდა. სხვენის ეზოში გამავალი, უდარაბო, მაგრამ

დაქანგული ბადით დაცული ფანჯრიდან მოწყენილი ოლივერი საათობით იყურებოდა; დიდად ვერაფერი სანახაობა ეშლებოდა თვალწინ: მხოლოდ სახურავები, გაშავებული მიწები, სამკუთხა ფრონტონების წვეტები. ხანდახან გამოჩნდებოდა ჭაღარა თავი, რომელიც რომელიმე შორეული სახლის პარაპეტიდან იცქირებოდა, მაგრამ სწრაფადვე ქრებოდა; რაკი ოლივერის დაკვირვების პუნქტი აჭედელი გახლდათ და მრავალი წლის განმავლობაში გაშავებულიყო წვიმისა და კვამლისგან, ოლივერი მხოლოდ იმით კმაყოფილდებოდა, რომ სხვადასხვა საგნის კონტურებს უცქერდა და იმედი არ ჰქონდა, რომ ვინმე დაინახავდა ან რამეს გაიგონებდა – იგივე შესაძლებლობა ექნებოდა, წმინდა პავლეს საკათედრო ტაძრის გუმბათქვეშ რომ ეცხოვრა.

ერთხელ, ნაშუადღევს, ცულლუტი და ყმაწვილი ბეიტსი საღამოს სამუშაოდ გასასვლელად ემზადებოდნენ. პირველმა რატომღაც გადაწყვიტა, საკუთარი გარეგნობისთვის მიეხედა (მართალი ითქვას, ეს სისუსტე არ ახასიათებდა) და ამ

მიზნით ქედმაღლურად უბრძანა ოლივერს, თავის მოწესრიგებაში მიხმარებოდა.

ოლივერს უხაროდა, რომ ვიღაცისთვის დახმარების გაწევა შეეძლო; გარდა ამისა, აბედნიერებდა თავის გარშემო თუნდაც მავნე ადამიანების ყოფნა; ძალიან სურდა იმათი კეთილგანწყობის მოპოვება, ვის გვერდითაც ცხოვრობდა,

მაგრამ პატიოსანი საქციელით. ამიტომ თავისი მზადყოფნა რომ გამოეხატა, იატაკზე ცალ მუხლზე დადგა, მაგიდაზე შემჯდარმა ცულლუტმა კი მეორე მუხლზე

ფეხი შემოსდო. ამ პროცესს თავად მისტერ დაუკინსი „ფლოქვების შავი ლაქით

დაფარვას“ უწოდებდა. ეს წინადადება ჩვეულებრივ ენაზე ფეხსაცმლის გაპრიალებას ნიშნავდა.

შესაძლოა, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შეგრძნებამ, რომელიც ახასიათებს გონიერ არსებას, როდესაც ის მოხერხებულად შემომჯდარა მაგიდაზე, ჩიბუხს ეწევა და უდარდელად აქნევს ცალ ფეხს, ვიდრე ფეხსაცმელს

უწმენდენ – თუმცა, მას ჩექმა არ გაუხდია და მისი ხელახლა ჩაცმის უსიამოვნო

პერსპექტივა ფიქრს არ უწამლავს, – ან შესაძლოა, კარგმა თამბაქომ გული მოუღობო ცულლუტს, ან იქნებ მის ნერვებზე წყალწყალა ლუდმა იმოქმედა დამამშვიდებლად – მოკლედ, ასეა თუ ისე, ცულლუტი ისეთ რომანტიკულ განწყობაზე ბრძანდებოდა იმ წუთებში, რომელიც მისი ხასიათისთვის სრულიად

უცხო გახლდათ. ჩაფიქრებული ზემოდან დასცქეროდა ოლივერს, მერე თავი ასწია, ჩუმიად ამოიოხრა და გაუგებარი იყო, თავის თავს უთხრა თუ ჩარლი ბეიტსს მიმართა:

- დასანანია, ბაცაცა რომ არ არის!

- ჰო, - უპასუხა ჩარლი ბეიტსმა, - საკუთარი სარგებლობის შესახებ წარმოდგენაც არა აქვს.

ცულლუტმა ისევ ამოიოხრა და ჩიბუხს მიუბრუნდა. ასევე მოიქცა ჩარლი ბეიტსიც. რამდენიმე წამს მდუმარედ ეწეოდნენ.

- ალბათ, ისიც კი არ იცი, ბაცაცა რას ნიშნავს? - იკითხა ჩაფიქრებულმა ცულლუტმა.

- მგონი, ვიცი, - თქვა ოლივერმა და თავი ასწია, - ეს თქვენ ხართ, ხომ ასეა? -
თქვა ენის ბორძიკით.

- ასეა, - დაუდასტურა ცულლუტმა, - ასეთივეა ჩარლი, კიდეც ფეიჯინი, საიკსი, ნენსი და ბეტი. ყველანი ბაცაცები ვართ ძაღლის ჩათვლით. ის კიდეც სიმარჯვით ყველას გვჯობია!

- ჰო, და ენატანია არ არის! - დაამატა ჩარლი ბეიტსმა.

- სასამართლოზე არც კი დაიწკავწკავებს; მაშინაც კი, ორი კვირით რომ დააბან და აშიმშილონ, - თქვა ცულლუტმა.

- არავითარ შემთხვევაში არ დაიწკავწკავებს, - დაუმოწმა ჩარლიმ.

- უცნაური ძაღლია, - განაგრძო ცულლუტმა, - უცხოვს, მისი თანდასწრებით გაცინებას ან სიმღერას თუ გაბედავს, ისე მრისხანედ უყურებს! და ვიოლინოზე დამკვრელს როგორ უღრენს! სხვა ჯიშის ვერც ერთ ძაღლს ვერ იტანს, ვერა!

- თავგამოდებული ქრისტიანივით იქცევა, - თქვა ჩარლიმ.

მისი რეპლიკა ძაღლის თვისებებისთვის ხოტბის შესასხმელად იყო ნათქვამი, მაგრამ აზრადაც არ მოსვლია, რომ სრული ჭეშმარიტება ბრძანა, მაგრამ სრულიად სხვა აზრით: ბევრი ლედი და ჯენტლმენი აცხადებს თავგამოდებულ ქრისტიანობაზე პრეტენზიას, მაგრამ თავიანთი ქცევით საოცრად ჰგვანან მისტერ საიკსის ძაღლს.

- კარგი, კარგი, - ცულლუტი იმ თემას დაუბრუნდა, რომელზედაც საუბარი დაიწყო, რადგან საკუთარი ხელობა ყოველთვის კარგად ახსოვდა, - ამ ყველაფერს ჩვენს არიფთან არაფერი აქვს საერთო.

- მართალია, - თქვა ჩარლიმ, - ოლივერ, რატომ არ გინდა, ფეიჯინს შეგირდად მიეზარო?

- და სწრაფად დააგროვო ქონება? - ჩაიცინა ცულლუტმა.

- მერე საქმეს ჩამოშორდე და შენთვის მშვიდად იცხოვრო? მე ასეც

მოვიქცევი, ვთქვათ, ოთხი ნაკიანი წელიწადის შემდეგ, მომდევნო ნაკიან წელიწადს, სულთმოფენობის კვირაში, ორმოცდამეორე სამშაბათს, - თქვა ჩარლი ბეიტსმა.

- ასეთი რამ არ მომწონს, - მორცხვად ჩაილაპარაკა ოლივერმა, - მინდა, გამიშვან. მე... მე... ძალიან, ძალიან მინდა წასვლა.

- აი, ფეიჯინს კი სრულუბით არ უნდა! - მიახალა ჩარლიმ.

ოლივერმა ეს ყველაფერი ძალიან კარგად იცოდა, მაგრამ თვლიდა, რომ საკუთარი განცდების ხმამაღლა გამოხატვა სახიფათო იყო, ამიტომ მხოლოდ ამოიოხრა და ცუდლუტის ჩექმის წმენდა განაგრძო.

- წასვლაო... - წამოიძახა ცუდლუტმა, - სულ არაფრის გრცხვენია? ნუთუ თავმოყვარეობაც არა გაქვს? შენს მეგობრებს გინდა კისერზე დააწვე?

- ეშმაკმა დასწყევლოს! - იყვირა ჩარლი ბეიტსმა და ჯიბიდან ამოაცოცა ორი აბრეშუმის ცხვირსახოცი, რომლებიც კარადისკენ მოისროლა, - ეს ყველაფერი ნაგვობაა და მეტი არაფერი!

- შენს ადგილას ამას არ გავაკეთებდი, - მედიდური ზიზლით თქვა ცუდლუტმა.

- მეგობრების გასაჭირში მიტოვება და იმის დაშვება, თქვენ მაგივრად სხვა დაისაჯოს, ხომ ადვილად შეგიძლიათ, - სევდიანი ღიმილით თქვა ოლივერმა.

- იცი რა, - ჩიბუხი აიქნია ცუდლუტმა და ისე უპასუხა, - ეს მხოლოდ და მხოლოდ ფეიჯინის გამო მოხდა, ძალლობამ იცის, რომ ჩვენ მასთან ვმუშაობთ, ის კი გასაჭირში ჩავარდებოდა, იქიდან რომ არ გავქცეულიყავით, ასე არ არის, ჩარლი?

ყმაწვილმა ბეიტსმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და უნდოდა, რაღაც დაემატებინა, მაგრამ უცერად გაახსენდა, ოლივერი როგორ გარბოდა, გადაიხარხარა და კვამლი სასულეში გადასცდა, რის გამოც მთელი ხუთი წუთი ახველებდა და ფეხებს აბაკუნებდა.

- აბა, ამას შეხედე! - ცუდლუტმა ჯიბიდან მუჭით შილინგები და ნახევარპენიანები ამოიღო, - მხიარული ცხოვრება ეს არის! რა მნიშვნელობა აქვს, საიდანაა ეს ფული? მიდი, აიღე! იქ კიდევ ბევრი დარჩა! რა, არ გინდა? ოჰ, ნამდვილი სულელი ხარ!

- ძალიან ცუდად იქცევა, ხომ მართალია, ოლივერ? - თქვა ჩარლი ბეიტსმა, - იმით დამთავრდება, რომ ერთხელაც გასკვანჩავენ.

- არ ვიცი, ეს რას ნიშნავს, - უპასუხა ოლივერმა.

- აი რას, უყურე, მეგობარო! - თქვა ჩარლიმ.

ყმაწვილმა ბეიტსმა თავისი ჰალსტუხის ბოლო მაღლა ასწია, თავი გვერდზე

გადახარა და უცნაური ხმა ამოუშვა - ამ მხიარული პანტომიმური წარმოდგენით სურდა, ეჩვენებინა, რომ ჩამოხრჩობა და გასკვანჩვა ერთი და იგივეა.

- აი, ამას ნიშნავს, - თქვა ჩარლიმ, - შეხედე, ჯეკ, როგორ იყურება! ეს ბიჭი ისეთი არიფია, ერთხელაც იქნება, ისე გამაცინებს, ბოლოს მომიღებს, - და ისევ ჩიბუხს მიუბრუნდა.

- ცუდად გაგზარდეს, - თქვა ცულლუტმა, რომელიც კმაყოფილი დასცქეროდა ოლივერის გაწმენდილ ჩექმებს, - თუმცა, ფეიჯინი შენგან რაღაცას გამოადნობს, ან შენ იქნები პირველი, ვისთანაც ჩაფლავდება. ჯობია, რაც შეიძლება მალე დაიწყო, ამ ხელობას ხელი მაინც უნდა მოჰკიდო და ახლა მხოლოდ დროს კარგავ, ოლივერ.

ამას დაემატა ყმაწვილი ბეიტსის მორალური შეგონებანი; როდესაც ეს ყველაფერი ამოიწურა, მან და მისმა მეგობარმა, მისტერ დაუკინსმა, დაიწყეს იმ

ცხოვრების ხატოვნად აღწერა, რომელსაც თავად ეწოდნენ, ის მრავალრიცხოვანი სიამოვნება ჩამოთვალეს, რაც მას ახლდა და ოლივერს შეფარვით მიანიშნებდნენ, რაც შეიძლებოდა მალე მოეპოვებინა მისტერ ფეიჯინის კეთილგანწყობა იმ საშუალებით, რომელსაც თავად იყენებდნენ.

-- ბოლოს და ბოლოს, შეუშვი მაგ გოგრაში, ნოლი, - თქვა ცულლუტმა, როდესაც მოისმა, როგორ აღებდა ზემოთ კარს ებრაელი, - თუ არ ააცოცებ წირპლსაწმენდებსა და წიკწიკებს...

- რა აზრი აქვს? - ჩაერია ყმაწვილი ბეიტსი, - ვერ ხვდები, არ ესმის, რაზე ლაპარაკობ.

- თუ არ დაიწყებ ცხირსახოცებისა და საათების აწაპნას, - თქვა ცულლუტმა, თან ცდილობდა, ოლივერისთვის გასაგები ენით ელაპარაკა, - შენ ნაცვლად სხვა აიღებს. მართალია, ამით ის დაზარალდება, ვისაც მოჰპარეს, მაგრამ დაზარალდები შენც, მოგებული კი ის ყმაწვილი იქნება, ვინც ნივთები მიისაკუთრა, შენ კი მათზე ზუსტად ისეთივე უფლებები გაქვს, როგორიც მას.

- მართალია! მართალი! - თქვა ებრაელმა, რომელიც ისე შევიდა ოთახში, ოლივერს არც კი დაუნახავს, - ეს ყველაფერი ძალიან მარტივია, ჩემო ძვირფასო; მოკლედ რომ ვთქვათ, ცულლუტის სიტყვას შეგიძლია ენდო. ჰა-ჰა-ჰა! ყმაწვილმა ნამდვილად იცის თავისი ხელობის ანაბანა.

გამხიარულებული მოხუცი ხელებს იფშვნიტდა და ცულლუტის სიტყვებს

ადასტურებდა; თავისი შეგირდის გამჭირახობით აღფრთოვანებული, იცინოდა.

ამჯერად საუბარი შეწყდა, რადგან ებრაელი შინ დაბრუნდა მის ბეტისა და ჯენტლმენის თანხლებით, რომელიც ოლივერს ჯერ არ ენახა, მაგრამ რომელსაც

ცულლუტი ტომ ჩიტლინგს ეძახდა; ეს უკანასკნელი კიბეზე შეფერხდა, რადგან

ახალგაზრდა ლედი თავაზიანად მოიკითხა, მერე კი ოთახში შევიდა.

მისტერ ჩიტლინგი ცულლუტზე უფროსი გახლდათ: შესაძლოა, უკვე თვრამეტი

ზამთარიც კი ჰქონდა მითვლილი, მაგრამ ყმაწვილს ერთგვარი მოწიწებით მიმართავდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ საკუთარ თავს მახვილგონივრულობითა და პროფესიული სიმარჯვით ცულლუტზე დაბლა აყენებდა. პატარა, მბრწყინავი

თვალები და ნაყვავილარი სახე ჰქონდა; ბეწვის ქუდი ეხურა, ტანთ კი მუქი ველვეტის ქურთუკი, ჭუჭყიანი და გაქონილი ფლანელის შარვალი და წინსაფარი

ეცვა. მისი ჩაცმულობა მართლაც საცოდავი სანახავი გახლდათ, მაგრამ დამსწრე

საზოგადოებას მოუბოდიშა, რომ მხოლოდ ერთი საათის წინ გამოუშვეს, და რადგან უკანასკნელი ექვსი კვირის განმავლობაში მხოლოდ სამწყობრო სამოსი ეცვა, ვერ მოახერხა, სამოქალაქო კოსტიუმზე ეზრუნა. მისტერ ჩიტლინგმა, უაღრესად გადიზიანებულმა, ისიც დაამატა, რომ სამოსის ორთქლით დეზინფიცირების ახალი წესი კონსტიტუციას ეწინააღმდეგება, რადგან ქსოვილს

წვავს, მაგრამ საგრადოს მმართველებისთვის წინააღმდეგობის გაწევის საშუალება არ არსებობს. მსგავსი შენიშვნა გამოთქვა თმის შეკრეჭის ბრძანებაზეც, რაც ასევე კანონსაწინააღმდეგოდ მიაჩნდა. თავისი გამოსვლა მისტერ ჩიტლინგმა დაასრულა განცხადებით, რომლის თანახმადაც, დაუსრულებელი ორმოცდაორი სამუშაო დღის განმავლობაში პირში წვეთი არ ჩასვლია და მთელი შიგნეულობა ჩაუხმა.

-- როგორ ფიქრობ, ოლივერ, ეს ჯენტლმენი საიდან მოვიდა? - ღიმილით ჰკითხა ებრაელმა ბიჭს, დანარჩენმა ორმა კი მაგიდაზე ვისკის ბოთლი დადგა.

- ა-ა-ა-რ ვიცი, სერ, - თქვა ოლივერმა.

- ეს ვინაა? - იკითხა ტომ ჩიტლინგმა და ზიზღით შეხედა ოლივერს.

- ეს, ჩემო ძვირფასო, ჩემი ახალი პატარა მეგობარი გახლავს, - უპასუხა ებრაელმა.

- ესე იგი, ბედი ჰქონია, - მრავალმნიშვნელოვნად შეხედა ახალგაზრდა ჯენტლმენმა ფეიჯინს, - რა მნიშვნელობა აქვს, საიდან მოვედი, ბიჭუნა? კრონას

ჩამოვალ, რომ იქამდე გზას შენც მალე ისწავლი!

ამ ხუმრობამ ბიყები გააცინა. იმავე თემაზე ცოტა ხანს ლაზღანდარობის შემდეგ ფეიჯინს რამდენიმე სიტყვა წასჩურჩულეს და წავიდნენ.

ახალი სტუმარი ოთახის კუთხეში ფეიჯინს ესაუბრებოდა, შემდეგ ორივემ კერიისკენ მისწია სკამები. ებრაელმა ოლივერს დაუძახა და უბრძანა, იქვე ახლოს ჩამოეჯდარიყო. შემდეგ იმაზე დაიწყო საუბარი, რასაც, მისი აზრით, მსმენელი ყველაზე მეტად უნდა დაეინტერესებინა. საქმე ეხებოდა მათი პროფესიის დიდ უპირატესობებს, ცულლუტის სიმარჯვეს, ჩარლი ბეიტსის მხიარულ ხასიათსა და თავად ებრაელის გულუხვობას. ბოლოს, ეს თემებიც ამოიწურა; ჩანდა, მისტერ ჩიტლინგიც გამოფიტული იყო, რადგან ციხეში ყოფნა

ერთი-ორი კვირის შემდეგ მეტისმეტად დამღლეელია. ამიტომ მის ბეტი წავიდა და

დანარჩენები დასასვენებლად მოეწყვნენ.

იმ დღიდან ოლივერს მარტო იშვიათად ტოვებდნენ; მის გვერდით თითქმის ყოველთვის ორი ბიძი იყო, ისინი ებრაელთან ერთად ყოველდღიურად თამაშობდნენ ძველ თამაშს ან საკუთარი ოსტატობის დასახვეწად, ან ოლივერისთვის, მაგრამ ეს ყველაზე უკეთ მხოლოდ მისტერ ფეიჯინმა იცოდა.

ზოგჯერ მოხუცი მათ ახალგაზრდობაში ჩადენილი ქურდობების ამბავს უყვებოდა

და თანაც, ისე სასაცილოდ და საინტერესოდ, რომ ოლივერი თავისდა უნებურად

გულიანად იცინოდა. შესანიშნავი თვისებების მიუხედავად, ვერ მალავდა, რომ

ებრაელის მონათხრობი ართობდა.

მოკლედ, გაქნილმა მოხუცმა ებრაელმა ბიჭი თავის ქსელში გაახვია.

მარტობითა და უიმედობით გადაღლილი მისი გონება იმას მიაჩნია, რომ საკუთარ უსიხარულო ფიქრებს ნებისმიერი საზოგადოება ერჩივნა. ახლა ებრაელს მის სულში წვეთ-წვეთად შეჰყავდა შხამი, რომელიც, იმედოვნებდა, გახრწნიდა ბიჭს და სამუდამოდ შეცვლიდა.

თავი 19 რომელშიც მოქმედების შესანიშნავ

გეგმასგანიხილავენ და იღებენ კიდეც

სუსხიანი, ნესტიანი და ქარიანი ღამე იყო, როდესაც ებრაელმა დამკვიწრარ სხეულზე მჭიდროდ მომდგარი პალტოს ყველა ღილი შეიკრა, საყელო ყურებამდე

ისე აიწია, რომ სახის ქვედა ნაწილი აღარ მოუჩანდა და თავისი სოროდან გავიდა. საფეხურზე შეჩერდა და ყური მიუგდო, კარს როგორ კეტავდნენ, შემდეგ

ჯაჭვიც დაადეს და როდესაც დარწმუნდა, ბიჭებმა ყველაფერი სათანადოდ შეასრულესო და მათი ნაბიჯების ხმაც მიწყდა, ქუჩაში ისე სწრაფად გაიქცა, რამდენადაც კი შეეძლო.

სახლი, სადაც ოლივერი მიიყვანეს, უაიტჩეპელის

მეზობლად იდგა. კუთხეში მისულმა ებრაელმა ეჭვიანად მიმოიხედა და მერე სპიტელფილდისკენ

წავიდა.

ქვაფენილზე ტალახი სქელ ფენად იდო და ქუჩები შავ ნისლში გახვეულიყო; წვიმა ცრიდა, შეხებისას ყველაფერი ცივი და სლიპინა იყო. გეგონებოდა, სწორედ ასეთ სადამოს უნდა ეხეტიალა ქუჩებში ისეთ არსებას, როგორიც, მაგალითად, ებრაელი იყო. წინ ფრთხილად მიიწევდა, კედლებსა და სადარბაზოებს ევარებოდა და საზიზღარი ბებერი ჭუჭყსა და სიბნელეში დაბადებულ გულისამრევ ქვეწარმავალს ჰგავდა, სწორედ იმგვარ ჭუჭყსა და

სიბნელეში დაბადებულს, რომელშიც ახლა მიიკვლევდა გზას: გეგონებოდა, ღამით სანადიროდ გამოსულა და სადილად მსუყე ლუკმას ეძებო.

მიხვეულ-მოხვეული და ვიწრო ქუჩებით იქამდე იარა, ვიდრე ბეთნალ-გრინს მიაღწევდა; შემდეგ სწრაფად შეუხვია მარცხნივ და მჭიდროდ დასახლებულ რაიონში, ბინძური ქუჩების ლაბირინთში ამოყო თავი.

ეტყობოდა, ებრაელი კარგად იცნობდა აქაურობას, სრულებით არ აშინებდა ბნელი ღამე და მნელი გზა. სწრაფად ჩაუარა რამდენიმე შესახვევს და შორეულ

ბოლოში ერთადერთი სანათით განათებულ ქუჩაზე შეუხვია. რომელიღაც სახლის

კარზე დააკაკუნა და მის გამღებ კაცთან გაუგებარი რამდენიმე სიტყვის გაცვლის

შემდეგ, კიბეზე ავიდა.

კარის სახელურს როგორც კი მოეჭიდა, ძაღლმა დაიღრინა და კარს უკან კაცის

ხმამ იკითხა, ვინ იყო.

- მე ვარ, ბილ, მარტო მე, ჩემო ძვირფასო, - თქვა ებრაელმა და ოთახში შეიხედა.

- ჰოდა, შემოეტყობ, - თქვა საიკსმა, - წყნარად ეგდე, სულელო პირუტყვო! რა

იყო, ეშმაკი პალტოშია და ვერ იცანი?

როგორც ჩანს, ძაღლი მისტერ ფეიჯინის ჩაცმულობამ დააბნია, რადგან როგორც კი ებრაელმა პალტო გაიხადა და სკამის საზურგეზე გადაკიდა, ოთახის

შორეული კუთხისკენ გაემართა და კუდი ააქიცინა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ახლა დაკმაყოფილდა, თუ, რა თქმა უნდა, ეს გრძნობა მისი ბუნებისთვის ნაცნობი იყო.

- აბა! - თქვა საიკსმა.

- ჰო, ჩემო ძვირფასო, - თქვა ებრაელმა, - ოჰ, ნენსი!

ამ წამოძახილში ერთგვარი დაბნეულობა იგრძნობოდა, რაც მოწმობდა იმის გამო ყოყმანს, როგორ იქნებოდა ის აღქმული; მისტერ ფეიჯინსა და მის ახალგაზრდა მეგობარს ერთმანეთი არ ენახათ მას შემდეგ, რაც ნენსი ოლივერს

გამოესარჩლა. ახალგაზრდა ლედის ქცევამ ყოველგვარი ეყვი, თუკი ჰქონდა კიდევ, სწრაფად გაუფანტა. მან ფეხები ჩამოსწია ბუხრის რკინის მოაჯირიდან,

სკამი გასწია და ფეიჯინი ცეცხლთან ახლოს მიიწვია, რადგან ცივი ღამე იდგა.

- ცივა, ჩემო ძვირფასო ნენსი, ძალიან ცივა, - თქვა ებრაელმა და თავის გაძვალტყავებულ ხელებს ცეცხლზე ითბობდა, - ისე უბერავს, ძვლებში ატანს, -

თქვა მოხუცმა და გვერდი მოისრისა.

- ეტყობა, მართლაც ძვალსა და რბილში ატანს სიცივე, თუ თქვენს გულამდე

მიაღწია, - შენიშნა მისტერ საიკსმა, - რამე დააღვეინე, ნენსი. გაინძერი, ეშმაკმა დალახვროს! ამ ძვლების გროვას რომ უყურებ, ადამიანი შეიძლება დაავადდე, გეგონება, საფლავიდან ამოსული საზარელი მოჩვენებაა.

ნენსიმ კარადიდან სწრაფად გამოიღო ბოთლი, იქ კიდევ ბევრი ბოთლი იდგა, როგორც ჩანს, სხვადასხვანაირი სასმლით სავსე. საიკსმა ჭიქაში ბრენდი ჩამოსხა და ებრაელს შესთავაზა.

- საკმარისია, საკმარისია, გმადლობთ, ბილ, - თქვა ებრაელმა, ტუჩებით ოდნავ შეეხო სასმელს და ჭიქა დადგა.

- გეშინიათ, ბოლო არ მოგილოთ? - თქვა საიკსმა და ჯიქურ მიაჩერდა ებრაელს, - ფუჰ!

ზიზღნარევი, ხრინწიანი ბუზღუნით მისტერ საიკსმა ჭიქას ხელი დასტაცა და მისი შიგთავსი ნაცარზე მოასხა; ამის შემდეგ სასმელი თავისთვის დაისხა.

ებრაელმა კარგად ნაცნობი ოთახი მოათვალიერა, ვიდრე მისი კომპანიონი მეორე ჭიქას დაცლიდა; ეს მოიმოქმედა არა იმდენად ცნობისმოყვარეობის, არამედ ძირითადად მისი ბუნებისთვის ჩვეული უნდობლობისა და შფოთიანობის

გამო. ოთახი ღარიბულად იყო მოწყობილი და მხოლოდ კარადის შიგთავსი თუ

მიანიშნებდა, რომ აქაურობის პატრონი თავს შრომით არ ირჩენდა; ერთი შეხედვით ვერავითარ საეჭვო ნივთს თუ საგანს თვალი ვერ შეამჩნევდა, მხოლოდ კუთხეში იყო მიყუდებული რამდენიმე მძიმე ხელკეტი, ხოლო ბუხრის

თავზე ტყვიისწვერიანი ხელკეტები ეკიდა.

- აბა, - ტუჩები მოილოკა საიკსმა, - ახლა მზად ვარ.

- საქმეებზე ვილაპარაკოთ? - დაინტერესდა ებრაელი.

- თუნდაც საქმეებზე, - დაეთანხმა საიკსი, - გადმოალაგეთ, რის თქმას აპირებთ.

- ჩერტის

ამბავზე, ბილ? - იკითხა ებრაელმა, თანამოსაუბრისკენ სკამი მისწია და ხმას დაუწია.

- ჰო. აბა, რას იტყვით? - თქვა საიკსმა.

- ოჰ, ჩემო ძვირფასო, ხომ იცით ჩემი აზრი, - თქვა ებრაელმა, - ნენსი, იცის, ხომ ასეა?

- არა, არ იცის, - დამცინავად ჩაილიმა საიკსმა, - ან არ უნდა, იცოდეს, რაც

ერთი და იგივეა. სათქმელი პირდაპირ თქვით და საგნებს თავისი სახელი უწოდეთ! რა აზრი აქვს აქ ჯდომას, ჩემთვის თვალების პაჭუნსა და მიკიბ-მოკიბვით ლაპარაკს, თითქოს გაქურდვის აზრი თავში პირველად თქვენ მოგივიდათ. თქვით, რა გინდათ?

- ჩუმად, ბილ, ჩუმად! - თქვა ებრაელმა, რომელიც ამაოდ ცდილობდა საიკსის

უკმაყოფილება ჩაეცხრო, - შეიძლება ვინმემ გაიგონოს.

- ჰოდა, გაიგონონ! - თქვა საიკსმა, - ფეხებზე მკიდია.

მაგრამ მისტერ საიკსს სრულებითაც არ ეკიდა ფეხებზე, ამიტომ, ცოტათი რომ

დაფიქრდა, ხმას დაუწია და დამშვიდდა კიდევ.

- ჰო, ჰო, - მის დაყოლიებას ცდილობდა ებრაელი, - უბრალოდ, ვფრთხილობ,

მეტი არაფერი. ახლა კი, ჩემო ძვირფასო, ჩერთსიში გასაკეთებელ საქმეზე ვილაპარაკოთ. როდის დავაბოლოებთ, ბილ, როდის? რომ იცოდეთ, რა ვერცხლის დანა-ჩანგალი და ჭურჭელია, ბილ, რა ვერცხლეული! - თქვა ებრაელმა, ხელები მოიფშვნიტა და სიამოვნების მოლოდინში წარბები აზიდა.

- არაფერი გამოვა, - ცივი წყალი გადაასხა საიკსმა.

- ამ საქმიდან არაფერი გამოვა? - წამოიძახა ებრაელმა და მოულოდნელობისგან სკამის საზურგეს მიეყრდნო.

- ჰო, არაფერი გამოვა, - თქვა საიკსმა, - ყოველ შემთხვევაში, არც ისეთი ადვილი საქმეა, როგორც გვეგონა.

- ესე იგი, ისე არ მოჰკიდეს ხელი, როგორც საჭირო იყო, - განრისხებულ ებრაელს სახე წამოუჭარხლდა, - შეგიძლიათ მეტი არაფერი მითხრათ!

- არა, ყველაფერს გეტყვით, - შეეკამათა საიკსი, - ასეთი ვინ ხართ, რომ თქვენ არავინ არაფერი გითხრათ? გეუბნებით, ტობი კრეკიტა ორი კვირა იქ დაბორიანდება და ვერც ერთ მსახურთან კავშირი ვერ გააბა!

- ბილ, ნუთუ იმის თქმა გინდათ, რომ ორი მსახურიდან ვერც ერთის გადაბირება ვერ მოხერხდა? - ჰკითხა ებრაელმა, რომელიც იმის კვალობაზე, რაც

უფრო ცხარდებოდა მისი თანამოსაუბრე, თანდათან მშვიდდებოდა.

- ჰო, სწორედ ამას გეუბნებით, - თქვა საიკსმა, - უკვე ოცი წელია, მოხუც ლედის ემსახურებიან და ხუთასი გირვანქა სტერლინგიც რომ მისცეთ, არ წამოეგებიან.

- იმის თქმა გინდათ, ჩემო ძვირფასო, რომ ქალების გადაბირებაც შეუძლებელია? - იკითხა ებრაელმა.

- სწორედ ასეა, ეგ საქმე ჩაფლავდა, - უპასუხა საიკსმა.

- ისეთმა გაქნილმაც კი, როგორც ტობი კრეკიტა, ვერ მოახერხა? - უნდობლად

იკითხა ებრაელმა, - ბილ, კარგად გაიხსენეთ, რა ხალხია ქალები!

- ჰო, გაქნილ ტობი კრეკიტსაც კი კოვზი ნაცარში ჩაუვარდა, - ბაკენბარდებიც

მიუკრავს, ჭყეტელა ჟილეტი ჩაუცვამს, როცა იმ მხარეში სახეტილოდ წასულა,

მაგრამ ყველაფერი წყალში ჩაიყარა.

- ჩემო ძვირფასო, უკეთესი იქნებოდა, უღვაში და სამხედრო ფორმა ეცადა,
-
გააპროტესტა ებრაელმა.

- ეგეც სცადა, მაგრამ შედეგი იგივეა, - თქვა საიკსმა.
ამ ამბავმა ებრაელი შეაცბუნა. ნიკაპი მკერდს მიაბჯინა, რამდენიმე წუთს
ფიქრობდა, მერე თავი ასწია, ღრმად ამოიოხრა და თქვა, რომ თუკი
გაქნილმა
ტობი კრეკიტმა არაფერი დამალა, საქმე, სამწუხაროდ, წაგებული ყოფილა.

- და მაინც, - ებრაელმა ხელები მუხლებზე დაიწყო, - დასანანია, ჩემო
ძვირფასო, ამდენის დაკარგვა, როცა ყველანი მხოლოდ ამ საქმეზე
ვფიქრობდით.

- მართალია, დასანანია, - დაეთანხმა მისტერ საიკსი, - რას იზამ, ბედმა
არ
გაგვიღიმა.

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა; ებრაელი ღრმა ფიქრებს მიეცა და მისი
დამჭკნარი სახე მართლაც ეშმაკივით საზიზღარი გახდა; დროდადრო საიკსი
მალულად შეავლებდა თვალს. ნენსი, რომელსაც მძარცველის გაღიზიანება
აშკარად არ სურდა, მდუმარედ იჯდა ბუხართან და ცეცხლს მიშტერებოდა,
თითქოს გარშემო რა ხდებოდა, არც კი ესმოდა.

- ფეიჯინ, - თქვა ბოლოს საიკსმა, - ღირს კი ეს საქმე დამატებით
ორმოცდაათ
ოქროდ?

- ჰო, - უეცრად გამოცოცხლდა ებრაელი.

- მაშინ, შევთანხმდით? - დაინტერესდა საიკსი.

- რა თქმა უნდა, ჩემო ძვირფასო, - ებრაელს თვალეზი გაუბრწყინდა, მის
სახეზე ყოველი ნაკვთი ამ შეკითხვით მოგვრილი მღელვარებისგან თრთოდა.

- აი, რა, - საიკსმა, ცოტა არ იყოს, უდიერად გაჰკრა ხელი ებრაელის
გამოწვდილ ხელს, - ამის მოგვარება ნებისმიერ დროს შეიძლება. ამის
წინაღმეს

ტობისთან ერთად ბალის მესერზე გადავძვერით, კარი და დარაბები
მოვსინჯეთ.

დამდამობით სახლს ისე კეტავენ, თითქოს ციხე იყოს, მაგრამ არის ერთი
ადგილი, საიდანაც შეძრომა შეიძლება და არც სარისკო ამბავია.

- ეგ სად, ბილ? - მოუთმენლად ჰკითხა ებრაელმა.

- გაზონი უნდა გადაიაროთ, - ჩურჩულზე გადავიდა საიკსი.

- მერე? - ჩურჩულითვე აჰყვა ებრაელი, კისერი წაიგრძელა და თვალეზი ისე
დაჭყიტა, სადაცაა თვალბუდიდან გადმოუცვივდებოდა.

- უფ! - წამოიძახა საიკსმა და უცებ გაჩუმდა, რადგან გოგონამ უეცრად
მოიხედა და ოდნავ შესამჩნევი თავის დაქნევით ებრაელზე მიანიშნა, - რა
მნიშვნელობა აქვს, სად? ვიცი, უჩემოდ მაინც ვერაფერს გახდებით, მაგრამ

უმჯობესია, თავი დაიზღვიო, როცა საქმე თქვენნაირთან გაქვს.

-- როგორც გინდათ, ჩემო ძვირფასო, როგორც გინდათ, - თქვა ებრაელმა, -
დახმარება არ გჭირდებათ? თქვენ და ტობი, ორნი გაართმევთ თავს?

- არ გვინდა დახმარება, - თქვა საიკსმა, - მართო ციბრუტი მჭირდება და ბიცი.

პირველი გვაქვს, მეორე თქვენ უნდა იშოვოთ.

- ბიჭი! - წამოიყვირა ებრაელმა, - ოჰ, ესე იგი, მახის დამგები გჭირდებათ, ასეა?

- ეგ თქვენი საქმე არ არის, - უპასუხა საიკსმა, - ბიჭი მჭირდება და თანაც,

გამხდარი. ღმერთო! - წამოიძახა მისტერ საიკსმა, - რა მოხდებოდა, საკვამურის

მწმენდავ ნედის ბიჭი ხელში ჩამეგდო! ისეთი პატარა იყო და თანაც კარგად მუშაობდა. მაგრამ მამამისი კატორღაშია და მცირეწლოვან დამნაშავეებზე მზრუნველი საზოგადოება ჩაერია, ბიჭი წაიყვანეს, ხელობით თავის რჩენის საშუალება მოუსპეს, ახლა წერა-კითხვას ასწავლიან, რომ მერე შეგიღრდად გაგზავნონ. ყველაფერში ცხვირს ყოფენ! - თქვა საიკსმა, თითქოს ყველა წყენა

გაახსენდაო, უფრო და უფრო ღიზიანდებოდა, - ყველაფერში ცხვირს ყოფენ! მეტი ფული რომ ჰქონდეთ (მადლობა ღმერთს, არა აქვთ), ორ-სამ წელიწადში

ჩვენს საქმეში გამოსაყენებლად ათიოდე ბიყსაც ვედარ იშოვი.

- მართალია, - მექანიკურად დაეთანხმა ებრაელი, რომელიც ამ მონოლოგის განმავლობაში თავის საფიქრალს მისცემოდა და მხოლოდ ბოლო წინადადება გაიგონა, - ბილ!

- ახლა რადა? - იკითხა საიკსმა.

ებრაელმა თავით ანიშნა ნენსიზე, რომელიც ისევ ისე ჩასცქეროდა ცეცხლს, ეს ქალი ოთახიდან გავიდესო. საიკსმა ნერვიულად აიჩეჩა მხრები, თითქოს ამ

ღონისძიებას ზედმეტად მიიჩნევდა, მაგრამ მაინც დაემორჩილა და ნენსის კათხა ლუდის მოტანა მოსთხოვა.

-- არავითარი ლუდი არ გინდა, - თქვა ნენსიმ, გულხელი დაიკრიფა და მშვიდად მოკალათდა სკამზე.

- გეუბნები, მინდა! - უყვირა საიკსმა.

- სისულელეა! - ცივად გამოცრა გოგონამ, - განაგრძეთ, ფეიჯინ. ბილ, კარგად ვიცი, რისი თქმა უნდა. ყურადღებას ნუ მომაქცევთ.

ებრაელი ისევ ყოყმანობდა. საიკსი გაოცებული უყურებდა ხან ერთს, ხან - მეორეს.

- ეს გოგონა ხელს რაში გიშლით, ფეიჯინ? - იკითხა ბოლოს საიკსმა, - ეშმაკმა

დალაზვროს, ამდენი ხანია იცნობთ და შეგიძლიათ ენდოთ. ყბედი არ არის, ხომ ასეა, ნენსი?

- მგონი, ასეა! - ნენსიმ სკამი მაგიდისკენ მისწია და იდაყვებით დაეყრდნო.

- ვიცი, ვიცი, ჩემო ძვირფასო, - თქვა ებრაელმა, - მაგრამ... - და ბებერს ისევ ენა დაება.

- მაგრამ რა? - შეეკითხა საიკსი.

- მეგონა, აი, იმ საღამოსავით, განრისხდებოდა, - თქვა ებრაელმა.

ასეთი აღიარება რომ მოისმინა, მის ნენსიმ გადაიხარხარა, ერთი ჭიქა ბრენდი გადაკრა, თავი გადააქნია, რასაც ასეთი წამოძახილები მიაყოლა: „მიდით, ფეიჯინ!“, „ცხვირი არასოდეს ჩამოუშვათ“ და ასე შემდეგ. როგორც ჩანს, ამ ყველაფერმა დამამშვიდებლად იმოქმედა ორივე ჯენტლმენზე, ამიტომ ებრაელმა კმაყოფილებით დაუქნია თავი და ისევ თავის ადგილზე დაბრუნდა; ასევე მოიქცა საიკსიც.

- აბა, ფეიჯინ, - სიცილით თქვა ნენსიმ, - მალე მოუყევით ბილს ოლივერზე!

- ოჰო, რა ჭკუის კოლოფი ხარ, ჩემო ძვირფასო! ასეთ გამჭრიახ გოგოს ჯერ არ შევხვედრივარ! - თქვა ებრაელმა და კისერზე ხელი წაუთათუნა, - მართალია, ოლივერზე მინდოდა მეთქვა. ჰა-ჰა-ჰა!

-- რა? - იკითხა საიკსმა.

- ეს ბიჭი, ჩემო ძვირფასო, თქვენთვის ზედგამოჭრილია, - ხრინწიანი ჩურჩულით თქვა ებრაელმა, რომელსაც ხელი ცხვირთან მიედო და საზიზღრად იღიმებოდა.

- ის ბიჭი! - წამოიძახა საიკსმა.

- აიყვანე, ბილ, - თქვა ნენსიმ, - შენს ადგილას ავიყვანდი. შეიძლება სხვებივით მარჯვე ვერ არის, მაგრამ შენ ხომ მხოლოდ კარის გამღები გჭირდება. დარწმუნებული იყავი, ბილ, მისი ნდობა შეიძლება.

- ეჭვიც არ მეპარება, რომ ასეა, - დაადასტურა ფეიჯინმა, - ბოლო კვირები გვარიანად ვწვრთნიდით და უკვე დროა, პურის ფული იშოვოს. გარდა ამისა, სხვები უკვე მეტისმეტად დიდები არიან.

- ჰო, სიმაღლით სწორედაც შესაფერისია, - ფიქრიანად თქვა მისტერ საიკსმა.

- და რაც საჭიროა, ყველაფერს გააკეთებს, ბილ, ჩემო ძვირფასო, - დაასკვნა

ებრაელმა, - სხვა გამოსავალი არა აქვს. რასაკვირველია, თუ ჯეროვნად დააშინებთ.

- დავაშინო! - მხარი აუბა საიკსმა, - კარგად დაიმახსოვრეთ, ჩინებულად დავაშინებ. თუ ჩვენი მუშაობის დროს გაქცევას დააპირებს, მასზე არც პენის დავდებდი და არც გირვანქა სტერლინგს. მას ცოცხალს ვეღარ ნახავთ, ფეიჯინ.

ამიტომ, ვიდრე გამომიგზავნიდეთ, ამაზე იფიქრეთ... და ჩემი სიტყვები დაიმახსოვრეთ! - თქვა მძარცველმა და საწოლის ქვეშიდან ძალაყინი გამოიღო.

- ამაზე უკვე ვიფიქრე! - მკვირცხლად უპასუხა ებრაელმა, - დიდი, დიდი ხანია

გაფაციცებული ვაკვირდები, ჩემო ძვირფასო. მარტო ის უნდა შევაგნებინოთ, რომ

ჩვენს ამქარს ეკუთვნის, ტვინში ჩავუბეჭდოთ, რომ ქურდი უნდა გახდეს, და მაშინ ჩვენი იქნება! - მოხუცმა ხელები დაიკრიფა, თავი მხრებში ჩარგო და სიხარულისგან აკანკალდა, - ჩვენი!

- თქვენი! - უპასუხა საიკსმა, - გინდოდათ გეთქვათ, თქვენი!

- შეიძლება, ჩემო ძვირფასო, შეიძლება, - თქვა ებრაელმა და გამყივანი ხმით

ჩაიხითხითა, - თუ გინდათ ჩემი იყოს, ბილ!

- კი მაგრამ, - საიკსმა თავის ძვირფას მეგობარს პირქუშად და ავად შეხედა, -

ამდენს რატომ ზრუნავთ ამ გასაცოდავებულ ბავშვზე, როცა მშვენივრად მოგეხსენებათ, რომ მთელ სამეფოში ყოველ საღამოს ორმოცდაათამდე ბიჭი ყოველ საღამოს აღმა-დაღმა დაყიალებს და მათგან ნებისმიერის არჩევა შეგიძლიათ?

- მათგან უმცირესი ხეირიც კი არ არის, ჩემო ძვირფასო, - უპასუხა ოდნავ დამორცხვებულმა ებრაელმა, - მათზე ლაპარაკს აზრიც არა აქვს. ღმერთმა დაიფაროს და ხაფანგში გაებან, ფიზიონომია გასცემთ და ჩემთვის ისინი დაიკარგებიან. ამ ბიჭს კი კარგი წვრთნა სჭირდება, ჩემო ძვირფასებო, მისი გამოყენებით იმაზე ორჯერ მეტს გავაკეთებ, ვიდრე ათეულობით სხვა ბიჭის დახმარებით. გარდა ამისა, - დაამატა ებრაელმა, რომელსაც მორცხვობამ გაუარა, - თუ ახლა მოახერხა გაქცევა, გაგცემს, ამიტომ ჩვენი ბედი უნდა გაიზიაროს. რა მნიშვნელობა აქვს, ეს როგორ მოხდება? ჩემს ხელთაა, ვაიძულე, ქურდობაში მონაწილეობა მიიღოს, სულ ესაა. გარდა ამისა, ეს უკეთესია, ვიდრე საბრალო ბავშვის ქუჩაში გაგდება - ჯერ ერთი, ეს სახიფათოა და მეორეც, მართლაც სამუდამოდ დავკარგავთ.

-- რომელ დღეს გადაწყვიტეთ? - შეეკითხა ნენსი, რომელსაც სურდა ფეიჯინის

ჰუმანურ შენიშვნებზე მისტერ საიკსის სალანძღავი ტირადა თავიდან აეცილებინა.

- ჰო, მართლა, რომელი დღე დაადგინეთ, ბილ?

- ტობის ზეგ ღამეზე შევუთანხმდი, - პირქუშად თქვა საიკსმა, - თუ რამე შეიცვალა, გაგაფრთხილებთ.

- მშვენიერია, მთვარე არ იქნება, - თქვა ებრაელმა.
- არ იქნება, - დაეთანხმა საიკსი.
- ესე იგი, ყველაფერი მომზადებულია ნადავლის ხელში ჩასაგდებად? - იკითხა ებრაელმა.

საიკსმა თავი დაუქნია.

- და იმის თაობაზეც, რომ...
- ყველაფერზე შევთანხმდით, - გააწყვეტინა საიკსმა, - წვრილმანებზე აღარ არის სალაპარაკო. უმჯობესია, ბიჭი ხვალ სადამოს მოიყვანოთ. გამთენიიდან ორ საათში გავალთ. თქვენ კიდევ ენა დაიმოკლეთ და ტიგელი

მზად გქონდეთ, სხვა არაფერი მოგეთხოვებათ.

ხანმოკლე თათბირის შემდეგ, რომელშიც სამივე აქტიურად მონაწილეობდა, გადაწყდა, რომ სადამოს ფეიჯინთან ნენსი მივიდოდა და ოლივერს წამოიყვანდა; ამასთან, ფეიჯინმა ეშმაკურად დასძინა, რომ თუ ოლივერი წინააღმდეგობის გაწევას დააპირებდა, ის, ფეიჯინი, სიამოვნებით გააცილებდა გოგონას, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინ ოლივერი დაიცვა.

საზეიმოდ შეთანხმდნენ აგრეთვე, რომ საბრალო ოლივერი, ჩაფიქრებული ექსპედიციის გამო, მთლიანად მისტერ უილიამ საიკსის მზრუნველობასა და ზედამხედველობაში გადადიოდა და ხსენებული საიკსი ისე მოექცეოდა, როგორც

საჭიროდ ჩათვლიდა, ხოლო ებრაელი პასუხს არ მოსთხოვდა იმ შემთხვევაში, თუ ოლივერი რაიმე უბედურებას გადაეყრებოდა ან მისი დასჯა აუცილებელი გახდებოდა; ეს პუნქტი შემდეგნაირად შეათანხმეს: მისტერ საიკსის შინ დაბრუნების შემდეგ მისი მონაყოლის ყველა მნიშვნელოვანი დეტალი უნდა დაადასტუროს გაქნილმა ტობი კრეკიტმა.

წინასწარი მოლაპარაკების დასრულების შემდეგ მისტერ საიკსი ბრენდს დაეწაფა, სახიფათოდ იქნევდა ძალაყინს და მთელი ხმით, მეტისმეტად არამუსიკალურად ღრიალებდა რომელიდაც სიმღერას, თან შიგადაშიგ ამაზრზენად იგინებოდა. ბოლოს, შთაბეჭდილების მოსახდენად, გადაწყვიტა, თავისი ხელობისთვის საჭირო ხელსაწყო-იარაღები ეჩვენებინა, რომლებიც ყუთში ჰქონდა ჩალაგებული; ის იყო, ყუთიანად ოთახში შევიდა და სახურავს

ახადა, რათა თითოეულის თვისებები და დანიშნულება აეხსნა, მათი კონსტრუქციის თავისებური სილამაზე დაენახებინა, რომ იატაკზე ყუთიანად გაიშლართა და იქვე ჩაეძინა, სადაც დაეცა.

- ღამე მშვიდობისა, ნენსი, - თქვა ებრაელმა და ისევ ყურებად შეიფუთნა.
- ღამე მშვიდობისა.

ებრაელისა და გოგონას მზერა ერთმანეთს შეხვდა, ნენსიმ თამამად გაუსწორა თვალი. მას მოტყუება ფიქრადაც არ გაუვლია და ისეთივე სერიოზულობით ეკიდებოდა საქმეს, როგორც ტობი კრეკიტი.

ებრაელმა ისევ ღამე მშვიდობის უსურვა, მალვით გადახედა ზურგს უკან

გამხლართულ მისტერ საიკსს და ხელის ცეცებით ჩავიდა კიბეზე.

„სულ ერთი და იგივეა! – თავისთვის ბურტყუნებდა შინისკენ მიმავალი ებრაელი, – ამ ქალებს ძალიან ცუდი თვისება აქვთ, რაღაც სისულელეზე დიდი

ხნით მივიწყებული გრძნობა ახსენდებათ, მაგრამ კარგი ის არის, რომ მალევე ავიწყდებათ. ჰა-ჰა! მამაკაცი ბავშვის წინააღმდეგ, ერთი ტომარა ოქროს საფასურად!“

ამ სასიამოვნო ფიქრებში გართულმა მისტერ ფეიჯინმა ტალახსა და ჭუჭყში იარა და თავის პირქუმ ბინას მიაღწია, სადაც მის დაბრუნებას მოუთმენლად ელოდა ცულლუტი.

– ოლივერს სძინავს? უნდა ველაპარაკო, – ეს იყო პირველი სიტყვები, რაც ფეიჯინმა წარმოთქვა, როდესაც ქვემოთ დაეშვნენ.

– რამდენი ხანია, – უპასუხა ცულლუტმა და კარი გააღო, – აი, ისიც!

ბიჭს იატაკზე გაშლილ უხემ ქვეშაგებზე მაგრად ეძინა; მღელვარების, მწუხარების, თავისი საპყრობილის დამდგარი ჰაერისგან ისეთივე ფერი ედო, როგორც მიცვალებულს სასიკვდილო სარეცელზე, რომელმაც ეს წამია, ზეცას მიაბარა თავისი ახალგაზრდა თვინიერი სული, ხოლო მიწიერი სამყაროს პირქუმ

სულს ჯერ ვერ მოუსწრია მისი ხორციელი გარსის შეცვლა.

– ჯერ არა, – თქვა ებრაელმა და ჩუმად მოსცილდა ბიჭს, – ხვალ, ხვალ. თავი 20 ოლივერი მისტერ უილიამ საიკსისგანკარგულებაში გადადის

როდესაც ოლივერმა დილით გაიღვიძა, გაოცებულმა თავის საწოლთან აღმოაჩინა სქელძირიანი ახალი ფეხსაცმელი, ხოლო ძველი წყვილი სადღაც გამქრალიყო. ჯერ გაუხარდა, იმედი ჩაესახა, რომ ეს მის გათავისუფლებას ნიშნავდა, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ მწარედ შეცდა, რადგან საუზმეზე ებრაელმა აცნობა, ამ საღამოს ბილ საიკსის რეზიდენციაში წაგიყვანენო. იმან, თუ როგორ იყო ეს ნათქვამი, ასევე ებრაელის გამომეტყველებამ, ბიჭის მღელვარება გააძლიერა.

– სულ იქ უნდა დავრჩე, სერ? – იკითხა შეშფოთებულმა ოლივერმა.

– არა, არა, ჩემო ძვირფასო, იქ არ დაგტოვებენ, – უპასუხა ებრაელმა, – შენთან განშორება არ გვინდა. ნუ გეშინია, ოლივერ, ისევ ჩვენთან დაბრუნდები! ჰა-ჰა-ჰა!

არც ისეთი სასტიკები ვართ და არ გაგიშვებთ, ჩემო ძვირფასო. ოჰ, არა!

მოხუცი ბუხრისკენ დაიხარა, რადგან პურის ნაჭერს ბრაწავდა, მიიხედა და ოლივერს გაეხუმრა, ჩაიხითხითა და ამით აგრძნობინა, რომ შესანიშნავად იცის, როგორი მოხარული იქნებოდა ოლივერი, აქედან წასვლა რომ შესძლებოდა.

– ჩემო ძვირფასო, – თქვა ებრაელმა და ოლივერს შეხედა, – ალბათ, გინდა იცოდე, რატომ გგზავნი ბილთან?

ოლივერი უნებურად გაწითლდა, რადგან მიხვდა, რომ ებრაელმა მისი

ფიქრები გამოიცნო, მაგრამ თამამად უპასუხა, დიახ, მინდა, ვიცოდეთ.

- შენი აზრით, რისთვის? - პირდაპირ პასუხს თავი აარიდა ფეიჯინმა.

- ნამდვილად არ ვიცი, სერ, - გამოეხმაურა ოლივერი.

- ეჰ, აბა, შენა ხარ! - წამოიძახა ებრაელმა, დაჟინებით დააკვირდა ბიჭვს სახეზე და უკმაყოფილოდ შებრუნდა, - დაიცადე, ბილი თავად აგისნის. ებრაელს თითქოს ეწყინა, რომ ოლივერმა დიდი დაინტერესება არ გამოავლინა, სინამდვილეში კი ამის მიზეზი შემდეგი გახლდათ: მართალია, ოლივერი ძალიან აღელვებული იყო, მაგრამ მას ძალიან თრგუნავდა ფეიჯინის

სერიოზული და ეშმაკური გამოხედვები, საკუთარი აზრებიც, ამიტომ იმ მომენტში

კითხვების დასმა არ შეეძლო. მაგრამ სხვა შემთხვევა აღარ მიეცა, რადგან სალამომდე ებრაელი პირქუშად დუმდა, მერე სახლიდან გასასვლელად მოემზადა.

- შეგიძლია სანთელი აანთო, - უთხრა ებრაელმა და ერთი ცალი მაგიდაზე დადო, - აქ კიდევ წიგნია, წაიკითხე, ვიდრე წასაყვანად შემოგივლიან. ღამე მშვიდობისა!

- ღამე მშვიდობისა, - ძლივს გასაგონად უპასუხა ოლივერმა.

ებრაელი კარისკენ გაემართა, ზურგს უკან გახედა ბიჭს. უეცრად შეჩერდა და სახელი დაუძახა.

ოლივერმა თავი ასწია; ებრაელმა სანთელზე მიუთითა და ანიშნა, აენთო. ბიჭი ასეც მოიქცა; და როდესაც სასანთლე მაგიდაზე დადო, ებრაელი დაინახა, რომელიც ოთახის ბნელი კუთხიდან წარბშეკრული და მოდუშული უყურებდა.

- ფრთხილად, ოლივერ, ფრთხილად! - თქვა მოხუცმა და მარჯვენა ხელით დაემუქრა, - ის ძალიან სასტიკი კაცია, სისხლის დაღვრა არაფრად უღირს, თუ

ძარღვებში სისხლი აუდუღდა! რაც უნდა მოხდეს, ჩუმად იყავი და ყველაფერი

შეასრულე, რასაც გიბრძანებს. დაიმახსოვრე!

ებრაელმა ბოლო სიტყვა განსაკუთრებით ხაზგასმით წარმოთქვა, მერე საზიზღრად ჩაიცინა, თავი დააქნია და ოთახიდან გავიდა.

მოხუცის წასვლის შემდეგ ოლივერმა თავი ხელებში ჩარგო და ფეიჯინის სიტყვებზე ჩაფიქრდა. რაც მეტს ფიქრობდა ებრაელის გაფრთხილებაზე, მით უფრო უძნელდებოდა სიტყვების ნამდვილი არსის გარკვევა.

ბავშვი ვერ მიხვდა, რომელი ბნელი საქმისთვის აპირებდნენ საიკსთან მის გაგზავნას და რატომ არ შეიძლებოდა იმავე მიზნისთვის მისი ფეიჯინთან დატოვება. ბოლოს დაასკვნა, რომ ქურდის დამხმარედ უპირებდნენ გამწესებას ყოველდღიური შავი სამუშაოს შესასრულებლად, ვიდრე ის სხვა შესაფერის ბიჭუნას არ იპოვიდა. ტანჯვას უკვე მიეჩვია, სადაც ამჟამად იმყოფებოდა, იქაც

საკმარისად იტანჯა, ცვლილებაზე წუწუნის თავი კი უკვე აღარ ჰქონდა.

რამდენიმე წუთი თავის ფიქრებში ჩაძირული იჯდა, მერე ამოიოხრა და სანთელს ნამწვი მოაცილა, ებრაელის დატოვებული წიგნი აიღო და კითხვას შეუდგა.

გვერდები გადაფურცლა. თავიდან გონებადაფანტული კითხულობდა, მერე ერთმა ნაწყვეტმა მიიქცია მისი ყურადღება და კითხვამ გაართო. წიგნი ცნობილი

დამნაშავეების ბიოგრაფიებისა და სასამართლო პროცესების აღწერისგან შედგებოდა; მისი გვერდები ქონიანი თითებით იყო დასვრილი. კითხულობდა საზარელი დანაშაულების შესახებ და ძარღვებში სისხლი ეყინებოდა; მიპარვით

ჩადენილი მკვლელობები მიყრუებულ სოფლის გზებზე; ღრმა ორმოებსა და ჭებში გადამალული გვამები, რომლებიც ორმოებისა და ჭების სიღრმის მიუხედავად, წლების შემდეგ ზედაპირზე აღმოჩნდა, და ისეთი საზარელი სანახავი იყვნენ, რომ მკვლელები სულიერი სატანჯველისგან გასათავისუფლებლად სასჯელად თავად ითხოვდნენ ჩამოხრჩობას. წიგნში იმ ადამიანებზეც ეწერა, რომლებიც ღამით თავიანთ საწოლებში იწვნენ და (მათი სიტყვებით) საკუთარი ცოდვიანი ფიქრებით გართულები, შემდეგ ისეთ საზარელ

მკვლელობებს სჩადიოდნენ, რომ მკითხველს შიშით ჟრუანტელი უვლიდა, ხელ-ფეხი უკანკალებდა. აღწერილობა ისეთი რეალისტური და ცოცხალი იყო, გვეგონებოდა, წიგნის ჩაყვითლებულ გვერდებზე სისხლია შემხმარიო, ხოლო სიტყვები ოლივერს ყურში გარდაცვლილთა სულების ჩურჩულად ჩაესმოდა.

თავზარდაცემულმა ბავშვმა წიგნი დახურა და შორს მოისროლა, მერე მუხლებზე დაეცა და ღმერთს სთხოვა, მისთვის თავიდან აერიდებინა ასეთი საზარელი ქმედებების ჩადენა, ამას სჭობდა ახლავე მოეკლა, ვიდრე მისთვის სიცოცხლე შეენარჩუნებინა ამაზრზენი, ერთ გამოუთქმელი დანაშაულების ჩასადენად. ნელ-ნელა დამშვიდდა, ხმადაბლა, წამღერებით ლოცულობდა და ღმერთს მოსალოდნელი ხიფათისგან დაცვას შესთხოვდა, შესთხოვდა, თუ შესაძლებელი იყო, საბრალო, ყველასგან მიტოვებული ბიჭის დახმარებას, რომელსაც არც ოჯახის წევრების, არც მეგობრების სიყვარული არ გამოუცდია;

დახმარებას შესთხოვდა ახლა, როცა მარტო დარჩენილი და ყველასგან მიტოვებული, ცოდვისა და დანაშაულის შუაგულში იმყოფებოდა.

ლოცვა დაასრულა და სახეზე ისევ ხელები ჰქონდა აფარებული, როდესაც რაღაც შრიალი მოესმა და შიშით შეხტა.

- ეს რა არის? - დაიყვირა და სანთელს ხელი წამოავლო, რადგან კართან ვიღაც შენიშნა, - რომელი ხარ?
- მე ვარ, მე, - უპასუხა აკანკალებულმა ხმამ.

ოლივერმა სანთელი თავზემით ასწია და კარისკენ გაიხედა; იქ ნენსი იდგა.

- სანთელი დადე, - თქვა გოგონამ და შებრუნდა, - თვალს მეჭყრის.

ოლივერმა შენიშნა, რომ ნენსი ძალზე გაფითრებულიყო და ალერსიანად შეეკითხა, ავად ხომ არ ხართო. გოგონა სკამზე მისკენ ზურგით დაეშვა და ხელების მტვრევას მოჰყვა, მაგრამ ხმა არ ამოუღია.

- ღმერთო, მაპატიე! - წამოიძახა ნენსიმ ცოტა ხნის შემდეგ, - ამაზე არ მიფიქრია.

- მოხდა რამე? - შეეკითხა ოლივერი, - შემძლია დაგეხმაროთ? ყველაფერს გავაკეთებ, რაც შემძლია. მართალს გეუბნებით, ყველაფერს!

სკამზე მჯდომი გოგონა წინ და უკან ირწეოდა, უცრად ყელზე ხელი იტაცა, ჰაერს პირით ისუნთქავდა და ხროტინებდა.

- ნენსი, - დაიყვირა ოლივერმა, - რა დაგემართათ?

გოგონა ერთხანს მუხლებზე მუშტებს ირტყამდა, მერე ფეხები ააბაკუნა, ბოლოს მიწყნარდა, სიცივისგან აკანკალდა და შალში ჩაიფუტნა.

ოლივერმა ბუხარში ნახშირი გაჩხრიკა. ნენსიმ სკამი ცეცხლისკენ მისწია და ჩუმად იჯდა; ბოლოს თავი ასწია და მიმოიხედა.

- არ მესმის, ხანდახან რა მემართება, - ისე თქვა, თითქოს კაბას ისწორებდა,

- ალბათ, ამ ნესტიანი და ჭუჭყიანი ოთახის ბრალია. აბა, ნოლი, ჩემო ძვირფასო, მზად ხარ?

- თქვენთან ერთად უნდა წამოვიდე? - შეეკითხა ოლივერი.

- ჰო, ბილმა გამომგზავნა, - უპასუხა გოგონამ, - ჩემთან ერთად წამოხვალ?

- რისთვის? - უკან დაიხია ოლივერმა.

- რისთვის? - გაიმეორა გოგონამ, ბიჭს შეხედა, მაგრამ მაშინვე შებრუნდა,

- არა, ცუდი საქმისთვის არა.

- არ მჯერა, - უთხრა ოლივერმა, რომელიც დაჟინებით აცქერდებოდა.

- ჰო, კარგი, ისე იყოს, როგორც შენ იტყვი, - ნაძალადევი სიცილით უპასუხა გოგონამ, - არც ისე კარგი საქმისთვის.

ოლივერი ხედავდა, რომ გოგონაში მისი საუკეთესო თვისებების გაღვიძება შეეძლო და რაკი მშველელი არსად ეგულებოდა, მისი თანაგრძნობის გამოწვევა

სცადა. მაგრამ მაშინვე გაუელვა აზრმა, რომ ახლა მხოლოდ საღამოს თერთმეტი

საათია, ქუჩაში ბევრია გამვლელი; რასაკვირველია, მათ შორის ისეთებიც აღმოჩნდებიან, მის მონაყოლს რომ დაუჯერებენ. ამ დასკვნამდე რომ მივიდა, ნაბიჯი წინ წადგა და სწრაფად უპასუხა, რომ წასასვლელად მზად არის.

მისი ხანმოკლე ჩაფიქრება ნენსიმ შენიშნა. ბავშვს თვალს ადევნებდა, ვიდრე ის ლაპარაკობდა და დაჟინებული მიაჩერდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მის ფიქრებს კარგად მიხვდა.

- სსსს! - მისკენ დაიხარა გოგონა, ფრთხილად მიმოიხედა და კარზე ანიშნა,

- ვერაფერს გახდები. რაც ძალა და ღონე მქონდა, შენს დახმარებას ვცდილობდი,

მაგრამ ყველაფერი ამაო გამოდგა. ხელფეხშეკრული ხარ. შესაძლოა, ოდესმე აქედან გაღწევა მოახერხო, მაგრამ ამჯერად - ვერა.

მისი ენერგიული საუბრით გაოგნებულმა ოლივერმა სახეში შეხედა.
ეტყობოდა, გოგონა სიმართლეს ამბობდა. გაფითრებული და აღელვებული
სახე
ჰქონდა, მთელი სხეულითაც კანკალებდა.

- ერთხელ უკვე გადაგარჩინე ცემას და სხვა დროსაც გადაგარჩენ, ახლაც ამას
ვაკეთებ, - აიმაღლა ხმა და განაგრძო, - ჩემს ნაცვლად სხვა რომ
გამოეგზავნათ,
უფრო უხეშად მოგექცეოდა, ვიდრე მე. დავპირდი, რომ წყნარი და მორჩილი
იქნები. თუ გაჯიუტდები, თავსაც ავნებ და მეც. შეიძლება მომკლან კიდევ.
შეხედე! ღმერთს გეფიცები, რომელიც ამწუთას მხედავს, აი, რა გადავიტანე
შენ
გამო!

სწრაფად აჩვენა ჩალურჯებული ყელი და ხელები, მერე სწრაფად თქვა:

- დაიმახსოვრე! ახლა მაინც ნუ მაიძულებ, შენ გამო კიდევ მეტად
დამტანჯონ.
რომ შემეძლოს, დაგეხმარებოდი, მაგრამ არ შემეძლია. არაფერს გავნებენ.
რის
გაკეთებაც უნდა გაიძულონ, შენი ბრალი არაფერია. ხმა არ ამოიღო! შენს
თითოეულ სიტყვას შეუძლია დამდღუპოს. ხელი მომეცი. ჩქარა! მომეცი
ხელი!

ნენსიმ ოლივერის ინსტინქტურად გაწვდილი ხელი ჩაბლუჯა, სანთელი ჩააქრო
და კიბეზე გაიყვანა. სიბნელეში ვიდაც უხილავმა მათ წინ სწრაფად გააღო
კარი
და სწრაფადვე ჩაკეტა მათი გასვლის შემდეგ. დაქირავებული კაბრიოლეტი
ელოდებოდათ. გოგონამ ისეთივე სისწრაფით, როგორც მანამდე
ლაპარაკობდა,
ოლივერი კეზში ჩასვა, ფარდები მჭიდროდ ჩამოაფარა. მეეტლეს მითითება არ
დასჭირვებია, ცხენს შოლტი გადაუჭირა და მთელი ძალით გააქროლა.

ნენსი ისევ ოლივერის ხელს ჩასჭიდებოდა, ისევ ჩურჩულით აფრთხილებდა
და არწმუნებდა. ეს ყველაფერი ოლივერმა მისგან უკვე მოისმინა. ყველაფერი
ისე სწრაფად და მოულოდნელად მოხდა, რომ ვერც კი გაიაზრა, სად და
რატომ
მოხვდა - კაბრიოლეტი უკვე იმ სახლის წინ იდგა, რომელსაც წინა სადამოს
ებრაელი სტუმრობდა.

სულ ერთ წუთს, ცარიელ ქუჩას რომ თვალი მოავლო, ოლივერმა დააპირა,
მშველელისთვის დაეძახა, მაგრამ ყურში ჩაესმა გოგონას ხმა, რომელიც ისეთი
სევდით სთხოვდა მასზე ეფიქრა, რომ სითამამე არ ეყო, დაეყვირა. ვიდრე
მერყეობდა, ეს ხელსაყრელი შემთხვევაც ხელიდან გაუშვა: სახლში შეიყვანეს
და კარი დაიხურა.

- აქეთ! - უთხრა ნენსიმ და მხოლოდ ახლა გაუშვა ხელი, - ბილ!

- ჰო! - გამოეხმაურა საიკსი, რომელიც კიბის ბაქანზე სანთლით ხელში
გამოჩნდა, - აი, თურმე რა! მობრძანდით!

ისეთი პირქუში პიროვნებისგან, როგორც მისტერ საიკსი ბრძანდებოდა,
ასეთი სიტყვების მოსმენა უჩვეულოდ გულითად მიღებას გამოხატავდა. ამით

კმაყოფილი ნენსი თბილად მიესალმა.

- ხარისთვალა სახლში წავიდა ტომისთან ერთად, - თქვა საიკსმა, რომელიც კიბეს ანათებდა, - აქ მაინც ხელს შეგვიშლიდა.

- მართალია, - თქვა ნენსიმ.

- ესე იგი, ბიჭი მოიყვანე, - თქვა საიკსმა, როდესაც სამივენი ოთახში შევიდნენ და კარი ჩაკეტა.

- ჰო, აქ არის, - უპასუხა ნენსიმ.

- წყნარად იყო? - დაინტერესდა საიკსი.

- კრავივით, - იყო ნენსის პასუხი.

- მიხარია, ეს რომ მესმის, - თქვა საიკსმა და პირქუშად შეხედა ოლივერს,

-

მიხარია, იმიტომ, რომ მისთვისვე იქნებოდა ცუდი. აქეთ მოზრძანდით, ყმაწვილო, და ჩემი დარიგება მოისმინეთ, უმჯობესია, ახლავე გავარკვიოთ ყველაფერი.

ამ სიტყვებით მიმართა თავის ახალ შეგირდს მისტერ საიკსმა, ოლივერს ქუდი მოხადა და ოთახის კუთხეში მოისროლა, მერე მხარზე ხელი წაავლო, ჩამოჯდა და ბიჭი წინ დაიყენა.

- კარგი. აბა, ეს თუ იცი, რა არის? - ჰკითხა საიკსმა და მაგიდიდან ჯიბის პისტოლეტი აიღო.

ოლივერმა დადებითი პასუხი გასცა.

- ახლა აქეთ მოიხედე, - განაგრძო საიკსმა, - ეს თოფისწამალია, ეს ტყვია, ეს

კიდევ თბილამურებით სრიალისთვის განკუთვნილი ძველი ქუდი.

ოლივერმა წაიჩურჩულა, რომ დასახელებული ნივთების დანიშნულება იცოდა, მისტერ საიკსი კი პისტოლეტის დატენას შეუდგა.

- ახლა დატენილია, - თქვა მისტერ საიკსმა, როდესაც ეს საქმე დაასრულა.

- ვხედავ, სერ, - უპასუხა ოლივერმა.

- მისმინე, - განაგრძობდა მძარცველი, რომელმაც ოლივერს ხელი მაგრად ჩასჭიდა და საფეთქელზე ლულა მიაბჯინა, რისგანაც ბიჭი უნებურად შეხტა,

-

თუნდაც ერთი სიტყვა რომ თქვა სახლიდან გასვლის შემდეგ, თუ, რა თქმა უნდა,

მე არ შეგეკითხე რაღაც, ამის ტყვია მაშინვე შენს თავის ქალაში აღმოჩნდება. ამიტომ, ვიდრე უნებართვოდ რაიმეს იტყოდე, ჯერ ილოცე.

მეტი ეფექტისთვის მისტერ საიკსმა ამ გაფრთხილებას მრისხანე მზერაც დაურთო, მერე განაგრძო:

- როგორც ვიცი, შენი ბედი არავის ადარდებს და არც ის, თუ ვინმე ჩაგამადლებს. შენთვის სიკეთე რომ არ მინდოდეს, თავს ასე არ გავიწვალეზღი

ყველაფრის ასახსნელად. გასაგებია?

- მოკლედ, - გადაჭრით ჩაერია ნენსი, რომელმაც პირქუშად შეხედა ოლივერს, რომ მისი ყურადღება მიექცია, - თუ ოლივერი გაგაბრაზებს, როდესაც შენს საქმეზე მიდიხარ, თავს გაუხვრეტ, რომ ბევრი არ იტლიკინოს და შენ სახრჩობელაზე არ აღმოჩნდე, შენ ხომ ისეთი ხელობა გაქვს, ამ რისკზე ყოველგვარი სისულელის გამო ყოველთვის ურად მიდიხარ.

- ასეა! - დაეთანხმა მისტერ საიკსი, - თუ არ ბრაზობენ, ქალებს ყველაფრის ორი სიტყვით ახსნა შეუძლიათ, მერე უკვე ენას ადარ აჩერებენ. ახლა უკვე ყველაფრისთვის მზადაა. მოდი, ვივახშმოთ, მერე კი წასვლის წინ წავუძინოთ.

მისი მოთხოვნით ნენსიმ სწრაფად გააწყო სუფრა; რამდენიმე წუთით გაქრა, შემდეგ ლუდის ტოლჩითა და სატენიანი ცხვრის თავით გამოჩნდა. ამის გამო მისტერ საიკსმა რამდენჯერმე გაიხუმრა იმის თაობაზე, რომ კერძა და კარის გასაღებად სახმარ ქურდების მოკლე ძალაყინს ერთი სახელი აქვთ - „ჯემი“. შესაძლოა, მოსალოდნელი საქმით აღფრთოვანებული ეს ღირსეული ჯენტლმენი ძალიან მხიარულ და შესანიშნავ ხასიათზე გახლდათ; ამის დასტურია ის, რომ დიდი სიამოვნებით შესვა თავისი ლუდი და ვახშამზე დაახლოებით ოთხმოცჯერ შეიგინა.

ოლივერს ჭამა სრულებით არ სურდა და ეს ძნელი მისახვედრი არ არის. ნავახშმევს მისტერ საიკსმა ორი ჭიქა წყლიანი ჯინი დაცალა, საწოლზე დაეგდო და ნენსის უბრძანა, ხუთ საათზე გაეღვიძებინა, თან, წინასწარ გამოლანძღა, თუ ასე არ მოიქცეოდა. იმავე ავტორიტეტული პირის მოთხოვნით, ოლივერი იატაკზე გაშლილ ლეიბზე ტანსაცმლიანად მიწვა; გოგონამ ბუხარში ცეცხლს შეუკეთა და იქვე ჩამოჯდა, რომ დათქმულ დროს, გამთენიისას, ორივე გაეღვიძებინა.

ოლივერს არ ეძინა, იმედი ჰქონდა, ნენსი ამ შემთხვევით ისარგებლებდა და ჩურჩულით კიდევ რაიმე რჩევას მისცემდა, მაგრამ უსიამოვნო ფიქრებში წასული გოგონა ბუხართან გაუნძრევლად იჯდა, მხოლოდ ხანდახან სანთელს ნამწვს აცილებდა. ფხიზლობითა და მღელვარებით ძალაგამოცლილ ოლივერს ბოლოს ჩაეძინა. როდესაც გაეღვიძა, სუფრა საუზმისთვის უკვე გაშლილი იყო, საიკსი საზურგეზე გადაკიდებული პალტოს ჯიბეებში რაღაც ნივთებს ალაგებდა. ნენსი საუზმეს ამზადებდა. ჯერ ისევ ბნელოდა, ამიტომ სანთელი ენთო. გარდა ამისა, წვიმის შხეფები ფანჯრების მინებს ეხლებოდა. მოღრუბლული ცა ჩაშავებულიყო.

- აბა! - წაიბუზღუნა საიკსმა, როდესაც ოლივერი ფეხზე წამოხტა, - ექვსის ნახევარია! გაინძერი, თორემ მშვიერი დარჩები, უკვე ვაგვიანებთ.

ოლივერს სულ ცოტა დრო დასჭირდა თავის მოსაწესრიგებლად, სწრაფად ისაუზმა და საიკსის ბრაზიან შეკითხვაზე უპასუხა, რომ წასასვლელად მზად არის.

ნენსი ცდილობდა, ბიჭისთვის თვალეზში არ შეეხედა, ყელსახვევი გადაუგდო, საიკსმა კი უხეში ქსოვილისგან შეკერილი მოზრდილი საწვიმრის ჩაცმა და ყველა ღილზე შეკვრა უბრძანა. ჩაცმულმა ოლივერმა ხელი გაუშვირა მძარცველს, რომელმაც პალტოს ჯიბეში პისტოლეტი დაანახვა, ხელი ჩასჭიდა, ნენსის გამოემშვიდობა და წაიყვანა.

კართან რომ მივიდნენ, ოლივერმა მიიხედა, იმედი ჰქონდა, გოგონას მზერას წააწყდებოდა, მაგრამ ის ისევ გაუნძრევლად იჯდა ბუხართან. თავი 21 ექსპედიცია

ქუჩაში როდესაც გავიდნენ, უღიმღამო დილა იყო; ქარი ქროდა და წვიმდა; ცაზე საავდრო ღრუბლები გაწოლილიყო. ეტყობოდა, მთელი დამე ეწვიდა: ქვაფენილზე დიდი გუბეები იდგა და წყალჩასადენი მილებიდან წყალი თხრილით იღვრებოდა. ახალი დღის დაწყებას ოდნავ მბჟუტავი სინათლე მოწმობდა: ამ ბაც სინათლეზე ქუჩის სანათები დაიბინდა და სველ სახურავებსა და ბნელ ქუჩებს სრულებითაც არ ჰვენდა თბილ და კაშკაშა ფერებს. გეგონებოდა, ქალაქის ამ ნაწილში ჯერ ყველას ეძინა: ყველა სახლის ფანჯარა დარაბებით იყო დახურული, ხოლო ქუჩებში, რომლებითაც მიდიოდნენ, სიჩუმე იდგა და არავინ ჭაჭანებდა.

ბეტნელ-გრინ-როუდზე რომ შეუხვიეს, უკვე გათენდა. სანათების უმეტესობა ჩააქრეს. ლონდონისკენ ტაატიტ მიემართებოდნენ გლეხების ოთხთვალეები; ხანდახან ტალახში ამოგანგლული საფოსტო კარეტა ჩაიხრიგინებდა, რომლის მეეტლე მის წინ ზოზინით მიმავალს შოლტით უმასპინძლდებოდა, რომ საფოსტო

განყოფილებაში წუთის მეოთხედითაც კი არ დაეგვიანა. ლუდხანები გაიხსნა და

მათ შიგნით გაზის სანათურები ანათებდა. თანდათან იღებოდა სავაჭრო ფარდულებიც და იშვიათად, მაგრამ მაინც ხვდებოდნენ გამვლელებს. მერე სამუშაოზე ჯგუფებად მიმავალი ხელოსნები გამოჩნდნენ. მათ მიჰყვნენ ქალები და მამაკაცები თავზე შემოდგმული თევზით სავსე კალათებითურთ; ვირებშებმული ოთხთვალეებით მიჰქონდათ ბოსტნეული, საქონლის ხორცი, ან ცხოველები გადაჰყავდათ; გამოჩნდნენ მერძევე ქალები თავიანთი ვედროებით

ადამიანების ეს დაუსრულებელი ნაკადი ქალაქის აღმოსავლეთ გარეუბნებისკენ ეზიდებოდა სურსათ-სანოვაგეს. რაც უფრო უახლოვდებოდნენ სიტის, მით უფრო

მატულობდა ეკიპაჟების ხმაური; შორდიჩსა

და სმიტფილდს შორის მდებარე ქუჩებზე რომ გავიდნენ, ხმაური გუგუნად გადაიქცა და ალიაქოთმა იმატა. უკვე დღე იყო – ამაზე მეტად აღარ განათდებოდა – და ლონდონის მოსახლეობის ნახევრისთვის ახალი სამუშაო დღე დაიწყო.

სან-სტრიტსა და კრაუნ-სტრიტს ჩაუარეს, გაიარეს ფინსბერი-სკვერი და მისტერ საიკსი ჩიზუელ-სტრიტით ბარბაკანში შევიდა, მერე ლონგ-ლეინზე,

შემდეგ სმითფილდში, საიდანაც ისეთი გამაყრუებელი საოცარი ხმები
ისმოდა,
რომ ოლივერი გაოგნდა.

ბაზრობის დღე იყო. ტალახი ლამის კოჭებამდე იდგა; ხარებისა და ძროხების
ნაკელის ბორცვებს თბილი ორთქლი ასდიოდა, რომელიც ნისლს
უერთდებოდა

და თითქოს საკვამურებზე დასასვენებლად გაწოლილ ღრუბლებთან ერთად
ერთიან უზარმაზარ ღრუბლად დასწოლოდა ქალაქს. დიდი მოედნის ცენტრში
საქონლის ყველა ბაკი, ასევე დროებითი სადგომები, რაც კი დაეტია
თავისუფალ

ადგილზე, სავსე იყო ცხვრებით; წყალსადინარ მილებთან ბომბებზე სამ-ოთხ
რიგად მიებათ ხარები და სხვა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. გლეხები,
ყასბები, საქონლის გადამყვანები, ხორცის დამტარებლები, ბიჭები, ქურდები,
უსაქმურები და ყველა ჯურის მათხოვარი ბრბოს შერეოდა; მესაქონლეების
სტვენა, ძაღლების ყეფა, ხარების ზმუილი, ბატკნების კიკინი, ღორების
ყჭყვიტინი

და ღრუტუნნი, ხორცის დამტარებლების ღრიალი, ყველა მხრიდან წყევლა და
კრულვა; ეჭვნების წკარუნი, ლუდხანებიდან გამომავალი ხმები,
მუჯღუგუნების

კვრა, ჭყლეტა, ჩხუბი, ღრიალი, გულისწამლები ბღავილი ბაზრის ყოველი
კუთხიდან მოისმოდა; აქეთ-იქით დარბოდნენ დაუბანელი, გაუპარსავი,
საბრალო და ტურტლიანი ადამიანები და ეს ყველაფერი ერთობლივად
გამაოგნებელ და განსაცვიფრებელ შთაბეჭდილებას ახდენდა.

მისტერ საიკსი ოლივერს მიათრევდა და გზას მუჯღუგუნებით მიიკვლევდა.
თითქმის არ აქცევდა ყურადღებას იმ ხმაურსა და სანახაობას, რაც ასე
აკვირვებდა ბიჭს. საიკსი ორჯერ თუ სამჯერ თავის დაქნევით მიესალმა
მეგობრებს, რომლებიც დილით ერთი ჭიქის გადასაკვრელად ეპატიჟებოდნენ,
ჯიუტად მიიწევდა წინ, ვიდრე ბრბოდან არ გააღწიეს და ჰეუზერ-ლეინით
ჰოლბორნისკენ
არ გაემართნენ.

- აბა, ბიჭო! - თქვა საიკსმა მას შემდეგ, რაც სენტ-ენდრიუს ეკლესიის
საათს შეავლო თვალი, - მალე შვიდი გახდება! გადმოადგი ფეხი. მიდი, ნუ
დაჩოჩავ, გაინძერი, ზარმაცო!

ამ სიტყვების წარმოთქმასთან ერთად მისტერ საიკსმა პატარა თანამგზავრის
ხელი მოქაჩა; ოლივერი მთელი ძალით ცდილობდა, მძარცველისთვის ფეხი
აეწყო და მოკლე ნაბიჯებით მირბოდა - ეს იყო რაღაც საშუალო სწრაფად
სიარულსა და სირბილს შორის.

ნაბიჯი მხოლოდ ჰაიდ-პარკის კუთხის ჩავლისა და კენსინგტონზე
შეხვევის შემდეგ შეანელეს. აქ გზად ცარიელი ოთხთვალა წამოეწიათ,
რომელიც

ერთხანს მათ უკან მიდიოდა. საიკსმა მასზე წარწერა „ჰაუნსლოუ“ დაინახა
და

რამდენადაც შეეძლო, ზრდილობიანად ჰკითხა პატრონს, აილუორტამდე თუ
ჩაიყვანდა მათ.

- დასხედით, - უპასუხა მან, - თქვენი ბიჭია?

- ჰო, ჩემია, - უპასუხა საიკსმა, დაჟინებით მიაცქერდა ოლივერს და ხელი

ვითომ შემთხვევით იმ ჯიბეში ჩაიყო, რომელშიც პისტოლეტი ედო.

- მამაშენი შენთვის მეტისმეტად სწრაფად დადის! ხომ მართაღს ვამბობ, ბიჭუნა? - შეეკითხა ოთხთვალას პატრონი აქომინებულ ოლივერს.

- სულაც არა, - ჩაერთა საიკსი, - შეჩვეულია. ხელი არ გამიშვა, ნედ. მიდი, აძვერი!

საიკსი ამ სიტყვებით ოლივერს მიუბრუნდა, ოთხთვალაში ასვლაში მიეხმარა, ხოლო ოთხთვალას პატრონმა მათ ანიშნა, რომ შეეძლოთ, ტომრებზე მიწოლილიყვნენ და დაესვენათ.

ოლივერი გზის პირზე მიღების მაჩვენებელ სვეტებს აკვირდებოდა და სულ უფრო უკვირდა, საით მიჰყავდა თანამგზავრს. გაიარეს კენსინგტონი, ჰამერსმიტი, ჩიზუიკი, კიუ-ბრიჯი, ბრენტფორდი და ისევ წინ მიიწევდნენ ისეთი

სიჯიუტით, თითქოს ეს-ეს არის, გზას დაადგნენ. ბოლოს ლუდხანას მიაღწიეს, სახელწოდებით „კარეტა და ცხენები“; იქვე, სულ ახლოს, მეორე გზა იწყებოდა. ოთხთვალა შეჩერდა.

საიკსი ჩავიდა, ოლივერისთვის ხელი არ გაუშვია; აიყვანა და მიწაზე დასვა, ბოროტად შეხედა და მრავალმნიშვნელოვნად დაიტყაპუნა ხელი ჯიბეზე.

- ნახვამდის, ბიჭუნა, - თქვა ოთხთვალას პატრონმა.

- გუნებაზე არ არის, - უპასუხა საიკსმა და ოლივერი შეანჯღრია, - ბრაზობს!

ძალის ლეკვი! ყურადღებას ნუ მიაქცევთ!

- ეგ არაფერია, - წამოიძახა ოთხთვალას პატრონმა და თავისი ადგილი დაიკავა, - ასეა თუ ისე, კარგი დღეა, - და გზას გაუდგა.

საიკსმა დაიცადა, ვიდრე ის საკმაო მანძილით დასცილდებოდა მათ, მერე ოლივერს უთხრა, შეგიძლია, სიარულში მიდამო დაათვალიერო და ისევ განაგრძეს გზა.

ლუდხანას რომ ჩაუარეს, მარცხნივ შეუხვიეს, მერე - მარჯვნივ. დიდხანს იარეს: ჩაუარეს დიდ ბაღებსა და მდიდართა სახლებს გზის ორივე მხარეს, მხოლოდ ლუდის დასალევად ჩერდებოდნენ. ბოლოს ქალაქამდე მიაღწიეს და ოლივერმა ერთ-ერთი სახლის კედელზე დიდი ასოებით წარწერილი „„ჰემპტონი“

დაინახა. ქალაქის მიდამოებში, მინდვრებში, რამდენიმე საათი იბოდიალეს. ბოლოს ქალაქში დაბრუნდნენ, ძველ, წარწერაწამლილ დუქანში შევიდნენ და სადილი შეუკვეთეს ბუხართან, სამზარეულოში.

სამზარეულო დაფხავებული, დაბალყერიანი ოთახი იყო; ჭერში სქელი ძელი გაედოთ, ხოლო ბუხრის წინ, მაღალზურგიან სკამებზე, სამუშაო ხალათებში გამოწყობილი ტლანქი მამაკაცები ისხდნენ. მათ ყურადღება არ მიუქცევიათ ოლივერისთვის, კიდევ უფრო ნაკლებად დაინტერესდნენ საიკსით. ეს უკანასკნელი თავის პატარა კომპანიონთან ერთად კუთხეში იჯდა და მათი ოთახში ყოფნა სრულებით არ აწუხებდა.

სადილზე ცივი ხორცი მიირთვეს, ხოლო ჭამის დასრულების შემდეგ კიდევ დიდხანს ისხდნენ, ვიდრე მისტერ საიკსმა სამჯერ თუ ოთხჯერ არ მოსწია ჩიბუხი. მთელი დღის სიარულით, ასევე დილით ადრე ადგომით ძალაგამოცლილ ოლივერს ეყვინთებოდა; დალილსა და თამბაქოს სუნით გაბრუებულს ჩაქეძინა.

უკვე ბნელოდა, როდესაც საიკსის მუჯლუგუნმა გამოაღვიძა. როდესაც საკმარისად გამოფხიზლდა და წამოჯდა, მიიხედ-მოიხედა და დაინახა, რომ ეს ღირსეული ჯენტლმენი მეგობრულად ესაუბრებოდა პინტი ლუდის თანხლებით რომელიდაც მუშას.

- ესე იგი, ქვემო ჰალიფორდში მიდიხართ? - იკითხა საიკსმა.

- ჰო, - დაუდასტურა ყმაწვილმა, რომელიც დალევის შემდეგ თავს ბევრად ცუდად, ან, შესაძლოა პირიქით, კარგად გრძნობდა, - მალე წავალ. ჩემს ცხენს დილანდელივით ტვირთი არა აქვს საზიდი და უფრო სწრაფად ივლის. მისი სადღეგრძელო იყოს. გაუმარჯოს! მშვენიერი ცხენი მყავს!

- მე და ჩემს ბიჭს თან ხომ ვერ წაგვიყვანდით? - შეეკითხა საიკსი და თავის ახალი მეგობრისკენ ლუდის ახალი კათხა მისწია.

- თუ ახლავე შეგიძლიათ წამოსვლა, რატომაც არა, წაგიყვანთ, - უპასუხა ყმაწვილმა და კათხის მეორე მხრიდან გამოხედა, - ჰალიფორდში მიდიხართ?

- შეპერტონში, - თქვა საიკსმა.

- წაგიყვანთ... - გაიმეორა ყმაწვილმა, - ბეკი, ყველაფერი გადახდილია?

- ჰო. აი, ამ ჭკენტლმენმა გადაიხადა, - თქვა გოგონამ.

-- რას ამბობ! - წამოიძახა ყმაწვილმა მთვრალის ყოყლოჩინობით, - ასე არ გამოვა!

- რატომ? - შეეკითხა საიკსი, - თქვენ გვეხმარებით და მე კი ერთი-ორი პინტით გაგიმასპინძლით.

უცნობი ამ არგუმენტს ჩაუფიქრდა, მერე საიკსს ხელი სტაცა და მხურვალედ განუცხადა, კარგი ჯეელი ხარო. საიკსმა უპასუხა, ალბათ, ხუმრობთო; და მართლაც, ყმაწვილი ფხიზელი რომ ყოფილიყო, სერიოზული საფუძველი ექნებოდა ასეთი ვარაუდისთვის.

ქათინაურების გაცვლის შემდეგ დარჩენილებს ღამის მშვიდობიანად გატარება უსურვეს და სამივენი გარეთ გავიდნენ; გოგონამ ტოლჩები და ჭიქები აალაგა, მერე კართან დადგა და წამსვლელებს გაჰყურებდა.

ცხენი, რომლის სადღეგრძელო მის გარეშე დალიეს, დუქნის წინ ოთხთვალაში შებმული იდგა. ოლივერი და საიკსი უბოდიშოდ მოკალათდნენ; ყმაწვილი კი რამდენიმე წუთს შეყოვნდა, რომ ცხენი გაემხნევებინა და

მეჯინიბესთვის, ასევე ყველასთვის, ეცნობებინა, რომ მის ცხენს მსოფლიოში ბადალი არა ჰყავს. მერე მეჯინიბეს ცხენის აშვება უბრძანა და როდესაც მან ბრძანება შეასრულა, ცხენი მეტისმეტად სულელურად მოიქცა: ზიზღიანად გადააქნია თავი და ქუჩის მოპირდაპირე მხარეს რომელიღაც სახლის ფანჯარაში შეყო თავი; ამ საგმირო საქმეების ჩამდენი შემდეგ ყალყზე შედგა, მერე კი დაოთხილი გაიქცა ქალაქიდან.

ბნელი დამე იყო. მდინარიდან და ახლომდებარე ჭაობებიდან წამოსული ნესტიანი ნისლი მინდვრების თავზე გაწოლილიყო. სიცივე ძვალსა და რბილში ატანდა. ყველაფერი პირქუში და შავი ჩანდა. ხმას არავინ იღებდა: ყმაწვილს ეყვინთებოდა, საიკს კი მასთან საუბრის გაბმა არ სურდა. მოზუზული ოლივერი ოთხთვალს კუთხეში მიიკუნტა, დაშინებულს უსიამოვნო წინათგრძნობა მოსვენებას არ აძლევდა: უცნაური არსებები ეჩვენებოდა ხეების შავი სილუეტების ნაცვლად, რომელთა ტოტები პირქუშად ირხეოდა, თითქოს უდიმდამო პეიზაჟით მოხიბლულანო.

როდესაც სანბერის ეკლესიას ჩაუარეს, შვიდი საათი ჩამოჰკრა. გზის მოპირდაპირე მხარეს მეზორნის სახლის ერთი განათებული ფანჯარა გზასა და საფლავებს შორის ამოსულ ურთხელს ანათებდა და ისე ჩანდა, თითქოს ხის ტოტები კიდევ უფრო მეტ სიბნელეში ჩაფლულიყო. სადღაც ახლოდან წყლის ხმაური მოისმოდა, ხოლო ბებერი ხის ტოტები ქარში ჩუმად შრიალებდა. ეს წყნარ მუსიკას ჰგავდა, რომელიც მიცვალებულთ სიმშვიდეს ჰგვრიდა.

სანბერი უკან დარჩა და ისევ უკაცრიელ გზაზე გავიდნენ. ორი თუ სამი მილის გავლის შემდეგ ოთხთვალა გაჩერდა. საიკსი ჩახტა, ოლივერს ხელი ჩაჰკიდა და ისევ გაუდგნენ გზას.

შეპერტონში არც ერთ სახლში არ შესულან, დაქანცულ ბიყს კი ამის იმედი ჰქონდა. ტალახსა და სიბნელეში მიაბიჯებდნენ სოფლის მოსაწყენი გზებით, ცივ და მოშიშვლებულ მინდვრებში მიდიოდნენ, სადაც ქარი ქროდა. ბოლოს მოშორებით ქალაქის სინათლეები გამოჩნდა. კარგად რომ დააკვირდა, ოლივერმა ფეხებთან წყალი დაინახა და მიხვდა, ხიდს უახლოვდებოდნენ.

საიკსი სულ პირდაპირ, ხიდისკენ მიდიოდა, მერე უეცრად მარცხნივ, ნაპირისკენ გაუხვია.

„წყალი! – შიშით გაიფიქრა ოლივერმა, – ამ უკაცრიელ ადგილას მოსაკლავად მომიყვანა!“

უნდოდა, მიწაზე დაცემულიყო თავისი ნორჩი სიცოცხლის გადასარჩენად, მაგრამ უეცრად დაინახა, რომ რომელიღაც სანახევროდ დანგრეულ, მიტოვებულ

სახლს უახლოვდებოდნენ. დაფხავებული პარმადის ორივე მხარეს თითო ფანჯარა მოჩანდა; ზემოთ – კიდევ ერთი სართული, მაგრამ სინათლე არსად ჩანდა. შეხედვისთანავე მიხვდებოდით, რომ სიბნელეში ჩაძირული, დანგრეული

სახლი ბინადრების გარეშე დარჩენილიყო.

საიკსს ოლივერისთვის ხელი არ გაუშვია, ჩუმად მიუახლოვდა დაბალ პარმალს და რაზა ასწია. კარს მიაწვა და ისინი შიგნით შევიდნენ. თავი 22 ბინის გაქურდვა

- ეი! - როდესაც დერეფანში შევიდნენ ვილაცის ხმამაღალი, ხრინწიანი დამახილი მოისმა.

- რა გაყვირებს, - შეეხმიანა საიკსი და კარი ჩაკეტა, - ტობი, მოგვინათე.

- ოჰო, ჩემი ძმაბიჭი ყოფილა, - დაიყვირა იმავე ხმამ, - სინათლე, ბარნი, სინათლე! ჯენტლმენს გზა უჩვენე, ბარნი; უპირველესად კი გაღვიძებას ხომ არ ინებებდით?

იმან, ვისი ხმაც ისმოდა, როგორც ჩანს, ფეხსაცმლის მაშველი ან რაღაც ამგვარი ესროლა იმას, ვისაც მიმართავდა, რადგან მოისმა, გრუხუნით როგორ გაგორდა რაღაც ხის ნივთი, მერე ძილ-ბურანში მყოფი ადამიანის ბურტყუნი გაიგონეს.

- გესმის თუ არა? - განაგრძო იმავე ხმამ, - დერეფანში ბილ საიკსია და არავინ ხვდება, შენ კიდევ ისე ხვრინავ, თითქოს სადილზე ოპიუმში მიირთვი. გამოფხიზლდი, თუ ეს რკინის შანდალი გესროლო, რომ აზრზე მოხვიდე?

ამ კითხვის დასმის შემდეგ უფარდაგო იატაკზე ძველი ფეხსაცმლის ფრატუნით მოისმა, მერე მარჯვენა კარიდან ჯერ მკრთალად გამოჩნდა მანათობელი სანთელი, მერე იმ სუბიექტის ფიგურა, ვისაც ის ეჭირა - ეს იყო საზიზღარი მსახური ბარნი საფრონ-ჰილის დუქნიდან.

- მისტერ საიკს! - დაიყვირა ბარნიმ გულწრფელი ან მოჩვენებითი სიხარულით, - მობრძანდით, სერ, მობრძანდით!

- მიდი, ჯერ შენ შედი! - საიკსმა ოლივერს ხელი ჰკრა, - სწრაფად! თორემ ლამის ქუსლებზე ფეხი დაგაბიჯო.

ზოზინისთვის გამოლანძვის შემდეგ საიკსმა ოლივერს მუჯლუგუნით ჰკრა და ორივენი დაბალყჭერთან ბნელ ოთახში აღმოჩნდნენ, სადაც გაჭვარტლული ბუხარი, ორი-სამი დამტვრეული სკამი, მაგიდა და ძალიან ძველი დივანი მოჩანდა. დივანზე მთელ სიგრძეზე გაწოლილი მამაკაცი თიხის გრძელ ჩიბუხს ეწეოდა. ფეხები მაღლა აეშვირა. ეცვა მოდური თარგის თამბაქოსფერი სერთუკი თითბრის დიდი ღილებით, თვალში საცემად ჭრელი, უხეში ქსოვილის ჟილეტი და რუხი ბრიჯი, ყელზე კი ფორთოხლისფერი ყელსახვევი შემოეხვია. მისტერ

კრეკიტი (სწორედ ის გახლდათ ეს მამაკაცი) თმის საფარვლის სიუხვით არც თავზე და არც სახეზე არ გამოირჩეოდა, და ისიც, რაც ჰქონდა, მოწითალო გახლდათ, ბოთლის სახრახნისივით კულულეზად დახვეული. დროდადრო ამ კულულეზში თავის ჭუჭყიან, იაფფასიანი ბეჭდებით დახუნძლულ თითებს შეასრიალებდა ხოლმე. საშუალოზე მაღალს, ჩანს, სუსტი ფეხები ჰქონდა, მაგრამ ეს გარემოება სრულებით არ უშლიდა ხელს, ზემოთ აშვერილი

მაღალყელიანი ჩექმებით მოხიბლულიყო, რომლებსაც დაუფარავი კმაყოფილებით უმზერდა.

- ბილ, მეგობარო! - თქვა ამ სუბიექტმა და თავი კარისკენ მიაბრუნა, - მიხარია

შენი ნახვა. უკვე მეშინოდა, რომ გადაიფიქრე საქმეზე წამოსვლა და მაშინ მარტოს მომიწევდა გარისკვა. ოჰო!

ეს წამოძახილი იმ გაკვირვებას გამოხატავდა, რომელიც ოლივერის დანახვას მოჰყვა, მისტერ კრეკიტი წამოჯდა და მაშინვე მოისურვა გაეგო, ეს რას ნიშნავდა.

- ბიჭია. ჩვეულებრივი ბიჭი! - თქვა საიკსმა და სკამი ბუხრისკენ მისწია.

- ფეიჯინის ერთ-ერთი შეგირდი, - ჩაიცინა ბარნიმ.

- აჰ, ფეიჯინის! - წამოიძახა ტობიმ და ოლივერი შეათვალიერა, - იშვიათი ბიჭია, ასეთი ეკლესიაში ყველა მოხუც ლედის ამოუსუფთავებს ჯიბეებს! ეს ჩუმჩუმელა ფეიჯინს დიდ ქონებას დააგროვებინებს!

- კარგი, კარგი, გეყოფა, - შეაწყვეტინა საიკსმა, მეგობრისკენ დაიხარა და ყურში რაღაც უჩურჩულა, რის შემდეგაც მისტერ კრეკიტი თავშეუკავებლად ახარხარდა და ოლივერს დაჟინებითა და გაოცებით მიაჩერდა.

- ახლა კი, - თავის ადგილზე დაჯდა საიკსი, - ვიდრე ველოდებით, რამე გვაჭამეთ და დაგვალევინეთ, რომ გაგვამხნევოს; ყოველ შემთხვევაში, მე მაინც.

მოდო, პატარა, ცეცხლთან ახლოს დაჯექი და დაისვენე - ღამით კიდევ უნდა იარო, თუმცა, აქვე ახლოსაა მისასვლელი.

ოლივერმა საიკსს ხმის ამოუღებლად, მორცხვად შეხედა და ცეცხლისკენ მიიწია, ჩამოჯდა და თავი ხელებში ჩარგო - თავი სტკიოდა, კარგად ვერც კი

ხვდებოდა, სად იყო და მის გარშემო რა ხდებოდა.

- აბა, - თქვა ტობიმ, როდესაც ახალგაზრდა ებრაელმა საჭმელი შემოიტანა და მაგიდაზე ბოთლი დადგა, - საქმის წარმატებისა შევსვათ!

ამ სადღეგრძელოს წარმოთქმის შემდეგ წამოდგა, ცარიელი ჩიბუხი კუთხეში დადო და მაგიდასთან მიახლოებულმა ერთი ჭიქა არაყი სულმოუთქმელად დალია. ასევე მოიქცა მისტერ საიკსიც.

- ბიესაც ერთი წვეთი დავალევინოთ, - ტობიმ ჭიქა სანახევროდ შეავსო, - დალიე, უმანკო არსებავ.

- იცით, - თქვა ოლივერმა და საცოდავად შეხედა, - იცით, მე...

- გადაკარი, - გაუმეორა ტობიმ, - გგონია, არ ვიცი, რა გარგებს? ბილ, უბრძანეთ, დალიოს.

- ჭკვიანად მოიქცევა! - თქვა საიკსმა და ჯიბეს ხელი დაჰკრა, - ეშმაკმა წამიღოს, თუ ვიტყუებოდე, ეს უფრო მეტ საზრუნავს მიჩენს, ვიდრე ცუდლუტების

მთელი ოჯახი! დალიე, ეშმაკის ფეხო, დალიე!

ორივე მამაკაცის მუქარანარევი ჟესტებით შეშინებულმა ოლივერმა ჭიქა გადაკრა და მაშინვე ხველა აუტყდა, რამაც უაღრესად გაამხიარულა ტობი კრეკიტი და ბარნი, და ისეთი პირქუში ადამიანიც კი გააღიმა, როგორც მისტერ საიკსი ბრძანდებოდა.

ამ საქმის დასრულების შემდეგ საიკსმა თავისი მადა დაიკმაყოფილა (ოლივერს ძლივს აიძულეს, პურის ქერქი გადაეყლაპა), მერე ორივე მამაკაცი სკამებზე გაწვა წასათვლემად. ოლივერი ისევ ბუხართან, ტაბურეტზე იჯდა; საბანში გახვეული ბარნი პირდაპირ იატაკზე, ბუხრის ცხაურასთან გაწვა.

ცოტა ხანს ეძინათ ან თავს იმძინარებდნენ; არავინ განძრეულა ბარნის გარდა, რომელიც ორჯერ ადგა ბუხარში ნახშირის დასამატებლად. ოლივერი ბურანში იყო; ეჩვენებოდა, თითქოს სოფლის გზებზე მიდის, ბნელ სასაფლაოზე დახეტილებს, ისევ დღის განმავლობაში ნანახს ხედავდა. უეცრად ტობი კრეკიტმა გააღვიძა, რომელიც ფეხზე წამოხტა და განაცხადა, უკვე ორის ნახევარიაო.

რამდენიმე წამის შემდეგ დანარჩენი ორიც ფეხზე იყო და ემზადებოდნენ. საიკსმა და მისმა მეგობარმა კისერსა და ნიკაპზე მუქი ფართო შარფები შემოიხვიეს, პალტოები ჩაიცვეს; ბარნიმ კარადა გააღო, იქიდან სხვადასხვა ინსტრუმენტი გამოიღო და ორივეს სწრაფად ჩაულაგა ჯიბეებში.

- მყეფარები მომაწოდე, ბარნი, - თქვა ტობი კრეკიტმა.

- აქ არის, - ბარნიმ წყვილი პისტოლეტი გაუწოდა, - თქვენ თვითონ დატენეთ.

- კარგი! - ტობიმ ისინი სადღაც დამალა, - დეზები სადღაა?

- მე მაქვს, - უპასუხა საიკსმა.

- ბრტყელტუჩა, გასაღებები, ძალაყინი, ფარანი - რამე ხომ არ გვავიწყდება?
-
იკითხა ტობიმ და პატარა ძალაყინი პალტოს შიგნით კაუწყზე მიიმარა.

- ყველაფერი რიგზეა, - იყო მისი კომპანიონის პასუხი, - ბარნი, ხელკეტები მოიტანე. წასვლის დროა.

ამ სიტყვებით სქელი ხელკეტი გამოართვა ბარნის, რომელმაც მეორე ტობის მიაწოდა, მერე ოლივერს საწვიმარი შეუკრა.

- აბა, - თქვა საიკსმა და ხელი გაუშვირა.

უჩვეულო გასეირნებით, სუფთა ჰაერითა და ძალით დალეული არყით გაბრუებულმა ოლივერმა მექანიკურად გაუწოდა ხელი საიკსს.

- მეორე ხელი ტობის ჩაჰკიდე, - თქვა საიკსმა, - ბარნი, გაიხედე.

ბარნი კართან მივიდა და უკან დაბრუნებულმა განაცხადა, ყველაფერი

რიგზეაო. ორი მძარცველი ოლივერთან ერთად სახლიდან გავიდა. ბარნიმ კარი საიმედოდ ჩაკეტა, მერე ბუხართან დაბრუნდა, წინანდებურად საბანში გაეხვია და დაიძინა. სრულიად ბნელოდა. ნისლი გასქელდა, ხოლო ჰაერი ისეთი ნესტიანი გახდა, სახლიდან გასულ ოლივერს რამდენიმე წუთის შემდეგ თმა და წარბები დაუსველდა. ხიდს ჩაუარეს და იმ სინათლეებისკენ წავიდნენ, რომელიც ოლივერმა ადრეც დაინახა. მანძილი დიდი არ იყო და რაკი სწრაფად მიდიოდნენ, სულ მალე ჩერტსის მიაღწიეს.

- ქალაქით გავიდეთ, - წაიჩურჩულა საიკსმა, - ღამით არავინ შეგვხვდება.

ტობი დაეთანხმა და სწრაფად გაუყვნენ პატარა ქალაქის მთავარ ქუჩას, რომელიც ასე გვიან სრულიად ცარიელი იყო. აქა-იქ ზოგიერთი საძინებლის ფანჯარაში სუსტი სინათლე გაიელვებდა; ხანდახან ღამის სიჩუმეს ძაღლის ხრინწიანი ყეფა არღვევდა, მაგრამ ქუჩაში არავინ ჩანდა. როდესაც ქალაქიდან გავიდნენ, ეკლესიის ზარმა ორი საათი დარეკა.

ნაბიჯს აუჩქარეს და მარცხნივ შეუხვიეს, მერე შარაგზაზე გავიდნენ. დაახლოებით მილის მეოთხედი გაიარეს და განმარტოებით მდგარი სახლის წინ შეჩერდნენ. სახლს გალავანი ეკრა, რომელზედაც ტობი კრეკიტი მკვირცხლად, წამში აცოცდა.

- ახლა ბიჭის ჯერია, - თქვა ტობიმ, - ასწიე და მე დავიჭერ.

ოლივერმა თვალის დახამხამებაც ვერ მოასწრო, რომ საიკსმა ილღიების ქვეშ ხელები ამოსდო და სამი-ოთხი წამის შემდეგ ტობის გვერდით გალავნის მეორე მხარეს, ბალახში იწვნენ. საიკსიც მაშინვე მათთან გაჩნდა. ფეხაკრეფით გასწიეს სახლისკენ.

და მხოლოდ ახლა, შიშისა და სასოწარკვეთილებისგან ღამის გონდაკარგული ოლივერი ამ ექსპედიციის მიზანს მიხვდა - ეს იყო ძარცვა, შესაძლოა, მკვლელობაც. ხელები მომუშტა და თავზარდაცემულმა წამოიყვირა.

თვალთ დაუბნელდა, გაფითრებული სახე ცივმა ოფლმა დაუცვარა, ფეხები აღარ ემორჩილებოდა და მუხლებზე დაეცა.

- ადექი! - წაისისინა რისხვით აკანკალებულმა საიკსმა და ჯიბიდან პისტოლეტი ამოიღო, - ადექი, თორემ აქვე ტვინს მიგასხმევენებ!

- ოჰ, ღვთის გულისათვის, გამიშვით! - წამოიყვირა ოლივერმა, - გავიქცევი და იქ, სადმე მინდორში მოვკვდები. ლონდონს სიახლოვეს აღარასოდეს გავეკარები, არასოდეს, გესმით, არასოდეს! შემიბრალეთ, ნუ მაიძულებთ, მოვიპარო! ყველა ზეციური ანგელოზის სახელით, შემიბრალეთ!

კაცმა, ვისაც ოლივერი ემუდარებოდა, საზიზღრად შეიგინა, მერე პისტოლეტის

ჩახმახი შეაყენა, მაგრამ ტობიმ იარაღი ხელიდან გამოჰგლიჯა, ბიჭს პირზე ხელი ააფარა და სახლისკენ წაათრია.

- ჩუმად! - წაიჩურჩულა მან, - აქ ეს არ გიშველის. კიდეც ერთ სიტყვას იტყვი და თავად გაგისწორდები, ამ ხელკეტს თავში ჩაგცხებ. სროლის ხმა არ იქნება, საქმე კიდეც გაკეთდება. მიდი, ბილ, ეს დარაბა შეამტვრიე. თავს ვდებ, ბიჭს ახლა გული მოეცა. ასეთ ცივ ღამეში ამაზე უფროსებსაც პირველ წუთებში იგივე მოსვლიათ - თავად მინახავს ეს.

საიკსი ფეიჯინს წყევლიდა საქმეზე ოლივერის გამოგზავნისთვის, მაგრამ ცდილობდა, არ ეხმაურა და ძალაყინი მოიმარჯვა. რამდენიმე ხნის შემდეგ ტობის დახმარებით ანჯამებით დამაგრებული დარაბა ჩამოხსნა.

პატარა ცხაურიანი ფანჯარა იყო, მიწიდან დაახლოებით ხუთ-ნახევარი ფუტით დაშორებული, სახლის უკანა ნაწილში. ფანჯარა ან ჭურჭლის სარეცხ, ან ლუდის სახარშ ოთახს ეკუთვნოდა და დერეფნის ბოლოში მდებარეობდა. ისეთი პატარა იყო, რომ სახლის ბინადრები მის უფრო საიმედოდ დაკეტვას არც კი ცდილობდნენ; მაგრამ საკმარისად დიდი გახლდათ ოლივერისხელა ბიჭის გადასაძრომად. მცირე ხნის შემდეგ საიკსმა გისოსიც მოაშორა და სულ მალე ფანჯარა გააღო.

- მისმინე, ეშმაკის ფეხო! - წაისისინა საიკსმა და ჯიბის ფარანი ამოიღო, მისი სხივი ოლივერს სახეში მიანათა, - ამ ფანჯარაში გადაგსვამ. ამ ფარანს აიღებ, ჩუმად ახვალ კიბეზე - შენ წინ არის, - პატარა წინკარამდე მიხვალ, შემოსასვლელ კარს გააღებ და სახლში შეგვიშვებ.

- იმ კარს ურდული აქვს, რომელსაც ვერ მისწვდები - ჩაერია ტობი, - წინკარში სკამი დგას და იმაზე აძვერი... იქ სამი სკამი დგას, ბილ, საზურგეებზე კიდეც ცისფერი მარტორქა და ოქროს ფიწალია გამოსახული, მოხუცი ლედის გერბი.

- მოკეტე! - შეაწყვეტინა საიკსმა და მრისხანედ შეხედა, - ოთახის კარი ღიაა?

- ფართოდ! - უთხრა ტობიმ, თუმცა, მანამდე ფანჯრიდან შეიხედა, - საქმეც ის არის, რომ ყოველთვის ღიად ტოვებენ, იქ ძალს სძინავს და ღამით თუ გაეღვიძა, გასეირნება რომ შეძლოს, ამიტომ არ კეტავენ. ჰა-ჰა-ჰა! დღეს კიდეც ბარნიმ სახლიდან გაიტყუა. მშვენიერია!

მართალია, მისტერ კრეკიტი ოდნავ გასაგონად ჩურჩულებდა და უხმოდ იცინოდა, საიკსმა მაინც უბრძანა, ხმა ჩაიწყვიტო, და საქმეს შეუდგა. ტობი

დაემორჩილა: ჯიბიდან ფარანი ამოიღო და მიწაზე დადო, მერე ფანჯრის ქვეშ დადგა და თავი კედელს მიაბჯინა, ხელები მუხლებზე დაიწყო და ისე მოიხარა, რომ მისი ზურგი საფეხურად გამოდგარიყო. მალე ასეც მოხდა, საიკსი ზურგზე ააცოცდა, ოლივერი ფრთხილად გადასვა ფანჯარაში, ფეხებით წინ და ქეროზე ხელი არ გაუშვია, ისე დასვა იატაკზე.

- ფარანი აიღე, - უთხრა საიკსმა და ოთახში შეიხედა, - იმ კიბეს ხედავ?

ცოცხალ-მკვდარმა ოლივერმა წაიჩურჩულა: „დიახ“. საიკსმა პისტოლეტით შემოსასვლელ კარზე მიუთითა და მიაჩივნიდა, რომ მიზანში ეყოლებოდა ამოდებული, ხოლო თუ დააყოვნებდა, იმავე წამს სიცოცხლეს გამოასალმებდა.

- ყველაფერი ერთ წუთში უნდა დასრულდეს, - ძლივს გასაგონად განაგრძობდა საიკსი, - როგორც კი ხელს გაგიშვებ, საქმეს მიხედე. ეი, რა ხდება?

- რა მოხდა? - წაიჩურჩულა მისმა მეგობარმა.

ორივემ გაფაციცებით მიაყურადა.

- არაფერი, - თქვა საიკსმა და ოლივერს ხელი გაუშვა, - მიდი!

დროის იმ მცირე მონაკვეთში, ვიდრე ბიჭი აზრს მოიკრებდა, მან მტკიცედ გადაწყვიტა, თუნდაც სასიკვდილო საფრთხის მიუხედავად, წინკარისკენ მიმავალ კიბეზე აერბინა და მთელი სახლი გაელვამებინა. ეს გადაწყვიტა თუ არა, კარისკენ გაემართა.

- უკან! - დაიყვირა უეცრად საიკსმა, - უკან! უკან!

როდესაც სახლში სიჩუმე ყვირილმა დაარღვია, შემინებულმა ოლივერმა ფარანი ხელიდან გააგდო და არ იცოდა, წინ წასულიყო თუ გაქცეულიყო.

ყვირილი განმეორდა - სინათლე გაკრთა - კიბის ზედა საფეხურებზე შილიფად ჩაცმული და დაშინებული ორი მამაკაცი გამოჩნდა - რაღაცამ იელვა -

კვამლი დადგა - სადღაც რაღაც ხმაურით ჩამოიშალა - ოლივერი უკან გადაქანდა.

საიკსი სადღაც გაქრა, მაგრამ ისევ გამოჩნდა და კვამლის გაფანტვამდე ქეროში წაავლო ხელი, მერე პისტოლეტი ესროლა იმ მამაკაცებს და ბიჭი ზემოთ აიტაცა.

- ხელი არ გამიშვა, - წაიჩურჩულა საიკსმა, როდესაც ფანჯრიდან გადაჰყავდა,

- ყელსახვევი მომეცი. მოარტყეს. მალე! ბიჭი სისხლისგან იცლება!

მერე ოლივერმა გაიგონა ზარის, სროლის ხმები; ყვირილი და იგრძნო, რომ ვიღაცას მიჰყავდა, უსწორმასწორო გზაზე ძალიან სწრაფად მიდიოდა. მერე

ხმაური სადღაღაც შორს შეწყდა და მის გულში სასიკვდილო სიცივემ დაისადგურა.

მეტი აღარაფერი დაუნახავს და გაუგონია.

თავი 23 სასიამოვნო საუბარი მისტერ ბამბლსა დაქალბატონს შორის; ეს თავი მოწმობს, რომ ზოგჯერბიდილიც კი შეიძლება მგრძნობიარე იყოს

ლამით ძალიან ციოდა. მიწა თოვლს დაეფარა, რომელიც ახლა ყინულის ქერქად ქვეულიყო; მოთარეშე ქარი მხოლოდ შესახვევებსა და ჩიხებში შემორჩენილ თოვლის გროვებს ისეთი სიმშაგით დაუვლიდა, თითქოს უხაროდა

ასეთი ნადავლის ხელში მოგდება, თოვლს ღრუბლად აქცევდა, ატრიალებდა და

ჰაერში ფანტავდა. სუსხიანი, ბნელი, ცივი საღამო იდგა, რომელიც მამღრებსა და

თბილი საბინადროს მქონეთ აიძულებდა, ბუხართან მოკალათებულიყვნენ და ღმერთისთვის მადლობა შეეწირათ, რომ შინ არიან, ხოლო უსახლკარო, შიმშილისგან განაწამებ ღატაკებს – მიწაზე დაწოლილიყვნენ და სული ამოხდომოდათ. ასეთ საღამოებში ჩვენს ცარიელ ქუჩებში ბევრი მშვიერი კვდება და როგორც უნდა იყოს მათი დანაშაული, უფრო სასტიკი სამყაროს ხილვა ნამდვილად არ უწერიათ.

ასეთი გახლდათ ვითარება, როდესაც მისის კორნი, ოლივერ ტვისტის დაბადების ადგილად ჩვენთვის კარგად ცნობილი შრომის სახლის მწე ქალი, თავის ოთახში მხიარულად აბრიალებული ცეცხლის წინ ჩამოჯდა და დაუფარავი

სიამოვნებით შეავლო თვალი პატარა მრგვალ მაგიდას, რომელზედაც შესაბამისი ზომის ლანგარი ყველა საჭირო მოწყობილობით იყო სავსე, რაც შეიძლება ინატროს შრომის სახლის მწემ ჩინებულ ვახშმისთვის.

მისის კორნის თავის განებივრება და ჩაის დალევა სურდა; მან მზერა ბუხარზე გადაიტანა, სადაც ყველა არსებულ ჩაიდანზე უფრო პატარა ჩაიდანმა ხმადაბალი სიმღერა წამოიწყო და მისის კორნის კმაყოფილებამ ისეთ მასშტაბს მიაღწია, რომ მან გაიღიმა.

– ჰმ! – თქვა მისის კორნიმ და მაგიდაზე იდაყვებდაყრდნობილი ცეცხლს მიაჩერდა, – თითოეულ ჩვენგანს ძალიან ბევრი რამ ებოძა, რისთვისაც მადლიერი უნდა იყოს. ძალიან ბევრი, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ვერ შეგვიგნია!

მისის კორნიმ თავი დანანებით გადააქნია, თითქოს იმ ღატაკების სულიერ სიბრძავეს უჩიოდა, რომლებსაც ეს არ ესმით, ვერცხლის კოვზი (კერძო საკუთრება) ლითონის საჩაიეში ჩაუშვა, რომელიც ორ-სამ უნციას იტევდა და ჩაის მომზადებას შეუდგა.

რა მცირე რამ არის საჭირო, რომ ჩვენი სუსტი სულის სიმშვიდე დაირღვეს. ვიდრე მისის კორნი ფიქრობდა, ძალიან პატარა შავი ჩაიდანთან ადუღებული წყალი გადმოვიდა და ხელი დასწვა.

– ოჰ, დაწყევლილი ჩაიდანო! – წამოიყვირა ღრმად პატივცემულმა მწემ და ჩაიდანს სწრაფად დააბრუნა ბუხრის თაროზე, – რა საძაგლობაა! მარტო ორი ჭიქა ჩადის! ვის რაში არგია? ალბათ... – რამდენიმე წამს ჩაფიქრდა მისის კორნი, – ჩემნაირ საბრალო, მარტოხელა არსებას! ოჰ, ღმერთო! ღმერთო!

ამ სიტყვებით მისის კორნი სავარძელში ჩაეშვა, ისევ მაგიდას დაეყრდნო და თავის ბედზე დაფიქრდა. პატარა ჩაიდანმა და ერთადერთმა ჭიქამ სევდიანი მოგონება აუშალა მისტერ კორნიზე (რომელიც სულ რაღაც ოცდახუთი წლის წინ გარდაიცვალა), და ამ მოგონებამ მასზე დამთრგუნველად იმოქმედა.

- ასეთი აღარასოდეს მეყოლება! - დარდიანად თქვა მისის კორნიმ, - აღარასოდეს მეყოლება მისნაირი!

გაურკვეველია, ვის ეკუთვნოდა ეს შენიშვნა: ქმარს თუ ჩაიდანს. შესაძლოა, ამ უკანასკნელს, რადგან ამ სიტყვების წარმოთქმისას მისის კორნი სწორედ მას

უყურებდა, შემდეგ ბუხრის თაროდან გადმოდგა. ის იყო, პირველი ჭიქა დალია, რომ კარზე ფრთხილი კაკუნით გაისმა.

- ოჰ, შემოდით! - უკმეხად დაიძახა მისის კორნიმ, - ალბათ, რომელიღაც ბებრუხანა კვდება. საკმარისია, წასახემსებლად დაეჯდე და მაშინ კვდებიან. მანდ ნუ დგახართ, ცივი ჰაერი შემოდის. აბა, რა მოხდა, ჰა?

- არაფერი, მემ, არაფერი, - უპასუხა მამაკაცის ხმამ.

- ღმერთო ჩემო! - წამოიძახა მნემ უფრო ღმობიერად, - თქვენ ხართ, მისტერ ბამბლ?

- თქვენს სამსახურში მიგულეთ, მემ, - უპასუხა კარში მდგარმა მისტერ ბამბლმა, რომელმაც ფეხსაცმიდან - ტალახი და პალტოდან თოვლი მოიშორა, მერე ოთახში შევიდა, ცალი ხელით შლაპა ეჭირა, მეორით - ფუთა, - კარი დაეხურა, მემ?

თავმდაბლობის გამო ლედის ვერ გადაეწყვიტა, რა ეთქვა, რადგან შიშობდა, მისტერ ბამბლთან დახურულ კარს მიღმა შეხვედრა მიუღებელი ხომ არ იყო. მისტერ ბამბლმა მისი ყოყმანით ისარგებლა, თანაც შესცივდა, ამიტომ ნებართვას არ დაელოდა და კარი დაკეტა.

- საზიზღარი ამინდია, მისტერ ბამბლ, - თქვა მისის კორნიმ.

- დიახ, მემ, ავდარია, - უპასუხა ბიდლმა, - ასეთი ამინდი ძალიან ვნებს სამრევლოს, მემ. დღეს, ნაშუადღევს მერე, მისის კორნი, ოცი ოთხგირვანქიანი პური და ნახევარი თავი ყველი დავარიგეთ, ეს ღარიბები კიდევ უკმაყოფილონი არიან.

- რა თქმა უნდა. კმაყოფილები როდის იყვნენ, მისტერ ბამბლ? - თქვა მნემ და ჩაი მოსვა.

- მართალს ბრძანებთ, მემ, როდის იყვნენ? - განაგრძო მისტერ ბამბლმა, - ერთ-ერთს დიდი ოჯახობის გამო პური და მთელი გირვანქა ყველი აუწონავად

მისცეს. როგორ გგონიათ, მაღლიერება თუ იგრძნო, ჭეშმარიტი მაღლიერება?!

არა, სპილენძის არც ერთი ფართინგის საფასური მაღლიერება არა აქვთ. როგორ

გგონიათ, როგორ მოიქცა?! ნახშირი მოითხოვა – თუნდაც სულ ცოტა, ცხვირსახოცში რაც ჩაეტევა, იმდენიო! ნახშირი! რისთვის სჭირდება? ყველს შეწვავს, მერე მოვა და კიდევ მოითხოვს. აი, ასეთი თვისებების ხალხია, მემ, დღეს მთელი წინსაფარი ნახშირი რომ მიუტანო, ზეგ ისევ სათხოვნელად მოვა.

მისის კორნი სავსებით იზიარებდა მის ამგვარ შეხედულებას, ამიტომ ბიდლმა თავისი გამოსვლა განაგრძო:

– წარმოდგენაც არ მქონდა, ეს ყველაფერი სადამდე შეიძლებოდა მისულიყო, – თქვა მისტერ ბამბლმა, – სამი დღის წინ, – მემ, თქვენ გათხოვილი ბრძანდებოდით და შემძლია ეს გითხრათ, – სამი დღის წინ მავანი, რომლის

ზურგსაც ძონძები ძლივს ფარავდა (ამის გაგონებაზე მისის კორნიმ მორცხვად დახარა თვალები), ჩვენი ზედამხედველის სახლის ზღურბლს მიუახლოვდა, როდესაც მასთან სტუმრები იყვნენ სადილად შეკრებილი, და წარმოიდგინეთ, მისის კორნი, თქვა, რომ დახმარება სჭირდება. რაკი წასვლა არ უნდოდა, სტუმრებზე კი შემზარავ შთაბეჭდილებას ახდენდა, ზედამხედველის ბრძანებით

ერთი გირვანქა კარტოფილი და ნახევარი პინტი შვრიის ბურღული გაუგზავნეს.

„ღმერთო! – ამბობს ეს უმადური, – რად მინდა ეს ყველაფერი? ასეთივე წარმატებით რკინისჩარჩოიანი სათვალე შეგემლოთ მოგეცათ! – „მშვენიერია, –

ამბობს ჩვენი ზედამხედველი და ძღვენს ართმევს, – მეტს ვერაფერს მიიღებთ“, –

„ესე იგი, ქუჩაში მოკვდები!“ – ამბობს მაწანწალა. „არა, არ მოკვდები“, – პასუხობს ჩვენი ზედამხედველი...

– ჰა-ჰა-ჰა! არაჩვეულებრივია! ნამდვილად მისტერ გრანეტის საქციელია, ხომ მართალია? – შეაწყვეტინა მისის კორნიმ, – განაგრძეთ, მისტერ ბამბლ.

– ჰოდა, მემ, – განაგრძო ბიდლმა, – წავიდა და მართლაც ქუჩაში მოკვდა. აი,

ასეთი ჯიუტი ღატაკი იყო.

– დაუჯერებელია! – გადაჭრით თქვა მნემ, – მაგრამ, მისტერ ბამბლ, ქუჩიდან

მოსული ხალხის დახმარება, თქვენი აზრით, ცუდი საქმე ხომ არ არის? თქვენ

გამოცდილი ჯენტლმენი ხართ და ეს უნდა იცოდეთ. რას იტყვით?

– მისის კორნი, – თქვა ბიდლმა და ისე გაიღიმა, როგორც ყოვლისმცოდნე ადამიანები ილიმებიან, – ასეთ ადამიანებს დახმარება განსაზღვრული წესით უნდა გაუწიო, მემ! – ეს ნამდვილი შვებაა სამრევლოსთვის. პირველი წესი ასეთია: დახმარების გაწვევისას ღატაკებს ის მიეცი, რაც არ სჭირდებათ; მოჰბეზრდებათ და სხვა დროს აღარ მოვლენ.

- ღმერთო ჩემო! - წამოიძახა მისის კორნიმ, - რა ჭკვიანური წესია!

- დიახ. ამას მხოლოდ თქვენ გეუბნებით, მემ, - უპასუხა მისტერ ბამბლმა,
- ეს

ძალიან მნიშვნელოვანი წესია: თუ იმ შემთხვევებით დაინტერესდებით, რომლებზედაც ეს საზიზღარი გაზეთები წერენ, აუცილებლად შენიშნავთ, რომ ლატაკთა ოჯახები დახმარების სახით ყველის ნაყჭყრებს იღებენ. აი, ასეთი წესია

ახლა მთელ ქვეყანაში, მისის კორნი. თუმცა, - დასძინა ბიდლმა და თავისი ფუთა გახსნა, - ეს სამსახურებრივი საიდუმლოებაა, მემ, მათზე საუბარი არავის

შეუძლია, გამონაკლისი მხოლოდ ჩვენ, სამრევლოს მოხელეები ვართ. ეს კი პორტუგინია, მემ, რომელიც სამრევლომ საავადმყოფოსთვის შეუკვეთა:

ახალი,

ნამდვილი, ჭეშმარიტი პორტუგინი; კასრიდან დღეს ამოდებული; ზარის ხმასავით

წკრიალა, ლექის გარეშე!

ერთ ბოთლს სინათლეზე გახედა და კარგად შეანჯღრია, რომ ღვინის შესანიშნავ ხარისხში დარწმუნებულიყო, შემდეგ მისტერ ბამბლმა ორივე ბოთლი

კამოდზე დადო, ცხვირსახოცი, რომელშიც ბოთლები იყო გახვეული, დაკვეცა, სათუთად ჩაიდო ჯიბეში და შლაპას ისეთი სახით წაატანა ხელი, თითქოს წასვლას აპირებდა.

- ყინვაში მოგიწევთ სიარული, მისტერ ბამბლ, - შენიშნა მნემ.

- ცივი ქარი ქრის, მემ, - იყო მისტერ ბამბლის პასუხი, რომელმაც პალტოს საყელო ყურებამდე აიწია, - შეიძლება ყურებიც წამადროს.

მნემ თვალი ჯერ პატარა ჩაიდანს შეავლო, შემდეგ კი შეხედა ბიდლს, რომელიც კარისკენ მიემართებოდა და როდესაც მან ჩაახველა, რათა მშვიდობიანი ღამე ესურვებინა, მორცხვად ჰკითხა, ხომ არ ინებებთ... ხომ არ

ინებებთ და ფინჯან ჩაის ხომ არ მიირთმევდითო?

მისტერ ბამბლმა მაშინვე ჩამოსწია საყელო, შლაპა და ხელჯოხი სკამზე დადო, ხოლო მეორე სკამი მაგიდისკენ მისწია. ნელა ჩამოჯდა და ლედის შეხედა, მან კი პატარა ჩაიდანს შეავლო მზერა. მისტერ ბამბლმა ჩაახველა და ოდნავ გაიღიმა.

მისის კორნი წამოდგა კარადიდან მეორე ფინჯანისა და ლამბაქის გამოსაღებად. როდესაც დაჯდა, თავაზიანი ბიდლის მზერას შეხვდა, წამოწითლდა და ჩაი დაუსხა. ბიდლმა ისევ ჩაახველა, ამჯერად - უფრო ხმამაღლა.

- ტკბილი, მისტერ ბამბლ? - იკითხა მნემ და საშაქრე აიღო.

- თუ შეიძლება ტკბილი, მემ, - უპასუხა მისტერ ბამბლმა, თან მისის კორნის

შეხედა; თუ შეიძლება ამქვეყნად ნაზი ბიდლი არსებობდეს, ასეთი იყო იმწუთას

მისტერ ბამბლი.

ჩაი უხმოდ დაასხეს და მიირთვეს. მისტერ ბამბლმა მუხლებზე ცხვირსახოცი გაშალა, რომ ნამცეცებით შესანიშნავი მოკლე შარვალი არ დაესვარა, შემდეგ ჭამა-სმას შეუდგა და ამ სასიამოვნო საქმეს მხოლოდ დროდადრო ამოიხვრით შეწყვეტდა ხოლმე, თუმცა, ეს სრულებით არ ვნებდა მის მადას, პირიქით, გაფიცებული პურისა და ჩაის მონელებაში ეხმარებოდა.

- კატა გყოლიათ, მემ, - თქვა მისტერ ბამბლმა და ბუხართან მოკალათებულ კატას შეხედა, რომელიც ოჯახობით იყო გარშემორტყმული, - თანაც კნუტებით!

- ძალიან მიყვარს, მისტერ ბამბლ, წარმოდგენაც არ შეგიძლიათ, ისე მიყვარს,

- თქვა მნემ, - ისეთი მხიარულები, ცელქები, უდარდელები არიან და მარტოობას მილამაზებენ!

- მშვენიერი ცხოველია, მემ, - მოწონებით შენიშნა მისტერ ბამბლმა, - ძალიან შინაური...

- ოჰ, ასეა! - აღტაცებით წამოიძახა მისის კორნიმ, - თავისი სახლი უყვართ, ეს ნამდვილი შვებია.

- მისის კორნი, - დინჯად თქვა მისტერ ბამბლმა, თან სიტყვებს ჩაის კოვზით აჰყვა, - აი, რა უნდა გითხრათ, მემ: თუ კატა ან კნუტი თქვენთან ცხოვრობს და არა თავის სახლში, ის ნამდვილი ყვეყჩია.

- ოჰ, მისტერ ბამბლ! - აღშფოთდა მისის კორნი.

- რა საჭიროა სიმართლის დამალვა, მემ! - განაგრძო მისტერ ბამბლმა, შეყვარებული და შთაგონებული სახით იქნევდა ჩაის კოვზს, რაც განსაკუთრებით ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა, - ასეთ კატას საკუთარი ხელებით სიამოვნებით მივახრჩობდი.

- ესე იგი, ბოროტი ხართ! - არ ჩამორჩა მისის კორნი, ხელი ბიდლის ჩაის ჭიქისკენ გაიშვირა, - და გულქვაც!

- გულქვაო, მემ? - გაიმეორა მისტერ ბამბლმა, - გულქვა?

მისტერ ბამბლმა თავისი ფინჯანი უსიტყვოდ გადასცა მისის კორნის, მის ნეკა თითს ჩაეჭიდა, იმავდროულად, თავის ჟილეტზე ორჯერ დაირტყა ხელისგული, ღრმად ამოიოხრა და სკამი ბუხრისგან მოშორებით მისწია.

მაგიდა მრგვალი იყო, ხოლო რაკი მისის კორნი და მისტერ ბამბლი ერთმანეთის პირისპირ ახლო მანძილზე ისხდნენ, პირით ცეცხლისკენ, ნათელია, რომ მისტერ ბამბლი ბუხრიდან დაშორებული მისის კორნისგან ასევე მოშორებით იჯდა. ზოგიერთი მკითხველი შეიძლება აღფრთოვანდეს და ეს ქმედება მისტერ ბამბლს ნამდვილ გმირობად ჩაუთვალოს; დრო, ადგილი და ხელსაყრელი გარემოებანი გარკვეულწილად მას ნაზი და თავაზიანი სიტყვების

წარმოთქმას კარნახობდა; ასეთი სიტყვები, რომელთა თქმა ქარაფშუტა და უდარდელი ადამიანების შესაფერისია, ამ ქვეყნის მოსამართლეების, პარლამენტის წევრების, მინისტრების, ლორდ-მერებისა და სხვა დიადი საზოგადო მოღვაწეების ღირსებას არ შეეფერება, განსაკუთრებით კი, ისეთი მნიშვნელოვანი და სოლიდური ადამიანისას, როგორც ბიდლია, რომელიც (ეს კარგადაა ცნობილი) ზემოთ ჩამოთვლილ თანამდებობის პირთა შორის ყველაზე მკაცრი და შეუვალი უნდა იყოს.

მისტერ ბამბლის განზრახვათა მიუხედავად (ისინი, უეჭველია, საუკეთესო გახლდათ), საუბედუროდ, ისე მოხდა, რომ მაგიდა, უკვე ორჯერ ვახსენეთ, მრგვალი იყო, ამიტომ მისტერ ბამბლი სკამის გადაადგილებით მწე ქალისგან დაშორებას სულ უფრო ამცირებდა; ბოლოს, მისი სკამი იმ სკამის გვერდით აღმოჩნდა, რომელზედაც მისის კორნი იჯდა.

მართლაც, ორი სკამი ერთმანეთს შეეხო, და როგორც კი ეს მოხდა, მისტერ ბამბლმა გადაადგილება შეწყვიტა.

მწეს თავისი სკამი მარჯვნივ რომ გაეწია, ცეცხლი დაწვავდა, მარცხნივ გაწევისას კი მისტერ ბამბლის მკლავებში აღმოჩნდებოდა; ამიტომ, რაკი მორიდებული მწე ქალი ბრძანდებოდა და კარგად ხვდებოდა, რა მოხდებოდა, თუ სკამს გაწევდა, მისის კორნის ადგილი არ შეუცვლია და მისტერ ბამბლს მეორედ შეუვსო ჩაით ფინჯანი.

- გულქვა, მისის კორნი? - გაიმეორა მისტერ ბამბლმა, ჩაის ურევდა და თან მწეს მიშტერებოდა, - განა თქვენ არა ხართ გულქვა, მისის კორნი?
- ღმერთო ჩემო! - წამოიძახა მისის კორნიმ, - რა უცნაური შეკითხვაა მარტოხელა მამაკაცისგან! ამის გაგება რისთვის დაგჭირდათ, მისტერ ბამბლ? ბიდლმა ჩაი უკანასკნელ წვეთამდე დალია, შეჭამა ტოსტი, მუხლებიდან ნამცეცები გადაიბერტყა, ტუჩები მოიწმინდა და მწეს აკოცა.

- მისტერ ბამბლ! - ჩურჩულით თქვა კდემამოსილმა ქალბატონმა, რადგან ისე შემინდა, ხმა წაერთვა, - მისტერ ბამბლ, ვიყვირებ!

პასუხის ნაცვლად მისტერ ბამბლმა ნელა და მთელი ღირსებით წელზე შემოხვია ხელი.

ყვირილის სურვილი რომ ჰქონოდა, ამ ახალი თავხედური საქციელის გამო ქალბატონი აუცილებლად იყვირებდა, მაგრამ მოულოდნელად კარზე დააკაკუნეს; ამის გაგონებისთანავე მისტერ ბამბლმა დიდი სიმკვირცხლე გამოიჩინა და ღვინის ბოთლებს ეცა, მათგან მტვრის გადაწმენდა დაიწყო, ხოლო მწე ქალმა მკაცრად იკითხა მოსულის ვინაობა - მის ხმას ჩვეული ოფიციალური სისასტიკე დაუბრუნდა.

- მაპატიეთ, მემ, - კარი შეაღო გასაოცრად საზარელი გარეგნობის დამჭკნარმა მოხუცმა ლატაკმა ქალმა, - ბებერი სალი კვდება.

- მერე რა ჩემი საქმე ეს არის? - ბრაზით იკითხა მისის კორნიმ, - ხომ ვერ გავაცოცხლებ?

- რასაკვირველია, ვერა, მემ, რასაკვირველია, ვერა, - უპასუხა ბებრუხანამ,
-

ეს არავის შეუძლია და განსაკუთრებით მას ველარაფერი უშველის. ბევრჯერ
მინახავს, ადამიანები როგორ კვდებიან - ბალღებიც და ძლიერებიც -
სიკვდილი

როდის მოდის, არ მესწავლება! მაგრამ სული აქვს დამძიმებული და როცა
ტკივილი მიწვდება - ეს კი იშვიათად ხდება, იმიტომ, რომ წამებით
კვდება -

ამბობს, რომ რაღაც უნდა გითხრათ. მშვიდად ვერ მოკვდება, ვიდრე თქვენ
არ
მიხვალთ.

ეს რომ მოისმინა, ღირსეულმა მისის კორნიმ ხმადაბლა გამოლანძღა ის
ბებრუხანები, რომლებსაც სიკვდილიც კი არ შეეძლოთ ისე, რომ
ზემდგომებისთვის ხასიათი არ წაეხდინათ. სწრაფად წამოავლო ხელი თბილ
შალს, მოიხურა, მისტერ ბამბლს სთხოვა, მისი დაბრუნებისთვის დაეცადა -
იმ

შემთხვევისთვის, თუ რაიმე განსაკუთრებული მოხდებოდა; მერე ბებრუხანას
უბრძანა, სწრაფად ევლო და კიბეზე ასაფორთხებლად მთელი დამე არ
დაეკარგა; ოთახიდან გასული, პირქუში იერით მას გაჰყვა და თან მთელი
გზა
ილანძღებოდა.

მარტო დარჩენილი მისტერ ბამბლის საქციელის ახსნა შეუძლებელია. მან
კარადა გამოაღო და ჩაის კოვზები გადათვალა, შაქრის ასაღები ხელისგულზე
დაიდო და აწონ-დაწონა, ყურადღებით დააკვირდა ვერცხლის სარძევეს და ამ
ცნობისმოყვარეობით დაკმაყოფილებულმა, უკულმა დაიხურა თავისი სამკუთხა
ქუდი და მრგვალ მაგიდას ცეკვა-ცეკვით ოთხჯერ შემოუარა.

ამ უჩვეულო წარმოდგენის დასრულების შემდეგ სამკუთხა ქუდი მოიხადა,
ბუხართან, ცეცხლისკენ ზურგით ჩამოჯდა და გონებაში ნანახი ქონების
აღწერას

შეუდგა.

თავი 24 ამ თავში სრულიად უმნიშვნელო
საკითხიანგანხილული; ის მცირე მოცულობისაა,
თუმცა, შესაძლოა, ჩვენი მონათხრობისთვის
ძალიანანგმნიშვნელოვანი აღმოჩნდეს

შრომის სახლის მნე ქალის სიმშვიდე იმ არსებამ დაარღვია, რომელიც
სიკვდილის მაცნის როლს ნამდვილად შეეფერებოდა. გარდასული წლების
წყალობით მოხრილი სხეული, აკანკალებული ხელ-ფეხი, უაზრო
გამომეტყველებით დამახინჯებული სახე შეშლილის მიერ ფანქრით დაჯღაბნილ
საზარელ ნიღაბს უფრო ჰგავდა, ვიდრე ბუნების ქმნილებას.

სავალალოა, მაგრამ ძალიან ცოტა გვხვდება ისეთი სახე, რომელმაც
შეინარჩუნა ბუნებრივი პირველქმნილება და თავისი სილამაზით გვახარებს!
ამქვეყნიური საზრუნავი, მწუხარება, შიმშილი მათ ისევე ცვლის, როგორც
გულს;

და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ვნებები ჩაცხრება და თავის ძალაუფლებას
დაკარგავს, მოქუჩებული ღრუბლები იფანტება და ის პირველქმნილი
გამომეტყველება ზეციური სისპეტაკით გამოჩნდება. ხშირად ისე ხდება, რომ
გარდაცვლილთა სახეები, თუნდაც დამაბული და გაშეშებული, დიდი ხნის
წინ

დავიწყებულ ჩადინებული ბავშვის გამომეტყველებას იღებს და მათ მოზარდობას გვაგონებს; ეს ადამიანები ისეთი თვინიერნი, მშვიდნი ხდებიან, რომ ის, ვინც მათ ბავშვობაში იცნობდა, ძალაუბრებურად მათი ნეშტის წინაშე მუხლს იყრის, რადგან მათი სახით ზეციდან ჩამოსულ ანგელოზს ხედავს.

ბებრუხანა გაჭირვებით მიხანხალვდა დერეფნებში, კიბეზე მიბობდავდა, რადგან დაუსრულებლად დუდღდღუნებდა თანამგზავრის წყველა-კრულვის საპასუხოდ; ბოლოს სულის მოსათქმელად შეჩერდა და სანთელი გადასცა, თან ცდილობდა, არ ჩამორჩენოდა მასზე ბევრად მკვირცხლ უფროსს, რომელიც ავადმყოფის ოთახისკენ მიემართებოდა.

ოთახი სინამდვილეში მანსარდაში მდებარე საცოდავი სორო იყო, რომლის შორეულ კუთხეში მკრთალი ცეცხლი ენთო. საწოლთან მეორე ბებრუხანა იჯდა, ხოლო ბუხართან მდგარი აფთიაქარის შეგირდი ბატის ფრთისგან კბილის საჩიჩქნს იმზადებდა.

- სუსხიანი ღამეა, მისის კორნი, - უთხრა ამ ახალგაზრდა ჯენტლმენმა მნე ქალს.

- მართლაც ძალიან ცივა, სერ, - რევერანსით და რაც შეიძლებოდა თავაზიანად უპასუხა მისის კორნიმ.

- თქვენს მენარდეებს უკეთესი ნახშირი უნდა მოატანინოთ, - განაცხადა აფთიაქარის თანაშემწემ და დაქანგული საჩხრეკით ბუხარში ნახშირი გაქექა, - ასეთი ყინვიანი ღამისთვის ამგვარი ნახშირი სრულიად გამოუსადეგარია.

- სამრევლოს საბჭომ აარჩია, სერ, - უპასუხა მისის კორნიმ, - საბჭოს იმაზე მაინც შეუძლია იზრუნოს, რომ ღამით არ გავიყინოთ, რადგან ძალიან მძიმე სამუშაო გვაქვს.

საუბარი ავადმყოფის ამოკვენესამ შეწყვიტა.

- ოჰ! - წამოიძახა ახალგაზრდამ და საწოლისკენ ისეთი სახით შებრუნდა, თითქოს ავადმყოფის არსებობა საერთოდ დაავიწყადა, - მისი საქმე წასულია, მისის კორნი.

- მართლა, სერ? - იკითხა მნემ.

- ძალიან გამიკვირდება, კიდეც ორ საათს თუ იცოცხლა, - თქვა აფთიაქარის თანაშემწემ და მთელი ყურადღება საჩიჩქნის ბასრ წვერზე გადაიტანა, - მთელი ორგანიზმი დაშლილი აქვს. ნახეთ, დედილო, თვლემს თუ არა?

საწოლთან მჯდარი ბებრუხანა ავადმყოფისკენ დაიხარა და დასტურის ნიშნად თავი დააქნია.

- თუ არ იხმაურეთ, შეიძლება ასე შეუმჩნევლად მოკვდეს კიდეც, - თქვა ახალგაზრდამ, - სანთელი იატაკზე დადგით და ხელს არ შეუშლის.

ბებრუხანამ ბრძანება შეასრულა და თავი გადააქნია თითქოს იმის ნიშნად,

რომ ასე ადვილად ავადმყოფი არ მოკვდებოდა; მერე უკან დაბრუნებული მეორე

ბებრუხანას მიუჯდა. მისის კორნი შალში ჩაიფუთნა და გალიზიანებული ჩამოჯდა

საწოლის ბოლოში.

ავთიაქარის თანაშემწემ კბილის საჩიჩქნის დამზადება დაასრულა, დაახლოებით ათ წუთს ბუხრის წინ იდგა და თბებოდა; ბოლოს, ალბათ, მოიწყინა, მისის კორნის საქმეების წარმატებით დასრულება უსურვა და ფეხაკრეფით გავიდა ოთახიდან.

ორივე ბებრუხანა ცოტა ხანს ხმის ამოუღებლად იჯდა საწოლთან, მერე ბუხართან გადაინაცვლეს, იქვე მიიკუნტნენ და დამჭკნარი ხელების გათბობას შეუდგნენ. ერთმანეთს ჩუმად ესაუბრებოდნენ და როდესაც ალი მათ სახეებს ანათებდა, მართლაც შესაზარი სანახავი იყვნენ.

- ენი, ძვირფასო, სანამ გასული ვიყავი, კიდევ რამე ხომ არ უთქვამს? - შეეკითხა ის, რომელიც მისის კორნის მოსაყვანად წავიდა.

- არც ერთი სიტყვა, - უპასუხა მეორემ, - თავიდან ხელებს იმტვრევდა და იჩქმეტდა, მაგრამ მალევე დაწყნარდა. ძალ-ღონე სულ გამოლეული აქვს, ამიტომ

მისი დამშვიდება არ გამჭირვებია. მართალია, სამრევლოს კმაყოფაზე ვარ, მაგრამ საკმარისი ღონე კიდევ შემრჩა.

- ექიმის გამოწერილი შემთხარი ღვინო თუ დალია? - შეეკითხა პირველი.

- ვცადე, პირში ჩამესხა, მაგრამ კრიჭა შეკრული აქვს, - უპასუხა მეორე ბებრუხანამ, - ჭიქას კი ისე ჩაეჭიდა, ხელიდან ძლივს გამოვგლიჯე; ღვინო კი მე

დავლიე და ძალიანაც მარგო.

ფრთხილად მიიხედეს და როცა დარწმუნდნენ, მათ ლაპარაკს ყურს არავინ უგდებდა, ცეცხლთან ახლოს მიიწიეს და მხიარულად ჩაიხითხითეს.

- იყო დრო, - წამოიწყო ისევ პირველმა ბებრუხანამ, - თავადაც ასე იქცეოდა და მერე სიცილით კვდებოდა!

- აბა, რა! - აიტაცა მეორემ, - ძალიან მხიარული იყო. ბევრზე ბევრი შესანიშნავი მიცვალებული გაუპატიოსნებია, და ისინი ცვილის თოჯინებზე საყვარლები და მოწესრიგებულები იყვნენ. ჩემს ბებერ თვალებს უნახავს ისინი,

ამ ხელებით შეხებია, იმიტომ, რომ უამრავჯერ მივხმარებოვარ ამ საქმეში.

ბებრუხანამ აღტაცებით გაიქნია თავისი დამჭკნარი ხელები თანამოსაუბრის ცხვირწინ, მერე ჯიბიდან ძველისძველი ლითონის სათუთუნე ამოიღო, თანამოსაუბრეს ხელისგულზე მწიკვი დაუყარა, ცოტა მეტი კი თავისთვის გაიმეტა. ვიდრე ბებრუხანები ამ საქმეებით იყვნენ დაკავებული, მისის კორნი,

რომელიც მოუთმენლად ელოდა, როდის გამოფხიზლდებოდა მომაკვდავი, ბუხართან მივიდა და უხეშად იკითხა, კიდევ დიდხანს მოუწევდა თუ არა ლოდინი.

- ცოტა დარჩა, მისის, - უპასუხა მეორე ბებრუხანამ და თვალეზში შეხედა,
-
- ჩვენ, ყველას, სიკვდილის ლოდინისთვის არც ისე ბევრი დრო დაგვრჩა.
მოითმინეთ, მოითმინეთ! მალე ყველას წაგვიყვანს.
- ენა დაიმოკლე, იდიოტო ბებრუხანავ! - მკაცრად უპასუხა მნემ, - შენ
მიპასუხე, მართა, ამგვარ მდგომარეობაში აქამდეც ყოფილა?
- ხშირად, - უპასუხა მეორე ბებრუხანამ.
- მაგრამ ეს მეტად აღარ განმეორდება, - დაამატა პირველმა, - ანუ ერთხელ
კიდევ გამოფხიზლდება, მაგრამ უკანასკნელად, დაიმახსოვრეთ რაც ვთქვი,
მისის!
- მნიშვნელობა არა აქვს, ცოტა ხანი დარჩა თუ დიდი ხანი, -
გალიზიანებით
თქვა მისის კორნიმ, - მაგრამ ეს როდესაც მოხდება, აქ აღარ ვიდგები! და
მეორედ აღარ გაბედოთ ასეთ წვრილმანებზე მომაცდინოთ! სულაც არ
მევალება
აქაური ბებრუხანების სიკვდილის ყურება, ამას არ ვიზამ. კარგად
დაიმახსოვრეთ
ეს, უსინდისო ბებერო კუდიანებო! კიდევ ერთხელ დააპირებთ ჩემს
გამაიმუნებას
და გაფრთხილებთ, ძალიან მალე გაგისწორდებით!
- გაბრაზებული მისის კორნი კარისკენ გაქანდა, მაგრამ საწოლისკენ
მიბრუნებული ორივე ბებრუხანას ყვირილმა აიძულა, შეჩერებულიყო და უკან
მიეხედა. საწოლში წამომჯდარი ავადმყოფი ხელებს მათკენ იშვერდა.
- აქ ვინ არის? - დაიყვირა მოხუცმა.
- ჩუმად, ჩუმად! - წაისისინა ერთ-ერთმა ბებრუხანამ და საწოლისკენ
დაიხარა, - დაწექით, დაწექით!
- ცოცხალი ვედარ დავწვები! - თავიდან იშორებდა ავადმყოფი მას, -
რალაც
უნდა ვუთხრა. აქ მოდით! უფრო ახლოს! ყურში გიჩურჩულებთ.
- ავადმყოფი მნე ქალის ხელს ჩაეჭიდა, აიძულა, საწოლთან მიმდგარ სკამზე
ჩამომჯდარიყო, საუბრის დაწყება დააპირა, მაგრამ კისერწაგრძელებული,
მოსასმენად მომზადებული ორი ბებრუხანა დაინახა.
- გაყარეთ, - მისუსტებული ხმით თქვა ავადმყოფმა, - მალე, მალე!
- ბებრუხანები ერთხმად აყვირდნენ და წუწუნებდნენ, რომ საბრალო ძალიან
ცუდად არის, ისინი მისი საუკეთესო მეგობრები არიან, რომ არავითარ
შემთხვევაში მარტოს არ დატოვებენ, მაგრამ მისის კორნიმ ორივე ოთახიდან
გაყარა და კარი ჩაკეტა. შემდეგ ისევ საწოლთან ჩამოჯდა. საკლიტულიდან
ბებრუხანების ყვირილი ისმოდა, რომ მოხუცი სალი მთვრალია; ეს
სიმართლესთან ახლოს იყო, რადგან ავთიქარის მიერ გამოწერილ ოპიუმის
მისაღებ დოზას დაემატა წყალში გაზავებული ჯინის უკანასკნელი ულუფა,
რომლითაც მალულად გაუმასპინძლდნენ გულკეთილი მეგობრები, პატივსაცემი
მოხუცი ქალბატონები.

- ახლა მისმინეთ! - ხმამაღლა თქვა მომაკვდავმა და სალაპარაკოდ ძალ-ღონე გაჭირვებით მოიკრიბა, - ოდესღაც ამ ოთახში ერთ ახალგაზრდა ლამაზ ქალს ვუვლიდი, რომელიც სწორედ ამ საწოლზე იწვა. აქ ხანგრძლივი სიარულით დასახიჩრებული, დასისხლიანებული, ტალახით დაფარული ფეხებით მოიყვანეს. ბიჭი გააჩინა და მოკვდა. ახლა გავიხსენებ... რომელი წელი იყო?

- მნიშვნელობა არა აქვს წელს, - მოუთმენლად ჩაერია მისის კორნი, - მერე, რა იცით მასზე?

- მერე... - წაიჩურჩულა ავადმყოფმა და ისევ ძილ-ბურანში ჩავარდა, - კიდევ რა ვთქვა, კიდევ რა... ჰო, ვიცი! - წამოიძახა უეცრად გამოფხიზლებულმა და სწრაფად გასწორდა; სახე აჭარხლებოდა, თვალები ლამის თვალბუდიდან გადმოსცვენოდა, - გავქურდე. ჰო, აი, რა ჩავიდინე! გაცივებულიც კი არ იყო, გეუბნებით, ჯერ ისევ თბილი იყო მისი სხეული, როცა ეს მოვიპარე!

- რა მოიპარეთ, ბოლოს და ბოლოს, იტყვიან თუ არა? - წამოიძახა მისის კორნიმ და ისე შეტრიალდა, თითქოს დასახმარებლად დამახებვას აპირებდა.

- რაღაც ნივთი, - უპასუხა ქალმა და პირზე ხელი დააფარა, - ერთადერთი ნივთი, რაც თან ჰქონდა. რომ არ შესცივროდა, სამოსი სჭირდებოდა, არც საჭმელი ჰქონდა, მაგრამ ამ ნივთს ინახავდა, გულზე ეკიდა. გეუბნებით, ნივთი ოქროსი იყო! სუფთა ოქროსი, რომელსაც მისი სიცოცხლის გადარჩენა შეეძლო!

- ოქრო! - გაიმეორა მისის კორნიმ და მომაკვდავის ბალიშისკენ დაიხარა, - თქვით, განაგრძეთ... მერე რა მოხდა? სად არის დედა? როდის მოხდა?

- მე დამავალა, შემენახა, - კვნესით განაგრძო ავადმყოფმა, - და მენდო, როგორც ერთადერთ ქალს, რომელიც იმ წუთებში მის გვერდით იყო. მაჩვენა ეს ნივთი, ყელზე რომ ეკიდა და მაშინვე გადავწყვიტე, მომეპარა. შეიძლება ცოდვად ბავშვის სიკვდილიც მაწევს! ეს რომ სცოდნოდათ, იქნებ პატარას უკეთ მოპყრობოდნენ.

- რა რომ სცოდნოდათ? - შეეკითხა მისის კორნი, - თქვით!

- ბიჭი გაიზარდა და დედას ისე ძალიან ჰგავდა, - არეულ-დარეულად განაგრძო ქალმა და შეკითხვას ყურადღება არ მიაქცია, - რომ ვერასოდეს დავივიწყე ეს ამბავი, მის სახეს შევხედავდი თუ არა, მაშინვე ის ქალი მახსენდებოდა. საბრალო! საბრალო! ისეთი ახალგაზრდა იყო! ისეთი თვინიერი! მოიცათ, კიდევ რაღაც უნდა გითხრათ. ყველაფერი ხომ არ მომიყოლია?

- არა, არა, - უპასუხა ბალიშისკენ დახრილმა მისის კორნიმ, რომ უკეთ გაეგო მომაკვდავის მისუსტებული ხმა, - მალე, თორემ მერე გვიან იქნება!

- დედამ, - თქვა მომაკვდავმა და კიდევ მეტი ძალა დაატანა თავს, - როცა სასიკვდილო აგონიის დრო მოვიდა, დედამ მიჩურჩულა, რომ თუ მისი შვილი

ცოცხალი დაიბადებოდა და გაიზრდებოდა, ალბათ, დადგებოდა დღე, როდესაც

საბრალო დედამისის ამბავს გაიგებდა და არაფრისა შერცხვებოდა. „ოჰ, ღმერთო! - თქვა მან, - ბიჭი იქნება თუ გოგონა, მწუხარებით აღსავსე ამ წუთისოფელში მეგობრები მოუვლინე და დაიფარე საბრალო, მარტოხელა, ბედის

ანაბარა მიტოვებული ბავშვი!“

- ბიჭს რა ერქვა? - შეეკითხა მისის კორნი.

- ოლივერი დაარქვეს, - მისუსტებული ხმით უპასუხა მომაკვდავმა, - ოქროს ნივთი, რომელიც მოვიპარე...

- ჰო, ჰო... თქვით! - წამოიყვირა მნე ქალმა.

დამაბული დაიხარა ქალისკენ, მისი პასუხი რომ გაეგონა, მაგრამ უნებურად უკან დაიხია, როდესაც ის ნელა, წელში გამართული, ისევ წამოჯდა საწოლზე,

მერე ორივე ხელი საბანს ჩასჭიდა, რაღაც გაუგებარი წაიბურტყუნა და ბალიშებზე გადაესვენა.

- მოკვდა! - წამოიძახა ერთ-ერთმა ბებრუხანამ, რომელიც კარის გაღებისთანავე ოთახში შევარდა.

- და არც არაფერი უთქვამს, - დაამატა მნე ქალმა და ოთახიდან მშვიდად გავიდა.

ორივე ბებრუხანა მეტისმეტად დაკავებული იყო შემადრწუნებელი მოვალეობის აღსრულებით და პასუხი არ გაუციათ - ისინი ცხედარს დასტრიალებდნენ თავს.

თავი 25 ისევ მისტერ ფეიჯინისა და კომპანიის შესახებ

პროვინციაში მდებარე ამ შრომის სახლში ვიდრე ასეთი ამბები ხდებოდა, მისტერ ფეიჯინი თავის ძველ ბუნაგში იჯდა - სწორედ იმაში, საიდანაც გოგონამ

ოლივერი წაიყვანა - და აკვამლებულ ბუხართან ფიქრებს მისცემოდა.

მუხლებზე

ედო საბერველი, რომლითაც ცეცხლის აბრიალებას აპირებდა, მაგრამ, ეტყობა,

რაღაც ფიქრმა გაუელვა, ახლა საბერველზე ხელებდაყრდნობიდა ნიკაპქვემ ცერები ამოედო და უგულისყუროდ მისჩერებოდა ბუხრის დაჟანგულ ცხაურას.

მის ზურგს უკან მაგიდასთან ცულლუტი, ყმაწვილი ჩარლი ბეიტსი და მისტერ

ჩიტლინგი ისხდნენ; სამივე გატაცებით თამაშობდა ვისტს; ცულლუტი ყმაწვილი

ბეიტსისა და მისტერ ჩიტლინგის მოწინააღმდეგე იყო. დასახელებულთაგან პირველი ჯენტლმენის მუდამ გასაოცრად აზრიანი გამომეტყველება ახლა განსაკუთრებით საინტერესო გახლდათ თამაშისადმი სერიოზული დამოკიდებულებისა და კიდევ იმის გამოც, რომ ის დროდადრო შემთხვევას

ხელიდან არ უშვებდა და ფხიზლად აკვირდებოდა მისტერ ჩიტლინგის ბანქოს, თავის სვლას იმ ბანქოს უხამებდა, რომელიც მეზობელს ხელთ ჰქონდა. ცივი ღამე იდგა, ცუდლუტი ქუდით იჯდა, მუდმივად ქუდის ტარება ჩვევად ჰქონდა. კბილებით თიხის ჩიბუხს ჩასჭიდებოდა და მხოლოდ მაშინ ელეოდა, როდესაც საჭიროდ თვლიდა მთელი კომპანიის გასართობად მაგიდაზე მდგარი კვარტიანი ტოლჩიდან წყალგარეული ჯინი ჩამოესხა და მომაგრებულიყო.

ყმაწვილი ბეიტსიც ყურადღებით ეკიდებოდა თამაშს, მაგრამ რაკი უფრო მგრძნობიარე ბუნების გახლდათ, შეიძლებოდა იმის შემჩნევა, რომ უფრო ხშირად ისხამდა ჯინს და გარდა ამისა, თავის გამხიარულებას ცდილობდა ამ უაღრესად სერიოზული თამაშისთვის სრულიად შეუფერებელი ხუმრობებითა და

უხამსი რეპლიკებით. ცუდლუტმა, როგორც ჩარლის განუყრელმა მეგობარმა, თავისი მდგომარეობით ისარგებლა და რამდენჯერმე უსაყვედურა ასეთი უგუნური საქციელის გამო, მაგრამ ყმაწვილი ბეიტსი გულდიად ხვდებოდა ამგვარ

შენიშვნებს, ხოლო მეგობარს ჯანდაბაში წასვლას ან თავის სილაში ჩაყოფას უსურვებდა, ან სხვა მსგავსი მოხდენილი ხუმრობით უპასუხებდა, რაც მეტისმეტად ადაფრთოვანებდა მისტერ ჩიტლინგს. აღსანიშნავია, რომ ეს ჯენტლმენი პარტნიორთან ერთად მუდმივად აგებდა და ეს გარემოება არათუ სწყინდა ყმაწვილ ბეიტსს, არამედ უდიდეს კმაყოფილებას ანიჭებდა, რადგან ყოველი ხელის შემდეგ იქაურობას ხარხარით იკლებდა და ყველას არწმუნებდა,

რომ არასოდეს უთამაშია ასეთი მხიარული თამაში.

-- ორი ორმაგი და ობერი მომეცი, - თქვა სახეწაგრძელებულმა მისტერ ჩიტლინგმა და ჟილეტის ჯიბიდან ნახევარკრონიანი ამოიღო, - პირველად ვხედავ

შენისთანა ყმაწვილს, ჯეკ; მუდამ შენ იგებ. მაშინაც კი, როდესაც მე და ჩარლის

კარგი ბანქო გვაქვს, ვერაფერს გიხერხებთ.

თავად ფაქტმა ან იმ სევდიანმა ტონმა, რომლითაც ეს სიტყვები ითქვა, ყმაწვილი ჩარლი ბეიტსი ისე ადაფრთოვანა, რომ ხარხარის მორიგი შემოტევა დაეწყო, რამაც ებრაელიც კი გამოიყვანა ფიქრებიდან და იკითხა, რა მოხდაო.

- ფეიჯინ, - იყვირა ჩარლიმ, - ცუდია, თამაშს თვალს რომ არ ადევნებდით.

ტომი ჩიტლინგმა ვერც ერთხელ ვერ მოიგო, მასთან ერთად ცუდლუტს ვეთამაშებოდით.

- აჰ, აჰ! - თქვა ებრაელმა ისეთი ღიმილით, რაც ააშკარავებდა, რომ კარგად

ესმოდა, რაზეც იყო საუბარი, - ტომ, კიდევ სცადეთ, კიდევ!

- დიდი მადლობა, მისტერ ფეიჯინ, მეყოფა, - უპასუხა მისტერ ჩიტლინგმა, - ამ

ცუდლუტს ყველაფერში უმართლებს, მაგის მეტოქეობა ძალიან ძნელია.

- ჰა-ჰა-ჰა, ჩემო ძვირფასო, - გაიცინა ებრაელმა, - დილით ადრე ადექით და ცულლუტს მაშინ აჯობებთ.

- დილით! - გაიმეორა ჩარლი ბეიტსმა, - თუ გინდათ, აჯობოთ, მთელი ღამე წაღები არ უნდა გაიხადოთ, ორივე თვალზე ტელესკოპი მიიღოთ და მხარზე კიდევ ბინოკლის ჩამოკიდება არ დაგავიწყდეთ.

მისტერ დაუკინსი ამ კომპლიმენტებს ფილოსოფიური სიმშვიდით ისმენდა და შეკრებილთაგან ნებისმიერ მსურველს შესთავაზა, შილინგს ჩამოსულიყვნენ და პირველივე ბანქო ამოეტრიალებინათ, რაც მის დასახელებულ კარტს დაემთხვეოდა. გამოწვევა არავინ მიიღო, ჩიბუხიც იმ დროისთვის უკვე მოწეული ჰქონდა, ამიტომ გასართობად მაგიდაზე ნიუგეიტის ციხის ხედის ხატვა დაიწყო ცარცის ნატეხით, რომელიც ქეტონის მაგივრობას უწევდა; თან დიდხანს და ყურისწამლებად უსტვენდა. ცულლუტმა სტვენა შეწყვიტა და დიდხანს დუმდა, მერე მისტერ ჩიტლინგს მიუბრუნდა:

- რა მოსაწყენი ხართ, ტომ! თქვენი აზრით, ახლა რაზე ფიქრობს, ფეიჯინ?

- საიდან უნდა ვიცოდე, ჩემო ძვირფასო? - მოიხედა და ისე უპასუხა ებრაელმა, რომელიც ცეცხლს აღვივებდა, - იქნებ დღევანდელ წაგებაზე ან იმ მიყრუებულ ადგილზე პროვინციაში, რომელიც ცოტა ხნის წინ დატოვა. ჰა-ჰა-ჰა!
ასეა, ჩემო ძვირფასო?

- არაფერიც, - გააწყვეტინა ცულლუტმა მისტერ ჩიტლინგს, რომელიც ის-ის იყო, ხმის ამოდებას აპირებდა, - ჩარლი, შენ რას ფიქრობ?

- იმას ვიტყვი, - ჩაიცინა ყმაწვილმა ბეიტსმა, - რომ ჰკუას კარგავს ბეტისთვის. შეხედეთ, გაწითლდა. ღმერთო! ტომი ჩიტლინგი შეყვარებულია! ოჰ, ფეიჯინ, ფეიჯინ! რა სასაცილოა!

ნაზად შეყვარებული მისტერ ჩიტლინგის გამომეტყველებით შეძრული ყმაწვილი ბეიტსი ისე მძლავრად მიაწვა სკამის საზურგეს, რომ წონასწორობა დაკარგა და იატაკზე მოადინა ზღართანი; ასე გამხლართული იწვა, ვიდრე ხარხარით გული არ იჯერა; მერე თავის ადგილს დაუბრუნდა და ისევ ახარხარდა.

- ჩემო ძვირფასო, ყურადღებას ნუ მიაქცევთ, - თქვა ებრაელმა, ცულლუტს თვალი ჩაუკრა და სასჯელის ნიშნად ყმაწვილ ბეიტსს საბერვლის ცხვირი ჩასცხო, - ბეტი მშვენიერი გოგონაა. ხელიდან არ გაუშვათ, ტომ, ხელიდან არ გაუშვათ!

- ფეიჯინ, მარტო იმის თქმა მინდა, რომ ეს არავის საქმე არ არის, - თქვა მისტერ ჩიტლინგმა და გაწითლდა.

- რასაკვირველია, - დაუდასტურა ებრაელმა, - ჩარლი თავისთვის ერთობა. ყურადღებას ნუ მიაქცევთ, ჩემო ძვირფასო. ბეტი არაჩვეულებრივი გოგონაა.

ყველაფერი ისე გააკეთეთ, როგორც ბეტი გეტყვით და გამდიდრდებით, ტომ.

- ასეც ვიქცევი, ყველაფერს ისე ვაკეთებ, როგორც მირჩევს, - უპასუხა მისტერ

ჩიტლინგმა, - მისი რჩევისთვის რომ დამეჯერებინა, არც ჩამავლებდნენ. ამით

თქვენც კოჭი აღჩუხე დაგიჯდათ, ხომ მართალია, ფეიჯინ? ექვსი კვირა სალაპარაკოდაც არ ღირს. ადრე თუ გვიან, ეს მოხდებოდა, მაგრამ ზამთარში უკეთესია, ქუჩებში არ გექნება საყიადო. ხომ მართალი ვარ, ფეიჯინ?

- სრულ სიმართლეს ამბობთ, ჩემო ძვირფასო, - უპასუხა ებრაელმა.

- ტომ, რაკი ბეტი ასეთ კარგ რჩევას გაძლევს, - ცულლუტმა ებრაელს თვალი

ჩაუკრა, - კიდევ ერთხელ ხომ არ ჩაჯდებოდი?

- იმის თქმა მინდა, რომ უარს არ ვიტყვოდი! - ბრაზიანად თქვა ტომმა, - და

საერთოდაც, გეყოფათ! ძალიან მაინტერესებს, ჩემ გარდა კიდევ ვინმე თუ იტყოდა ასეთ რამეს, ფეიჯინ?

- არავინ, ჩემო ძვირფასო, - უპასუხა ებრაელმა, - ვერც ერთი სხვა ადამიანი,

ტომ. არავის ვიცნობ, თქვენ გარდა, ვისაც ასეთი რამის თქმა შეუძლია.

არავის,

ჩემო ძვირფასო.

- რომ ჩამეშვა, გამიშვებდნენ. ხომ ასეა, ფეიჯინ? - გაღიზიანებული განაგრძობდა აზუჩად აგდებული, საბრალო გონებასუსტი ყმაწვილი, - ამისათვის

ერთი სიტყვის თქმაც საკმარისი იყო, ხომ ასეა, ფეიჯინ?

- რასაკვირველია, ჩემო ძვირფასო, გაგიშვებდნენ, - უპასუხა ებრაელმა.

- მაგრამ ხმა არ ამომიღია. ხომ მართალია, ფეიჯინ? - თქვა ტომმა, რომლის

შეკითხვები ერთმანეთს მოსდევდა.

- არა, რასაკვირველია, არაფერი გითქვამთ; ძალიან მამაცი ხართ. ძალიან მამაცი, ჩემო ძვირფასო!

- შესაძლოა, ეს მართალიც არის, - მიიხედ-მოიხედა ტომმა, - მაგრამ რატომ

არის ასეთი სასაცილო, ფეიჯინ?

ებრაელი მიხვდა, რომ მისტერ ჩიტლინგი მართლაც გაღიზიანებული იყო, ამიტომ სცადა, დაერწმუნებინა, არავინ დაგცინისო; დამსწრეებიც რომ აეყოლებინა, პირველად ყმაწვილ ჩარლი ბეიტსს უსაყვედურა. მაგრამ, საუბედუროდ, ჩარლიმ ის იყო, თქმა დააპირა, ცხოვრებაში უფრო სერიოზული

არასოდეს ვყოფილვართ, რომ უეცრად თავმეუკავებლად ახარხარდა;

შეურაცხყოფილმა მისტერ ჩიტლინგმა ველარ მოითმინა და ეცა, მაგრამ ჩარლიმ

მოასწრო განზე გახტომა და ისეთი შესაფერისი მომენტი შეარჩია, რომ დარტყმა მკერდში მოხვდა მხიარულ მოხუც ჯენტლმენს; ის შეტორტმანდა და უკან, კედლისკენ დაიხია, სადაც შეჩერდა კიდეც. აქოშინებული მისტერ ჩიტლინგი თვალეზგაფართოებული, დაშინებული მისჩერებოდა.

- ჩუმად! - დაიყვირა ამ დროს ცულლუტმა, - ვიღაც რეკავს.

სანთელი აიღო და ფეხის წვერებზე აუყვა კიბეს.

ისევ გაისმა დაჟინებული რეკვის ხმა. დანარჩენები სიბნელეში ისხდნენ. ცულლუტი მალე დაბრუნდა და საიდუმლო სახით ფეიჯინს რაღაც უჩურჩულა.

- როგორ? - წამოიყვირა ებრაელმა, - მარტო?

დასტურის ნიშნად ცულლუტმა თავი დაუქნია, ხელით მოიჩრდილა სანთლის ალი და ჩარლი ბეიტსს უხმოდ ანიშნა, რომ ხუმრობის დრო ახლა არ იყო. მეგობრისთვის ამ სამსახურის გაწევის შემდეგ ისევ ებრაელს მიაჩერდა და მის ბრძანებას დაელოდა.

რამდენიმე წამს მოხუცი ყვითელ თითებს იკვნეტდა და ფიქრობდა; მღელვარებისგან სახის კუნთები უტოკავდა, თითქოს რაღაცის ეშინოდა და ყველაზე უარესის გაგებას თავს არიდებდა.

- სად არის? - იკითხა ბოლოს.

ცულლუტმა ჭერზე მიუთითა და თან თითქოს ოთახიდან გასასვლელად მოემზადა.

- ჰო, - უპასუხა ებრაელმა უტყვ შეკითხვაზე, - აქ ჩამოიყვანე, ქვემოთ. ჩჩჩ!

ჩუმად, ჩარლი! დაწყნარდით, ტომ! აქედან დამეკარგეთ!

ჩარლი ბეიტსმა და მისმა ცოტა ხნის წინანდელმა მოწინააღმდეგემ ბრძანება დაუყოვნებლივ ასრულეს. მათ ყოფნას ჩქამიც კი არ გასცემდა, როდესაც ცოტა

ხნის შემდეგ ცულლუტმა კიბე ჩაიარა სანთლით ხელში, მას კი მუშის ხალათში

გამოწყობილი მამაკაცი მიჰყვებოდა; ამ უკანასკნელმა ოთახში შესვლისთანავე ფხიზლად მოათვალიერა იქაურობა, შემდეგ ფართო ყელსახვევი, რომელიც სახის ქვედა ნაწილს უფარავდა, მოიხსნა და გაქნილი ტობი კრეკიტის დაღლილი,

დაუბანელი და გაუპარსავი სიფათი გამოჩნდა.

- ფეიჯინ, როგორ ხართ? - შეეკითხა ეს პატივცემული ჯენტლმენი ებრაელს, -

ეს ყელსახვევი ჩემს კასტორის

ქუდში ჩადე, ცულლუტო, მერე საძებარი რომ არ გამიხდეს. რა დრო დადგა! შენგან მშვენიერი მძარცველი გამოვა, ამ ბებერ გაიძვერას აჯობებ.

ამ სიტყვების შემდეგ შარვლიდან ხალათის კალთა ამოიწია და წელზე შემოიხვია, მერე სკამი ცეცხლთან მიიწია და ფეხები ბუხრის ცხაურაზე შემოაწყო.

- შეხედეთ, ფეჯი, - უკმაყოფილოდ დააცქერდა თავის ჩექმებს, - კარგად იცით, უკვე რამდენი დღეა ერთხელაც არ მიჰკარებიათ დეისა და მარტინის ვაქსი!

რას მომშტერებიხართ, ბებერო! ყველაფერს თავისი დრო აქვს. საქმეზე იქამდე

ვერ ვილაპარაკებ, სანამ არ შევქამ და დავლევ. საქმელი მოიტანეთ და პირველად ამ სამი დღის განმავლობაში მშვიდად ჭამის საშუალება მომეცით!

ებრაელმა ხელით ანიშნა ცულლუტს, სუფრა გააწყვეო, მერე მძარცველის პირდაპირ ჩამოჯდა და დაელოდა.

ეტყობოდა, ტობი საუბრის დაწყებას სრულებით არ ჩქარობდა. ებრაელი თავიდან იმით დაკმაყოფილდა, რომ მის სახეს გულდასმით აკვირდებოდა, თითქოს მისი გამომეტყველებით სურდა, გამოეცნო, რა ამბავი მოიტანა, მაგრამ

სულ ამოდ. ტობი დაღლილი და არაქათგამოცლილი კი იყო, მაგრამ ჩვეულებისამებრ კეთილმოსურნესა და მშვიდს ქჭუყყის, გაუპარსავი წვერისა და

ბაკენბარდების მიუხედავად, სახეზე ისევ ის, გაქნილი კრეკიტის თვითკმაყოფილი და სულელური ღიმილი ეფინა. მაშინ ებრაელმა, რომელსაც მოთმინების ფიალა აევსო, ყველა ლუკმის დათვლა დაიწყო, რომელსაც კრეკიტი

ყლაპავდა და რაკი მღელვარებას ვეღარ უმკლავდებოდა, ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა. ისევ ამოდ. ტობი უზადო გულგრილობით ჭამდა იქამდე, ვიდრე

მუცელი არ ამოიყორა; მერე ცულლუტს ოთახიდან გასვლა უბრძანა, კარი ჩაკეტა,

წყალგარეული ჯინი დაისხა და საუბარი დაიწყო.

- უპირველესად, ფეჯი, - თქვა ტობიმ.

- ჰო, ჰო! - შეაწყვეტინა ებრაელმა და სკამი ახლოს მისწია.

მისტერ კრეკიტმა ჯინი მოსვა და განაცხადა, ნამდვილად საუცხოოაოთ; მერე ფეხები ბუხრის ცხაურას ისე მიაბჯინა, რომ ჩექმის წვერები მის თვალებს უსწორდებოდა, და განაგრძო:

- უპირველესად, ფეჯი, - თქვა მძარცველმა, - ბილი როგორაა?

- რაო?! - იყვირა ებრაელმა და სკამიდან წამოხტა.

- როგორ, გინდათ თქვათ, რომ... - გაფითრდა ტობი.

- მინდა! - დაიღრიალა ებრაელმა და განრისხებულმა ფეხები ააბაკუნა, - სად

არიან? საიკსი და ბიჭი! სად? სად იყვნენ? სად იმალებოდნენ? აქ რატომ არ მოვიდნენ?

- გაქურდვა ჩაფლავდა! - ჩუმიად თქვა ტობიმ.

- ეს ვიცი, - თქვა ებრაელმა და ჯიბიდან გაზეთი ამოაძვრინა, - მერე?

- ისროლეს და ბიჭს მოხვდა. მასთან ერთად გავიქეციოთ სახლის უკან,

მინდვრებში. იმაზე სწრაფად მივრბოდით, ვიდრე ყვავი დაფრინავს...
ლობეებსა
და თხრილებს ვახტებოდით. მოგვდევენ. ჯანდაბა! ახლომახლო ვინც
ცხოვრობდა, ყველას გაელვია, ძაღლები დაგვადევნეს...

- ბიჭი?

- ბილის ზურგით მიჰყავდა, ქარივით მიქროდა. მერე გავერდით, რომ
ორივეს
ერთად გვეტარებინა; თავი ჰქონდა გადავარდნილი და სულ ცივი იყო. უკვე
ძალიან ახლოს იყვნენ. ასეთ დროს ყველა იმაზე ფიქრობს, სახრჩობელას
როგორ დაუძვრეს! დავიშალეთ, ბიჭი კიდევ თხრილში ჩავაწვინეთ. არ ვიცი,
ცოცხალია თუ მკვდარი.

ებრაელმა მეტის გაგონება აღარ ისურვა. თმაში ხელები წაივლო და აყვირდა,
მერე ჯერ ოთახიდან, შემდეგ კი სახლიდან გაიქცა.
თავი 26 მოცემულ თავში ასპარეზზე იდუმალიარსება
გამოჩნდება და ამ თავგადასავალთანდაკავშირებული
ბევრი რამ მოხდება

ვიდრე ტობი კრეკიტის ნამზობით მიღებული თავზარდამცემი შთაბეჭდილება
გაუვლიდა, მოხუცმა ქუჩის კუთხემდე მირბენა მოასწრო. ისევ საოცარი
სისწრაფით გარბოდა, დაბნეული და გონდაკარგული, როდესაც კარეტამ
ჩაუქროლა და მხოლოდ გამვლელების ყვირილმა მიახვედრა, რა საშიშროება
ემუქრებოდა, ამიტომ ტროტუარზე ავიდა. ხალხმრავალ ქუჩებს
შემღებდა დაგვარად გაურბოდა, შემოვლითი გზებითა და ჩიხებით ბოლოს
სნოუ-ჰილთან გავიდა. აქ კიდევ უფრო აუჩქარა ნაბიჯს და მანამდე არ
შეჩერებულა, ვიდრე რომელიმე ეზოში არ შევიდა, სადაც თავი
სამშვიდობოს
დაიგულა და ჩვეულებისამებრ წაჩანჩალდა, თან სუნთქვაც დაიწყნარა.

იმ ადგილის სიახლოვეს, სადაც სნოუ-ჰილი ჰოლბორნ-ჰილს უერთდება,
სიტიდან ხელმარჯვნივ თუ წახვალთ, ერთი ვიწრო და პირქუში შესახვევი
იწყება,
რომელიც საფრონ-ჰილამდე მიდის. ამ შესახვევის ბინძურ ფარდულებში
გასაყიდად არის გამოტანილი აბრეშუმის ნახმარი ცხვირსახოცები, ყველანაირი
ზომისა და ფერის, რადგან აქ ის მოვაჭრეები ცხოვრობენ, რომლებიც
ცხვირსახოცებს ჯიბის ქურდებისგან ყიდულობენ. ფანჯრებს მიღმა
ლურსმნებზე
ასობით ცხვირსახოცი კიდია ან კარების წირთხლზეა დამაგრებული, ხოლო
ფარდულებში მთელი თაროები ცხვირსახოცების გროვებითაა დაფარული.
ფილდ-ლეინის საზღვრები მეტად ვიწროა, მაგრამ აქ ჰყავთ საკუთარი
დალაქი,
არის ყავის სახლი, ლუდხანა და შემწვარი თევზის გასაყიდი ფარდულიც.
აქაურობა ერთგვარი სავაჭრო კოლონიაა, წვრილფეხა ქურდების ბაზარი,
რომელსაც დილით ადრე ან მოსაღამოებულზე მდუმარე მოვაჭრეები აკითხავენ
და თავიანთ საქმეებს ბნელ უკანა ოთახებში აგვარებენ, შემდეგ ისევ
მოულოდნელად უჩინარდებიან, როგორც გამოჩნდნენ. ტანსაცმლის
გამყიდველს,
ხარახსა და მეძველმანეს თავიანთი საქონელი გამოუფენიათ, რაც წვრილფეხა
ქურდისთვის აბრას ცვლის; ამ ფარდულებში დახვავებულია დაჟანგული
რკინა-კავეული და ძვლები, შალის ქსოვილებისა და სელის ობმოკიდებული
თოფები ბნელ და ნესტიან სარდაფებში ღებება.

სწორედ ამ ქუჩაზე შეუხვია ებრაელმა. აქაურობის ავადმყოფური შესახედაობის მკვიდრით კარგად იცნობდა; ისინი, ვინც რაიმეს გასაყიდად ან შესასყიდად თავიანთ ადგილებზე იდგნენ, თავის დაქნევით ესალმებოდნენ, როგორც დიდი ხნის ნაცნობს, როდესაც მათ ჩაუვლიდა. მისალმებაზე თავადაც თავის დაქნევით პასუხობდა, მაგრამ მათთან სასაუბროდ არ ჩერდებოდა და ნაბიჯი არ შეუწელებია, ვიდრე შესახვევის ბოლოს არ მიაღწია; აქ შეჩერდა და გამოელაპარაკა ერთ ტანდაბალ მოვაჭრეს, რომელიც ძლივძლივობით ჩაკვებულებიყო საბავშვო სკამში და თავისი ფარდულის შესასვლელთან ჩიბუხს ეწეოდა.

- თქვენს დანახვას, ფეიჯინ, შეუძლია სიბრმავე განკურნოს! - ასეთი იყო ამ ღირსეული მოვაჭრის პასუხი ებრაელის შეკითხვაზე მისი ჯანმრთელობის შესახებ.

- აქ, სულ ახლოს, ამას წინათ ძალიან დაცხა, ლაივლი, - თქვა ფეიჯინმა, წარბები ასწია და გულხელი დაიკრიფა.

- ჰო, უკვე ორჯერ დაიწუწუნეს ამის თაობაზე, - უპასუხა მოვაჭრემ, - მაგრამ ცეცხლი მალე ქრება, ხომ ასეა?

თანხმობის ნიშნად ებრაელმა თავი დაუქნია, მერე საფრონ-ჰილისკენ გაიშვირა ხელი და ჰკითხა, იქით ვინმე ხომ არ მისულა დღეს საღამოსო.

- „ხეიბრებში“? - დაინტერესდა მოვაჭრე.

ებრაელმა ისევ თავი დაუქნია.

- მოიცადეთ, - ჩაფიქრდა მოვაჭრე, - ხუთი თუ ექვსი კაცი კი წავიდა იქით, მაგრამ მათ შორის თქვენი მეგობარი არ ყოფილა.

- საიკსი იქ არ არის? - შეეკითხა ძალიან აღელვებული ებრაელი.

-- როგორც სამართალდამცველები ამბობენ, M0ი I\$LV8იLV5,

- ასეთი იყო მოვაჭრის პასუხი, რომელმაც თავიც გადააქნია და ძალიან ეშმაკური

გამომეტყველება მიიღო, - ჩემთვის თუ გაქვთ დღეს რაიმე?

- დღეს არაფერია, - თქვა ებრაელმა და გაშორდა.

- ფეიჯინ, „ხეიბრებში“ მიდიხართ? - დაადევნა მოვაჭრემ, - მოიცათ! თქვენთან ერთად ერთ ჭიქას სიამოვნებით გადავკრავ.

მაგრამ რაკი ებრაელი მიბრუნდა და პასუხად მხოლოდ ხელი ჩაიქნია, რაც იმას ნიშნავდა, რომ მარტო ყოფნა სურს, გარდა ამისა, მოვაჭრეს საბავშვო სკამიდან ამოდრომა გაუჭირდა, ამჯერად დუქანი „ხეიბრები“ მისტერ ლაივლის

ყურადღების გარეშე დარჩა. როდესაც ის, ბოლოს და ბოლოს, სკამიდან ადგა,

ებრაელი უკვე თვალს მიეფარა; მისტერ ლაივლი ფეხის წვერებზე დადგა იმ იმედით, რომ დაინახავდა, მაგრამ ამაოდ, ამიტომ ისევ საბავშვო სკამში

ჩაეკვება, თავისი ეჭვი და უნდობლობა მოპირდაპირე მხარეს მდებარე ფარდულში მოვაჭრე ლედის თავის დაკვრაზე ასევე თავის დაკვრით გამოხატა და საზეიმო სახით ისევ ჩიბუხს მიუბრუნდა.

„სამი ხეივანი“ ან, უფრო მოკლედ, „ხეივრები“, როგორც ამ დაწესებულების მუდმივი სტუმრები უწოდებდნენ, ის დუქანი იყო, სადაც ხშირად დადიოდა მისტერ საიკსი თავის ძაღლთან ერთად. დახლთან მდგარ კაცს ფეიჯინმა რაღაც ანიშნა და კიბეზე ავიდა, კარი გააღო და ოთახში შეუმჩნევლად შესულმა იქაურობა გულდასმით მოათვალიერა მოჩრდილული თვალებით, თითქოს ვიღაცას ეძებდა.

ოთახს გაზის ორი სანთურა ანათებდა; მჭიდროდ დახურული დარაბებისა და გახუნებული წითელი ფარდების წყალობით ქუჩიდან სინათლე არ შემოდის.

ოთახის ჭერი შავად შეეღებათ, რომ ჭვარტლს არ დაელაქავებინა. თამბაქოს ისეთი კვამლი იდგა, თავდაპირველად რაიმეს გარჩევა შეუძლებელი გახლდათ.

მაგრამ თანდათან კვამლი გამოღებული კარის წყალობით გაიფანტა და ოთახში ადამიანების უწესრიგო თავყრილობა გამოჩნდა. თვალის შეჩვევის შემდეგ ცხადი გახდა, რომ მრავალრიცხოვანი საზოგადოება, ქალები და მამაკაცები, გრძელი მაგიდის გარშემო შეკრებილიყო; მაგიდის თავში ჩაქუჩით ხელში თავმჯდომარე იჯდა, ხოლო შორეულ კუთხეში, დანჯღრეულ ფორტუკიანოსთან –

პროფესიონალი ჯენტლმენი

აჭარხლებული ცხვირითა და კბილის ტკივილის გამო ახვეული ყბით.

ოთახში ფეიჯინის უჩუმრად შესვლისთანავე პროფესიონალმა ჯენტლმენმა კლავიშებზე თითებით გადაირბინა, ხოლო ამ პრელუდიის საპასუხოდ შეკრებილებმა სიმღერების შესრულება მოითხოვეს; როგორც კი ყვირილი მიწყდა, ახალგაზრდა ლედიმ მათი სმენა ოთხსტროფიანი ბალადის შესრულებით დაატკბო, ხოლო სტროფებს შორის აკომპანიატორი მთელ მელოდიას რაც შეიძლება ხმამაღლა თავიდან ბოლომდე იმეორებდა. ამის შემდეგ თავმჯდომარემ თავისი მოსაზრება გამოთქვა, მერე მის ხელმარცხნივ და

ხელმარჯვნივ მსხდომმა პროფესიონალებმა დუეტის შესრულების სურვილი გამოთქვეს და დიდი წარმატებითაც იმღერეს.

შეკრებილთაგან ზოგიერთის სახეზე დაკვირვება მეტად საინტერესო იყო. უპირველესად გამოირჩეოდა თავმჯდომარე (ის გახლდათ დაწესებულების მფლობელი, უხეში, ტლუ, ზორბა მამაკაცი, რომელიც, ვიდრე მღეროდნენ, თვალს აქეთ-იქით აცეცებდა, თავს აჩვენებდა, რომ საყოველთაო მხიარულებაში მონაწილეობდა, ხედავდა ყველაფერს, რაც ხდებოდა, ესმოდა ყველაფერი, რასაც ამბობდნენ, მხედველობა და სმენა კი უმახვილესი ჰქონდა.

მასთან ახლოს მომღერლები ისხდნენ, რომლებიც დამსწრეთაგან ხოტბას პროფესიული გულგრილობით ისმენდნენ და დროდადრო წრუპავდნენ წყალგარეულ ჯინს ათობით ჭიქიდან, რომლებიც მათი თავაწყვეტილი თავყვანისმცემლების მირთმეული გახლდათ; ამ უკანასკნელთა სახეებზე ყველა ცოდვა ყველა შესაძლო სტადიაში იყო აღბეჭდილი და ისინი ყურადღებას სწორედ ამაზრუნობით იპყრობდნენ. ცბიერება, სისასტიკე, მემთვრალეობა – აი,

რა იკითხებოდა მათ სახეებზე. ქალებს რაც შეეხება, ზოგიერთს ჯერ კიდევ შეენარჩუნებინა ახალგაზრდული სიხასხასე, რომელიც დამკვირვებლის თვალწინ

ინავლებოდა; სხვებს კი სრულებით დაეკარგათ საკუთარი სქესის ნიშნები – მხოლოდ და მხოლოდ გულსამრევი გარყვნილებისა და დამნაშავეობის განსახიერებას წარმოადგენდნენ; ეს გოგონები, ეს ახალგაზრდა ქალები, რომელთაგან ყველა ჯერ კიდევ სიყმაწვილის ასაკში იყო, ამ საზარელ ადგილას მეტისმეტად სავალალო სანახავეები იყვნენ.

ფეიჯინი, რომელსაც ასეთი სერიოზული განცდანი სრულებითაც არ აწუხებდა, დაკვირვებით ათვალიერებდა ოთახში მყოფთა სახეებს და ვერ პოულობდა იმას, ვისაც ეძებდა. ბოლოს, როგორც იქნა, იმ ადამიანის მზერას წააწყდა, რომელიც თავმჯდომარის ადგილს იკავებდა, ფრთხილად მიიწვია სასაუბროდ და ოთახიდან ისევე ჩუმად გავიდა, როგორც შევიდა.

– რით შემძლია დაგეხმაროთ, ფეიჯინ? – იკითხა მის კვალდაკვალ კიბის ბაქანზე გასულმა თავმჯდომარემ, – ხომ არ შემოგვიერთდებით? ყველა მოხარული იქნება.

ებრაელმა მოუთმენლად გააქნია თავი და ჩურჩულით ჰკითხა:

– ის აქაა?

– არა, – იყო პასუხი.

– და ბარნისგანაც არაფერი ისმის?

– არა, – უპასუხა „ხეიბრების“ მეპატრონემ, რადგან სწორედ ის იყო ფეიჯინის თანამოსაუბრე, – ბარნი იქამდე არ გამოჩნდება, ვიდრე ყველაფერი არ ჩაწყნარდება. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, აქეთ–იქით სიარულს რომ მოჰყოლოდა, მაშინვე გათოკავდნენ ყველას. ბარნის ცუდი არაფერი დავმართება, ასეთი ამბები გადახდენია?! დარწმუნებული ვარ, ყოჩაღადაა. მასზე ნუ დარდობთ.

– ის ხვალ ჩამოვა? – შეეკითხა ებრაელი და ხაზგასმით თქვა ეს ნაცვალსახელი.

– მონკსზე ამბობთ? – ყოყმანით თქვა დაწესებულების მეპატრონემ.

–სსს! – წაისისინა ებრაელმა, – ჰო.

– რა თქმა უნდა, – თანამოსაუბრემ ჯიბიდან ოქროს საათი ამოიღო და დახედა, – უფრო ადრეც ველოდები, თუ ათ წუთს დაიცდით...

– არა, არა! – სწრაფად წამოიძახა ებრაელმა, რომელსაც თითქოს იმის ნახვაც უნდოდა, ვისზეც საუბრობდნენ, მაგრამ ისიც გაუხარდა, რომ ჯერ არ ჩამოსულიყო, – გადაეცით, რომ მის სანახავად შემოვიარე; დღეს სადამოს ჩემთან მოვიდეს. არა, ხვალ ჯობია. რაკი ჯერ არ ჩამოსულა, ხვალაც არ იქნება გვიან.

- გასაგებია! - უპასუხა დაწესებულების მეპატრონემ, - კიდევ რა?

- მეტი არც ერთი სიტყვა, - თქვა ებრაელმა და კიბეზე დაემვა.

- ერთი წუთით, - ხრინწიანი ჩურჩულით გადაიხარა მოაჯირზე „ხეიბრების“ მეპატრონე, - ახლა სწორედ კარგი დროა საქმის მოსამთავრებლად! ფილ ბარკერია აქ და ისეთი გაღწეული მთვრალია, ბიჭებს მისი მოშობა არ გაუჭირდებათ!

- აჰა, მაგრამ ფილ ბარკერის დრო ჯერ არ დამდგარა, - თავი ასწია და უპასუხა

ებრაელმა, - ფილმა ცოტა ხანს კიდევ უნდა იმუშაოს, ვიდრე ჩვენთან განშორების უფლებას მივცემთ. დაბრუნდით თქვენს სტუმრებთან და გადაეცით,

იმხიარულონ... ვიდრე ცოცხლები არიან! ჰა-ჰა-ჰა!

დუქნის პატრონმა სიცილით უპასუხა და სტუმრებს დაუბრუნდა. მარტო დარჩა

თუ არა, ებრაელის სახეს წინანდებური შემფოთება და მოუსვენრობა დაეტყო. მცირე ხანს ყოყმანობდა, მერე კაბრიოლეტი დაიქირავა და ბეთნელ-გრინ-როულზე გასვლა უბრძანა. მისტერ საიკსის რეზიდენციამდე მეოთხედი მილის დაშორებით მეეტლე გაუშვა და ფეხით გაიარა დარჩენილი მოკლე გზა.

„ახლა, - ბუტბუტებდა კარზე კაკუნის დროს, - თუ რაღაცას მაიმუნობთ, ჩემო

ძვირფასო გოგონა, ყველაფერს დაგაფქვევინებ“.

ქალი, რომელსაც გულისხმობდა, თავის ოთახში იყო. ფეიჯინი კიბეზე ჩუმად ავიდა და უცერემონიოდ შეაბიჯა ოთახში. გოგონა მარტო დახვდა; თავი, გაწეწილი თმით, მაგიდაზე ჩამოედო.

„მთვრალია, - გულგრილად გაიფიქრა ებრაელმა, - ან შეიძლება რამეზე დარდობს“.

ეს გაიფიქრა და კარის დასახურად შებრუნდა. ხმაურზე გოგონა შეხტა. მის ეშმაკურ სახეს დაჟინებით ჩააცქერდა, მერე ჰკითხა, ახალი ამბები ხომ არ იციო

და ყურადღებით მოისმინა ებრაელისგან ტობი კრეკიტის მონაყოლი.

როდესაც

ფეიჯინმა თბრობა დაასრულა, გოგონამ წინანდელი მდგომარეობა მიიღო და ხმა

არ ამოუღია. სანთელი გადაანაცვლა, ერთი-ორჯერ გაცხარებით სცადა მდგომარეობის შეცვლა, ფეხებს იატაკზე აჩოჩიალებდა, ეს იყო და ეს.

ვიდრე ნენსი დუმდა, ებრაელი აღელვებული იხედებოდა აქეთ-იქით, თითქოს

სურდა, დარწმუნებულიყო, რომ საიკსის მალულად დაბრუნების არც ერთი ნიშანი არ გამოჰპარვია. როგორც ჩანს, დაზვერვით დაკმაყოფილებულმა, ორ-სამჯერ ჩაახველა, საუბრის წამოწყებაც სცადა, მაგრამ გოგონა ყურადღებას არ აქცევდა, თითქოს მის წინ უსულო ქვა იდო. ბოლოს, კიდევ ერთხელ სცადა,

ხელები მოიფშვინტა და რაც შეიძლებოდა დაყვავებით ჰკითხა:

- შენი აზრით, ძვირფასო, ახლა სად უნდა იყოს ბილი?
ნენსიმ ძლივს გასაგებად ამოიკვნესა, არ ვიციო, თან ეტყობოდა, ტიროდა.
- და ბიჭი? - განაგრძობდა ებრაელი, თან სახეში შეხედვას ცდილობდა, - საბრალო ბავშვი! თხრილში დატოვეს! ნენსი, წარმოგიდგენია!
- ბავშვისთვის ასე უკეთესია, - გოგონამ მოულოდნელად თავი ასწია, - თუ ბილი ამის გამო არ გამოიჭირეს, დიდი იმედი მაქვს, ბიჭი იმ თხრილში მკვდარი წევს და იქვე გაიხრწნება მისი ძვლები.
- რას ამბობ?! - წამოიყვირა გაოგნებულმა ებრაელმა.
- ჰო, ამის დიდი იმედი მაქვს! - გოგონამ თამამად შეხედა თვალებში, - ძალიან გამიხარდება, თუ გავიგებ, რომ ვეღარასოდეს ვნახავ და ყველაფერი ცუდი წარსულში დარჩა. მისი ჩემს სიახლოვეს ატანა აღარ შემიძლია. საკმარისია, თვალი შევავლო და საკუთარი თავი მძულს, თქვენ ყველანი მძულხართ.
- რას სულელობ! - ზიზღით თქვა ებრაელმა, - მთვრალი ხარ...
- ჰოო? - სინანულით წამოიძახა გოგონამ, - თუ მთვრალი ვარ, ეს თქვენი ბრალი არ არის?! თქვენი ნება რომ იყოს, ყოველდღე დამალევიანებით და გამალოთებდით, დღეს კიდევ არ მოგწონთ!
- მართალია, არ მომწონს, - ბრაზით უპასუხა ებრაელმა.
- როგორმე შეეგუეთ! - სიცილით თქვა გოგონამ.
- შევეგუო! - წამოიყვირა გოგონას სიჯიუტითა და მთელი დღის უსიამოვნო ამბებით მოთმინებადაკარგულმა ფეიჯინმა, - ჰო, შევეგუები! მისმინე, გოგონა!
ხუთი სიტყვის თქმა საკმარისია საიკის მოსახრჩობად, აი, ასე, თითქოს საკუთარი ხელით მოვუგრებე ის ხარის კისერი. ეს იმ შემთხვევაში, თუ დაბრუნდა და ბიჭი იქ მიატოვა. თუ ამ ამბიდან გამომდინარე და ბიჭს ცოცხალს ან მკვდარს მომიყვანს, თავად მოკალი, თუ არ გინდა, ჯეკ კეჩის ხელში აღმოჩნდეს. ამ ოთახში შემოსვლისთანავე მოკალი, თუ არადა, ჩემი სიტყვა დაიმახსოვრე, მერე გვიან იქნება.
- ეს რას ნიშნავს? - უნებურად წამოიყვირა გოგონამ.
- ეს რას ნიშნავს? - გაიმეორა მრისხანებისგან გონდაკარგულმა ფეიჯინმა, - ეს ბიჭი ასობით გირვანქა სტერლინგი ღირს, რატომ უნდა დაგვარგო ის, რაც შემთხვევის გამო შემიძლია ყოველგვარი რისკის გარეშე ხელში ჩავიგდო, - დაგვარგო ლოთების კომპანიის ხუმტურების გამო, იმ ლოთების, რომელთა განადგურება შემიძლია! და ერთსაც ვიტყვი - თავად ეშმაკთან მაქვს გარიგება დადებული, მას კი მხოლოდ ანდერძი სჭირდება და შეუძლია... შეუძლია...
- აქოშინებულ მოხუცს ენა დაება, საჭირო სიტყვები ვერ მონახა, მაგრამ მაშინვე დაიოკა მრისხანება და მისი ქცევა სრულებით შეიცვალა. თუ წამის წინ დაკრუნჩხული თითებით ჰაერს ეპოტინებოდა, თვალები გაჰფართოებოდა,

მრისხანებისგან სახეზე იისფერი ედო, ახლა სკამზე ჩამოჯდა, მოიბუზა და აკანკალდა, იმაზე ფიქრობდა, რაღაც საზარელი საიდუმლო ხომ არ გათქვა. მცირე ხანს დუმდა, მერე თანამოსაუბრეს თვალი შეავლო. თითქოს ცოტათი დამშვიდდა, როდესაც დარწმუნდა, რომ ის ძველებურად იჯდა იმავე მდგომარეობაში, რომელშიც ოთახში შესვლისას დაინახა.

- ნენსი, საყვარელო! - ჩვეული ხმით ამოიხრიალა ებრაელმა, - მისმენდი, ძვირფასო?

- ფეიჯინ, თავი დამანებეთ, - უპასუხა გოგონამ და დუნედ ასწია თავი, - თუ ბილს ეს ახლა არ გაუკეთებია, სხვა დროს გააკეთებს. ბევრი კარგი რამ აქვს თქვენთვის გაკეთებული და მომავალშიც არ დაგზარდებათ, თუ შეძლო. თუ არადა, ამაზე საუბარს აზრი არა აქვს.

- და ბიჭი, ჩემო ძვირფასო? - ხელებს ნერვიულად იფშვინტდა ებრაელი.

- ბიჭიც ისევე რისკავს, როგორც დანარჩენები, - სწრაფად გააწყვეტინა ნენსიმ, - გეუბნებით, დიდი იმედი მაქვს, რომ მოკვდა და ყველანაირი უბედურებისგან გიხსნათ, იმედი მაქვს, თუ, რა თქმა უნდა, ბილს რაიმე არ შეემთხვა. თუ ტობიმ მოახერხა თავის დაღწევა, ესე იგი, ბილსაც არაფერი ემუქრება, იმიტომ, რომ ბილი ორ ტობის უდრის.

- მე რაც გითხარი, იმაზე რას ფიქრობ, ჩემო ძვირფასო? - შეეკითხა ებრაელი და თვალს არ აცილებდა.

- თუ გინდათ, თქვენთვის რამე გავაკეთო, ყველაფერს თავიდან მოჰყევით, - უპასუხა ნენსიმ, - უმჯობესი იქნება, ხვალისთვის გადადოთ. ერთ წუთს კი გამომდგებიან, მაგრამ ახლა აღარაფერი მესმის.

ფეიჯინმა კიდევ რამდენიმე შეკითხვა დაუსვა იმის შესამოწმებლად, მიაქცია თუ არა მის დაუფიქრებელ მინიშნებებს გოგონამ ყურადღება, მაგრამ ნენსი ისეთი მზადყოფნით პასუხობდა და ისეთი განურჩევლობით უსწორებდა თვალს

მის გამჭირახ მხერას, რომ პირველი შთაბეჭდილება მისი სიმთვრალის თაობაზე ებრაელს გაუმყარდა.

ნენსის მართლაც ახასიათებდა ეს სისუსტე, ფეიჯინის შეგირდებს შორის ფართოდ გავრცელებული, რომელსაც არათუ ებრძოდნენ, პირიქით, ადრეული ბავშვობიდან აჩვევდნენ. ებრაელის მოსაზრებას ადასტურებდა გოგონას აჩაჩულ-დაჩაჩული სამოსი და ოთახში ჯინის მძაფრი სუნი. მას შემდეგ, რაც ზემოთ აღწერილი გამოცოცხლების შემდეგ ნენსი ჯერ თითქოს სრულიად მოდუნდა, მერე კი აღელდა, ცრემლები წასკდა და ყოველ მეორე წუთს თავს იმხნევებდა, რომ „ყველაფერი დაკარგული არ არის“, რომ შეყვარებულების ჩხუბი ყოველთვის შერიგებით მთავრდება, ფეიჯინი, ამგვარ საქმეებში კარგად გამოცდილი, საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ნენსი გვარიანად იყო მთვრალი.

ამ აღმოჩენით დამშვიდებულმა მისტერ ფეიჯინმა ორ მიზანს მიაღწია: გოგონას იმ საღამოს გაგებული ახალი ამბები აცნობა და საკუთარი თვალთ დარწმუნდა საიკსის არყოფნაში. ამის შემდეგ შინისკენ გაემართა. გოგონამ თავი

ისევ მაგიდაზე დადო და დაიძინა.

ერთ საათში შუალამე დადგებოდა. ბნელი ღამე იდგა, სიცივე ძვლებში ატანდა, ასე რომ, ფეიჯინს დროის დაკარგვა არ სურდა. ქუჩებში მოთარეშე ქარმა

თითქოს გამვლელები სადღაც გადაკარგა მტვრისა თუ ჭუჭყის დარად – კანტიკუნტად თუ ხვდებოდა ვინმე, ისინიც შინ მიიჩქაროდნენ. თუმცა, ფეიჯინისთვის ეს ზურგის ქარი იყო, სულ წინ და წინ მიიწევდა, როდესაც ქარი

თავს ატყდებოდა, აკანკალდებოდა და იბუზებოდა.

თავისი ქუჩის კუთხეს მიაღწია და ჯიბეში კარის გასაღებს ეძებდა, როდესაც მოულოდნელად შავად მომზირალი სადარბაზოდან ვიდაცის ბნელი ფიგურა გამოვიდა, ქუჩა გადაჭრა და შეუმჩნეველად მიუახლოვდა.

- ფეიჯინ! - ვიღაცამ ზედ ყურთან უჩურჩულა.

-- ოჰ! - დაიყვირა ებრაელმა და სწრაფად შებრუნდა, - ეს თქვენ...

- ჰო! - შეაწყვეტინა უცნობმა, - ორი საათია აქ დავციალეხ. სად ჯანდაბაში იყავით?

- თქვენს საქმეებზე, ჩემო ძვირფასო, - აღელვებულმა ებრაელმა თანამოსაუბრეს შეხედა და ნაბიჯი შეანელა, - მთელი საღამო თქვენს საქმეებზე ვიარე.

- ჰო, როგორ არა! - დამცინავად თქვა უცნობმა, - და, რასაკვირველია, არაფერი გამოვიდა?

- კარგი არაფერი, - იყო ებრაელის პასუხი.

- იმედია, არც ცუდი, - უეცრად შეჩერდა უცნობი და შეშინებულმა შეხედა.

ებრაელმა თავი გააქნია, პასუხის გაცემას აპირებდა, მაგრამ უცნობმა სახლზე მიანიშნა, რომელსაც უკვე მიუახლოვდნენ და შენიშნა, რომ ჭერქვეშ საუბარი უკეთესია, რადგან მთელი საღამოს განმავლობაში სიცივისგან გაიყინა და ქარიც ძვალსა და რბილში ატანს.

ისე ეტყობოდა, ფეიჯინს სურდა, ეთქვა, რომ ასე გვიან სტუმარს ვერ მიიღებს,

ბუტბუტებდა, რომ ბუხარი ჩამქრალია, მაგრამ როდესაც თანამგზავრმა მზრმანებლურად გაუმეორა თხოვნა, კარი გააღო და სანთლის გამოტანამდე კარის ფრთხილად დახურვა სთხოვა.

- ისეთი სიბნელეა, როგორც სამარეში, - თქვა სტუმარმა და ორიოდ ნაბიჯი

ხელის ცეცებით გადადგა, - დაუჩქარეთ.

- კარი დაკეტეთ, - დერეფნის მეორე ბოლოდან დაიჩურჩულა ფეიჯინმა.

სწორედ ამ დროს კარი ხმაურით ჩაიკეტა.

- ჩემი ბრალი არ არის, - თქვა სტუმარმა, თან გზას ეძებდა, - ქარმა დახურა ან თავისით მიიხურა. სწრაფად მოანათეთ, თორემ ამ დაწყველილ სოროში რამეს დავეჯახები და თავს გავიტყვებ.

ფეიჯინი სამზარეულოში ჩამავალ კიბეზე ფეხაკრეფით ჩავიდა. ცოტა ხნის შემდეგ ანთებული სანთლით დაბრუნდა და თქვა, ტობი კრეკიტს ქვემოთ, უკანა ოთახში სძინავს, ბიჭებს - წინაშით, ანიშნა, თან გაჰყოლოდა და კიბეს აუყვავა.

- აქ ყველაფერზე მშვენივრად ვილაპარაკებთ, ჩემო ძვირფასო, - თქვა ებრაელმა და მეორე სართულის ოთახის კარი შეაღო, - მაგრამ დარაბებში ნახვრეტებია და რაკი მეზობლებმა აქ სინათლე არ უნდა დაინახონ, ამიტომ სანთელს კიბეზე დავტოვებთ. აი, აქ!

ამ სიტყვებით ებრაელმა კიბის ზედა საფეხურზე, ზუსტად კარის პირდაპირ, ანთებული სანთელი დადო. მერე პირველი შევიდა ოთახში, სადაც გატეხილი სავარძლისა და კარს უკან ძველი, უფარდაგო დივნის გარდა სხვა ავეჯი არ იდგა.

დივანზე დაღლილი სტუმარი ჩამოჯდა, მოხუცმა ებრაელმა სავარძელში მოიკალათა და ისე მისწია, რომ ახლა ერთმანეთის პირისპირ ისხდნენ. ოთახში

მთლად არ ბნელოდა, რადგან კარი შეღებული დატოვეს, ხოლო კიბეზე მდგარი

სანთლის სუსტი სინათლე მოპირდაპირე კედელზე ირეკლებოდა.

თავიდან ჩურჩულით ლაპარაკობდნენ. თუმცა, შინაარსის გამოტანა ამ საუბრიდან შეუძლებელი იყო, მხოლოდ ცალკეული სიტყვები ისმოდა და მსმენელი მიხვდებოდა, რომ ფეიჯინი თითქოს თავს იცავდა სტუმრის შენიშვნების გამო, ეს უკანასკნელი კი მეტისმეტად გაღიზიანებული ჩანდა. დაახლოებით ოც წუთს ასე ისაუბრეს, მერე მონკსმა - ებრაელმა რამდენჯერმე ასე მიმართა, - ოდნავ ხმას აუწია და თქვა:

- გიმეორებთ, ეს გეგმა არაფრად ვარგა. რატომ არ შეიძლებოდა მისი აქ, სხვებთან ერთად დატოვება და რა აუცილებელია მისგან ამაზრზენი, ლაწირაკი ჯიბის ქურდი დადგეს?

- აბა, ყური დაუგდეთ, რას ამბობს! - წამოიყვირა ებრაელმა და მხრები აიჩეჩა.

- რა, იმის თქმა გინდათ, რომ რომც გნდომოდით, ასე ვერ მოიქცეოდით? - იკითხა გაბრაზებულმა მონკსმა, - რა, ათობით სხვა ბიჭს ასე არ მოექცევით? ერთი წელი ვეღარ მოითმინეთ, რომ მერე მისი გასამართლებისა და შესაძლოა, ინგლისიდან სამუდამო გასახლებისთვის მიგელწიათ?

- და ეს ყველაფერი ვის არგებდა, ჩემო ძვირფასო? - თავმდაბლად იკითხა ებრაელმა.

- მე, - იყო მონკსის პასუხი.

- მე კი არა, - მორჩილად უპასუხა ებრაელმა, - ბიჭს ჩემთვის სარგებლობის

მოტანა შეეძლო. როდესაც ხელშეკრულების მონაწილე ორი მხარეა, კეთილგონიერება იმას ითხოვს, რომ ორივეს ინტერესი იყოს გათვალისწინებული, ასე არ არის, ჩემო მეგობარო?

- მერე? - იკითხა მონკსმა.

- იმას მივხვდი, რომ მისი საქმეში ჩართვა არც ისე ადვილია, - თქვა ებრაელმა, - მისნაირ მდგომარეობაში ჩავარდნილ სხვა ბიყებს არ ჰგავს.

- ჰო, ასე ეტყობა, ეშმაკმა დასწყევლოს მისი თავი! - ჩაიბუზღუნა მონკსმა, -
-
თორემ აქამდე იქურდებდა.

- ვიდრე გავაფუჭებდი, კარგად უნდა ჩამეგდო ხელში, - განაგრძობდა ებრაელი და შეშფოთებული შეჰყურებდა თანამოსაუბრეს, - მაგრამ ვერაფერი მოვუხერხე. ვერაფრით დავაშინე, ყველაფერი კი ამით იწყება, სხვაგვარად ჩვენი შრომა წყალში ჩაიყრება. რა უნდა მექნა? ცულლუტსა და ჩარლისთან ერთად გამეშვა? ერთხელ რაც მოხდა, ჩემო ძვირფასო, საკმარისი იყო; მაშინ ყველას გამო ძალიან ვღელავდი.

- მე ნამდვილად არა ვარ დამნაშავე, - შენიშნა მონკსმა.

- რასაკვირველია, რა თქმა უნდა, ჩემო ძვირფასო, - მხარი აუბა ებრაელმა, -
-

ახლა კი აღარ ვნანობ: ასე რომ არ მომხდარიყო, შესაძლოა, ბიჭი ვერც ვერასოდეს გენახათ და იმასაც ვერ გაიგებდით, რომ სწორედ მას ეძებთ. რას იზამ! ამ გოგოს დახმარებით დაგიბრუნეთ, მერე კიდევ იმან შეიბრალა.

- ის გოგო მიახრჩვეთ! - მოუთმენლად წამოიძახა მონკსმა.

- ვშიშობ, ახლა ამის უფლებას თავს ვერ მივცემთ, ჩემო ძვირფასო, - გაიღიმა ებრაელმა, - გარდა ამისა, ჩვენ ასეთ საქმეებს ხელს არ ვკიდებთ, თორემ რომელიმე უახლოეს დღეს სიამოვნებით აღვასრულებდი. ამ გოგონებს კარგად ვიცნობ, მონკს. ბიჭი როგორც კი გამოიწრთობა, მისდამი ინტერესს დაკარგავს.

თქვენ გინდათ, ბიჭისგან ქურდი დადგეს. თუ ცოცხალია, ამის მოხერხება შემძლია, მაგრამ თუ... თუ... - ებრაელი თანამოსაუბრისკენ მიჩოჩდა, - დაიმახსოვრეთ, ეს ნაკლებად სავარაუდოა, მაგრამ თუ უბედურება მაინც მოხდა...

- თუ მოკვდა, ჩემი ბრალი არ არის! - გააწყვეტინა თავზარდაცემულმა მონკსმა და ებრაელს აკანკალებული ხელებით ჩაეჭიდა, - დაიმახსოვრეთ, ფეიჯინ! ამ ყველაფერში მონაწილეობა არ მიმიღია. თავიდანვე გაგაფრთხილეთ,

რაც გინდათ, ის უქენით, ოღონდ არ მოკლათ-მეთქი. სისხლის დაღვრა არ მინდოდა: ადრე თუ გვიან, ამას ყოველთვის იგებენ და კიდევ, ადამიანს მოსვენება აღარ ექნება. თუ ესროლეს, მე არაფერ შუაში ვარ, გესმით? ცეცხლმა

დაწვას ეს ბუნაგი! ეს რა არის?

- რა არის! - წამოიყვირა ებრაელმა და ორივე ხელით ჩაეჭიდა ფეხზე წამომხტარ მხდალს, - სად?

- აგერ იქ! - უთხრა კაცმა, რომელიც მოპირდაპირე კედელს დაჟინებით მიშტერებოდა, - ჩრდილია! ქალის ჩრდილი დავინახე, წამოსასხამი ეცვა და ქუდი ეხურა, კედლის გასწვრივ ჩაისრიალა!

ებრაელმა ხელები გაუშვა და ორივე ტყვიასავით გავარდა ოთახიდან. გამჭოლი ქარისგან მინავლული სანთელი წინანდებურად კიბის საფეხურზე იდგა.

მის სინათლეზე მხოლოდ კიბე და შიშით გაფითრებული ორი სახე მოჩანდა. ორივე დამაბული იდგა და აყურადებდა, მაგრამ მთელ სახლში სამარისებური სიჩუმე იდგა.

- მოგეჩვენათ, - თქვა ებრაელმა, სანთელი აიღო და თანამოსაუბრეს მიუბრუნდა.

- გეფიცებით, მართლა დავინახე! - კანკალებდა მონკსი, - წინ გადახრილი იდგა, როცა დავინახე, და ლაპარაკი როგორც კი დავიწყე, ადგილს მოსწყდა.

ებრაელმა ზიზღით შეხედა თანამოსაუბრის გაფითრებულ სახეს და შესთავაზა, თუ სურვილი ჰქონდა, თან გაჰყოლოდა, მერე კიბეზე ავიდა. ყველა

ოთახი დაიარეს. ცარიელ ოთახებში ციოდა. დერეფნის გავლით სარდაფში ჩავიდნენ. დაბალი კედლები მწვანე ობს დაეფარა; სანთლის შუქზე ვერცხლისფრად ბრწყვიალებდა ლოკოკინებისა და ლოქორების დატოვებული კვალი, მაგრამ აქაც სამარისებური სიჩუმე იდგა.

- აბა, ახლა რას იტყვით? - შეეკითხა ებრაელი, როდესაც დერეფანში დაბრუნდნენ, - ჩვენ გარდა სახლში სხვა არავინაა - მარტო ტობი და ბიყები, მათი შიში კი არ უნდა გქონდეთ. შეხედეთ!

ებრაელმა ჯიბიდან ორი გასაღები ამოიღო და აუხსნა, რომ სახლში შესვლისას პირველად ქვემოთ ჩავიდა და მათი ოთახის კარი ჩაკეტა, რათა საუბარში ხელი არავის შეეშალა.

ამ ახალმა მტკიცებულებამ მისტერ მონკსის ვარაუდი მნიშვნელოვნად შეარყია. თუმცა, მაინც განაგრძობდნენ ძებნას და რაკი ვერაფერი აღმოაჩინეს, მისმა საწინააღმდეგო შინაარსის გამონათქვამებმა იკლო. ბოლოს, პირქუშად ახარხარდა და განაცხადა, ყველაფერი ჩემი აღზნებული წარმოსახვის ბრალიაო

და საუბრის გაგრძელებაზე უარი თქვა, რადგან უეცრად გაახსენდა, რომ ღამის

ორი საათი იყო. წყვილი ერთმანეთს გულთბილად დაემშვიდობა.

თავი 27 ერთ-ერთ თავში უცერემონიოდ

მიტოვებულიქალბატონის მიმართ გამოჩენილი

უყურადღებობისგამოსწორების მცდელობა

თავმდაბალ ავტორს არ შეჰფერის, უყურადღებოდ დატოვოს ისეთი ღირსეული პერსონაჟი, როგორც ბიდლია - პიჯაკის კალთეზაკეცილი, ბუხრისკენ ზურგშექცეული იჯდეს და ელოდოს, როდის ინებებს ავტორი დაუბრუნდეს;

კიდევ

უფრო ცუდი საქციელია ავტორისგან, რომ მისი მდგომარეობისა და

გალანტურობის გათვალისწინებით, ასევე დაუდევრად მოეპყრას ლედის, რომელსაც ამ ბიდლმა ნაზი და სიყვარულით სავსე მზერა მიაპყრო, ალერსიანი

სიტყვები უჩურჩულა, ისეთი სიტყვები, რომლებიც ამგვარი პიროვნების მიერ წარმოთქმული, სიხარულის ჟრუანტელს მოჰგვრიდა ნებისმიერ ქალწულს თუ მნეს; ამ სტრიქონების ავტორი ისტორიკოსი თვლის, რომ კარგად აქვს შეგნებული

საკუთარი ადგილი და სათანადო პატივს მიაგებს იმ მოკვდავებს, რომელთაც უმაღლესი, შეუვალი ძალაუფლება აქვთ ბოძებული, ამიტომ სურს, მათ მდგომარეობის შესაფერისი პატივისცემა დაუდასტუროს, ყველა აუცილებელი ცერემონიული ზედმიწევნით დაიცვას, რასაც მათი მაღალი წოდება, ასევე უაღრესი კეთილშობილება მოითხოვს. ამ მიზნით ავტორი იმასაც კი ეცადა, ბიდლის უფლებების ღვთაებრივი წარმომავლობისა და უცდომელობის შესახებ მოსაზრებები წარმოედგინა. ისინი გონიერი მკითხველისთვისაც არ იქნებოდა ინტერესმოკლებული, მაგრამ, საუბედუროდ, დროისა და ადგილის სიმცირის გამო ავტორი იძულებულია, ამ განზრახვაზე ხელი აიღოს და სხვა, ხელსაყრელ

შემთხვევას დაელოდოს; თუ ასეთი შესაძლებლობა მიეცა, ავტორი მზად არის,

განმარტოს, რომ ბიდლი თავისი ზუსტი მნიშვნელობით - ესე იგი, სამრევლოს

ბიდლი, რომელიც სამრევლოს შრომის სახლში მუშაობს და სამრევლოს ეკლესიის ოფიციალური პირია, თავისი თანამდებობის წყალობით ყველა კეთილშობილური და საუკეთესო თვისებით არის დაჯილდოებული; ამ თვისებებთან ახლოსაც ვერ მივლენ სავაჭრო კომპანიების, სასამართლოების, სამრეკლოების (თუმცა, ამ უკანასკნელთ მაინც აქვთ უმცირესი პრეტენზია იმავე

თვისებებზე) ბიდლები.

მისტერ ბამბლმა კიდევ ერთხელ გადათვალა ვერცხლის კოვზები, ხელში აწონა ვერცხლისვე შაქრის ასაღები, ყურადღებით დაათვალიერა სარძევე, გულდასმით შეამოწმა ავეჯისა და სკამების ცხენის ძუისგან დამზადებული დასაჯდომებიც კი და ყოველი ჩამოთვლილი ქმედება, სულ მცირე, ექვსჯერ შეასრულა. ბოლოს თავში აზრად გაუელვა, რომ მისის კორნის დაბრუნების დრო

იყო. ერთ აზრს მეორეც მიჰყვა: რაკი მისის კორნის მალე დაბრუნებას არაფერი

მოასწავებდა, მისტერ ბამბლმა დიასახლისის კამოდების ზერელედ დათვალიერებაც გადაწყვიტა.

საკლიტულს ყური მიადო და როდესაც დარწმუნდა, რომ ოთახს არავინ უახლოვდებოდა, მისტერ ბამბლი სამი გრძელი უჯრის შიგთავსის გაცნობას შეუდგა: უჯრები საუკეთესო ხარისხის თავის მოსავლელი საშუალებებით იყო სავსე; უჯრის კუთხეებში აკურატულად ეწყო ძველი გაზეთის ორ-ორი ფურცელი,

მათ შუაში კი გამხმარი ლავანდის ყვავილი იყო მობნეული. ზედა უჯრაში (გასაღებიანში) იპოვა პატარა გასაღებით ჩაკეტილი ზარდახმა, რომელმაც შენჯღრევისას მონეტების ჟღარუნის მსგავსი სასიამოვნო ხმა გამოსცა. მისტერ ბამბლი მედიდური ნაბიჯით დაბრუნდა ბუხართან, ადრინდელი მდგომარეობა მიიღო და სრულიად სერიოზულად, დაბეჯითებით თქვა: „ამას გავაკეთებ“. ამ

ღირსშესანიშნავი განცხადებიდან დაახლოებით ათი წუთი თავს აქეთ-იქით

აქნევდა, თითქოს საკუთარ თავთან მსჯელობდა, როგორი ყოჩაღი ვარო, მერე კი გვერდზე თავგადახრილი სიამოვნებით ათვალიერებდა საკუთარ ფეხებს.

ჯერ კიდევ ასეთი დაკვირვების პროცესში გახლდათ, როდესაც ოთახში მოულოდნელად აქომინებული მისის კორნი შემოვარდა, ბუხართან მდგარ სავარძელში ჩაეშვა, თვალეზზე ცალი ხელი აიფარა, მეორე გულზე მიიღო და სუნთქვის დაწყნარება სცადა.

- მისის კორნი, - მისტერ ბამბლი ქალისკენ დაიხარა, - რაშია საქმე, მემ?
რა მოხდა? ძალიან გთხოვთ, მითხარით, თორემ...

უნდოდა, ეთქვა, მოუთმენლობისგან „ნემსებზე ვზივარო“, მაგრამ გამოთქმა ვერ გაიხსენა და თქვა, „ნამსხვრევებზე ვგზივარ“.

- ოჰ, მისტერ ბამბლ! - წამოიყვირა მისის კორნიმ, - ძალიან მატკინეს გული.

- გული გატკინეს, მემ? - გაიმეორა მისტერ ბამბლმა, - და ვინ გაბედა?...
ჰმ, ვიცი, - მისთვის დამახასიათებელი მედიდურობით, თავშეკავებით თქვა მისტერ ბამბლმა, - ეს საზიზღარი ღარიბები.

- გაფიქრებაც კი მზარავს, - აკანკალდა მისის კორნი.
- თუ ასეა, ნუ ფიქრობთ, - იყო ბიდლის პასუხი.

- არ შემიძლია, - ასლუკუნდა ლედი.

- მაშინ, მემ, რამე დალიეთ, - მისი დამშვიდება სცადა მისტერ ბამბლმა, - ერთი ჭიქა ღვინო?

- არავითარ შემთხვევაში, - უპასუხა მისის კორნიმ, - არ შემიძლია... ოჰ!
იქ, ზემო თაროზე, მარჯვნივ... ოჰ!

ამ სიტყვებით ლედიმ ბუფეტის თაროზე მიუთითა, თავად კი სპაზმებისგან იკრუნჩხებოდა. მისტერ ბამბლი ბუფეტს მივარდა და ასე ბუნდოვნად მითითებულ ადგილზე პინტიანი მწვანე ბოთლი დაინახა; შიგთავსი ჩაის ჭიქაში ჩაასხა და ლედის ტუჩებთან მიუტანა.

- ახლა უკეთ ვარ, - თქვა მისის კორნიმ ნახევარი ჭიქის დალევის შემდეგ და სავარძლის საზურგეს მიეყრდნო, - ბალის პიტნის ნაყენია,
- სუსტი ხმით თქვა მისის კორნიმ და ალერსიანად გაუღიმა მისტერ ბამბლს,
- გასინჯეთ. კიდევ რაღაც არის შიგნით... კიდევ რაღაც არის.

მისტერ ბამბლმა უნდობლად გასინჯა წამალი, ტუჩები მოილოკა, მერე კიდევ გასინჯა და ჭიქა დაცალა.

- ძალიან ამშვიდებს, - თქვა მისის კორნიმ.

- არაჩვეულებრივად ამშვიდებს, მემ, - დაეთანხმა ბიძლი.

ამ სიტყვებით სკამი სავარძლისკენ მისწია და ალერსიანად ჰკითხა, რამ აგაღელვებდა.

- არაფერია, - უპასუხა მისის კორნიმ, - მე ერთი სულელი, სუსტი არსება ვარ,
ყველაფერზე ისე ადვილად ავღელდები ხოლმე...

-- სრულებით არა ხართ სუსტი არსება, მემ, - არ დაეთანხმა მისტერ ბამბლი და კიდევ უფრო ახლოს მისწია სკამი, - განა თქვენ სუსტი არსება ხართ, მისის კორნი?

- ყველანი სუსტი არსებები ვართ, - ბრძანა საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტება მისის კორნიმ.

- ჰო, ასეა, - დაადასტურა ბიძლმა.

ცოტა ხანს ორივე დუმდა. ამასობაში მისტერ ბამბლმა მისის კორნის სავარძლის საზურგიდან ხელი აიღო და ნელ-ნელა წელზე შემოხვია.

- ყველანი სუსტი არსებები ვართ, - თქვა მისტერ ბამბლმა.

მისის კორნიმ ამოიოხრა.

- ნუ ოხრავთ, მისის კორნი, - უთხრა მისტერ ბამბლმა.

- თავს ვერ ვიკავებ, - თქვა მისის კორნიმ და ისევ ამოიოხრა.

- ძალიან მყუდრო ოთახი გაქვთ, მემ, - მიიხედ-მოიხედა მისტერ ბამბლმა, -
კიდევ ერთს თუ მიამატებთ, შესანიშნავი იქნება.

- ერთი ადამიანისთვის მეტისმეტია, - წაიჩურჩულა ლედიმ.

- ორისთვის - არა, მემ, - ნაზად შეეპასუხა მისტერ ბამბლი, - ხომ ასეა, მისის კორნი?

როდესაც ბიძლმა ეს სიტყვები წარმოთქვა, მისის კორნიმ თავი დახარა; ბიძლმაც თავი დახარა, რათა მისის კორნისთვის სახეში შეეხედა. მისის კორნიმ, როგორც ეტიკეტი მოითხოვდა, თავი მიაბრუნა და ხელი გაითავისუფლა ცხვირსახოცის ამოსაღებად, მაგრამ ხელი უნებურად მისტერ ბამბლს ჩაუღო ხელისგულში.

- მისის კორნი, ნახშირით საბჭო გამარაგებთ, ხომ ასეა? - ჰკითხა ბიძლმა და ხელი ნაზად მოუჭირა.

- სანთლითაც, - უპასუხა მისის კორნიმ და, თავის მხრივ, ხელზე ხელი მოუჭირა.

- ნახშირი, სანთლები და უფასო ბინა, - თქვა მისტერ ბამბლმა, - ოჰ, მისის კორნი, ნამდვილი ანგელოზი ხართ! ლედიმ გრძობის ამგვარი გამოვლინებისგან თავი ვეღარ შეიკავა, მისტერ ბამბლის მკლავებში აღმოჩნდა და ამ ჯენტლმენმა თავისი ვნებიანი კოცნა მის უმწიკვლო ცხვირზე აღბეჭდა.

- სამრევლოს უნატიფესი ქმნილება ბრძანდებით! - აღტაცებით წამოიძახა მისტერ ბამბლმა, - ის თუ იცით, ჩემო მომხიბლავო ადამიანო, რომ დღეს მისტერ სკაუტის მდგომარეობა გაუარესდა?

- დიახ, - მორცხვად მიუგო მისის კორნიმ.

- ექიმის თქმით, ერთ კვირასაც ვეღარ გაატანს, - განაგრძო მისტერ ბამბლმა, - ის ამ დაწესებულების სათავეშია და მისი სიკვდილის შემდეგ გაჩნდება ვაკანსია, რომელიც ვიღაცამ უნდა დაიკავოს. ოჰ, მისის კორნი, რა პერსპექტივაა წინ! რა ხელსაყრელი შესაძლებლობაა გულების შესაერთებლად საერთო საოჯახო მეურნეობის გასაძლიერებლად!

მისის კორნიმ ამოისლუკუნა.

- საჭირო ერთი სიტყვა? - თქვა მისტერ ბამბლმა და დამორცხვებული ლამაზი არსებისკენ დაიხარა, - ერთი, ერთადერთი პატარა, პაწაწინა სიტყვა, ჩემო სიხარულის მომნიჭებელო მისის კორნი?

- დი-დი-დიახ, - წაიჩურჩულა მისის კორნიმ.

- კიდევ ერთი, ჩემო ძვირფასო, - არ ეშვებოდა მისტერ ბამბლი, - აბა, ძალა მოიკრიბეთ და კიდევ ერთი სიტყვა მითხარით. როდის?

მისის კორნიმ ორჯერ დააპირა პასუხის გაცემა და ორჯერვე ამაოდ. ბოლოს მხნეობა მოიკრიბა, მისტერ ბამბლს მოეხვია და უთხრა, რომ ეს მაშინ მოხდება, როდესაც მისი მომხიბლავი ბიჭი ისურვებს.

როდესაც ორივე მხარისთვის ყველაფერი ასე მეგობრულად და სასიამოვნოდ მოგვარდა, ხელშეკრულება დაამოწმეს ბალის პიტნის ნაყენის კიდევ ერთი ჭიქით, რაც ასე აუცილებელი იყო პატივცემული ლედის მიერ გადატანილი თრთოლისა და მღელვარების გამო. ჭიქის გამოცლის შემდეგ ქალმა მისტერ ბამბლს მოხუცის გარდაცვალების ამბავი აცნობა.

- მშვენიერია, - უპასუხა ჯენტლმენმა, რომელიც პიტნის ნაყენს სვამდა, - შინისკენ მიმავალ გზაზე საუერბერის შევუვლი და ვეტყვი, რაც საჭიროა, ხვალ დილისთვის გამოგზავნოს. მაშ, ამან შეგაშინათ, ჩემო ძვირფასო?

- არა, ისეთი არაფერი მომხდარა, ძვირფასო, - ყოყმანით უპასუხა ლედიმ.

- ესე იგი, რაღაც მაინც მოხდა, ჩემო საყვარელო, - არ ეშვებოდა მისტერ ბამბლი, - ნუთუ ყველაფერს თქვენს ბამბლს არ მოუყვებით?

-- ახლა არა... - უპასუხა ლედიმ, - უახლოეს დღეებში, როცა დავექორწინდებით, ჩემო ძვირფასო.

- როცა დავექორწინდებითო! - წამოიძახა მისტერ ბამბლმა, - ნუთუ ამ ღატაკებიდან რომელიმეს თავხედობა ეყო და...

- არა, არა, ჩემო საყვარელო! - სასწრაფოდ გააწყვეტინა ლედიმ.

- ეს რომ შესაძლებელი მგონებოდა, - აგრძელებდა მისტერ ბამბლი, - შესაძლებელი რომ მგონებოდა, რომელიმე თავისი საზიზღარი თვალებით ამ მშვენიერ სახეს შეხედავდა...

- ვერ გაბედავდნენ, ჩემო ძვირფასო, - იყო ლედის პასუხი.

- მით უკეთესი მათთვის! - დაასკვნა ბიდლმა და ხელები მომუშტა, - მაჩვენეთ ის, ვინც ამგვარი რამ გაბედა, სამრევლოში ან სამრევლოს გარეთ და ისეთ პასუხს მიიღებს, მეორედ ვედარაფერს გაბედავს.

ამ სიტყვებს მეტისმეტად ენერგიული შესტიკულაცია რომ არ დართვოდა, ლედის მომხიბვლელობისთვის კომპლიმენტად სრულებითაც ვერ გამოდგებოდა, მაგრამ მისტერ ბამბლმა სიტყვებს მუქარის ისეთი შესტები დაამატა, რომ ლედის გული აუჩუყა მისმა ამგვარმა ერთგულებამ, ამიტომ აღფრთოვანებით განაცხადა, თქვენ მართლაც ჩემი გვრიტი, ჩემი საყვარელი ბიჭი ხართო.

ამის შემდეგ ამ გვრიტმა პალტოს საყელო აიწია, სამკუთხა ქუდი დაიხურა, ხანგრძლივი და ნაზი კოცნით გამოემშვიდობა თავისი ცხოვრების მომავალ მეორე ნახევარს და მამაცურად გავიდა ღამის ცივ ქართან შესახვედრად. მხოლოდ რამდენიმე წუთს შეჩერდა მამაკაცების პალატაში, რათა გამოელანძდა ისინი და ასე დაემტკიცებინა, რომ შრომის სახლის მმართველის მოვალეობათა შესრულება საკმარისი სიმკაცრით შეუძლია. საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებულმა მისტერ ბამბლმა დაწესებულება გულარხინად დატოვა და მისი გონება მოსალოდნელი დაწინაურების თაობაზე სასიამოვნო ფიქრებით იყო დაკავებული, ვიდრე მეკუბოის ფარდულს არ მიადგა.

იმ საღამოს მისტერ და მისის საუერბერები სტუმრად იყვნენ მიწვეული ჩაისა და ვახშამზე, ხოლო ნოე კლეიპოლი თავს არასოდეს იტვირთავდა ფიზიკური ვარჯიშით იმის გარდა, რაც საჭმელ-სასმლის მისაღებად იყო საჭირო, ამიტომაც

გვიანი დროის მიუხედავად, ფარდული ისევ ღია იყო. მისტერ ბამბლმა რამდენჯერმე დააკაკუნა დახლზე, მაგრამ ყურადღება არავინ მიაქცია; რაკი დახლის უკან პატარა მისაღებ ოთახში სინათლეს მოჰკრა თვალი, გადაწყვიტა, შეეხედა და გაეგო, რაშია საქმე; იმით, რაც ნახა, ფრიად გაკვირვებული დარჩა.

სუფრაგადაფარებულ მაგიდაზე ეწყო პური, კარაქი, თევშები, ჭიქები, პორტერით სავსე ჭიქა და ღვინის ბოთლი. სუფრის თავში სავარძელში

გადაშლართულ ნოე კლეიპოლს ცალი ფეხი სახელურზე გადაეკიდა; ერთ ხელში

გაშლილი ჯაყვა ეჭირა, მეორეში კი კარაქიანი პურის უზარმაზარი ნაჭერი. მის

ახლოს შარლოტი იდგა, ქილიდან ამოღებულ ხამანწკებს ხსნიდა, მისტერ კლეიპოლი კი არნახული სიხარბით ყლაპავდა. ყმაწვილის ჩვეულებრივზე მეტად

წითელი ცხვირი და კიდევ მარჯვენა თვალის რაღაც უცნაურად ხშირი ჩაპაჭუნება

მოწმობდა, რომ ნასვამი გახლდათ; ამ ნიშნებს ემატებოდა ის უსაზღვრო კმაყოფილება, რომლითაც ხამანწკებს სანსლავდა და აღნიშნულის ახსნა იმით შეიძლება, რომ ხამანწკებს შიგანში დაბუდებული სიცხის განელება შეუძლიათ.

- აი, მისტერ ნოე, ძვირფასო, ნახეთ, რა მშვენიერი ცხიმიანი ხამანწკაა! - ეუბნებოდა შარლოტი, - შეჭამეთ ეს ერთიც.

- ხამანწკა არაჩვეულებრივი რამაა, - შენიშნა მისტერ კლეიპოლმა მას შემდეგ, რაც ის გადაყლაპა, - რა დასანანია, რომ ბევრი ჭამის შემდეგ თავს ცუდად გრძნობ! ხომ მართალს ვამბობ, შარლოტ?

- ეს დიდი სისასტიკეა, - თქვა შარლოტმა.

- მართალს ამბობთ, - დაეთანხმა მისტერ კლეიპოლი, - თქვენ თუ გიყვართ ხამანწკები?

- არც ისე, - უპასუხა შარლოტმა, - ის უფრო მსიამოვნებს, როცა თქვენ ჭამთ

მათ, ჩემო ძვირფასო ნოე, ვიდრე თავად როცა ვყამ.

- ღმერთო! - ჩაფიქრდა ნოე, - რა უცნაურია!

- კიდევ ერთი, - შესთავაზა შარლოტმა, - აი, თუნდაც ეს, ლამაზი და ნაზი

ბუსუსებით.

- აღარც ერთის ჭამა აღარ შემიძლია, - თქვა ნოემ, - რა სამწუხაროა... აქ მოდით, შარლოტ, და გაკოცებთ.

- რაო! - დაიღრიალა მისტერ ბამბლმა და ოთახში შევარდა, - აბა, გაიმეორეთ,

რაც ახლა თქვით, სერ!

შარლოტმა წამოიკივლა და სახეზე წინსაფარი აიფარა. მისტერ კლეიპოლს მდგომარეობა არ შეუცვლია, მხოლოდ ფეხი ჩამოიღო სავარძლის სახელურიდან

და მთვრალი და შეშინებული, ბიდლს თვალს არ აცილებდა.

- აბა, გაიმეორე, რა თქვი, საზიზღარო ბიჭო, - განაგრძობდა ბიდლი, - ასეთ

რამეებზე ხმის ამოღებას როგორ ბედავთ, სერ?... თქვენ კიდევ, როგორ არ გრცხვენიათ, ამისკენ რომ უბიძგებთ, უსირცხვილო და გარყვნილო? აკოცოს!

-

წამოიყვირა განრისხებულმა ბიდლმა, - ფუჰ!

- მე სულ არ მინდოდა, - ამოისლუკუნა ნოემ, - სულ ეგ მკოცნის, მომწონს თუ არა, მაინც მკოცნის.

- ოჰ, ნოე! - საყვედურით წამოიძახა შარლოტმა.

- ჰო, ასეა; ძალიან კარგად იცი, რომ ასეა! - არ ცხრებოდა ნოე, - სულ ასე იქცევა, მისტერ ბამბლ, სერ; ნიკაპის ქვეშ მიღუტუნებს, სერ, და სულ თავზე დამფოფინებს.

- ხმა ჩაიწყვიტე! - მკაცრად დაუყვირა მისტერ ბამბლმა, - მემ, ქვემოთ ჩაბრძანდით... ნოე, ფარდული დაკეტეთ. კიდევ ერთხელ თუ ამოიღებ ხმას ბატონის მოსვლამდე, შენს თავს დააბრალებ, რაც მოხდება. როცა მოვა, გადაეცი, რომ მისტერ ბამბლმა უბრძანა, ხვალ დილით, ნასაუზმევს, შრომის სახლში ბებრუხანისთვის კუბო გაგზავნოს. გესმით, სერ?... აკოცოს! - წამოიყვირა მისტერ

ბამბლმა და ხელები ზეცისკენ აღმართა, - ვერაფერს იტყვი, ამ მდაბიოთა გარყვნილებასა და ცოდვიანობას საზღვარი არა აქვს. თუ პარლამენტი ამათ საზიზღარ ქცევას ყურადღებას არ მიაქცევს, ეს ქვეყანა დაიღუპება და მასთან ერთად მთელი გლეხობა თავისი ზნეობით!

ამ სიტყვებით მედიდურად და პირქუშად დატოვა მეკუბოსის საბრძანებელი. ახლა კი, ბიდლის სახლამდე მიცილებისა და ბებრუხანის დასაფლავებისთვის მოსამზადებელი საქმეების დასრულების შემდეგ, გავარკვიოთ, რა დაემართა ყმაწვილ ოლივერს, ისევ იმ თხრილში თუ წევს, სადაც ის საიკსმა დატოვა.

თავი 28 ოლივერ ტვისტისა და მისითავგადასავლის შესახებ

- დაე, მგლებმა დაგგლიჯონ ყველანი! - კბილების ღრჭიალით ბურდღუნებდა საიკსი, - ერთი ხელში ჩამივარდეთ, სულ ყმუილს დაგაწყებინებთ.

ამ სიტყვებს ისეთი გაბოროტებით ამბობდა, რამდენადაც მის ბუნებას შეეფერებოდა. საიკსმა დაჭრილი ბიჭი მუხლზე გადაიწვინა და ერთ წამს თავი მიაბრუნა, რომ მდევრისთვის თვალი შეეველო.

სიბნელესა და ნისლში ბევრი არაფერი ჩანდა, მაგრამ განგაშით გამოღვიძებულების ყვირილი და ყველა მხრიდან ძაღლების ყეფა ისმოდა.

- გაჩერდი, ნაგავო, მხდალო! - დაუყვირა მძარცველმა ტობი კრეკიტს, რომელიც თავის გრძელ ფეხებს არ ინდობდა და დიდი მანძილით გაასწრო, - გაჩერდი-მეთქი!

მეორე დამახილზე ტობი კრეკიტი გაშემდა. სრულებით არ გახლდათ დარწმუნებული, რომ საიკსის გასროლილი ტყვია ასცდებოდა, საიკსი კი ისეთ ხასიათზე იყო, მასთან ხუმრობა არ ღირდა.

- ბიჭის ტარებაში მომეხმარე, - ბრაზიანად დაუყვირა საიკსმა, - მობრუნდი!

ტობიმ თავი ისე მოაჩვენა, თითქოს ბრუნდებოდა, მაგრამ წელა მიდიოდა და ხმადაბლა, აქოშინებულმა, გაბედა და უკმაყოფილება გამოხატა.

- დაუჩქარე! - დაიყვირა საიკსმა და ბიჭი თავის ფეხებთან, მშრალ თხრილში

ჩააწვინა, ჯიბიდან კი პისტოლეტი ამოიღო, - ვერ გამაცურებ.

სწორედ ამ დროს ხმაური გაძლიერდა. საიკსმა ისევ უკან მიიხედა და დაინახა, რომ მდევარი უკვე მინდვრის ბოლოში ჭიმქარზე გადმოძვრა, ხოლო ორმა ძაღლმა მათ რამდენიმე ნაბიჯით გამოუსწრო.

- ყველაფერი დამთავრდა, ბილ! - დაიყვირა ტობიმ, - დატოვე ბიჭი და გაიქეცი!

ამ გამოსაშვებობებელი რჩევის შემდეგ მისტერ კრეკიტი, რომელსაც ერჩივნა, მეგობრის ხელით მომკვდარიყო, ვიდრე მტერს ჩაეარდნოდა ხელთ, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაიქცა. საიკსმა ტუჩები მაგრად მოკუმდა, ისევ უკან

მიიხედა, მიწაზე მწოლიარე ოლივერს საწვიმარი გადააფარა, შიგ ნაჩქარევად გაახვია და მესრის გასწვრივ გაიქცა, მდევრის ყურადღება რომ გადაეტანა იმ ადგილიდან, სადაც ბიჭი იწვა. წამით მეორე მესრის წინ გაჩერდა, რომელიც პირველს მართი კუთხით კვეთდა, ჰაერში გაისროლა, გადამვრა მესერზე და თვალს მიეფარა.

- აქეთ, აქეთ! - უკნიდან ვიღაცის აკანკალებული ხმა გაისმა, - პინჩერ! ნეპტუნ!

აქეთ! აქეთ!

ძაღლები თითქოს პატრონზე მეტ კმაყოფილებას სრულებით არ განიცდიდნენ თავს დამტყდარი განსაცდელის გამო, ამიტომ დამახილზე ხალისით დაბრუნდნენ უკან. ამასობაში მინდორში სამი მამაკაცი გამოჩნდა, ისინი სათათბიროდ შედგნენ.

- ჩემი რჩევა ან, უმჯობესია, ითქვას, ბრძანებაა, დაუყოვნებლივ შინ დავბრუნდეთ, - თქვა სამიდან ყველაზე მსუქანმა.

- მე კი ყველაფერი მომწონს, რაც მისტერ ჯაილზს მოსწონს, - თქვა მეორემ,

ტანდაბალმა, ძალიან ფერმკრთალმა და თავაზიანმა, როგორც არის ხოლმე, ჩვეულებრივ, მხდალი ადამიანი.

- ჯენტლმენებო, არ მინდა თავი უზრდელად მოგაჩვენოთ, - თქვა მესამემ, იმან, რომელმაც ძაღლებს დაუძახა, - მისტერ ჯაილზმა უკეთ იცის.

- რასაკვირველია, - დაეთანხმა ტანდაბალი, - მისტერ ჯაილზმა რაც უნდა თქვას, წინააღმდეგობას ვერ გავუწევ. არა, არა, კარგად ვიცი საკუთარი ადგილი.

მადლობა ღმერთს, ვიცი.

სიმართლე ითქვას, ტანდაბალმა მართლაც იცოდა საკუთარი ადგილი და ისიც შესანიშნავად უწყოდა, რომ ეს ადგილი სახარბიელო სრულებით არ გახლდათ და ამას როდესაც ამბობდა, შიშით კბილს კბილზე აცემინებდა.

- გეშინიათ, ბრიტლს! - თქვა მისტერ ჯაილზმა.

- არ მეშინია, - უპასუხა ბრიტლსმა.

- გემინიათ! - დაიჟინა ჯაილზმა.
- ცრუობთ, მისტერ ჯაილზ! - თქვა ბრიტლსმა.
- არა, თქვენ ცრუობთ, ბრიტლს! - არ შეეპუა მისტერ ჯაილზი.

ამ ოთხი რეპლიკის მიზეზი იყო მისტერ ჯაილზის გაღიზიანება, რადგან შინ დაბრუნების პასუხისმგებლობა მას დააკისრეს. მესამე მამაკაცმა სცადა, გონივრულად შეეწყვიტა კამათი.

- ჯენტლმენებო, აი, რას გეტყვით, - განაცხადა მან, - ყველას გვემინია.
- თქვენს თავზე ილაპარაკეთ, სერ, - თქვა შეკრებილთაგან ყველაზე გაფითრებულმა მისტერ ჯაილზმა.
- ჰოდა, ჩემს თავზე ვამბობ, - უპასუხა მესამე ჯენტლმენმა, - ასეთ გარემოებაში რომ შეგემინდეს, სრულიად ბუნებრივი და გასაგები რამ არის. მემინია.
- მეც, - თქვა ბრიტლსმა, - მაგრამ რა საჭიროა, ასე უხეშად ეკამათო ამ ადამიანს!

ამგვარმა გულახდილობამ მისტერ ჯაილზს მაშინვე გული მოუღობო და აღიარა, რომ თავადაც ემინია, ამის შემდეგ სამივე შებრუნდა და ერთსულოვნად უკან გაიქცა, ვიდრე მისტერ ჯაილზმა (ის ფიწლებით იყო დატვირთული და დანარჩენებზე ადრე აქოშინდა) ძალიან თავაზიანად არ ითხოვა სულის მოსათქმელად ცოტა ხნით შეჩერება, თან უნდოდა, ბოდიში მოეხადა თავისი დაუფიქრებელი სიტყვების გამო.

- მაგრამ აი, რა არის გასაკვირი, - განაგრძო მისტერ ჯაილზმა, როდესაც ახსნა-განმარტება დაასრულა, - როდესაც სისხლი უდუდღს, ადამიანი ყველაზე გასაოცარი საქციელის ჩამდენია! შეიძლებოდა ვინმე მომეკლა. ვიცი, შემეძლო, იმ ნაძირალებიდან ერთ-ერთი მაინც დამეჭირა. რაკი დანარჩენი ორიც იმავეს გრძნობდა, ხოლო მრისხანება ორივეს დაუცხრა, მათ ხასიათში მომხდარი ამ უჩვეულო გარდაქმნის შესახებ დაიწყეს მსჯელობა.

- მე ვიცი მიზეზი, - თქვა მისტერ ჯაილზმა, - ეს ჭიშკარია!
- არ გამიკვირდება, ეს მართლაც ასე რომ იყოს, - მაშინვე დაეთანხმა ბრიტლსი.
- უეჭველია, - თქვა ჯაილზმა, - იმ ჭიშკარმა გაანელა ჩვენი სიფიცხე. როცა მასზე გადავძვერი, ვიგრძენი, მრისხანებამ როგორ გამიარა.

გასაოცარი ის იყო, რომ დანარჩენმა ორმა ჭიშკარზე გადაძრომისას იგივე უსიამოვნო რამ იგრძნო. მოკლედ, ნათელი გახდა, რომ ყველაფრის მიზეზი ჭიშკარი ყოფილა; და გარდაქმნის დადგომის დროსთან დაკავშირებითაც სამივეს ახსოვდა, რომ ეს სწორედ მაშინ მოხდა, როდესაც მძარცველები

დაინახეს.

საუბარს წარმართავდა ორი მამაკაცი, რომლებმაც მძარცველები დააფრთხეს, აგრეთვე, მესამე, მოხეტიალე ხელოსანი, რომელსაც ფლიგელში ეძინა და დახმარებისთვის უხმეს მის ორ ძაღლთან ერთად. მისტერ ჯაილზი მოხუცი ლედის სახლში უფროს მსახურად და მნედ მუშაობდა; ბრიტლსი სხვადასხვა დავალებას ასრულებდა, იმ სახლში ჯერ კიდევ ბავშვობაში აიყვანეს სამსახურში და დღესაც, თითქმის 40 წლისა, ჯერ კიდევ პერსპექტიულ ყმაწვილად ითვლებოდა.

ასეთი საუბრებით ერთმანეთს ამხნევებდნენ, ერთმანეთთან ახლოს იდგნენ და შიშით იხედებოდნენ აქეთ-იქით, როდესაც ქარისგან ამოდრავებული ტოტები აჭრიალდა. სამი მამაკაცი სირბილით გაიქცა იმ ხისკენ, რომლის ქვეშაც დატოვეს ფარანი, რათა მძარცველებს მისი მეშვეობით სროლა არ გაადვილებოდათ. ფარანს ხელი წამოავლეს და ჩქარი ნაბიჯით სახლისკენ გაემართნენ; და როდესაც მათი სილუეტები ნისლში აღარ ჩანდა, ფარანს სინათლე კიდევ დიდხანს ციმციმებდა და ცეკვავდა, თითქოს ნესტიან და მავნე ჰაერში ჭაობის თავზე რაღაც სინათლე კრთოდა.

გათენების მოახლოებასთან ერთად უფრო აცივდა, ნისლი გუნდებად იყრიდა თავს მიწის ზემოთ, თითქოს ღრუბელიაო. ბალახი სულ მთლად სველი იყო, ხოლო ბილიკი და დაბლობი ტალახმა დაფარა; ძლიერი, ნესტიანი ქარი ყრუ ღმუხილით დათარეშობდა. ოლივერი ადრინდელივით გაუნძრევლად, უგრძნობელი იწვა იქ, სადაც საიკსმა დატოვა.

თენდებოდა. ქარი უფრო გაძლიერდა, ძვალსა და რბილში ატანდა, როდესაც სინათლის მკრთალმა ათინათებმა, უფრო მეტად ღამის გარდაცვალებას რომ მოასწავებდა, ვიდრე ახალი დღის დაბადებას, ცის კიდური შეაფერადა. საგნები, რომელთა კონტურები მანამდე სიბნელეში გადღაბნილად და საშიშად მოჩანდა, თანდათან გამოიკვეთა და საგნებმაც ჩვეული სახე დაიბრუნეს. კოკისპირული წვიმა წამოვიდა, წვეთები გაშიშვლებულ ბუჩქებზე აწკაპუნდა. მაგრამ ოლივერი ვერ გრძნობდა, როგორ ესხმებოდა წვიმა, გონდაკარგული და უმწეო იწვა თავის თიხის სარეცელზე.

ბოლოს სიჩუმე ტკივილის გამომხატველმა კვნესამ დაარღვია და ამოკვნესასთან ერთად ბიჭიც გამოფხიზლდა. ყელსახვევით ნაჩქარევად შეხვეული მკლავი დამძიმებული და ძალაგამოცლილი ეკიდა; სახვევი სისხლით იყო გაჟღენთილი. დასუსტებული ძლივძლივობით წამოჯდა; დახმარების იმედით მიმოიხედა და ტკივილისგან კიდევ ერთხელ დაიკვნესა. სიცივისა და სისუსტისგან აკანკალებულმა წამოდგომა სცადა, მაგრამ თავით ფეხამდე მთელ სხეულში კრუნჩხვამ დაუარა და მიწაზე მოცელილივით დაეცა.

მცირეხნიანი გულყრისგან, რომელშიც ამდენ ხანს იმყოფებოდა, გონზე მოსული ოლივერი გულისრევის შეგრძნებამ მიახვედრა, თუ არ ადგებოდა,

სიკვდილს ვერ ასცდებოდა, წამოდგა და გავლა სცადა. თავბრუ ეხვეოდა და მთვრალივით დაბარბაცებდა, მაგრამ თავის შემაგრება შეძლო და თავჩაქინდრული, ბორძიკით გაუყვა გზას; თავადაც არ იცოდა, საით მიდიოდა.

თანდათან ამოუტივტივდა რაღაც ნაფლეთ-ნაფლეთი, გაურკვეველი ხილვები. მოეჩვენა, თითქოს ისევ საიკსსა და კრეკიტს შორის მიაბიჯებდა, ისინი კი ერთმანეთს ლანძღავდნენ, - ყურში ის სიტყვებიც კი ესმოდა, რომლითაც ერთმანეთს მიმართავდნენ; მერე ძალის არნახული დამაბვით თავი შეიკავა, რომ არ წაქცეულიყო, დაბინდული გონება გამოფხიზლდა და შენიშნა, რომ თავად ელაპარაკებოდა მათ. მერე თითქოს მხოლოდ საიკსთან ერთად დარჩა და ისევ წინ მიდიოდა; მათ ვიღაცები ჩაუვლიდნენ ხოლმე და ასეთ დროს საიკსი

მაგრად უჭერდა ხელს. მერე წაბორძიკდა და სროლის ხმა მოესმა; ვიღაცის ყვირილი და ღრიალი ისმოდა; რაღაც ანათებდა; გარშემო ხმაური და გრიალი

იდგა; ვიღაცის უჩინარმა ხელმა სადღაც წაიყვანა. ვიდრე ეს ხილვები ერთმანეთს ენაცვლებოდა, რაღაცის ტკივილის შეგრძნება მოსვენებას არ აძლევდა.

ასე ბორძიკ-ბორძიკით მიდიოდა, თითქმის მექანიკურად ძვრებოდა გზად შემხვედრი მესრისა თუ ცოცხალი ღობის ნახვრეტებში და იქამდე იარა, ვიდრე

გზაზე გავიდოდა. აქ კი წვიმამ ისე დასცხო, მაშინვე გამოფხიზლდა.

მიიხედ-მოიხედა და სახლი დაინახა. იმ სახლამდე მიღწევა, ალბათ, შეეძლო.

თავში გაუელვა, რომ თუ სახლის ბინადრები მის შესაბრალის მდგომარეობას დაინახავდნენ, შეიცოდებდნენ, თუ არადა, უმჯობესი იყო, ადამიანებთან ახლოს

სიკვდილი, ვიდრე სადღაც, ტრიალ მინდორში. ამ უკანასკნელი განსაცდელის გადასალახავად მთელი ძალ-ღონე მოიკრიბა და ბარბაცით სახლისკენ გაემართა.

ახლოს მისულს მოეჩვენა, რომ ეს სახლი ადრე უკვე ნანახი ჰქონდა. მომხდარის დეტალები აღარ ახსოვდა, მაგრამ სახლი თითქოს ნაცნობი იყო.

გალავანი! ამ გალავნის იქით, ბალახზე, გასულ ღამეს დაჩოქილი ევედრებოდა იმ ორს. ეს სწორედ ის სახლი გახლდათ, რომლის გაქურდვა სურდათ.

ადგილის ამოცნობის შემდეგ ოლივერი ისეთმა შიშმა შეიპყრო, რომ ჭრილობა და ტკივილიც გადაავიწყდა და მხოლოდ გაქცევაზე ფიქრობდა. გაქცევა! მაგრამ

ფეხზე ძლივს იდგა და თუნდაც ძალაგამოცლილი არ ყოფილიყო, საით უნდა გაქცეულიყო? ჭიშკარს ხელი ჰკრა - ის ჩაკეტილი არ ყოფილა და გაიღო. ბორძიკით გადაიარა გაზონი, კიბეზე ავიდა და ხელით სუსტად დააკაკუნა კარზე,

მაგრამ ძალამ უმტყუნა, საფეხურზე დაეშვა და პატარა პორტიკის ერთ-ერთ სვეტს ზურგით მიეყუდა.

ისე მოხდა, რომ სწორედ ამ დროს მისტერ ჯაილზი, ბრიტლსი და მოხეტიალე

ხელოსანი ღამით გადატანილი შიშისა და მღელვარების შემდეგ სამზარეულოში ისხდნენ და ჩაითა და სხვა ნუგბარით მოსულიერებას ცდილობდნენ. მისტერ

ჯაილზი ვერ იტანდა უბრალო მსახურებისგან მეტისმეტად ფამილარულ დამოკიდებულებას, მათ ყოველთვის მედიდური კეთილგანწყობით ექცეოდა; ასეთი დამოკიდებულება მათ სიამოვნებდათ, თუმცა, მაინც შეახსენებდა მისტერ

ჯაილზის უფრო მაღალ საზოგადოებრივ მდგომარეობას. მაგრამ სიკვდილი, ხანძარი, მარცვა ის მოვლენებია, როდესაც ყველა თანასწორია, სწორედ ამიტომაც მისტერ ჯაილზს ფეხები ბუხრის ცხაურისთვის მიეშვირა, მარცხენა ხელით მაგიდას ეყრდნობოდა, მარჯვენათი კი დეტალურად აღწერდა მარცვას;

მის მონათხრობს მსმენელი (განსაკუთრებით კი, მზარეული და მოსამსახურე ქალი) სულგანაბული უსმენდა.

- დაახლოებით დამის სამის ნახევარი იყო... - დაიწყო მისტერ ჯაილზმა, - თავს ვერ დავდებ, ან იქნებ უკვე სამიც... გამეღვიძა, გადავბრუნდი, დაახლოებით ასე (მისტერ ჯაილზი სკამზე შებრუნდა და სუფრის კიდე ისე გადაიფარა, თითქოს საბანი იყო) და უეცრად რაღაც ხმაური შემომესმა...

როდესაც მთხრობელი ამ ადგილამდე მივიდა, მზარეულმა ფერი დაკარგა და მოსამსახურეს კარის დაკეტვა სთხოვა, მან, თავის მხრივ, ბრიტლსს დაავალა, ამ

უკანასკნელმა - მოხეტიალე ხელოსანს, რომელმაც თავი ისე მოაჩვენა, თითქოს ვერ გაიგონა.

- ...ხმაური გავიგონე, - განაგრძობდა მისტერ ჯაილზი, - ჯერ ვიფიქრე, მომეჩვენა-მეთქი და ის იყო, ჩამინებას ვაპირებდი, რომ უეცრად, ამჯერად ძალიან ცხადად და გარკვევით, ხმაური განმეორდა.

- როგორი ხმაური იყო? - იკითხა მზარეულმა.

- თითქოს სადღაც რაღაც გატყდა, - თქვა მისტერ ჯაილზმა და მიმოიხედა.

- არა, თითქოს ვიღაც მუსკატის კაკალს სახეხზე ხეხავდა, - უკარნახა ბრიტლსმა.

- ასეც იყო, სერ, როდესაც თქვენ გაიგონეთ ხმაური, - არ დაეთანხმა მისტერ

ჯაილზი, - მაგრამ მე რაც გავიგონე, რაღაცის მსხვრევის ხმას ჰგავდა. საბანი გადავიძვრე, - განაგრძო მისტერ ჯაილზმა და სუფრა მოიშორა, - საწოლში წამოვჯექი და ყური მივუგდე.

მზარეულმა და მოსამსახურემ ერთხმად წამოიძახეს: „ღმერთო!“ და ერთმანეთს მიეკვრნენ.

- ახლა უკვე სრულიად გარკვევით გავიგონე ხმაური, - ჰყვებოდა მისტერ ჯაილზი, - „ვიღაც კარს ან ფანჯარას ამტვრევს. რა ვქნა? მოდი, იმ საბრალო

ყმაწვილს, ბრიტლსს გავაღვიძებ, გადავარჩენ, რომ საწოლში არ მოკლან, ვერც

კი გაიგებს, ყელს როგორ გამოსყრიან“.

ამ სიტყვებზე ყველამ შეხედა ბრიტლსს, რომელიც შიშისგან

თვალებგაფართოებული და პირდადღებული მისჩერებოდა მთხრობელს.

- საბანი მოვისროლე, - მისტერ ჯაილზმა სუფრის ნაჭერი ხელის კვრით

მოიშორა და პირქუშად შეხედა მზარეულსა და მოსამსახურეს, - წამოვდექი და ჩავიცვი...

- მისტერ ჯაილზ, აქ ქალებიც არიან, - წაიჩურჩულა მოხეტიალე ხელოსანმა.

- ...ფეხსაცმელი, სერ, - მას მიუბრუნდა მისტერ ჯაილზი, თან პირველი სიტყვა

საგანგებოდ აღნიშნა, - ხელი წამოვავლე დატენილ პისტოლეტს, რომელიც ღამდამობით სუფრის ვერცხლეულის კალათასთან ერთად ყოველთვის ზემოთ ააქვთ და ფეხის წვერებზე ბრიტლის ოთახისკენ გავემართე. „ბრიტლს, - ვეუბნები, - გაიღვიძეთ, ოღონდ არ შეშინდეთ!“

- ჰო, ასე თქვით, - ხმადაბლა ჩაურთო ბრიტლსმა.

- „მგონი, შენი საქმე წასულია, ბრიტლს, - ვეუბნები, - განაგრძობდა ჯაილზი, - მაგრამ არ შეგეშინდეს“.

- შეეშინდა? - იკითხა მზარეულმა.

- სრულიადაც არა, - უპასუხა მისტერ ჯაილზმა, - ისევე მედგრად, თითქმის ისევე მედგრად იყო, როგორც მე.

- მის ადგილზე შიშით მოგკვდებოდი, - თქვა მოსამსახურემ.

- თქვენ ხომ ქალი ხართ, - ჩაურთო ცოტათი მოსულიერებულმა ბრიტლსმა.

- ბრიტლსი მართალს ამბობს, - მოწონებით დააქნია თავი მისტერ ჯაილზმა, -

ქალისგან სხვას რას უნდა ელოდო. მაგრამ ჩვენ, მამაკაცებმა, ბრიტლსის ოთახში ბუხრის თაროდან ფარანი ავიღეთ და ხელის ცეცებით, სრულ სიბნელეში, კიბეზე დავეშვით, - ვთქვათ, აი, ასე...

თავის მონათხრობს მისტერ ჯაილზი შესაბამისი ჟესტებით აფორმებდა, ის წამოდგა და ორი ნაბიჯი თვალდახუჭულმა გადადგა, მაგრამ უეცრად შეხტა და

სასწრაფოდ დაუბრუნდა თავის ადგილს მაგიდასთან. მზარეულმა და მოსამსახურემ წამოიკვივლეს.

- კარზე დააკაკუნეს, - თქვა მოჩვენებითი სიმშვიდით მისტერ ჯაილზმა, - ვინმემ გააღეთ. არავინ განძრეულა.

- ძალიან უცნაურია კარზე კაკუნი ამ დილაადრიან, - თქვა მისტერ ჯაილზმა გარშემომყოფთა გაფითრებულ სახეებს გადახედა და თავადაც გაფითრდა, - მაგრამ კარის გაღება აუცილებელია. ვინმემ უნდა გააღოს, გესმით?

ამასთან, მისტერ ჯაილზმა ბრიტლსს გადახედა, მაგრამ ამ ახალგაზრდამ, რომელიც ბუნებით მორცხვი ბრძანდებოდა, სავარაუდოდ, თავი არარაობად ჩათვალა და სრულებით არ მიუჩნევია, რომ მისტერ ჯაილზის შეკითხვა მას

ეხებოდა, ყოველ შემთხვევაში, პასუხი არ გაუცია. მისტერ ჯაილზმა ვედრებით გადახედა მოხეტიალე ხელოსანს, მაგრამ მას მოულოდნელად ჩასძინებოდა. ქალებზე ხომ ლაპარაკიც არ ღირდა.

- თუ ბრიტლსი თანახმაა, მოწმეების თანდასწრებით კარი გააღოს, - ხანმოკლე დუმილის შემდეგ თქვა მისტერ ჯაილზმა, - მზად ვარ, ერთ-ერთი მოწმე თავად ვიყო.

- მეც, - თქვა უეცრად გამოფხიზლებულმა მოხეტიალე ხელოსანმა.

ბრიტლსი დანებდა და მთელი კომპანია, ცოტათი დამშვიდებული იმით, რომ უკვე გათენდა (ეს დარაბების გახსნის შემდეგ აღმოაჩინეს), კიბეზე ავიდა - წინ

ძაღვები მიდიოდნენ. ქალები, რომლებსაც ქვემოთ მარტო დარჩენის შეეშინდათ, ბოლოს მიაბიჯებდნენ. მისტერ ჯაილზის რჩევით, ყველანი ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, რათა გარეთ მყოფი ავაზაკები გაეფრთხილებინათ, რომ ბევრნი არიან; ხოლო წინკარში, იმავე ჯენტლმენის გამომგონებლურ გონებაში მოსული ბრწყინვალე იდეის თანახმად, ძაღვებს კუდებს მტკივნეულად ქაჩავდნენ, რომ მათ ხმამაღლა ეყევათ.

სიფრთხილის ამ ზომების მიღების შემდეგ მისტერ ჯაილზმა მაგრად ჩასჭიდა ხელი მოხეტიალე ხელოსანს (როგორც თავად განმარტა, ეს უკანასკნელი რომ არ

გაქცეულიყო) და კარის გაღება ბრძანა. ბრიტლსი დაემორჩილა; დანარჩენები ერთმანეთის ზურგს ეფარებოდნენ და ისე იყურებოდნენ, მაგრამ პატარა ოლივერ

ტვისტის გარდა სახიფათო ვერაფერი დაინახეს. დასუსტებულ ოლივერს ხმის ამოდება არ შეეძლო, მხოლოდ დამძიმებული ქუთუთოები გაახილა და მის თვალებში უტყვი მუდარა იკითხებოდა.

- ბიჭი! - დაიყვირა მისტერ ჯაილზმა, რომელმაც მამაცურად ჩამოიშორა მოხეტიალე ხელოსანი, - რა მოხდა?... რაა? ბრიტლს... ერთი შეხედე... გეცნო?

ბრიტლსმა, რომელიც კარის გაღების შემდეგ მის უკან იდგა, ოლივერს თვალი

შეავლო თუ არა, შეჰყვირა. მისტერ ჯაილზი ოლივერს ხელსა (საბედნიეროდ,

დაუზიანებელ ხელში) და ფეხში ეცა და წინკარში შეათრია, პირდაპირ იატაკზე დააწვინა.

- აი, ისიც! - იყვირა არნახულად აღელვებულმა ჯაილზმა და კიბისკენ შებრუნდა, - აი, ერთ-ერთი მმარცველი, მემ! ეს ქურდია, მემ! დაჭრილია, მემ!

ვესროლე, ბრიტლსი კი მინათებდა. ფარანი ეჭირა და მინათებდა, მემ, - ჯაილზმა ორივე ხელი პირთან მიიტანა და ისე ყვიროდა.

ორივე მოსამსახურე კიბით მაღლა გაიქცა, რომ შეეტყობინებინათ, როგორ დაიჭირა მისტერ ჯაილზმა ერთ-ერთი ქურდი; მოხეტიალე ხელოსანი ოლივერის

მოსულიერებას ცდილობდა, რათა იმაზე ადრე არ მომკვდარიყო, ვიდრე

სახრჩობელაზე ასვლა მოუწევდა. ამ არეულობასა და ხმაურში ქალის ნაზი ხმა გაისმა და უეცრად სრული სიჩუმე ჩამოვარდა.

- ჭჯაილზ! - მოისმა ჩურჩული კიბის ზედა საფეხურიდან.

- აქ ვარ, მის, - უპასუხა მისტერ ჯაილზმა, - არ შეგეშინდეთ, მის, არ დავშავებულვარ. დიდი წინააღმდეგობა არ გაუწევია, მის! ადვილად გავუსწორდი.

- ჩუმად! - თქვა ახალგაზრდა ლედიმ, - დეიდა ქურდებზე არანაკლებ შეაშინეთ... საბრალო, მძიმედაა დაჭრილი?

- საშინლად, მის! - დაუფარავი კმაყოფილებით უპასუხა ჯაილზმა.

- ისე ეტყობა, რომ სადაცაა მოკვდება, მის, - დაიღრიალა ბრიტლსმა, - ქვემოთ არ გინდათ ჩამოხვიდეთ და შეხედოთ, სანამ მოკვდება?

- ჩუმად, თუ შეიძლება! - თქვა ლედიმ, - ერთ წუთს წყნარად იყავით, ვიდრე

დეიდას ვეტყვი, - და ისეთივე მსუბუქი ნაბიჯით წავიდა, როგორც ხმა ჰქონდა.

მალე უკან დაბრუნდა და ბრძანება გასცა, დაჭრილი დაუყოვნებლივ ზემო, მისტერ ჯაილზის ოთახში გადაეყვანათ, ბრისტლს კი პონი უნდა შეეკაზმა ჩერტსიდან კონსტებლისა და ექიმის მოსაყვანად.

- არ გინდათ, ჯერ შეხედოთ, მემ? - ისეთი სიამაყით ჰკითხა მისტერ ჯაილზმა,

თითქოს ხელთ იშვიათი შეფერილობის ფრინველი ჰყავდა, რომელიც მარჯვე გასროლით მოკლა, - თუნდაც ერთხელ, მის?

- არა, ახლა არავითარ შემთხვევაში, - უპასუხა ახალგაზრდა ლედიმ, - საბრალო! ოჰ, ჯაილზ, პირობა მომეცით, რომ ალერსიანად მოექცევით!

მოხუცმა მსახურმა ახალგაზრდა ლედის, რომელიც შებრუნდა და წასასვლელად მოემზადა, სიამაყითა და აღტაცებით შეხედა, თითქოს ის მისი შვილი იყო. მერე ოლივერისკენ დაიხარა და ისეთი მზრუნველობითა და სიფრთხილით დაეხმარა მის ზემოთ აყვანაში, გეგონებოდათ, ქალი იყო. თავი 29 იმ სახლის მცხოვრებთა შესახებ, სადაც ოლივერმა თავი შეაფარა

მყუდრო ოთახში, რომლის ავეჯი უფრო მეტად გარდასული დროის კომფორტზე მიუთითებდა, ვიდრე თანამედროვეზე, დახვეწილად გაშლილ საუზმის სუფრას ორი ლედი უჯდა. მათ შავ კოსტიუმში გამოწყობილი მისტერ

ჯაილზი ემსახურებოდა. ბუფეტსა და მაგიდას შუა წელში გამართული, ოდნავ

გვერდზე თავგადახრილი იდგა, მარცხენა ფეხი წინ წაედგა, ხოლო მარჯვენა ხელი ჟილეტის ბორტის უკან ჩაედო; დაშვებულ მარცხენა ხელში ლანგარი ეჭირა.

იმ ადამიანის გამომეტყველება ჰქონდა, რომელსაც საკუთარი დამსახურება და მნიშვნელობა კარგად აქვს შეგნებული.

ორი ქალბატონიდან ერთი უკვე ხანდაზმული გახლდათ, მაგრამ ისეთივე გამართული იჯდა, როგორც მისი მუხის სავარძლის საზურგე იყო. პეწიანი,

მკაცრი, ძველმოდური კაბა ეცვა, თუმცა, უკანასკნელი მოდისთვის დამახასიათებელი ზოგიერთი დეტალით; ეს დეტალები ერთიან შთაბეჭდილებას

არათუ ვნებდა, არამედ დახვეწილად წარმოაჩენდა ძველებურ სტილს. მოხუცი ლედი მედიდური იერით იჯდა და ხელები მაგიდაზე დაეწყო. მისი თვალები (რომლებსაც ასაკმა ვერაფერი დააკლო) ყურადღებით მისჩერებოდა ახალგაზრდა თანამოსაუბრეს.

ახალგაზრდა ლედი ქალურობის გაზაფხულის უმშვენიერეს ხანაში გახლდათ. ეს ის ასაკია, როდესაც შეიძლება თქვა, რომ ასეთ არსებებში ციური ანგელოზები ჩასახლდებიან ხოლმე, თუ ღმერთმა შეიძლება მათ მოკვდავის სახე მისცეს.

ჩვიდმეტ წელზე მეტის არ უნდა ყოფილიყო. მისი იერი ისეთი უწყინარი და ნაზი, უმანკო და მშვენიერი იყო, გეგონებოდა, ამ მიწისა და მისი უხეში ქმნილებების გვერდით ცხოვრებისთვის არ არის გაჩენილიო. საოცრად ლურჯ თვალებსა და კეთილშობილურ შუბლზე მისი ასაკისთვის და ამ ქვეყნისთვისაც შეუფერებელი ჭკუა იკითხებოდა; ღმობიერება, გულმოწყალება, სინათლე, მის

სახეს რომ ნათელს ჰფენდა და ჩრდილის ნატამალსაც კი არ ტოვებდა, და რაც მთავარია, ულამაზესი, ბედნიერი ღიმილი, ოჯახური ცხოვრების, სიმშვიდისა და

ბედნიერებისთვის იყო განკუთვნილი.

სუფრაზე ის დიასახლისობდა. უცრად მისი მზერა მოხუცი ლედისას შეხვდა, შუბლიდან სადად დავარცხნილი თმის კულული მოიშორა და მის კრიალა თვალებში იმდენი სიყვარული და სინაზე გამოკრთა, მისი დანახვა რომ შესძლებოდათ, ციური სულებიც გაიღიმებდნენ.

- საათზე მეტია, რაც ბრიტლსი წავიდა, ხომ მართალია? - დუმილის შემდეგ იკითხა მოხუცმა ლედიმ.

- საათი და ოცი წუთია, მემ, - უპასუხა მისტერ ჯაილზმა, რომელმაც ჟილეტის ჯიბიდან შავ ლენტზე ჩამოკიდებული საათი ამოიღო და დახედა.

- სულ ზოზინობს, - თქვა მოხუცმა ლედიმ.

-- ბრიტლსი ყოველთვის ზოზინა ყმაწვილი იყო, მემ, - უპასუხა მსახურმა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ უკანასკნელი ოცდაათი წელიწადი ბრიტლსი ზოზინა ბრძანდებოდა, ნაკლებად სავარაუდოა, უახლოეს მომავალში ვინმეს მისი სიმარდის იმედი ჰქონოდა.

- მგონი, რაც დრო გადის, უფრო უარესი ხდება და არა უკეთესი, - შენიშნა მოხუცმა ლედიმ.

- სრულიად შეუწყნარებელია, თუ სხვა ბიჭებთან თამაშით ერთობა და ამიტომ აგვიანებს, - ღიმილით თქვა ახალგაზრდა ლედიმ.

მისტერ ჯაილზი ფიქრობდა, ღირდა თუ არა თავისთვის გაღიმების უფლება მიეცა, მაგრამ ამ დროს ჭიშკარს ორთავალა მოადგა, საიდანაც მსუქანი

ჯენტლმენი გადმოხტა, პირდაპირ კარისკენ გაიქცა, სრულიად აუხსნელი გზით სახლში ერთ წამში შევიდა, სასტუმრო ოთახში შევარდა და კინალამ მისტერ ჯაილზი და საუზმისთვის გაშლილი მაგიდა გადააყირავა.

- ასეთი რამ ჯერ არ მსმენია! - წამოიყვინძა მსუქანმა ჯენტლმენმა, - ძვირფასო მისის მეილი, ღმერთო დიდებულო, შუადამისას, სიბნელესა და სიჩუმეში... ასეთი რამ ჯერ არ მსმენია!

ასე გამოხატა თავისი თანაგრძნობა, შემდეგ მსუქანმა ჯენტლმენმა ორივე ლედის ხელი ჩამოართვა, სკამი მისწია და დაინტერესდა, თავს როგორ გრძნობდნენ.

- შეიძლებოდა მომკვდარიყავით, მომკვდარიყავით შიშით, - თქვა მსუქანმა ჯენტლმენმა, - რატომ არავინ გამოგზავნეთ ჩემთან? თავს გეფიცებით, ჩემი მსახური ერთ წუთში აქ გაჩნდებოდა, მე და ჩემი თანაშემწეც სიამოვნებით დაგეხმარებოდით, როგორც ყოველთვის. ძვირფასო! ძვირფასო! ეს ყველაფერი ისეთი მოულოდნელია! და თანაც შუადამისას!

ექიმი ისე იყო შეშფოთებული შუადამისას მარცვის მცდელობით, თითქოს მმარცველებში დაუწერელი ჯენტლმენური კანონია, იქურდონ ნაშუადღევს და თანაც, საკუთარი განზრახვის შესახებ წინასწარ ფოსტით გააფრთხილონ.

- თქვენ, მის როაზ, - ახალგაზრდა ლედის მიუბრუნდა ექიმი, - მე...

- ჰო, რა თქმა უნდა, - შეაწყვეტინა როაზმა, - მაგრამ დეიდას უნდა, ის საბრალო ნახოთ, რომელიც ზევით წევს.

- აჰ, რა თქმა უნდა, - უპასუხა ექიმმა, - თქვენი ნახელავი უნდა იყოს, მისტერ ჯაილზ, როგორც გავიგე.

მისტერ ჯაილზი, რომელიც გამალებით ალაგებდა ჭიქებს, გაწითლდა, მერე უპასუხა, რომ პატივი მას ეკუთვნის.

- პატივიო, ჰა? - შეეკითხა ექიმი, - არ ვიცი, სამზარეულოში ქურდის დაჭრა

ისეთივე ღირსეული თუ არის, როგორც ოცი ნაბიჯიდან ადამიანის დახვრეტა.

წარმოიდგინეთ, რომ მან ჰაერში გაისროლა, თქვენ კი დუელი გქონდათ, ჯაილზ.

მისტერ ჯაილზი საქმისადმი ამგვარ ზერელე დამოკიდებულებას საკუთარი დიდების დაკნინების მცდელობად მიიჩნევდა, მაგრამ ძალზე ღირსეულად პასუხობდა, რომ მისი სამსჯელო ეს არ არის, მაგრამ მოწინააღმდეგე ნამდვილად არ იყო ხუმრობის ხასიათზე.

- ჰო, ეს კი მართალია! - წამოიძახა ექიმმა, - სად არის? მიმიყვანეთ მასთან.

გავსინჯავ და ისევ აქ ჩამოვალ, მისის მეილი. ეს ის პატარა ფანჯარაა, საიდანაც

შემოვიდა, არა? ჰმ, დაუჯერებელია, ვერასოდეს წარმოვიდგენდი!

ექიმს ენა არ გაუჩერებია, ისე გაჰყვა მისტერ ჯაილზს მაღლა; ვიდრე ის კიბეს მიუყვება, მინდა მკითხველს ვაუწყო, რომ მისტერ ლოსბერნი, ადგილობრივი მკურნალი, რომელსაც გარშემო ათი მილის მანძილზე უბრალოდ, „ექიმს“ ეძახდნენ, უფრო მეტად თავისი გულკეთილობის გამო იყო გასუქებული, ვიდრე დაღბენილი ცხოვრების წყალობით; მისნაირი საყვარელი, გულთბილი, უცნაური მოხუცი მარტოხელა მამაკაცი არა მხოლოდ ახლომახლო, არამედ ხუთჯერ დიდ ტერიტორიაზეც კი სანთლითაც არ მოიძებნებოდა.

ექიმი იმაზე დიდხანს შეყოვნდა, ვიდრე თავად და ქალბატონებს ეგონათ. ორთვალადან ექიმის ყუთი გადმოიტანეს; საწოლ ოთახში ბევრჯერ გაისმა ზარის

ხმა, ხოლო მოსამსახურეები კიბეზე არბოდნენ და ჩარბოდნენ; ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით შეიძლებოდა იმის დასკვნა, რომ ზემოთ საქმე

იმაზე სერიოზულად იყო, ვიდრე წარმოედგინათ. ბოლოს, როგორც იქნა, ექიმი

დაბრუნდა და ადელვებული ქალბატონების შეკითხვაზე მისი პაციენტის მდგომარეობის შესახებ მეტად იდუმალი სახე მიიღო და კარი გულდასმით მიხურა.

- ძალიან უჩვეულო შემთხვევაა, მისის მეილი, - თქვა ექიმმა, რომელიც კართან ისე იდგა, თითქოს არ სურდა, ვინმეს შემთხვევით გაელო.

- იმედია, საფრთხე არ ემუქრება? - იკითხა მოხუცმა ლედიმ.

- ყველა გარემოების გათვალისწინებით ასე რომ მოხდეს, გასაკვირი არ იქნება, - უპასუხა ექიმმა, - თუმცა, არა მგონია, მდგომარეობა გართულდეს.

ნანახი თუ გყავთ ეს ქურდი?

- არა, - უპასუხა მოხუცმა ლედიმ.

- მასზე არაფერი იცით?

- არაფერი.

- მაპატიეთ, მემ, - ჩაერია მისტერ ჯაილზი, - თქვენთვის უნდა მომეყოლა, როდესაც ექიმი ლოსბერნი შემოვიდა.

საქმე ის არის, რომ თავიდან მისტერ ჯაილზს გამბედაობა არ ეყო, ეღიარებინა, რომ მან მხოლოდ და მხოლოდ ბიყქუნას ესროლა. მის სიმამაცეს ისეთი ხოტბა შეასხეს, რომ ხანმოკლე დიდების წუთებში მყოფმა გადაწყვიტა, სიმართლის გამხელა სულ მცირე ხნით გადაედო.

- როუზს სურდა მისი ნახვა, - თქვა მისის მეილიმ, - მაგრამ მე ამის გაგონებაც კი არ მინდა.

- ჰმ! - თქვა ექიმმა, - შესახედავად სრულებითაც არ არის საშიში. წინააღმდეგი ხომ არა ხართ, ჩემი თანდასწრებით ნახოთ?

- რასაკვირველია, არა, თუ ეს აუცილებელია, - უპასუხა მოხუცმა ლედიმ.

- მერწმუნეთ, ეს აუცილებელია, - თქვა ექიმმა, - ყოველ შემთხვევაში, ეჭვი არ მეპარება, თუ გადადებთ და ამას დროულად არ იზამთ, ძალიან ინანებთ. ახლა

წყნარად და ჩუმად წევს. ნება მომეცით... მის როუზ, შეიძლება? თავს ვფიცავ, საშიში არაფერია!

თავი 30 რა იფიქრეს ოლივერზე მისმა მნახველებმა

ექიმმა ქალბატონებს რამდენჯერმე გაუმეორა, რომ ქურდის გარეგნობა მათ ფრიად გააოცებდა, შემდეგ ახალგაზრდა ლედის ერთი ხელი გაუწოდა, მეორე -

მოხუც ქალბატონს და ორივე ზარ-ზეიმით აიყვანა ზევით.

- ახლა კი, - წაიჩურჩულა ექიმმა და ფრთხილად ჩამოსწია საძინებლის სახელური, - ვნახოთ, მასზე რას იტყვით. დიდი ხანია, გასაპარსია, მაგრამ სრულებით არ არის მრისხანე შესახედაობის. მოიცადეთ! ჯერ შევხედავ, მზად

არის თუ არა სტუმრების მისაღებად.

ექიმმა ქალბატონებს წინ გაასწრო და ოთახში შეიხედა, მერე ანიშნა, უკან მიჰყოლოდნენ, შეუშვა, კარი დახურა და ფრთხილად გადასწია საწოლის ფარდა.

საწოლზე პირქუში, თავზე ხელაღებული, ჩამოყალიბებული დამნაშავეს ნაცვლად

გამხდარი, ტკივილით გატანჯული ბავშვი იწვა, რომელსაც ღრმად ეძინა.

გადახვეული დაჭრილი ხელი მკერდზე ედო, მეორე ხელი კი თავკეშ ამოედო.

სახეს სანახევროდ უფარავდა ბალიშზე მიმოფანტული თმა.

კეთილშობილ ჯენტლმენს საწოლის ფარდა ეჭირა და რამდენიმე წუთს მდუმარედ დასცქეროდა ბავშვს. ვიდრე ის უყურებდა, ახალგაზრდა ლედი ფეხაკრეფით მიუახლოვდა საწოლთან მდგარ სკამს, ჩამოჯდა, დაიხარა და ოლივერს სახიდან თმა მოაცილა. როდესაც ბავშვისკენ დაიხარა, თვალიდან ცრემლი ჩამოუგორდა და ბიჭს შუბლზე დაეცა.

ბიჭი შეინძრა და ძილში გაიღიმა, თითქოს სიბრალულისა და თანაგრძნობის ამ ნიშანმა რაღაც სასიამოვნო ოცნება გაუღვიძა სიყვარულისა და ალერსის შესახებ, რაც არასოდეს გამოუცდია. ისე, როგორც ნაზ მელოდიას, სიჩუმეში წყლის ჩხრიალს, ყვავილის სურნელს ან ნაცნობ სიტყვას უეცრად შეუძლია გამოიწვიოს ბუნდოვანი მოგონება იმის შესახებ, რაც ამ ცხოვრებაში არასოდეს ყოფილა; მოგონება, რომელიც სუნთქვასავით ქრება, რომელსაც დიდი ხნის წინ

ჩავლილი უბედნიერესი არსებობის შესახებ წამიერი ფიქრი იწვევს - მოგონება,

რომელსაც გონების უკიდურესი დამაბვაც ვერ გამოიხმობს.

- ეს რას ნიშნავს? - წამოიძახა მოხუცმა ლედიმ, - ეს საბრალო ბავშვი შეუძლებელია ქურდების ხელშემწყობი ყოფილიყო.

-- ბოროტება მრავალ ტამარს აფარებს ხოლმე თავს, - თქვა ექიმმა და საწოლის ფარდა ჩამოაფარა, - ვინ იცის, რისთვის გამოიყენეს ეს მშვენიერი ფუტლარი?

- მაგრამ ასეთ ნორჩ ასაკში? - არ დაეთანხმა როუზი.

- ჩემო მშვენიერო ახალგაზრდა ქალბატონო, - სინანულით თქვა ექიმმა და თავი გადააქნია, - დანაშაული, ისე როგორც სიკვდილი, თავის ძალაუფლებას

უმორჩილებს არა მხოლოდ მოხუცებსა და მიხრწნილებს. ზოგჯერ მისი გამომწვევნი ძალიან ახალგაზრდები და მომხიბლავებიც არიან.

- მაგრამ... ოჰ, როგორ შეგიძლიათ დაუშვათ, რომ ეს სიფრიფანა ბავშვი ყველაზე ამაზრზენი ნადირალების ნებაყოფლობითი ხელშემწყობი იყო? - ჰკითხა როუზმა.

ექიმმა თავი ისე გადააქნია, რომ მიეხვედრებინა, ეს სავსებით შესაძლებელიაოთო, მერე ორივე ქალბატონს სთხოვა, აღარ შეეწუხებინათ ავადმყოფი და სამივენი გვერდით ოთახში გავიდნენ.

- მაგრამ თუნდაც ასეთი უზნეო იყოს, - განაგრძობდა როუზი, - იფიქრეთ, როგორი ნორჩია; იმაზეც იფიქრეთ, რომ შესაძლოა, არასოდეს უგრძნია დედის

ალერსი, ოჯახურ სითბოსაა მოკლებული. იქნებ ცუდმა მოპყრობამ, ცემა-ტყეპამ

ან შიმშილმა აიძულა, ისეთ ადამიანებს დაჰკავშირებოდა, რომლებმაც დანაშაულის ჩადენისკენ უბიძგეს... დეიდა, საყვარელო დეიდა, ღვთის გულისთვის, ამაზე იფიქრეთ, ვიდრე ამ ავადმყოფ ბავშვს ციხისთვის გაიმეტებთ,

სადაც მისი გამოსწორების უკანასკნელი იმედიც მოკვდება! ოჰ, თქვენ ხომ გიყვარვართ, ხომ იცით, თქვენი ალერსისა და სიკეთის წყალობით არასოდეს მიგრძნია ობლობა, მაგრამ ხომ შეიძლებოდა, მეც ამ საბრალო ბავშვივით გამომეცადა, მასავით მიუსაფარი და დაუცველი ვყოფილიყავი! გთხოვთ, შეიბრალებთ, სანამ გვიან არ არის!

- ჩემო საყვარელო, - თქვა მოხუცმა ლედიმ და ატირებული გოგონა გულში ჩაიკრა, - ნუთუ იფიქრე, რომ მას თმის თუნდაც ერთი ღერი ჩამოუვარდება თავიდან?

- ოჰ, არა! - მხურვალედ წამოიძახა როუზმა.

- რასაკვირველია, არა, - თქვა მოხუცმა ლედიმ, - ჩემი სიცოცხლე უკვე დასასრულს უახლოვდება და გულმოწყალება რომ დავიმსახურო, მინდა სხვა ადამიანების მიმართაც ვიყო გულმოწყალე... სერ, რა გავაკეთო, როგორ გადავარჩინო?

- მემ, ნება მომეცით, დავფიქრდე, - თქვა ექიმმა, - ცოტა ხანს მადროვეთ.

მისტერ ლოსბერნიმ ჯიბეებში ხელები ჩაიყო და ოთახში რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა, ხშირად ჩერდებოდა, ფეხის წვერებზე დგებოდა და იღუმებოდა.

რამდენჯერმე წამოიძახა: „მოვიფიქრე!“ და „არა, არ ვარგა!“, მერე ისევ წარბშეკრული განაგრძობდა ბოლთის ცემას. ბოლოს შეჩერდა და თქვა:

- ვფიქრობ, თუ მისტერ ჯაილზისა და ბრიტლსის ცოტათი დაშინების ნებას მომცემთ, ამ საქმეს მოველება. ვიცი, რომ ჯაილზი ერთგული ადამიანია, დიდი

ხანია თქვენთან მსახურობს, მაგრამ თქვენ ათას სხვა საშუალებას გამონახავთ

მისთვის მადლიერების გამოსახატავად და ამ გასროლისთვის დასაჯილდოებლად. წინააღმდეგი ხომ არა ხართ?

- თანახმა ვარ, თუ ბავშვის გადარჩენის სხვა საშუალება არ არსებობს, - უპასუხა მისის მეილიმ.

- სხვა არ არის, - თქვა ექიმმა, - არავითარი სხვა საშუალება! შეგიძლიათ, მენდოთ.

- ასეთ შემთხვევაში, დეიდა განუსაზღვრელ ძალაუფლებას განიყუჩებთ, - უთხრა თვალცრემლიანმა როუზმა, - მაგრამ გთხოვთ, საჭიროზე მეტად ნუ გაუბრაზდებით იმ საბრალოებს.

- მის როუზ, დღეს რატომღაც ფიქრობთ, რომ თქვენ გარდა ყველა გულქვა ადამიანია, - უპასუხა ექიმმა, - მხოლოდ იმის იმედი მაქვს, რომ მამრობითი

სქესის პირველივე ღირსეული ახალგაზრდა წარმომადგენელი, რომელიც თქვენში თანაგრძნობის გამოწვევას ეცდება, თქვენგან ასეთივე ღმობიერ დამოკიდებულებას დაიმსახურებს. და ძალიან მინდა იმ ახალგაზრდის ადგილზე

ვიყო, რომ დღევანდელის მსგავსი ხელსაყრელი შემთხვევით დაუყოვნებლივ ვისარგებლო.

- თქვენც ისეთივე მოზრდილი ბავშვი ხართ, როგორც ბრიტლსია, - მორცხვად თქვა როუზმა.

- ჰო, - გულიანად გაიცინა ექიმმა, - ეს ხომ არც ისე ძნელია. მაგრამ ახლა ისევე

ბიჭს დავუბრუნდეთ. ჩვენი მოლაპარაკების კიდევ ერთ მუხლზე უნდა შევთანხმდეთ. ჩემი აზრით, დაახლოებით ერთ საათში გაიღვიძებს.

მართალია,

ქვემოთ იმ გონებაჩლუნგ კონსტებლს ვუთხარი, რომ ბიყის შეწუხება არ შეიძლება და მასთან საუბარი ბავშვის სიცოცხლისთვის სარისკოა, მაინც მგონია,

მასთან გასაუბრებას შევძლებთ. ჩემი პირობა ასეთია: თქვენი თანდასწრებით გამოვკითხავ და თუ მისი სიტყვების ცივად განსჯის შემდეგ დავასკვნით, რომ ის

საბოლოოდ არის ხელიდან წასული (ამ ვარაუდისთვის კი საკმარისზე მეტი საფუძველი არსებობს), ბიჭმა თავის თავს დამოუკიდებლად უნდა მიხედოს, ყოველ შემთხვევაში, მე აღარ ჩავერევი.

- ოჰ, არა, დეიდა! - წამოიყვირა როუზმა.

- ოჰ, დიახ, დეიდა! - თქვა ექიმმა, - შევთანხმდით?

- ის არ იქნება გადაგვარებული არამზადა, - თქვა როუზმა, - ეს შეუძლებელია.

- ძალიანაც კარგი, - განაცხადა ექიმმა, - მით მეტი საფუძველი გაქვთ, რომ ჩემს

წინადადებას დათანხმდეთ.

საბოლოოდ, შეთანხმებას მიაღწიეს და ორივე მხარე მოუთმენლად ელოდებოდა, როდის გაიღვიძებდა ოლივერი.

ორივე ქალბატონის მოთმინებას იმაზე მეტხნიანი გამოცდა ელოდა, ვიდრე მისტერ ლოსბერნი ივარაუდა, რადგან საათები გადიოდა, ოლივერს კი ისევ ღრმად ეძინა. საღამო იდგა, როდესაც ექიმმა მათ შეატყობინა ოლივერის იმდენად გამოძჯობინების შესახებ, რომ მასთან საუბარი შეიძლებოდა. მისტერ ლოსბერნის თქმით, ბიჭი ძალიან ავად იყო, ბევრი სისხლი დაკარგა და სისუსტემ დარია ხელი, მაგრამ თავად სურდა, რაღაც მოეყოლა; ექიმმა ჩათვალა, რომ ამ შესაძლებლობის მისთვის მიცემა უმჯობესი იყო და დაჟინებით არ მოუთხოვია, ბიჭთან შეხვედრა დილისთვის გადაედოთ; საჭიროების შემთხვევაში თავადაც არ დაუშვებდა საუბრის საღამოს გამართვას.

საუბარი დიდხანს გაგრძელდა. თავისი ცხოვრების არცთუ ისე რთულ ამბავს ოლივერი დაწვრილებით მოჰყვა, დროდადრო ტკივილი და სისუსტე აიძულებდა, გაჩუმებულიყო. ჩაბნელებულ ოთახში სევდიანად ისმოდა ავადმყოფი ბავშვის მისუსტებული ხმა, რომელიც ჰყვებოდა გულქვა ადამიანების მიერ მიყენებული მრავალი ტკივილისა და უბედურების შესახებ. ოჰ! რა იქნებოდა ჩვენი მოძმეების ჩაგვრისა და შევიწროებისას ერთხელ მაინც დავფიქრდეთ ადამიანური ცოდვების საზარელი სამხილების შესახებ – სამხილების, რომლებიც მძიმე და სქელი ღრუბელივით ნელა, მაგრამ ჯიუტად ზეცისკენ მიიწევენ, რათა მერე თავს დაგვატეხოს შურისძიება; რა იქნებოდა, სულ ერთ წამს მაინც წარმოგვედგინა მიცვალებულთა ყრუ, მამხილებელი ხმები, რომელთა ჩახშობა არავითარ ძალას, არავითარ სიამაყეს არ შეუძლია; რაღა დარჩებოდა მაშინ იმ შეურაცხყოფის, უსამართლობის, ტანჯვის, სიღატაკის, სისასტიკის, სიცრუისგან, რომელთაც ყოველდღიურად ვაწყდებით?!

იმ საღამოს ოლივერს ბალიშს ალერსიანად უსწორებდნენ, მის ძილს სიღამაზე და გულისხმიერება დარაჯობდა. დამშვიდებული და ბედნიერი ბიჭი სიკვდილსაც თვალის დაუხამხამებლად შეხვდებოდა.

ამ მნიშვნელოვანი საუბრის დასრულებისთანავე ოლივერს ისევ ძილმა წართვა თავი, ექიმმა ცრემლები მოიწმინდა და, იმავდროულად, მათ სისუსტისთვის ლანძღავდა. ის ქვემოთ ჩავიდა, რომ ახლა მისტერ ჯაილზის წინააღმდეგ ემოქმედა. სასტუმრო ოთახში რაკი ვერავინ იპოვა, ექიმმა მართებულად ჩათვალა, შესაძლოა, მეტ წარმატებას სამზარეულოში მივაღწიოთ და იქით გასწია.

აქ, ოჯახური პარლამენტის ქვედა პალატაში, შეკრებილიყვნენ მოსამსახურეები, მისტერ ბრიტლსი, მისტერ ჯაილზი, მოხეტიალე ხელოსანი (რომელმაც მხარდაჭერისთვის დღის ბოლომდე სამზარეულოში სადილობის ნებართვა მიიღო) და კონსტებლი. ამ უკანასკნელს ხელთ უზარმაზარი კვერთხი ეჭირა, დიდი თავი და სახის ფართო ნაკვთები ჰქონდა, გარდა ამისა, ასევე დიდი ჩექმები ეცვა. ზუსტად ისეთი შესახედაობის იყო, როგორცაა ადამიანი, რომელიც სხეულის პროპორციული ტევადობის ლუდს სვამს და ის მართლაც ასე იქცეოდა.

ისევ ღამით მომხდარზე საუბრობდნენ, რადგან როდესაც სამზარეულოში ექიმი შევიდა, მისტერ ჯაილზი ლუდის კათხით ხელში, თავის სიმამაცეზე ლაპარაკობდა; მისტერ ბრიტლსი ლუდის კათხით ხელში თავისი უფროსის ყველა

სიტყვას ამოწმებდა.

- ისხედით, - ხელის დაქნევით მიანიშნა ყველას ექიმმა.

- მადლობას მოგახსენებთ, სერ, - თქვა მისტერ ჯაილზმა, - ქალბატონის ბრძანებით ლუდი მოგვცეს და რაკი არავითარი სურვილი არა მაქვს, ჩემს ოთახში ავიდე, სერ, და თანაც ხალხთან ყოფნა მინდოდა, აქ, მათთან ერთად ვსვამ.

ჯერ ბრიტლსმა, შემდეგ დანარჩენებმაც ჩუმი ჩურჩულით გამოხატეს მადლიერება მისტერ ჯაილზის შემწყნარებლობისადმი. მისტერ ჯაილზმა იქაურობას ისე გადახედა, თითქოს სურდა, ეთქვა, სანამ კარგად მოიქცევით, არ

მიგატოვებთო.

- ავადმყოფი როგორ არის, სერ? - იკითხა ჯაილზმა.

- არც ისე კარგად, - უპასუხა ექიმმა, - ვშიშობ, არცთუ სახარბიელო მდგომარეობაში ხართ, ჯაილზ.

- იმედია, სერ, - აკანკალებული ხმით წამოიწყო მისტერ ჯაილზმა, - იმის თქმას არ აპირებთ, რომ მოკვდება?! ასე რომ მოხდეს, სამუდამოდ დაგვარგავ სიმშვიდეს. არც ერთი ბიჭის დაღუპვა არ მინდა, აი, ამ ბრიტლსისაც კი. არავითარ შემთხვევაში არ გავაკეთებ ამას, თუნდაც მთელი საგრაფოს ვერცხლის ჭურჭლეული შემომთავაზონ, სერ.

- არა, ეს არ არის მთავარი... - ბუნდოვნად უპასუხა ექიმმა, - მისტერ ჯაილზ, პროტესტანტი ხართ?

- დიახ, სერ, იმედი მაქვს, - ბორძიკით თქვა მისტერ ჯაილზმა.

- და თქვენ, ახალგაზრდაქ? - ახლა ექიმი მკვეთრად შებრუნდა ბრიტლსისკენ.

-- ღმერთმა დამლოცოს, სერ! - შეკრთა ბრიტლსი, - მეც იგივე, რაც მისტერ ჯაილზი, სერ.

- რაკი ასეა, - განაგრძო ექიმმა, - ორივეს გეკითხებით, გესმით, ორივეს: მზად

ხართ თუ არა სასამართლოში ფიცი დადოთ და თქვათ, რომ ის ბიჭი, ზემოთ რომ

წევს, სწორედ ის არის, რომელიც ღამით ქურდებმა ფანჯარაში გადმოსვეს? მიდით! მიპასუხეთ! გისმენთ!

ექიმს ყველა დედამიწის ზურგზე ყველაზე კეთილ არსებად მიიჩნევდა, მაგრამ მან ისეთმა განრისხებულმა დასვა ეს შეკითხვა, რომ ლუდით ისედაც საკმარისად ადელვებული და თავბრუდახვეული ჯაილზი და ბრიტლსი ერთმანეთს გაოგნებულები მიაჩერდნენ.

- თუ შეიძლება, კონსტებლო, ყურადღებით მომისმინეთ, - ექიმმა საჩვენებელი თითი მუქარით დაუქნია და ამ ადამიანის მთელი გამჭრიახობის გაღვიძების იმედით ცხვირის კეხზე დაუკაკუნა, - ახლა რაღაც მნიშვნელოვანი გახდება ცნობილი.

კონსტებლმა რაც შეიძლებოდა ბრძნული იერი მიიღო და ბუხრის კუთხეში უსაქმოდ მიყუდებული კვერთხი ჩაბღუჯა.

- თუ დააკვირდით, საქმე პიროვნების ვინაობის დადგენას ეხება, - თქვა ექიმმა.

- სრულ ჭეშმარიტებას ბრძანებთ, - უპასუხა კონსტებლმა, რომელსაც უეცრად ხველა აუტყდა, რადგან სწრაფად შესმული ლუდი გადასცდა.

- სახლში მძარცველები ლამობენ შეყრას, - განაგრძობდა ექიმი, - და სიბნელებში ორი კაცი ასეთ სახიფათო მომენტში, კვამლში ვიდაც ბიჭს ხედავს.

დილით ამავე სახლთან მოდის ბიჭი და მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ხელი შეხვეული აქვს, ეს ადამიანები უხეშად სტაცებენ ხელს - რითაც მის სიცოცხლეს სასიკვდილო საფრთხეს უქმნიან, - და ამტკიცებენ, რომ ის ქურდია.

ახლა ისმის კითხვა, გამართლებულია თუ არა ამ ადამიანების ასეთი საქციელი;

თუ არა, რა შეიძლება ეწოდოს ამგვარ საქციელს?

კონსტებლმა მრავალმნიშვნელოვნად დაუქნია თავი. მისი განცხადებით, თუ ეს უკანონობა არ არის, მაშ, რა შეიძლება ეწოდოს?

- კიდევ ერთხელ გეკითხებით, - მრისხანედ თქვა ექიმმა, - შეგიძლიათ თუ არა ფიცით განაცხადოთ, რომ ეს სწორედ ის ბიჭია?

ბრიტლსმა გაუბედავად გადახედა მისტერ ჯაილზს, მისტერ ჯაილზმა კი მისტერ ბრიტლსს; კონსტებლმა ყურთან ხელი მიიტანა, უკეთ რომ გაეგონა პასუხი; ექიმი ყველას დაკვირვებით ათვალთვლებდა, მაგრამ ამ დროს კარზე დარეკეს და ბორბლების ხმაურიც მოისმა.

- პოლიციის მაძებრები არიან! - წამოიძახა ბრიტლსმა, რომელმაც ჩანდა, შვებით ამოისუნთქა.

- ეს რაღაა? - წამოიძახა ექიმმა, რომელსაც ახლა თავზარი დაეცა.

- აგენტები ბოუ-სტრიტიდან,

სერ, - უპასუხა ბრიტლსმა და სანთელი აიღო, - მისტერ ჯაილზთან ერთად დღეს

მათ მოსაყვანად გავგზავნეთ...

- რაო? - დაიყვირა ექიმმა.

- დიახ, - განაგრძო ბრიტლსმა, - კაცი და კარეტა გავგზავნეთ, რომ მოსულიყვნენ, როგორც კი გათავისუფლდებოდნენ, სერ.

- გავგზავნეთ, არა? ღმერთმა დასწყევლოს თქვენი ზოზინა კარეტები; აი, რა!

-

ამ სიტყვებით ექიმი სამზარეულოდან გავიდა.
თავი 31 შექმნილი კრიტიკული მდგომარეობის შესახებ

- ვინ არის? - იკითხა ბრიტლსმა და კარი ისე შეაღო, ჯაჭვი არ მოუხსნია, მერე სანთელზე ხელმიფარებულმა გაიხედა.

- კარი გააღეთ, - უპასუხა კართან მდგარმა კაცმა, - ბოუსტრიტელი აგენტები ვართ, დღეს რომ გამოგზავნეთ კაცი გასაფრთხილებლად.

მიღებული პასუხით დაკმაყოფილებულმა ბრიტლსმა კარი ფართოდ გააღო და თავის წინ პალტოში გამოწყობილი ზორბა მამაკაცი დაინახა, რომელიც ჰოლში უბოდიშოდ შევიდა, ფეხები ისე გაიწმინდა, თითქოს ამ სახლში ცხოვრობდა.

- ახალგაზრდავ, თუ შეიძლება ჩემი კოლეგის შემცვლელად ვინმე გაგზავნეთ, - თქვა აგენტმა, - ის ორთვალაშია, ცხენს მეთვალყურეობს. თუ არის ორთვალას დასაყენებელი ადგილი, სადაც ხუთი-ათი წუთი შეიძლება გაჩერდეს?

ბრიტლსის დადებითი პასუხისა და ნაგებობის მითითების შემდეგ ზორბა მამაკაცი ჭიშკართან დაბრუნდა და თავის კოლეგას ორთვალას ფარდულამდე მიყვანაში დაეხმარა, ამასობაში დიდად აღფრთოვანებული ბრიტლსი მათ გზას უნათებდა.

როდესაც კარეტის დაბინავების საქმე მოითავეს, ყველანი სახლისკენ გაემართნენ. სასტუმრო ოთახში შესვლისთანავე პალტოები და შლაპები გაიხადეს.

ზორბა მამაკაცი, რომელმაც კარზე დააკაკუნა, დაახლოებით ორმოცდაათი წლის, საშუალო სიმაღლის გახლდათ, პრიალა შავი თმით, მოკლედ შეჭრილი

ბაკენბარდებით, მრგვალი სახითა და გამჭრიახი თვალებით. მეორე მამაკაცი წითური, ძვალმსხვილი იყო, გადმოკეცილყელიანი ჩექმები ეცვა; უსიამოვნო სახე და აპრეხილი, ავის მომასწავებელი შესახედაობის ცხვირი ჰქონდა.

- თქვენს პატრონს მოახსენეთ, რომ ბლეთერსი და დაფი მოვიდნენ, ხომ გესმით? - თქვა ზორბა მამაკაცმა და მაგიდაზე წყვილი ხელბორკილი დადო, -

აჰ, სადამო მშვიდობისა, ბატონო! თუ შეიძლება, ნება მომეცით, გვერდზე გავიდეთ, რაღაც მაქვს სათქმელი.

ამ სიტყვების ადრესატი ოთახში შესული მისტერ ლოსბერნი იყო; ამ ჯენტლმენმა ბრიტლსს ანიშნა, გადიო, მერე სასტუმრო ოთახში ორივე ლედი შეიყვანა და კარი ჩაკეტა.

- აი, ეს გახლავთ ამ სახლის დიასახლისი, - თქვა მისტერ ლოსბერნი და მისის მეილიზე მიუთითა.

მისტერ ბლეთერსი თავის დაკვრით მიესალმა ქალს. მას დაჯდომა შესთავაზეს. მისტერ ბლეთერსმა შლაპა იატაკზე დადო და დაჯდომის შემდეგ დაფსაც ანიშნა, ასევე მოქცეულიყო. ეს უკანასკნელი, როგორც ჩანს, მაღალ საზოგადოებაში მოქცევას შეჩვეული არ იყო ან თავს უხერხულად გრძნობდა -

უგერგილო წრიალის შემდეგ, როგორც იქნა, დაჯდომა მოახერხა, რის შემდეგაც დაბნეულმა პირში თავისი ხელჯოხის თავი ჩაიდო.

- ახლა კი მოდით, ძარცვის შესახებ ვისაუბროთ, ბატონო, - თქვა ბლეთერსმა,
- რა მოხდა?

მისტერ ლოსბერნმა, რომელსაც დროის მოგება სურდა, ძალიან დაწვრილებით, მრავალრიცხოვანი გადახვევებით უამბო, რაც მოხდა. ბატონები ბლეთერსი და დაფი გამჭრიახი თვალებით იმზირებოდნენ, დროდადრო ერთმანეთს გადახედავდნენ და თავს უქნევდნენ.

- რასაკვირველია, ვერაფერს გეტყვით, სანამ დანაშაულის ადგილს არ დავათვალიერებ, - თქვა ბლეთერსმა, - მაგრამ ჩემი აზრი ასეთია - ჯერჯერობით მხოლოდ ამის თქმა შემიძლია - ვფიქრობ, ამის ჩამდენი მავანი ტლუ სოფლელი არ არის. რას იტყვი, დაფ?

- რასაკვირველია, ასეა, - უპასუხა დაფმა.

-- თუ ქალბატონებს გადავუთარგმნით ტერმინს „სოფლელი“, ალბათ, იმას გულისხმობთ, რომ სოფლის მცხოვრებს ეს ძარცვა არ ჩაუდენია, ხომ ასეა? - ღიმილით იკითხა მისტერ ლოსბერნმა.

- სწორედ ასეა, ბატონო, - უპასუხა ბლეთერსმა, - სულ ეს არის, რაც ძარცვის თაობაზე შეგიძლიათ გვითხრათ?

- დიახ, სულ ეს არის, - იყო ექიმის პასუხი.

- და იმ ბიჭებზე რას ამბობენ მსახურები? - შეეკითხა ბლეთერსი.

- მნიშვნელოვანი არაფერია, - თქვა ექიმმა, - ერთ-ერთი მსახური ისე დაფრთხა, რომ დაუყინია, თითქოს ბიჭს ამ ძარცვასთან რაიმე კავშირი აქვს, მაგრამ ეს სრული სისულელე და უაზრობაა.

- თუ ასეა, ამის გამოსწორება ადვილია, - შენიშნა დაფმა.

- მართალს ამბობს, - დაადასტურა ბლეთერსმა, მოწონების ნიშნად თავი დააქნია და ხელბორკილები კასტანიეტებით შეათამაშა, - ვინ არის ის ბიჭი? თავის თავზე რას ამბობს? საიდან მოვიდა? ციდან ხომ არ ჩამოვარდებოდა, ბატონო?

- რასაკვირველია, არა, - ექიმმა შემფოთებით გადახედა ორივე ლედის, - მისი

ამბავი ვიცი, მაგრამ ამაზე მოგვიანებით ვისაუბრებთ. ალბათ, პირველად დანაშაულის ადგილის დათვალიერება გინდათ, რათა გაიგოთ, როგორ აპირებდნენ ქურდები სახლში შემოსვლას?

- რა თქმა უნდა, - მხარი აუბა ბლეთერსმა, - ჯერ ადგილს დავათვალიერებთ,

მერე მსახურებს დააკითხავთ, წესით, ასე ხდება საქმის გამოძიება.

დამატებით სანთლები მოიტანეს და ბატონები ბლეთერსი და დაფი, ადგილობრივ კონსტებლთან, ბრიტლსთან, ჯაილზსა და სხვებთან ერთად დერეფნის ბოლოში მდებარე პატარა ოთახში შევიდნენ, ფანჯრიდან გაიხედეს, შემდეგ სახლს შემოუარეს და გარედან შეიხედეს ფანჯარაში; მათ სანთელი მიაწოდეს და აგენტები დარაბების დათვალიერებას შეუდგნენ; ფარნის მიშველიების შემდეგ კვალის ძებნა დაიწყეს; მერე მთელი ტერიტორია გაჩხრიკეს, ბუჩქები დაათვალიერეს. მაყურებელთა დამაბული ყურადღების თანხლებით ეს ყველაფერი დაასრულეს და ისევ სახლში შევიდნენ. ახლა ჯაილზსა და ბრიტლსს უნდა მოეყოლათ გასული ღამის მელოდრამატული თავგადასავალი, რომელიც ექვსჯერ გაიმეორეს, მაგრამ განსხვავება მათ მონაყოლს შორის პირველად მხოლოდ ერთ მნიშვნელოვან პუნქტში იყო, ბოლო

მონაყოლში კი - ათჯერ მეტში. ამგვარი წარმატების მიღწევის შემდეგ ბლეთერსმა და დაფმა ოთახიდან ყველა დაითხოვეს და დიდხანს თათბირობდნენ, ისე საიდუმლოდ და საზეიმოდ, რომ ამასთან შედარებით მსოფლიო პრაქტიკაში ყველაზე ურთულესი შემთხვევის გამო მოწვეული უდიდესი ექიმების კონსილიუმი ზავშეების გართობად მოგეგმვებოდათ. ამასობაში, მეტად შემფოთებული ექიმი მეზობელ ოთახში აღელვებული მისის მეილისა და როუზის დაჟინებული მზერის თანხლებით ბოლთას სცემდა.

ექიმმა ოთახში მრავალჯერ გაიარ-გამოიარა, ბოლოს, როგორც იქნა, შეჩერდა და თქვა:

- სიმართლე ვითხრათ, არც კი ვიცი, როგორ მოვიქცე.

- ამ ადამიანებს საბრალო ბიჭის ნამდვილ ამბავს რომ მოვუყვებ, სრულიად საკმარისი იქნება მის გასამართლებლად.

- ეჭვი მეპარება, ძვირფასო ახალგაზრდა ქალბატონო, - თავი გააქნია ექიმმა, - ეს სრულებით არ გაამართლებს მართლმსაჯულების მსახურთა წინაშე, რომელთაც უფრო მაღალი თანამდებობა აქვთ. „ბოლოს და ბოლოს, ვინ არის და

რას წარმოადგენს?“ - იკითხავენ ისინი. გაქცეული. თუ მხოლოდ კეთილგონიერებით ვიმსჯელებთ, მისი ამბავი სრულებითაც არ არის დასაჯერებელი.

- მაგრამ თქვენ ხომ გჯერათ მისი? - გააწყვეტინა როუზმა.

- ძალიან უცნაური კი არის, თუმცა, მე, ბებერ სულელს, მჯერა, - უპასუხა

ექიმმა, - მაგრამ ამის მიუხედავად, პოლიციის გამოცდილი მოხელისთვის ამ ამბის მოყოლა არ ღირს.

- რატომ? - ჰკითხა როუზმა.

- იმიტომ, ჩემო მშვენიერო დამკითხავო, - განაგრძო ექიმმა, - რომ მათი თვალსაზრისით ეს ამბავი გამოუსადეგარია: ბიჭს მხოლოდ იმ ფაქტების დადასტურება შეუძლია, რომლებიც სრულებით არ მეტყველებს მის სასარგებლოდ, ხოლო მისთვის ხელსაყრელ ვერც ერთ ფაქტს ვერ ამტკიცებს. მისივე სიტყვებით, ერთხანს ქურდებთან ცხოვრობდა; პოლიციის განყოფილებაშიც მოხვდა იმ ბრალდებით, რომ ვიღაც ჯენტლმენს ჯიბეები

ამოუსუფთავა; ამ ჯენტლმენის სახლიდან ძალით წაიყვანეს სადღაც და იმ ადგილის აღწერა და მითითებაც კი არ შეუძლია, წარმოდგენა არა აქვს, სად იყო.

ჩერტსიში იმ ადამიანებს ჩამოჰყავთ, რომლებთანაც თითქოს, ნებით ან უნებურად, მჭიდრო კავშირი აქვს, და ფანჯარაში ტენიან, რომ სახლი გაქურდონ;

მერე, სწორედ მაშინ, როდესაც განგაშს ატეხს და მთელი სახლის გაღვიძებას აპირებს, ანუ ისეთი რამის ჩადენას, რომელიც ყველა ბრალდებას მოუხსნიდა,

საიდანაც გამოტყვერება ეს უტვინო მამამადლი, ჩერჩეტი უფროსი მსახური, და

ესვრის. თითქოს ძალით ხელი შეუშალა ბიჭისთვის სასარგებლო ქმედებას. ახლა თუ გესმით?

- რასაკვირველია, ყველაფერი გასაგებია, - ღიმილით უპასუხა როუზმა ადელებულ ექიმს, - მაგრამ მაინც ვერ ვხედავ ვერაფერს ისეთს, რაც ბიჭს დააზარალებს.

- ჰო, რასაკვირველია, ვერაფერს ხედავთ! - უპასუხა ექიმმა, - ღმერთმა დალოცოს თქვენი სქესის წარმომადგენელთა საზრიანი თვალები. ისინი ხომ მხოლოდ საქმის ერთ მხარეს ხედავენ, კარგს ან ცუდს, სხვა მხარე საკითხს არა აქვს; და ისიც მხოლოდ ის არის, რომელიც პირველი ჩანს ხოლმე.

ექიმმა ამგვარად ჩამოაყალიბა თავისი ცხოვრებისეული გამოცდილება, შემდეგ ჯიბეებში ხელები ჩაიწყო და ისევ ბოლთის ცემას შეუდგა, ამჯერად უფრო გამალეებით.

- რაც მეტს ვფიქრობ ამ საქმეზე, - განაგრძო საუბარი ექიმმა, - მით მეტად ვრწმუნდები, რომ თუ ბიჭის ნამდვილ ამბავს ამ ბატონებს გავუმხელოთ, ძალიან

ბევრ საზრუნავს გავიჩენთ. რასაკვირველია, მონაყოლს არ დაიჯერებენ. შესაძლოა, ვერც ვერაფერი ავნონ, მაგრამ მისი ამბის გამხელა, ასევე ის ეჭვი,

რომელსაც მისი თავგადასავალი იწვევს, ძალიან შეგვიშლის ხელს ჩვენს კეთილშობილურ განზრახვაში, რომ დავცხმაროთ და ტანჯა შევუმსუბუქოთ.

- ოჰ, მაშ, როგორ მოვიქცეთ? - წამოიძახა როუზმა, - ღმერთო, ღმერთო! რატომ გაგზავნეს კაცი ამ ხალხისთვის შესატყობინებლად?

- მართლაც, რატომ? - წამოიძახა მისის მეილიმ, - არავითარ შემთხვევაში არ

შემოვადგმევინებდი ამ სახლში ფეხს.

- მხოლოდ ერთი რამის თქმა შემიძლია, - დაასკვნა მისტერ ლოსბერნმა და ისეთი ადამიანის სახით ჩამოჯდა, რომელმაც საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო, - რაც კი შესაძლებელია, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ და გაბედულად

ვიმოქმედოთ. ჩვენი გამართლება კეთილშობილური მიზანია. ბიჭს ძლიერი ციებ-ცხელების ყველა ნიშანი აქვს, ჯერ არ არის ისეთ მდგომარეობაში, რომ მასთან გასაუბრება შეიძლებოდეს; ჩვენ კი ეს ხელს გვაძლევს. ამ მდგომარეობის ყველა უპირატესობა უნდა გამოვიყენოთ. თუ საქმე ცუდად

წავიდა, დამნაშავეები ჩვენ არ ვიქნებით... შემობრძანდით!

- მოკლედ, ბატონო, - დაიწყო ბლეთერსმა, რომელიც კომპანიონთან ერთად შევიდა და ოთახის კარი დახურა, - ეს საქმე არ არის ხრიკი, აფერა.

- ეშმაკმა დალახვროს! აფერას რას ეძახით? - მოუთმენლად იკითხა ექიმმა.

- ქალბატონებო, ხრიკს, აფერას მარცვას ვეძახით, - თქვა ბატლერსმა და ორივე ქალბატონს მიმართა, თითქოს მათ უცოდინარობას იწყნარებს, ექიმისას კი - არა, - ასეთი შემთხვევაა მარცვა მსახურების მონაწილეობით.

- მათზე ეჭვი არც არავის მიუტანია, - თქვა მისის მეილიმ.

- სრულიად შესაძლებელია, მემ, - უპასუხა ბლეთერსმა, - მაგრამ ეს იმას არ გამორიცხავს, რომ შესაძლოა, ისინი ამ საქმეში გარეულიყვნენ.

- ეს კიდევ უფრო შესაძლებელი იყო იმის გამო, რომ მათზე ეჭვი არავის მიუტანია, - დაამატა დაფმა.

- დავასკვნით, რომ ქალაქელმა ქურდებმა იმუშავეს, - განაგრძო თავისი მოხსენება ბლეთერსმა, - და იმუშავეს ძალიან სუფთად.

- ჰო, ყველაფერი მარჯვედ მოახერხეს, - ხმადაბლა ჩაურთო დაფმა.

- ორნი იყვნენ, - აგრძელებდა ბლეთერსი, - და თუ ფანჯრის ზომას გავითვალისწინებთ, თან ჰყავდათ ბიძყიც. აი, ის, რაც შეგვიძლია, ვთქვათ. ახლა, თქვენი ნებართვით, დაუყოვნებლივ, ბიჭის ნახვა გვინდა, რომელიც თქვენთან, ზედა სართულზე წევს.

- მისის მეილი, ჯერ სტუმრებისთვის რაიმეთი პირის გასველება ხომ არ შეგვეთავაზებინა? - თქვა ექიმმა და სახე ისე გაუბრწყინდა, თითქოს ეს-ეს არის, რაღაც მოიფიქრაო.

- დიახ, რა თქმა უნდა, - მხარი აუბა როუზმა, - თუ გნებავთ, ახლაც გაგიმასპინძლებიან.

- მაღლობელი ვართ, მის, - ტუჩები სახელოთი მოიწმინდა ბლეთერსმა, - ისეთი თანამდებობა გვაქვს, პირი გვიშრება ხოლმე. თავს ძალიან ნუ შეიწუხებთ, ის, რაც ხელთ მოგხვდებათ, საკმარისია.

- რას ინებებთ? - იკითხა ექიმმა და ახალგაზრდა ლედისთან ერთად ბუფეტისკენ წავიდა.

- სულ ერთი წვეთი რომელიმე სასმელი, ბატონო, თუ არ შეწუხდებით, - უპასუხა ბლეთერსმა, - ლონდონიდან ვიდრე ჩამოვიდოდით, გზაში გავიყინეთ, სასმელი კი, ჩემი დაკვირვებით, საუკეთესოდ ათბობს.

ეს საინტერესო დაკვირვება განკუთვნილი იყო მისის მეილისთვის, რომელმაც თავაზიანად მოისმინა ეს განმარტება. ვიდრე ბლეთერსი ლაპარაკობდა, ექიმი

შეუმჩნევლად გავიდა ოთახიდან.

- ოჰ! - წამოიძახა მისტერ ბლეთერსმა, რომელსაც ჭიქა ფეხით კი არ ეჭირა, არამედ მკერდის სიმაღლეზე ცერა და საჩვენებელ თითებს უყჭერდა, - ქალბატონებო, ჩემი მუშაობის წლებში რამდენი ასეთი საქმე მინახავს.

- თუნდაც ედმონტონის გზაზე მომხდარი ქურდობა გავიხსენოთ, ბლეთერს, -
- უკარნახა მისტერ დაფმა კოლეგას.

- ამას ჰგავს, ხომ მართალია? - მხარი აუბა ბლეთერსმა, - ჩალიჩა ჩიკუიდის ნამოქმედარი იყო.

- ყველაფერს მაგას მიაწერთ, - არ დაეთანხმა დაფი, - მე კი გეუბნებით, ეგ ქურდობა შინაური ნებიერას ნამოქმედარია. ჩალიჩას მასთან ისეთივე კავშირი აქვს, როგორც მე.

- მორჩით! - გააწყვეტინა მისტერ ბლეთერსმა, - მე უკეთ ვიცი... და თავად ჩალიჩა როგორ გაქურდეს, ეგ თუ გახსოვთ? ძალიან სასაცილო იყო. ნებისმიერ რომანს სჯობდა, რაც კი წამიკითხავს!

- და როგორ მოხდა? - შეეკითხა როუზი, რომელსაც ძალიან უნდოდა უსიამოვნო სტუმრების კეთილგანწყობის დამსახურება.

- ასეთი ქურდობისთვის მკაცრად გასამართლება შეუძლებელი იყო, მის, - თქვა ბლეთერსმა, - ამ ჩალიჩა ჩიკუიდს...
- ჩალიჩა მოხერხებულ ადამიანს ნიშნავს, მემ, - განმარტა დაფმა.

- ქალბატონებმა ეს სიტყვა, რასაკვირველია, იციან, ხომ ასეა? - თქვა ბლეთერსმა, - სულ მაწყვეტინებთ, კოლეგავ! მოკლედ, ამ ჩალიჩა ჩიკუიდს ბეტლ-ბრიჯის გზაზე დუქანი ჰქონდა და იქვე სარდაფი, სადაც ახალგაზრდა ჯენტლმენები ჩადიოდნენ და მამლების ჩხუბს, მაჩვენებელთა დაღლებით ნადირობას

და ასეთ რაღაცებს უყურებდნენ ხოლმე. ეს თამაშები ძალიან ეშმაკურად იმართებოდა - თავადაც ხშირად მინახავს. მაშინ ქურდებში გარეული ჯერ კიდევ

არ იყო. ერთ ღამეს სქელი ტილოს ტომარაში გადამალული სამას ოცდაშვიდი გინეა მოჰპარეს; მოჰპარეს შუადამისას, სამინებლიდან, სადაც თითქოს ვიღაც ტანმადალი მამაკაცი შევიდა, რომელსაც ცალი თვალი პლასტირით ჰქონდა ახვეული; ეს კაცი საწოლის ქვეშ იმალებოდა, ხოლო ტომრის მოპარვის შემდეგ

მეორე სართულის ფანჯრიდან გადახტა. ყველაფერი ძალიან სწრაფად მოახერხა. მაგრამ არც ჩალიჩას უზოზინია: ღამით ხმაურმა გააღვიძა, საწოლიდან წამოხტა და თოფი ესროლა; სროლის ხმამ მეზობლები გააღვიძა. ისინი ქურდს გამოეკიდნენ, მერე ადგილი დაათვალიერეს და დარწმუნდნენ, რომ

ჩალიჩამ ქურდს მოარტყა, იმიტომ, რომ სისხლის კვალი ჩანდა საკმაოდ დიდი

მანძილით დამორებულ ადგილებში. კვალი მესრისკენ მიდიოდა და იქ იკარგებოდა. ასეა თუ ისე, ქურდი გაიქცა, ხოლო დუქნის მეპატრონე მისტერ

ჩიკუიდის გვარი, რომელსაც სასმლის გაყიდვაზე პატენტი ჰქონდა,
„გაზეთში“

გაკოტრებულების სიაში გამოქვეყნდა. მაშინ დაიწყო ხელმოწერებისა და
საქველმოქმედო თანხის შეგროვება დანაკარგით თავზარდაცემული საბრალოს
სასარგებლოდ, რომელიც სამი-ოთხი დღე ქუჩებში დაბორილებდა და
სიმწრით

თმას იგლეჯდა, ზოგი კი იმასაც შიშობდა, თავი არ მოიკლასო. ერთხელ
საპოლიციო სასამართლოში მიიბრინა და მოსამართლესთან გასაუბრება
მოისურვა. დიდხანს ისაუბრეს, მერე მოსამართლემ ზარი დარეკა და ჯემ
სპაიერსი (ჯემი გამოცდილი პოლიციის ოფიცერი იყო) გამოიძახა და
უბრძანა,

მისტერ ჩიკუიდთან ერთად წასულიყო და ქურდი დაეპატიმრებინა. ჩიკუიდმა
სპაიერსს უთხრა: „სპაიერს, გუშინ დავინახე, ქურდმა როგორ ჩაიარა ჩემს
სახლთან“; „მაშინვე ქეჩოში რატომ არ სტაცეთ ხელი?“ – ეკითხება
სპაიერსი;

„ისეთი გაოგნებული ვიყავი, კბილის საჩიჩქნითაც კი შეძლებდით ჩემთვის
თავის

გახეთქას, მაგრამ ახლა კი აუცილებლად დავიჭერთ. გუშინ, საღამოს ათიდან
თერთმეტ საათამდე პერიოდში ისევ ჩაიარა ჩემს სახლთან“. ამის გაგონებაზე
სპაიერსმა ჯიბეში ჩაიღო ერთი ხელი სუფთა საცვალი და სავარცხელი იმ
შემთხვევისთვის, თუ ორ დღეზე მეტხანს მოუწევდა დარჩენა, და დუქანში
მივიდა, პატარა წითელფარდიან ფანჯარასთან დაჯდა ისე, რომ ქუდი არ
მოუხდია – ყოველ წუთს მზად უნდა ყოფილიყო ქუჩაში გასაქცევად. გვიან
საღამომდე იჯდა ასე და ჩიბუხს ეწეოდა. უცერად ჩიკუიდი აყვირდა: „აი,
ისიც!

ქურდი დაიჭირეთ! მკლავენ!“ სპაიერსი ქუჩაში გავარდა და ჩიკუიდი
დაინახა,

რომელიც გარბოდა და ყვიროდა. სპაიერსი გაეკიდა; ჩიკუიდი ისევ და ისევ
გარბოდა; ხალხი მათ შეჰყურებდა და ღრიალებდა: „ქურდები!“ და თავად
ჩიკუიდიც შემლილივით ბლაოდა. როდესაც ჩიკუიდმა რომელიღაც შესახვევში
შეუხვია, სპაიერსმა სულ ერთი წუთით ის მხედველობის არიდან დაკარგა,
მერე

თავადაც იმავე შესახვევში შეუხვია და ხალხის თავყრილობა დაინახა.
სპაიერსი

ხალხს შეერია. „რომელია?“ – ეკითხება ჩიკუიდს; „ჯანდაბა, ისევ
დავკარგე“, –

პასუხობს ჩიკუიდი. გასაოცარია, მაგრამ ქურდი მართლაც არსად ჩანდა.
რადას

იზამდნენ, უკან, დუქანში დაბრუნდნენ. დილით სპაიერსი წინანდებურად
ფანჯარასთან, ფარდის უკან მოკალათდა, იჯდა და ტანმალა, შავი
პლასტიკით

თვალახვეულ მამაკაცს დარაჯობდა, ვიდრე თავადაც თვალეზი ასტკივდებოდა.
ბოლოს, გადაწყვიტა, ცოტა ხნით თვალეზი დაეხუჭა და დაესვენა, და
სწორედ ამ

დროს გაისმა ჩიკუიდის ღრიალი: „აი, ისიც!“ და ისევ დაიწყო დევნა,
ჩიკუიდმა

ლამის ნახევარი ქუჩით გაასწრო. წინანდელზე ბევრად მეტი ირბინეს და ეს
პლასტიკიანი კაცი ისევ დაკარგეს. ასეთი რამ კიდევ ორჯერ განმეორდა და
მეზობლების უმეტესობამ ჩათვალა, რომ მისტერ ჩიკუიდი თავად ეშმაკმა
გაქურდა და ახლა აბუჩად იგდებდა, სხვების აზრით კი, მისტერ ჩიკუიდი
ჭკუიდან შეცდა.

- ჯემ სპაიერსმა რაღა თქვა? - იკითხა ექიმმა, რომელიც ამ ამბის მოყოლის დაწყებისას ოთახში შევიდა.

- ჯემ სპაიერსი ძალიან დიდხანს ხმას არ იღებდა, ყველას მხოლოდ ყურს უგდებდა, თუმცა, არაფერს იმჩნევდა, რაც იმას მოწმობს, რომ თავისი საქმე კარგად იცოდა. ერთ დილას კი ბარში შევიდა, ტაბურეტზე ჩამოჯდა და თქვა:

„ჩიკუიდი, ვიცი, ქურდი ვინც არის“; „ნუთუ?“ - წამოიძახა ჩიკუიდიმა;

„ოჰ, ძვირფასო

მისტერ სპაიერს, მომეცით საშუალება, შური ვიძიო, მერე მშვიდად მოგვედები.

მითხარით, ძვირფასო სპაიერს, ახლა სად არის ეს ნაძირალა?"; „გეყოფა! - უთხრა სპაიერსმა და მწიკვი თამბაქო გაუწოდა, - დაამთავრე სისულელეების ბოდვა. ქურდი შენ ხარ“. და მართლაც ასე იყო. ამ ხრიკით ჩიკუიდიმა გვარიანი

თანხა იშოვა და დიდხანს ვერც ვერავინ გაიგებდა სიმართლეს, თავად რომ არ

მოენდომებინა ტყუილის სიმართლედ გასაღება, - დაასრულა მოყოლა მისტერ ბლეთერსმა, ჭიქა მაგიდაზე დადგა და ხელბორკილები ააჟღარუნა.

- ძალიან საინტერესო ამბავია, - შენიშნა ექიმმა, - ახლა კი, თუ გსურთ, შეგვიძლია ზემოთ ავიდეთ.

- თუ თქვენ გსურთ, სერ, - უპასუხა მისტერ ბლეთერსმა.

მისტერ ლოსბერნისთან ერთად ორივე აგენტი იმ ოთახისკენ გაემართა, სადაც ოლივერი იწვა; მათ წინ მიუძღოდა მისტერ ჯაილზი სანთლით ხელში.

ოლივერი თვლემდა, მაგრამ ადრინდელზე ცუდად გამოიყურებოდა, სიცხემ აუწია. ექიმის დახმარებით საწოლზე წამოჯდა და უცნობებს შეხედა, სრულებით

ვერ მიხვდა, რა ხდებოდა - როგორც ჩანს, დაავიწყდა, სად იყო ან რა მოხდა.

- აი, - ჩურჩულით, მაგრამ ფიცხად თქვა მისტერ ლოსბერნიმ, - სწორედ ის

ბიჭია, რომელიც შემთხვევით დაიჭრა საფანტის თოფით,

როდესაც იმ ბატონის - გვარი აღარ მახსოვს - სამფლობელოში შევიდა, რომელიც

ამ სახლის უკან არის. დღეს დილით დახმარებისთვის ამ სახლის კარს მოადგა,

ის კი მაშინვე დაიჭირა და მეტად უხეშადაც მოექცა, აი, ამ ადამიანმა - გამჭრიახმა ჯენტლმენმა სანთლით ხელში მის სიცოცხლეს დიდი საფრთხე შეუქმნა, რასაც ვადასტურებ, როგორც ექიმი.

ბატონებმა ბლეთერსმა და დაფმა თვალი შეავლეს ამგვარად დახასიათებულ მისტერ ჯაილზს. ის თავზარდაცემული იდგა, მისი სახე ერთდროულად შიშსა და

სასოწარკვეთილებას გამოხატავდა, ხან ოლივერს შეხედავდა, ხანაც მისტერ ლოსბერნს.

- იმედია, რაც ითქვა, უარყოფას არ აპირებთ? - შეეკითხა მისტერ ჯაილზს

ექიმი და ოლივერი ფრთხილად დააწვინა ბალიშებზე.

- მე... მინდოდა... ყველაფერი კარგად ყოფილიყო, სერ, - ენის ბორძიკით უპასუხა ჯაილზმა, - მე ის ბიჭი მეგონა, სერ, ისე ხელსაც არ ვახლებდი. ცხოველი ხომ არა ვარ, სერ.

- რომელ ბიჭზე ლაპარაკობთ? - შეეკითხა მთავარი ოფიცერი.

- ქურდებთან ერთად რომ იყო, სერ, - თქვა ჯაილზმა, - მათთან ერთად, რა თქმა უნდა, ბიჭიც იყო.

- მართლა? ახლაც ასე ფიქრობთ? - დაინტერესდა ბლეთერსი.

- ახლა რას ვფიქრობ? - გაოგნებული მიაჩერდა ჯაილზი აგენტს.

- იმას, რომ ეს სწორედ ის ბიჭია, ჩერჩეტო! - ვეღარ მოითმინა ბლეთერსმა.

- არ ვიცი; მართლაც არ ვიცი, - დარდიანად თქვა ჯაილზმა, - ფიცით ამას ვერ ვიტყვი.

- აბა, თქვენ რას ფიქრობთ? - შეეკითხა მისტერ ბლეთერსი.

- აღარც კი ვიცი, რა ვიფიქრო, - უპასუხა საბრალო ჯაილზმა, - არა მგონია, იგივე ბიჭი იყოს; მეტიც, ამაში დარწმუნებული ვარ. თქვენ ხომ იცით, რომ იქნება ის ბიჭი.

- სერ, ეს კაცი მთვრალია? - ბლეთერსი ექიმს მიუბრუნდა.

- რა რეგვინი ხარ, მეგობარო! - ზიზღით უთხრა დაფმა მისტერ ჯაილზს.

ამ ხანმოკლე გასაუბრების დროს მისტერ ლოსბერნი ოლივერს მაჯას უსინჯავდა; ახლა ის საწოლთან მდგარი სკამიდან ადგა და აგენტებს შესთავაზა, თუ კიდევ სურდათ კითხვების დასმა ამჯერად ბრიტლისისთვის, შეეძლოთ მეზობელ ოთახში გასულიყვნენ.

აგენტები ექიმის წინადადებას დათანხმდნენ და მეზობელ ოთახში გავიდნენ, სადაც მისტერ ბრიტლსი გამოიძახეს. მისი მონათხრობი ახალი უზუსტობებისა და

სისულელებების ისეთი გამოგნებული კორიანტელი გამოდგა, რომელმაც კიდევ უფრო აბურდა ყველაფერი და ვერც ერთი ფაქტის საბოლოოდ დადგენა ვერ მოხერხდა ერთის გარდა - თავად ბრიტლსმაც არ იცოდა, რას ჰყვებოდა; კერძოდ, მისი განცხადებით, სრულებით ვერ იცნობდა ქურდებთან მყოფ ბიჭუნას, ახლა მის წინ რომ დაეყენებინათ; რომ ოლივერი ასეთად მხოლოდ იმიტომ მიიჩნია, რომ ამას მისტერ ჯაილზი ამბობდა; ზუსტად ხუთი წუთის წინ

სამზარეულოში მისტერ ჯაილზმა აღიარა, რომ შესაძლოა, მისი დასკვნა ნაჩქარევი იყო.

სხვა მახვილგონივრულ ვარაუდებს შორის იყო კიდევ ერთი: ნამდვილად ესროლა თუ არა ვინმეს მისტერ ჯაილზმა; დაათვალიერეს იარაღი, საიდანაც წინაღამეს მისტერ ჯაილზმა გაისროლა და დამანგრეველი სიძლიერისა ვერაფერი იპოვეს თოფისწამლისა და გასახვევი ქაღალდის გარდა. ამ აღმოჩენამ ყველაზე გამაოგნებელი შთაბეჭდილება მოახდინა, გამონაკლისი მხოლოდ ექიმი გახლდათ, რომელმაც სულ რაღაც ათიოდე წუთის წინ იარაღიდან

ტყვიები ამოიღო. მაგრამ განსაკუთრებული გავლენა ამ ფაქტმა თავად მისტერ ჯაილზზე იქონია – რამდენიმე საათის განმავლობაში აწვალებდა ის ფიქრი, რომ

მოყვასი სასიკვდილოდ დაყრა და ახლა ეს ახალი მოსაზრება სიხარულით აიტაცა და გულმხურვალედ დაუჭირა მხარი. აგენტებს დიდად არ შეუწუხებიათ

თავი ოლივერზე ფიქრით. ისიც და ჩერტსიდან ჩამოსული კონსტებლიც სახლში

დატოვეს, თავად კი ღამის გასათევად ქალაქში წასავლელად გაემზადნენ და პირობა დადეს, რომ დილით დაბრუნდებოდნენ.

მეორე დილით ხმა გავრცელდა, რომ კინგსტონის ციხეში გადაიყვანეს გასულ ღამეს საექვო გარემოებებში დაპატიმრებული ორი მამაკაცი და ბიჭუნა, ამიტომ

ბატონები ბლეთერსი და დაფი კინგსტონში წავიდნენ. საექვო გარემოებებს რაც

შეეხება – დაპატიმრებულებს თივის ზვინში ეძინათ, ეს კი უმძიმესი დანაშაულია,

რომელიც მხოლოდ პატიმრობით უნდა დაისაჯოს, ხოლო სამეფოს ქვეშევრდომებისადმი ლმობიერი ინგლისური კანონის ყოველისმომცველი სიყვარულის გათვალისწინებით, თუ არ არსებობს გატეხის თანხლებით მარცვის

დამადასტურებელი სხვა სამხილი, თივის ზვინში მძინარე ან მძინარეები სიკვდილით დასჯას იმსახურებენ; ბატონები ბლეთერსი და დაფი ისეთივე ჭკვიანები დაბრუნდნენ უკან, როგორც გაემგზავრნენ.

მოკლედ, მეტი კვლევისა და კიდევ გამართული საუბრების შემდეგ მომრიგებელმა მოსამართლემ დიდი სიამოვნებით მიიღო მისის მეილისა და მისტერ ლოსბერნის თავდებობა, რომ როდესაც უნდა ყოფილიყო, ოლივერი დაუყოვნებლივ გამოცხადდებოდა სასამართლოს სხდომაზე; ბლეთერსმა და დაფმა ჯილდოდ ორი გინეა მიიღეს და ქალაქში დაბრუნდნენ, მაგრამ დანაშაულის ჩამდენის ვინაობაში შეთანხმებას ვერ მიაღწიეს: ეს უკანასკნელი ჯენტლმენი ყველა გარემოების აწონ-დაწონის შემდგომ დარწმუნებული გახლდათ, რომ მარცვა გატეხით შეასრულა შინაურმა ნებიერამ, ხოლო მისტერ

ბლეთერსი დანაშაულის ავტორობას დიად ჩალიჩა ჩიკუიდს მიაწერდა.

ამასობაში, მისის მეილის, როუზისა და გულკეთილი მისტერ ლოსბერნის მზრუნველობის წყალობით ოლივერი ნელ-ნელა გამოკეთდა და მისი ჯანმრთელობის საქმე უკეთ მიდიოდა. თუ გულიდან ამომავალი გულწრფელი და

მხურვალე ლოცვა ზეცაში შეისმინება – ასე რომ არ იყოს, რა ფასი ექნებოდა ლოცვას! – ობლის მიერ მათთვის ნათქვამ მადლიერებით გამსჭვალულ სიტყვებს

მათი სულებისთვის სიმშვიდე და ბედნიერება მოჰქონდა.

თავი 32 ძვირფასი მეგობრების გვერდით

ოლივერის ბედნიერი ცხოვრების შესახებ
ოლივერის ავადმყოფობა ხანგრძლივი და მძიმე იყო. ტყვიით დაჭრილი

ხელის შეხორცებასა და ტკივილს დაემატა ბიჭის ხანგრძლივი ყოფნა წვიმასა
და

სიცივეში, რამაც ციებ-ცხელება გამოიწვია: ის რამდენიმე კვირას
გრძელდებოდა

და ორგანიზმი გამოუფიტა. მაგრამ ბიჭმა ნელ-ნელა გამომჯობინება დაიწყო
და

შეძლო რამდენიმე სიტყვით მადლიერება გამოეხატა ორი ალერსიანი
ქალბატონის მიმართ და გულმხურვალედ იმედოვნებდა, რომ

გამოჯანმრთელების შემდეგ ამ მადლიერების დასადასტურებლად რაიმეს
მოიმოქმედებდა, რათა ისინი დარწმუნებულიყვნენ, როგორი სიყვარულითა და
ერთგულებით იყო სავსე მისი გული; თუნდაც სრულიად უმნიშვნელო
სამსახურს

გაუწევდა, რითაც დარწმუნდებოდნენ, რომ მათი სიკეთის წყალობით ტანჯვას
ან

სიკვდილს გადარჩენილი საბრალო ბიჭი სულითა და გულით მათი
სამსახურისთვის მზადყოფნას გამოხატავდა.

- საბრალო! - თქვა ერთხელ როუზმა, როდესაც ოლივერი გაფითრებული
ბაგეებით გაჭირვებით ცდილობდა მადლობის გადახდას, - თუ მოგინდა,
ამისთვის არაერთი შემთხვევა მოგეცემა. ქალაქგარეთ ვაპირებთ წასვლას და
დეიდას შენი წაყვანაც აქვს განზრახული. სიჩუმე, სუფთა ჰაერი,
გაზაფხულის

სილამაზე და სიხალისე რამდენიმე დღეში დაგეხმარება ჯანზე მოსვლაში.
ყოველდღიურად ასობით დავალებას მოგცემთ, თუ, რა თქმა უნდა, მათი
შესრულების ძალა გექნა.

- დავალება! - წამოიძახა ოლივერმა, - ოჰ, ძვირფასო ქალბატონო! ნეტავ
შემეძლოს თქვენ გემსახუროთ; ნეტავ შემეძლოს სიამოვნება მოგანიჭოთ თქვენი
ყვავილების მორწყვით, ჩიტების მოვლით ან მთელი დღე წინ და უკან
სირბილით

თქვენი დავალების შესასრულებლად, ბედნიერი რომ გაგხადოთ; რას არ
გავიღებდი ამისათვის!

- არაფრის გაღება არ გჭირდება, - გაიღიმა როუზ მეილიმ, - როგორც
გითხარი,
ასობით დავალებას მოგცემ და თუკი იმის ნახევარს მაინც შეძლებ, რასაც
ახლა

მპირდები, ძალიან ბედნიერი ვიქნები!

- ბედნიერი, მემ! - დაიყვირა ოლივერმა, - როგორი გულკეთილი ხართ,
ამას

რომ ამბობთ!

- ვერც კი წარმოგიდგენია, როგორ გამაბედნიერებ, - უპასუხა ახალგაზრდა
ლედიმ, - ის აზრი, რომ ჩემმა საყვარელმა, კეთილმა დეიდამ და მე ვიღაც
ისეთი

საბრალო მდგომარეობიდან ვიხსენით, როგორიც შენ აღწერე, არნახულ
კმაყოფილებას მგვრის; მაგრამ ვერც კი წარმოიდგენ, ისე მახარებს, რომ ის,
ვისაც ადამიანი ასე გულკეთილად მოექცა, ნამდვილი მადლიერებითა და
ერთგულებით პასუხობს. გესმის, რასაც ვამბობ? - შეეკითხა მის როუზი,
როდესაც

ოლივერის ჩაფიქრებული სახე დაინახა.

- ოჰ დიახ, მემ, დიახ! - ცოცხლად უპასუხა ოლივერმა, - მაგრამ ახლა იმაზე ვფიქრობდი, რომ ძალიან უმადური ვარ.

- ვის მიმართ? - შეეკითხა ახალგაზრდა ლედი.

- კეთილი ჯენტლმენისა და საყვარელი მოხუცი ძიძის მიმართ, რომლებიც ჩემზე ზრუნავდნენ, - თქვა ოლივერმა, - ალბათ, გაუხარდებოდათ, რომ სცოდნოდით, როგორი ბედნიერი ვარ.

- დარწმუნებული ვარ, ასეც იქნება, - დაამშვიდა ოლივერი კეთილისმყოფელმა, - მისტერ ლოსბერნი მზადაა მასთან შესახვედრად წაგიყვანოს, როგორც კი გამოჯანმრთელდები და მგზავრობის ატანას შეძლებ.

- მზადაა, მემ? - წამოიძახა გახარებულმა ოლივერმა და სახე გაუბრწყინდა, - არც კი ვიცი, სიხარულით რა დამემართება, როდესაც მათ ალერსიან სახეებს დავინახავ.

მალე ოლივერი საკმარისად მომჯობინდა, რომ ამგვარი მგზავრობით მოგვრილ დაღლილობას გამკლავებოდა. ერთ დილას ის და მისტერ ლოსბერნი მისის მეილის პატარა კარეტაში ჩასხდნენ. ჩერტსის ხიდს რომ მიაღწიეს, ოლივერი უეცრად გაფითრდა და წამოიყვირა.

- რა მოხდა, ბიჭი? - ჩვეულებისამებრ აფორიაქდა ექიმი, - რამე დაინახე ან გაიგონე, ან იგრძენი, ჰა?

- აი, სერ, - დაიყვირა ოლივერმა და კარეტის ფანჯრიდან სახლი დაანახვა, - ის სახლი!

- ჰო. და მერე რა? ეი, მეეტლე! აქ გააჩერე, - დაიყვირა ექიმმა, - ეს რა სახლია, ჩემო ბიჭო?

- ქურდები... ამ სახლში მომიყვანეს! - წაიჩურჩულა ოლივერმა.

- ეშმაკმა დასწყევლოს! - დაიყვირა ექიმმა, - ეი, მანდ! გადმოსვლაში მომეხმარეთ!

მაგრამ ვიდრე მეეტლე კოფოდან დასახმარებლად ჩამოსვლას მოასწრებდა, ექიმმა როგორღაც თავად მოახერხა კარეტიდან გადასვლა, მიტოვებულ სახლთან მიირბინა და გიჟივით წიხლები დაუშინა კარს.

- ვინ არის? - ტანდაბალმა, საზარელი შესახედაობის კუზიანმა კარი ისე მოულოდნელად გააღო, რომ ექიმი, ბოლო ენერგიული დარტყმისთვის მომზადებული, კინაღამ დერეფანში აღმოჩნდა, - რა ხდება?

- ხდება! - დაიყვირა ექიმმა და მაშინვე ქეჩოში სტაცა ხელი, - ბევრი რამ მოხდა. მარცვა, აი, რა!

- მაგას მკვლელობაც დაემატება, თუ ახლავე ხელს არ გამიშვებთ, - ცივად

უპასუხა კუზიანმა, - გაიგეთ?

- გავიგე, - და ექიმმა თავისი ტყვე გვარიანად შეანჯღრია, - სად არის... ეშმაკმა დასწყევლოს, რა ჰქვია... საიკსი; ჰო, ასე ჰქვია. სად არის, თქვი, ავაზაკო!

გაოცებულ და აღშფოთებულ კუზიანს თვალები გაუფართოვდა, მერე მოხერხებულად გაითავისუფლა თავი, ექიმს წყევლა-კრულვა დაატეხა თავს და

სახლში შევარდა, მაგრამ კარის დახურვა ვერ მოასწრო, რომ ექიმი სიტყვის უთქმელად ოთახში შევიდა. მან შეშფოთებით მიმოიხედა, არც ავეჯი, არც საგნები, არც კარადების განლაგება არ შეესატყვისებოდა იმას, რაც ოლივერმა აღწერა.

- აბა! - წამოიძახა კუზიანმა, რომელიც თვალს არ აცილებდა, - ეს რაღას ნიშნავს? ჩემს სახლში რატომ შემოიჭერთ? ჩემი გამარცხვა გინდათ? თუ ჩემი მოკვლა? რა გინდათ?

- უტვინო ბებერო სისხლისმსმელო, სად გინახავს კაცის მოსაკლავად კარეტებით დადიოდნენ? - წამოიძახა ექიმმა.

- აბა, რა გინდათ? - იყვირა კუზიანმა, - გაეთრიეთ, სანამ გვიან არ არის! ღმერთმა დაგწყევლოთ!

- მაშინ წავალ, როცა საჭიროდ ჩავთვლი, - თქვა მისტერ ლოსბერნმა და მეორე ოთახში შეიხედა, რომელიც, პირველის მსგავსად, სრულებით არ ჰგავდა

ოლივერის აღწერილს, - მოვა დრო და ჭკუას გასწავლი, მეგობარო!

- აი, თურმე რა! - დამცინავად გაიღიმა საზარელმა კუზიანმა, - თუ დაგჭირდით, აქ ვიქნები. უკვე ოცდახუთი წელია მარტოდმარტო ვზივარ აქ, სულმთლად ჭკუიდან შევიშალე, თქვენ კიდევ მოდიხართ და მემუქრებით! ამისათვის პასუხს გაგებინებთ, ჰო, გაგებინებთ!

ამ სიტყვებზე ტანდაბალმა ეშმასავით მახინჯმა არსებამ ყმული დაიწყო და განრისხებული მთელ სახლში ცეკვას მოჰყვა.

- ძალიან სულელური მდგომარეობაა, - წაიბუტბუტა ექიმმა, - ეტყობა, ბიჭი

შეცდა. აჰა, ეს აიღეთ და მოკეტეთ!

ექიმმა კუზიანს მონეტა გადაუგდო და კარეტაში დაბრუნდა.

კუზიანმა კარეტის კარამდე მისდია და წყევლა-კრულვითა და გინებით იკლებდა; როდესაც მისტერ ლოსბერნი მეეტლეს ელაპარაკებოდა, კუზიანმა კარეტაში შეიხედა და ოლივერს ისეთი გამჭრიახი და გამჭოლი, იმავდროულად,

ბოროტი და შურისმაძიებელი მზერა ესროლა, რომ ბიჭს რამდენიმე თვის განმავლობაში, დღისითაც და ღამითაც, ეს მზერა მოსვენებას არ აძლევდა.

კუზიანი იწყევლებოდა და იგინებოდა იქამდე, ვიდრე მეეტლემ თავისი ადგილი

არ დაიკავა; ხოლო როდესაც კარეტა დაიძრა, შორიდან ჩანდა, როგორ აბაკუნებდა ფეხებს და როგორ იგლეჯდა თმას სიგიჟის მოჩვენებითი ან ნამდვილი შემოტევისას.

- ვირი ვარ! - თქვა ექიმმა ხანგრძლივი დუმილის შემდეგ, - ეს აქამდე იცოდი, ოლივერ?

- არა, სერ.

- ჰოდა, სხვა დროს არ დაგავიწყდეს.

- ვირი, - გაიმეორა ექიმმა, მერე რამდენიმე წუთს ისევ დუმდა, - დავუშვათ, ეს

სწორედ ის ადგილია და იქ სწორედ ის ადამიანები ყოფილიყვნენ, მარტოს რა უნდა მექნა? დამხმარებთან ერთადაც კი არ ვიცი, რა გამოვიდოდა. ალბათ, თავად ჩავვარდებოდი მათ ხელში და მაშინვე გამოაშკარავდებოდა, როგორ დავმალე ეს ამბავი. ჰოდა, ახიც იქნებოდა ჩემზე. ყოველთვის ასეთ ხათაბალაში

ვებმები ხოლმე, როდესაც დაუფიქრებლად ვიქცევი. მაგრამ არა უშავს, იქნებ ამ

ამბავმა ჭკუა მასწავლოს.

გულკეთილი ექიმი მთელი ცხოვრება მართლაც დაუფიქრებლად და იმპულსურად იქცეოდა და, ალბათ, სწორედ იმპულსების დამსახურება იყო, რომ

ყველა, ვინც იცნობდა, უაღრესი პატივისცემითა და მაღლიერებით ეკიდებოდა;

იმპულსურობის დამსახურება უნდა ყოფილიყო ისიც, რომ დიდი უსიამოვნება და

საშიშროება აიცილა თავიდან. სიმართლე ითქვას, ერთი-ორი წუთი

გულდაწყვეტილიც იყო, რადგან ოლივერის მონათხრობის დამამტკიცებელი სამხილის მოპოვება პირველივე ხელსაყრელ შემთხვევაში ვერ შეძლო, მაგრამ მერე დამშვიდდა; იმაშიც დარწმუნდა, რომ ოლივერი ყველა შეკითხვაზე ძალდაუტანებლად, თანამიმდევრულად პასუხობდა და, როგორც ჩანს, ადრინდელივით გულწრფელად სიმართლეს ამბობდა; ამ მიზეზების გამო ექიმმა

გადაწყვიტა, მის ნათქვამს სრული ნდობით მოჰკიდებოდა.

ოლივერმა იმ ქუჩის სახელწოდება იცოდა, სადაც მისტერ ბრაუნლოუ ცხოვრობდა, ამიტომ პირდაპირ იქით წავიდნენ. როდესაც კარეტამ კუთხეში შეუხვია, ოლივერს გული ისე უცემდა, სუნთქვა შეეკრა.

- აბა, ჩემო ბიჭო, რომელი სახლია? - შეეკითხა მისტერ ლოსბერნი.

- ის! ის! - და ოლივერმა ფანჯრიდან დაანახვა, - თეთრი სახლი. ოჰ, გააჭენეთ!

გთხოვთ, დაუჩქარეთ! ასე მგონია მოვკვდები, სულ მაკანკალებს.

- გეყოფა, გეყოფა! - ექიმმა ალერსიანად მხარზე ხელი დაარტყა, - ახლავე ნახავ და მათაც ძალიან გაუხარდებათ, როდესაც ჯანმრთელსა და სალ-სალამათს დაგინახვენ.

- ოჰ, იმედია! - წამოიძახა ოლივერმა, - როგორ კეთილად მეპყრობოდნენ; ძალიან, ძალიან კეთილად.

კარეტა გზას განაგრძობდა. მერე შეჩერდა. არა, ეს არ იყო საჭირო სახლი; მომდევნო; კარეტამ ცოტა კიდევ გაიარა და ისევ შეჩერდა. ოლივერი ფანჯრებს

უყურებდა და ლოყებზე სიხარულის ცრემლები ჩამოსდიოდა.

მაგრამ, სამწუხაროდ, ფანჯარაზე ფირფიტა დაინახეს: „სახლი ქირავდება“.

- შემდეგ კარზე დავაკაკუნოთ! - დაიძახა მისტერ ლოსბერნმა და ოლივერს ხელი მოჰკიდა, - არ იცით, მისტერ ბრაუნლოუ სად არის, გვერდით სახლში რომ ცხოვრობდა?

მოსამსახურემ არ იცოდა, მაგრამ მზად იყო, გაერკვია. მალე დაბრუნდა და თქვა, რომ მისტერ ბრაუნლოუმ მთელი ქონება გაყიდა და უკვე თვენახევარია, ვესტ-ინდოეთში გაემგზავრა. ოლივერმა ხელები მომუშტა და უღონოდ მიესვენა საზურგეზე.

- მნე ქალიც წავიდა? - ხანმოკლე დუმილის შემდეგ იკითხა მისტერ ლოსბერნი.

- დიახ, სერ, - უპასუხა მოსამსახურემ, - მოხუცი ჯენტლმენი, მნე ქალი და კიდევ ერთი ჯენტლმენი, მისტერ ბრაუნლოუს მეგობარი, ყველანი ერთად წავიდნენ.

- რას ვიზამთ, შინ დავბრუნდეთ, - უთხრა მისტერ ლოსბერნმა მეეტლეს, - სანამ ამ დაწყევლილი ლონდონიდან არ გავალთ, ცხენების დასაპურებლადაც ნუ შეჩერდებით.

- წიგნის გამყიდველი, სერ? - იკითხა ოლივერმა, - მისი ფარდულისკენ გზავიცი. თუ შეიძლება, ისიც მოინახულეთ, სერ! მოინახულეთ!

- ჩემო საბრალო ბიჭო, დღეისთვის იმედის გაცრუება საკმარისია, - თქვა ექიმმა, - ორივესთვის საკმარისია. წიგნის გამყიდველის ფარდულში თუ მივალთ, გავიგებთ, რომ ის გარდაიცვალა ან სახლი დაეწვა, ან სადღაც გადაიკარგა. არა, პირდაპირ შინ მივდივართ, - და ექიმის იმპულსს დამორჩილებულები, შინისკენ გაემართნენ.

ამ იმედგაცრუებამ, მისი ბედნიერების პერიოდშიც კი, ოლივერს ბევრი მწუხარება და დარდი მოუტანა. ვიდრე ავად იყო, არაერთხელ იმშვიდებდა თავს

იმ იმედით, რას ეტყოდნენ მისტერ ბრაუნლოუ და მისის ბედუინი, როგორი სიხარული იქნებოდა მათთან შეხვედრა, ოცნებობდა, მათთვის მოეყოლა, რამდენი გრძელი დღე და დამე გაუტარებია მათ კეთილშობილურ საქციელზე ფიქრში და როგორ წუხდა მათთან განშორებას. იმედი ჰქონდა, რომ თავს გაიმართლებდა და მოუყვებოდა, როგორ გაიტაცეს და ეს იმედი ყველა თავს დატეხილი გაჭირვების გადატანაში ეხმარებოდა; ის ფიქრი, რომ ისინი სადღაც

შორს გაემგზავრნენ და მის შესახებ თან წაჰყვათ წარმოდგენა, თითქოს

პირწავარდნილი მატყუარა და ქურდია, წარმოდგენა, რომელიც შეიძლება მთელი სიცოცხლე ვეღარ გაექარწყლებინა, ოლივერისთვის აუტანელი იყო.

თუმცა, ამას მისდამი ახალი კეთილისმყოფელების დამოკიდებულება სრულებით არ შეუცვლია. გაიარა კიდევ ორმა კვირამ და მშვენიერი თბილი დარი დადგა, ხეები შეიფოთლა, ყვავილები გაიშალა, ჩერტსიდან რამდენიმე თვით გამგზავრების სამზადისი დაიწყო. ბანკში შესანახად გაგზავნეს ვერცხლის ყურჭლეული, ფეიჯინს ასე რომ სურდა, ხელში ჩაეგდო, სახლში ჯაილზი და კიდევ ერთი მოსამსახურე დატოვეს, დანარჩენები ქალაქიდან საკმაოდ მოშორებით მდებარე კოტეჯში გადავიდნენ. ოლივერი თან წაიყვანეს.

ვის შეუძლია აღწეროს ის სიხარული და აღტაცება, სულის სიმშვიდე და გონების დაწყნარება, რომელიც ნაავადმყოფარმა ბიჭმა იგრძნო ამწვანებული გორაკებითა და ხშირი ტყეებით გარშემორტყმულ სოფელში, სუფთა ჰაერზე? ვის

შეუძლია მოჰყვეს, როგორ აღიბეჭდება დიდი და ხმაურიანი ქალაქების მცხოვრებთა სულებზე სიმშვიდე და სიჩუმე, რამდენად ღრმად იჭრება მათ განაწამებ გულებში? ის, ვისაც მთელი ცხოვრება მჭიდროდ დასახლებულ, ვიწრო

ქუჩებში გაუტარებია და ცვლილებები არასოდეს მოსურვებია; ადამიანები, რომელთათვისაც ჩვეულება მეორე ბუნება გამხდარა, რომელთაც მათი ყოველდღიური სეირნობის საზღვრებში ლამის ყოველი აგური და ქვა უყვართ, ეს

ადამიანებიც კი, როდესაც სიკვდილის მსახვრალი ხელი დაემუქრებათ, ბოლოს

ოცნებობენ, ცალი თვალით მაინც შეხედონ ბუნებას; იმ ადგილებიდან შორს, სადაც იტანჯებოდნენ და უხაროდათ, ისინი თითქოს არსებობის ახალ სტადიას

იწყებდნენ. ყოველდღიურად გადიოდნენ მზით განათებულ, ამწვანებულ მინდორზე და ცის, გორაკების, ველების, მოლაპლაპე წყლის დანახვაზე ისეთი

მოგონებები წამოუტივტივდებოდათ, რომ საიქიო ცხოვრების სიახლოვეც კი მათი

სიცოცხლის სწრაფ მინავლებაზე დამამშვიდებლად მოქმედებდა და საფლავში ისევე აუღელვებლად ჩადიოდნენ, როგორც მათი სუსტი, ჩამქრალი მზერის ობიექტში მოხვედრილი მზე, რომელსაც რამდენიმე საათის წინ თავიანთი განმარტოებული სამინებლის ფანჯრიდან უმზერდნენ! სოფლის მშვიდი პეიზაჟებით აღძრული მოგონებები უცხოა ამ სამყაროსთვის, მისი მიზნებისა და

მისწრაფებებისთვის. ისინი დამამშვიდებელია, შეუძლია, გვასწავლოს, როგორ დავეწნათ ახალი გირლანდები იმათ საფლავებზე, ვინც გვიყვარდა; ეს მოგონებები გვასწავლის, როგორ განვწმინდოთ ჩვენი ფიქრები, დავამარცხოთ ადრინდელი მტრობა და სიძულვილი; გარდა ამისა, მათი გავლენა გონებაში აღვიძებს იმის ბუნდოვან შეგნებას, რომ ასეთი გრძნობები ოდესღაც, ძალიან დიდი ხნის წინ, უკვე გამოვცადეთ და ეს აღძრავს საზეიმო ფიქრებს შორეული,

მომავალი დროების შესახებ, ლაგამს რომ ამოსდებს სიამაყესა და მიწიერებას.

უმშვენიერესი იყო ის ადგილი, სადაც გადავიდნენ. ოლივერი, რომელიც მუდამ

ჭუჭყიან ბრბოში, ხმაურსა და ლანძღვა-გინებაში ცხოვრობდა, თითქოს ახალ არსებობას იწყებდა. კოტეჯის კედლებს ვარდები და ცხრატყავას ყვავილები ეკვროდა; ხეების მერქანი სუროს დაეფარა; ბაღში აყვავებული ყვავილების წყალობით ჰაერში არაჩვეულებრივი სურნელი იდგა. სულ ახლოს პატარა სასაფლაო იყო, სადაც დიდი და მახინჯი საფლავის ქვების ნაცვლად პატარ-პატარა ბორცვები მოჩანდა, კორდითა და ხავსით დაფარული, და მათ ქვეშ სოფლელი მოხუცები იყვნენ დაკრძალული. ოლივერი ხშირად დახეტილებდა ამ სასაფლაოზე, ახსენებოდა დედის გასაცოდავებული საფლავი, ჩამოჯდებოდა და როდესაც ვერავინ ხედავდა, ხანდახან ტიროდა; მაგრამ როდესაც ზეცას მიაპყრობდა მზერას, უკვე ვეღარ წარმოედგინა სამარეში მწოლიარე დედამისი და ნაღვლიანად, თუმცა, სულიერი ტკივილის გარეშე გამოიტირებდა ხოლმე.

ბედნიერი ხანა გახლდათ. მშვიდი და უშფოთველი დღეები გადიოდა, ღამეებს არც შიში მოჰქონდა, არც საზრუნავი, არც საზარელ ციხეში სიცივისგან კანკალი, არც ამაზრუნენ ადამიანებთან ურთიერთობა. ბიჭის ფიქრები მხოლოდ სასიხარულო და ნათელი გახლდათ. ოლივერი ყოველ დილით მეზობლად მცხოვრებ ჭალარა, მოხუც ჯენტლმენტან მიდიოდა, რომელიც პატარა ეკლესიის ახლოს ცხოვრობდა და წერა-კითხვის უკეთ დაუფლებებაში ეხმარებოდა; მოხუცი ჯენტლმენი ისე ალერსიანად ელაპარაკებოდა, იმდენ ყურადღებას უთმობდა, რომ ოლივერი მთელი გულით ცდილობდა, მასთან თავი გამოეჩინა. შემდეგ მისის მეილისა და როუზთან ერთად სეირნობდა, მათ საუბარს უსმენდა წაკითხული წიგნების შესახებ ან მათთან ერთად დაჩრდილულ ადგილზე მოიკალათებდა და ყურს უგდებდა, როგორ კითხულობდა ახალგაზრდა ლედი; მზად იყო, ესმინა დაღამებამდე, ვიდრე ჯერ კიდევ შეიძლებოდა ასობის გარჩევა. შემდეგ მეორე დღისთვის მეცადინეობდა თავის პატარა ოთახში, რომლის ფანჯრები ბაღს გადაჰყურებდა; გულდასმით იქამდე მუშაობდა, ვიდრე საღამო არ მოაწევდა, როდესაც ორი ქალბატონი ისევ სასეირნოდ გადიოდა, მათთან ერთად კი ოლივერიც, რომელიც მათ საუბარს უსმენდა. თუ ქალბატონებს რომელიმე ყვავილი მოეწონებოდათ, ოლივერი იქამდე მისვლასა და მის მოწყვეტას ახერხებდა, ხოლო თუ რომელიმე ნივთის წაღება ავიწყდებოდათ, სიხარულით გარბოდა მის მოსატანად. სულ რომ დაბნელებოდა, შინ ბრუნდებოდნენ, ახალგაზრდა ლედი ფორტეპიანოს მიუჯდებოდა და ლამაზ მელოდიებს უკრავდა, ან ხმადაბლა, ტკბილი ხმით დეიდამისის საყვარელ რომელიმე ძველ სიმღერას მღეროდა. ასეთ შემთხვევებში სანთლებს არ ანთებდნენ და ფანჯარასთან მჯდარი ოლივერი აღტაცებული უსმენდა საუცხოო მუსიკას.

მერე კვირადღეც მოდიოდა, სხვა დღეებისგან სრულიად განსხვავებული, ასევე განსხვავებული ოლივერის წინა ცხოვრების დღეებისგან! და როგორი ბედნიერი დღე გახლდათ - როგორც ყველა დანარჩენი, იმ სასიხარულო ხანაში.

დილით პატარა ეკლესიაში წირვას ესწრებოდნენ, იქ ფანჯრის გარეთ ფოთლები

შრილებდა, ჩიტები ჭიკჭიკებდნენ, საკმევლის სუნით გაჟღენთილი ჰაერი კარის ქვეშიდან ატანდა და მთელ იმ სადა ნაგებობაში ეს სურნელი იდგა. ღარიბებს ისე სუფთად და კოხტად ეცვათ, ისეთი მორჩილებით დგებოდნენ მუხლებზე, თითქოს ეს ყველაფერი მათი სიამოვნებისთვის ხდებოდა; გალობაც კი, ხშირად გაუწაფავი, გულწრფელი ჩანდა და ყოველთვის (ყოველ შემთხვევაში, ოლივერისთვის) წინანდელ შესრულებასთან შედარებით უფრო მუსიკალური იყო. ამას მოსდევდა სეირნობა და მუშების სუფთა ბინების დათვალიერება, ხოლო საღამოს ოლივერი ბიბლიიდან ერთ ან ორ თავს კითხულობდა, რომელსაც მთელი კვირის განმავლობაში ამზადებდა, მერე თავს უფრო ამაყად და ბედნიერად გრძნობდა, თითქოს თავად იყო მღვდელი.

დილაობით ოლივერი ექვს საათზე უკვე ფეხზე იყო; მინდვრებში მიდიოდა სასეირნოდ, ღამაში ყვავილების საპოვნელად მეზობლების მესერში ძვრებოდა კიდეც; მერე ყვავილებით დატვირთული შინ ბრუნდებოდა; მზრუნველობითა და

ყურადღებით გადაარჩევდა ყვავილებს და პირველი საუზმისთვის ღარნაკში თაიგულს დებდა; კიდეც იყო მის მეილის საფრინველე. ოლივერმა ადგილობრივი

სამრევლოს გამოცდილი მოხელისგან შეისწავლა ბუდეების დალაგების მეთოდიკა. როდესაც ამ საქმესაც მოითავებდა, სოფელში გზავნიდნენ წვრილმან

დავალებებზე ან ვინმეს დასახმარებლად; ისეც ხდებოდა, რომ მინდორში კრიკეტს თამაშობდნენ, ან, თუ ბაღში რაიმე იყო გასაკეთებელი, ოლივერი (ეს

საქმე გამოცდილი მეზღისგან ისწავლა) ამ საქმესაც მხიარულად და ხალისით აკეთებდა. ბოლოს, მის როუზი გამოჩნდებოდა. ოლივერს ათასობით ბრძანება ელოდა.

ასე ჩაიარა სამმა თვემ – სამმა თვემ, რომლებიც მოკვდავთაგან ყველაზე დალოცვილისა და უბედნიერესისთვისაც კი უსაზღვრო ბედნიერებად ჩათვლებოდა, ხოლო ოლივერის ცხოვრებაში ეს სამი თვე ნამდვილი სამოთხე გახლდათ. ერთი მხარისთვის ეს იყო ყველაზე გულწრფელი დიდსულოვნება, ხოლო მას ეპასუხებოდა ყველაზე ხალასი, მხურვალე, გულსა და სულში ჩამწვდომი მადლიერება. ამ ხანმოკლე დროის გასვლის შემდეგ ოლივერ ტვისტი

მოხუც და ახალგაზრდა ქალბატონებს გაუშინაურდა, ხოლო მისი ყმაწვილური და

მგრძნობიარე გულის სიყვარული იმით დაჯილდოვდა, რომ ქალბატონებმა შეიყვარეს და სულ მალე მისით ამაყობდნენ კიდეც.

თავი 33 ოლივერისა და მისი მეგობრების

ბედნიერებასმოულოდნელად საფრთხე დაემუქრება

გაზაფხული სწრაფად გავიდა და ზაფხული დადგა. თუ მანამდე სოფელი მშვენიერი იყო, ახლა მთელი თავისი ბრწყინვალეობითა და დიდებულებით წარმოჩნდა. უზარმაზარმა ხეებმა, რომლებიც მანამდე თითქოს დაჩიავებული და

გამიშვლებული იდგნენ, ახლა სიცოცხლითა და სიჯანსაღით სავსეებმა მოწყურებულ მიწას თავიანთი მწვანე მკლავები გადააფარეს და მოშიშვლებული,

ღია ადგილები სასიამოვნო დაჩრდილულ კუნჭულებად გადააქციეს, საიდანაც შორს გადაჭიმული, ვრცელი და მზით განათებული სივრცის ჭვრეტა შეიძლებოდა. მიწამ კაშკაშა მწვანე საფარველი მოირგო და გარშემო გონების დამბინდველ სურნელებას აფრქვევდა. წელიწადის საუკეთესო დრო დადგა; ყველაფერი ხარობდა და ყვაოდა.

პატარა კოტეჯში ცხოვრება მშვიდად და წყნარად მიედინებოდა და ხალისიანი უშფოთველობა გადასდებოდათ მის მცხოვრებთაც. ოლივერი დიდი ხნის წინ გამოჯანმრთელდა და მომჯობინდა, მაგრამ ავადმყოფსა თუ ჯანმრთელს, მადლიერება მის გვერდით მცხოვრები ადამიანების მიმართ სრულებით არ განელებია, თუმცა, სხვა ადამიანებში გრძნობების ამგვარი ცვლილება საკმაოდ ხშირად გვხვდება. ისევ ისეთი თვინიერი, მოყვარული ბიჭი იყო, როგორც მაშინ, როდესაც ტკივილითა და წვალებით გატანჯული მთლიანად მომგლელების ყურადღებასა და მოვლაზე იყო დამოკიდებული.

ერთ მშვენიერ საღამოს ჩვეულებრივზე უფრო შორს წავიდნენ სასეირნოდ: დღისით თუ ძალიან ცხელოდა, საღამოს ამოსული მთვარე ანათებდა, ხოლო მსუბუქმა ქარმა უჩვეულო სიგრილე მოიტანა. არაჩვეულებრივ ხასიათზე მყოფი როუზი მხიარულად საუბრობდა, სულ უფრო და უფრო სცილდებოდნენ სასეირნოდ შერჩეულ ჩვეულ ადგილებს. რაკი მისის მეილი დაიღალა, უკან ნელი ნაბიჯით დაბრუნდნენ.

ახალგაზრდა ლედიმ სადა შლაპა მოიხადა და ჩვეულებისამებრ ფორტეპიანოს მიუჯდა. რამდენიმე წამს გონებადაფანტული ათამაშებდა თითებს კლავიატურაზე, მერე საზეიმო მელოდიის დაკვრა დაიწყო; ვიდრე უკრავდა, მოეჩვენათ, თითქოს ტიროდა.

- როუზ, ჩემო ძვირფასო! - წამოიძახა მოხუცმა ქალბატონმა.

როუზს ხმა არ ამოუღია, მაგრამ დაკვრა უფრო სწრაფად დაიწყო, თითქოს ამ შეძახილმა უსიამოვნო ფიქრები დაავიწყა.

- როუზ, ჩემო საყვარელო, - მისის მეილი სწრაფად წამოდგა და მისკენ გადაიხარა, - ეს რა არის? ცრემლები! ჩემო ძვირფასო ბავშვო, რამ დაგამწუხრა?

- არაფერია, დეიდა, არაფერი, - უპასუხა ახალგაზრდა ლედიმ, - არ ვიცი, ეს რა არის; აღწერა არ შემიძლია, მაგრამ ვგრძნობ...

- ავად ხომ არა ხარ, ჩემო საყვარელო? - შეეკითხა მისის მეილი.

- არა, არა! ოჰ, ავად არა! - ამ სიტყვებზე როუზს ისე შეაჟრჟოლა, თითქოს მისგან სამარისებური სიცივე წამოვიდა, - ახლავე უკეთ ვიქნები. თუ შეიძლება, ფანჯარა დახურეთ!

ოლივერმა მისი სურვილი მაშინვე ასრულა. ახალგაზრდა ლედიმ დიდი

ძალისხმევით სცადა ადრინდელი სიცოცხლის ხალისი დაებრუნებინა და მხიარული მელოდიის დაკვრა წამოიწყო, მაგრამ მისი თითები კლავიშებზე ღონეგამოცლილი შეჩერდა. სახეზე ხელები აიფარა, დივანზე ჩამოჯდა და გზა მისცა ცრემლებს, რომლებსაც ვეღარ იკავებდა.

- ჩემო პატარავ! - წამოიძახა მოხუცმა ქალბატონმა და მოეხვია, - ასეთი არასოდეს მინახავხარ.

- რომ შემეძლოს, არ შეგაშფოთებდით, - უპასუხა როუზმა, - ძალიან ვეცადე, მაგრამ ვერაფერი გავაწყვე. დეიდა, მგონი, მართლაც ავად ვარ.

და მართლაც ავად იყო: როდესაც სანთლები შემოიტანეს, გამოჩნდა, რომ შინ დაბრუნებიდან გასული მცირე ხნის განმავლობაში სახე მარმარილოსავით გაჰფითრებოდა. მისი მშვენიერი სახის იერში რაღაც სხვა იკითხებოდა. რაღაც მღელვარე და უცნაური გამოჩნდა თვინიერ ნაკვეთებში, რაც ადრე არასოდეს ყოფილა. ერთი წუთის შემდეგ ლოყები წამოუწითლდა და ალერსიანი ცისფერი

თვალები შეშლილივით აუკიაფდა. მერე ეს ყველაფერი ისე გაქრა, როგორც წარმავალი ღრუბლის ჩრდილი და ისევ მკვდარივით გაფითრდა.

შეშფოთებული ოლივერი მოხუც ლედის თვალს არ აშორებდა და მიხვდა, ამ სიმპტომებით როგორ იყო მისის მეილი აღელვებული. თავადაც შეშფოთდა, მაგრამ ხედავდა, რომ მოხუცი ლედი ცდილობდა, ისინი არად ჩაეგდო და თავადაც ამგვარად მოქცევა სცადა. იმას მიაღწიეს, რომ დეიდამისის რჩევით დასაძინებლად წასული როუზი გამხიარულებული ავიდა თავის ოთახში, არწმუნებდა, რომ სრულებით აღარ არის ავად და დილით ჯანმრთელი გაიღვიძებს.

- იმედია, სერიოზული არაფერია? - შეეკითხა ოლივერი მისის მეილის, როდესაც ის სასტუმრო ოთახში დაბრუნდა, - დღეს რაღაც ცუდად გამოიყურება, მაგრამ...

მოხუცმა ლედიმ ხელით ანიშნა, არ ელაპარაკა, ოთახის კუთხეში დაჯდა და დიდხანს დუმდა. ბოლოს, აკანკალებული ხმით წამოიწყო:

- მეც იმედი მაქვს, ოლივერ. რამდენიმე წელიწადი მასთან ერთად ბედნიერი ვიყავი, შეიძლება ძალიან ბედნიერიც. იქნებ დრო მოვიდა, თავს რაიმე მწუხარება დამატყდეს, მაგრამ იმედია, ეს არ იქნება.

- რა? - იკითხა ოლივერმა.

- მძიმე დარტყმა, - უპასუხა მოხუცმა ლედიმ, - ძვირფასი გოგონას დაკარგვა, რომელიც ჩემი ნუგეში და ბედნიერება იყო.

- ოჰ, ღმერთო, დაგვიფარე! - მაშინვე წამოიძახა ოლივერმა.

- ამინ, ჩემო ბიყო! - ხელი ხელს გადააჭდო მოხუცმა ლედიმ.

- მაგრამ საფრთხე ხომ არაფერია, ხომ არაფერი მომხდარა? - წამოიძახა ოლივერმა, - ორი საათის წინ სრულიად ჯანმრთელი იყო.

- ახლა ძალიან ავადაა, - თქვა მისის მეილიმ, - და დარწმუნებული ვარ, უფრო ცუდად იქნება. ჩემი საყვარელი, ძვირფასი როუზი! ოჰ, რა უნდა ვქნა უშენოდ!

მისის მეილი ისეთი აღელვებული იყო, რომ ოლივერი, თავისი შემფოთების მიუხედავად, მის დაწყნარებას ცდილობდა.

- აბა, განსაჯეთ, მემ, - ამბობდა ოლივერი, რომელსაც ძალისხმევის მიუხედავად, თვალეზი ცრემლებით ავსებოდა, - ოჰ, იმაზე იფიქრეთ, როგორი

ახალგაზრდა, კეთილია, რა სიხარული და ნუგეში მოაქვს გარშემომყოფთათვის.

დარწმუნებული ვარ, რასაკვირველია, თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ

გამო და იმის გამოც, რომ თავად ასეთი კეთილია, იმათ გამოც, ვისაც თავისი

არსებობით აბედნიერებს, არ მოკვდება. ღმერთი არ დაუშვებს, ასეთი ახალგაზრდა მოკვდეს.

- ჩუ! - მისის მეილიმ ოლივერს თავზე ხელი დაადო, - ჩემო საბრალო ბიყო,

ბავშვივით მსჯელობ, მაგრამ მაინც შემახსენებ ჩემს მოვალეობას. სულ ერთ წუთს დავივიწყე ის, ოლივერ, მაგრამ იმედია, მეპატიება, რადგან უკვე მოვხუცდი, საკმარისზე მეტი ავადმყოფობა და სიკვდილი მინახავს, რომ ვიცოდე,

როგორი მტანჯველია გამოთხოვება იმათთვის, ვისაც უყვარს. დაე, ეს იყოს ჩვენთვის ნუგეში, რადგან ღმერთი სამართლიანია და ეს მოწმობს იმასაც, რომ

არსებობს სხვა სამყაროც, ამქვეყნიურზე უკეთესი... იქ გადასვლა კი ძალზე სწრაფად ხდება. დაე, ღმერთის ნება აღსრულდეს! მე როუზი მიყვარს და ამას

ღმერთიც კარგად ხედავს!

გაკვირვებულმა ოლივერმა შენიშნა, რომ მისის მეილიმ თავს ძალა დაატანა და წუწუნის შეწყვიტა, წელში გაიმართა, დამშვიდდა, თავს მოერია. კიდევ უფრო

გაუკვირდა, როდესაც დარწმუნდა, რომ ავადმყოფზე მერმინდელი ხანგრძლივი

ზრუნვისა და მოვლის დროს მისის მეილი მუდამ ენერგიული, მშვიდი იყო, ყველაფერს უნაკლოდ და შეიძლება ითქვას, მკვირცხლადაც აკეთებდა. მაგრამ ოლივერი ჯერ კიდევ ნორჩი იყო და არ იცოდა, რა შეუძლიათ სულით ძლიერ

ადამიანებს მძიმე განსაცდელის ჟამს. მას როგორ უნდა სცოდნოდა, როდესაც ამის შესახებ სულით ძლიერმა ადამიანებმაც კი არ იციან?

მღელვარე ღამე იყო. დილით მისის მეილის წინასწარმეტყველება, სამწუხაროდ, ასრულდა. როუზს სახიფათო და მწვავე ციებ-ცხელების პირველი

ეტაპი დაეწყო.

-- ოლივერ, გულხელდაკრეფილი ვერ ვისხდებით და ვიწუწუნებთ, - თქვა მისის

მეილიმ, თითი ტუჩებთან მიიტანა და ბავშვს დაჟინებით მიაჩერდა, - ეს წერილი

რაც შეიძლება სწრაფად უნდა მიიღოს მისტერ ლოსბერნიმ. მისი ქალაქში წაღებაა საჭირო, სადაც ბაზარია - იქამდე ოთხიოდე მილია, თუ მინდორში ბილიკს გაჰყვები; ქალაქიდან ცხენოსანი კურიერი პირდაპირ ჩერტსიში ჩაიტანს.

ამას სასტუმროში მოაგვარებენ. შენი იმედი მაქვს, რომ ეს ყველაფერი მოხერხდება. ეს კარგად ვიცი.

ოლივერს ხმა არ ამოუღია, მაგრამ ჩანდა, ერთი სული ჰქონდა, დაუყოვნებლივ გასდგომოდა გზას.

- აი, კიდევ ერთი წერილი, - მისის მეილი ჩაფიქრდა, - სიმართლე ითქვას, არ

ვიცი, ახლა გავგზავნო თუ დავიცადო და ვნახო, როგორ განვითარდება როუზის

ავადმყოფობა. ვიდრე უარესის სამიშროება არ არის, არ მინდა მისი გაგზავნა.

- ესეც ჩერტსიში უნდა გაიგზავნოს, მემ? - ჰკითხა ოლივერმა, რომელსაც ერთი სული ჰქონდა, დავალება შეესრულებინა და აკანკალებული ხელი წერილისკენ გაიწვდინა.

- არა, - უპასუხა მოხუცმა ლედიმ და მექანიკურად გადასცა წერილი.

ოლივერმა კონვერტს დახედა და დაინახა, რომ მისი ადრესატი ჰარი მეილი იყო, ესკვაირი,

რომელიც ცნობილი ლორდის მამულში ცხოვრობდა, მაგრამ სად, ამის გარჩევა ვეღარ შეძლო.

- გავგზავნო, მემ? - მოუთმენლად შეეკითხა ოლივერი.

- არა, უმჯობესია, არა, - უპასუხა მისის მეილიმ და წერილი უკან აიღო,

-
ხვალამდე დავიცდი.

ამის შემდეგ ოლივერს თავისი საფულე მისცა და ისიც სწრაფი ნაბიჯით გაემართა დავალების შესასრულებლად.

მინდვრებში და იმ ბილიკებზე მირბოდა, აქა-იქ მათ რომ ყოფდა; ხან მთლიანად იკარგებოდა წამოზრდილ მარცვლეულის ყანაში, ხან ღია მინდორზე

მირბოდა, სადაც თიბავდნენ და თივის ზვინებს დგამდნენ; სულ ერთი-ორჯერ

შეჩერდა რამდენიმე წამით სულის მოსათქმელად; ბოლოს, აქოშინებული და მტვრით დაფარული, პატარა ქალაქის ბაზრის მოედანზე გავიდა.

აქ შეჩერდა და მიიხედ-მოიხედა, სასტუმროს ეძებდა. დაინახა ბანკის თეთრი, ლუდსახარშის წითელი და მერიის ყვითელი შენობები, ხოლო კუთხეში -

ხის დიდი, მწვანედ შეღებილი სახლი, რომელსაც ამშვენებდა აბრა „ჯორჯი“.

სწორედ მისკენ გაიქცა ოლივერი.

ჭიმკართან გაესაუბრა მთვლემარე ფორეიტორს

, რომელმაც მოუსმინა და მერე მეჯინიბესთან გაგზავნა, მან კი სასტუმროს მეპატრონესთან, ტანმალალ ჯენტლმენტან, ცისფერი ჰალსტუხით, თეთრი შლაპით, მუქი შარვლითა და გადასაკეცელიანი ჩექმებით, რომელიც საჯინიბოს კართან მდგარ წყალსაქაჩზე მიყუდებული ვერცხლის საჩიჩქნით კბილებს ისუფთავებდა.

ეს ჯენტლმენი ნელი ნაბიჯით გაემართა ბარისკენ ქვითრის გამოსაწერად, რასაც დიდი დრო დასჭირდა; მას შემდეგ, რაც ქვითარი მზად იყო და ოლივერმა თანხაც გადაიხადა, კიდევ ათი წუთი დასჭირდა ცხენის შეკაზმვასა და კურიერის ჩაცმას. ადელვებული ოლივერი მზად იყო, თავად მოხტომოდა ცხენს და მომდევნო სადგურამდე შეუსვენებლივ ექჩნებინა. ბოლოს, როგორც იქნა, ყველაფერი მოგვარდა. მას შემდეგ, რაც პატარა პაკეტი გადასცეს ყველა საჭირო მითითებითა და თხოვნა-ვედრებით, რაც შეიძლება სწრაფად მიეტანა დანიშნულების ადგილზე, მამაკაცმა ცხენს აღვირი მოქაჩა და ბაზრის მოედნის უსწორმასწორო ქვაფენილზე გააჭენა; ორი წუთის შემდეგ უკვე ქალაქგარეთ იყო და საგზაო შლაგბაუმისკენ მიიჩქაროდა.

ოლივერი ცოტათი დამშვიდდა, რადგან დახმარებისთვის თხოვნა დროულად გაგზავნა, ამიტომ სასტუმროს ეზო გადაირბინა და ჭიშკარში მოულოდნელად დაეჯახა ტანმალალ, საწვიმარში გახვეულ მამაკაცს, რომელიც სასტუმროდან გამოდიოდა.

- ოჰო! - დაიყვირა კაცმა, როდესაც ოლივერს შეხედა და ძალაუნებურად უკან დაიხია, - ჯანდაბა, ეს რაღას ნიშნავს?

- მაპატიეთ, სერ, - თქვა ოლივერმა, - შინ მეჩქარება და ვერ დაგინახეთ, როგორ გამოხვედით.

- ეშმაკმა დალახვროს! - წაიბურდდუნა კაცმა და ოლივერს თავისი მუქი, დიდი თვალებით დაჟინებით დააცქერდა, - ამას ვინ იფიქრებდა! თუ გინდა, ფერფლად აქციე! ქვის სამარიდანაც ადგება და გზაზე გადამელობება!

- უკაცრავად, სერ, - ოლივერი უცნობის დაჟინებულმა მზერამ შეაცბუნა, - იმედია, არაფერი დაგიშავეთ!

-- ცოცხალი რატომ ხარ? - კბილებს შორის გამოცრა განრისხებულმა მამაკაცმა,
- იმდენი გამბედაობა რომ მქონდეს, სულ ერთი სიტყვა ვთქვა, ერთ ღამეში გაგისწორდებოდი. წყევლა-კრულვა შენს თავს და შავი ჭირი შენს გულს, ეშმაკის ნაშიერო! აქ რა ჯანდაბას აკეთებ?

უცნობი ამ სიტყვებს შემართული მუშტით ამბობდა. ოლივერისკენ გაიწია, თითქოს დარტყმას უპირებდა, მაგრამ უეცრად მიწაზე დაეცა პირზე

დუჟმოდგარი და მთელი ტანით დაიკრუნჩხა.

ოლივერი ერთ წამს შეშლილის (მან კაცი შეშლილად ჩათვალა) კრუნჩხვას უყურებდა, მერე დახმარებისთვის სასტუმროში შევარდა. როცა დარწმუნდა, რომ

ის ნომერში გადაიყვანეს, ოლივერი რაც შეიძლებოდა სწრაფად გაიქცა შინისკენ,

რომ დაკარგული დრო აენაზღაურებინა, თან შიშით ფიქრობდა იმ კაცზე, რომელსაც ის იყო, დაშორდა.

მაგრამ ამ ამბავზე დიდხანს არ უფიქრია, რადგან როდესაც კოტეჯში დაბრუნდა, იქ იმდენი რამ მოხდა, რომ სხვა საფიქრალი გაუჩნდა და მომხდარი

თავისთავად წაიშალა მისი გონებიდან.

როუზ მეილის მდგომარეობა გაუარესდა; შუალამის დადგომამდე ბოდვა დაიწყო. სოფლის ექიმი მის საწოლს არ სცილდებოდა; მან ავადმყოფი გასინჯა,

შემდეგ მისი მეილი გაიხმო და უთხრა, რომ ავადმყოფობა ძალიან სახიფათო იყო. „ნამდვილი სასწაული იქნება, თუ გამოჯანმრთელდა“, – ასეთი იყო მისი

სიტყვები.

ოლივერი იმ ღამეს რამდენჯერმე ადგა, ფეხაკრეფით გადიოდა კიბეზე და სუნთქვაშეკრული უგდებდა ყურს უმცირეს ჩქამს, რომელიც ავადმყოფის ოთახიდან გამოდიოდა! რამდენჯერ ააკანკალა მთელი სხეულით, შიშით დაზაფრულს შუბლი ცივი ოფლის წვეთებით ენამებოდა, როდესაც სწრაფი ნაბიჯების უეცარი ხმა აფიქრებინებდა, რომ შესაძლოა, უკვე მოხდა ის, რისი გაფიქრებაც კი თავზარს სცემდა! ახლანდელი გულმხურვალე ლოცვები არც კი შეედრებოდა წინანდელს, დარდიანი და სასოწარკვეთილი შესთხოვდა ღმერთს სიცოცხლესა და ჯანმრთელობას სათნო არსებისთვის, რომელიც სამარის პირას იმყოფებოდა!

ოჰ! დამაბულობა, შიში, მტანჯველი შემფოთება, როდესაც საყვარელი არსების სიცოცხლე ბეწვზე კიდია! ოჰ! საზარელი ფიქრები, რომლებიც გონებას

მოსვენებას არ აძლევენ, რომელთა გამო გულს ბაგაბუგი გააქვს, სუნთქვას გიკრავს ასეთი ხელშესახები ხილვების გამო; დაუოკებელი სურვილი, რაღაც მოიმოქმედო ტკივილის შესამსუბუქებლად ან საშიშროების შესამცირებლად, მაგრამ ვიცი, რომ უძლურნი ვართ; ჩვენი უსუსურობის გამო სულიერი სასოწარკვეთილება – რა სახის ტანჯვა შეიძლება ამას შეეძაროს, რომელ ფიქრსა და ძალისხმევას შეუძლია მისი ჩახშობა ყველაზე მძიმე და მწვავე წუთებში!

გათენდა. კოტეჯში სიჩუმე იდგა. ჩურჩულით საუბრობდნენ, დროდადრო ჭიმკართან შემფოთებული სახეები ჩნდებოდა; ქალები და ბავშვები ატირებულები მიდიოდნენ. მთელი ის უსასრულო დღე ოლივერმა დაბნელებამდე

ბაღში გაატარა, ბოლთას სცემდა და ყოველ წუთს ავადმყოფის ფანჯარას ახედავდა, ეჩვენებოდა, თითქოს მასზე სიკვდილის აჩრდილი ატუზულიყო.

გვიან

სალამოს მისტერ ლოსბერნი ჩამოვიდა.

- როგორი მძიმეა, - თქვა გულკეთილმა ექიმმა და ლაპარაკისას შებრუნდა,
-
ასეთი ახალგაზრდა, ყველასთვის საყვარელი, მაგრამ იმედი ძალიან მცირეა.

ისევ გათენდა. მზე კაშკაშებდა, თითქოს ვერც წუხილს ხედავდა, ვერც საზრუნავს; ყოველი ფოთოლი, ყოველი ყვავილი, ყველა ბგერა და ნიშანი სიცოცხლეზე, სიჯანსაღეზე, სიხარულზე მიანიშნებდა, რომლითაც ირგვლივ ყველაფერი გაჟღენთილიყო; ახალგაზრდა არსების სიცოცხლე კი ინავლებოდა. ოლივერი ძველ სასაფლაოზე შეიპარა, მწვანე გორაკზე ჩამომჯდარი სიჩუმეში ტიროდა და ავადმყოფზე ლოცულობდა.

გარშემო ისეთი სიმშვიდე და სილამაზე იყო; იმდენი სინათლე და სიხარული მზით განათებულ პეიზაჟში; ისეთი მხიარულება ისმოდა ჩიტების ჭიკვიკში; ისეთი თავისუფლება იგრძნობოდა ჭილყვავის ფრენაში; ირგვლივ ყველაფერი სიცოცხლითა და მხიარულებით სუნთქავდა; ბიჭმა ტირილისგან დაწითლებული

თვალები ასწია და მიმოიხედა, უნებურად თავში გაუელვა, რომ ახლა არ იყო

სიკვდილის დრო; რომ შეუძლებელია, როუზი მომკვდარიყო, როდესაც ამდენი

უმანკო არსება ასეთი მხიარული და უდარდელია; რომ საფლავებს მხოლოდ ცივ

და უსიხარულო ზამთარში თხრიან: როდესაც არც მზე ათბობს და არც ყვავილების სურნელი ტრიალებს. უნებურად ისიც კი იფიქრა, რომ სუდარა მხოლოდ მიხრწნილი მოხუცებისთვის არის განკუთვნილი და თავისი საზარელი

კალთებით არასოდეს უნდა ფარავდეს ახალგაზრდა, მშვენიერ სხეულს.

მისი ბავშვური ფიქრები ეკლესიის სამგლოვიარო ზარმა დაარღვია. კიდევ მეორე ზარი! კიდევ ერთი! დასაკრძალავი პროცესიის შესახებ იუწყებოდა. სასაფლაოს ჭიშკარში ჭირისუფლებისა და თანმხლებთა მცირე ჯგუფი შევიდა. ყველას თეთრი ბაფთა ეკეთა, რადგან გარდაცვლილი ყმაწვილი იყო. გაჭრილ სამარესთან თავსაბურავის გარეშე იდგნენ; მოტირალთა შორის იყო დედა, შვილის დამკარგავი დედა. მზე კი კაშკაშებდა და ჩიტები გალობდნენ.

ოლივერმა შინისკენ გასწია, თან იმაზე ფიქრობდა, რამდენი სიკეთე ახსოვდა ახალგაზრდა ლედისგან და იმაზე ოცნებობდა, ისევ დაბრუნებულყო წინანდელი

დრო, რომ თავისი მადლიერებისა და ერთგულების დამტკიცება შესძლებოდა. საკუთარ თავს უყურადღებობას ან უპატივცემლობას ვერ უსაყვედურებდა, ყოველთვის ერთგულად ასრულებდა მის თხოვნას და მაინც, გაახსენდა ასობით

წვრილმანი შემთხვევა, როდესაც, მისი აზრით, შეემლო უფრო მეტი გულისყური

გამოეჩინა, ახლა კი ძალიან დარდობდა ამგვარ საქციელს. უნდა გავუფრთხილდეთ ჩვენს ურთიერთობას გარშემომყოფ ადამიანებთან, რადგან სიკვდილის ყოველი შემთხვევა ცოცხალთა მცირე ჯგუფში ტოვებს აზრს იმის თაობაზე, რამდენი შემთხვევა გაუშვეს ხელიდან და რა ცოტა გააკეთეს, რამდენი

რამ დაივიწყეს და რამდენი რამ ველარასოდეს გამოსწორდება! უსარგებლო მონანიებაზე სასტიკი არაფერია; თუ გვსურს, საკუთარ თავს ასეთი ტანჯვა თავიდან ავაცილოთ, უმჯობესია, ამის თაობაზე იქამდე ვიფიქროთ, ვიდრე გვიან

არ არის.

შინ დაბრუნებულ ოლივერს მისის მეილი პატარა სასტუმრო ოთახში დახვდა. მის დანახვაზე ოლივერს გული მოეწურა; თავისი დისწულის საწოლს ერთი წუთითაც არ მოსცილებია და ახლა შეშინდა, ასეთმა რა ცვლილებამ განაპირობა

ის, რომ ახლა მოხუცი ლედი სასტუმრო ოთახში იყო. ოლივერმა გაიგო, რომ

როუს ღრმად ეძინა და გამოფხიზლებული ან გამოჯანმრთელდებოდა და დიდხანს იცოცხლებდა, ან სამუდამოდ გამოემშვიდობებოდა მათ და გარდაიცვლებოდა.

რამდენიმე საათი მდუმარედ ისხდნენ და აყურდებდნენ, ხმის ამოდების ეშინოდათ. სადილზე ხელი არაფრისთვის უხლიათ; კარგად ჩანდა, მათი ფიქრები სადღაც შორს იყო, როდესაც უყურებდნენ ნელ-ნელა ჩამავალ მზეს, რომელმაც ცა და მიწა ცისარტყელას ფერებად შეღება. მათმა გამახვილებულმა სმენამ ნაბიჯების ხმა გაიგონა. ორივე უნებურად კარს ეცა; მისტერ ლოსბერნი შემოვიდა.

- როუზი როგორ არის? - წამოიძახა მოხუცმა ლედიმ, - ახლავე მითხარით! გადავიტან, ყველაფრის გადატანას შევძლებ გაურკვეველობის გარდა! ღვთის გულისთვის, თქვით!

- უნდა დამშვიდდეთ! - ხელი შეაშველა ექიმმა, - ძალიან გთხოვთ, მემ, ძვირფასო, დაწყნარდით!

- გამიშვით, ღვთის გულისათვის! ჩემი ძვირფასი გოგონა! გარდაიცვალა! კვდება!

- არა! - წამოიყვირა ექიმმა, - ღმერთი მოწყალეა, კიდევ მრავალი წელი იცოცხლებს ჩვენს გასახარად!

მოხუცი ლედი მუხლებზე დაეცა, ხელების გადაჭდობა სცადა, მაგრამ ძალა, ამდენ ხანს რომ მოდუნების საშუალებას არ აძლევდა, ერთბაშად გამოელია და

პირველივე სამადლობელ ლოცვასთან ერთად ზეცისკენ გაფრინდა. ის მეგობრის

ხელებზე მიესვენა.

თავი 34 ამ თავში ასპარეზზე მოულოდნელად

გამოჩენილია ახალგაზრდა ჯენტლმენის ამბავია

მოთხრობილი: ასევე ოლივერის ახალი

თავგადასავლების შესახებ შეიტყობთ

ამ ბედნიერების სიტყვებით აღწერა შეუძლებელი იყო. მოულოდნელი ამბით გაოგნებული ოლივერი ვერც ტირილს ახერხებდა, ვერც ლაპარაკს ან დასვენებას.

ძლივს ესმოდა, გარშემო რა ხდებოდა. დიდხანს დაბორიალებდა, საღამოს ჰაერს

ისუნთქავდა, ბოლოს ცრემლები წასკდა, რამაც შვება მოუტანა; თითქოს გამოფხიზლდა, მაშინვე გაიზარა მომხდარი სასიხარულო გარდატეხა და ისიც, თუ როგორი მძიმე იყო ახლა მხრებიდან მოხსნილი ტვირთი.

მალე ჩამოხნულა, როდესაც ავადმყოფის ოთახის მოსართავად

განსაკუთრებული მზრუნველობით დაკრეფილი მინდვრის ყვავილებით

დატვირთული შინისკენ მიდიოდა. გზაზე ხალისიანად მიაბიჯებდა. უცებ ზურგს

უკან საოცარი სისწრაფით მომავალი კარეტის ხმა გაიგონა. მიბრუნდა და საფოსტო კარეტა დაინახა, და რადგან ცხენებს მოაჭენებდნენ, ხოლო გასასვლელი ვიწრო იყო, რომელიდაც ჭიშკარს მიეყრდნო, კარეტა რომ გაეტარებინა.

როდესაც კარეტა ოლივერს გაუსწორდა, ბიჭმა თვალი მოჰკრა მამაკაცს თეთრ დამის ჩაჩში, რომლის სახე ნაცნობი ეჩვენა, თუმცა, მისი ცნობა დროის ხანმოკლე მონაკვეთში ვერ შეძლო. ორი წამის შემდეგ ჩაჩიანმა კაცმა კარეტის ფანჯრიდან გამოიხედა, ხოლო მისმა მჭუხარე ხმამ მეეტლეს გაჩერება უბრძანა,

რაც ამ უკანასკნელმა შეასრულა კიდეც, როგორც კი ცხენების მოთოკვა შეძლო.

- აქეთ! - იყვირა იმავე ხმამ, - ოლივერ, ახალი რა არის? მის როუზზე? ო-ლი-ვერ!

- თქვენ ხართ, ჯაილზ? - დაიყვირა ოლივერმა და კარეტისკენ გაიქცა. ჯაილზმა ისევ გამოყო ჩაჩიანი თავი და პასუხის გაცემას აპირებდა, მაგრამ უეცრად ის კარეტის მეორე ბოლოში მჯდარმა ახალგაზრდამ განზე გასწია და მოუთმენლად იკითხა, რა იყო ახალი.

- ერთი სიტყვა თქვით! - დაიყვირა ახალგაზრდა ჯენტლმენმა, - უკეთ არის თუ უარესად?

- უკეთ, ბევრად უკეთ! - მაშინვე უპასუხა ოლივერმა.

- მადლობა ღმერთს! - წამოიძახა ჯენტლმენმა, - დარწმუნებული ხარ?

- სავსებით, სერ! - უპასუხა ოლივერმა, - კრიზისი სულ რამდენიმე საათის წინ იყო და მისტერ ლოსბერნი ამბობს, რომ ყოველგვარი საშიშროება ჩავლილია.

ჯენტლმენმა უსიტყვოდ გააღო კარეტის კარი, ჩამოხტა, ოლივერს ხელი სტაცა და გვერდით გაიყვანა.

- სრულიად დარწმუნებული ხარ? არ ცდები, ჩემო ბიჭუნა? - შეეკითხა აკანკალებული ხმით, - ნუ მომატყუებ, ნუ აღმიძრავ იმედს, რომელსაც ასრულება არ უწერია.

- სერ, ამას არავითარ შემთხვევაში არ ჩავიდენდი, - თქვა ოლივერმა, - შეგიძლიათ მენდოთ! მისტერ ლოსბერნი სიტყვასიტყვით ეს ბრძანა: „კიდეც მრავალი წელი იცოცხლებს ჩვენს გასახარად“. თავად ვუსმენდი, ამას რომ ამბობდა.

ოლივერს თვალზე ცრემლები მოადგა, როდესაც გაახსენდა ის წუთი, ასეთი დიდი ბედნიერება რომ მოუტანა; ჯენტლმენი ხმის ამოუღებლად შეტრიალდა. ოლივერს არაერთხელ მოეჩვენა, რომ მისი ქვითინის ხმა მოესმა, მაგრამ ხმის ამოდებით არ სურდა მისთვის ხელი შეეშალა, რადგან კარგად ხვდებოდა, რა ტრიალებდა მის სულში, ამიტომ განზე გადგა, თითქოს თავისი თაიგულით იყო დაკავებული.

ამასობაში მისტერ ჯაილზი თავზე ღამის თეთრი ჩაჩით კარეტის კიბეზე იჯდა, ორივე ხელით მუხლებზე დაყრდნობილი თვალეზს კოპლებიანი ცისფერი ქალაღდის ცხვირსახოციტ იწმენდდა. საბრალო სრულებიტაც არ ცდილობდა აღეღვებულად მოეჩვენებინა თავი – ამას მისი წიტელი თვალეზი მოწმობდა, რომლებიც ასწია და ახალგაზრდა ჯენტლმენს მიაჩერდა, როდესაც მან მიმართა:

– ჭჯაილზ, ვფიქრობ, უკეთესია კარეტაში ჩაჭჯდეთ და დედაჩემთან წახვიდეთ, – თქვა მან, – მე კი ფეხიტ გავივლი და დროს მოვიგებ მის ნახვამდე. შეგიძლიათ უთხრათ, რომ მალე მოვალ.

– მაპატიეთ, მისტერ ჰარი, – თქვა ჯაილზმა და ცხვირსახოციტ აღეღვებული სახის საბოლოოდ მოწესრიგება სცადა, – მაგრამ თუ ამას ფორეიტორს უბრძანებთ, მაღლობელი დაგრჩებიტ. არ იქნება კარგი, მსახურებმა ასეთ მღგომარეობაში მნახონ, სერ... მათ თვალში ავტორიტეტს დავკარგავ.

– კარგი, – გაიღმა ჰარი მეილიმ, – ისე მოიქეციტ, როგორც გირჩევნიატ. მაშინ წინ წავიდეს ბარგიტ, თუ ასე მოგწონთ, თქვენ კი გამოგყევიტ. ოღონდ ჯერ ღამის ჩაჩი რაიმე უფრო შესაფერისი თავსაბურავიტ შეცვალეთ, თორემ შეიძლება გიყად მიგიჩნიონ.

მისტერ ჯაილზმა თავისი შეუფერებელი ჩაცმულობის შეხსენების შემდეგ ჩაჩი თავიდან მოიძრო, ჯიბეში შეინახა და კარეტიდან აღებული სოლიდური და სადა შლაპიტ შეცვალა. ამის შემდეგ ფორეიტორმა გზა განაგრძო, ხოლო მას ჯაილზი, მისტერ მეილი და ოლივერი ნელ–ნელა მიჰყვნენ.

გზაში ოლივერი დიდი ინტერესიტა და ცნობისმოყვარეობიტ ათვალერებდა ჩამოსულს. ერთი შეხედვიტ ოცდახუტი წლისა უნდა ყოფილიყო, საშუალო სიმაღლის; სანდომიანი პირისახე ჰქონდა, უბრალო და ძალდაუტანებელი გახლდატ ურტიერთობაში. ასაკში განსხვავების მიუხედავად, ძალიან ჰგავდა მოხუც ლედის და ოლივერი ისედაც მიხვდებოდა მათ ნათესაობას, ახალგაზრდა ჯენტლმენს დედამისის სახელი რომც არ ეხსენებინა.

ახალგაზრდა ჯენტლმენი კოტეჯს უახლოვდებოდა. მისის მეილი მოუთმენლად ელოდა შვილს. შეხვედრა ორივესთვის ამაღეღვებელი იყო.

– დედა! – წაიჩურჩულა ახალგაზრდამ, – უფრო ადრე რატომ არ მომწერეთ?

– წერილი დავწერე, – უპასუხა მისის მეილიმ, – მაგრამ მერე გადავიფიქრე მისი გამოგზავნა, იქამდე დავიცადე, ვიდრე მისტერ ლოსბერნის მოსაზრება არ გავიგე.

– მაგრამ რატომ, როდესაც შეიძლებოდა უარესი მომხდარიყო? თუ როუზი...

არა, არ შემიძლია ახლა ამ სიტყვის თქმა... თუ ავადმყოფობის შედეგი სხვა

იქნებოდა, ოდესმე აპატიებდით საკუთარ თავს? ნუთუ ფიქრობთ, რომ ოდესმე

ბედნიერი ვიქნებოდი?

- ჰარი, ყველაზე უარესი რომ მომხდარიყო, - თქვა მისის მეილიმ, - ვშიშობ,

შენი ბედნიერება სამუდამოდ დასამარდებოდა და მაშინ ძალიან, ძალიან უმნიშვნელო იქნებოდა, ერთი დღით ადრე ჩამოხვედი თუ ერთი დღით გვიან.

- გინდაც ასე ყოფილიყო, რა არის გასაკვირი, თუ ეს დამემართებოდა? - არ შეეპუა ახალგაზრდა, - და რა საჭიროა ამაზე ლაპარაკი? ეს ასეა... და თქვენ,

დედა, შესანიშნავად იცით... უნდა იცოდეთ...

- ვიცი, რომ ის ყველაზე ნაზ და სუფთა სიყვარულს იმსახურებს, რაც კი მამაკაცის გულს შეუძლია, - თქვა მისის მეილიმ, - ვიცი, რომ მის ერთგულ და

მოყვარულ ბუნებას ესაჭიროება არა მსუბუქი გრძნობა, არამედ ღრმა და მარადიული. ეს რომ არ ვიცოდე და კიდევ ისიც, რომ თუ მისდამი შეიცვალა ის,

ვინც მას უყვარს, მწუხარებისგან მაშინვე მოკვდება, მაშინ არ ჩავთვლიდი საკუთარ ამოცანას ასე რთულად; გულარხეინად მივუდგებოდი იმის შესრულებას, რაც საკუთარ განუხრელ მოვალეობად მიმაჩნია.

- დედა, ეს უღმობლობაა, დედა, - თქვა ჰარიმ, - ნუთუ აქამდე ბიჭად მიგაჩნევართ, რომელსაც საკუთარი გონების წადილი და სულის მისწრაფება არ

ესმის?

- ჩემო საყვარელო შვილო, - უპასუხა მისის მეილიმ და მხარზე ხელი დაადო, -

ვფიქრობ, სიყმაწვილეს კეთილშობილური მისწრაფებები ახასიათებს, რომლებიც

მაღევე მიეცემა ხოლმე დავიწყებას; მათ შორის ისეთებიცაა, დაკმაყოფილების შემდეგ კიდევ უფრო სწრაფად წარმავალი რომ გამოდგება. უპირველესად კი, იმას ვფიქრობ, - განაგრძო ლედიმ და შვილისთვის თვალი არ მოუცილებია, -

რომ თუკი აღტაცებული, მგზნებარე, პატივმოყვარე ახალგაზრდა ცოლად ირთავს

გოგონას, რომლის სახელსაც რაიმე დამლა აზის, თუმცა, ამაში გოგონა დამნაშავე

სრულებით არაა, უგულო და ცუდი ადამიანები მას და მის შვილებს ცხოვრებაში

მიღწეული წარმატების კვალდაკვალ იმით დასჯიან, რომ ამ დამლის შესახებ შეახსენებენ და დასცინებენ; ვფიქრობ, ეს ახალგაზრდა, ბუნებით როგორი კეთილშობილი და კეთილიც უნდა იყოს, ოდესმე ინანებს ახალგაზრდობაში შექმნილ ოჯახურ კავშირს, ქალი კი, რომელიც ამას მიხვდება, დაიტანჯება.

- დედა, - მოუთმენლად ჩაერია ახალგაზრდა, - ის, ვინც ასე მოიქცევა, არ არის ღირსი, მამაკაცი ერქვას და არც იმ ქალის ღირსია, რომელსაც თქვენ აღწერთ.

- ამას ახლა ფიქრობ, ჰარი, - უპასუხა დედამისმა.

- ასე ვიფიქრებ ყოველთვის! - წამოიძახა ახალგაზრდამ, - ის სულიერი ტანჯვა, რაც ბოლო ორი დღის განმავლობაში გადავიტანე, იმ ძლიერი გრძნობის დასტურია, რომლის თაობაზე კარგად იცით და ის გუშინ არ დაბადებულა, არც თავქარიანობის შედეგია. როუზს, მომხიბლავ, საყვარელ გოგონას ეკუთვნის ჩემი გული, ეკუთვნის სამუდამოდ, ისე, როგორც მამაკაცის გული შეიძლება ეკუთვნოდეს ქალს. სხვა აზრი, სხვა შეხედულება, სხვა იმედი ამ ცხოვრებაში არ გამაჩნია, ყველაფერი მას უკავშირდება; თუ თქვენ ასე შემეწინააღმდეგებით, ეს იმას ნიშნავს, რომ ხელში იღებთ ჩემს სულიერ სიმშვიდეს, ჩემს ბედნიერებას და ქარს ატანთ. დედა, იფიქრეთ ამაზე, იფიქრეთ ჩემზე, და ნუ მოეკიდებით გულგრილად იმ ბედნიერებას, რომელზედაც ასე ცოტას ფიქრობთ.

- ჰარი! - წამოიძახა მისის მეილიმ, - სწორედ იმიტომ, რომ ამდენს ვფიქრობ თბილ და მგრძნობიარე გულებზე, ძალიან მინდა მათ ჭრილობები ავაშორო... მაგრამ უკვე საკმარისად ვილაპარაკეთ ამ თემაზე, საკმარისზე მეტიც.

- გადაწყვეტილების მიღება როუზს მივანდოთ, - შეაწყვეტინა ჰარიმ, - ჩემს გზაზე არ გადამეღობებით თქვენი შეხედულებების დაცვით, ხომ ასე?

- არა, - უპასუხა მისის მეილიმ, - მაგრამ მინდოდა, იმაზე დაფიქრებულიყავი...

- ვიფიქრე! - იყო ახალგაზრდის მოუთმენელი პასუხი, - დედა, ამაზე უკვე წლების წინ ვიფიქრე. ფიქრი მაშინ დავიწყე, როგორც კი სერიოზული განსჯის უნარი ჩამომიყალიბდა. ჩემი გრძნობა არ შეცვლილა და ასეთად დარჩება. რა საჭიროა მათი მტანჯველი გადადება და შეკავება, თუ სასარგებლო შედეგს ვერაფერს მოიტანს? არა! პირველ რიგში, ვიდრე აქედან წავალ, როუზმა უნდა მომისმინოს.

- მოგისმენს, - თქვა მისის მეილიმ.

- ამას ისე ამბობთ, დედა, თითქოს დარწმუნებული ხართ, რომ გულცივად მომისმენს, - თქვა ახალგაზრდამ.

- არა, გულცივად არა, - უპასუხა მოხუცმა ლედიმ, - სრულიადაც არა.

- აბა, როგორ? - არ ეშვებოდა შვილი, - ვინმე სხვას ეკუთვნის მისი გული?

- რასაკვირველია, არა, - თქვა დედამისმა, - თუ არ ვცდები, მისი გული შენ

გეკუთვნის. მაგრამ აი, რისი თქმა მინდა, - მოხუცმა შვილი შეაჩერა, რადგან მას

რადაცის თქმა უნდოდა, - ვიდრე ყველაფერს ამ ერთ ბანქოს ქალაქზე დადექ,

ვიდრე ოცნების ფრთებით ნავარდის უფლებას მისცემ საკუთარ თავს, ჩემო საყვარელო შვილო, მინდა სულ ერთი წუთით ამაზე დაფიქრდე: რა გავლენას მოახდენს როუზის გადაწყვეტილებაზე ის, რომ მან იცის თავისი არცთუ სახარბიელო წარმომავლობის შესახებ, თანაც ჩვენი ერთგულია თავისი კეთილშობილი სულით და მუდამ მზად არის თავისი ინტერესები დათმოს, როგორც წვრილმანებში, ისე სერიოზულ საქმეში.

- ამით რისი თქმა გასურთ?

- შენ იფიქრე და პასუხს მიაგნებ, - უპასუხა მისის მეილიმ, - ახლა კი მასთან

უნდა დავბრუნდე. ღმერთმა დაგლოცოს!

- დღეს საღამოს კიდევ შევხვდებით ერთმანეთს? - შეეკითხა აღელვებული ახალგაზრდა.

- მოგვიანებით, - თქვა მისის მეილიმ, - როდესაც როუზისგან დავბრუნდები.

- ეტყვი, რომ აქ ვარ? - ჰკითხა ჰარიმ.

- რასაკვირველია, - იყო დედამისის პასუხი.

- ისიც უთხარით, როგორ ვლელავდი, როგორ ვიტანჯებოდი და როგორ მინდა

მისი ნახვა. ხომ შემისრულებთ, დედა, ამ თხოვნას?

- ჰო, - უპასუხა მოხუცმა ლედიმ, - ყველაფერს ვეტყვი.

მერე შვილს ალერსიანად ჩამოართვა ხელი და გავიდა. ვიდრე დედა-შვილი ნაჩქარევად საუბრობდა, მისტერ ლოსბერნი და ოლივერი ოთახის მეორე კუთხეში იყვნენ. ახლა კი მისტერ ლოსბერნმა ჰარი მეილის ხელი გაუწოდა და

გულთბილად მიესალმა. მერე ექიმმა ახალგაზრდა მეგობრის მრავალრიცხოვან შეკითხვაზე პასუხით ამომწურავად დაახასიათა ავადმყოფის მდგომარეობა და ეს არანაკლებ დამამშვიდებელი გამოდგა, ვიდრე ოლივერის სიტყვები, რომლებმაც ჰარის იმედი ჩაუსახა. მისტერ ჯაილზი თავს იკატუნებდა, თითქოს

ბარგის განაწილებით იყო დაკავებული, სინამდვილეში გაფაციცებით უსმენდა ექიმის საუბარს.

- ბოლო დროს რაიმე განსაკუთრებულისთვის ხომ არ გისვრიათ, ჯაილზ? - შეეკითხა მისტერ ლოსბერნი მას შემდეგ, რაც ჰარიმ გამოკითხვა დაასრულა.

- არაფრისთვის, სერ, - უპასუხა მისტერ ჯაილზმა და ყურებამდე გაწითლდა.

- დასანანია, - თქვა ექიმმა, - იმიტომ, რომ ასეთი საქმეები გეხერხებათ... ბრიტლსი როგორ არის?

- ბიჭუნა შესანიშნავად გრძნობს თავს, სერ, - თქვა მისტერ ჯაილზმა და ჩვეული შემწყნარებლური იერი დაიბრუნა, - და თავის ღრმა პატივისცემას გიდასტურებთ.

- მშვენიერია, - თქვა ექიმი, - მისტერ ჯაილზ, რომ დაგინახეთ, გამახსენდა, აქ სასწრაფოდ გამოძახებამდე ერთი დღით ადრე ქალბატონის თხოვნით თქვენთვის სასიამოვნო დავალება შევასრულე. თუ შეიძლება, აი, იქით, კუთხეში გავიდეთ.

მისტერ ჯაილზი მედიდურად, ცოტა არ იყოს, გაკვირვებული კუთხისკენ წავიდა, სადაც ეს ორი ჯენტლმენი ცოტა ხანს ჩურჩულით საუბრობდა; საუბრის დასრულების შემდეგ მისტერ ჯაილზმა მრავალჯერ დაუკრა თავი ექიმს და შემდეგ უჩვეულოდ საზეიმო ნაბიჯებით გავიდა ოთახიდან. ამ გასაუბრების თემა სასტუმრო ოთახში მყოფთათვის საიდუმლოდ დარჩა, მაგრამ მაშინვე ცნობილი გახდა სამზარეულოში, რომელსაც მყისვე მიაშურა მისტერ ჯაილზმა და კათხა ლუდი მოითხოვა, შემდეგ სახეგაბრწყინებულმა გამოაცხადა, რომ ჩაშლილი ძარცვის დღეს გამოჩენილი მამაცობისთვის დიასახლისმა ადგილობრივ შემნახველ ბანკში მის სახელზე ოცდახუთი გირვანქა სტერლინგი შეიტანა. ამის

გაგონებაზე ორივე მოსამსახურემ ხელები და თვალები ზეცისკენ ალაპყრო და ივარაუდეს, ამიერიდან მისტერ ჯაილზი გაყოყლოჩინდებაო. მაგრამ მისტერ ჯაილზმა ჟაბო გაისწორა და თქვა: „არა, არაო“, თან დასძინა, თუ მსახურები მას

მედიდურობას შეამჩნევდნენ, მათი მადლობელი იქნებოდა, თუ ამის თაობაზე მიუთითებდნენ; შემდეგ სხვა შენიშვნებიც დაამატა, რომლებიც ასევე მის თავმდაბლობაზე არანაკლებ მეტყველებდა და ეს ყველაფერი მისმა მსმენელებმა ისეთი კეთილგანწყობითა და მოწონებით მიიღეს, თანაც ისეთი ორიგინალური და მართებული გახლდათ, როგორც ჩვეულებრივ დიადი ადამიანების შენიშვნებია.

ზემო სართულზე კი საღამოს დასასრული მხიარული გამოდგა: ექიმი საუცხოო

ხასიათზე იყო და მიუხედავად იმისა, რომ ჰარი მეილი ძალზე დაღლილი და ადეღვებული იყო, მისი გულიც მოიგო ამ ღირსეული ჯენტლმენის გულითადობამ,

რაც გამოიხატებოდა მახვილსიტყვაობაში, პროფესიასთან დაკავშირებულ მოგონებებსა და უთვალავ ხუმრობაში, რომელთა მსგავსიც ოლივერს არასოდეს მოუხმენია და მთელი გულით ხარხარებდა, რაც ძალიან სიამოვნებდა ექიმსაც,

რომელიც მას არ ჩამორჩებოდა, ხოლო სიმპათიის წყალობით, ჰარისაც აიძულებდა ეცინა, თუმცა, არა მათსავით გადამდები სიცილით. უკვე გვიან იყო,

როდესაც ყველანი გამხიარულებულები და დამშვიდებულები, რამდენადაც ეს შექმნილ გარემოებას შეეფერებოდა, დასაძინებლად გაემართნენ; გადატანილი მღელვარებისა და შფოთის შემდეგ დასვენება ყველას ესაჭიროებოდა.

დილით ოლივერმა კარგ ხასიათზე გაიღვიძა და ჩვეულ საქმიანობას ისეთი იმედიითა და სიხარულით შეუდგა, როგორც უკვე მრავალი დღე იყო, დავიწყებოდა. ისევ ჩამოკიდეს გალიები, რომ ჩიტებს შეჩვეულ ადგილებზე ძველებურად ეგალობათ; ისევ შეაგროვეს სურნელოვანი მინდვრის ყვავილები, რომ მათი სილამაზით როუზის მზერა გაეხარებინათ. სევდა, როგორც მანამდე

ბიჭის ნაღვლიან მზერას ეჩვენებოდა, თითქოს ყველაფერს მშვენიერსა და

ლამაზს გადაჰფარებოდა, ახლა კი, ხელის ერთი მოსმით, გამქრალიყო – თითქოს უფრო ციმციმებდა ცვარი მწვანე ფოთოლზე; ქარი უფრო ნაზად ამრიალებდა მცენარეებს; ცა კიდევ უფრო კაშკაშა ცისფერი გამხდარიყო. ასე ახდენს ზეგავლენას ჩვენი ფიქრები საგნების გარეგნულ სახეზე. ადამიანები, რომლებიც ბუნებასა და ახლობლებს უცქერენ და ამბობენ, რომ ყველაფერი პირქუში და ბნელია, სიმართლეს ამბობენ; მაგრამ ბნელი ფერები მათი ბოლომით დაბნელებული თვალებისა და გულების ანარეკლია. სინამდვილეში, ფერების სინაზის დანახვას უფრო გამჭრიახი მზერა სჭირდება.

უადგილო არ იქნება იმის აღნიშვნა, და ეს ოლივერმაც შენიშნა, რომ დილის სეირნობისას ის მარტო აღარ იყო. იმ დღიდან, რაც ჰარი მეილი მინდვრიდან ყვავილებით შინისკენ მიმავალ ოლივერს შეხვდა, ყვავილებისადმი ისეთი სიყვარულით განიმსჭვალა და ისეთი ოსტატობით კრავდა ულამაზეს თაიგულებს, რომ ბევრად გაუსწრო თავის უმცროს თანამგზავრს. მართალია, ამ

მხრივ ოლივერი მას ჩამორჩებოდა, მაგრამ შესანიშნავად იცოდა, სად იზრდებოდა საუკეთესო ყვავილები; ყოველ დილით ორივენი ახლომახლო დაეხეტებოდნენ და შინ უმშვენიერესი თაიგულებით ბრუნდებოდნენ. ახალგაზრდა ლედის ოთახის ფანჯარა ახლა ღია იყო, რომ ზაფხულის სურნელოვან ჰაერს ოთახი გაეგრძელებინა და გამოეცოცხლებინა, ხოლო ფანჯრის

რაფაზე ყოველთვის იდგა დიდი გულისყურით შეკრული პატარა თაიგული. ოლივერმა შენიშნა, რომ დამჭკნარ ყვავილებს არასოდეს ყრიდნენ, თუმცა, რაფაზე ყოველ დილით ახალ-ახალი თაიგულები ჩნდებოდა; შენიშნა ისიც, რომ

როდესაც დილაობით ექიმი სასეირნოდ გადიოდა, დაჟინებით აკვირდებოდა ეზოს ამ კუთხეს, თავს მეტად მრავალმნიშვნელოვნად გადაიქნევდა და მერე აგრძელებდა გზას. ოლივერი ყველაფერს აკვირდებოდა; დღეები სწრაფად გადიოდა; როუზი დღითი დღე უკეთ გრძნობდა თავს.

ძნელია იმის თქმა, რომ ოლივერისთვის დრო ნელა გადიოდა. ახალგაზრდა ლედი თავისი ოთახიდან ჯერ არ გამოდიოდა და საღამოობით აღარ სეირნობდნენ, მხოლოდ ხანდახან, მისის მეილისთან ერთად. დიდი გულმოდგინებით მოჰკიდა ხელი ხანდაზმულ, ჭადარა ჯენტლმენტან გაკვეთილების მომზადებას და ისეთი სიბეჯითე გამოიჩინა, თავადაც უკვირდა სწრაფი წარმატება.

მაგრამ ერთხელ, როდესაც მეცადინეობდა, მოულოდნელმა შემთხვევამ დიდად შეაშინა და თავზარი დასცა.

პატარა ოთახი, სადაც ოლივერი ჩვეულებისამებრ წიგნებით ხელში იჯდა ხოლმე და მეცადინეობდა, ქვედა სართულზე მდებარეობდა, სახლის უკანა ნახევარში. ეს სოფლური კოტეჯის ჩვეულებრივი ოთახი იყო: გისოსებიანი ფანჯარა ეზოში გადადიოდა, ჟასმინისა და ფანჯრის რაფამდე გაზრდილი ცხრატყავას ბუჩქები ოთახს უმშვენიერესი სურნელით ავსებდა; ბადის ჭიშკარი შემოდობილ მინდორზე გადიოდა, იქიდან კი უფრო შორს – ულამაზეს მინდვრებზე და ტყეში. სახლის ამ ნაწილში სხვა ნაგებობა ახლომახლო არ იდგა, ამიტომ ხედი მშვენიერი იყო.

ერთ მშვენიერ საღამოს, როდესაც მიწას ჩრდილები დაეფინა, ოლივერი

ფანჯარასთან იჯდა წიგნებით ხელში. უკვე დიდი ხანი იყო, მეცადინეობდა; იმ

დღეს უჩვეულოდ ცხელოდა და ბიყმაც ბევრი იმეცადინა, ამიტომ ამ წიგნების ავტორებისთვის შეურაცხყოფა სრულებით არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ოლივერმა შეუმჩნევლად ჩათვლიმა.

ხანდახან თავს გვატყდება ძილი, რომელიც იმორჩილებს სხეულს, მაგრამ სულს გარემომცველი სამყაროს აღქმის უნარს არ ართმევს და საშუალებას აძლევს, იქით გასწიოს, საითაც სურს. თუ გადაულახავი სიმძიმის, ძალის დაკარგვის, აზრებსა და მოძრაობებზე კონტროლის სრულად დაკარგვას შესაძლებელია ძილი დავარქვათ, ეს ძილიც ასეთია: ყველაფერი გვესმის და ვგრძნობთ, რაც ჩვენ გარშემო ხდება, თუ ამ დროს სიცხადეში რაღაც მოვლენა

ხდება, გამოთქმული სიტყვები და გაგონილი ბგერები ძალიან ადვილად ესადაგება ჩვენს სიზმარს; ბოლოს კი, რეალური და წარმოსახული ისე უცნაურად

ერწყმის ერთმანეთს, რომ თითქმის შეუძლებელია მათი გარჩევა. თუმცა, ამ მდგომარეობის ყველაზე უცნაური ნიშანი მხოლოდ ეს არ არის. მართალია, ამგვარი ძილის დროს ჩვენი გრძნობის ორგანოები, მათ შორის – მხედველობაც,

ვერაფერს გრძნობს, მაგრამ მძინარე აზრებსა და გონებაში გაელვებულ ხილვებზე მატერიალურ გავლენას ახდენს სრულიად რეალური საგნის უსიტყვო

არსებობაც კი; ეს საგანი, როდესაც თვალებს დავხუჭავთ, შესაძლოა, სრულებით

არ იყო ჩვენს სიახლოვეს ან ცხადში მისთვის არც კი მიგვიქცევია ყურადღება.

ოლივერმა მშვენივრად იცოდა, რომ თავის პატარა ოთახში იჯდა; მის წინ, მაგიდაზე, წიგნებია გადაშლილი; სურნელოვანი ხვარა მცენარეების ფოთლებს

გარეთ ქარი აშრიალებს. და ამ ყველაფრის მიუხედავად, მას ეძინა. უცრად ხილვა შეიცვალა; ჰაერი შეიხუთა და თავზარდაცემულს თავში გაუელვა, რომ ისევ ებრაელის სახლშია. იქ, ჩვეულ კუთხეში, საზარელი მოხუცი იჯდა, მასზე

თითით უთითებდა და რაღაცას ეჩურჩულებოდა სხვა ადამიანს, რომელიც ოლივერისკენ ზურგით იჯდა.

– ჩუ, ჩემო ძვირფასო, – მოეჩვენა, თითქოს ებრაელის ხმა მოესმა, – რასაკვირველია, ის არის! წავედით.

– ის! – თითქოს უპასუხა მეორემ, – გგონიათ, სხვაში შემეშლებოდა და ვერ ვიცნობდი? მოჩვენებების მთელ ბრბოსაც კი მისი სახე რომ მიეღო, ის კი სადღაც

მდგარიყო იმ ბრბოში, მაშინაც გუმანით ვიცნობდი, რომელია. მისი სხეული მიწაში რომ დაეფლოთ, საფლავის ქვისა და წარწერის გარეშეც კი, მაინც მოვძებნიდი!

ეს ადამიანი ისეთი საზარელი სიძულვილით ლაპარაკობდა, რომ შეშინებულ ოლივერს გაელვიდა და წამოხტა.

ღმერთო! რა მოხდა ისეთი, რამაც მთელ სხეულში სისხლი გაუყინა,

დააკარგვინა ხმის ამოდებისა და მოძრაობის უნარი? იქ... იქ...
ფანჯარასთან...

ძალიან ახლოს, ისე ახლოს, სურვილის შემთხვევაში ხელითაც შეეხებოდა, ებრაელი იდგა, ოთახში იყურებოდა და მათ ერთმანეთს თვალი თვალში გაუყარეს! ხოლო მის გვერდით ბრაზით ან შიშით, ან შეიძლება ორივე ამ გრძნობის წყალობით, ბოროტი სახე გაფითრებოდა სწორედ იმ მამაკაცს, რომელსაც სასტუმროს ეზოში გადააწყდა.

ეს იყო უცარი მზერა, რომელიც სულ ერთ წამს გაგრძელდა და ერთ გაელვებას ჰგავდა; მერე გაქრნენ. მაგრამ მათ ოლივერი იცნეს, მან კი – ისინი;

მათი სახეები ისე ღრმად ჩაებეჭდა მეხსიერებაში, თითქოს ქვაზე იყო ამოტვიფრული და დღიდან დაბადებისა თვალწინ ედგა. მცირე ხანს მილურსმულივით იდგა, მერე ფანჯრიდან ეზოში გადახტა და მშველელს ყვირილით უხმო.

თავი 35 მონათხრობი ოლივერის ცუდად

დასრულებულითავგადასავლის შესახებ; ასევე ჰარი

მეილისა დაროუზის არცთუ უმნიშვნელო გასაუბრება

სახლის მკვიდრნი ყვირილზე იმ მხარეს გაიქცნენ, საიდანაც ხმა ისმოდა. გაფითრებული და შეშფოთებული ოლივერი სახლის გადაღღმა, მინდვრებზე მიუთითებდა და გაჭირვებით ლულლულდებდა: „ებრაელი! ებრაელი!“

მისტერ ჯაილზს წარმოდგენა არ ჰქონდა, რას ნიშნავდა ეს წამოძახილი, მაგრამ ჰარი მეილი, რომელიც უფრო სწრაფად აზროვნებდა და დედამისისგან ოლივერის თავგადასავალი მოსმენილი ჰქონდა, ყველაფერს მაშინვე მიხვდა.

– საით გაიქცნენ? – ჰკითხა და კუთხეში მიდებულ მძიმე ჯოხს ხელი წამოავლო.

– იქით, – ოლივერმა მიუთითა, საითაც გაიქცნენ, – სულ ერთ წამში თვალთახედვიდან დაკვარგე.

– ესე იგი, არხში არიან! – თქვა ჰარიმ, – მომყევით და შეეცადეთ, არ ჩამომრჩეთ!

ამ სიტყვებით სხლტეს

გადაახტა და მითითებული მიმართულებით ისეთი სისწრაფით გაიქცა, რომ დანარჩენებს ძალიან გაუჭირდათ, არ ჩამორჩენოდნენ.

ჯაილზი მის უკან მირბოდა და ძალას არ იშურებდა, შემდეგ ოლივერი, ორი წუთის შემდეგ სასეირნოდ გასული და შინ დაბრუნებული მისტერ ლოსბერნიც შეუერთდათ, რომელიც მესერზე გადაძვრა და ისეთი სიმკვირცხლით წამოხტა,

მისგან ნამდვილად არავინ ელოდა, მერე თავპირისმტვრევით იქით გაიქცა და თან ყურისწამლებად ღრიალებდა, უნდოდა, გაეგო, რა მოხდა.

ყველანი გარბოდნენ და სულის მოსათქმელად მანამ არ შეჩერებულან, სანამ მათმა მეთაურმა ოლივერის მითითებულ მინდვრის მონაკვეთისკენ არ გადაუხვია; აქ მან არხისა და ახლომახლო ბუჩქების გულდასმით დათვალიერება

დაიწყო და ამასობაში დანარჩენებმაც თავი მოიყარეს, ხოლო ოლივერმა მისტერ ლოსბერნის ამ გიჟური რბოლის გამომწვევი მიზეზის შესახებ უამბო.

ძიება ამოვ გამოდგა. ახალი კვალიც კი არსად ჩანდა. ახლა ყველანი პატარა გორაკის თავზე იდგნენ, საიდანაც სამ-ოთხ მილზე არსებული მინდვრები მოჩანდა. მარცხნივ, ღარტაფში, სოფელი იყო, მაგრამ იქამდე ოლივერის მითითებული გზით მისასვლელად მთელი დღია სივრცის გარშემოვლა იქნებოდა საჭირო და საეჭვოა, ასე მალე დამალვა მოეხერხებინათ. მეორე მხარეს მინდორს უღრანი ტყე ესაზღვრებოდა, მაგრამ იქამდე შეუძენველად მიღწევა ასევე შეუძლებელი იყო.

- ოლივერ, ეს ყველაფერი ხომ არ დაგესიზმრა? - თქვა ჰარი მეილიმ.

- ოჰ, არა, სერ, პირიქით! - წამოიძახა ოლივერმა, რომელსაც ბებერი ავაზაკის სახის გახსენებაზე შეაჟრჟოლა, - ძალიან ნათლად ვხედავდი! ორივე ისე აშკარად ჩანდა, როგორც ახლა თქვენ გიყურებთ.

- ის მეორე ვინ იყო? - ერთხმად იკითხეს ჰარიმ და მისტერ ლოსბერნმა.

- სწორედ ის, ვის შესახებაც უკვე მოგიყევით. სასტუმროსთან თავს რომ დამესხა, - უპასუხა ოლივერმა, - მხოლოდ ჩვენი მზერა შეხვდა ერთმანეთს, მაგრამ შემიძლია დავიფიცო, სწორედ ის იყო.

- და ამ მხარეს გამოიქცნენ? - შეეკითხა ჰარი, - დარწმუნებული ხარ?

- ისევე, როგორც იმაში, რომ ფანჯარასთან იდგნენ, - უპასუხა ოლივერმა და იმ მესერზე მიუთითა, რომელიც კოტეჯის ბაღს მინდვრისგან ყოფდა, - ტანმალაღი მამაკაცი აი, აქ გადახტა, ებრაელი კიდევ აი, იქ რომ ნახვრეტია, იმაში გაძვრა.

ვიდრე ოლივერი ლაპარაკობდა, ორივე ჯენტლმენი მის აღელვებულ სახეს ყურადღებით აცქერდებოდა, მერე ერთმანეთს გადახედეს, როგორც ჩანს, დარწმუნდნენ, რომ ბიჭი მართლაც ამბობდა. ამის მიუხედავად, ვერსად წააწყდნენ იმ ადამიანების კვალს, რომლებმაც ადგილი ნაჩქარევად დატოვეს. მალაღი ბალახი იყო, მაგრამ მხოლოდ იმ ადგილებში გათელილი, სადაც თავად გაიარეს. არხის ნაპირებს სველი თიხა გასდევდა, მაგრამ მასზე ვერ შენიშნეს მამაკაცის ფეხსაცმლის ან თუნდაც რაიმე სხვა კვალი, რაც მიანიშნებდა, რომ სულ რამდენიმე საათის წინ იქ ვიღაცამ გაიარა.

- გასაოცარია! - თქვა ჰარიმ.

- გასაოცარია! - ექოსავით გაიმეორა ექიმმა, - ბლეთერსი და დაფიც კი ვერაფერს გახდებოდნენ.

შემდგომი ძიება აშკარად არაფრის მომტანი იქნებოდა, მაგრამ დაზნელებამდე არ შეუწყვეტიათ და მაშინაც უხალისოდ გასწიეს შინისკენ. ჯაილზი სოფლის დუქნების დასათვალიერებლად გაგზავნეს, თან ოლივერის მონაყოლის საფუძველზე ზუსტად აღუწერეს მოსამებნი ადამიანების გარეგნობა და სამოსი. ებრაელი იმდენად თვალში საცემი იყო, რომ მას აუცილებლად

დაიმახსოვრებდნენ, სადმე ყელის გასასველებლად რომ შეეველო ან ახლომახლო ებოდილა; ჯაილზი ისე დაბრუნდა, რაიმე ამბავი, რაც მომხდარის გარკვევაში დაეხმარებოდა, ვერ მოიტანა.

მეორე დღეს ძებნა და ცნობების შეკრება განაახლეს, მაგრამ ამაოდ. მესამე დღეს ოლივერი და მისტერ მეილი იმ პატარა ქალაქში ჩავიდნენ, სადაც ბაზარი იყო, იმ იმედით, რომ ამ ადამიანებზე რაიმეს გაიგებდნენ; მაგრამ ეს მცდელობაც უშედეგოდ დასრულდა. რამდენიმე დღეში მომხდარი დავიწყებას მიეცა, ისე, როგორც ავიწყდებათ ყველა მოვლენა, როდესაც ცნობისმოყვარეობა სათანადო საზრდოთი ვერ კმაყოფილდება და თავისთავად მინავლდება.

ამასობაში როუზი გამოჯანმრთელდა. უკვე ოთახებში დადიოდა, ბაღში გასვლაც დაიწყო და ყველას გულის გასახარად, ოჯახის ცხოვრებაშიც ჩაერთო.

ამ ბედნიერმა გარდატეხამ დიდი გავლენა იქონია ადამიანების პატარა წრეზე და კოტეჯში ისევ გაისმა უდარდელი ხმები და მხიარული სიცილი, თუმცა, უჩვეულო დამაბულობა მაინც იგრძნობოდა და ეს უპირველესად როუზს ეტყობოდა – ოლივერი ამას კარგად ხვდებოდა. მისის მეილი ვაჟთან ერთად ხშირად და დიდი ხნით განმარტოვდებოდა ხოლმე, როუზი კი ტირილისგან თვალეზღვრებულს დადიოდა. როდესაც მისტერ ლოსბერნიმ ჩერტსიში თავისი გამგზავრების თარიღი გამოაცხადა, ეს ნიშნები კიდევ უფრო თვალში საცემი გახდა და ნათელი იყო, რადაც ისეთი ხდებოდა, რაც სიმშვიდეს ურღვევდა ახალგაზრდა ლედისა და კიდევ ვიდაცას.

ბოლოს, ერთ დილით, როდესაც როუზი მარტო იჯდა პატარა მისაღებ ოთახში, ჰარი მეილი შევიდა და მორიდებით ითხოვა სულ რამდენიმე წუთით მასთან საუბარი.

– ძალიან, ძალიან ცოტა ხანი დამითმეთ, დიდხანს არ დაგაყოვნებთ, როაზ,

– თქვა ახალგაზრდამ და მისკენ სკამი მისწია, – ის, რაც უნდა გითხრათ, უკვე ხვდებით... ჩემი სანუკვარი ოცნება თქვენთვის ცნობილია, თუმცა, ჩემგან არ მოგისმენიათ.

როუზი მისი ოთახში შესვლისთანავე გაფითრდა, თუმცა, შეიძლება ამის მიზეზი ახლახან გადატანილი ავადმყოფობაც იყო. იქვე ახლოს ყვავილებზე დახარა თავი და ხმის ამოუღებლად ელოდებოდა საუბრის გაგრძელებას.

– მე... აქედან ცოტა ადრე უნდა წავიდე, – თქვა ჰარიმ.

– დიახ, უნდა წახვიდეთ, – გაისმა როუზის ხმა, – მაპატიეთ ეს სიტყვები, მაგრამ ვისურვებდი, წასულიყავით.

– აქ მომიყვანა საზარელმა და მტანჯველმა წინათგრძნობამ, – განაგრძობდა ახალგაზრდა, – ერთადერთი ძვირფასი არსების დაკარგვის შიშმა, იმ არსების, რომელსაც ჩემი ყველა იმედი და ნუგეში უკავშირდება. სიკვდილის პირას

იყავით; ცასა და დედამიწას შორის. კარგად ვიცით, როდესაც კეთილ, მშვენიერ ახალგაზრდებს დაავადება ხელს დარევს, მათი სულები უნებლიეთ მიისწრაფვიან მარადიული სიმშვიდის ნათელი სამყოფლისკენ... ვიცით, - დაე, ღმერთი იყოს ჩვენი შემწე! - რომ ჩვენგან საუკეთესონი და უმშვენიერესნი გაფურჩქნის ხანაში გვტოვებენ.

ამ სიტყვებზე სათნო გოგონას თვალებზე ცრემლები მოადგა. მისი ერთი ცრემლი ყვავილს დაეცა, მის ბუტკოში მოხვდა და ყვავილი კიდევ უფრო გალამაზდა, გეგონებოდა, მისი უმანკო, ყმაწვილი გულის სათქმელი ბუნების სწორუპოვარი ქმნილების სადარიაო.

- ანგელოზივით მშვენიერი და უმანკო არსება, - გულმხურვალედ აგრძელებდა ახალგაზრდა, - სიცოცხლესა და სიკვდილს შორის იყო. ოჰ, ვის შეეძლო იმის იმედი ჰქონოდა, რომ იმ მშვენიერი და შორეული, მისთვის მშობლიური სამყაროს სულ მცირე ხნით ხილვის შემდეგ ის ამქვეყნიურ წუხილსა და სატანჯველს დაუბრუნდებოდა! როუზ, როაზ, იმის ყურება, ციდან მიწაზე არეკლილი ნაზი ჩრდილის მსგავსად, როგორ ქრებოდით თვალსა და ხელს შუა; იმ იმედზე უარის თქმა, რომ იარსებებთ იმათთვის, ვისაც ამქვეყნად წვალება უწერია - ისიც კი არ ვიცით, რატომ უნდა იარსებოთ მათთვის, - იმის შეგნება, რომ თქვენ იმ ნათელ სამყაროს ეკუთვნით, საითაც არაერთი მშვენიერი, კეთილი არსება გაფრინდა, და ყველა ამ მანუგეშებელი აზრის მიუხედავად, მხურვალე ლოცვა, რომ დაბრუნდებით მათ, ვისაც უყვარხართ, ამ ტანჯვის გადატანა თითქმის შეუძლებელი იყო. ასე ვიტანჯებოდი დღისითაც და ღამითაც. გარდა ამისა, თავს დამატყდა შიში, შეშფოთება, საკუთარი თავის შებრალების სურვილი, რომ შესაძლოა, ისე მოკვდეთ, ვერც კი გაიგოთ, როგორ მიყვარდით; ამ ყველაფერს შეეძლო თან წაეღო ჩემი ჭკუა და გონება. თქვენ გამოჯანმრთელდით. ყოველდღე, ყოველ საათს ჯანმრთელობა წვეთ-წვეთად უბრუნდებოდა თქვენს სხეულს, უერთდებოდა მასში მინავლებულ სიცოცხლის სუსტ ნაკადულს, რათა ძალა და სიმტკიცე მიენიჭებინა. ყოვლისმომცველი სიყვარულით დაბრმავებული თვალებით ვუცქერდი, სიკვდილის ზღურბლიდან როგორ დაუბრუნდით სიცოცხლეს. ნუ მეტყვით, რომ გინდათ, იმედი დამაკარგვინოთ, რადგან ახლა, რაკი მიყვარს, მოყვასი უფრო ახლობელი გახდა ჩემთვის.

- ამის თქმა არ მინდოდა, - უპასუხა თვალცრემლიანმა როუზმა, - მხოლოდ ის მინდა, რომ აქედან წახვიდეთ და ისეთი კეთილშობილური, ამაღლებული მიზნები აისრულოთ, რომელთა ღირსიც ხართ.

- ჩემთვის იმაზე ღირსეული მიზანი, ყველაზე ღირსეული ადამიანისთვის

შესაფერისი მიზანი არ არსებობს, ვიდრე ისეთი გულის დაპყრობა, როგორც თქვენია, - თქვა ახალგაზრდამ და როუზის ხელი აიღო, - როუზ, ჩემო საყვარელო, ჩემო ძვირფასო როუზ! უკვე მრავალი, მრავალი წელია, რაც მიყვარდით, ვიმედოვნებდი დიდების მოხვეყას, შემდეგ ამაყად შინ დაბრუნებას, რომ დიდება თქვენთვის გამეზიარებინა... ცხადად ვხედავდი ზმანებას, სწორედ იმ ბედნიერ წუთს, როგორ შეგახსენებდით ყმაწვილური სიყვარულის მრავალ უსიტყვო ნიშანს და დიდი ხნის წინ ჩვენ შორის დადებულ

უტყვ შეთანხმებას აღვასრულებდი. მაგრამ ასე არ მოხდა. ახლა, როდესაც არავითარი დიდება არ მომიპოვებია, ვერც ერთი ყმაწვილური ოცნება ვერ ავისრულე, ჩემს გულს გთავაზობთ, რომელიც ისედაც თქვენ გეკუთვნით დიდი

ხანია და ჩემი ბედი იმ სიტყვებზეა დამოკიდებული, როგორითაც ამ სიტყვებს შეხვდებით.

- ყოველთვის ალერსიანი და კეთილშობილი იყავით, - მღელვარების დაფარვა სცადა როუზმა, - ვიცი, რომ უმადურ და უგრძნობელ არსებად არ მთვლით, ამიტომ ჩემი პასუხი მოისმინეთ.

- მეტყვით, რომ თქვენს თავს ვიმსახურებ, ხომ ასეა, ძვირფასო როუზ?
- გიპასუხებთ, - თქვა როუზმა, - რომ ჩემი დავიწყება უნდა სცადოთ: არა, არა

თქვენი ერთგული მეგობრის - ეს ჩემთვისაც მძიმე იქნება, - არამედ იმის, ვინც

გიყვართ. კარგად მიმოიხედეთ; იმაზე დაფიქრდით, ამქვეყნად რამდენი გულია,

რომელთა დაპყრობა თქვენთვის საამაყო იქნება. თუ გნებავთ, მე გამანდეთ თქვენი პირველი სიყვარულის ვინაობა... თქვენი ყველაზე ერთგული, მოყვარული

მეგობარი ვიქნები.

სიჩუმე ჩამოვარდა, როუზმა სახეზე ხელი მიიფარა და ატირდა. ჰარი მის მეორე ხელს არ უშვებდა.

- როუზ, რა არის თქვენი ამგვარი გადაწყვეტილების მიზეზი? - ჰკითხა შემდეგ ხმადაბლა.

- ამის ცოდნის სრული უფლება გაქვთ, - უპასუხა როუზმა, - და თქვენს სიტყვებს არაფრის შეცვლა არ ძალუძს. ეს მოვალეობაა, რომელიც უნდა შევასრულო. ვალდებული ვარ სხვებისა და საკუთარი თავის წინაშეც.

- საკუთარი თავის წინაშეც?

- ჰო, ჰარი. საკუთარი თავის წინაშეც: უმეგობროდ დარჩენილი, არაფრისმქონე, შებღალული სახელით, თქვენს მეგობრებს საბაბს არ უნდა ვაძლევდე, იფიქრონ, თითქოს ვისარგებლე თქვენი პირველი სიყვარულით და ამით ხელი შევუშალე თქვენი იმედისა და გეგმების განხორციელებას. თქვენი და

თქვენი ახლობლების გამო ვალდებული ვარ, ხელი შევუშალო იმ დაბრკოლების

აღმართვას, რომელიც თქვენთვის დამახასიათებელი დიდსულოვნების გამო ცხოვრებისეულ წარმატებას დაბრკოლებას უქმნის...

- თუ თქვენი გრძნობებიც მოვალეობის შეგნებას ემთხვევა... - წამოიწყო ჰარიმ.

- არა, არ ემთხვევა... - გაწითლდა და უპასუხა როუზმა.

- ესე იგი, ჩემს სიყვარულს პასუხობთ? - შეეკითხა ჰარი, - მხოლოდ ეს მითხარით, ძვირფასო როუზ, მხოლოდ ეს; ოდნავ მაინც შემიმსუბუქეთ ასეთი მძიმე იმედგაცრუების სიმწარე!

- რომ შემძლებოდა, ბოროტება არ მომეტანა იმისთვის, ვინ მიყვარს, - თქვა როუზმა, - მაშინ...

- სიყვარულში გამოტყდომას მაშინ სულ სხვაგვარად შეხვდებოდით? - შეეკითხა ჰარი, - ამას მაინც ნუ დამიმალავთ, როუზ.

- დიახ, - თქვა როუზმა, - საკმარისია! - დაამატა და ხელი გაითავისუფლა, - რა

საჭიროა ამ მტანჯველი საუბრის გაგრძელება? ჩემთვის ძალიან მტანჯველის, მაგრამ ამის მიუხედავად, ხანგრძლივ ბედნიერებას მპირდება, რადგან ბედნიერებაა იმის შეგნება, რომ თქვენი სიყვარულით ასეთ სიმაღლეზე ამიყვანეთ, და თქვენი ყოველი წარმატება ცხოვრებისეულ ასპარეზზე ძალასა და

სიმტკიცეს მომანიჭებს. მშვიდობით, ჰარი! ისე, როგორც დღეს შევხვდით ერთმანეთს, სხვა დროს ვედარასოდეს შევხვდებით, და მართალია, ჩვენი ურთიერთობა ვერასოდეს იქნება ისეთი, როგორც შეიძლებოდა ამ საუბარს მოჰყოლოდა, ერთმანეთთან მჭიდრო და სამუდამო კავშირი გვექნება. დაე, ერთგული და მხურვალე გულიდან, სიმართლის წყაროდან წამოსულმა დალოცვამ სიხარული და კეთილდღეობა მოგიტანოთ!

- კიდევ ერთი სიტყვა, როაზ, - თქვა ჰარიმ, - თქვენს სიტყვებში მათი წარმოთქმის მიზეზია. თავად მითხარით ის.

- ბრწყინვალე მომავალი გაქვთ, - მტკიცედ მიუგო როუზმა, - ის პატივი გელოდებათ, რასაც ნიჭისა და გავლენიანი ნათესავების დახმარებით საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიაღწევთ. მაგრამ ეს ნათესავები ამაყნი არიან, არ

მინდა, შევხვდე იმათ, ვინც ზიზღით გაიხსენებს დედაჩემს, რომელმაც სიცოცხლე მიბოძა და არ მინდა შევარცხვინო იმ ქალის ვაჟი, რომელმაც თავისი

სიკეთით დედა შემიცვალა. ერთი სიტყვით, - გოგონას სიმტკიცემ უღალატა და

შებრუნდა, - ჩემი სახელი დალდასმულია და ადამიანები ამ დაღს უღანაშაულოზეც გადაიტანენ. დაე, მხოლოდ მე გამკიცხონ, მარტო დავიტანჯები.

- კიდევ ერთი სიტყვა, როუზ, ძვირფასო როუზ, მხოლოდ ერთი! - წამოიძახა

ჰარიმ და მის წინ მუხლებზე დაეშვა, - მე რომ ასეთი... ასეთი, როგორც იტყვიან,

იღბლიანი არ ვყოფილიყავი, ცხოვრება მშვიდად და შეუმჩნეველად რომ გამეტარებინა, ღარიბი, ავადმყოფი, უმწეო რომ ვყოფილიყავი, მაშინაც ზურგს

შემაქცევდით? თუ ამ ეყვს ის იწვევს, რომ შესაძლოა მდიდარი და ცნობილი გავხდე?

- პასუხის გაცემას ნუ მაიძულებთ, - თქვა როუზმა, - ეს კითხვა არასოდეს წამოჭრილა და არც წამოიყრება. ცუდია, თითქმის სისასტიკეა მასზე პასუხის გაცემის იძულება.

- თუ თქვენი პასუხი ისეთი იქნება, რისი იმედიც მაქვს, - არ დაეთანხმა ჰარი,

- ის ნათელს მოჰფენს ჩემს სავალ გზას და წინ მდებარე ბილიკს გამინათებს. რამდენიმე სიტყვის წარმოთქმა და სინამდვილეში იმისთვის, ვისაც ამქვეყნად ყველაზე მეტად უყვარხართ, ამდენი რამის მიცემა სრულებით არ არის ფუი. ოჰ,

როაზ, ჩემი მგზნებარე და მტკიცე სიყვარულის სახელით, იმის სახელით, რაც

თქვენ გამო გადავიტანე და იმის გამო, რისთვისაც გამწირეთ, მხოლოდ ამ ერთ

შეკითხვაზე მიპასუხეთ!

- თქვენი ბედი რომ სხვაგვარად წარმართულიყო, - თქვა როუზმა, - და თითქმის ისეთივე მდგომარეობა გქონოდათ საზოგადოებაში, როგორც მე; რომ

შემძლებოდა თქვენი დამხმარე და ნუგეში ვყოფილიყავი სადმე წყნარ, განმარტოებულ ადგილზე და არა დაბრკოლება და სირცხვილი სახელოვანი, პატივმოყვარე ადამიანების წრეში, მაშინ უფრო გამიადვილდებოდა გადაწყვეტილების მიღება. ახლაც ყველა საფუძველი მაქვს, ბედნიერი, ძალიან ბედნიერი ვიყო, მაგრამ, ჰარი, გამოგიტყდებით, მაშინ უფრო ბედნიერი ვიქნებოდი.

როდესაც როუზი ამ სიტყვებს ამბობდა, გონებაში წამოუტივტივდა დიდი ხნის წინანდელი იმედი, როდესაც ჯერ კიდევ პატარა გოგონა იყო, და ცრემლები მოადგა, რასაც ყოველთვის იწვევს უკვე გაქარწყლებული იმედის გახსენება. ცრემლებმა შვება მოჰგვარა.

- ამ სისუსტის დაძლევას ვერ ვახერხებ, მაგრამ ის უფრო განამტკიცებს ჩემს გადაწყვეტილებას, - თქვა როუზმა და ხელი გაუწოდა, - ახლა კი ერთმანეთს უნდა დავშორდეთ.

- მხოლოდ ერთ რამეს დამპირდით, - თქვა ჰარიმ, - ერთხელ, მხოლოდ ერთხელ, - დავუშვათ, ერთი წლის შემდეგ, ან უფრო ადრეც, ნებას მომცემთ

კიდევ ვისაუბრო ამ თემაზე... ვისაუბრო უკანასკნელად.

- მაგრამ არ მაიძულებთ, ჩემი გადაწყვეტილება შევცვალო, - ნაღვლიანი ღიმილით უპასუხა როუზმა, - ეს უსარგებლო იქნება.

- თანახმა ვარ, - უპასუხა ჰარიმ, - მხოლოდ იმას მოვისმენ, როგორ იმეორებთ

მას, თუ გნებავთ - უკანასკნელად! თქვენს ფეხთით იქნება ჩემი ყველა წოდება,

მთელი სიმდიდრე, ყველაფერი, რასაც მივაღწევ, და თუ თქვენი გადაწყვეტილება უდრეკი დარჩა, არც სიტყვით, არც საქმით არ გაიძულებთ, გადათქვათ.

- დაე, ასე იყოს, - უპასუხა როუზმა, - ეს მხოლოდ ახალ ტკივილს მომიტანს, მაგრამ, ალბათ, იმ დროისთვის უკვე შემეძლება მასთან გამკლავება.

როუზმა ისევ ხელი გაუწოდა, მაგრამ ახალგაზრდამ როუზი გულში ჩაიკრა, კრიალა შუბლზე აკოცა და სწრაფად გავიდა ოთახიდან. თავი 36 თითქოს სრულიად უმნიშვნელო თავია, მაგრამ ის აგრძელებს წინაში შეწყვეტილთხრობას და მომდევნო თავის გასაღებია

- მაშ, ამ დილით ჩემთან ერთად გამგზავრება გადაწყვიტეთ? - ჰკითხა ექიმმა ჰარი მეილის, როდესაც ის ოლივერთან ერთად სასაუზმოდ მაგიდას მიუჯდა, - აზრი და გუნება-განწყობა ყოველ ნახევარ საათში გეცვლებათ!

- დრო მოვა და სრულიად სხვა რამეს მეტყვით, - უპასუხა ჰარიმ და უმიზეზოდ გაწითლდა.

- იმედია, ამისათვის სათანადო მიზეზი მექნება, - უთხრა მისტერ ლოსბერნიმ, - თუმცა, უნდა გამოვტყდე, არა მგონია, ასე მოხდეს. სწორედ გუშინ იყო, ნაჩქარევად რომ მიიღეთ გადაწყვეტილება, როგორც სანიმუშო ვაჟიშვილი, დედათქვენს გაჰყოლოდით ზღვის სანაპიროზე მოგზაურობაში; ნამუადღევიც არ დამდგარიყო და აცხადებდით, რომ პატევს დამდებდით და ჩემთან ერთად ლონდონში წამოხვიდოდით. სადამოს კი მარწმუნებდით, დილით იქამდე გავმგზავრებულყავით, ვიდრე ქალბატონები გაიღვიძებდნენ. ამ ყველაფრის შედეგი კი ის არის, რომ ყმაწვილი ოლივერი იძულებულია, ახლა საუზმის მაგიდასთან იჯდეს, იმის ნაცვლად, რომ მინდვრებში დარბოდეს ლამაზი ყვავილების მოსაძებნად... ცუდია ხომ, ოლივერ?

- ძალიან მეწყინებოდა, სერ, თუ თქვენი და მისტერ მეილის გამგზავრების დროისთვის შინ არ ვიქნებოდი, - არ დაეთანხმა ოლივერი.

- კარგი ბიჭი ხარ, - თქვა ექიმმა, - როცა ქალაქში დაბრუნდები, სანახავად შემომიარე. მაგრამ, ჰარი, მოდი, სერიოზულად ვილაპარაკოთ, რაიმე შეტყობინება მიიღეთ მნიშვნელოვანი პირებისგან?

- მნიშვნელოვანი პირებისგან, რომელთა რიცხვს, როგორც ვხვდები, ბიძაჩემს მიაკუთვნებთ, არავითარი შეტყობინება არ მიმიღია მას შემდეგ, რაც აქა ვარ და წელიწადის ამ დროს არც მგონია, ისეთი რამ მომხდარიყო, რომ ადგილზე ჩემი ყოფნა აუცილებელი გახდეს.

- ჰმ, - თქვა ექიმმა, - ძალიან უცნაური ახალგაზრდა ხართ.

რასაკვირველია,

წინასაშობაო არჩევნებით პარლამენტში მოხვდებით, ხოლო ამგვარი უეცარი აზრის შეცვლა და მერყეობა საუცხოო მომზადებას წარმოადგენს პოლიტიკოსის კარიერისთვის. ნამდვილად არის ამაში რაღაც საყურადღებო. მუდამ სასურველია კარგი ვარჯიში, არა აქვს მნიშვნელობა, რბოლა

თანამდებობისთვისაა, თასისთვის თუ დოღში გამარჯვებისთვის.

ჰარი მეილიმ ექიმს ისე შეხედა, თითქოს ამ დიალოგის გაგრძელება ერთი-ორი შენიშვნით ისე შეეძლო, რომ ექიმი ფრიად გაკვირვებული დარჩებოდა, მაგრამ დაკმაყოფილდა რეპლიკით „ვნახოთ“ და ამ თემაზე მეტად

აღარ უსაუბრიათ. მალე ჰიშვართან საფოსტო კარეტა გაჩერდა და როდესაც ჯაილზი ბარგის ჩასალაგებლად ოთახში შემოვიდა, აფუსფუსებული ექიმი მაშინვე გარეთ გავიდა, რათა ეყურებინა, ბარგს როგორ ჩაალაგებდნენ.

- ოლივერ, - ხმადაბლა თქვა ჰარი მეილიმ, - რაღაც მინდა გითხრა.

ოლივერი ფანჯარასთან არსებულ ნიშაში შევიდა, სადაც ის ხელის დაქნევით მიიწვია მისტერ მეილიმ; ძალიან გაკვირვებული დარჩა, რადგან ახალგაზრდა ჯენტლმენი მოწყენილიც ჩანდა და თან რაღაცნაირად, აღფრთოვანებულიც.

- წერა ახლა უკვე ხომ კარგად იცი? - შეეკითხა ჰარი და ხელი მხარზე დაადო.

- ვიმედოვნებ, რომ ასეა, სერ, - უპასუხა ოლივერმა.

- შეიძლება შინ მალე დაბრუნება ვერ მოვახერხო... ძალიან მინდა მომწერო ხოლმე, ვთქვათ, ორ კვირაში ერთხელ, ორშაბათობით, ლონდონის მთავარ საფოსტო განყოფილებაში. შეგიძლია?

- ოჰ, რასაკვირველია, სერ, ჩემთვის ეს დიდი პატივია, - წამოიძახა ამგვარი დავალებით აღფრთოვანებულმა ოლივერმა.

- ძალიან მინდა ვიცოდე, როგორ... როგორ იქნებიან დედაჩემი და მის მეილი,

- განაგრძო ახალგაზრდა ჯენტლმენმა, - შეგიძლია მთელი გვერდი გაავსო ნაწერით და აღწერო, როგორ სეირნობთ, რას ამბობს და როგორი... მინდოდა, მეთქვა, ამბობენ... და ბედნიერები და ჯანმრთელები თუ არიან. გამიგე?

- ოჰ, დიახ, სერ, რა თქმა უნდა, - უპასუხა ოლივერმა.

- არ მინდა, ეს მათ უთხრა, - სწრაფად თქვა ჰარიმ, - იმიტომ, რომ დედაჩემი

უფრო ხშირად დაიწყებს წერილების მოწერას, ეს კი მისთვის დამღლელია და საზრუნავსაც უჩენს. დაე, ეს ჩვენი საიდუმლო იყოს. და გახსოვდეს, ყველაფერი მომწერე! შენი იმედი მაქვს.

ოლივერმა, რომელიც აღაფრთოვანა საკუთარი მნიშვნელობის შეგნებამ, მისტერ მეილის პირობა მისცა, რომ საიდუმლოს არ გაამხელდა და წერილებში

ყველაფერს ზუსტად აღუწერდა. მისტერ მეილი გამოემშვიდობა და მფარველობა და დაცვა აღუთქვა.

ექიმი კარეტაში იჯდა; ჯაილზი (რომელიც, შეთანხმების თანახმად, კოტეჯში რჩებოდა) კარეტის გამოღებულ კარს ხელით იჭერდა; მოსამსახურეები ბაღში შეიკრიბნენ და იქიდან უყურებდნენ. ჰარიმ მზერა ესროლა წვრილგისოსიან

ფანჯარას და კარეტის საფეხურზე შეხტა.

- გააჭენე! - იყვირა მან, - სწრაფად, მარდად, ჭენებით! დღეს მხოლოდ ჭენებით გაფრენა მომგვრის შვებას.

- ეი, თქვენ! - დაიყვირა ექიმმა, რომელმაც წინა ფანჯრის მინა ჩამოუშვა და ფორეიტონს გასძახა, - სრულებით არ მომწონს ფრენა, გესმით?

კარეტა გზაზე ხრიგინითა და ჭრიალით მიდიოდა, ბოლოს მანძილმა ეს ხმები ჩაახშო და მხოლოდ თვალი ხედავდა მიმავალს, რომელსაც ხან თითქმის ფარავდა მტვრის ღრუბელი, ხანაც ისევ გამოჩნდებოდა გზად შემხვედრი საგნებისა თუ მიხვეულ-მოხვეული გზის წყალობით. გამცილებლები მხოლოდ მას

შემდეგ დაიშალნენ, როდესაც მტვრის ღრუბლის გარჩევაც შეუძლებელი გახდა.

ერთი გამცილებელი კი დიდხანს არ აცილებდა თვალს გზას, სადაც კარეტა მიდიოდა, მას უკვე მრავალი მილი ჰქონდა გავლილი: ფანჯარასთან, თეთრი ფარდის უკან, რომელიც ჰარი მეილის მხერისგან იფარავდა, როუზი იჯდა.

- თითქოს მხიარული და ბედნიერი იყო, - თქვა ბოლოს გოგონამ, - ერთხანს ვშიშობდი, რომ სხვანაირი იქნებოდა, მაგრამ შევცდი. ძალიან, ძალიან მიხარია.

ცრემლები შეიძლება სიხარულისაც მოწმობდეს და მწუხარებასაც, მაგრამ როუზის სახეს რომ ასველებდა, ის ცრემლები უფრო მის მწუხარებაზე მიგვანიშნებდა, ვიდრე სიხარულზე.

თავი 37 მასში მკითხველი იმ დაპირისპირებისშესახებ

წაიკითხავს, რომელიც ცოლქმრულცხოვრებას

ახასიათებს

მისტერ ბამბლი შრომის სახლის მისაღებში ბუხართან იჯდა და ბუხრის უღიმღამო გისოსს მისჩერებოდა, საიდანაც, რაკი ზაფხული იდგა, ცეცხლის მხიარული ენები არ ანათებდა და მის ცივ, ლაპლაპა ზედაპირზე მხოლოდ მზის

მკრთალი სხივები ირეკლებოდა. ჭერიდან ეშვებოდა ბუხების ქაღალდის საკლავი, რომელსაც ჩაფიქრებული ხანდახან თვალს შეავლებდა და უყურებდა,

ჭრელ ბადეში როგორ ფუსფუსებდნენ გაუფრთხილებელი მწერები. მისტერ ბამბლმა ღრმად ამოიოხრა და სახეზე კიდევ უფრო პირქუში ჩრდილი დაეფინა.

მისტერ ბამბლი ფიქრობდა; შესაძლოა, ბუხები საკუთარ ცხოვრებაში მომხდარ რომელიმე სამწუხარო მოვლენას შეახსენებდნენ.

მისტერ ბამბლის უხასიათობა არ გახლდათ ერთადერთი მიზეზი, რაც მასზე დამკვირვებელში მელანქოლიას აღძრავდა. კიდევ სხვა მრავალი, ამ პიროვნებასთან მჭიდროდ დაკავშირებული ნიშანი მოწმობდა, რომ მისტერ ბამბლის საქმეებში მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა. მოსირმული წამოსასხამი და სამკუთხა ქუდი; სად გაქრა ისინი? ისევ მოკლე შარვალსა და ბამბის შავ წინდებს ატარებდა, მაგრამ ეს სულ სხვა შარვალი გახლდათ. ისევ ფართოკალთიანი, ძველი წამოსასხამის მსგავსი სერთუკი ეცვა, მაგრამ როგორ განსხვავდებოდა! დიდებული სამკუთხა ქუდი სადა მრგვალმა თავსაბურავმა ჩაანაცვლა. მისტერ ბამბლი სამრევლოს ბიძლი აღარ იყო.

არსებობს თანამდებობები, რომლებიც მათთან დაკავშირებული არსებითი სიკეთეების გარდა, განსაკუთრებულ ღირებულებასა და წონას იძენენ სერთუკებისა და ჟილეტებისთვის მინიჭებული მნიშვნელობის გამო.

ფელდმარშლისთვის ეს მუნდირია, ეპისკოპოსი აბრეშუმის შესამოსელს ატარებს,

ადვოკატი - აბრეშუმის მანტიას, ხოლო სამრევლოს ბიდლი - სამკუთხა ქუდს.

წართვით ეპისკოპოსს მისი შესამოსელი ან სამრევლოს ბიდლს სამკუთხა ქუდი

და სირმები; ვინ არიან ისინი? ადამიანები. რიგითი ადამიანები. ზოგჯერ სერთუკსა და ჟილეტზე იმაზე მეტად არის დამოკიდებული ღირსება და ღვთისმოსაობა, ვიდრე წარმოუდგენია ზოგიერთს.

მისტერ ბამბლი მისის კორნიზე დაქორწინდა და შრომის სახლის

ზედამხედველი გახდა. სამრევლოს ბიდლი სხვა პიროვნება გახდა და მას გადაულოცეს სამკუთხა ქუდი, სირმებით გაწყობილი მოსასხამიც და კვერთხიც.

- ხვალ ორი თვე გახდება, რაც ეს მოხდა! - ამოიოხრა მისტერ ბამბლმა, - მე კი

მგონია, საუკუნეები გავიდა.

შესაძლოა, მისტერ ბამბლს სურდა ეთქვა, რომ ამ ხანმოკლე, რვაკვირიან მონაკვეთში იყო მთელი მისი ცხოვრების ბედნიერება კონცენტრირებული, მაგრამ ოხვრა - ოხვრა ძალიან მნიშვნელოვანი ნიშანია.

- გავიციდე, - თქვა მისტერ ბამბლმა და დაწყებული აზრი განაგრძო, - გავიციდე ათიოდე ჩაის კოვზზე, შაქრის ასაღებზე, სარძევეზე, ცოტაოდენ ნახმარ

ავეჯზე და ოც გირვანქა სტერლინგ ნაღდ ფულზე. ფასი დამაკლდა. ძალიან, ძალიან იაფად გავიციდე!

- იაფად! - ყურში ჩაესმა გამეივანი ხმა, - რამდენიც უნდა გადავიხადო შენტვის, მაინც გეცოტავება; არადა, ღმერთმა იცის, რამდენი გადავიხადე!

მისტერ ბამბლი შებრუნდა და თავისი მშვენიერი მეუღლე დაინახა, თუმცა, არ

იცოდა, მისი წარმოთქმული საჩივრიდან რომელი სიტყვები გაიგონა მან, მაგრამ

მაინც მისცა თავს შემდეგი წამოძახილის უფლება:

- მისის ბამბლ, მემ! - მისტერ ბამბლის ხმაში სენტიმენტალური სიმკაცრე ისმოდა.

- ჰო! - დაიყვირა ქალბატონმა.

- თუ შეიძლება, კეთილინებეთ და შემომხედეთ, - მისტერ ბამბლმა თვალებში

შეხედა („თუ ამ მზერას გაუძლო, - გაიფიქრა მისტერ ბამბლმა, - ესე იგი, ყველაფერს გაუძლებს. არ მახსენდება შემთხვევა, ამ მზერას ღარიბებზე გავლენა არ ჰქონოდა. თუ არ იმოქმედა, ესე იგი, ჩემი ძალაუფლება მასზე დამიკარგავს“).

შესაძლოა, ღარიბების დასაწყნარებლად თვალების სულ ოდნავ

გადმოკარგვლა საკმარისი იყო, რადგან ისინი ცოტას მიირთმევდნენ და არცთუ დალხენილ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, ან ყოფილ მისის კორნიზე სრულებით არ მოქმედებდა არწივისებური მზერა – ეს თვალსაზრისზეა დამოკიდებული. ყოველ შემთხვევაში, ზედამხედველის მეუღლე სრულებით არ შეუშინებია მისტერ ბამბლის მრისხანე იერს, პირიქით, დაუფარავი ზიზღითაც კი შეხედა და შემდეგ ხარხარი აუტყდა, რომელიც სრულებით არ იყო მოჩვენებითი.

როდესაც მისტერ ბამბლმა ეს უჩვეულო ხმები გაიგონა, მის სახეზე ჯერ უნდობლობა ადიბედა, შემდეგ გაოგნება. ამის შემდეგ წინანდელ მდგომარეობას დაუბრუნდა და მხოლოდ მას შემდეგ გამოფხიზლდა, რაც ისევ ცხოვრების თანამგზავრის ხმამ გამოაფხიზლა.

– მთელი დღე აქ ჯდომას და ხვრინვას აპირებ? – დაინტერესდა მისის ბამბლი.

– იმდენ ხანს ვაპირებ აქ ჯდომას, რამდენ ხანსაც საჭიროდ ჩავთვლი, მემ, – უპასუხა მისტერ ბამბლმა, – და მართალია, არ ვხვრინავდი, მაგრამ თუ საჭიროდ ჩავთვლი, ვიხვრინებ, დავამთქნარებ, დავაცემინებ, გავიცინებ ან ვიტირებ. ეს ჩემი უფლებაა.

– შენი უფლება! – ენით აუწერელი ზიზღით ჩაიცინა მისის ბამბლმა.

– დიახ, სწორედ ეს სიტყვა ვთქვი, მემ, – თქვა მისტერ ბამბლმა, – მამაკაცის უფლებაა, იმბრძანებლოს.

– ღმერთის სახელს გაფიცებ, ქალის უფლება რაღაა? – წამოიძახა გარდაცვლილი მისტერ კორნის ყოფილმა მეუღლემ.

– დაემორჩილოს, მემ, – დაიქუხა მისტერ ბამბლმა, – და ეს უნდა ესწავლებინა თქვენს უიღბლო, აწ კი განსვენებულ მეუღლეს; ასე რომ მოქცეულიყო, შესაძლოა, დღეს ცოცხალი ყოფილიყო. ვისურვებდი, ცოცხალი იყოს, საბრალო!

მისის ბამბლი მაშინვე მიხვდა, რომ გადამწყვეტი მომენტია და ამა თუ იმ მხარის დარტყმამ საბოლოოდ უნდა დაადგინოს, ოჯახში უფროსი ვინ არის. ის

იყო, ეს ტირადა მოისმინა, სავარძელში მოწყვეტით ჩაჯდა და მთელი ხმით აღრიალდა, რომ მისტერ ბამბლი უგულო პირუტყვია, რასაც ცხარე ცრემლების ულავი ნაკადი მოჰყვა.

მაგრამ მისტერ ბამბლი ის ადამიანი არ გახლდათ, რომლის სულსაც ცრემლები მოალობდა: მისი გული წყალგაუმტარი იყო კასტორის შლაპების დარად, რომლებიც წვიმაში მოხვედრის შემდეგ უკეთესი ხდება, მისი ნერვები

მტკიცე და უდრეკი გახდა ცრემლების წყალობით, რაც სისუსტის გამოვლინებად, მისი უპირატესობის მდუმარე აღიარებად მიაჩნდა და ამიტომ სიამოვნებდა და ფრთას ასხამდა. უდიდესი კმაყოფილებით უმზერდა საყვარელ მეუღლეს და წააქეზებდა, კარგად გამოეტირა, რადგან ექიმების აზრით, ეს ვარჯიში ჯანმრთელობისთვის მეტად სასარგებლოა.

- ცრემლი წმენდს ფილტვებს, ჰბანს სახეს, აძლიერებს მხედველობას და ნერვებს ამშვიდებს, - თქვა მისტერ ბამბლმა, - ასე რომ, კარგად იტირეთ.

ამ ხუმრობის შემდეგ მისტერ ბამბლმა ლურსმნიდან შლაპა ჩამოიღო და თავაშვებული ყმაწვილივით გვერდზე მოიქცია; იმ ადამიანს ჰგავდა, რომელმაც თავისი უპირატესობა სათანადოდ დაამტკიცა - მერე ხელები ჯიბეებში ჩაიწყო და კარისკენ გაემართა; მთელი მისი იერი სრულ კმაყოფილებასა და მხიარულებას გამოხატავდა.

ყოფილმა მისის კორნიმ ცრემლების მოშველიება იმიტომ სცადა, რომ ეს მუშტებით ჩხუბთან შედარებით ნაკლებად დამღლევი გახლდათ, მაგრამ ის სრულ მზადყოფნაში იყო ზემოქმედების უკანასკნელი იარაღის გამოყენებისთვისაც, რაც სულ მალე იწვინა მისტერ ბამბლმა.

ამ ფაქტის პირველი დადასტურება, რომელმაც მის გონებამდე მიაღწია, რაღაც ყრუ ხმა იყო, მერე შლაპა მოულოდნელად ოთახის მეორე ბოლოში აღმოჩნდა. ამ წინასწარი ღონისძიების შედეგად თავსაბურავის გარეშე დარჩა, გამოცდილმა ლედიმ ცალი ხელი მაგრად ჩასჭიდა ქეჩოში, მეორით კი მუშტები

დაუშინა (დარტყმების სიზუსტე და სიძლიერე განსაცვიფრებელი გახლდათ).
ეს

საქმე რომ მოითავა, მისის კორნიმ ახლა სხვა ხერხი - სახის კაწვრა და თმით

თრევა მოიშველია; მას შემდეგ, რაც ჩათვალა, რომ მისტერ ბამბლმა საკმარისი

უკვე მიიღო, ხელი უბიძგა სკამისკენ, რომელიც, საბედნიეროდ, ზუსტად იმ ადგილას იდგა, სადაც საჭიროა, და მეუღლეს უთხრა, თუ გამბედაობა ეყოფოდა,

კიდევ ერთხელ ამოეღო ხმა თავისი უფლების შესახებ.

- ადექი! - უბრძანა მისის ბამბლმა, - და აქედან გაეთრიე, ვიდრე რაღაც გამოუსწორებელი არ ჩამიდენია.

დამწუხრებული მისტერ ბამბლი წამოდგა და გაოგნებული იმის გამოცნობას ცდილობდა, გამოუსწორებელი საქციელი რა უნდა ყოფილიყო. შლაპა აიღო და

კარისკენ გაემართა.

- მიდიხარ? - შეეკითხა მისის ბამბლი.

- რასაკვირველია, ჩემო ძვირფასო, რასაკვირველია, - უპასუხა რამდენადაც კი

შეეძლო სწრაფი ნაბიჯით კარისკენ მიმავალმა მისტერ ბამბლმა, - არ მინდოდა...

მივდივარ, საყვარელო! ისეთი მრისხანება გჩვევია, რომ მე...

სწორედ იმწამს მისის ბამბლი აჩქარებით გაემართა ჩხუბის დროს აბურდული ხალიჩის გასასწორებლად, მისტერ ბამბლი კი თვალის დახამხამებაში ოთახიდან ისე გავარდა, დაწყებული წინადადება არ დაუსრულებია; შესაბამისად, ბრძოლის ველი მთლიანად მისის ბამბლის განკარგულებაში დარჩა.

მისტერ ბამბლი მოულოდნელობისგან დაიბნა და თავგზა სრულიად აებნა. რასაკვირველია, დაშინება თავად ახასიათებდა, დიდ სიამოვნებას ანიჭებდა წვრილმანი სისასტიკე და შესაბამისად (თავისთავად იგულისხმება), ლაჩარიც ბრძანდებოდა. ეს ჩრდილს სრულებითაც არ აყენებს მის პიროვნებას; ბევრი მოხელე, რომელთა მოღვაწეობა დიდი პატივისცემისა და აღტაცების საგანია, იმავე სისუსტეებით გამოირჩევა. ზემოთ ნახსენები შენიშვნა უფრო მისტერ ბამბლის ქებაა და მისი მიზანია, მკითხველს მართებული წარმოდგენა შეუქმნას, თუ როგორ შეეფერებოდა ის თანამდებობას.

მაგრამ მისი დამცირება ჯერ კიდევ დასრულებული არ იყო. ჯერ შრომის სახლს შემოუარა და თავდაპირველად იმაზე ფიქრობდა, რომ კანონი ღარიბების შესახებ მართლაც მეტისმეტად მკაცრია, ხოლო ცოლებისგან გაქცეული მამაკაცები, რომლებმაც ისინი სამრევლოს სარჩენად დატოვეს, სიმართლე ითქვას, დასჯის ნაცვლად ჯილდოს იმსახურებენ სხვა პატივსაცემი, დაზარალებული ადამიანების მსგავსად; მისტერ ბამბლი იმ ოთახს მიუახლოვდა, სადაც რამდენიმე ლატაკი ქალი შრომის სახლის თეთრეულს რეცხავდა და საიდანაც ახლა ლაპარაკის ხმა ისმოდა.

- ჰმ! - ჩაილაპარაკა მისტერ ბამბლმა და მისთვის დამახასიათებელი ღირსება დაიბრუნა, - ეს ქალები მაინც წინანდებურად პატივს მიაგებენ ჩემს უფლებებს...
ეი, ეი! რას ყაყანებთ, დედაკაცებო?

ამ სიტყვებით მისტერ ბამბლმა კარი გააღო და შევიდა, მაგრამ მისი განრისხებული და მრისხანე გამომეტყველება მაშინვე შეიცვალა ყველაზე თვინიერიტა და ლაჩრულით, როდესაც მის წინ უეცრად ცოლი გაჩნდა.

- ჩემო ძვირფასო, - თქვა მისტერ ბამბლმა, - არ ვიცოდი, აქ რომ იყავი.
- არ იცოდი, აქ რომ ვიყავი! - გაიმეორა მისის ბამბლმა, - აქ რას აკეთებ?

- ვიფიქრე, რომ ესენი ძალიან ბევრს ყბედობენ და საქმეს კი არ აკეთებენ, ჩემო ძვირფასო, - უპასუხა მისტერ ბამბლმა და ორ ბებრუხანას გადახედა, რომლებიც დიდ ვარცლთან ფუსფუსებდნენ და შრომის სახლის ზედამხედველის თვინიერი იერის დანახვაზე ერთმანეთს აღტაცებული გადახედავდნენ ხოლმე.

- გეგონა, რომ ძალიან ბევრს ყბედობენ? - შეეკითხა მისის ბამბლი, - და რა შენი საქმეა?

-- სრულ ჭეშმარიტებას ამბობ, ჩემო ძვირფასო, აქ დიასახლისი შენ ხარ, - დაემორჩილა მისტერ ბამბლი, - მაგრამ ვიფიქრე, იქნებ სწორედ ახლა აქ არ არის-მეთქი.

- მისტერ ბამბლ, აი, რას გეტყვი, - უპასუხა ცოლმა, - შენი ჩარევა არ გვჭირდება. ძალიან გიყვარს ცხვირის ჩაყოფა იმ საქმეებში, რომლებიც სრულებით არ გეხება, ამიტომ შრომის სახლში ზურგს უკან ყველა დაგცინის, სულ იდიოტის როლში ხარ. ახლა კი წადი, აქედან მოშორდი!

მისტერ ბამბლი ცოტა ხნით შეყოყმანდა, თან გულდაწყვეტილი უყურებდა ორი ბებრუხანას ხითხითს. მისის ბამბლმა, რომელიც ვერ იტანდა ყოყმანსა და ზოზინს, მაშინვე აქაფებული საპნიანი სითხით სავსე ტოლჩას წამოავლო ხელი და დაემუქრა, თავით ფეხებამდე გაგწუწავ, თუ დროულად არ წახვალ აქედანო.

სხვა რა გზა ჰქონდა მისტერ ბამბლს? დამწუხრებულმა მიიხედ-მოიხედა და უჩუმრად გავიდა. როდესაც კარს მიაღწია, ბებრუხანების ხითხითი დამცინავ ხარხარში გადაიზარდა, რომელიც მათ აღტაცებას გამოხატავდა. ეს უკვე მეტისმეტი იყო. მათ თვალში დაამცირეს; ამ ლატაკების წინაშე თავისი ავტორიტეტი და ღირსება დაკარგა; სამრევლოს ბიდლის თვალუწვდენელი სიმაღლიდან ღრმა უფსკრულში აღმოჩნდა, როგორც ანჩხლი ცოლის მორჩილი ქმარი.

- და ეს ყველაფერი ორ თვეში, - თქვა დამწუხრებულმა მისტერ ბამბლმა, - ორი თვე! სულ რაღაც ორი თვის წინ არა მხოლოდ საკუთარი თავის ბატონ-პატრონი ვიყავი, არამედ სხვებისაც, ყოველ შემთხვევაში, შრომის სახლში, ახლა კი...

ამის მოთმენა შეუძლებელი გახლდათ. მისტერ ბამბლმა სილა გააწნა ბიჭუნას, რომელმაც ჭიშკარი გაულო (მწარე ფიქრებით გართულმა ვერც კი შენიშნა, რომ ჭიშკრამდე მისულიყო) და დაბნეული ქუჩაში გავიდა.

ჯერ ერთ ქუჩაზე გაიარა, შემდეგ მეორეზე, ბოლოს სეირნობამ პირვანდელი სევდა ოდნავ გაუფანტა, ხოლო გუნება-განწყობილების ცვლილებამ მოაწყურა. ბევრ დუქანს ჩაუარა, მაგრამ ბოლოს ერთ-ერთ შესახვევში შეჩერდა: ფარდის ზემოდან იქაურობას თვალი მოავლო და დაინახა, რომ მხოლოდ ერთი კლიენტი იჯდა. სწორედ ამ დროს დასცხო წვიმამ და ამან მიაღებინა გადაწყვეტილება. მისტერ ბამბლი დუქანში შევიდა; დახლთან ჩავლილმა სასმელი მოითხოვა და მერე იმ ოთახში აღმოჩნდა, სადაც წედან ქუჩიდან შეიხედა.

ოთახში მამაკაცი იჯდა, ტანმაღალი, მუქკანიანი, ფართო საწვიმარი ეცვა. უცხოელს ჰგავდა და მისი დაღლილი სახისა და დამტვერილი სამოსის წყალობით ჩანდა, შორი გზა გაევიო. შესულ ბამბლს თვალი შეავლო და სალამზე თავის დაქნევით უპასუხა.

მისტერ ბამბლს ღირსების გრძნობა ორისთვისაც საკმარისი ჰქონდა; იმ შემთხვევაშიც კი, უცნობი უფრო მოურიდებელი რომ ყოფილიყო. ასე რომ, წყალგარეული ჯინის დასალევად ჩამოჯდა და თან სერიოზული სახით შეუდგა გაზეთის ფურცლების დაწვრილებით გაცნობას.

თუმცა, როგორც ხშირად ხდება მსგავს გარემოებებში ადამიანების შეხვედრის დროს, მისტერ ბამბლს ძალიან უნდოდა უცნობისთვის თვალის შევლება და რამდენჯერმე გააპარა კიდეც მზერა; და ყოველ ჯერზე დამორცხვებული თვალს

აცილებდა, რადგან სწორედ იმ დროს მას უცნობი ასევე მალულად უმზერდა. მისტერ ბამბლის უხერხულობას აძლიერებდა უცნობის უცნაური მზერა: მას გამჭირახი და მბრწყინავი თვალები ჰქონდა, რომელსაც, იმავდროულად, ბრაზიანი ეჭვის ჩრდილი დაჰკრავდა. ამგვარი პირქუში გამოხედვა მისტერ ბამბლს მანამდე არ შეხვედრია და მისთვის მეტად უსიამოვნო გახლდათ.

როდესაც მათი მზერა რამდენჯერმე ერთმანეთს შეხვდა, უცნობმა სიჩუმე უხეში, ბოხი ხმით დაარღვია:

- როდესაც ფანჯარაში შემოიხედეთ, მე მეძებდით? - ჰკითხა მან.

- ვფიქრობ, არა, თუ თქვენ არ ბრძანდებით მისტერ... - მისტერ ბამბლი გაჩუმდა; მას უცნობის გვარი აინტერესებდა და მოუთმენლად ელოდა, როდის შეავსებდა ის ამ დანაკლისს.

- ვხედავ, რომ არ მეძებდით, - თქვა უცნობმა და მის ბაგეებზე სარკასტული ღიმილი გაკრთა, - მაშინ ჩემი გვარი გეცოდინებოდათ. გირჩევთ, ცნობისმოყვარეობას ნუ გამოიჩენთ.

- თქვენი გაბრაზება მიზნად არ მქონია, ახალგაზრდავ, - მედიდურად წარმოთქვა მისტერ ბამბლმა.

- არც გაგბრაზებულვარ, - იყო პასუხი.

ამ ხანმოკლე დიალოგის შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა, რომელიც ისევ უცნობმა დაარღვია:

- მგონი, ადრე ნანახი მყავხართ, - თქვა მან, - ქუჩაში მოგკარით თვალი; თუმცა, მაშინ სხვანაირი სამოსი გეცვათ, მაგრამ, ვფიქრობ, გიცანით. ადრე ბიძლი იყავით, ხომ ასეა?

- მართალია, - უპასუხა გაკვირვებულმა მისტერ ბამბლმა, - სამრევლოს ბიძლი.

- სწორედ ასეა, - უცნობმა თავი დააქნია, - ეს თანამდებობა გეჭირათ, როდესაც შეგხვდით. ახლა სად მუშაობთ?

- შრომის სახლის ზედამხედველი ვარ, - თქვა მისტერ ბამბლმა ნელა და შთამბეჭდავად, რათა უცნობისთვის უადგილო ფამილარულობის შესაძლებლობა არ მიეცა, - შრომის სახლის ზედამხედველი ვარ, ახალგაზრდავ.

- იმედია, საკუთარ ინტერესებს არც ახლა ივიწყებთ? - განაგრძო უცნობმა და მისტერ ბამბლს, რომელმაც შეკითხვით გაკვირვებულმა შეხედა, მზერა გაუსწორა, - ნუ გრცხვენიათ, დაუფარავად ილაპარაკეთ, ძმობილო. როგორც ხედავთ, საკმაოდ კარგად გიცნობთ.

- ვფიქრობ, - მისტერ ბამბლმა თვალები მოიჩრდილა და აშკარად დაბნეულმა თავით ფეხამდე შეათვალიერა უცნობი, - როგორც დაქორწინებულს, ისე მარტოხელას, უფლება აქვს პატიოსნად მოიპოვოს დამატებითი პენი, თუ ამის შემთხვევა მიეცა. სამრევლოს მოხელეების ხელფასი არც ისე დიდია, რომ მათ

მცირე დამატებით შემოსავალზე უარი თქვან, თუ ამას ზრდილობიანად და შესაფერისად შესთავაზებენ.

უცნობმა გაიღიმა და ისევ თავი დაუქნია, თითქოს იმის თქმა სურდა, რომ ადამიანში არ შემცდარა, შემდეგ ზარი დარეკა.

- კიდევ ერთხელ შეავსეთ, - უთხრა მედუქნეს და მისტერ ბამბლის ცარიელი ჭიქა მიაწოდა, - რამე უფრო მაგარი და ცხელი დაუსხით... იმედია, მოგეწონებათ.

- ძალიან მაგარი ნუ იქნება, - უპასუხა მისტერ ბამბლმა და თავაზიანად ჩაახველა.

- ალბათ, გესმით, რისი თქმა სურდა, ხომ ასეა, მასპინძელო? - ცივად ჰკითხა უცნობმა მედუქნეს.

მედუქნემ გაიღიმა, წავიდა და ცოტა ხნის შემდეგ ცხელი პუნშით სავსე ჭიქა მოიტანა; პირველივე ყლუპზე მისტერ ბამბლს თვალეზზე ცრემლები მოადგა.

- ახლა კი მომისმინეთ, - ვიდრე საუბარს დაიწყებდა, უცნობმა კარიც დახურა და ფანჯარაც, - აქ დღეს თქვენს მოსამებნად ჩამოვედი და იმ ბედნიერი შემთხვევის წყალობით, რომლითაც ეშმაკი ხანდახან თავის მეგობრებს აჯილდოებს, ამ ოთახში სწორედ თქვენ შემოხვედით, შემოხვედით მაშინ, როდესაც ვიჯექი და სწორედ თქვენზე ვფიქრობდი. თქვენგან რაღაც ცნობები მჭირდება. ისინი არც ისე მნიშვნელოვანია, მაგრამ სრულებით არ გთხოვთ, უფასოდ გასცეთ. დასაწყისისთვის ეს აიღეთ.

ამ სიტყვებით მაგიდის მეორე მხარე თანამოსაუბრეს ორი სოვერენი ისე ფრთხილად გადააწოდა, თითქოს ეშინოდა, ქუჩაში მონეტების ჩხრიალის ხმა არ

გასულიყო. მას შემდეგ, რაც მისტერ ბამბლმა საფუძვლიანად შეამოწმა ფულის ნამდვილობა და დიდი კმაყოფილებით ჩაიდო ჟილეტის ჯიბეში, უცნობმა განაგრძო:

- წარსული უნდა გაიხსენოთ... დაახლოებით, თორმეტი წლის წინანდელი ზამთარი.

- შორეული დროა, - თქვა მისტერ ბამბლმა, - კარგი. გამახსენდა.

- მოქმედების ადგილი შრომის სახლია.

- დიახ.

- დრო - ღამე.

- გასაგებია.

- იქ, სადღაც, გულისამრევ სოროში საზოხდარი არსებები სიცოცხლესა და ჯანმრთელობას აძლევდნენ დასაბამს, რომელიც ხშირად თავად არა აქვთ, აჩენდნენ მტირალა ბავშვებს და მათ სამრევლოს კმაყოფაზე ტოვებდნენ, თავად კი, ეშმაკმა წაიღოს მათი თავი და ტანი, საკუთარი სირცხვილი საფლავეში

ჩაჰქონდათ.

- ალბათ, სამშობიარო ოთახზე ამბობთ? - უპასუხა მისტერ ბამბლმა, რომელმაც უცნობის აღწერილობიდან კარგად ვერ გაიგო, რომელ ოთახზე საუბრობდა ის.

- მართალია, - თქვა უცნობმა, - იქ ბიჭი დაიბადა.

- ბევრი ბიჭი დაბადებულა, - შენიშნა მისტერ ბამბლმა და იმედგაცრუებით გადააქნია თავი.

- სიკვდილსაც წაუღია ყველა ეს ეშმაკის ნაშიერი! - დაიყვირა უცნობმა, - მე

მხოლოდ ერთზე ვამბობ, ჩუმ, ავადმყოფური შესახედაობის ბიჭზე, აქაური მეკუბოსის შეგირდზე, - რა დასანანია, თავის მომზადებულ კუბოში რომ არ ჩააწვინა, - რომელიც მერე, როგორც ამბობენ, ლონდონში გაიქცა.

- მაშ, ოლივერზე ამბობთ? ყმაწვილ ტვისტზე? - წამოიძახა მისტერ ბამბლმა, -
რასაკვირველია, მახსოვს. მისნაირი აუტანელი ბიჭი ჯერ...

- მასზე არაფრის გაგონება არ მსურს, საკმარისად მოვისმინე, - გააწყვეტინა უცნობმა მისტერ ბამბლს ოლივერის ცოდვების შესახებ საუბარი, - იმ ქალზე გეკითხებით, იმ ბებრუხანაზე, სიკვდილის წინ დედამისს რომ უვლიდა. სად არის?

- სად არის? - გაიმეორა სასმლით გულმოცემულმა მისტერ ბამბლმა, რომელიც ხუმრობის ხასიათზე დადგა, - არც ისე ადვილია ამ კითხვაზე პასუხის

გაცემა. სადაც ის წავიდა, მეანად აღარ დასჭირდებათ და სამუშაოს გარეშე იქნება დარჩენილი.

- რას გულისხმობთ? - ბრაზიანად იკითხა უცნობმა.

- იმას, რომ ამ ზამთარს მოკვდა, - უპასუხა მისტერ ბამბლმა.

უცნობი დაჟინებით მიაშტერდა მისტერ ბამბლს, მართალია, თვალი დიდხანს არ მოუცილებია, მაგრამ მისი მზერა თანდათან გაფანტული გახდა და ეტყობოდა, ღრმად ჩაფიქრდა. ჯერ თითქოს მერყეობდა, გულს მოშვებოდა ამ შეტყობინების გაგების შემდეგ თუ იმედი გასცრუებოდა, ბოლოს შვებით ამოისუნთქა და მისტერ ბამბლს უთხრა, რომ ამას მნიშვნელობა აღარ აქვს. შემდეგ წამოდგა და წასვლა დააპირა.

მაგრამ მისტერ ბამბლი საკმარისად ეშმაკი იყო, ის მაშინვე მიხვდა - საიდუმლო, რომელიც მისმა საუკეთესო მეორე ნახევარმა იცოდა, სარფიანად შეიძლებოდა გამოეყენებინა. კარგად ახსოვდა სალის სიკვდილის ღამე, რადგან მომხდარი მოვლენები ღრმად აღიბეყდა მის მეხსიერებაში: სწორედ მათი წყალობით სთხოვა ხელი მისის კორნის და თუმცა, ლედიმ არ გაანდო ის, რისი

ერთადერთი მოწმეც გახდა, მისტერ ბამბლმა საკმარისი მოისმინა და მიხვდა, რომ მას კავშირი ჰქონდა იმ პერიოდთან, როდესაც ბებრუხანა, შრომის სახლის

მეანის სახით, ოლივერ ტვისტის ახალგაზრდა დედას უვლიდა. როგორც კი ეს

გაახსენდა, უცნობს იდუმალი სახით აცნობა, რომ სიკვდილის წინ

ბებრუხანასთან მარტოდმარტო იყო ერთი ქალბატონი და მისი აზრით,
სწორედ

ამ ქალბატონს შეუძლია ხელი შეუწყოს უცნობის გამოძიებას.

-- ეს ქალბატონი როგორ მოვინახო? - იკითხა უცნობმა, რომელსაც აშკარად ეტყობოდა, მისტერ ბამბლის ნათქვამმა თავზარი დასცა და მისი ყველა შიში (როგორც უნდა ყოფილიყო ის) წამოატივტივა.

- მხოლოდ და მხოლოდ ჩემი დახმარებით, - განაცხადა მისტერ ბამბლმა.

- როდის? - მოუთმენლად წამოიძახა უცნობმა.

- ხ-ხ-ვალ, - იყო პასუხი.

- სადამოს ცხრა საათზე, - თქვა უცნობმა, ქალაქის ნაგლეჯი ამოაძვრინა და

ისეთი ხელწერით, მის მღელვარებას რომ მოწმობდა, მასზე მდინარესთან მდებარე რომელიღაც ქუჩის სახელი ჩაწერა, - სადამოს ცხრა საათზე მასთან ერთად აქ მოდიო. მგონი, ზედმეტია იმის თქმა, რომ ყველაფერი საიდუმლოდ

უნდა შეინახოთ. ეს თქვენთვისვეა სასარგებლო.

უცნობი კარისკენ გაემართა და მხოლოდ სასმლის საფასურის გადასახდელად შეჩერდა. მისტერ ბამბლს მოკლედ მოუყრა, რომ მათი გზები იყოფოდა და უცერემონიოდ გასვლამდე კიდევ ერთხელ შეახსენა მეორე დღის შეხვედრის დრო.

სამრევლოს მოხელემ ქალაქის ნაგლეჯს დახედა და შენიშნა, რომ გვარი არ ეწერა. უცნობი შორს წასვლას ვერ მოახერხებდა, ამიტომ გაეკიდა.

- რა გნებავთ? - წამოიყვირა მან და სწრაფად შემობრუნდა, როდესაც მისტერ ბამბლი მკლავზე შეეხო, - თქვენ რა, მითვალთვალებთ?

- მე მხოლოდ ის მიინდოდა გამეგო, - მისტერ ბამბლმა ქალაქის ნაგლეჯი გაუწოდა, - აქ რომ მოვალთ, ვინ ვიკითხოთ?

- მონკსი, - უპასუხა უცნობმა და სწრაფი ნაბიჯით განაგრძო გზა.

თავი 38 ნაამბობია, თუ რა მოხდა სადამოს ცოლ-ქმარ

ბამბლისა და მისტერ მონკსის შეხვედრაზე

მოდრუბლული, ჩახუთული, ქარიანი ზაფხულის სადამო იდგა. მთელი დღის განმავლობაში ცაზე მორიალე ღრუბლები ბოლოს სქელ, ნაცრისფერ ორთქლის მასებად შეგროვდა და წვიმის მსხვილი წვეთებიც წამოვიდა, ელვა-ჭყექაც არ დაახანებდა, როდესაც მისტერ და მისის ბამბლებმა მთავარი ქუჩიდან შეუხვიეს

და უწესრიგოდ განლაგებული, სანახევროდ დანგრეული სახლებისკენ გასწიეს. ეს სახლები ქალაქის ცენტრიდან დაახლოებით ნახევარი მილით იყო დაშორებული და მდინარის დაჭაობებულ დაბლობში მდებარეობდა.

ორივეს ძველი, ნახმარი სამოსი ეცვა, რაც, სავარაუდოდ, ორ მიზანს ემსახურებოდა: წვიმისგან დაცვასა და ცნობისმოყვარეთა მზერის არიდებას.

ქმარს ჩამქრალი ფარანი ეჭირა და რამდენიმე ნაბიჯით წინ მიდიოდა, თითქოს

ჭუჭყიან ქვაფენილზე გზას უკვალავდა ცოლს. ორივე დუმდა; ხანდახან მისტერ

ბამბლი ნაბიჯს შეანელებდა და უკან იხედებოდა, თითქოს სურდა, დარწმუნებულიყო, რომ მისი ცხოვრების თანამგზავრი არ ჩამორჩებოდა; როცა ხედავდა, რომ ის კვალში ედგა, ნაბიჯს აუჩქარებდა და კიდევ უფრო სწრაფად მიდიოდა შეხვედრის ადგილისკენ.

ეს ადგილი თავისი რეპუტაციით ეჭვს არ იწვევდა: უკვე დიდი ხანია, აქ ყველაზე უსინდისო, თავზე ხელაღებული ადამიანები ცხოვრობდნენ, რომლებიც

თავს ისე აჩვენებდნენ, თითქოს პატიოსანი შრომით ირჩენდნენ თავს, მაგრამ მათი საქმიანობა სინამდვილეში ქურდობა და დამნაშავეობა გახლდათ.

ირგვლივ მხოლოდ ქოხმახები მოჩანდა, მათი ნაწილი ნაჩქარევად აეგოთ ძველი,

დამტვრეული აგურებისგან, სხვების ასაშენებლად ჭიებით დაჭმული ხომალდის

საშენი მასალა გამოეყენებინათ; ქოხმახების აგებისას წესრიგსა და კეთილმოწყობას არად დაგიდევდნენ; მდინარიდან ისინი მხოლოდ რამდენიმე ფუტით იყო დაშორებული. ტურტლიან ნაპირზე ამოთრეული გახვრეტილი ნავეები

დაემაგრებინათ, აქა-იქ ნიჩბები და დახვეული თოკებიც მოჩანდა და კაცი იფიქრებდა, აქაურობის მცხოვრებნი სარჩოს მდინარეზე მოიპოვებენო, მაგრამ ეს

ხარახურა არაფრად ვარგოდა და მნახველი სულ მალე მიხვდებოდა, რომ მხოლოდ თვალის ასახვევად ეყარა.

ქოხმახების შუაგულში, ზედ მდინარესთან, იდგა მაღალი შენობა, რომლის ზედა სართულები წყალს გადაჰყურებდა. ეს ყოფილი ფაბრიკა იყო.

წარსულში,

ალბათ, იმ მიდამოებში მცხოვრებთა შემოსავლის წყარო, უკვე დიდი ხანია, ნანგრევებად გადაქცეულიყო. ვირთხების, ჭიებისა და ნესტის წყალობით საყრდენი ბურჯები დაღპა და მოირყა, რის გამოც შენობის ნაწილი წყალში აღმოჩნდა, ხოლო ჯერ კიდევ გადარჩენილი მხარე ყანყალებდა და ისე იყო დაფერდებული, თითქოს ერთი სული აქვს, თავის ნახევარს მიჰზადოს, მისი ბედი

გაიზიაროს და წყალში ჩაჰყვესო.

სწორედ ამ ნანგრევებად ქცეული სახლის წინ შეჩერდა პატივსაცემი წყვილი, როდესაც შორეული ელექქქის პირველი გრგვინვა გაისმა და კოკისპირული წვიმა წამოვიდა.

- სადღაც აქ უნდა იყოს, - თქვა მისტერ ბამბლმა და ქაღალდის ნაგლეჯს დახედა, ხელში რომ ეკავა.

- ეი, თქვენ, მანდ! - საიდანღაც ზემოდან ვიდაცის ხმა გაისმა.

მისტერ ბამბლმა თავი ასწია და მეორე სართულის კარიდან სანახევროდ გამოსული მამაკაცი დაინახა.

- ერთ წუთს მოიცადეთ, - განაგრძო ხმამ, - ახლავე ჩამოვალ.

ამ სიტყვების შემდეგ თავი გაქრა და კარი დაიხურა.

- ეს ის კაცია? - ჰკითხა მისტერ ბამბლს ძვირფასმა მეუღლემ.

მისტერ ბამბლმა დასტურის ნიშნად თავი დაუქნია.

- კარგად დაიმახსოვრე, რაც გითხარი, - თქვა შრომის სახლის ზედამხედველის მეუღლემ, - რაც შეიძლება ნაკლები ილაპარაკე, თორემ მაშინვე გაგვცემ.

მისტერ ბამბლი ნაღვლიანად მისჩერებოდა სახლს და თითქოს იმ ეჭვის გამოთქმას აპირებდა, რომ მათი გეგმა შეიძლებოდა ვერ განხორციელებულიყო, მაგრამ მას ხელი შეუშალა მონკსის გამოჩენამ: მან პატარა კარი გააღო, რომლის წინაც ისინი იდგნენ და შიგნით შეიპატიჟა.

- შემოდით! - მოუთმენლად წამოიძახა მან და ფეხი ბრაზიანად დააბაკუნა,

- აქ ნუ მაბრკოლებთ!

ქალბატონმა, რომელიც ჯერ ყოყმანობდა, თამამად შეაბიჯა, ახალი მიპატიჟებისთვის აღარ დაუცდია. მისტერ ბამბლს თითქოს რცხვენოდა თუ ეშინოდა, ამიტომ ქალს უკან მიჰყვა და თავს საკმაოდ უხეიროდ გრძნობდა, სრულებით დაკარგა თავისი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი - მედიდურობა.

- რა ჯანდაბისთვის იდექით გარეთ, წვიმაში? - კარის ჩაკეტვის შემდეგ ბამბლს მიუბრუნდა მონკსი.

- ჩვენ... ჩვენ მხოლოდ ცოტათი გაგრილება გვინდოდა, - ენის ბორძიკით უპასუხა ბამბლმა და შეშინებულმა მიმოიხედა.

-- გაგრილება გინდოდათ! - გაიმეორა მონკსმა, - აქამდე მოსულ ან მოსასვლელ წვიმასაც კი ზოგჯერ არ შეუძლია იმ მგზნებარების ჩაქრობა, რასაც ზოგიერთი ადამიანი თავის თავში ატარებს. ასე ადვილად ვერ გაგრილდებით, მაგის იმედი არ გქონდეთ!

ამგვარი სასიამოვნო სიტყვების შემდეგ მონკსი სწრაფად მიუბრუნდა მისის ბამბლს და ისე დაჟინებით დააცქერდა, რომ ამ არსებამ, რომლის დაფრთხობა ადვილი არ იყო, მზერა ვერ გაუსწორა.

- ეს ის ქალია? - იკითხა მონკსმა.

- ჰმ! სწორედ ის ქალი გახლავთ, - თქვა ბამბლმა, რომელსაც ცოლის გაფრთხილება გაახსენდა.

- ალბათ, გგონიათ, რომ ქალებს საიდუმლოს შენახვა არ შეუძლიათ? - ჩაერია

შრომის სახლის ზედამხედველის მეუღლე მონკსის დაჟინებული მზერის საპასუხოდ.

- ქალი ერთ საიდუმლოს მუდამ ინახავს, სანამ ის არ გამოაშკარავდება, -

თქვა მონკსმა.

- რომელს? - იკითხა ქალბატონმა.

- კარგი სახელის დაკარგვას, - იყო მონკსის პასუხი, - შესაბამისად, თუ საიდუმლო იცის, რომელმაც სახრჩობელამდე ან კატორდამდე შეიძლება მიიყვანოს, რასაკვირველია არა, არ გათქვამს! გესმით ჩემი, ქალბატონო?

- არა, - მისის ბამბლი ოდნავ გაწითლდა.

- რასაკვირველია, არ გესმით! - თქვა მონკსმა, - განა შესაძლებელია ეს გესმოდეთ?

ორივე თანამოსაუბრეს დაცინვით თუ პირქუშად შეხედა, მერე ხელით ანიშნა, უკან გაჰყოლოდნენ, სწრაფად გადაჭრა სავსაოდ დიდი, თუმცა, დაბალჭერიანი

ოთახი. უკვე მისადგმელის მსგავსი კიბით ადიოდა ზედა სართულზე, სადაც ოდესღაც საწყობები იყო, რომ უეცრად ელვამ ჭერში ნახვრეტი გაანათა, ხოლო

ჭექა-ქუხილმა სამირკვლამდე შეარყია სანახევროდ დანგრეული სახლი.

- გაიგონეთ? - დაივირა მონკსმა და უკან დაიხია, - გაიგონეთ? გრგვინავს და

გრუხუნებს, თითქოს ათასობით გამოქვაბულს მოივლის, რომლებშიც ეშმაკები ემალებიან. ვერ ვიტან ჭექა-ქუხილს!

რამდენიმე წამს დუმდა, შემდეგ სახიდან ხელები მოიცილა და გაოგნებულმა და თავზარდაცემულმა მისტერ ბამბლმა მისი დაღრეჯილი და მიტკალივით თეთრი სახე დაინახა.

- ხანდახან ასეთი შემოტევები მჩვევია, - თქვა მონკსმა, როცა მისი შემფოთება შენიშნა, - მათ ხშირად ყჭექა-ქუხილი იწვევს, - მაგრამ ყურადღებას

ნუ მომაქცევთ, ყველაფერმა გაიარა.

კიბეზე ასვლა განაგრძო და იმ ოთახში, რომელშიც შევიდა, სწრაფად დაკეტა დარაბები, ჭერში გადებულ მძიმე ძელზე თოკით ჩამოკიდებული ფარანი ჩამოსწია, რომელიც სუსტად ანათებდა მაგიდასა და სამ სკამს.

- ახლა, - თქვა მონკსმა, როდესაც სამივენი დასხდნენ, - რაც უფრო მალე მოვამთავრებთ საქმეს, მით უკეთესია ყველასთვის... ქალმა იცის, რაშია საქმე?

კითხვა მისტერ ბამბლს ეხებოდა, მაგრამ მისმა მეუღლემ არ დააცალა და

უპასუხა, რომ ყველაფერი იცის.

- მართალია, რაც მითხრა, რომ იმ კუდიანთან იყავით იმ ღამეს, როდესაც მოკვდა და მან რაღაც გითხრათ?

- იმ ბიჭის დედაზე, რომელზედაც თქვენ ამბობდით? - გააწყვეტინა მისის ბამბლმა, - დიახ.

- პირველი კითხვა იმას ეხება, რა თქვა, - უპასუხა მონკსმა.

- ეგ მეორე კითხვაა, - დინჯად შენიშნა ქალბატონმა, - პირველი კი ის არის, რამდენი ღირს შეტყობინება.

- ჯანდაბა, და ამ კითხვაზე პასუხს ვინ გასცემს, თუ არ მოისმინა? - შეეკითხა მონკსი.

- დარწმუნებული ვარ, თქვენზე უკეთ - ვერავინ, - განაცხადა მისის ბამბლმა, რომელსაც გამბედაობა ნამდვილად არ აკლდა, რისი დადასტურებაც თამამად შეეძლო მის მეუღლეს.

- ჰმ! - მრავალმნიშვნელოვნად თქვა მონკსმა, რომელიც არნახულ ცნობისმოყვარეობას ამჟღავნებდა, - ესე იგი, ეს შეტყობინება ფული ღირს?

- შესაძლოა, ასეც იყოს, - ასეთი გახლდათ ქალბატონის თავშეკავებული პასუხი.

- მისგან რაღაც აიღეს, - უპასუხა მონკსმა, - რაღაც ნივთი, რომელსაც ატარებდა. რაღაც, რაც...

- უმჯობესია, ფასი თქვათ, - გააწყვეტინა მისის ბამბლმა, - უკვე საკმაოზე მეტი მოვისმინე და დარწმუნებული ვარ, სწორედ ის ადამიანი ბრძანდებით, ვისთანაც ღირს ამ თემაზე საუბარი.

მისტერ ბამბლი, რომელსაც მისი ცხოვრების თანამგზავრმა აქამდე არ გაუშვილა იმაზე მეტი, რაც მან იცოდა, ამ საუბარს კისერწაგრძელებული და თვალეზგაფართოებული უგდებდა ყურს, ხან ცოლს შეხედავდა, ხანაც - მისტერ

მონკსს და გაოცებას ვერ მალავდა; მისი გაოცება კიდევ უფრო გაიზარდა, როდესაც ამ უკანასკნელმა გაბრაზებულმა იკითხა, რამდენს ითხოვდნენ საიდუმლოს გამჟღავნებაში.

- ამ საიდუმლოს თქვენთვის რა ფასი აქვს? - წინანდებურად მშვიდად ჰკითხა ქალმა.

- შესაძლოა, არავითარი, ან შესაძლოა, ოცი გირვანქა სტერლინგი ღირდეს, - უპასუხა მონკსმა, - მოჰყევით და მერე გადავწყვეტ.

- დასახელებულ თანხას კიდევ ხუთი გირვანქა სტერლინგი დაამატეთ. ოცდახუთი გირვანქა სტერლინგი ოქროთი მომეცით, - თქვა ქალმა, - და მოგიყვებით ყველაფერს, რაც ვიცი, მაგრამ მოვეყვები მხოლოდ თანხის გადახდის შემდეგ.

-- ოცდახუთი გირვანქა სტერლინგი! - წამოიყვირა მონკსმა და სკამის საზურგეს მიეყრდნო.

- გასაგებად გითხარით, - უპასუხა მისის ბამბლმა, - ეს არ არის დიდი თანხა.

- არ არის დიდი თანხა იმ საიდუმლოსთვის, რომელიც შეიძლება გროშიც არ ღირს! - მოუთმენლად წამოიყვირა მონკსმა, - თანაც, უკვე თორმეტი წელია, დამარხული საიდუმლოა.

- ასეთი ამბები კარგად ინახება, მაგრამ დრო რომ გადის, მათი ფასი ორმაგდება, როგორც ხარისხიანი ღვინისა, - უპასუხა წინანდებური მშვიდი და უშფოთველი ტონით მისის ბამბლმა, - დამარხვას რაც შეეხება, ვინ იცის, არსებობს ისეთი რაღაცები, თორმეტი ათასი, თორმეტი მილიონი წელი რომ არავის გახსენებია, მაგრამ საბოლოოდ მათ საინტერესო ამბების მოყოლა შეუძლიათ.

- თუ ფული ტყუილად გადავიხადე? - ყოყმანით იკითხა მონკსმა.

- ადვილად შეგიძლიათ წამართვათ: მე ხომ ქალი ვარ, და აქ მარტო, დაუცველი ვარ.

- არც მარტო ხარ, ჩემო ძვირფასო, და არც დაუცველი, - შიშით აკანკალებული ხმით ჩაურთო მისტერ ბამბლმა, - აქ ვარ, ჩემო ძვირფასო. და გარდა ამისა, -

თან შიშით კბილს კბილზე აცემინებდა, - მისტერ მონკსი ჯენტლმენია და ასეთ

ძალადობას სამრევლოს მოხელეებზე არ ჩაიდენს. მისტერ მონკსმა, ჩემო ძვირფასო, იცის, რომ ახალგაზრდა არა ვარ, შეიძლება ითქვას, ცოტათი წლები

შემეპარა, მაგრამ გაგონილი აქვს, დარწმუნებული ვარ, ჩემო ძვირფასო, მისტერ

მონკსს გაგონილი აქვს, როგორი შეუპოვარი ვარ და რა ძალის პატრონი. მხოლოდ

შენჯღრევა მჭირდება. მხოლოდ ცოტათი შენჯღორევა, ეს არის და ეს.

ამ სიტყვებით მისტერ ბამბლმა სცადა ფარანისთვის ეტაცა ხელი, მაგრამ მისი შეშინებული სახე მოწმობდა, რომ რაიმე სახის მტრული ქმედებისთვის მას

მართლაც გვარიანი შეჯანჯღარება სჭირდებოდა; რასაკვირველია, ეს იმ შემთხვევას არ ეხებოდა, როდესაც მოწინააღმდეგეები ღარიბები ან ამისათვის გაწვრთნილი სხვა არსებები იყვნენ.

- სულელი ხარ, - თქვა მისის ბამბლმა, - და ყველაზე უკეთესი იქნება, თუ ენას დაიმოკლებ!

- კიდევ უკეთესი იქნებოდა, ენა მოეჭრა, ვიდრე აქ მოვიდოდა, თუ უფრო ხმადაბლა ლაპარაკი არ შეუძლია! - პირქუშად დაამატა მონკსმა, - ესე იგი, თქვენი ქმარია?

- ის - ჩემი ქმარი! - ჩაიხითხითა ქალბატონმა.

- ასეც ვიფიქრე, ერთად რაკი მოხვედით, - მონკსს არ გამოჰპარვია ის ბოროტი

მზერა, რომლითაც ლედიმ მეუღლე დააჯილდოვა, - მით უკეთესი. ცოლ-
ქმართან
მირჩვენია საქმის დაჭერა, ორივე ერთად მოქმედებს. სერიოზულად ვამბობ.
ნახეთ!

ხელი გვერდითა ჯიბეში ჩაიდო და იქიდან ტილოს ტომსიკა ამოიღო,
ოცდახუთი სოვერენი გადათვალა და ქალისკენ მისწია.

- აბა, - თქვა მან, - აიღეთ. როცა ეს დაწყველილი გრუხუნი შეწყდება,
რომელიც, როგორც ვხედავ, სწორედ ამ სახურავის თავზეა, თქვენი
მონათხრობი
მოვისმინოთ.

ჭექა-ქუხილი რომელიც ახლოს, ძალიან ახლოს, თითქმის მათ თავზე
ისმოდა,
შეწყდა. მონკსმა თავი ასწია და წინ გადაიხარა, რომ ქალისთვის უკეთ
მოესმინა. სამივეს სახე თითქმის ეხებოდა ერთმანეთს, როდესაც ორმა
მამაკაცმა მოუთმენლად შეხედა ერთმანეთს, ხოლო ქალი ასევე წინ გადაიწია,
რათა მისი ჩურჩული მოესმინათ. ფარნის სუსტი სინათლე პირდაპირ
შემფოთებულ, გაფითრებულ სახეებს ეფინებოდა და გარშემო სიბნელეში
მოჩვენებებად მოჩანდნენ.

- როდესაც ის ქალი მოკვდა, ჩვენ ბებერ სალის ვეძახდით, - დაიწყო მისის
ბამბლმა, - მხოლოდ ჩვენ ორნი ვიყავით.

- სხვა არავინ ესწრებოდა? - ჩურჩულითვე ჰკითხა მონკსმა, - არც ერთი
ავადმყოფი ბებრუხანა და ან რომელიმე ჰკუასუსტი მეზობელ საწოლზე არ
იწვა?
ვერავინ მიუგდებდა ყურს ან ვერ მიხვდებოდა, საქმე რას ეხებოდა?

- გარშემო სულიერი არ ჭაჭანებდა, - უპასუხა ქალმა, - მხოლოდ ჩვენ ორნი
ვიყავით. როცა მოკვდა, მასთან ჩემ გარდა არავინ იყო.

- კარგი, - თქვა მონკსმა და დაჟინებით მიაშტერდა, - განაგრძეთ.

- ახალგაზრდა ქალზე ლაპარაკობდა, - განაგრძო ქალმა, - რომელმაც ბავშვი
არა მხოლოდ იმავე ოთახში, არამედ იმავე საწოლზე გააჩინა, სადაც ახლა
თავად სალი კვდებოდა.

- ნუთუ? - ტუჩები აუკანკალდა მონკსს და ზურგს უკან გაიხედა, -
ჯანდაბა!
როგორი დამთხვევები ხდება ხოლმე!

- ეს სწორედ ის ბავშვი იყო, რომელზედაც გუშინ სადამოს გითხრათ, -
ქალმა
თავით ქმარზე ანიშნა, - მომვლელმა დედამისი გაქურდა.

- ცოცხალი? - იკითხა მონკსმა.

- მკვდარი, - ოდნავ შეაჟრჟოლა ქალს, - ცხედარი ჯერ არ გაცივებულიყო,
რომ
ის ნივთები ააცალა, რომელთა შენახვა ჩვილისთვის ქალმა სთხოვა.

- გაყიდა? - წამოიძახა ადელვებულმა მონკსმა, - გაყიდა? სად? როდის? ვის

მიჰყიდა? დიდი ხანია?

- დიდი გაჭირვებით მომიყვა, რაც ჩაიდინა, - განაგრძობდა მისის ბამბლი,
-
მერე ბალიშზე გადაწვა და მოკვდა.

- და მეტი აღარაფერი უთქვამს? - დაიყვირა მონკსმა, რომლის ყრუ ხმა ახლა უფრო ბრაზიანად მოისმა, - ტყუილია! ჩემი გაცურება არ გაგივათ. რაღაც კიდევ თქვა. ორივეს სულს ამოგართმევთ, მაგრამ გავიგებ, რა თქვა.

- არც ერთი სიტყვა აღარ უთქვამს, - განაგრძო ქალმა, რომელიც სრულებით არ ჩანდა დაშინებული (რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით მისტერ ბამბლზე) მისტერ მონკსის მრისხანებით, - მთელი ძალით ჩაეყიდა ჩემს კაბას; როცა მივხვდი, რომ მოკვდა, ხელი გავაშვებინე და ხელისგულში ქალაღდის ნაგლეჯი ვიპოვე.

- მასზე იყო... - გააწყვეტინა მონკსმა და წინ გადაიხარა.

- არაფერი, - უპასუხა ქალმა, - ეს მევახშის გაცემული ქვითარი იყო.

- რა ნივთებზე იყო გაცემული? - იკითხა მონკსმა.

- მალე გაიგებთ, - უპასუხა ქალმა, - ჯერ ძვირფას ნივთებს ინახავდა, ალბათ, იმედოვნებდა, რომ სარფიანად გაყიდდა, მერე მევახშეს მიაბარა და ფულს აგროვებდა, წლიდან წლამდე იხდიდა პროცენტს, რომ ნივთები არ დაეკარგა. ესე იგი, თუ შემთხვევა მიეცემოდა, ნივთებს გამოისყიდდა. მაგრამ ასეთი შემთხვევა არ გამოჩნდა და როგორც უკვე გითხარით, ისე მოკვდა, ხელში გაყვითლებული ქვითარი ეჭირა. პროცენტის შეტანის ვადა ორი დღის შემდეგ იწურებოდა. მეც ვიფიქრე, იქნებ რაიმე შემთხვევა გამოჩნდეს-მეთქი და ნივთები გამოვისყიდე.

-- ახლა სად არის? - სწრაფად იკითხა მონკსმა.

- აქ, - თქვა ქალმა.

თითქოს სურდა, რაც შეიძლებოდა სწრაფად მოეცილებინა თავიდან, მაგიდაზე სწრაფად მოისროლა ლაიკის პატარა საფულე, რომელშიც ფრანგული საათი მოთავსდებოდა. მონკსმა ხელი სტაცა და აკანკალებული ხელებით გახსნა. საფულეში - ოქროს პატარა მედალიონი, ხოლო მედალიონში თმის ორი კულუღი და ოქროს საქორწინო ბეჭედი იდო.

- შიგნითა მხარეს ამოტვიფრულია სახელი „აგნესი“, - თქვა ქალმა, - შემდეგ ადგილია დატოვებული გვარისთვის, მერე მოდის წელი, როგორც გავარკვიე, ეს ბავშვის დაბადების წელია.

- სულ ეს არის? - ნივთების გულდასმით დათვალიერების შემდეგ იკითხა მონკსმა.

- სულ ეს არის, - თქვა ქალმა.

მისტერ ბამბლმა ღრმად ამოისუნთქა, თითქოს გაუხარდა, რომ მოყოლა დასრულდა და არაფერი ითქვა ოცდახუთი გირვანქა სტერლინგის უკან დაბრუნებაზე, ახლა კი გამბედაობა დაუბრუნდა და მთელი საღამოს განმავლობაში ცხვირზე წურწურით ჩამომავალი ოფლი მოიწმინდა.

- ამ ამბავზე არაფერი ვიცი იმის გარდა, რასაც თავად ვხვდები, - ხანმოკლე დუმილის შემდეგ მისის ბამბლი მონკსს მიუბრუნდა, - და არც მინდა რამე ვიცოდე, ასე უკეთესია. მაგრამ შემიძლია ორი კითხვა დაგისვათ?

- შეგიძლიათ, - უპასუხა გაკვირვებულმა მონკსმა, - თუმცა, ვუპასუხებ თუ არა, ეს უკვე სხვა კითხვაა.

- ესე იგი, სამი კითხვა გამოდის, - ხუმრობა სცადა მისტერ ბამბლმა.

- ჩემგან ის თუ მიიღეთ, რასაც ელოდით? - შეეკითხა მისის ბამბლი.

- დიახ, - უპასუხა მონკსმა, - მეორე კითხვა?

- რას უპირებთ ამ ნივთებს? ოდესმე ჩემს წინააღმდეგ ხომ არ გამოიყენებთ?

- არასოდეს, - თქვა მონკსმა, - არც თქვენს წინააღმდეგ, არც ჩემს წინააღმდეგ. აქ უყურეთ. არც ერთი ნაბიჯი არ გადადგათ, თორემ თქვენს სიცოცხლეს კაპიკის ფასი აღარ ექნება.

მან უეცრად მაგიდა გასწია, იატაკში ჩამაგრებულ რკინის რგოლს ჩაეჭიდა და დიდი სახურავი ასწია, რომელიც მისტერ ბამბლის ფეხქვეშ აღმოჩნდა. მან სასწრაფოდ რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია.

- ქვემოთ ჩაიხედეთ, - თქვა მონკსმა და ფარანი ღრმულში ჩაუშვა, - ნუ გეშინიათ. საჭირო რომ ყოფილიყო, იქ მაშინ ჩაგიშვებდით, როცა მის თავზე ისხედით.

ამ სიტყვებით გამხნეებული მისის ბამბლი ლიუკის ნაპირთან მივიდა და მისტერ ბამბლმაც კი, რომელსაც ცნობისმოყვარეობა არ ასვენებდა, იმავეს გაკეთება გაბედა. წვიმის შემდეგ აბობოქრებული მდინარე ხმაურით მიედინებოდა, ყველა სხვა ხმაურს ახშობდა ხავსით დაფარულ შენობის ბურჯებზე ზვირთების ტყლაშუნი. ოდესღაც ამ ადგილზე წყლის წისქვილი იყო;

წყლის მორევი დამპალი ბოძებისა და ჯართად ქცეული დანადგარების გარშემო

ტრიალებდა და შემდეგ ახალი ძალით მიედინებოდა იმ დაბრკოლების გადალახვის შემდეგ, მისი გიჟური მდინარების დაოკებას ამაოდ რომ ცდილობდა.

- იქ რომ ადამიანის გვამი ჩააგდო, ხვალ დილით სად იქნება? - იკითხა მონკსმა და ფარანი გააქან-გამოაქანა.

- აქედან ქვემოთ თორმეტი მილის დაშორებით, მდინარის დინების

მიმართულებით, და გარდა ამისა, დანაკუწდება, - თქვა მისტერ ბამბლმა და ამის წარმოდგენაზე შიშით შეკრთა.

მონკსმა გულის ჯიბეში ნაჩქარევად ჩადებული პატარა საფულე ამოიღო, იატაკზე დაგდებული რომელიდაც ბლოკის ნაწილი, სპილენძის ნაჭერი გამოაბა და მორევში ჩაუშვა. საფულე მძიმედ, კამათელივით ჩაეშვა, ოდნავ გასაგონი ტყლაშუნით გაკვეთა წყალი და გაქრა.

სამივემ ერთმანეთს გადახედა და თითქოს შვებით ამოისუნთქა.

- ესეც ასე! - თქვა მონკსმა და სახურავი დახურა, რომელიც ბრახუნით ჩაეშვა

თავის ადგილზე, - როგორც წიგნებში ამბობენ, თუ ზღვა თავის მკვდრებს გამორიყავს, ოქროს, ვერცხლსა და ამგვარ სისულელეებს თავისთვის იტოვებს.

სალაპარაკო მეტი არაფერი გვაქვს, ასე რომ, შეგვიძლია ეს სასიამოვნო შეხვედრა დავასრულოთ.

- მართალს ბრძანებთ, - სწრაფად გამოეხმაურა მისტერ ბამბლი.

- და ენას კბილი დააჭირეთ, გესმით? - მუქარით თქვა მონკსმა, - თქვენი ცოლის იმედი მაქვს.

- შეგიძლიათ მენდოთ, ყმაწვილო, - მეტად ზრდილობიანად და თავის დაკვრით უპასუხა მისტერ ბამბლმა, რომელიც კიბისკენ მიიწევდა, - ყველა ჩვენგანის გამო, ყმაწვილო, და რასაკვირველია, ეს ჩემი ინტერესიცაა, ხომ გესმით, მისტერ მონკს?

- მესმის და მიხარია, რომ მიხვდით, - თქვა მონკსმა, - ახლა კი თქვენი ფარანი აიღეთ და აქედან მოშორდით.

საბედნიეროდ, საუბარი შეწყდა, თორემ მისტერ ბამბლი, რომელიც თავის დაკვრას აგრძელებდა, კიბიდან მხოლოდ ექვსი დუიმიტ იყო დაშორებული და

აუცილებლად ქვედა სართულის ოთახში გადაეშვებოდა. მონკსმა ფარანი თოკიდან ჩამოხსნა; მისტერ ბამბლმა თავისი ფარანი მონკსის ფარნიდან აანთო, მდუმარედ დაეშვა კიბეზე, უკან ცოლი მიჰყვა. მონკსი ბოლოში მიდიოდა,

ერთ წამს კიბის თავზე შეჩერდა და ყური მიუგდო, წვიმისა და მორევის ხმის გარდა სხვა რაიმეც ხომ არ ისმოდა.

ქვედა სართულის ოთახი ნელა და ფრთხილად გადაიარეს, რადგან მონკსი ყოველი ჩრდილის დანახვაზე შეხტებოდა ხოლმე, მისტერ ბამბლს კი ფარანი იატაკთან ახლოს ეჭირა და განსაკუთრებული სიფრთხილით მიაბიჯებდა ამ ზორბა მამაკაცისთვის გასაკვირი მსუბუქი ნაბიჯით; აქეთ-იქით ნერვიულად იყურებოდა, საიდუმლო ლიუკები ხომ არ იყო კიდევ სადმე. მონკსმა უხმაურად

გააღო ჩაკეტილი კარი; მეუღლეები თავის დაქნევით გამოემშვიდობნენ იდუმალ

ნაცნობს და წვიმაში, ჩაბნელებულ ქუჩაზე აღმოჩნდნენ.

წავიდნენ თუ არა, მონკსმა, რომელიც, როგორც ჩანს, მარტოობას ვერ იტანდა, სადღაც ქვემოთა ოთახში აქამდე დამალულ ბიყუნას უხმო, უბრძანა,

წინ წასულიყო ფარნიანად და გზა გაენათებინა და იმავე ოთახში დაბრუნდა, რომელიც ცოტა ხნის წინ დატოვა.

თავი 39 ასპარეზზე რამდენიმე რესპექტაბელურიპირი გამოდის; მკითხველი ასევე შეიტყობს,რა შეთანხმებას მიაღწიეს პატივცემულმა მონკსმადა პატივცემულმა ებრაელმა

წინა თავში მითითებული სამი პატივსაცემი პირის მიერ მცირე საქმის დასრულებიდან მეორე დღეს მისტერ უილიამ საიკსი ბურანიდან გამოფხიზლდა

და ნამძინარევი, ბუზღუნა ხმით იკითხა საათი.

ეს კითხვა მისტერ საიკსს არ დაუსვამს იმ ოთახში, რომელშიც ჩერტსიში ექსპედიციამდე ცხოვრობდა, თუმცა, იმავე რაიონში მდებარეობდა, მისი ძველი

საცხოვრისიდან ახლოს. რასაკვირველია, აქაურობა წინანდელ ოთახს ვერც შეედრებოდა: მდარე, ცუდი ავეჯით, ძალიან პატარა, რომელსაც დახრილ ჭერზე

ამოჭრილი ერთადერთი ფანჯარა ანათებდა, ვიწრო, ჭუჭყიან შესახვევში გადიოდა. სხვა ნიშნებიც მოწმობდა, რომ პატივსაცემ ჯენტლმენს უკანასკნელ ხანს ბედი არ სწყალობდა, რადგან მწირი ავეჯი და ელემენტარული კომფორტის

არარსებობა, ასევე ისეთი წვრილმანი მოძრავი ქონების გაქრობა, როგორცაა გამოსაცვლელი სამოსი და თეთრეული, უკიდურეს სიღატაკეს მოასწავებდა; გარდა ამისა, თავად მისტერ საიკსის გამხდარი და გამოფიტული სახე ამ ყველაფრის დასტური გახლდათ, თუ კიდევ სჭირდება დადასტურება ზემოთ აღნიშნულ ფაქტს.

მძარცველი საწოლზე საშინაო ხალათის ნაცვლად თავის თეთრ პალტოში გახვეული იწვა; ავადმყოფობის გამო სახე გაფითრებოდა, რასაც სრულებით არ

ამშვენებდა ჭუჭყიანი ღამის ჩაჩი და ერთი კვირის გაუპარსავი მჩხვლეტავი წვერი. საწოლთან მოკალათებული ძალი ხან პატრონს მიაჩერდებოდა, ხან ყურებს დაცქვეტდა და ყრუდ იღრინებოდა, თუ ჭურის ან ქვედა სართულის რაიმე

ხმაური მის ყურადღებას იპყრობდა. ფანჯარასთან იჯდა და ძველ ჟილეტს, მძარცველის ყოველდღიური სამოსის განუყრელ ნაწილს, კემსავდა ქალი, ისეთი

ფერმკრთალი და გამხდარი, ავადმყოფის მოვლით გამოფიტული, რომ მასში ძნელი ამოსაცნობი იყო სწორედ ის ნენსი, რომელსაც მკითხველი წიგნის წინა ფურცლებზე უკვე შეხვდა. მხოლოდ ხმა ჰქონდა წინანდებური, რომლითაც მისტერ საიკსის შეკითხვას უპასუხა.

- ეს-ეს არის, რვა დაიწყო, - თქვა გოგონამ, - თავს როგორ გრძნობ, ბილ?

- მუხლები გამიწყალდა, - უპასუხა მისტერ საიკსმა, რომელიც თვალებს, ხელებს, ფეხებს ლანძღვა-გინებით იკლებდა, - ხელი მომეცი და როგორმე ამ დაწყველილი საწოლიდან ადგომაში მომეხმარე.

ავადმყოფობის გამო მისტერ საიკსის ხასიათი სრულებით არ გაუმჯობესებულა; ვიდრე გოგონა ხელს აშველებდა, რომ მაგიდამდე მისულიყო,

უშვერი სიტყვებით ლანძღავდა მოუქნელობის გამო, მერე ხელი გაართყა.

- სლუკუნებ, არა? - თქვა საიკსმა, - გეყოფა! რას დგახარ და ზლუქუნებ. სხვა

თუ არაფერი შეგიძლია, აქედან მოშორდი. გესმის?

- მესმის, - უპასუხა გოგონამ და სახე მიაბრუნა, გაცინება სცადა, - რა მოგელანდა?

- ოჰო! უკვე მოხვედი ყქკუაზე? - წაიბუზღუნა საიკსმა, რომელმაც გოგონას თვალეზე მომდგარი ცრემლი დაინახა, - მით უკეთესი შენთვის.

- დღეს უხეზად ხომ არ მომექცევი, ბილ? - ნენსიმ მხარზე ხელი დაადო.

- რატომაც არა? - წამოიყვირა მისტერ საიკსმა, - რატომ?

- რამდენი ღამე, - გოგონამ ოდნავ შესამჩნევი ქალური სინაზით წარმოთქვა და მისი ხმაც კი ალერსიანი გახდა, - რამდენი ღამე გივლიდი მოთმინებით, როგორც ბავშვს და დღეს კი ვხედავ, რომ გონს მოხვედი. ხომ აღარ მომექცევი ისე, როგორც წედან? მითხარი, რომ არა.

- კარგი, - თქვა მისტერ საიკსმა, - არა. ჯანდაბა, ახლა ისევ სლუკუნებს!

- არაფერია, - თქვა გოგონამ და სკამზე დაენარცხა, - ყურადღებას ნუ მომაქცევ. მალე გამივლის.

- რა გაგივლის? - ბოროტად იკითხა მისტერ საიკსმა, - ახლა რაღა შეგეყარა?

ადექი და საქმეს მიხედე, და თავიდან მომწყდი შენი ქალური სისულელეებით.

სხვა დროს ასეთი პირქუში მიმართვა ალბათ, ზემოქმედებას მოახდენდა, მაგრამ გამოფიტულობისგან მართლაც დასუსტებულ გოგონას თავი სკამის საზურგეზე დაუვარდა და გონება იქამდე დაკარგა, ვიდრე მისტერ საიკსი თავის

მუქარას ასეთ შემთხვევებში ჩვეულ უშვერ ლანძღვა-გინებას მოაყოლებდა. მის ნენსის ისტერიკა ისეთი ბოზოქარი იყო, რომ ავადმყოფი მათ თავად უმკლავდებოდა, ახლა კი მისტერ საიკსმა არ იცოდა, რა ეღონა, რამდენჯერმე

ისევ ბილწად შეიგინა, მაგრამ რაკი მიხვდა, მკურნალობის ეს ხერხი არ ჭრიდა, მშველელს მოუხმო.

- რა მოხდა, ჩემო ძვირფასო? - ოთახში ფეიჯინმა შეიხედა.

- გოგოს მიხედეთ, - მოუთმენლად დაიყვირა საიკსმა, - რას ბურტყუნებთ და ქირქილებთ და რას მომშტერებიხართ!

ფეიჯინმა გაკვირვებისგან წამოიყვირა, მერე გოგონას დახმარება სცადა, ხოლო მისტერ ჯკვ დაუკინსმა (იმავე ცუდლუტმა), რომელიც ოთახში ღირსეული

მეგობრის შემდეგ შევიდა, დიდი ფუთა მაშინვე იატაკზე დააგდო და მის უკან

ფეხდაფეხ მომავალ ყმაწვილ ჩარლი ბეიტსს ხელიდან გამოსტაცა ბოთლი, საცობი კბილებით ამოაძრო და ბოთლის შიგთავსი პირში ჩაასხა ავადმყოფს, თუმცა, წინასწარ შეამოწმა, რაიმე შეცდომა რომ არ მომხდარიყო.

- ჩარლი, საბერველი აიღე და ცოტა სუფთა ჰაერი დაუბერე, - თქვა მისტერ დაუკინსმა, - ფეიჯინ, თქვენ ხელებზე ურტყით, ვიდრე ბილი ქვედაკაბას გაუხსნის.

ყველა აღნიშნული საშუალების ერთდროულად და ენერგიულად გამოყენება, განსაკუთრებით ყმაწვილი ბეიტსის მიერ, რომელიც მასზე დაკისრებულ ამოცანას გართობად თვლიდა, საჭირო შედეგით დასრულდა. გოგონა თანდათან

გონს მოვიდა, ბარბაცით მიაღწია საწოლთან მდგარ სკამამდე, ჩამოჯდა და თავი

ბალიში ჩარგო. სტუმრებს მისტერ საიკსი უნდა დახვედროდა, რომელიც მათმა

გამოჩენამ მეტად გააკვირვა.

-- რომელმა ეშმაკის ქარმა გადმოგისროლათ? - შეეკითხა ფეიჯინს.

- არავითარმა ეშმაკის ქარმა, ჩემო ძვირფასო. ეშმაკის ქარს სიკეთე არავისთვის მოაქვს. რაღაც კარგი მოვიტანე, რაც მოგეწონებათ. ცულლუტო, ჩემო

ძვირფასო, აბა, ფუთა გახსენი და ბილს ის წვრილმანი გადაეცი, რაშიც დღეს

დილით მთელი ფული დავხარჯეთ.

ცულლუტმა მოზრდილი ფუთა, რომელიც ძველ სუფრას წარმოადგენდა, ფეიჯინის ბრძანებით გახსნა და სათითაოდ იღებდა რაც შიგ იდო და ჩარლი ბეიტსს აწვდიდა, ეს უკანასკნელი კი მაგიდაზე ალაგებდა და თითოეული პროდუქტისთვის საქებარ სიტყვებს არ იშურებდა.

- ნახეთ, ბილ, რა კურდღლის პაშტეტია, - წამოიძახა ამ ახალგაზრდა ჯენტლმენმა და უზარმაზარი პაშტეტი დაანახვა, - ისეთი ნაზია, ისეთი ფუმფულა

თათებით, ბილ, რომ ძვლებიც კი პირში დნება და გარჩევაც არ სჭირდება.

ნახევარი გირვანქა მწვანე ჩაი შვიდ შილინგად და ექვს პენსად, ისეთი მაგარი,

რომ ადუღებულ წყალში მწიკვის ჩაგდების შემდეგ ჩაიდნის სახურავი ჰაერში აფრინდება; ნახევარი გირვანქა შაქარი, ცოტათი ნესტიანია, მაგრამ ასეთი სრულყოფილი რომ გამხდარიყო, ამისათვის ძალიან ბევრი იშრომეს ზანგებმა. ორი ორგირვანქიანი ფუნთუშა; ერთი გირვანქა მშვენიერი ახალი კარაქი; საუკეთესო ხარისხის ცხიმოვანი გლოსტერული ყველის ნაჭერი, რომლისთვისაც აქამდე ენაც კი არ დაგიკარებიათ.

ამ ქებათა ქების წარმოთქმის შემდეგ ყმაწვილმა ბეიტსმა თავისი

უზარმაზარი ჯიბიდან დიდი, საგულდაგულოდ თავდაცული ღვინის ბოთლი ამოაძვრინა; ამასთან, წინა ბოთლიდან სუფთა სპირტი ჭიქაში ჩამოასხა და მაშინვე გადაკრა.

- ოჰ! - წამოიძახა ფეიჯინმა და კმაყოფილი ხელების ფშვნეტას მოჰყვა, - არ დაიკარგებით, ბილ, ახლა კი არაფერი გიჭირთ.

- არ დავიკარგები! - გაიმეორა მისტერ საიკსმა, - თქვენს აქ მოსვლამდე ოცჯერ დავიკარგებოდი. როგორ გაბედე, მატყუარა მაწანწალა, სამი კვირით ადამიანის ბედის ანაზარა მიტოვება?

- აბა, ყური დაუგდეთ რას ამბობს, ბიჭებო! - მხრები აიჩეჩა ფეიჯინმა, - ჩვენ კი ამდენი მშვენიერი რამ მოვუტანეთ.

- რაც მოიტანეთ, ცუდი არ არის, - მისტერ საიკსი ცოტათი მოლბა მას შემდეგ, რაც მაგიდას გადახედა, - მაგრამ თავს როგორ გაიმართლებთ? აქ მშვიერი, ავადმყოფი, უფულო და საერთოდ, ყველაფრის გარეშე, რატომ დამაგდეთ და ღმერთმა იცის, რამდენი ხანი, იმდენივე ყურადღებას მაქცევდით, რამდენსაც ამ

ძალღს... ჩარლი, აქედან გააგდე ეს ძაღლი!

- ასეთი სასაცილო ძაღლი ჯერ არ მინახავს! - წამოიძახა ყმაწვილმა ბეიტსმა და მისი სურვილი შეასრულა, - ბაზარში მიმავალი მოხუცი ქალბატონივით გრძნობს საჭმლის სუნს. სცენაზე რომ გამოდიოდეს, მთელ ქონებას დააგროვებდა და წარმოდგენასაც გამოაცოცხლებდა.

- გეყოფა! - დაუყვირა საიკსმა საწოლის ქვეშ შემძვრალ ძაღლს, რომელიც იღრინებოდა, - მაშ, რითი გაიმართლებთ თავს, ბებერო, დამჭკნარო სისხლისმსმელო?

- კვირაზე მეტხანს ლონდონში არ ვიყავი, საქმეები მქონდა, - უპასუხა ებრაელმა.

- და დანარჩენი ორი კვირა? - არ ცხრებოდა საიკსი, - დანარჩენი ორი კვირა, როცა აქ ვეგდე, როგორც ავადმყოფი ვირთხა თავის სოროში?

- ვერაფერი მოვახერხე, ბილ. არ შეიძლება სხვების თანდასწრებით ყველაფრის ახსნა... პატოსნებას გეფიცებით, ვერაფერი მოვახერხე.

- რას იფიცებთ? - დაუფარავი ზიზღით დაიღრინა საიკსმა, - ეი, ბიჭებო, რომელიმემ პაშტეტის ნაჭერი მომიჭერით, რომ პირში ეს საზიზღარი გემო გავაქრო, თორემ მომკლავს.

- ნუ ბრაზობთ, ჩემო ძვირფასო, - დაუყვავა ფეიჯინმა, - არასოდეს დამვიწყებინართ, ბილ, არასოდეს.

- არა! რა თქმა უნდა, არ დაგვიწყებინავართ, - გესლიანად ჩაიცინა საიკსმა, -

მთელი ის დრო, ვიდრე აქ სიცხითა და ციებ-ცხელებით გათანგული ვიწექი, გეგმებს აწყობდით და ქსელებს ხლართავდით: ბილი ამას გააკეთებს; ბილი იმას გააკეთებს; როგორც კი გამოჯანმრთელდება, ბილი ყველაფერზე თანახმა იქნება, იმიტომ, რომ ჯიბეში არაფერი უყჩყავის. ეს გოგონა რომ არა, მკვდარი ვიქნებოდი.

- გეყოფა, ბილ, - ფეიჯინმა მაშინვე მისი სიტყვები გამოიყენა, - „ეს გოგონა რომ არა!“ საინტერესოა, საბრალო მოხუცი ფეიჯინი რომ არა, ასეთ ხელმარჯვე გოგონას როგორ ჩაიგდებდით ხელში?

- მართალს ამბობს, - თქვა ნენსიმ და წინ სწრაფად წადგა ნაბიჯი, - თავი დაანებე, მოეშვი.

ნენსის ჩარევამ საუბრის ხასიათი მაშინვე შეცვალა, რადგან ბიჭებმა ფრთხილი მოხუცი ებრაელის ეშმაკური თვალის ჩაკვრა შენიშნეს და გოგონას სასმელი შესთავაზეს, თუმცა, ნენსი ცოტას სვამდა, ხოლო ფეიჯინმა მისი ბუნებისთვის იშვიათი მხიარულება გამოავლინა საიკსის გუნება-განწყობილების გამოსაკეთებლად, თავი მოიკატუნა, თითქოს საიკსის მუქარა ხუმრობად ჩათვალა და გარდა ამისა, ყველამ გულიანად იცინა მძარცველის იმ უხეშ ხუმრობებზე, რომლითაც მან არცთუ მცირე რაოდენობის სასმლის გადახუხვის შემდეგ კომპანიას პატივი დასდო.

- ეს ყველაფერი მშვენიერია, - თქვა საიკსმა, - მაგრამ დღეს თქვენგან ნაღდი ფული უნდა მივიღო.

- არც ერთი მონეტა არ მიგდია ჯიბეში, - შეიცხადა ებრაელმა.

- სახლში მონეტების გორები გიდგათ, - არ შეეპუა საიკსი, - და იქიდან რაღაც ნაწილი უნდა მივიღო.

- გორები! - წამოიყვირა ფეიჯინმა და ხელები ცისკენ აღმართა, - იმისთვისაც კი არ მეყოფა, რომ...

- არ ვიცი, რამდენი დაგიგროვდათ და მგონი, თავადაც არ იცით, იმიტომ, რომ ძალიან დიდი ხანი დაგჭირდებათ დასათვლელად, - თქვა საიკსმა, - მაგრამ ფული დღეს მჭირდება, მორჩა და გათავდა.

- კარგი, კარგი, - ამოიოხრა ფეიჯინმა, - ცულლუტს გამოვატან.

- არა, - არ დაეთანხმა საიკსი, - ცულლუტი მეტისმეტად ცულლუტია, ან მოსვლა დაავიწყდება, ან გზიდან გადაუხვევს, ან მაძებრებს დაემალება, ან კიდევ რაიმეს მოიფიქრებს თავის გასამართლებლად, თუ ასეთ რამეს დაავალებთ. ყველაფერი ისე რომ მოხდეს, როგორც საჭიროა, თქვენს სოროში ნენსი წამოვა, მის არყოფნაში კი დავიძინებ.

ბევრი ვაჭრობისა და კინკლაობის შემდეგ ფეიჯინმა მოთხოვნილი ავანსი ხუთიდან სამ გირვანქა სტერლინგამდე, ოთხ შილინგსა და ექვს პენსამდე დაიყვანა და ფიცით არწმუნებდა, ამის შემდეგ მთელი მეურნეობის გასამდლოლად მხოლოდ თვრამეტი პენსი დამრჩებაო. მისტერ საიკსმა პირქუშად შენიშნა, რომ

იძულებული იყო, ამ თანხას დასთანხმებოდა, რაკი მეტს ვერაფერს მიიღებდა.

ნენსი ფეიჯინის გასაცილებლად მოემზადა, ცულლუტმა და მისტერ ბეიტსმა კი

საჭმელ-სასმელი ბუფეტში შეალაგეს. გულითად მეგობართან გამომშვიდობების შემდეგ ფეიჯინი ნენსისა და ბიჭებთან ერთად თავისი სოროსკენ გაუდგა გზას,

მისტერ საიკსი კი საწოლზე მიეგდო და ახალგაზრდა ლედის დაბრუნებამდე ძილს აპირებდა.

ფეიჯინის ბინამდე დაუბრკოლებლად მისულებს იქ ტობი კრეკიტი და მისტერ ჩიტლინგი დახვდათ, რომლებიც კრიბეჯის მეთხუთმეტე ხელს თამაშობდნენ და,

ალბათ, ზედმეტია იმის აღნიშვნა, რომ ამ უკანასკნელმა ჯენტლმენმა ისიც წააგო

და მასთან ერთად უკანასკნელი ექვსპენსიანი, რამაც ძალიან გაართო მისი ახალგაზრდა მეგობრები. მისტერ კრეკიტმა, ძალიან დამორცხვებულმა იმით, რომ მის მდგომარეობასა და გონებრივ შესაძლებლობებთან ასე დაბლა მდგომ ადამიანთან თამაშისას შეუსწრეს, დაამთქნარა, საიკსი მოიკითხა, შემდეგ შლაპა აიღო და წასასვლელად მოემზადა.

- ტობი, არავინ მოსულა? - შეეკითხა ფეიჯინი.

- სულიერი არ გაჭაჭანებულა, - უპასუხა მისტერ კრეკიტმა და საყელო აიწია, -

ცუდი ლუდივით კინაღამ ავმჟავდი. ამდენ ხანს სახლს რომ ვდარაჯობდი, სანაცვლოდ კარგი გამასპინძლება თქვენზეა, ფეიჯინ. ეშმაკმა დასწყევლოს, ნაფიცი მსაჯულივით გამოვშტერდი და ნიუგეიტის ციხესავით ჩავიძინებდი, ეს ყმაწვილი რომ არ გამოჩენილიყო. გეფიცებით, საშინელი მოწყენილობა იყო.

ტობი კრეკიტმა მოგებული თანხა აიღო და ჟილეტის ჯიბეში ისეთი მედიდური

იერთ ჩაიდო, თითქოს ვერცხლის წვრილი ფული სრულებით არ იმსახურებდა

მისთანა პიროვნების ყურადღებას; შემდეგ ოთახიდან ისეთი ელეგანტური და კეთილშობილური მიხრა-მოხრით გავიდა, მისტერ ჩიტლინგმა, აღტაცებით რომ

ათვალიერებდა მის ფეხებსა და ჩექმებს, ვიდრე თვალს არ მიეფარა, ოთახში მყოფებს განუცხადა, რომ ამ ადამიანთან ყოველი შეხვედრა დაახლოებით თხუთმეტი ექვსპენსიანის საფასური იყო, მაგრამ უფრო მეტის წაგებაც კი მისთვის წკიპურტივით უმნიშვნელო გახლდათ.

- ტომ, რა უცნაური ხართ, - თქვა მისტერ ბეიტსმა, რომელიც ძალიან გაართო ამ განცხადებამ.

- სრულებითაც არა, - უპასუხა მისტერ ჩიტლინგმა, - ფეიჯინ, თქვენც ფიქრობთ, რომ უცნაური ვარ?

- ძალიან გონიერი ყმაწვილი ხარ, ჩემო ძვირფასო, - ფეიჯინმა მხარზე ხელი დაჰკრა და ბიჭებს თვალი ჩაუკრა.

- მისტერ კრეკიტი კი მშვენივრადაა ჩაცმული, ხომ ასეა, ფეიჯინ? - შეეკითხა ტომი.

- რა თქმა უნდა, ჩემო ძვირფასო.

- და მასთან ნაცნობობა ჩემთვის დიდი პატივია. ხომ მართალია, ფეიჯინ? - არ ცხრებოდა ტომი.

- რასაკვირველია, ძალიან დიდი პატივია, ჩემო ძვირფასო. ამათ შენი შურთ,

იმითომ, რომ ტობი თავს არ უყადრებს.

- აჰ! - წამოიძახა აღფრთოვანებულმა ტომმა, - აი, რაში ყოფილა საქმე!

სულ

გამფცქვნა, მაგრამ შემიძლია, როცა მომესურვება, წავიდე და ფული ვიშოვო, ხომ

მართალია, ფეიჯინ?

- რასაკვირველია, შეგიძლია, ტომ, და რაც უფრო მალე წახვალ, მით

უკეთესია. დროს ნუ კარგავ, გამოიმუშავე ის ფული, რაც დაკარგე.

ცულლუტო!

ჩარლი! სამუშაოზე გასვლის დროა. გაინძერით! მალე ათი საათი გახდება და თქვენ კიდევ ჯერ არაფერი გაგიკეთებიათ.

ბიჭები ბრძანებას დაემორჩილნენ, ნენსის გამომშვიდობების ნიშნად თავი

დაუკრეს და ოთახიდან გავიდნენ; გზად მიმავალი ცულლუტი და მისი

მხიარული

მეგობარი ერთმანეთს ართობდნენ სხვადასხვაგვარი მახვილგონივრული ამბის

მოგონებით მისტერ ჩიტლინგზე, რომლის ქცევაც, სიმართლე ითქვას, არც

რაიმეთი იყო გამორჩეული და არც უცნაური, რადგან დედაქალაქში მრავალი

გონებაგამჭრიახი ახალგაზრდა დენდია, რომელიც ბევრად მეტ თანხას

ხარჯავს,

რათა კარგ საზოგადოებაში მოხვდეს, და არც ისე ცოტაა დახვეწილი

ჯენტლმენი

(რომლებიც ზემოხსენებულ კარგ საზოგადოებას შეადგენენ), რომელთა

რეპუტაცია თითქმის ისეთივე საძირკველზეა აგებული, როგორზეც გაქნილი

ტობი

კრეკიტისა.

- ახლა კი, - თქვა ფეიჯინმა მას შემდეგ, რაც ბიჭებმა ოთახი დატოვეს, -

წავალ და ფულს მოგიტან, ნენსი. ეს უბრალოდ, იმ კარადის გასაღებია,

ჩემო

ძვირფასო, სადაც ბიჭების მოტანილ რაღაც ნივთებს ვინახავ. ჩემს ფულს

არასოდეს ვკეტავ, იმითომ, რომ ჩასაკეტიც არაფერია, ჩემო კარგო... ჰა-ჰა-

ჰა!..

ჩასაკეტი არაფერია. ეს არ არის სარფიანი საქმე, ნენსი, თანაც უმადური

ხელობაა. მაგრამ მიყვარს, ჩემ გარშემო ახალგაზრდებს რომ ვუყურო და

ყველაფერს ვითმენ. ჩუ, - წამოიძახა და გასაღები სასწრაფოდ შეინახა, - ვინ

არის? ყური დაუგდე!

გოგონა მაგიდასთან გულხელდაკრეფილი იჯდა და როგორც ეტყობოდა,

სრულებით არ აინტერესებდა, ვინმე მოვიდა თუ წავიდა; მაგრამ ეს იქამდე,

ვიდრე მოსულის ხმა არ გაიგონა. მისი გაგონებისთანავე მკვირცხლად

მოიშორა

ქუდი და შალი და მაგიდის ქვეშ დამალა. როდესაც ებრაელმა მიიხედა,

ნენსი

მისუსტებული ხმით ჩახუთულობასა და სიცხეზე აწუწუნდა, რაც ძალიან არ

შეეფერებოდა რამდენიმე წამის წინანდელ ელვისებურ მოქმედებას, თუმცა,

ფეიჯინი მაშინ ზურგით იდგა და არაფერი დაუნახავს.

- ჰმ! - წამოიძახა თითქოს ამ შეფერხებით გულდაწყვეტილმა ებრაელმა, -

ეს

ის ადამიანია, რომელსაც ადრე ველოდებოდი; კიბეზე ჩამოდის. ნენსი, სანამ ის აქ არის, ფულზე სიტყვა არ დაძრა. ცოტა ხანს დარჩება. სულ ათი წუთი, ჩემო ძვირფასო.

ებრაელმა ტუჩებთან დაკრუნჩხული თითი მიიღო, ლამპა კართან მიიტანა, როდესაც მის უკან კიბეზე ნაბიჯების ხმა გაისმა. კართან ის და სტუმარი ერთდროულად მივიდნენ. ოთახში შესული სტუმარი გოგონას წინ აღმოჩნდა, რომელიც თავიდან ვერ შენიშნა.

სტუმარი მონკსი გახლდათ.

- ჩემი ერთ-ერთი შეგირდი გოგონაა, - თქვა ფეიჯინმა, როდესაც დაინახა, მონკსმა უცნობის დანახვაზე უკან როგორ დაიხია, - არ წახვიდე, ნენსი.

გოგონამ სკამი უფრო ახლოს მისწია მაგიდასთან და ცერად, გულგრილად გადახედა მონკსს, შემდეგ თვალი აარიდა, მაგრამ როდესაც მონკსმა ფეიჯინს შეხედა, ისეთი მახვილი და გამომცდელი მზერით შეათვალიერა, რომ სხვა დამკვირვებელი, ამგვარი ცვლილების მომსწრე, ძნელად თუ დაიჯერებდა, რომ ორივე მზერა ერთსა და იმავე არსებას ეკუთვნოდა.

- ახალი ამბავია? - დაინტერესდა ფეიჯინი.

- ძალიან მნიშვნელოვანი.

- და... და... კარგი? - ყოყმანით იკითხა ფეიჯინმა, თითქოს გადაჭარბებული კეთილგანწყობით სტუმრის გაღიზიანებას ერიდებოდა.

- ყოველ შემთხვევაში, ცუდი არ არის, - უპასუხა მონკსმა ღიმილით, - ამჯერად დრო უქმად არ დამიკარგავს. თქვენთან სალაპარაკო მაქვს.

გოგონამ მაგიდისკენ კიდევ უფრო ახლოს მიიწია და ჩანდა, ოთახიდან გასვლას არ აპირებდა, თუმცა, შესაძლოა, დაინახა, მონკსმა მასზე ფეიჯინს როგორ ანიშნა. ებრაელს, ალბათ, იმის შეეშინდა, რომ თუ ოთახიდან გააგდებდა, გოგონა ფულს მოითხოვდა, ამიტომ ანიშნა და მონკსი გაიყვანა.

- ოღონდ იმ დაწყევლილ სოროში არა, სადაც ამის წინ ვიყავით, - გაიგონა ნენსიმ სტუმრის ხმა, ვიდრე ისინი კიბეზე ადიოდნენ. ფეიჯინს გაეცინა და პასუხად რაღაც უთხრა, მერე ფიცრები აჭრიალდა და ეტყობოდა, სტუმარი მესამე სართულზე აჰყავდა.

მათი ნაბიჯების ექო ჯერ კიდევ არ მიმწყდარიყო, რომ გოგონამ ფეხსაცმელი გაიხადა, თავზე კაბის კალთა წამოიფარა, მასში ხელები ჩამალა, კართან დადგა და მიაყურა, მერე უჩუმრად გასრიალდა ოთახიდან, საოცრად მსუბუქად, უხმაუროდ ავიდა კიბეზე და სიბნელეს შეერია.

დაახლოებით ოცი წუთი, შესაძლოა, ცოტა მეტიც, ოთახში არავინ იყო; მერე გოგონა იმგვარივე უჩუმარი ნაბიჯით დაბრუნდა და სულ მალე გაისმა კიბეზე

მიმავალი ორი მამაკაცის ნაბიჯების ხმა. მონკსი მაშინვე ქუჩაში გავიდა, ხოლო ებრაელი ისევ ზემოთ ავიდა ფულის ასაღებად. ოთახში რომ შევიდა, გოგონას შლაპა ეხურა და შალს იხვევდა, თითქოს წასასვლელად ემზადებოდა.

- ეს რა არის, ნენსი? - წამოიძახა მან, სანთელი მაგიდაზე დადო და უკან დაიხია, - როგორი გაფითრებული ხარ!

- გაფითრებული! - ექოსავით გაისმა გოგონას ხმა, რომელმაც თვალები ხელით მოიჩრდილა, თითქოს მისთვის თვალებში დაკვირვებით სურდა შეეხედა.

- საშინლად ფერმკრთალი ხარ. რა დაგემართა?

- არც არაფერი. ამ ჩახუთულ ოთახში ვზივარ ამდენი ხანია, ეს არის და ეს, - აგდებულად მიუგო გოგონამ, - მიდი, გამიშვით, დროა.

ფეიჯინმა ოხვრით ჩაუთვალა ხელისგულზე თითოეული მონეტა. აღარაფერი უთქვამთ, ერთმანეთს მხოლოდ დამე მშვიდობისა უსურვეს.

ქუჩაში გასული გოგონა კართან საფეხურზე ჩამოჯდა და რამდენიმე წამს გაუნძრევლად იჯდა, თითქოს გაოგნებულს გონზე მოსვლა სურდა, რადგან დაუყოვნებლივ გზის გაგრძელება არ შეეძლო. უეცრად წამოხტა და იმ მხარის საპირისპიროდ გაქანდა, სადაც ბილ საიკსი ელოდებოდა, ნაბიჯს აუჩქარა, მერე კიდევ და კიდევ, ვიდრე სიარული სირბილში არ გადაიზარდა. ბოლოს, ძალაგამოცლილი სულის მოსათქმელად შეჩერდა და უეცრად გაიაზრა, რომ ჩანაფიქრის შესრულება შეუძლებელი იყო, სასოწარკვეთილი ხელებს იმტვრევდა და ბოლოს აქვითინდა.

შესაძლოა, ცრემლებმა შვება მოჰგვარა ან თავისი მდგომარეობის სრული უიმედობა შეიგნო; ასეა თუ ისე, ახლა იმავე სისწრაფით მეორე მხარეს გაიქცა, ნაწილობრივ დაკარგული დროის ასანაზღაურებლად და ნაწილობრივ იმიტომ, რომ ფეხი აეწყო თავისი აზრების უსწრაფესი მდინარებისთვის, - და მალე იმ სახლამდე მიაღწია, სადაც მძარცველი ცხოვრობდა.

თუ მისტერ საიკსის წინაშე თავისი მღელვარება რაიმეთი გამოხატა კიდევ, მას არაფერი შეუნიშნავს; მხოლოდ ის იკითხა, ფული თუ მოიტანეო და როდესაც დადებითი პასუხი მიიღო, კმაყოფილმა რაღაც ჩაიბურტყუნა, ისევ ბალიშზე დადო თავი და დაიძინა.

ნენსისთვის საბედნიეროდ, ფულმა საიკსი აიძულა, მეორე დღე სასმელ-საჭმელზე ზრუნვაში გაეტარებინა, გარდა ამისა, ამან მის ბუნებაზე კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა და პირქუშობა შეარბილა, ამიტომ მძარცველს არც დრო ჰქონია და არც სურვილი, გოგონას ქცევა გაეკონტროლებინა. ნენსის დაბნეულობა და აგზნებულობა იმ ადამიანისას ჰგავდა, რაღაც გაბედულისა და საშიშის ჩადენა რომ გადაუწყვეტია, რასაც დიდი სულიერი ბრძოლის გადატანა სჭირდება გადაწყვეტილების მიღებამდე; ამ

ყველაფერს ფეიჯინი თავისი ფოცხვრის თვალებით მაშინვე შეატყობდა და, ალბათ, განგაშსაც ატეხდა, მაგრამ მისტერ საიკსი დაკვირვებულობით არ გამოირჩეოდა; მას მხოლოდ ისეთი რამ აშფოთებდა, რისი ჩახშობაც ყველასა და

თითოეულთან უხეშობით იყო შესაძლებელი და გარდა ამისა, ზემოთაც ითქვა,

რომ მეტად კარგ ხასიათზე ბრძანდებოდა და ნენსის საქციელში უჩვეულო ვერაფერი შენიშნა; იმდენად უყურადღებოდ ეკიდებოდა, რომ ნენსის მეტი მღელვარებაც რომ დასტყობოდა, ეს საიკსს ვერ დააეჭვებდა.

დღის ბოლოს გოგონას აგზნებულობა გაიზარდა, როდესაც მძარცველის გვერდით ჩამომჯდარი იცდიდა, როდის დალევდა და დაიძინებდა. ლოყები ისე

გაუფითრდა, ხოლო თვალეები ისე უელავდა, რომ გაცეცხულმა საიკსმაც კი შეამჩნია.

ციებ-ცხელებით დასუსტებული მისტერ საიკსი საწოლზე იწვა და ჯინს ცხელი წყლით აზავებდა მისი აღმგზნები მოქმედების შესამცირებლად; ნენსის მესამედ

თუ მეოთხედ გაუწოდა შესავსებად, როდესაც გოგონას იერმა გააოგნა.

- ეი, ეშმაკმა წამიღოს! - წამოიძახა და იდაყვებზე წამოწეული გოგონას სახეში

მიაჩერდა, - გაცოცხლებულ მკვდარს ჰგავხარ. რა მოხდა?

-- რა მოხდა? - გაიმეორა გოგონამ, - არაფერი. რას მომაშტერდი?

- ეს რა მასხარაობაა? - შეეკითხა საიკსი, ხელებში ჩაეჭიდა და უხეშად შეანჯღრია, - ეს რას ნიშნავს? რა ჩაიფიქრე? რაზე ფიქრობ?

- ბევრ რამეზე, ბილ, - უპასუხა გოგონამ, შეხტა და სახეზე ხელები აიფარა, -

მაგრამ, ღმერთო! ამას რა მნიშვნელობა აქვს?

მოჩვენებითმა მხიარულებამ, რომლითაც უკანასკნელი სიტყვები იყო ნათქვამი, საიკსზე უფრო მეტი შთაბეჭდილება დატოვა, ვიდრე იმ ველურმა, ურყევმა გამოხედვამ, მათ რომ უსწრებდა.

- აი, რას გეტყვი, - დაიწყო საიკსმა, - თუ ციებ-ცხელება არ გადაგედო და ავად

არა ხარ, ესე იგი, სხვა რაღაცაშია საქმე, რაღაც განსაკუთრებული და შეიძლება,

საშიშიც ხდება. ხომ არ აპირებ... არა, ეშმაკმა დალაზვროს, ამას არ გააკეთებდი!

- რას არ გავაკეთებდი? - ჰკითხა გოგონამ.

- არაფრის გულისათვის, - თქვა საიკსმა ისე, რომ თვალს არ აცილებდა და ამ

სიტყვებს თავისთვის ბურტყუნებდა, - ამქვეყნად ამაზე სანდო გოგო არ არის, თუ

არა და, სამი თვის წინ გამოვჭრიდი ყელს. ციებ-ცხელება ეწყება; აი, რა მოხდა.

თავის ამგვარად დამშვიდების შემდეგ საიკსმა ჭიქა გამოცალა, მერე ბუზღუნით შეივინა და წამალი მოითხოვა. გოგონა სწრაფად წამოხტა, მისკენ ზურგით მდგარმა წამალი ჩამოასხა და ჭიქა საიკსის ტუჩებთან იქამდე ეჭირა, ვიდრე არ გამოცალა.

- ახლა კი, - თქვა მძარცველმა, - აქ ჩამოჯექი და ისეთი სახე უნდა გქონდეს, როგორც ყოველთვის, თორემ ისე აგიჭრელებ, საკუთარ თავს ვეღარ იცნობ.

გოგონა დაემორჩილა. საიკსმა მისი ხელები თავისაში მოიქცია, ბალიშზე გადაწვა და თვალს არ აცილებდა. თვალები დახუჭა, ისევ გაახილა, დახუჭა, გაახილა. მოუსვენრად გადაბრუნდა, რამდენჯერმე ორი-სამი წუთით ჩათვლიდა

და მერე შეშინებული წამოვარდა, ირგვლივ უაზროდ იყურებოდა და უეცრად სწორედ იმ წუთს, როდესაც წამოდგომა დააპირა, ღრმა ძილმა წაართვა თავი.

თითები მოეშვა, აწეული ხელი დუნედ ჩამოუვარდა; ისე იწვა, თითქოს გონება დაკარგა.

- როგორც იქნა, ოპიუმმა იმოქმედა, - წაიჩურჩულა გოგონამ და საწოლს მოსცილდა, - მაგრამ, ვინ იცის, იქნებ ახლა ყველაფერი გვიანია.

სწრაფად დაიხურა შლაპა, შალში შეიფუთნა, დროდადრო შიშით გადახედავდა მძინარეს, თითქოს ეშინოდა, მის მხარზე საიკსის მძიმე ხელი არ

დაშვებულიყო; მერე ფრთხილად დაიხარა საწოლზე, მძარცველს ტუჩებში აკოცა, უხმაუროდ გააღო კარი და გარეთ გავარდა.

ბნელ შესახვევში, რომელიც მთავარ ქუჩაზე გადიოდა, ღამის დარაჯმა ათის ნახევარი იყვირა.

- დიდი ხნის წინ იყო? - შეეკითხა გოგონა.

- ოცი წუთის შემდეგ ათი დარეკავს, - უპასუხა დარაჯმა და გოგონას სახეში ფარანი მიანათა.

- იქ მისვლამდე ერთი საათი მაინც მჭირდება, - წაიბურტყუნა ნენსიმ, დარაჯს

სწრაფად აუქცია გვერდი და გაიქცა.

იმ ყრუ ქუჩებზე და შესახვევებში, რომლებითაც სპიტელფილდსიდან ლონდონის ცენტრისკენ გარბოდა, ფარდულების უმეტესობა დაკეტილი იყო. როდესაც ათმა საათმა დაჰკრა, მისმა მოუსვენრობამ იმატა. ვიწრო ტროტუარებზე გარბოდა, გამვლელებს ხელის კვრით იშორებდა, ცხენების წინ გასხლტებოდა ხოლმე, გადატვირთულ ქუჩებს, სადაც ადამიანები მოთმინებით ელოდნენ გზის გახსნას, სირბილით გადაჭრიდა ხოლმე.

- ეს ქალი შეიშალა, - ამბობდნენ გამვლელები და მიბრუნებულები თვალს აყოლებდნენ, ის კი მიქროდა.

ბოლოს ქალაქის მდიდრულ კვარტალამდე მიაღწია; აქ ქუჩებში მეტი სიხალვათე იყო და მისმა სირბილმა კანტიკუნტ გამვლელებში მეტი ცნობისმოყვარეობა აღძრა. ზოგიერთი ნაბიჯს უჩქარებდა, თითქოს

ანტერესებდათ, სად მიიჩქაროდა; ისინი, ვინც დაწევას ახერხებდნენ, გაკვირვებული უყურებდნენ, რადგან იმავე სისწრაფით მირბოდა; მაგრამ ასეთები თანდათან ჩამოსცილდნენ და როდესაც საჭირო ადგილამდე მიაღწია, სრულიად მარტო იყო.

ჰაიდ-პარკის სიახლოვეს, წყნარ, ლამაზ ქუჩაზე, სახლი იდგა. როდესაც პარმალის თავზე ჩამოკიდებული ფარნის კაშკაშა სინათლემ ამ სახლამდე მიიყვანა, უკვე თერთმეტმა საათმა ჩამოჰკრა. ჯერ ნაბიჯი შეანელა, თითქოს მხნეობის მოკრება სურდა სახლთან მიახლოებამდე, მაგრამ საათის რეკვამ გადაწყვეტილება მიაღებინა... კარისკაცი შესასვლელში არ იდგა, ამიტომ ნენსიმ

ჯერ ყოყმანით მიიხედ-მოიხედა, მერე კიბისკენ წავიდა.

- ქალიშვილო! - მის ზურგს უკან რომელიღაც კარიდან ქალმა გამოიხედა, - ვინ გნებავთ?

- ქალბატონი, რომელიც ამ სახლში ცხოვრობს, - უპასუხა ნენსიმ.

- ქალბატონი? - ზიზღნარევი მზერა შეავლო ქალმა, - რომელი ქალბატონი?

- მის მეილი, - თქვა ნენსიმ.

ქალმა, რომელმაც ახლა დაკვირვებით შეათვალიერა მისი სამოსი, მხოლოდ ზიზღით შეხედა ნენსის და მერე ვიდაც მამაკაცს დაუძახა. ნენსიმ თხოვნა მასაც გაუმეორა.

- რა მოვახსენო, ვინ კითხულობს? - შეეკითხა მსახური.

- გვარის თქმა საჭირო არ არის, - უპასუხა გოგონამ.

- რა საქმეზე ხართ? - ისევ შეეკითხა მსახური.

- არც ამის თქმა საჭირო, - არ შეეპუა გოგონა, - ახალგაზრდა ლედი უნდა ვნახო.

- წადით! - მსახურმა კარისკენ უბიძგა, - საკმარისია, გაეთრიეთ!

- შეგიძლიათ აქედან ძალით გამიყვანოთ, მაგრამ ჩემი ნებით არ წავალ! - დაიყვირა გოგონამ, - იმასაც მოვახერხებ, რომ ორნი ვერ მომერევით. ნუთუ აქ

არავინაა ისეთი, ვისაც შეუძლია ჩემნაირი საბრალე არსების თხოვნა შეასრულოს?!

ამ წამომახილმა შთაბეჭდილება მოახდინა მზარეულზე, რომელიც სხვა მსახურებთან ერთად ადევნებდა თვალს ყველაფერს და საქმეში ჩაერია.

- მოახსენეთ, ჯო, რა მოხდება, - თქვა მზარეულმა.

- რა აზრი აქვს? - არ დაეთანხმა ის, - ნუთუ გგონიათ, რომ ახალგაზრდა ლედი ასეთ არსებას მიიღებს?

ნენსის საეჭვო რეპუტაციაზე ამ მინიშნებამ ოთხი მოსამსახურის უმწიკვლო

გულისწყრომა გამოიწვია, რომლებმაც დიდი გაცხარებით განაცხადეს, რომ ეს ნაგავი თავის სქესს არცხვენს და გადაჭრით მოითხოვეს მისი დაუნანებლად მოსროლა არხში.

- რაც გინდათ, ის გააკეთეთ, - თქვა ნენსიმ და მამაკაცებს მიუბრუნდა, - მაგრამ ჯერ ჩემი თხოვნა შეასრულეთ, ეს კი, ღმერთია მოწამე, მხოლოდ და მხოლოდ ის არის, რომ ჩემი მოსვლა აცნობოთ.

გულკეთილი მზარეული ისევ ჩაერია და საქმე იმით დასრულდა, რომ პირველად გამოსული მსახური ზემოთ ავიდა.

- მაშ, რა გადავცე? - იკითხა მან, როდესაც ცალი ფეხით კიბის საფეხურზე იდგა.

-- რომ ერთ ახალგაზრდა ქალს დაბეჯითებით სურს მის მეილისთან განმარტობით საუბარი, - უპასუხა ნენსიმ, - ხოლო როდესაც ქალბატონი თუნდაც ერთ სიტყვას გაიგებს მისი მონაყოლიდან, თავად გადაწყვეტს, მოუსმინოს ბოლომდე თუ გააგდოს, როგორც მატყუარა.

- უნდა გითხრათ, რომ ძალიან ჯიუტი ხართ, - თქვა მსახურმა.
- მხოლოდ ეს გადაეცით, - მტკიცედ თქვა გოგონამ, - და პასუხს ველოდები.

მსახურმა კიბეზე აირბინა. გაფითრებული ნენსი, რომელიც სულს ძლივს ითქვამდა, ქვემოთ იდგა და აკანკალებული ბაგეებით უსმენდა იმ ხმამაღალ, ზიზზნარევი შენიშვნებს, რომლებსაც მკაცრი მოსამსახურეები არ იშურებდნენ; როდესაც მსახური დაბრუნდა და ახალგაზრდა ქალი ზემოთ მიიწვია, მოსამსახურეების რისხვამ იმატა.

- რა აზრი აქვს ამქვეყნად წესიერად ცხოვრებას? - თქვა პირველმა მოსამსახურემ.

- ზოგჯერ სპილენძი ოქროზე მეტად ფასობს, თუმცა, მას ცეცხლის არ ეშინია! -
შენიშნა მეორემ.

მესამემ გაოგნებულმა ჩაურთო: „რისგან არიან ქალბატონები შექმნილი?“, ხოლო მეოთხემ სათავე დაუდო კვარტეტს: „სამარცხვინო!“, რასაც ოთხივე ეს
დიანა ერთხმად დაეთანხმა.

ნენსის ისედაც სიმძიმე აწვა გულზე, ამიტომ ამ ყველაფერს ყურადღებას არ აქცევდა, მთელი სხეულით აკანკალებული მსახურს შეჰყვავა პატარა წინაოთახში,

რომელსაც ჭერში ჩამოკიდებული ლამპა ანათებდა. მსახურმა ამ ოთახში დატოვა და გავიდა.

თავი 40 უცნაური პაემანი, რომელიც წინა თავში მოთხრობილი ამბის გაგრძელებაა

ნენსის ცხოვრება ლონდონის ქუჩებში, ყველაზე გულისამრევ ბუნაგებსა და სოროებში მიედინებოდა, მაგრამ მან ქალისთვის დამახასიათებელი ერთგვარი წესიერება მაინც შეინარჩუნა და როდესაც გაიგონა მსუბუქი ნაბიჯების ხმა, რომელიც სულ უფრო ახლოვდებოდა, თავის პირდაპირ კარს მიაჩერდა და იმ სიღრმისეულ კონტრასტზე გაიფიქრა, რომლის მომსწრეც რამდენიმე წამის

შემდეგ გახდებოდა ეს პატარა ოთახი, კიდევ ერთხელ იგრძნო სირცხვილი საკუთარი მდგომარეობის გამო და ისე მოიკუნტა, თითქოს აღარ შეეძლო იმ ქალის აქ ყოფნის ატანა, რომელთანაც შეხვედრას მანამდე ასე დაჟინებით ითხოვდა.

მაგრამ ამ საუკეთესო თვისებებს წინააღმდეგობას უწევდა სიამაყე - ყველაზე გარყვნილებისა და დამცირებულებისთვის დამახასიათებელი ცოდვა, ისევე როგორც განდიდებულებისა და თავის თავში დარწმუნებულებისთვის. ქურდებისა და მძარცველების ბედშავი თანამზრახველი, დაცემული არსება, ჭუჭყიანი ბუნაგების ნაშიერი, ყველაზე საზიზღარი დამნაშავეების ხელშემწყობი,

რომელსაც სახრჩობელა ემუქრებოდა - ეს ცოდვებში ჩაფლული არსებაც კი მეტისმეტად ამაყი იყო, რომ ქალისთვის დამახასიათებელი მგრძნობელობა თუნდაც სულ მცირედით გამოევილინა; მგრძნობელობა, რომელიც მას სისუსტედ

მიაჩნდა, თუმცა, სწორედ ის აკავშირებდა ადამიანურ ბუნებასთან, რომლის კვალი მის ბავშვობაში წაიშალა. თვალეზი მხოლოდ იმისთვის ასწია, რომ დარწმუნებულიყო, მის წინ ნატიფი და მშვენიერი ქალიშვილი იდგა, მერე მზერა

აარიდა, თავი მოჩვენებითი უდარდებლობით გადააქნია და თქვა:

- ვერასოდეს ვიფიქრებდი, ქალბატონო, რომ ასე ძნელია თქვენთან შეხვედრა. გული რომ მომსვლოდა და წავსულიყავი, როგორადაც ბევრი ჩემს ადგილზე მოიქცეოდა, ძალიან ინანებდით და არცთუ უსაფუძვლოდ.

- ძალიან ვწუხვარ, თუ უხეზად მოგექცნენ, - უპასუხა როუზმა, - შეეცადეთ, დაივიწყოთ. მითხარით, რისთვის გასურდათ ჩემთან შეხვედრა. მე ის ვარ, ვისაც ეძებთ.

ალერსიანი მიმართვა, ნაზი ხმა, თვინიერი ზრდილობა, ასევე ისიც, რომ სრულებით არ იგრძნობოდა მედიდურობა ან უკმაყოფილება, ნენსისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა და ცრემლებად დაიღვარა.

- ოჰ, ქალბატონო, ქალბატონო! - წამოიძახა გოგონამ, ხელების მტვრევას მოჰყვა, - თქვენისთანა ბევრი რომ იყოს, ჩემნაირი უფრო ცოტა იქნება... ცოტა!

- დაბრძანდით, - მტკიცედ უთხრა როუზმა, - თუ ღარიბი ხართ და რაიმე უბედურება დაგატყდათ თავს, მთელი სულითა და გულით, რითაც შემეძლება, დაგეხმარებით. დაბრძანდით.

- ნება მომეცით, ქალბატონო, ფეხზე ვიდგე, - თქვა ატირებულმა გოგონამ, - და ასე ალერსიანად ნუ მესაუბრებით, ვიდრე არ გაიგებთ, ვინ ვარ. უკვე გვიანაა. ეს... ეს კარი დაკეტილია?

- დიახ, - თქვა როუზმა და რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია, თითქოს სურდა, საჭიროების შემთხვევაში ვინმე დასახმარებლად მოსულიყო, - რატომ იკითხეთ?

- იმიტომ, - თქვა ნენსიმ, - რომ ვაპირებ ჩემი და სხვების ცხოვრება თქვენ

გადმოგცეთ. მე ვარ ის გოგონა, რომელმაც პატარა ოლივერი იმ სადამოს, როდესაც ის პენტონვილის სახლიდან გავიდა, მოიტაცა და ბებერ ფეიჯინს მიუყვანა.

- თქვენ?! - წამოიძახა როუზ მეილიმ.

- დიახ, ქალბატონო! - უპასუხა გოგონამ, - სწორედ მე ვარ ის უსინდისო ქალი,

რომელზედაც გაგიგონიათ, ქურდებს შორის ვცხოვრობ მას შემდეგ, - ღმერთმა

იცის! - იმ დროიდან, რაც თავი მახსოვს, იმ დროიდან, რაც ჩემმა თვალებმა და

გრძნობებმა ლონდონის ქუჩები იხილა, და უკეთესი ცხოვრება არც მინახავს, არ

გამიგონია ალერსიანი სიტყვები იმათ გარდა, რითაც მიმასპინძლებოდნენ. ნუ

გემინიათ, შეგიძლიათ, უკან დაიხიოთ, ქალბატონო. იმაზე ახალგაზრდა ვარ,

ვიდრე მეტყობა, მაგრამ ამას შევეგუე. როდესაც ხალხმრავალ ქუჩაში მივდივარ,

ყველაზე ღატაკი ქალებიც კი უკან იხევენ და თავს მარიდებენ.

- რა საშინელებაა ეს ყველაფერი! - როუზმა უნებურად მართლაც უკან დაიხია.

- მუხლმოდრეკილმა მადლობა უთხარით უფალს, ძვირფასო ქალბატონო, - წამოიძახა გოგონამ, - რომ მეგობრები გყავდათ, რომლებიც ადრეული ბავშვობიდან თქვენზე ზრუნავდნენ, გიცავდნენ და არასოდეს გამოგიცდიათ სიცივე, შიმშილი, აყალმაყალი და ლოთობა... და კიდევ ბევრად უარესიც, რაც

აკვნიდანვე ვიცი. ამის თქმა შემეძლია, იმიტომ, რომ ჩემი სახლი მიყრუებული

შესახვევი და წყალსადინარი თხრილი იყო... ეს იქნება ჩემი სასიკვდილო სარეცელიც.

- ძალიან მეცოდებით! - აკანკალებული ხმით თქვა როუზმა, - გული მეწურება, როცა გისმენთ.

- ღმერთმა გადაგიხადოთ სიკეთისთვის, - უპასუხა გოგონამ, - რომ იცოდეთ,

ზოგჯერ როგორ მინდა, ვილაცამ შემეცოდოს. მაგრამ მე ხომ მალულად გამოვიქეცი იმათგან, რომლებმაც შეიძლება მომკლან, რომ გაიგონ, აქ მოვედი და იმის მოყოლას ვაპირებ, რაც მიყურადებით მოვისმინე. თუ იცნობთ ადამიანს,

რომლის გვარია მონკსი?

- არა, - უპასუხა როუზმა.

- ის კი გიცნობთ, - განაცხადა გოგონამ, - და იცის, რომ ამ სახლში ცხოვრობთ.

მე ხომ სწორედ იმიტომ გიპოვეთ, რომ მოვისმინე, ეს ადგილი დაასახელა.

- ეს გვარი არასოდეს გამიგია, - თქვა როუზმა.

- ესე იგი, შეიძლება თქვენთან სხვა სახელით მოდის, - უპასუხა ნენსიმ, - ამას

ადრეც ვეჭვობდი. რამდენიმე ხნის წინ, სულ მალე მას შემდეგ, რაც ოლივერი

თქვენს ფანჯარაში გადმოსვებს და გაქურდვას ცდილობდნენ, ამ ადამიანზე რაღაც ვიეჭვე და მისი ფეიჯინთან საუბარი მალულად მოვისმინე. მაშინ მივხვდი,

რომ მონკსია სწორედ ის ადამიანი, რომელზედაც შეგეკითხეთ...

- დიახ, - თქვა როუზმა, - გასაგებია.

- ...ამ მონკსმა, - განაგრძო როუზმა, - შემთხვევით დაინახა ოლივერი ორ ჩვენიან ბიჭთან ერთად იმ დღეს, როდესაც შემთხვევით დავკარგეთ და მასში მაშინვე ამოიცნო ის ბავშვი, რომელსაც უთვალთვალეზა, მაგრამ ვერ მივხვდი,

რა მიზნით. ფეიჯინთან მოილაპარაკა, რომ თუ ოლივერს ისევ დაიჭერდნენ, ის

გარკვეულ თანხას მიიღებდა, მაგრამ მიიღებდა კიდევ მეტს, თუ მას ქურდობას

მიაჩვევდა და სწორედ ეს უნდოდა ყველაზე მეტად მონკსს.

- რისთვის? - შეეკითხა როუზი.

- იმ დღეს, როდესაც ამის გაგებას ვცდილობდი, კედელზე ჩემი ჩრდილი დაინახა, - უპასუხა ნენსიმ, - ცოტაა ისეთი, ვინც ჩემნაირად ოსტატურად თავის

დაღწევას მოახერხებდა ასეთ შემთხვევაში, მაგრამ მოვახერხე. გუშინდელ საღამომდე არ მინახავს.

- გუშინ რა მოხდა?

- ახლავე მოგიყვებით, ქალბატონო. გუშინ საღამოს ისევ მოვიდა. ისევ ზემოთ

ავიდნენ სალაპარაკოდ. მეც ისე შევიფუთნე, რომ ჩრდილი არ დასცემოდა კედელს, კართან ვიდექი და ვუსმენდი. პირველი, რაც გავიგონე, მონკსის სიტყვები იყო: „მამ, ასე, ბავშვის პიროვნების დამადასტურებელი

ერთადერთი

საბუთი მდინარის ფსკერზეა, ბებრუხანა, რომელმაც ეს ნივთები

დედამისისგან

მიიღო, საფლავეში გდია“. მან და ფეიჯინმა გადაიხარხარეს და იმაზე დაიწყეს საუბარი, როგორ ხელსაყრელად მოგვარდა ეს საქმე; მერე მონკსმა ბიჭზე დაიწყო საუბარი და განრისხებულმა თქვა, რომ მართალია, ამ ეშმაკის ნაშიერის

კუთვნილი ფული ჩაიჯიბა, მაგრამ ერჩივნა, ეს სხვა გზით მოეხერხებინა: კარგი

იქნებოდა, მამის ანდერძის აბუჩად აგდება, ქალაქის ყველა ციხეში ბავშვის თრევა და მერე რომელიმე მძიმე დანაშაულისთვის მისი სახრჩობელაზე ჩამოკიდება, ამის მოგვარება, ფეიჯინ, თქვენ სულ ადვილად შეგიძლიათ, მანამდე კი კარგად დაამუშავებდითო.

- ეს რა არის! - წამოიძახა როუზმა.

- სრული სიმართლეა, ქალბატონო, თუმცა, ამას მე ვამბობ, - უპასუხა ნენსიმ,

- მერე მონკსმა ჩემთვის ჩვეული, მაგრამ თქვენთვის უცხო ლანძღვა-გინებით თქვა, რომ საკუთარი სიძულვილის დასაკმაყოფილებლად ბიჭს სიცოცხლესაც გამოასალმებდა, მაგრამ არ უნდა გარისკოს, და რაკი ამგვარი რამ შეუძლებელია, არ მოაცილებს მას თვალს; უპირატესობა მის მხარეზეა, რადგან

ბიჭის ვინაობისა და წარმომავლობის შესახებ ყველაფერი იცის და ერთხელაც იქნება, ავნებს მას. „მოკლედ, ფეიჯინ, - თქვა მონკსმა, - მართალია, ებრაელი

ხართ, მაგრამ ჯერ არასოდეს დაგიგიათ ისეთი ხაფანგები, როგორც ჩემი ძმის,

ოლივერისთვის მოვამზადე“.

- თავისი ძმისთვის! - წამოიძახა როუზმა.

- მისი სიტყვებია, - თქვა ნენსიმ და შიშით მიმოიხედა, როგორც იმზირებოდა,

ვიდრე ჰყვებოდა, რადგან საიკსის აჩრდილი მოსვენებას არ ამღევდა, - მაგრამ

ამით არ დასრულებულა. მერე თქვენსა და მეორე ქალბატონზე ალაპარაკდა, თქვა, რომ ღმერთმა ან ეშმაკმა იწება, რომ მისთვის ზიანის მისაყენებლად, ოლივერი თქვენს ხელთ აღმოჩნდა, გადაიხარხარა და განაცხადა, რომ ესეც კი ახარებს, იმიტომ, რომ ასობით და ათასობით გირვანქა სტერლინგსაც კი არ დაიშურებდით იმ ინფორმაციის გასაგებად, ვინ არის თქვენი ორფეხა სპანიელი.

- ნუთუ ასეთი რამ მართლა თქვა? - გაფითრდა როუზი.

- გადაჭრით და ძალიან გაბოროტებული ლაპარაკობდა, - თავი გააქნია გოგონამ, - როდესაც სიძულვილი იპყრობს, არ ხუმრობს. ბევრს ვიცნობ, ათასჯერ

უარესს რომ სჩადიან, მაგრამ მირჩვენია, ათჯერ და მეტჯერ მოვუსმინო მათ, ვიდრე ერთხელ ამ მონკსს. ახლა უკვე გვიანაა, უნდა დავბრუნდე, რომ რამე არ

იეჭვონ. ძალიან მალე უნდა მივიდე შინ.

- მაგრამ მე როგორღდა მოვიქცე? - თქვა როუზმა, - თქვენ გარეშე რა სარგებლობის მოტანა შეუძლია ამ ცნობებს? სახლამდე მიხვიდეთ? რატომ გინდათ დაუბრუნდეთ იმ კომპანიონებს, რომლებიც ასე საზარლად დაახასიათეთ? თუ ერთ ჯენტლმენტან გაიმეორებთ ამ ყველაფერს, რომელსაც მეზობელი ოთახიდან ახლავე დაფუძახებ, ნახევარი საათიც არ გავა და სრულიად უსაფრთხო ადგილზე წაგიყვანენ.

- დაბრუნება მინდა, - თქვა გოგონამ, - იმიტომ უნდა დავბრუნდე, რომ... როგორ გითხრათ ასეთი რამ უმწიკვლო ახალგაზრდა ლედის?... იმიტომ, რომ იმ

ადამიანებს შორის ერთია, ყველაზე თავზე ხელაღებული, და მისი მიტოვება არ

შემიძლია, დიახ, არ შემიძლია, იმის საფასურადაც კი, რომ შეიძლება ზურგი შევაქციო ამჟამინდელ ცხოვრებას.

- ამ საყვარელი ბიყის დაცვა, - თქვა როუზმა, - თქვენი აქ მოსვლა, რომ დიდი საფრთხის მიუხედავად, ყველაფერი მომიყვებით, რაც გაიგონეთ, თქვენი იერი, რომელიც თქვენი სიტყვების სიმართლეში მარწმუნებს, თქვენი აშკარა სინანული და დამორცხვება, ეს ყველაფერი მაფიქრებინებს, რომ ჯერ კიდევ შესაძლებელია თქვენი გამოსწორება. ოჰ! - გულწრფელმა გოგონამ ხელები ცისკენ აღმართა, სახეზე ცრემლები ჩამოსდიოდა, - ნუ დარჩებით ყრუ სხვა ქალის ვედრებისადმი, რომელმაც, დარწმუნებული ვარ, პირველმა მოგმართათ თანაგრძნობისა და სიბრალულის სიტყვებით. გამიგონეთ, მომეცით საშუალება, უკეთესი მომავლისთვის გადაგარჩინოთ!

- ქალბატონო, - წამოიძახა ნენსიმ და მუხლებზე დაეცა, - ძვირფასო, ანგელოზივით კეთილო ქალბატონო! დიახ, პირველი ხართ, ვინც ამგვარი სიტყვებით გამაბედნიერა, რამდენიმე წლის წინ რომ გამეგონა ისინი, შესაძლოა, მართლაც ავრიდებოდი ცოდვისა და მწუხარების გზას, მაგრამ ახლა დაგვიანებულია, ძალიან დაგვიანებული.

- მონანიება და ცოდვის გამოსყიდვა დაგვიანებული არასოდეს არის, - თქვა როუზმა.

- დაგვიანებულია, - წამოიძახა გოგონამ, რომელსაც სულიერი ტანჯვა მოსვენებას არ აძლევდა, - ახლა მისი მიტოვება არ შემიძლია. მის სიკვდილში დამნაშავე ვერ გავხდები.

- რატომ იქნებით დამნაშავე? - შეეკითხა როუზი.

- ვერაფერი იხსნის! - წამოიძახა ნენსიმ, - სხვებს რომ ის მოვუყვე, რაც თქვენ გაგიმხილეთ, ყველას დაიყქერენ, ის კი სიკვდილს ვერ ასცდება. ის ყველაზე სასტიკი და თავზე ხელადღებულია.

- ნუთუ შესაძლებელია საკუთარ მომავალსა და სულის ხსნაზე ასეთი ადამიანის გამო თქვათ უარი? ეს ხომ სიგიჟეა!

- არ ვიცი, ეს რა არის, - უპასუხა გოგონამ, - მხოლოდ ის ვიცი, რომ ასე ხდება და ჩემ გარდა ასობით სხვა, ჩემსავით ზნედაცემულ და ბეჩავ ქალს მოსვლია იგივე. უნდა დავბრუნდე. ჩემი ჩადენილი ბოროტებისთვის მსჯის ღმერთი თუ არა, არ ვიცი, მაგრამ ყველაფერი მისკენ მეწევა ყველა სატანჯველის, ცემა-ტყეპის მიუხედავად, და ასე იქნება იმ შემთხვევაშიც, რომ მითხრან, სიკვდილი მისი ხელით მიწერია.

- როგორ მოვიქცე? - თქვა როუზმა, - არ უნდა გაგიშვათ.

- უნდა გამიშვათ, ქალბატონო! - ფეხზე წამოიყრა ნენსი, - ვერ შემაჩერებთ, იმიტომ, რომ თქვენს სიკეთეს მივინდე და არავითარი პირობა არ დამითქვამს, თუმცა, შემემლო, ასე მოვქცეულიყავი.

- რა სარგებელი აქვს თქვენს ცნობებს? - შეეკითხა როუზი, - ამ საიდუმლოს გარკვევა აუცილებელია, სხვაგვარად ეს ვერ დაეხმარება ოლივერს, რომლის გამოც მოიქცით ასე, როგორც თავად მითხარით.

- თქვენს ნაცნობებში აუცილებლად მოიძებნება კეთილი ჯენტლმენი, რომელიც მოგისმენთ, საიდუმლოს შეინახავს და რჩევას მოგცემთ, როგორ მოიქცეთ, - უპასუხა ნენსიმ.

- მაგრამ როგორ მოგძებნოთ, თუ დაგვჭირდით? - შეეკითხა როუზი, - სრულებით არ მინდა, ვიცოდე, სად ცხოვრობენ ეს ამაზრზენი ადამიანები; ხომ

ვერ შეძლებდით რომელიმე გარკვეულ საათზე, ვთქვათ, სადმე გესეირნათ?

- მპირდებით, რომ ჩემს საიდუმლოს შეინახავთ და მარტო ან მხოლოდ იმ ადამიანთან ერთად მოხვალთ, ვისაც ის გაანდეთ? მპირდებით, რომ არ ჩამისაფრდებიან და არ მითვალთვალებენ? - შეეკითხა ნენსი.

- საზეიმოდ გპირდებით, - იყო როუზის პასუხი.

-- ყოველ კვირა საღამოს, თერთმეტიდან თორმეტ საათამდე, - უყოყმანოდ თქვა გოგონამ, - თუ ცოცხალი ვიქენი, ლონდონის ხიდზე ვისეირნებ.

- ერთ წუთს მოიცადეთ! - წამოიძახა როუზმა, როდესაც გოგონა სწრაფად წავიდა კარისკენ, - კიდევ ერთხელ დაფიქრდით საკუთარ ხვედრსა და მისი შეცვლის შესაძლებლობაზე. თქვენთან ვალში ვარ, არა მარტო იმიტომ, რომ თავად გამანდეთ ეს ცნობები, არამედ იმიტომ, რომ ქალი ხართ, თითქმის საბოლოოდ დადღუპული. ნუთუ იმ ავაზაკების ბუდეს და იმ კაცს დაუბრუნდებით,

მაშინ როდესაც ერთ სიტყვას ყველაფერი შეუძლია შეცვალოს? რა გზიბლავთ ასე, ბოროტებასა და ცოდვას რომ უბრუნდებით? ოჰ, ნუთუ თქვენს გულში ვერც

ერთი სიმი ვერ შევარხიე? ნუთუ აღარაფერი დარჩა, რისი დახმარებითაც ეს საზარელი, უგუნური გატაცება შეიძლება დავამარცხო?!

- როდესაც თქვენისთანა ახალგაზრდა, კეთილ, მშვენიერ ქალბატონებს უყვარდებათ, - მტკიცედ თქვა ნენსიმ, - სიყვარული მათ იქ წაიყვანს, სადაც

მოესურვება, თქვენისთანებს სახლი, მეგობრები, თაყვანისმცემლები ჰყავთ და ყველაფერი აქვთ, რაც ნამდვილი ცხოვრებით ტკბობის შესაძლებლობას იძლევა.

ჩემნაირები კი, რომელთაც გარანტირებული მხოლოდ კუბო აქვთ, ავადმყოფობის

დროს ან სასიკვდილო სარეცელზე უმეგობროდ, საავადმყოფოს სანიტრის იმედად არიან დარჩენილი, თავის გარყვნილ გულს უძღვნიან რომელიმე მამაკაცს და მას ნებას რთავენ, ის ადგილი დაიკავოს, რომელიც მანამდე, მთელი მათი უბადრუკი ცხოვრების განმავლობაში, არავის დაუკავებია. ვის

შეუძლია ჩვენი განკურნება? შეგვიცოდეთ, ქალბატონო, შეგვიცოდეთ იმისათვის, რომ ქალებისთვის დამახასიათებელი ყველა თვისებიდან მხოლოდ ერთი დაგვრჩა და მასაც, მკაცრი მსჯავრივით, სიმშვიდისა და სიამაყის ნაცვლად, ახალი ძალადობა და ტანჯვა მოაქვს.

- ხომ არ მიიღებთ ჩემგან, - დუმილი დაარღვია როუზმა, - სულ ცოტა თანხას, რაც პატიოსნად ცხოვრებაში დაგეხმარებათ იქამდე, ვიდრე ისევ შევხვდებით ერთმანეთს?

- არც ერთ პენის არ ავიღებ! - ხელი აიქნია გოგონამ.

- ნუ დახურავთ გულს, ნუ ეწინააღმდეგებით ჩემს სურვილს, დაგეხმაროთ! -
თქვა როუზმა და ნაზად მიუახლოვდა გოგონას, - მთელი გულით მინდა, დაგეხმაროთ.

- ქალბატონო, თქვენ ყველაზე დიდ სამსახურს გამიწევდით, - ხელების მტვრევით თქვა გოგონამ, - ახლავე რომ შეგემლოთ და სიცოცხლეს გამომასალმოთ, იმიტომ, რომ დღეს ისეთი მწუხარება გადავიტანე, როგორც აქამდე არასოდეს მიგრძნია; მუდამ ვფიქრობდი, რას წარმოვადგენ და რომ უმჯობესია იმ ჯოჯოხეთში არ მოვკვდე, რომელშიც ვცხოვრობ. ღმერთმა დაგლოცოთ, კეთილო ქალბატონო, დაე, იმდენი ბედნიერება მოგიტანოთ ცხოვრებაში, რამდენი სირცხვილიც მე მხვდომია წილად!

ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ გულამოსკვნით აქვითინებული საბრალო გოგონა წავიდა; როუზ მეილი, ამ უცნაური, სიზმრის მსგავსი შეხვედრით გაოგნებული, სავარძელში ჩაჯდა და აზრების თავმოყრას შეეცადა.

თავი 41 ახალი აღმოჩენების შესახებ, რომლებიც მოწმობს, რომ მოულოდნელობა, უბედურებასთანერთად, მართლ არ ატყდება ადამიანს თავს

როუზ მეილის მდგომარეობა მართლაც უჩვეულოდ რთული გახლდათ. მას დაუოკებელი და მწველი სურვილი წვადა, ოლივერის ცხოვრების საიდუმლო ამოეხსნა, მაგრამ, იმავდროულად, აუცილებლად უნდა დაეცვა ის წმინდა საიდუმლო, რომელიც ბეჩავმა ქალმა, რომელსაც სულ ცოტა ხნის წინ ესაუბრებოდა მას, ახალგაზრდა და უმანკო ქალიშვილს გაანდო. მისი სიტყვები

და იერი მის მეილის გულში ღრმად ჩასწვდა; ყმაწვილი აღსაზრდელისადმი მის

სიყვარულს კიდევ დაემატა ასეთივე გულწრფელი და მხურვალე მისწრაფება, ცხოვრებისგან გარიყული ადამიანის მონანიებისა და მასში იმედის ჩასახვისთვის მიეღწია.

ლონდონში მხოლოდ სამი დღე დარჩებოდნენ, შემდეგ რამდენიმე კვირით ზღვაზე, დამორებულ ადგილზე აპირებდნენ დასვენებას. დედაქალაქში მათი ყოფნის პირველი შუადამე იდგა. როგორ იმოქმედოს, რომ ჩანაფიქრი ორმოცდარვა საათში განახორციელოს? ან როგორ მოახერხოს გამგზავრების გადადება ისე, რომ ეჭვი არ აღძრას?

მათთან ერთად მისტერ ლოსბერნიც ჩამოვიდა და კიდევ ორ დღეს აპირებდა დარჩენას, მაგრამ როუზმა ზედმიწევნით კარგად იცოდა ამ არაჩვეულებრივი

ჯენტლმენის მოუთმენელი ხასიათი და ნათლად წარმოიდგინა მისი რისხვა ოლივერის მომტაცებლის მიმართ, ამიტომ მისთვის საიდუმლოს განდობისგან თავს იკავებდა; მას სჭირდებოდა სხვა, ვიღაც უფრო გამოცდილი, რომელიც თავისი ბრძნული რჩევით დაეხმარებოდა. არნახული სიფრთხილისა და წინდახედულობის დაცვის აუცილებლობა ეყვს არ იწვევდა, ხოლო ყველაფრის მისის მეილისთვის განდობა თათბირზე პატივსაცემი ექიმის დასწრებას ნიშნავდა. ზემოთ მითითებული მიზეზებით გამორიცხული გახლდათ სამართლებრივი დახმარება მაშინაც კი, რომც სცოდნოდა, ვისთვის მიემართა. აზრმა გაუელვა, დახმარება ჰარისთვის ეთხოვა, მაგრამ ამან მათი უკანასკნელი

შეხვედრა გაახსენა და უღირს საქციელად მოეჩვენა მისი გამოხმობა; იქნებ, - ამის გაფიქრებაზე თვალეები ცრემლებით ავესო, - მან უკვე ისწავლა როუზზე ფიქრის გარეშე ცხოვრება და მისგან შორს მყოფი ბედნიერიც არის.

ამ ფიქრებში გართული მოქმედების ხან ერთ გეგმას ირჩევდა, ხან მეორეს, მერე ყველაფერს უარყოფდა, როდესაც გონებაში ყველაფერს აწონ-დაწონიდა. როუზმა უძილო და მღელვარე ღამე გაატარა. მეორე დღეს ისევ კარგა ხანს იფიქრა და სასოწარკვეთილმა, გადაწყვიტა, დახმარება ჰარისთვის ეთხოვა.

„თუ მისთვის მტკივნეულია აქ დაბრუნება, - ფიქრობდა როუზი, - ასევე მტკივნეულია ეს ჩემთვის! მაგრამ შეიძლება, არც ჩამოვიდეს; წერილი გამოგზავნოს ან ჩამოვიდეს და თავი აარიდოს ჩემთან შეხვედრას, როგორც ეს გამგზავრებისას მოიმოქმედა. არ მეგონა, ასე თუ მოიქცეოდა, მაგრამ ჩვენთვის, ორივესთვის ასე ჯობდა“. როუზმა კალამი ხელიდან გააგდო და შებრუნდა, თითქოს მის შიკრიკად ქცეული ქაღალდიც კი არ უნდა ყოფილიყო ცრემლების მოწმე.

ორმოცდაათიოდეჯერ მოჰკიდა ხელი კალამს და იმდენჯერვე გადადო, ისევ და ისევ იმ პირველ წინადადებაზე ფიქრობდა, რომლითაც წერილი უნდა დაეწყო; არც ერთი სიტყვა არ ჰქონდა ჯერ დაწერილი, როდესაც უეცრად ოლივერი შემოვარდა; ის ქუჩაში სეირნობდა და მცველის სახით მისტერ ჯაილზი გააყოლეს. ეს ისეთი სისწრაფით მოხდა და ბიჭიც ისეთი აგზნებული ჩანდა, რომ თითქოს ახალი მღელვარების საბაზს წარმოადგენდა.

- ასე რამ აგაღელვა? - ჰკითხა როუზმა და მის შესახვედრად წამოდგა.

- არც კი ვიცი, როგორ ვთქვა; ჰაერი არ მყოფნის, - უპასუხა ოლივერმა, - ოჰ, ღმერთო! როცა ვფიქრობ, რომ ბოლოს და ბოლოს, მას შევხვდები, თქვენ კი დარწმუნდებით ჩემს სიმართლეში!

- შენს სიმართლეში ეჭვი არასოდეს შემიტანია, - ამშვიდებდა როუზი, - მაგრამ რა მოხდა? ვისზე ლაპარაკობ?

- ის ჯენტლმენი დავინახე, - ოლივერი ძლივს გამოთქვამდა სიტყვებს, - ის ჯენტლმენი, რომელიც ასე კეთილად მომეპყრო! მისტერ ბრაუნლოუ, რომელზედაც ამდენი გვილაპარაკია.

- სად ნახე? - შეეკითხა როუზი.

- კარეტიდან ჩამოდიოდა, - ოლივერი სიხარულით ატირდა, - და სახლში შევიდა. მასთან არ მისაუბრია, არ შემეძლო, იმიტომ, რომ ვერ დამინახა, მე კიდეც ისე ვკანკალებდი, მასთან ახლოს მისვლის ძალა აღარ მქონდა.

შეხედეთ,

- ოლივერმა ქაღალდის ნაგლეჯი გაშალა, - აი, აქ ცხოვრობს... ახლავე წავალ იქ!)

ოჰ, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! რა დამემართება, როდესაც ისევ ვნახავ და

მის ხმას გავიგონებ!

როუზს ყურადღების მოკრებაში ოლივერის აღტაცებული წამოძახილები უშლიდა ხელს, მაგრამ მაინც მოახერხა მისამართის წაკითხვა: სტრენდი, კრეივენ-სტრიტი. მაშინვე გადაწყვიტა, ეს შეხვედრა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა.

- დროზე! - წამოიძახა მან, - უთხარი, კარეტა დაიქირავონ. ჩემთან ერთად წამოხვალ. ახლავე, წუთიც არ უნდა დავკარგოთ. დეიდას გავაფრთხილებ, რომ

ერთი საათი არ ვიქნებით და მეც მზად ვარ.

ოლივერს დაჩქარება არ სჭირდებოდა და ხუთი წუთის შემდეგ უკვე კრეივენ-სტრიტზე მიდიოდნენ. საჭირო სახლთან მისვლისას როუზმა ოლივერი კარეტაში დატოვა თითქოს იმ მიზნით, რომ მოხუცი ჯენტლმენის შემზადება სურდა, მსახურს თავის სავიზიტო ბარათთან ერთად, გადაუდებელი საქმის გამო

მისტერ ბრაუნლოუს ნახვის სურვილიც გადასცა. მსახური მალე დაბრუნდა და სთხოვა, მასთან ერთად მალა ასულიყო; ზემო სართულის ოთახში მის მეილი

კეთილი იერის მქონე მოხუცი ჯენტლმენის წინაშე წარდგა, რომელსაც ხავსისფერი ფრაკი ეცვა. მასთან ახლოს მეორე მოხუცი ჯენტლმენი იჯდა, მოკლე

შარვალსა და გეტრებში გამოწყობილი; არცთუ კეთილგანწყობილი ჩანდა და ორივე ხელით ჩაჭფრენოდა სქელ ხელჯოხს, რომლის თავზეც ნიკაპი ჩამოედო.

- ღმერთო ჩემო, - თქვა ხავსისფერფრაკიანმა ჯენტლმენმა და მაშინვე თავაზიანად ფეხზე წამოხტა, - მაპატიეთ, ახალგაზრდა ქალბატონო... მეგონა,

რომელიმე მომბეზრებელი არსება იყო, რომელიც... მაპატიეთ. თუ შეიძლება, დაბრძანდით.

- მისტერ ბრაუნლოუ ბრძანდებით, ხომ ასეა, სერ? - შეეკითხა როუზი და მეორე ჯენტლმენიდან მხერა იმაზე გადაიტანა, ვინც საუბრობდა.

- დიახ, მე ვარ, - თქვა მოხუცმა ჯენტლმენმა, - ეს კი ჩემი მეგობარია, მისტერ

გრიმუიგი... გრიმუიგი, რამდენიმე წუთით ხომ არ დაგვტოვებდით?

- ამ ჯენტლმენს ასეთი თხოვნით არ შევაწუხებდი, - ჩაერია მის მეილი, - თუ

სწორად ვიცი, ის იცნობს იმ საქმეს, რის თაობაზეც თქვენთან საუბარი მსურს.

მისტერ ბრაუნლოუმ თავი დაუკრა. მისტერ გრიმუიგმა საკმაოდ უხერხულად დაუკრა თავი, ფეხზე წამოდგა, კიდეც ერთხელ დაუკრა თავი და ისევ დაჯდა.

- რასაკვირველია, ძალიან გაგაოცებთ, - დაიწყო მორცხვად როუზმა, - მაგრამ

ოდესღაც ძალიან დიდი სიკეთე და გულისხმიერება გამოიჩინეთ ჩემთვის ძვირფასი პატარა მეგობრისადმი და დარწმუნებული ვარ, დაგაინტერესებთ მისი ამბის გაგება.

- მართლაც ასეა! - თქვა მისტერ ბრაუნლოუმ.

- თქვენ მას ოლივერ ტვისტის სახელით იცნობდით, - დაამატა როუზმა.

ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე მისტერ გრიმუიგი, რომელიც თავს ისე აჩვენებდა, თითქოს მთელი მისი ყურადღება დაიპყრო მაგიდაზე დადებულმა უზარმაზარმა წიგნმა, ის ხმაურით იატაკზე დააგდო, სკამის საზურგეს მიეყრდნო,

გოგონას შეხედა და მის სახეზე მხოლოდ განუზომელი გაკვირვება იკითხებოდა;

მისტერ გრიმუიგი დიდხანს და უაზროდ აცეცებდა თვალებს, მერე სიტყვებს ეძებდა, მაგრამ განცდათა ამგვარად გამოვლინებით დარცხვენილს ხანგრძლივი,

ყრუ სტვენა აღმოხდა, რომელიც თითქოს ჰაერში კი არ გაიფანტა, არამედ მისი

კუჭის ყველაზე ღრმა კუნჭულებში ჩაიკარგა.

მისტერ ბრაუნლოუმ არანაკლებ გაკვირვებული იყო, თუმცა, მისი საქციელი ექსცენტრიკულობით არ გამოირჩეოდა. მან სკამი მის მეილისკენ მისწია და თქვა:

- პატივი დამდეთ, ჩემო მშვენიერო ახალგაზრდა ქალბატონო, ნუ შეეხებით სიკეთესა და გულისხმიერებას, რადგან ამის შესახებ არავინ არაფერი იცის. თუ

გაქვთ სულ მცირე დამადასტურებელი საბუთიც კი, რომელიც ოდესღაც ამ საბრალო ბიძის შესახებ ჩამოყალიბებულ უსიამოვნო შთაბეჭდილებას გააქარწყლებს, თუ შეიძლება, გამიზიარეთ.

- სამაგელი ბიჭი! მზად ვარ, საკუთარი თავის ქალა შევჭამო, თუ ასე არ არის,

- წაიბუზღუნა მისტერ გრიმუიგმა; მის სახეზე არც ერთი ნაკვთი არ შერხეულა, თითქოს მუცლით ლაპარაკობდა.

- ამ ბიჭს კეთილშობილი ბუნება და მგზნებარე გული აქვს, - გაწითლდა როუზი, - და იმ ძალამ, რომელმაც საჭიროდ ჩათვალა მისი ასაკისთვის შეუფერებელი მრავალი განსაცდელი დაეტეხა თავს, იმავდროულად, უწყალობა

ისეთი გრძნობები და ისეთი ერთგულება, რომ ეს მხოლოდ ღირსებას შემატებდა

მასზე ექვსჯერ უფროს ადამიანებსაც კი.

- მე მხოლოდ სამოცდაერთი წლის ვარ, - თქვა მისტერ გრიმუიგმა ისევ ისეთი გაქვავებული სახით, - თუ ეშმაკი არ არის ამ საქმეში გარეული, ოლივერი თორმეტის მაინც უნდა იყოს... ჰოდა, არ მესმის, ვინ იგულისხმეთ?
- ყურადღებას ნუ მიაქცევთ ჩემს მეგობარს, მის მეილი, - თქვა მისტერ ბრაუნლოუმ, - მას სხვა რამის თქმა სურდა.
- არაფერიც, ზუსტად იმის, - წაიბუზღუნა მისტერ გრიმუიგმა.
- სხვა რამის-მეთქი, - მისტერ ბრაუნლოუს ბრაზი მოერია.
- მზად არის საკუთარი თავის ქალა შექამოს, თუ ეს ასე არ არის, - თქვა მისტერ გრიმუიგმა.
- თუ ასეა, იმას იმსახურებს, თავი მის კისერს მოვაშოროთ, - არ ჩამორჩა მისტერ ბრაუნლოუ.
- ძალიან აინტერესებს, ვინ მოჰკიდებს ხელს ამ საქმეს, - მისტერ გრიმუიგმა ხელჯოხი იატაკს დაჰკრა.

კინკლაობაში ასე შორს წასულმა ჯენტლმენებმა თამბაქოს მწიკვი რამდენჯერმე აიღეს, მერე, მიღებული ტრადიციისამებრ, ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს.

- მაშ, ასე, მის მეილი, - თქვა მისტერ ბრაუნლოუმ, - დავუბრუნდეთ იმ თემას, რომელმაც ასე ააღელვა თქვენი კეთილი გული. მითხარით, რა ცნობები მოგეპოვებათ ამ საბრალო ბიძის შესახებ? და ნება მიბოძეთ, გაცნობოთ, რომ მის მოსაძებნად ჩემს ხელთ არსებული ყველა საშუალება ამოვწურე და მას შემდეგ, რაც ინგლისი დავტოვე, ჩემი თავდაპირველი მოსაზრება, რომ მან მომატყუა და წინანდელმა თანამოაზრებმა ჩემი გაქურდვა დაავალეს, საფუძვლიანად შეირყა.

ამასობაში როუზმა აზრების მოკრება მოახერხა და ძალდაუტანებლად მოჰყვა ყველაფერს, რაც ოლივერს თავს გადახდა მას შემდეგ, რაც ის მისტერ ბრაუნლოუს სახლიდან გავიდა, მაგრამ არაფერი უთქვამს იმ ინფორმაციაზე, რაც ნენსისგან შეიტყო; თავისი მონათხრობი იმით დაასრულა, რომ ოლივერის ერთადერთი საწუხარი ბოლო თვეებში თავის კეთილისმყოფელსა და მეგობართან შეხვედრის შეუძლებლობა იყო.

- მადლობა ღმერთს! - წამოიძახა მოხუცმა ჯენტლმენმა, - ეს ჩემთვის დიდი სიხარულია, ძალიან დიდი სიხარული! მაგრამ, მის მეილი, თქვენ არ გითქვამთ, ახლა სად არის. მაპატიეთ, რომ გსაყვედურობთ - რატომ არ მოიყვანეთ?
- კართან კარეტა დგას და იქ გელოდებათ, - უპასუხა როუზმა.
- ჩემი სახლის კართან! - წამოიძახა მოხუცმა ჯენტლმენმა.

სხვა არც არაფერი უთქვამს, წამოხტა, ოთახიდან გავარდა, კიბეზე დაეშვა,

კარი გამოაღო და კარეტას მიაშურა.

როდესაც მისტერ ბრაუნლოუს ზურგს უკან ოთახის კარი დაიხურა, მისტერ გრიმუიგმა თავი ასწია, სკამზე მჯდარმა სამჯერ წრე დაარტყა ხელჯოხის დახმარებით ისე, რომ ბრუნვის ღერძი სკამის ერთ-ერთი უკანა ფეხი იყო, თან

ხელით მაგიდას ეყრდნობოდა. ამ უცნაური ვარჯიშის შემდეგ წამოდგა, კოჭლობით ათჯერ მაინც გაიარ-გამოიარა ოთახში რამდენადაც შეეძლო სწრაფად, ბოლოს როუზის წინ გაჩერდა და უცერემონიოდ აკოცა.

- ჩუ! - თქვა მან, როდესაც ამ გამოხდომით ცოტათი შეშინებული ახალგაზრდა

ლედი წამოდგა, - ნუ გეშინიათ, მოხუცი ვარ და ბაბუად გერგებით. არაჩვეულებრივი გოგონა ხართ. მომწონხართ. აი, ისინიც!

მართლაც, ძლივს მოასწრო ადრინდელ ადგილზე დაჯდომა, რომ მისტერ ბრაუნლოუ ოლივერთან ერთად დაბრუნდა, რომელსაც მისტერ გრიმუიგი გულთბილად შეხვდა; ეს რომ ყოფილიყო ერთადერთი ჯილდო ოლივერის გამო

გადატანილი მღელვარებისა და ზრუნვისთვის, როუზ მეილი უხვად იქნებოდა დაჯილდოებული.

- სხვათა შორის, კიდევ ერთი ადამიანი არ უნდა დაგვავიწყდეს, - თქვა მისტერ ბრაუნლოუმ და ზარი დარეკა, - თუ შეიძლება, მისის ბედუინს დაუძახეთ.

მოხუცი მწე ქალი მაშინვე ოთახში გაჩნდა, კართან რევერანსით მიესალმა ყველას და ბრძანების მოლოდინში გაირინდა.

- ყოველდღიურად ბრძანდებით, ბედუინ, - თქვა ოდნავ გაღიზიანებულმა მისტერ ბრაუნლოუმ.

- მართლაც ვბრძანდები, სერ, - უპასუხა მოხუცმა ლედიმ, - ჩემს ასაკში წლიდან წლამდე მხედველობა არ უმჯობესდება.

- ამას მეც გეტყოდით, - განაცხადა მისტერ ბრაუნლოუმ, - მაგრამ ახლა სათვალე გაიკეთეთ და დააკვირდით... თუ მიხვდით, რისთვის დაგიძახეთ.

მოხუცმა ლედიმ ჯიბეში სათვალის ძებნა დაიწყო, მაგრამ ოლივერმა ვეღარ მოითმინა და გულში ჩაეკრა.

-- ღმერთო დიდებულო! - წამოიძახა მოხუცმა ლედიმ, რომელიც ბიეს მოეხვია,

- ეს ხომ ჩემი უცოდველი ბიძია!

- ჩემი საყვარელი მოხუცი ძიძა! - იყვირა ოლივერმა.

- დაბრუნდა! ვიცოდი, დაბრუნდებოდა, - წამოიყვირა მოხუცმა ლედიმ, რომელიც ბიქს არ იშორებდა, - რა კარგად გამოიყურება, ჯენტლმენის ვაჟივით

აცვია! ამდენ ხანს სად იყავი? ოჰ, ეს საყვარელი სახე, მაგრამ უკვე აღარ არის

წინანდებურად ფერმკრთალი, ისევ ის თვინიერი თვალები, მაგრამ არა ძველებურად ნაღვლიანი! არასოდეს დამვიწყებია ეს თვალები, მორცხვი

ლიმილი, ყოველდღე ჩემი შვილების ხატებათა გვერდით ვხედავდი - ისინი მაშინ დაიხოცნენ, როდესაც ჯერ კიდევ მხიარული და ახალგაზრდა ვიყავი.

მოხუცი ლედი გაუჩერებლად ლაპარაკობდა, ოლივერს ხან შორიდან უყურებდა, რომ გაერკვია, რამდენით გაიზარდა, ხან ისევ გულში იკრავდა და ალერსით ევერებოდა თმაზე; კეთილი მოხუცი ბიჭის მხარზე თავმიდებული ხან ტიროდა, ხან იცინოდა.

მისტერ ბრაუნლოუმ მას და მისტერ ოლივერს განმარტოებით საუბრის საშუალება მისცა, როუზი სხვა ოთახში გაიყვანა და დაწვრილებით მოისმინა მის მეილის წენსისთან შეხვედრის ამბავი, რამაც გააოცა და საგონებელში ჩააგდო. როუზმა ისიც აუხსნა, თავდაპირველად ყველაფერი თავის მეგობარს, მისტერ ლოსბერნის რატომ არ გაანდო. მოხუცმა ჯენტლმენმა გოგონას სიფრთხილე მოუწონა და მაშინვე დაეთანხმა, თათბირზე შეხვედროდა ექიმს; გადაწყვიტეს, მისტერ ბრაუნლოუსთან საღამოს რვა საათზე შეკრებილიყვნენ; ამასობაში ახალი ამბავი ფრთხილად უნდა ეცნობებინათ მისის მეილისთვის. ყველაფერზე შეთანხმებისა და მოლაპარაკების შემდეგ, როუზი და ოლივერი შინ დაბრუნდნენ.

როუზი არ ცდებოდა, როდესაც ივარაუდა კეთილი ექიმის გაცეცხლება. როგორც კი წენსის მონაყოლი მოისმინა, მუქარისა და წყევლა-კრულვის კორიანტელი დააყენა, დაიმუქრა, რომ ბლეთერსსა და დაფს მახვილგონივრულ ხაფანგს დააგებინებდა მის ხელში ჩასაგდებად და ამ პატივცემული ბატონების მოსანახულებლადაც კი დააპირა წასვლა. გაცეცხლებული, შედეგების გაუთვალისწინებლად, თავის განზრახვას ასრულებდა კიდევ, რომ არა მისტერ ბრაუნლოუს წინააღმდეგობა, რომელიც თავადაც გამოირჩეოდა სიფიცხით, აგრეთვე, მისი დასკვნები და მოსაზრებები, რომლებიც შექმნილ მდგომარეობას ყველაზე მეტად შეეფერებოდა ამ წინდაუხედავი ნაბიჯის თავიდან ასაცილებლად.

- ეშმაკმა დალახვროს, აბა, როგორ მოვიქცეთ? - იკითხა მოუსვენარმა ექიმმა მას შემდეგ, რაც ორივენი ქალბატონებთან დაბრუნდნენ, - ამ მამრობითი და მდედრობითი სქესის მაწანწალებს მაღლიერებით ხომ ვერ მოვეკიდებით და ხომ არ ვთხოვთ, თითოეულმა ას-ასი გირვანქა სტერლინგი მიიღოს ჩვენგან ოლივერისადმი გამოჩენილი ყურადღებისა და გულისხმიერების ნიშნად?

- რასაკვირველია, არა, - გაეცინა მისტერ ბრაუნლოუს, - მაგრამ ძალიან ფრთხილად და წინდახედულად უნდა ვიმოქმედოთ.

- სიფრთხილე და წინდახედულობა! - წამოიძახა ექიმმა, - ჩემი ნება რომ იყოს, ყველას გავგზავნიდი...

- არა აქვს მნიშვნელობა, სად გავგზავნიდით, - გააწყვეტინა მისტერ

ბრაუნლოუმ, - მაგრამ თავად განსაჯეთ: განა შეგვიძლია მიზანს მივალწიოთ, თუ ყველას სადღაც გავგზავნით?

- რომელ მიზანს? - იკითხა ექიმმა.

- ჩვენი მიზანია, გავიგოთ ოლივერის წარმომავლობა და დავეზრუნოთ ის მემკვიდრეობა, რომელიც, თუ ეს მონათხრობი მართალია, თაღლითურად წაართვეს.

- აი, თურმე რა! - თქვა მისტერ ლოსბერნიმ და ცხვირსახოციანი ხელი აიქნია,

- ეს სრულებით გადამავიწყდა.

- საქმე ის არის, - განაგრძო მისტერ ბრაუნლოუმ, - თუნდაც ამ საბრალო გოგონას თავი დავანებოთ და ჩავთვალოთ, რომ შესაძლებელია ნამირალების სამართალში ისე მიცემა, რომ მას საფრთხე არ დაემუქროს, ამით რას მივალწევთ?

- რამდენიმეს ჩამოახრჩობდნენ, - შენიშნა ექიმმა, - დანარჩენებს გადაასახლებდნენ.

- მშვენიერია, - ღიმილით გამოეხმაურა მისტერ ბრაუნლოუმ, - ექვს არ იწვევს,

რომ ამ დასასრულამდე მისვლას თავადაც მოახერხებენ, ხოლო თუ ჩვენ ჩავერიეთ და ამით გავაფრთხილეთ, ძალიან დონკინოტურ საქციელს ჩავიდნეთ,

რომელიც ჩვენს ინტერესებს ეწინააღმდეგება, უფრო სწორად, ოლივერის ინტერესებს, რაც ერთი და იგივეა.

- როგორ? - იკითხა ექიმმა.

- მოგახსენებთ. გასაგებია, რომ საიდუმლოს გარკვევის გზაზე დიდ სიძნელებებს გადავაწყდებით, თუ ეს კაცი, მონკსი, არ დავაჩოქეთ. ამის მოხერხება მხოლოდ ეშმაკობით შეიძლება იმ მომენტში, როდესაც მას თანამზრახველები გვერდით არ ჰყავს. დავუშვათ, დააპატიმრეს - მის წინააღმდეგ არც ერთი სამხილი არა გვაქვს: ამ ბანდასთან ერთად არც ერთ ქურდობაში არა აქვს მონაწილეობა მიღებული (რამდენადაც ეს ცნობილია ჩვენს

ხელთ არსებული ცნობებით). შეიძლება, არ გაამართლონ, არამედ პატიმრობა მიუსაჯონ მაწანწალობისა და მათხოვრობისთვის; რასაკვირველია, ამის შემდეგ მას სამუდამოდ დაგვარგავთ და იმაზე მეტ ინფორმაციას ვეღარ მივიღებთ, ვიდრე ბრმა, ყრუ-მუნჯი გონებასუსტისგან.

- ასეთ შემთხვევაში, - გაცხარებით თქვა ექიმმა, - კიდევ ერთხელ გეკითხებით: როგორ გგონიათ, ხელ-ფეხს გვიკრავს თუ არა გოგონასთვის მიცემული პირობა? რასაკვირველია, პირობა კეთილი განზრახვით იყო მიცემული, მაგრამ...

- ძალიან გთხოვთ, ნუ გეშინიათ, ჩემო მშვენიერო ახალგაზრდა ქალბატონო,

- თქვა მისტერ ბრაუნლოუმ და როუზს შეაწყვეტინა, რომელიც რაღაცის თქმას აპირებდა, - პირობა არ დაირღვევა. არა მგონია, ამან თუნდაც სულ მცირედით

შეგვიშალოს ხელი, მაგრამ ვიდრე მოქმედების ამა თუ იმ გზას ავირჩევთ, აუცილებელია გოგონასთან შეხვედრა და იმის გაგება, მზად არის თუ არა ამ მონკსზე მიუთითოს იმ პირობით, რომ საქმე მონკსთან ჩვენ გვექნება და არა მართლმსაჯულებას. თუ არ სურს ან არ შეუძლია, იმას მაინც უნდა მივაღწიოთ,

რომ დაგვისახელოს ის ბუნაგები, რომლებსაც მონკსი სტუმრობს და აღწეროს, რომ ცნობა შევძლოთ. მისი ნახვა კვირასაღამომდე შეუძლებელია, დღეს კი სამშაბათია. ამიტომ ჩემი რჩევაა, დავწყნარდეთ და ეს ამბავი საიდუმლოდ შევინახოთ ოლივერისგანაც კი.

მართალია, მისტერ ლოსბერნი არაერთხელ უსიამოვნოდ დაიმანყა იმის გაგონებაზე, რომ საქმე მთელი ხუთი დღით უნდა გადაედოთ, მაგრამ იძულებული გახდა, ელიარებინა, რომ იმწუთას უკეთესი გეგმა ვერ მოიფიქრა,

ხოლო როუზმა და მისის მეილიმ გადაჭრით დაუჭირეს მხარი მისტერ ბრაუნლოუს, ასე რომ, ეს გეგმა ერთხმად მიიღეს.

- დახმარებისთვის მინდა ჩემს მეგობარს, გრიმუიგს მივმართო. ის ცოტათი უცნაური, მაგრამ მეტად შორსმჭვრეტელი ადამიანია და დიდი დახმარების გაწევა შეუძლია; უნდა გითხრათ, რომ იურიდიული განათლება აქვს, თუმცა,

ზიზღით თქვა უარი ადვოკატის კარიერაზე, რადგან ოცი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთი საქმე მისცეს; არის თუ არა ეს მისთვის რეკომენდაცია, თქვენნი გადასაწყვეტია.

- წინააღმდეგი არა ვარ, თქვენს მეგობარს მიმართოთ დახმარებისთვის იმ პირობით, თუ მეც მექნება ჩემი მეგობრისთვის მიმართვის საშუალება.

- ეს ხმათა უმრავლესობამ უნდა გადაწყვიტოს, - უპასუხა მისტერ ბრაუნლოუმ,
- ვინ არის?

- ამ ქალბატონის ვაჟი... ამ ახალგაზრდა ქალბატონის დიდი ხნის მეგობარი,

-
თქვა ექიმმა და ჯერ მისის მეილიზე მიუთითა, მერე როუზს მრავლისმეტყველად შეხედა.

როუზი გაწითლდა, მაგრამ ამ წინადადებას არ შესწინააღმდეგებია (შესაძლოა, ისიც ესმოდა, რომ აუცილებლად უმცირესობაში აღმოჩნდებოდა), რის

შემდეგადაც ჰარი მეილი და მისტერ გრიმუიგი კომიტეტის შემადგენლობაში შევიდნენ.

- რასაკვირველია, ქალაქში დავრჩებით, - თქვა მისის მეილიმ, - ვიდრე სულ უმცირესი იმედი მაინც არის, რომ ეს გამოძიება წარმატებით დასრულდება. არც

საზრუნავი შემაჩერებს, არც ფული იმ მიზნის მისაღწევად, რომელიც ყველას ასე

გვანტერესებს და მზად ვარ, აქ თუნდაც მთელი წელი ვიცხოვრო, თუ დამარწმუნებთ, რომ იმედი კიდევ არის.

- მშვენიერია! - მხარი აუბა მისტერ ბრაუნლოუმ, - ახლა კი, თქვენი სახეების გამომეტყველებით ვხვდები, რომ გაინტერესებთ, რატომ არ აღმოვჩნდი შინ, რათა ოლივერის მონათხრობი დამედასტურებინა, რატომ დავტოვე მოულოდნელად ქვეყანა, მაგრამ ნება მომეცით, ყველაფერი გაიამბოთ მხოლოდ ერთი პირობით: კითხვებს არავინ დამისვამს მანამდე, ვიდრე თავად არ ჩავთვლი საჭიროდ ჩემი ამბის მოყოლას. დამერწმუნეთ, ამგვარი თხოვნისთვის

სათანადო არგუმენტები მაქვს, რადგან არ მინდა, ფუჭი იმედი აღიძრას, ხოლო

სირთულეები და გულის გაცრუება საკმარისია. წამობრძანდით! ვახშამი რომ მზად არის, უკვე მოგვახსენეს და ყმაწვილმა ოლივერმა, რომელიც გვერდით ოთახში მარტოდმარტო ზის, შეიძლება იფიქროს, რომ მისი საზოგადოება მოგვებურდა და მის თავიდან მოსაშორებლად რაღაც გეგმას ვაწყობთ.

მოხუცმა ჯენტლმენმა მისის მეილის შეაშველა ხელი და სასადილო ოთახში გაიყვანა, მათ კი უკან მიჰყვანენ მისტერ ლოსბერნი და როუზი. ასე დასრულდა

პირველი თათბირი.

თავი 42 ოლივერის ძველი ნაცნობი

გენიოსისთვის დამახასიათებელ თვისებებს ავლენს და ლონდონში სახელგანთქმული ადამიანი ხდება

იმ საღამოს, როდესაც ნენსიმ მისტერ საიკსი დაადინა და როუზ მეილთან შესახვედრად მიიჩქაროდა საკუთარ თავზე დაკისრებული მისიის აღსასრულებლად, ჩრდილოეთის დიდი გზით ლონდონს ორი ადამიანი უახლოვდებოდა. ჩვენს მონათხრობში მათ ყურადღება უნდა დავუთმოთ.

მამაკაცი და ქალი იყვნენ, ან, უფრო სწორად, მამრობითი და მდედრობითი სქესის არსებები, რადგან პირველი მაღალი, დაგრეხილფეხებიანი, ლასლასით მოსიარულე, ძვალმსხვილი ადამიანების რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომელთა ზუსტი ასაკის განსაზღვრა რთულია: ბავშვობაში განუვითარებლებს ჰგვანან, ხოლო ზრდასრულ ასაკში - გადაბერებულ ბიჭებს. ქალი ახალგაზრდა, მაგრამ

ზორბა ტანისა და ამტანი იყო, რაც სჭირდებოდა კიდეც, რადგან ზურგზე უზარმაზარი ფუთა ეკიდა. მისი თანამგზავრი ბარგით დატვირთული სრულეებით

არ გახლდათ, რადგან მხარზე გადებული ჯოხის ერთ ბოლოზე ცხვირსახოცში გახვეული საკმაოდ მსუბუქი შეკრულა კონწიალებდა. ეს გარემოება და ასევე საოცრად გრძელი ფეხები ეხმარებოდა ხუთი-ექვსი ნაბიჯით წინ ყოფილიყო თანამგზავრზე, რომელსაც ხანდახან მიუბრუნდებოდა, თავს მოუთმენლად გადააქნევდა, ზოზინისათვის საყვედურობდა და აჩქარებდა.

ასე გაჭირვებით მიდიოდნენ მტკრიან გზაზე, თავიანთ გარშემო საგნებს ყურადღებას მხოლოდ მაშინ აქცევდნენ, როდესაც ქალაქიდან გამოსული გაჭენებული საფოსტო კარეტებისთვის გზა უნდა დაეთმოთ; ჰაიგეტის თაღში რომ შევიდნენ, წინ მიმავალი შეჩერდა და ქალს გაღიზიანებულმა დაუყვირა:

- წამოდი, ფეხს ვეღარ ადგამ? რა ზარმაცი ხარ, შარლოტ!

- ბარგი მიმივა-მეთქი, - მასთან მიახლოებული ქალი დაღლილობისგან ძლივს

სუნთქავდა.

- მძიმეა! რას ბოდაქ? აბა, შენ რისთვის ხარ? - მამაკაცმა თავისი მსუბუქი პაკეტი მეორე მხარზე გადაიტანა, - ოჰ, აი, ისევ დასვენება გადაწყვიტე! არ ვიცი,

შენნაირად ვის ეხერხება ადამიანის მოთმინებიდან გამოყვანა.

- კიდევ შორია? - იკითხა ქალმა, რომელიც მიწაყრილს მიეყრდნო; თავი რომ

ასწია, ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა სახეზე.

- შორია! თითქმის მოვედით, - უპასუხა გრძელფეხებამ და წინ გაიშვირა ხელი, - შეხედე! ლონდონის სინათლეებია.

- კიდევ სულ მცირე, ორი მილი იქნება, - იმედგაცრუებით თქვა ქალმა.

- ნუ ფიქრობ იმაზე, ორი მილი დარჩა თუ ოცი, - თქვა ნოე კლეიპოლმა, რადგან მამაკაცი მოგზაური სწორედ ის იყო, - ადექი და წამოდი, თორემ გაფრთხილებ, წიხლით გაგიმასპინძლებდი!

რაკი მრისხანებისგან ნოეს ცხვირი კიდევ უფრო გაუწითლდა და ის ქუჩის მეორე მხარეს გადავიდა, თითქოს ახლავე აპირებდა მუქარის ასრულებას, ქალი

უსიტყვოდ წამოდგა და მის გვერდით წაჩანჩალდა.

- ნოე, ღამის გასათევად სად უნდა გაჩერდე? - ჰკითხა რამდენიმე იარდის გავლის შემდეგ.

- მე რა ვიცი, - წაიღრინა ნოემ, რომლის ხასიათი სიარულმა კიდევ უფრო წაახდინა.

- იმედია, სადმე ახლოს, - თქვა შარლოტმა.

- არა, ახლოს არა, - უპასუხა მისტერ კლეიპოლმა, - გესმის? ახლოს არა-მეთქი. ამაზე არც იოცნებო.

- ახლოს რატომ არა?

- როცა გეუბნები, რადაცის გაკეთებას რომ არ ვაპირებ, ასე იქნება და აღარ არის საჭირო კითხვა, რატომ და რისთვის, - საკუთარი ღირსების გრძნობით აღსავსე პასუხი გასცა ნოემ.

- ასე გაბრაზება არ არის საჭირო, - თქვა ქალმა.

- კარგი რამეც იქნება, ქალაქის განაპირას, პირველსავე ტრაქტორში დაბინავებულებს თავზე ჩვენს კვალზე წამოსული საუერბერი წამოგვადგეს, ხელბორკილები დაგვადოს და უკან ოთხთვალაში ჩაყრილები წაგვიყვანოს, - დამცინავად თქვა მისტერ კლეიპოლმა, - არა! წავალ და ყველაზე ვიწრო ქუჩებში

დავიკარგები, რომლებიც კი მოიძებნება, იქამდე არ მოვისვენებ, ვიდრე ყველაზე

ამაზრუნენ დუქანს არ მოვნახავ იმათ შორის, რაც გზად შეგვხვდება. ბედნიერ ვარსკვლავს უმადლოდე, რომ მხრებზე თავი მახია: რომ არ მეშმაკა და სხვა გზით არ წამოვსულიყავი, მერე მინდვრებით არ გვევლო, თქვენ, ქალბატონო,

უკვე ერთი კვირა ჩაკეტილში იჯდებოდით! და ღირსიც იქნებოდი, იმიტომ, რომ ჩერჩეტი ხარ.

- შენისთანა გონებაგახსნილი რომ არა ვარ, კარგად ვიცი, - უპასუხა შარლოტმა, - მაგრამ მთელ ბრალს მე ნუ დამდებ და ნუ ამბობ, რომ ჩამკეტავდნენ. ეს რომ დამემართოს, შენც იმავე ბედს გაიზიარებ.
- თავადაც იცი, სალაროდან ფული შენ აიღე, - თქვა მისტერ კლეიპოლმა.
- შენთვის ავიღე, ძვირფასო ნოე, - სწრაფად შეეპასუხა შარლოტი.
- ჩემთვის დავიტოვე? - ჰკითხა მისტერ კლეიპოლმა.
- არა. ფული მანდე და ნება დამრთე, მეტარებინა, იმიტომ, რომ ასეთი ძვირფასი და საყვარელი ხარ, - თქვა ქალმა, ნიკაპზე ხელი მოუთათუნა და ხელი ჩასჭიდა.

ეს სიმართლე იყო, მაგრამ რაკი მისტერ კლეიპოლს არ ახასიათებდა ბრმად და გაუაზრებლად მინდობოდა ვინმეს, ამ ჯენტლმენს საკადრისი პატივი უნდა მივაგოთ და აღვნიშნოთ, შარლოტს მხოლოდ იმიტომ მისცა ფულის ტარების უფლება, რომ მათი დაჭერის შემთხვევაში ჩადენილ ქურდობასთან თავის კავშირს უარყოფდა და შესაძლოა, თავი დაემკვრინა. რასაკვირველია ის, რამაც მისი საქციელი განაპირობა, შარლოტისთვის არ აუხსნია და შეხმატკბილებულად განაგრძეს გზა.

წინასწარ დასახული კეთილგონიერი გეგმის თანახმად, მისტერ კლეიპოლი მხოლოდ იზლინგტონში მდგარ „ენჯელის“ შენობასთან შეჩერდა და გამვლელებისა და კარეტების სიმრავლის მიხედვით დაასკვნა, რომ სწორედ აქ იწყებოდა ლონდონი. შეჩერდა მხოლოდ იმისთვის, რომ დაეთვალიერებინა, რომელი ქუჩები იყო ხალხმრავალი და შესაბამისად, თავი უნდა აერიდებინა. სენტ-ჯონ-როუდზე შეუხვია და სულ მალე დაკლაკნილი და ბინძური შესახვევების ლაბირინთში აღმოჩნდა გრეის-ინ-ლეინსა და სმითფილდს შორის; მართალია, ეს იყო ლონდონის ცენტრში მდებარე, მაგრამ ყველაზე საზიზღარი და მდაბიური ნაწილი, იქ ჩატარებული დიდი გარდაქმნების მიუხედავად.

ამ ქუჩებში მიდიოდა ნოე კლეიპოლი და შარლოტს მიათრევდა; დროდადრო ტროტუარიდან სავალ ნაწილზე ჩადიოდა, რომ შორიდან შეეთვალიერებინა, ზედმეტად ხალხმრავალი იყო თუ არა ესა თუ ის დუქანი. ბოლოს ერთ-ერთის, ყველაზე ჭუჭყიანისა და უბადრუკის წინ გაჩერდა, ქუჩა გადაჭრა და მეორე მხრიდან დაათვალიერა, მერე გულმოდრწალებე განაცხადა, რომ ღამის გათევას აქ აპირებდა.

- ფუთა აქ მომეცი, - თქვა ნოემ, ქალის მხრებს მორგებული ფუთის თასმები

გახსნა და ფუთა თავად მოიგდო ზურგზე, - ხმა არ ამოიღო, ვიდრე რამეს არ

შეგვეკითხებინა. ამ დუქანს რა ჰქვია - ს...ს...ამი რა?

- ხეიბარი, - თქვა შარლოტმა.

- „სამი ხეიბარი“, - გაიმეორა ნოემ, - მშვენიერი აბრაა. წავედით! არც ერთი ნაბიჯით არ ჩამომრჩე.

ამ გაფრთხილების შემდეგ ჭრიალა კარს ხელი ჰკრა და თანამგზავრთან ერთად დუქანში შევიდა.

ბარში მხოლოდ ერთი ახალგაზრდა ებრაელი მოჩანდა, დახლს იდაყვებით დაყრდნობილი ქუჩყიან გაზეთს კითხულობდა. ის დაჟინებით დააცქერდა ნოეს, ნოე კი პირქუშად უმზერდა ახალგაზრდას.

ნოე ობოლთა სახლის სამოსში რომ ყოფილიყო გამოწყობილი, შესაძლოა, ებრაელს კიდევ ჰქონოდა ასეთი დაჟინებული თვალიერების საფუძველი, მაგრამ

მისტერ კლეიპოლი ქურთუკსა და სამკერდე ნიშანს აღარ ატარებდა, ხოლო ტყავის შარვალზე მუშის მოკლე პერანგი ეცვა, ამიტომ არავითარი განსაკუთრებული ნიშანი, რის გამოც შეიძლებოდა დუქანში მისი გარეგნობისთვის ყურადღება მიექციათ, არ არსებობდა.

- ეს „სამი ხეიბარია“? - იკითხა ნოემ.

- ამ ადგილს ასე ჰქვია, - იყო ებრაელის პასუხი.

- სოფლიდან რომ მოვდიოდით, გზად ერთი ჯენტლმენი შეგვხვდა და აქ მოსვლა გვიჩიოდა, - თქვა ნოემ და შარლოტს იდაყვი გაჰკრა, ან მისი ყურადღების

მიქცევა სურდა პატივისცემის დამსახურების ამგვარი ეშმაკური ხერხისადმი, ან

მის გაფრთხილებას ცდილობდა, ხმა არ ამოეღო, - აქ ღამის გასათევად დარჩენა გვინდა.

- ამის შესახებ არაფერი ვიცი, - უპასუხა მედუქნის თანაშემწედ მომუშავე ბარნიმ, - წავალ, ვიკითხავ.

- სხვა ოთახში მიგვაცილეთ, მოგვიტანეთ ცივი ხორცი და ლუდი, ვიდრე პასუხს გაიგებთ.

ბარნიმ პატარა უკანა ოთახში გაიყვანა და საჭმელი მიუტანა; შემდეგ მგზავრებს აცნობა, რომ ღამის გასათევად დარჩენა შეეძლოთ და გავიდა, რომ მარტო დაეტოვებინა.

უკანა ოთახი სასაუზმის იქით, რამდენიმე საფეხურით დაბლა მდებარეობდა და დუქნის ნებისმიერ მუდმივ კლიენტს, ამ დაწესებულების კედელში ჩატანებულ ფანჯარაზე პატარა ფარდის გადაწევის შემდეგ, რომელიც იატაკიდან

დაახლოებით ხუთი ფუტით იყო დაშორებული, არა მხოლოდ უკანა ოთახში

მყოფი სტუმრების დანახვა შეეძლო, არამედ ტიხარზე ყურის მიდებით
საუბარსაც

მოისმინდა; და თანაც, ამ ყველაფერს შეუმჩნევლად მოახერხებდა (ფანჯარა
კუთხეში, კედელსა და სქელ სვეტს შორის იყო და სწორედ ამ სვეტს უნდა
ამოჰფარებოდა დამკვირვებელი). დუქნის პატრონი საიდუმლო ფანჯარას
თვალს

არ აცილებდა, ხოლო ბარნი ზემოთ ნახსენები შეტყობინების შემდეგ ის იყო,
დახლთან თავის ადგილს დაუბრუნდა, რომ დუქანში ფეიჯინმა შეიარა და
თავისი

შეგირდების ამბავი იკითხა.

- სსს... - წაიჩურჩულა ბარნიმ, - მეზობელ ოთახში უცხოები არიან.

- უცხოები? - ჩურჩულით გაიმეორა მოხუცმა.

- ჰო... და ძალიან უცნაური წყვილია. პროვინციელები არიან და, თუ არ
ცვდები, სათქვენო ხალხია.

ფეიჯინმა ბარნის სიტყვები დიდი ინტერესით მოისმინა, მაშინვე ტაბურეტზე
აძვრა და ფრთხილად შეიხედა ოთახში. ის ხედავდა, როგორ ნთქავდა
მისტერ

კლეიპოლი ხორცსა და ლუდს, შარლოტისთვის კი ჰომეოპათიურ ულუფებს
იმეტებდა. შარლოტი მის გვერდით იჯდა და მორჩილად ხან ყამდა, ხან
სვამდა.

- ეჰე! - ბარნის მიუბრუნდა და წაიჩურჩულა ფეიჯინმა, - ეს ბიჭი
მომწონს.

შეიძლება, გამოგვადგეს. უკვე იცის, გოგო როგორ გაწვრთნას. თავივით
ჩუმად

იყავით, ჩემო ძვირფასო, და მომასმენინეთ, რას ამბობენ.

ისევ მინას მიუახლოვდა, ყური ტიხარს მიადო და ეშმაკური სახით,
რომელიც

ნებისმიერ ბებერ ავსულს შეეფერებოდა, ყურის გდება დაიწყო.

- მაშ, ასე: ჯენტლმენი უნდა გავხდე, - ფეხები გაჭიმა და განაგრძო
დაწყებული საუბარი მისტერ კლეიპოლმა, თუმცა, ფეიჯინმა ამ საუბრის
დასაწყისი ვერ მოისმინა, - მეყოფა ეს დაწყებული კუბოები, შარლოტ.
მინდა

ვიცხოვრო, როგორც ჯენტლმენს შეეფერება, შენ კი, თუ გსურს, ლედი
იქნები.

- ძალიან მინდა, ძვირფასო, - უპასუხა შარლოტმა, - მაგრამ შეუძლებელია
ყოველდღე სალარო გამოსაუფთავო და მერე გაიქცე.

- ჯანდაბას, სალარო! - თქვა მისტერ კლეიპოლმა, - სალაროს გარდა სხვა
რამის გამოსუფთავებაც შეიძლება.

- რა ჩაიფიქრე? - ჰკითხა თანამგზავრმა.

- ჯიბეები, ქალის ხელჩანთები, სახლები, საფოსტო კარტები, ბანკები, -
თქვა

ლუდის წყალობით აჟღერტულეებულმა მისტერ კლეიპოლმა.

- მაგრამ ეს ყველაფერი არ შეგიძლია, ძვირფასო, - თქვა შარლოტმა.
- შევეცდები ისეთი ხალხი მოვძებნო, ვისაც შეუძლია, - უპასუხა ნოემ, - ისინი დამეხმარებიან ფეხზე დადგომაში. შენ ხომ ორმოცდაათ ქალს სჯობიხარ, ჯერ არ მინახავს შენისთანა ეშმაკი და ცბიერი არსება, როდესაც ამის ნებას გაძლევ.
- ღმერთო, რა სასიამოვნოა შენგან ამის მოსმენა! - წამოიძახა შარლოტმა და ნოეს საზიზღარ სახეზე აკოცა.
- გეყოფა! მეტისმეტი სინაზე არ არის საჭირო, თორემ გავბრაზდები! - პირქუშად თქვა ნოემ და თავი მოარიდა, - ბანდის მეთაურობა მინდა, ხალხს ვუთვალთვალე და მათზე ყველაფერი მეცოდინებოდა ისე, რომ ისინი აზრზეც არ იქნებოდნენ. ეს საჩემო საქმეა, თუ კარგად გადამიხდიან. ამ ყაიდის რომელიმე ჯენტლმენს რომ შეგვახვედრა, მაშინ ვიტყვოდი, რომ ის ოცგირვანქიანი ბანკნოტი, დამალული რომ გაქვს, უმნიშვნელო საფასურია, თანაც წესიერად არც კი ვიცი, თავიდან როგორ მოვიშორო.
- ამ სურვილის გამოთქმის შემდეგ მისტერ კლეიპოლმა დიადი ბრძენის სახე მიიღო, ლუდის კათხაში ჩაიხედა, შეანჯღრია და დარჩენილი სასმელი დალია, რამაც დადებითად იმოქმედა მის გონებაზე. ფიქრობდა, კიდევ ხომ არ დაელოა, მაგრამ ამ დროს ოთახის კარი გაიღო და უცნობის შესვლამ ხელი შეუშალა.
- უცნობი მისტერ ფეიჯინი გახლდათ. მეტისმეტად თავაზიანად იქცეოდა, როდესაც მათ მაგიდას ჩაუარა, თავი მდაბლად დაუკრა, უახლოეს მაგიდასთან ჩამოჯდა და ბარნის ანიშნა, დასალევი მოეტანა.
- მშვენიერი საღამოა, სერ, მაგრამ წელიწადის ამ დროისთვის ცივი, - თქვა ფეიჯინმა და ხელები მოიფშვნიტა, - ვხედავ, რომ პროვინციიდან ხართ, ასეა, სერ?
- როგორ მიხვდით? - შეეკითხა ნოე კლეიპოლი.
- ჩვენთან, ლონდონში, ასეთი მტვერი არ დევს, - ფეიჯინმა ჯერ ორივეს ფეხსაცმელზე მიუთითა, შემდეგ - ორ ფუთაზე.
- გამჭრიახი კაცი ხართ, - თქვა ნოემ, - ჰა-ჰა! ერთი ყური უგდე, შარლოტ!
- ეჰ, ჩემო ძვირფასო, ამ ქალაქში თუ ცხოვრობ, გამჭრიახი უნდა იყო, - შეთქმულის ჩურჩულით უპასუხა ებრაელმა, - რაც მართალია, მართალია.
- ფეიჯინმა ეს შენიშვნა ცხვირზე გვერდიდან საჩვენებელი თითის მირტყმით დაასრულა - ნოემ იმავეს გამეორება სცადა, თუმცა, წარუმატებლად, რადგან მისი ცხვირი ამგვარი მოპყრობისთვის მეტისმეტად პატარა გახლდათ. ამის მიუხედავად, მისტერ ფეიჯინმა მისი მცდელობა სრული თანხმობის ნიშნად აღიქვა და მეგობრულად გაუმასპინძლდა ბარნის მოტანილი ღვინით.

- კარგი რამაა! - ტუჩების ლოკვით აღნიშნა მისტერ კლეიპოლმა.

- ჩემო ძვირფასო, - თქვა ფეიჯინმა, - თუ გინდათ, ხშირ-ხშირად სვით ასეთი, უნდა გამოასუფთაოთ სალაროები, ჯიბეები, ქალის საფულეები, სახლები, საფოსტო კარეტები და ბანკები.

როდესაც საკუთარი სიტყვები მოისმინა, მისტერ კლეიპოლი შეშინებული მიეყრდნო სკამის ზურგს და ჯერ ებრაელს შეხედა, შემდეგ შარლოტს.

- ყურადღებას ნუ მომაქცევთ, ძვირფასო, - ფეიჯინმა თავისი სკამი მისწია, -

ჰა-ჰა! ბედმა გაგიღიმათ, რომ მხოლოდ მე მოვისმინე. ძალიან ხელსაყრელია, რომ მხოლოდ მე ვიყავი.

- მე არ ამიღია, - ენის ბორძიკით ამოთქვა ნოემ; ჯენტლმენივით ფეხებგაშხლართული აღარ იჯდა, არამედ მათ მაგიდის ქვეშ შემალვას ცდილობდა, - ამის გაკეთებულია... შენ გაქვს ფული, შარლოტ, ხომ იცი, შენ გაქვს!

- არა აქვს მნიშვნელობა, ვის აქვს და ვინ ჩაიდინა, ჩემო ძვირფასო, - ფეიჯინმა მტაცებლის მზერა ესროლა ქალსა და ორ ფუთას, - მე თვითონაც ამ ხელობას მივდეგ, ამიტომ მომწონხართ.

-- რა ხელობას? - შეეკითხა ოდნავ გულმოცემული მისტერ კლეიპოლი.

- ამ საქმით ვარ დაკავებული, - უპასუხა ფეიჯინმა, - ამ საქმეს მისდევენ ამ

სახლის ბინადრებიც. სწორედ იქ მოხვდით, სადაც საჭიროა და აქ არაფერი გემუქრებათ. მთელ ქალაქში „ხეიბრებზე“ საიმედო ადგილი არ მოიძებნება - თუმცა, ეს ჩემზეა დამოკიდებული. მე კი თქვენდამი და ამ ახალგაზრდა ქალისადმი სიმპათია ვიგრძენი. ამიტომაც წამოვიწყე საუბარი, რომ დამშვიდდეთ.

შესაძლოა, ასეთი სიტყვების შემდეგ ნოე კლეიპოლს სული დაუმშვიდდა, მაგრამ სხეულზე ამას ნამდვილად ვერ იტყოდით, რადგან სკამზე დაუსრულებლად წრიალებდა, უცნაურად იგრიხებოდა, თან ახალ მეგობარს შიშითა და უნდობლობით მისჩერებოდა.

- კიდევ ერთ რამეს გეტყვით, - განაგრძო ფეიჯინმა მას შემდეგ, რაც გოგონა რამდენიმე მეგობრული თავის დაკვრით დაამშვიდა და გამამხნეველი ერთი-ორი სიტყვაც წაიბურტყუნა, - მეგობარი მყავს, რომელსაც თქვენი სანუკვარი ოცნების ასრულება და საჭირო გზაზე გაყვანა შეუძლია, მერე კი იმ

საქმეს აირჩევთ, რომელიც, თქვენი აზრით, ყველაზე მეტად შეგეფერებათ და სხვა დანარჩენსაც ისწავლით.

- თითქოს არ უნდა ხუმრობდეთ! - თქვა ნოემ.

- ხუმრობით რა სარგებელი მექნება? - მხრები აიჩეჩა ფეიჯინმა, - წამოდით, მეორე ოთახში გავიდეთ, თქვენთვის რაღაც მაქვს სათქმელი.

-- რა საჭიროა თავის შეწუხება და ადგომა? - ნოემ თანდათან ისევ გაჭიმა ფეხები, - ეს ბარგს ზემოთ აიტანს... შარლოტი, ფუტებს მიხედე!

მეტისმეტად მედიდურად გაცემული ეს ბრძანება უსიტყვოდ შესრულდა, ფუტებით დატვირთული შარლოტი გავიდა, ნოეს კი კარი ღია ეჭირა და თვალს ადევნებდა.

-- კარგად მოვარჯულე, ხომ მართალია? - იკითხა ველური ცხოველის მომთვინიერებლის ტონით თავის ადგილზე დაბრუნებულმა ნოემ.

- ძალიან კარგად! - ფეიჯინმა მხარზე ხელი დაჰკრა, - ნამდვილი გენიოსი ხარო, ჩემო ძვირფასო!

- ჰო, ასე რომ არ ყოფილიყო, ახლა აქ არ ვიქნებოდი, - უპასუხა ნოემ, - მაგრამ, მისმინეთ, დროზე თქვით სათქმელი, თორემ დაბრუნდება.

- მაშ, ამაზე რას ფიქრობთ? - შეეკითხა ფეიჯინი, - თუ ჩემი მეგობარი მოგეწონათ, მასთან ხომ არ მოეწყობით?

- საქმეები კარგად მისდის? მთავარი ესაა, - თვალი ჩაუკრა ნოემ.

- მშვენივრად! უამრავ ადამიანს ასაქმებს. მასთან ამ საქმის პროფესიონალები არიან.

- ნამდვილი ქალაქელები? - შეეკითხა მისტერ კლეიპოლი.

- არც ერთი პროვინციელი. ჩემი რეკომენდაციის გარეშე არც კი აგიყვანდათ, მაგრამ სწორედ ახლა სჭირდება დამხმარე.

- უნდა გადავიხადო? - ნოემ შარვლის ჯიბეზე ხელი დაიტყაპუნა.

- ამის გარეშე არაფერი გამოვა, - გადაჭრით უპასუხა ფეიჯინმა.

- მაგრამ ოცი გირვანქა სტერლინგი... დიდი ფულია.

- არა, თუ ეს ის ბანკნოტია, რომლის თავიდან მოშორებაც ვერ მოგიხერხებიათ, - არ დაეთანხმა ფეიჯინი, - წელი და ნომერი, ალბათ, ჩაწერილია, ხომ ასეა? ბანკში გადახდაც შეჩერებულია? ხომ ხედავთ, ამ ბანკნოტისგან დიდი ვერაფერი ხეირია. მისი საზღვარგარეთ გადაგზავნა იქნება საჭირო, თუ ბაზარზე მაღალ ფასად გაყიდვა ვერ მოახერხა.

- როდის შევხვდები? - ყოყმანით იკითხა ნოემ.

- ხვალ დილით.

- სად?

- აქ.

- ჰმ, - თქვა ნოემ, - ჯამაგირი რამდენი იქნება?

- იცხოვრებთ როგორც ჯენტლმენი, საკმელ-სასმელი და ბინა, თამბაქო და სასმელი რამდენიც გინდათ, თქვენი და ახალგაზრდა ქალბატონის ჯამაგირების

ნახევარი თქვენია.

სრულიად დამოუკიდებლად და თავისუფლად მოქმედება რომ შესძლებოდა, გაურკვეველია, დასთანხმდებოდა თუ არა ნოე კლეიპოლი ამგვარ შესანიშნავ წინადადებას, მაგრამ ახლა, რაკი უარის შემთხვევაში ახალ ნაცნობს მისი სამართალდამცველთა ხელში გადაცემა შეეძლო (უფრო დაუჯერებელი ამბებიც მომხდარა), ნელ-ნელა მოუღბა გული და თქვა, რომ ეს წინადადება მისთვის მისაღებია.

- მაგრამ, იცით რა, - შენიშნა ნოემ, - თუ ქალი მძიმე სამუშაოსაც იოლად აუვა, მე რაღაც უფრო იოლი მინდა.

- რაიმე იოლი და სასიამოვნო სამუშაო? - შესთავაზა ფეიჯინმა.

- სწორედ ასეა, - უპასუხა ნოემ, - როგორ ფიქრობთ, რა შემეფერება? ვთქვათ, ისეთი საქმე, რომელსაც დიდი ძალისხმევა არ სჭირდება და სახიფათოც არ არის. რაღაც ამდაგვარი.

- როგორც გავიგონე, მიყურადებაზე ამბობდით, ჩემო ძვირფასო, - თქვა ფეიჯინმა, - ჩემს მეგობარს ისეთი ადამიანი სჭირდება, რომელიც ამას თავს გაართმევს.

- დიახ, ვახსენე და შემძლია ამას ხელი მოვკიდო, - ნელა თქვა ნოემ, - მაგრამ, იცით, ეს სამუშაო ყოველთვის არ არის შემოსავლიანი.

- მართალია! - შენიშნა ებრაელმა, რომელიც რაღაცას ფიქრობდა ან თავს აჩვენებდა, რომ ფიქრობს, - არა, არ გამოდგება.

- აბა, სხვას რას ფიქრობთ? - შეეკითხა ნოე და შეშფოთებულმა შეხედა, - კარგია, როცა ხმაურით სარგებლობ და მაშინ ქურდობ, რისკი იმაზე მეტი ნამდვილად არ არის, როცა შენთვის სახლში ზიხარ.

- მოხუც ქალბატონებზე რას ფიქრობთ? - შეეკითხა ფეიჯინი, - კარგი ჯამაგირი გამოდის, როდესაც ხელჩანთებს გამოსტაცებთ და გაიქცევით.

- ისინი ხომ ყურისწამლებად ყვირიან და ზოგჯერ იკაწრებიან კიდეც, - არ დაეთანხმა ნოე, - არა მგონია, ეს საჩემო საქმე იყოს. სხვა არაფერი გამოიძებნება?

- მოიცათ, - ფეიჯინმა მუხლზე ხელი დაადო, - ბარტყების გაფცქვნა.

- ეს რაღაა? - დაინტერესდა კლეიპოლი.

- ბარტყები, ჩემო ძვირფასო, - თქვა ფეიჯინმა, - პატარა ბავშვები არიან, რომლებსაც დედები საყიდლებზე გზავნიან და ექვსპენსიანებსა და შილინგებს აძლევენ. გაფცქვნა კიდეც გაქურდვას ნიშნავს, როგორც წესი, ფული ხელში უჭირავთ... ფულს წაართმევთ... ხელს ჰკრავთ და ტროტუართან, წყალსადინარ თხრილში ჩააგდებთ, მერე მშვიდად წახვალთ თქვენს გზაზე, თითქოს არაფერი

მომხდარა - დიდი ამბავი, თუ ქუჩაში ვიღაც ბავშვი წაიქცა და დაშავდა. ჰა-ჰა-ჰა!

- ჰა-ჰა! - ახარხარდა ნოე კლეიპოლი და აღფრთოვანებულმა ფეხები აიქნია,
-
ღმერთმანი, ეს საქმე საჩემოა!

- რასაკვირველია, - თქვა ფეიჯინმა, - შეგიძლიათ ადგილიც შეარჩიოთ კემდენ-ტაუნში, ბეტლ-ბრიჯში ან იქვე ახლომახლო, სადაც ყოველთვის გზავნიან საყიდლებზე და ყოველ შემოვლაზე, ნებისმიერ დროს, იმდენ ბარტყს წააქცევთ, რამდენიც მოგესურვებათ. ჰა-ჰა-ჰა!

ამის შემდეგ მისტერ ფეიჯინმა მისტერ კლეიპოლს მუჯლუგუნის ჰკრა და ორივე ახარხარდა.

- ყველაფერი რიგზეა, - თქვა ნოემ, როდესაც ოთახში შარლოტი დაბრუნდა,
-
ხვალ რომელ საათზე?

- ათზე შეძლებთ? - შეეკითხა ფეიჯინი და როდესაც მისტერ კლეიპოლმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, დაამატა, - ჩემს მეგობარს რა გადავცე, როგორ მოგმართოთ?

- მისტერ ბოლტერი, - ნოე ამ შეკითხვისთვის მზად იყო, - მისტერ მორის ბოლტერი. ეს კი მისის ბოლტერია.

- თქვენს სამსახურში მიგულეთ, მისის ბოლტერ, - ფეიჯინმა გადაჭარბებული თავაზიანობით დაუკრა თავი, - იმედია, უახლოეს ხანებში უფრო ახლოს გავიცნობთ ერთმანეთს.

- გესმის, რას ამბობს ჯენტლმენი, შარლოტ? - მრისხანედ იკითხა მისტერ კლეიპოლმა.

- დიახ, ნოე, ძვირფასო! - უპასუხა მისის ბოლტერმა და ხელი გაიწვდინა.

- ნოეს მეძახის, საალერსო სახელივითაა, - მიუბრუნდა ფეიჯინს მისტერ მორის ბოლტერი, მანამდე კლეიპოლი, - ხომ გესმით?

- ოჰ, რა თქმა უნდა, შესანიშნავად მესმის, - ფეიჯინი ამჯერად სრულ სიმართლეს ამბობდა, - ღამე მშვიდობისა! ღამე მშვიდობისა!

ხანგრძლივი გამომშვიდობებისა და ერთმანეთისთვის მრავალმნიშვნელოვანი კეთილი სურვილების სურვების შემდეგ მისტერ ფეიჯინი თავისი გზით წავიდა. ნოე კლეიპოლმა თავისი ძვირფასი მეუღლისგან ყურადღება მოითხოვა და მიღწეული შეთანხმების შესახებ ისეთი მედიდურობითა და საკუთარი ღირსების შეგნებით მოუყვა, როგორც არა მხოლოდ ძლიერი სქესის წარმომადგენელს ახასიათებს, არამედ ჯენტლმენსაც, რომელმაც ლონდონსა და მის მიდამოებში ბარტყების გამფცქვენელის თანამდებობა მიიღო.

თავი 43 მოთხრობილია, თუ როგორ შეიძლება
გასაჭირშიჩავარდეს ეშმაკი და გაქნილი ადამიანიც კი

- მაშ, ეს თქვენ იყავით თქვენივე მეგობარი? - შეეკითხა მისტერ კლეიპოლი, იგივე ბოლტერი, ფეიჯინს, დადებული შეთანხმების თანახმად მის სახლში გადასვლის შემდეგ, - ღმერთმანი, გუშინ საღამოს ასეთი რამ კი გავიფიქრე.

- ყველა ადამიანი საკუთარი თავის მეგობარია, ჩემო ძვირფასო, - უპასუხა შემპარავი ღიმილით ფეიჯინმა, - და ასეთ საუკეთესო მეგობარს ვერასოდეს იპოვის.

- გამონაკლისებიც არიან, - საზოგადოებაში გამოსული ადამიანის სახით ჩაურთო მორის ბოლტერმა, - ზოგიერთი მხოლოდ საკუთარი თავის მტერია.

- არ დაიჯეროთ, - თქვა ფეიჯინმა, - თუ ადამიანი თავისი თავის მტერია, ეს იმიტომ, რომ თავის თავს მეტისმეტად დაუმეგობრდა, და არა იმიტომ, რომ ყველაზე ზრუნავს საკუთარი თავის გარდა. სისულელეა, სისულელე! ასეთი რამ ამქვეყნად არ ხდება.

- თუ ხდება, არ უნდა ხდებოდეს, - გამოეხმაურა მისტერ ბოლტერი.

- რასაკვირველია. ზოგიერთი გრძნეული ამბობს, რომ მაგიური რიცხვია სამი, სხვების აზრით - შვიდი. არც ერთია მართალი და არც მეორე, ასეთი რიცხვია ერთი.

- ჰა-ჰა! - გადაიხარხარა მისტერ ბოლტერმა, - ყოველთვის ერთი.

- ისეთ პატარა წრეში, როგორც ჩვენია, ჩემო ძვირფასო, - ფეიჯინმა თავისი მოსაზრების განმარტება სავალდებულოდ ჩათვალა, - საერთო რიცხვია ერთი; სხვა სიტყვებით, თქვენ საკუთარ თავს პირველ ნომრად ვერ მიიჩნევთ, თუ ასეთად არ ჩამთვლით მე და სხვა ყმაწვილებს.

- ოჰ, ეშმაკმა დალახვროს! - წამოიძახა მისტერ ბოლტერმა.

- იცით, - ფეიჯინმა ისე განაგრძო, თითქოს ეს წამომძახილი არ გაუგონია, - ყველას საერთო ინტერესები გვაქვს და სხვაგვარად შეუძლებელია. მაგალითად, თქვენი მიზანია, იზრუნოთ ნომერ პირველზე, ანუ საკუთარ თავზე.

- რასაკვირველია, - დაეთანხმა მისტერ ბოლტერი, - მართალს ბრძანებთ.

- შესანიშნავია, მაგრამ საკუთარ თავზე, ნომერ პირველზე, ვერ იზრუნებთ, თუ არ ზრუნავთ ჩემზე, ნომერ პირველზე.

- ნომერი მეორე გინდოდათ გეთქვათ, - შენიშნა მისტერ ბოლტერმა, რომელიც ეგოიზმით უხვად იყო დაჯილდოებული.

- არა, არ მინდოდა, - არ დაეთანხმა ფეიჯინი, - მეც ისეთივე მნიშვნელობა

მაქვს, როგორც თქვენ...

- მისმინეთ, - გააწყვეტინა მისტერ ბოლტერმა, - ძალიან კარგი ადამიანი ხართ და ძალიან მომწონხართ, მაგრამ ჩვენ ჯერ ისე არ დავმეგობრებულვართ, რომ საქმე აქამდე მივიდეს.

- კარგად დაფიქრდით, - ფეიჯინმა მხრები აიჩეჩა და ხელები გამალა, - კარგად დაფიქრდით. თქვენ სარფიანი საქმე გაახერხეთ და ამისათვის მიყვარხართ, მაგრამ სამაგიეროდ, ჰალსტუხი გელოდებათ, რომლის ჩამოცმა ასე ადვილია, გახსნა კი - ნურას უკაცრავად, ინგლისურად გასაგებად რომ ვთქვათ, ეს სახრჩობელას ყულფია.

მისტერ ბოლტერმა ხელი უნებურად ყელსახვევზე იტაცა, თითქოს იგრძნო, რომ ის მეტისმეტად არის მოჭერილი და რაღაც ჩაიბურტყუნა, რაც ტონით თანხმობას გამოხატავდა, მაგრამ არა სიტყვებით.

- სახრჩობელა, - განაგრძობდა ფეიჯინი, - სახრჩობელა, ჩემო ძვირფასო, - ეს მახინჯი, გზის პირას აღმართული სვეტი, სავალი უმოკლესი და ძალიან მკვეთრი შესახვევისკენ, რომელმაც დიდ და ფართო გზაზე გასული მრავალი ყოჩაღი ბიჭის კარიერას ბოლო მოუღო. არ გადახვიდეთ მთავარი გზიდან და რაც შეიძლება შორს გეჭიროთ მისგან თავი, ეს არის თქვენი ნომერი პირველი მიზანი.

- რა თქმა უნდა, ეს მართალია, - უპასუხა მისტერ ბოლტერმა, - მაგრამ ასეთ რაღაცებზე რატომ ლაპარაკობთ?
- იმიტომ, რომ ჩემი სიტყვების აზრი გაგაგებინოთ, - ებრაელმა მხრები აიჩეჩა,
- ამისათვის ჩემი იმედი გქონდეთ. ჩემს პატარა საქმეს მშვიდად რომ მივდიო, თქვენი იმედი უნდა მქონდეს. თქვენთვის ერთი რამ არის ნომერი პირველი, ჩემთვის - სხვა რამ. რაც უფრო მეტად აფასებთ თქვენს ნომერ პირველ მიზანს, მით მეტად ზრუნავთ ჩემს ნომერ პირველზე; აი, ასე დავუბრუნდით იმას, რაც საუბრის დასაწყისში ვახსენე: ჩვენ ყველას ნომერი ერთისადმი ყურადღება გვაერთიანებს. ასეც უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველაფერი დაინგრევა.

- მართალია, - ფიქრიანად თქვა მისტერ ბოლტერმა, - ოჰ, ძალიან გაქნილი ბებრუხანა ხართ!

მისტერ ფეიჯინი სიხარულით დარწმუნდა, რომ მისი უნარების ასეთი ქება უბრალო კომპლიმენტი არ იყო და მან ახალბედას მართლაც შთაუნერგა საკუთარი ემშაკობის გენიალურობის შესახებ აზრი, ამგვარი წარმოდგენის განმტკიცება კი მეტად მნიშვნელოვანი გახლდათ. შთაბეჭდილების გასაძლიერებლად ნოეს უფრო დაწვრილებით აუხსნა თავისი ოპერაციების ფარგლები, ტყუილ-მართალს ერთმანეთში ურევდა, რათა ერთიცა და მეორეც

სათანადო ოსტატობით მიეტანა მსმენელამდე; ბოლოს და ბოლოს, მისტერ ბოლტერის პატივისცემა აშკარად გაიზარდა და სასიკეთო ზნეობრივი ზემოქმედების მომხდენი შიშის ელფერიც შეიძინა, რასაც ესწრაფოდა კიდევ ფეიჯინი.

- სწორედ ეს არის ის ნდობა, რითაც ერთმანეთს ვეკიდებით და რაც მძიმე დანაკარგის შემთხვევაში მამშვიდებს ხოლმე, - თქვა ფეიჯინმა, - გუშინ დილით ჩემი საუკეთესო დამხმარე დავკარგე.

- ნუთუ გარდაიცვალა? - წამოიძახა მისტერ ბოლტერმა.

- არა, - უპასუხა ფეიჯინმა, - საქმე არც ისე ცუდადაა. არც ისე ცუდად.

- მაშინ, როგორც ჩანს...

- დასჭირდათ, - უკარნახა ფეიჯინმა, - დიახ, დასჭირდათ.

- მნიშვნელოვანი საქმისთვის? - იკითხა მისტერ ბოლტერმა.

- არა, - უპასუხა მისტერ ფეიჯინმა, - არც ისე. ჯიბის ამოსუფთავებისთვის დააკავეს და ვერცხლის სათუთუნე უპოვეს - მისი საკუთარი, ჩემო ძვირფასო,

იმიტომ, რომ თავად ძალიან უყვარს თუთუნის ყნოსვა. დღემდე დაპატიმრებული

ჰყავდათ, იმიტომ, რომ მფლობელის პოვნას იმედოვნებდნენ. ოჰ, მისი ფასი ორმოცდაათ სათუთუნეზე მეტიც არის და ამ საფასურის გადასახდელად მზად ვიყავი, ოღონდაც კი ის დამებრუნებინა. კარგი იქნებოდა, ცუდლუტს გასცნობოდი, ჩემო ძვირფასო, კარგი იქნებოდა.

- რას ვიზამთ, იმედია, ასეც მოხდება, თქვენ რას ფიქრობთ? - შეეკითხა მისტერ ბოლტერი.

- შეეჭვება, - ამოიოხრა ფეიჯინმა, - თუ სხვა სამხილი ვერ მოიძებნა, მცირე

ვადას მიუსჯიან და თვე-ნახევრის შემდეგ ჩვენთან იქნება; თუ გამოძებნეს, მაშინ იხოლაცია ემუქრება. კარგად იციან, როგორი ყვეიანი ბიჭია.

სამუდამოზე

გაუშვებენ. ცუდლუტს, არც მეტი, არც ნაკლები, სამუდამოზე გაუშვებენ.

- რას ნიშნავს იხოლაცია და სამუდამოზე გაშვება? - იკითხა მისტერ ბოლტერმა, - რა აზრი აქვს ჩემთან ასეთი ტერმინებით საუბარს, ხომ იცით, რომ

არ მესმის!

ფეიჯინს ამ იდუმალი გამოთქმების ჩვეულებრივ ენაზე განმარტება სურდა და მისტერ ბოლტერი მიხვდებოდა, რომ იხოლაცია კატორდაში გაგზავნას ნიშნავს,

ხოლო სამუდამოზე გაშვება - სამუდამო პატიმრობის მისჯას, მაგრამ მათი საუბარი ყმაწვილი ბეიტსის გამოჩენამ შეწყვიტა; მას ხელები ჩვეულებისამებრ ჯიბეებში ჩაეწყო, სახე დაღრეჯოდა და სანახევროდ კომიკურ მწუხარებას გამოხატავდა.

- ყველაფერი დამთავრდა, ფეიჯინ! - თქვა ჩარლიმ, როდესაც ის და მისი ახალი მეგობარი ერთმანეთს წარუდგინეს.

- ეს რას ნიშნავს?

- სათუთუნის პატრონი ჯენტლმენი იპოვეს. კიდეც ორი-სამი კაცი მოწმედ გამოვა და ამოიცინობს, ასე რომ, ცუდლუტს შორეულ ნაოსნობაში მოუწევს გამგზავრება, - უპასუხა ყმაწვილმა ბეიტსმა, - ფეიჯინ, სამგლოვიარო კოსტიუმი
მჭირდება და კიდეც, ლენტი შლაპისთვის, როდესაც უკანასკნელად მოვიწახვლებ, ვიდრე გაემგზავრება. წარმოიდგინე, ჯეკ დაუკინსი, ყოჩალი ჯეკი,
ცუდლუტი, მარჯვე ცუდლუტი შორეულ მხარეში მიემგზავრება რაღაც სულელური
სათუთუნის გამო, რომლის ფასი ორ-ნახევარი პენსია. ვერასოდეს ვიფიქრებდი,
რომ ასეთი რამ დაემართებოდა, ყოველ შემთხვევაში, თუ ეს მოხდებოდა, მიზეზი ოქროს საათი ან ტყავის ხელთათმანი უნდა ყოფილიყო. ოჰ, რატომ არ
წაართვა რომელიმე ბებერ მდიდარს მთელი ძვირფასეულობა, ნამდვილ
ჯენტლმენად წავიდოდა და არა როგორც უბრალო ბაცაცა, უღირსებოდ,
დიდების
გარეშე!

ყმაწვილმა ბეიტსმა ასე გამოხატა თანაგრძნობა თავისი უიღბლო მეგობრისადმი, მერე დაღვრემილი და გულგატეხილი დაეშვა სკამზე.

- რას ბოდავ? - წამოიძახა ფეიჯინმა და გაბრაზებულმა შეხედა შეგირდს, - განა თქვენზე, ყველაზე, ერთი თავით მაღლა არ იდგა? თქვენ შორის ერთი მაინც
თუ იყო, ვინც ოდნავ მაინც შეედრებოდა ან მისი თანასწორი იქნებოდა?

- არც ერთი, - დარდისგან ჩახრინწული ხმით უპასუხა ყმაწვილმა ბეიტსმა,
-
არც ერთი.

- აბა, რას ბოდავ? - გაბრაზდა ფეიჯინი, - და რატომ სლუკუნებ?

- იმიტომ, რომ ეს ყველაფერი ოქმში არ ეწერება, - უპასუხა ჩარლიმ, რომელსაც სინანულმა აიძულა, თავისი პატივსაცემი მოძღვრისთვის გაეწია წინააღმდეგობა, - იმიტომ, რომ ამ ყველაფერს არც საბრალოდებო დასკვნაში აღნიშნავენ და ვერავინ ვერასოდეს გაიგებს, სინამდვილეში ვინ იყო. რა ჩაიწერება მის შესახებ ნიუგეიტის ციხის ცნობარში?
შესაძლოა, სულაც არ შეიტანონ. ოჰ, ღმერთო, რა დანაკარგია!

- ჰა-ჰა! - წამოიყვირა ფეიჯინმა, მარჯვენა ხელი მისტერ ბოლტერისკენ გაიშვირა და დამბლადაცემულივით, მთელი სხეულით კანკალებდა ხითხითისგან, - შეხედეთ, ჩემო ძვირფასო, როგორ ამაყობენ საკუთარი პროფესიით, განა ეს მშვენიერი არ არის?

მისტერ ბოლტერმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, ხოლო ფეიჯინი ცოტა ხანს დამწუხრებულ ჩარლი ბეიტსს უყურებდა, მერე მივიდა და დასამშვიდებლად მხარზე ხელი დაჰკრა.

- ნუ წუხხარ, ჩარლი, ცნობილი გახდება, აუცილებლად გაიგებენ. ყველა

გაიგებს, როგორი მკვირცხლი ყმაწვილი იყო, თავადაც უჩვენებს ამას და თავის ძველ მეგობრებსა და მასწავლებლებს არ შეარცხვენს. იმაზე იფიქრე, როგორი ახალგაზრდაა. როგორი საპატიოა, ჩარლი, ასეთ ასაკში იზოლაციას რომ მოგისჯიან!

- ჰო, ეს კი არის საპატიო, - ცოტათი გულზე მოეშვა ჩარლის.

- ყველაფერს მიიღებს, რაც სურს, - განაგრძო ებრაელმა, - საკანში ჯენტლმენივით იქნება, ჩარლი, ჯენტლმენივით. ყოველდღე ლუდი და ჯიბის ფული კამათლის გასაგორებლად, თუ სხვა რამეში ვერ დახარჯა.

- მართლა? - წამოიძახა ჩარლი ბეიტსმა.

- ეს ყველაფერი ექნება, - უპასუხა ფეიჯინმა, - და ჩვენ ყველაზე დიდი პარიკი

გვეყოლება, ისეთი, რომელსაც მის დასაცავად ენის ტარტარი საუკეთესოდ შეუძლია. ცუდლუტი თუ მოინდომა, თავს თვითონაც დაიცავს, ჩვენ კი ამას გაზეთებში დავბეჭდავთ: „ცუდლუტი - ხარხარი დარბაზში და მოსამართლის კრუნჩხვები“. როგორია, ჩარლი, ჰა?

-- ჰა-ჰა! - გადაიხარხარა ჩარლიმ, - რა იქნება! მართლა ასე იქნება, ფეიჯინ?

ცუდლუტი მაგათ სისხლს გაუშრობს, ხომ?

- ჰო! - წამოიძახა ფეიჯინმა, - სისხლს გაუშრობს!

- ასე მგონია, საკუთარი თვალით ვხედავ, - თქვა ებრაელმა და შევირდს შეხედა.

- მეც! - წამოიძახა ჩარლი ბეიტსმა, - ჰა-ჰა-ჰა! ამ ყველაფერს ვხედავ, ღმერთმანი, ვხედავ, ფეიჯინ. რა იქნება! მართლა რა იქნება! ყველა პარიკი ეცდება, რაც შეიძლება ღირსეულად გამოიყურებოდეს, ჯეკ დაუკინსი კი სასამართლოს ისე მშვიდად და გულითადად მიმართავს, თითქოს მოსამართლის ღვიძლი შვილია და სადილის შემდეგ სიტყვით გამოდის. ჰა-ჰა-ჰა!

ფეიჯინმა თავისი ახალგაზრდა მეგობრის უცნაურ ხასიათზე ისე ოსტატურად იმოქმედა, რომ თუ ბეიტსისთვის მანამდე დაპატიმრებული ცუდლუტი მსხვერპლი

იყო, ახლა ის შეუდარებელი და არაჩვეულებრივი იუმორით გამორჩეულ პირველ

მსახიობად იქცა, და ჩარლი მოუთმენლად ელოდა იმ წუთს, როდესაც მის ძველ

მეგობარს თავისი ნიჭის გამოვლენის შესაძლებლობა მიეცემოდა.

-- როგორმე უნდა მოვახერხოთ და გავიგოთ, როგორ არის, - თქვა ფეიჯინმა, -

ცოტა ხანს დამაცადე, მოვიფიქრო.

- მე რომ წავიდე? - შეეკითხა ჩარლი.

- არავითარ შემთხვევაში, - უპასუხა ფეიჯინმა, - ხომ არ გადარეულხარ, ჩემო

მვირფასო, წახვიდე იქ, სადაც... არა, ჩარლი, არა. ერთის დაკარგვაც საკმარისია.

- თქვენ ხომ არ აპირებთ წასვლას? - თვალი ჩაუკრა და იხუმრა ჩარლიმ.

- ეს უხერხული იქნებოდა, - თავი გააქნია ფეიჯინმა.

- ეს ახალი ბიჭი რომ გავგზავნოთ, რა მოხდება? - ყმაწვილმა ბეიტსმა ნოეს მხარზე ხელი დაადო, - იქ არავინ იცნობს.

- თუ წინააღმდეგი არ არის... - წამოიწყო ფეიჯინმა.

- წინააღმდეგი? - გააწყვეტინა ჩარლიმ, - რის წინააღმდეგი?

- არაფრის, ჩემო მვირფასო, - ფეიჯინი მისტერ ბოლტერს მიუბრუნდა, - სრულიად არაფრის.

-- ოჰ, როგორ არა! - წამოიძახა ნოემ, რომელიც კარისკენ იხევდა და შეშინებული უარის ნიშნად თავს იქნევდა, - არა, არა, თავი დამანებეთ! ეს სულაც არ მევალება.

- რა მოვალეობები აქვს, ფეიჯინ? - იკითხა ყმაწვილმა ბეიტსმა, რომელიც ეჭვით დააცქერდა ნოეს აწოწილ სხეულს, - როცა რამე ისე არ არის, კუდამოძუებული გაიქცეს და თუ ყველაფერი კარგადაა, მუცლის ამოყორვამდე ხეტოქოს? ეს არის მისი მოვალეობა?

- რა მნიშვნელობა აქვს? - მკვახედ უპასუხა მისტერ ბოლტერმა, - უფროსებთან ასეთ თავხედობას მოეშვი, თორემ ინანებ.

ასეთ მგზნებარე მუქარაზე ყმაწვილ ბეიტსს ისეთი ხარხარი აუტყდა, რომ კარგა ხანი დასჭირდა ფეიჯინს, ვიდრე ჩაერეოდა და მისტერ ბოლტერს აუხსნიდა, რომ პოლიციის განყოფილებაში საფრთხე არ ემუქრება, იმიტომ, რომ

არც მისი მცირე საქმის არსი, არც აღწერილობა დედაქალაქის პოლიციისთვის გადაცემული არ არის და ისიც კი არავინ იცის, რომ თავი სწორედ ლონდონს შეაფარა, იმიტომ, თუ სათანადოდ გამოეწყობა, შეუძლია იქ მივიდეს და ეს ისეთივე უსაფრთხო იქნება, როგორც ლონდონის ნებისმიერ სხვა ადგილზე მისვლა; გარდა ამისა, პოლიციის განყოფილება ის ადგილი იყო, სადაც მის ნებაყოფლობით გამოცხადებას ყველაზე ნაკლებად ივარაუდებდნენ.

ნაწილობრივ ამგვარი არგუმენტებით, მაგრამ, ძირითადად, ფეიჯინის შიშით დარწმუნებული მისტერ ბოლტერი მეტად უხალისოდ დათანხმდა ამგვარ ექსპედიციაში წასვლას. ფეიჯინის მითითებით მაშინვე გადაიკვა მეეტლის ქურთუკი, მოკლე ნაოჭიანი შარვალი და ტყავის გეტრები - ეს ყველაფერი ფეიჯინს ჰქონდა. გარდა ამისა, დაახურეს საგზაო საგუშაგოების ბილეთებით მორთული თექის შლაპა და ხელში მათრახი დააჭერინეს. ამგვარად გამოწყობილი უნდა შესულიყო სასამართლო სხდომაზე, როგორც კოვენტ-გარდენის ბაზრის რომელიმე სოფლელი ყმაწვილი, რომელსაც ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება სურს. რაკი ნოე სწორედ ასეთი ტლანქი, მოუქნელი და გაუწვრთნელი ახალგაზრდა გახლდათ, როგორც საჭიროა, ფეიჯინი დარწმუნებული იყო, დაკისრებულ ამოცანას შესანიშნავად შეასრულებდა.

მოსამზადებელი სამუშაოს დასრულების შემდეგ ცულლუტის ამოსაცნობად

საჭირო ნიშნები ჩამოუთვალეს, ხოლო ყმაწვილმა ბეიტსმა ჩაბნელებული და მიხვეულ-მოხვეული გზებით მიაცილა იმ ადგილამდე, საიდანაც ბოუ-სტრიტი სულ

ახლოს იყო. პოლიციის განყოფილების ადგილმდებარეობა ზუსტად აღუწერა, გარდა ამისა, დაურთო უამრავი მითითება, როგორ გადაეყრა შესახვევი, ეზო,

ასულიყო კიბით მარჯვენა მხარეს მდებარე კარამდე და ოთახში შესულს ქუდი მოეხადა. ამის შემდეგ ჩარლი ბეიტსი გამოემშვიდობა და ურჩია, სწრაფად წასულიყო, ერთმანეთს კი იმავე ადგილზე შეხვდებოდნენ, სადაც ახლა დაშორდნენ.

ნოე კლეიპოლი, ან თუ მკითხველს ასე ურჩევნია, მორის ბოლტერი მიღებულ მითითებებს პუნქტუალურად მიჰყვა; ისინი ისეთი ზუსტი იყო (ყმაწვილი ბეიტსი

ამ მიდამოებს კარგად იცნობდა), რომ შეკითხვის დასმა არ დასჭირვებია და მიზნამდე დაუბრკოლებლად მივიდა. ჭუჭყიან და ჩახუთულ ოთახში, ძირითადად, ქალებისგან შემდგარ ბრბოში აღმოჩნდა, რომლის მეორე ბოლოში,

მარცხენა მხარეს, ბრალდებულებისთვის განკუთვნილი, მოაჯირებით შემოზღუდული შემადლებული ადგილი მოჩანდა, ცენტრში კათედრა იდგა მოწმეებისთვის, ხოლო მარჯვნივ – მოსამართლის მაგიდა. ეს საშიში ადგილი ტიხრით იყო გამოყოფილი, რაც სასამართლოს უბრალო მოკვდავების მზერისგან

იფარავდა და მდაბიოებს საშუალებას აძლევდა, მართლმსაჯულება მთელი სიდიადით წარმოედგინათ (თუკი საამისოდ წარმოსახვა ეყოფოდათ).

ბრალდებულების სკამზე იჯდა ორი ქალი, რომლებიც დაუსრულებლად თავის დაკვრით ესალმებოდნენ თავიანთ ალტაცებულ მეგობრებს, ვიდრე კლერკი რაღაც ჩვენებებს უკითხავდა ორ პოლიციელსა და მაგიდაზე დახრილ, სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილ მოხელეს. ციხის ზედამხედველი ბრალდებულთა სკამების მოაჯირს იდაყვებით დაყრდნობოდა, ცხვირზე გასადებების აცმას იკაკუნებდა და მხოლოდ მაშინ წყვეტდა ამ მოქმედებას, როცა ყვირილით უნდა ჩაეხშო მოსერიეთა ლაზღანდარობა ან რომელიმე ქალისთვის მკაცრად ებრძანებინა: „ეს ბავშვი გაიყვანეთ“, როდესაც დედის შალში ჩამალული გაწრიპული პატარა ოდნავ წამოიტირებდა. ოთახში მძიმე, დამდგარი ჰაერი იყო; ჭუჭყს კედლების ფერი შეეცვალა, ხოლო ჭერი გაშავებულიყო. ქვის კედელთან გაჭვარტლული ბიუსტი აღმართულიყო, ხოლო

ბრალდებულების სკამის თავზე – დამტვერილი საათი, ერთადერთი ნივთი, რომელიც რიგიანად მუშაობდა, მაშინ როდესაც ცოდვებმა, სილატაკემ ან მათთან

დაკავშირებულმა ნაცნობობამ ყველა სულიერზე ისეთივე სქელი ნადები დატოვა,

როგორც იყო ჭვარტლისა და ჭუჭყის ფენა უსულო საგნებზე.

ნოე ყურადღებით იყურებოდა აქეთ-იქით და ცუდლუტს ეძებდა; მართალია, ოთახში მყოფი ქალებისგან ბევრი შეიძლებოდა ამ გამოჩენილი ადამიანის დედად ან დად მიეჩნიათ, ასევე რამდენიმე მამაკაცი – მამად, მაგრამ არავინ იყო ისეთი, ვინც ზუსტად შეესატყვისებოდა მისტერ დაუკინსის აღწერილობას.

ნოე დიდი შემფოთებითა და გაურკვევლობით ელოდებოდა, ვიდრე ქალები, რომელთა საქმე სისხლის სამართლის სასამართლოს გადაეცა, საბრალდებო სკამიდან გამომწვევად არ წამოდგნენ და გავიდნენ; მაგრამ ნოე მალევე

დაამზვიდა სხვა პატიმრის გამოჩენამ, რომელიც მხოლოდ ის შეიძლება ყოფილიყო, ვის გამოც აქ მოვიდა.

ის მართლაც მისტერ დაუკინსი გახლდათ, ჩვეულებისამებრ, სერთუკის აკეცილი სახელოებით, მარცხენა ხელი ჯიბეში ედო, მარჯვენაში კი შლაპა ეჭირა;

ოთახში ციხის ზედამხედველის თანხლებით შევიდა ენით აუწერელი სიარულის

მანერით, ფეხებს მიაჩოჩილებდა, მერე თავისი ადგილი დაიკავა და ხმამაღლა

იკითხა, რატომ ჩააყენეს ასეთ დამამცირებელ მდგომარეობაში.

- ენა დაიმოკლეთ, გასაგებია? - თქვა ციხის ზედამხედველმა.

- ინგლისელი ვარ, ხომ ასეა? - არ შეეპუა ცუდლუტი, - ჰოდა, სად არის ჩემი

პრივილეგიები?

- სულ მალე მიიღებთ თქვენს პრივილეგიებს, - სიტყვა მოუჭრა ციხის ზედამხედველმა, - და კიდევ, წიწაკასაც!

- თუ ვერ მივიღე, ვნახოთ, რას ეტყვის შინაგან საქმეთა მინისტრი ამ ნისკარტებს... - უპასუხა მისტერ დაუკინსმა, - აბა, რა საქმე გაქვთ?

მოსამართლეების მაღლობელი ვიქნები, თუ ამ პატარა შემთხვევას განიხილავენ

და გაზეთის კითხვით გართულები, დიდხანს არ დამაკავებენ, იმიტომ, რომ სიტყვაში ერთ ჯენტლმენტთან შეხვედრა მაქვს, მე კი საქმეებს პუნქტუალურად ვასრულებ და ის აღარ დამელოდება, თუ დავაგვიანე. ნუთუ გგონიათ, თუ დამაკავებთ, ზარალის ანაზღაურებისთვის სარჩელს არ შემოვიტან? ჰო, გეგონოთ!

ცუდლუტმა ისეთი სახე მიიღო, თითქოს ძალიან აინტერესებდა პროცესი და ციხის ზედამხედველებს მოსამართლის სავარძელში მოკალათებული ორი გაქნილის გვარები ჰკითხა. ამან მაყურებელი გაახალისა და ისეთი ხარხარი გაისმა, როგორც, ალბათ, ჩარლი ბეიტსი შეხვდებოდა თავისი მეგობრის ამგვარ მოთხოვნას.

- სიჩუმე! - დაიყვირა ციხის ზედამხედველმა.

- ბრალი რაში ედება? - იკითხა ერთ-ერთმა მოსამართლემ.

- ჯიბის ქურდობაში, თქვენო ღირსებავ.

- ეს ყმაწვილი აქ სხვა დროსაც ყოფილა?

- წესით, ბევრჯერ უნდა ყოფილიყო, - უპასუხა ციხის ზედამხედველმა, - თითქმის ყველგან არის ნამყოფი. კარგად ვიცნობ, თქვენო ღირსებავ.

- ოჰ, ნუთუ მიცნობთ, ეს მართალია? - იკითხა ცუდლუტმა, - ძალიან კარგი!

ასეა თუ ისე, ეს რეპუტაციის შელახვის მცდელობაა.

ისევ გაისმა ხარხარი და სიჩუმის დაცვის მოთხოვნა.

- სად არიან მოწმეები? - იკითხა კლერკმა.

- ჰო, სწორედაც, - აიტაცა ცულლუტმა, - სად არიან? ძალიან მაინტერესებს შეხედვა.

მისი ეს სურვილი დაუყოვნებლივ დააკმაყოფილეს. წინ წამოდგა პოლიციელი, რომელმაც დაინახა, დაკავებული როგორ ჩაუძვრა ჯიბეში ბრბოში მყოფ რომელიღაც ჯენტლმენს და იქიდან ცხვირსახოცი ამოიღო, რომელიც ისეთი ძველი აღმოჩნდა, რომ ქურდმა ჯერ თავისი ცხვირისთვის გამოიყენა, მერე კი ადგილზე დააბრუნა. ამის გამო დააპატიმრა ცულლუტი, როგორც კი ეს შესაძლებელი გახდა, ხოლო ჩხრეკისას ვერცხლის სათუთუჩნე იპოვა სახურავზე

ამოტვიფრული მფლობელის გვართ. ეს ჯენტლმენი სასამართლოს ცნობარის დახმარებით იპოვეს, ის დარბაზში იყო და მიცემული ფიცის შემდეგ სასამართლოს დაუდასტურა, რომ სათუთუჩნე მას ეკუთვნის და როდესაც იმავე

ბრბოდან გამოვიდა, ჯიბეში ვეღარ იპოვა. იმავე ბრბოში ახალგაზრდა ჯენტლმენი

შენიშნა, რომელიც გზას ჯიქურ იკაფავდა; ეს ახალგაზრდა და ახლა ბრალდებულის სკამზე მჯდომი ერთი და იგივე ადამიანი იყო.

- ბიჭო, ამ მოწმისთვის რაიმეს შეკითხვა ხომ არ გინდა? - შეეკითხა მოსამართლე.

- მასთან საუბრით თავს არ დავიმცირებ, - თქვა ცულლუტმა.

- სათქმელი არაფერი გაქვთ?

- არ გესმის? მისი ღირსება გეკითხება, რა გაქვს სათქმელი? - გაიმეორა ციხის ზედამხედველმა და ცულლუტს იდაყვი გაჰკრა.

- მაპატიეთ, - დაბნეული სახე მიიღო ცულლუტმა, - მე მომმართეთ, პატივცემულო?

- ასეთი გაფუჭებული ახალგაზრდა მაწანწალა ჯერ არ შემხვედრია, თქვენო ღირსებავ, - ჩაიცინა პოლიციელმა, - ყმაწვილო, რამე თუ გაქვს სათქმელი?

- არა, - უპასუხა ცულლუტმა, - აქ არა, იმიტომ, რომ ეს დუქანი მართლმსაჯულების აღსრულების ადგილი არ არის, გარდა ამისა, დღეს დილით

ჩემი ადვოკატი თემთა პალატის ვიცე-პრეზიდენტთან საუბრობს. მაგრამ სხვა ადგილზე რაღაცას ვიტყვი, ვიტყვი მეც და ჩემი მრავალრიცხოვანი და პატივსაცემი ნაცნობებიც და მაშინ ეს ნისკარტები გაჩენის დღეს დაწყებულიან და

ინანებენ, შლაპების ნაცვლად ლურსმნებზე თავიანთი ლაქიების ჩამოკიდების ბრძანება რომ არ გასცეს და დღეს დილით ჩემთან ამგვარი მოპყრობის უფლება მისცეს. მე...

- საკმარისია! დამნაშავეა! - გააწყვეტინა კლერკმა, - წაიყვანეთ!

- წავედით, - თქვა ციხის ზედამხედველმა.

- ოჰ, მივდივარ, - უპასუხა ცულლუტმა, რომელიც ხელისგულით წმენდდა თავის შლაპას, - ეი (მიმართა მოსამართლეებს), ტყუილად ცდილობთ, თავი დაშინებულად მომაჩვენოთ, სულ მცირე შედღავათიც არ გექნებათ ჩემგან, ნახევარი პენის საფასურიც კი! ამისათვის, პატივცემულებო, პასუხს აგებთ! თქვენს ადგილზე ყოფნას არ ვისურვებდი. მუხლებზე დამხობილებმაც რომ მთხოვოთ, ციხიდან არ გავალ. ეი, ციხეში წამიყვანე! აქაურობას მომაშორე!

უკანასკნელ სიტყვებს რომ ამბობდა, ცულლუტმა საშუალება მისცა, მისთვის ქეროში ხელი წაეწლოთ და ისე გაეყვანათ ოთახიდან, ეზოში გასული პარლამენტში საქმის აღძვრით იმუქრებოდა, მერე მხიარული და კმაყოფილი პოლიციელს დაეყვანა.

როდესაც დარწმუნდა, რომ დაუკინსი პატარა ერთკაციან საკანში ჩაკეტეს, ნოე სწრაფად გაემართა იმ ადგილისკენ, სადაც ყმაწვილი ბეიტსი დატოვა. იქ მისული შეხვდა ამ ახალგაზრდა ჯენტლმენს, რომელიც მართებულად არიდებდა თავს უცხოების მზერას და საფრიდან მხოლოდ მიდამოს გულდასმით დათვალიერების შემდეგ გამოვიდა, როდესაც დარწმუნდა, მის ახალ მეგობარს საექვო არავინ ასდევნებოდა.

ორივემ სწრაფი ნაბიჯით გასწია შინისკენ, რათა მისტერ ფეიჯინისთვის სასიხარულო ამბავი ეცნობებინათ, ცულლუტი როგორ ამართლებდა მიღებულ აღზრდას და ბრწყინვალე რეპუტაციას იქმნიდა. თავი 44 დროა, ნენსიმ როეზ მეილისთვის მიცემულიპირობა შეასრულოს; ნენსის ბედი უმუხბოლებს

ნენსი ეშმაკობასა და თავის მოჩვენებაში ფრიად გამოცდილი გახლდათ, მაგრამ მანაც კი ვერ შეძლო დაეფარა ჩადენილი საქციელით გამოწვეული მღელვარება. კარგად ახსოვდა, ეშმაკი ებრაელი და სასტიკი საიკსი ხშირად ანდობდნენ თავიანთ გეგმებს, რაც დანარჩენებისთვის საიდუმლოდ რჩებოდა და სრულებით დარწმუნებული იყვნენ, რომ ნენსი ნდობას იმსახურებდა, მასზე

ექვსის მიტანა შეუძლებელი იყო. რა საზარელიც უნდა ყოფილიყო ეს გეგმები, მათი ჩამფიქრებელი ადამიანები კი - ნაძირალები, რამდენადაც დიდი უნდა ყოფილიყო ნენსის გაბოროტება ფეიჯინზე, რომელსაც ნაბიჯ-ნაბიჯ, სულ უფრო

ქვემოთ და ქვემოთ, დანაშაულებისა და სასოწარკვეთილების უფსკრულში მიჰყავდა, საიდანაც თავის დაღწევა შეუძლებელია, იყო წუთები, როდესაც გოგონას გული მოუღებებოდა და ეშინოდა, მისგან საიდუმლოს გაცემას ებრაელი

არ მოექცია ხაფანგში, რომელსაც ამდენი ხანი ასე ოსტატურად უსხლტებოდა, რომ მიუხედავად იმისა, რასაც იმსახურებდა, ფეიჯინი მისი ხელით არ დაღუპულიყო.

ამგვარ სულიერ მერყეობას არ შეეძლო ნენსის სულ მთლად მოწყვეტა ძველი მეგობრებისა და თანამზრახველებისგან, თუმცა, მას ძალუძდა დასახული მიზნისკენ უყოყმანოდ სვლა, მიუხედავად ეჭვებისა. საიკსის გამო შიში შეიძლებოდა დასახული ამოცანის შესრულებაზე უარის სათქმელად უფრო სერიოზული მიზეზი გამხდარიყო, მაგრამ მას საიდუმლოს შენახვას დაჰპირდნენ

და არც ნენსის მიუცია უმცირესი ხელჩასაჭიდი ადგილსამყოფლის აღმოსაჩენად;

მის გამო თქვა უარი, დანაშაულებისა და სიბინძურისთვის, გარს რომ ეკრა, თავი დაეღწია - ნუთუ შეეძლო კიდევ მეტის გაკეთება? გადაწყვეტილება მიიღო.

მისი სულიერი ბრძოლა ყოველთვის ასეთი გადაწყვეტილებით მთავრდებოდა, მაგრამ ისევ და ისევ თავიდან იწყებოდა და თავის კვალს ტოვებდა. რამდენიმე დღეში ნენსი გახდა და გაფითრდა. ზოგჯერ არავითარ ყურადღებას არ აქცევდა იმას, გარშემო რაც ხდებოდა, საუბრებში არ მონაწილეობდა, მაშინ როდესაც ადრე ყველაზე ბევრს ყვიროდა ხოლმე, ზოგჯერ ნაღვლიანად იცინოდა, ზოგჯერ კი უადგილოდ და უმიზეზოდ ატეხდა ერთ ამბავს.

სხვა დროს - ხანდახან ეს სულ ერთი წუთის შემდეგ ხდებოდა, - მდუმარე, დარდიანი იჯდა, თავი ხელებზე დაედო და ფიქრობდა; ის ძალდატანება, რომლითაც თავის მხიარულად მოჩვენებას ცდილობდა, ყველაზე თვალნათლივ მოწმობდა, მის ფიქრებს საერთო არაფერი ჰქონდა იმასთან, რაზეც მისი მეგობრები მსჯელობდნენ.

კვირა საღამო იდგა და უახლოესი ეკლესიის საათმა დარეკა. საიკსი და ებრაელი დადუმდნენ და მიაყურადეს. გოგონამ, რომელიც მოკუნტული პატარა

სკამზე იჯდა, თავი ასწია და ხმას ყური მიუგდო.

- შუალამემდე ერთი საათია, - თქვა საიკსმა, ფარდა გადასწია და ქუჩაში გაიხედა, მერე მაგიდასთან დაბრუნდა, - თანაც ბნელა და ღრუბლიანი ამინდია.

საქმისთვის მშვენიერი ღამეა.

- ოჰ! - ამოიოხრა ფეიჯინმა, - რა დასანანია, ბილ, ჩემო ძვირფასო, რომ არავითარი სამუშაო არა გვაქვს.

- მართალს ამბობთ, - პირქუშად თქვა საიკსმა, - დასანანია იმიტომ, რომ ძალიან მომენატრა.

ფეიჯინმა ამოიოხრა და თავი დამწუხრებულმა გააქნია.

- დაკარგული დრო უნდა ავანაზღაუროთ, როგორც კი საქმეები მოგვარდება, აი, ამას ვფიქრობ, - თქვა საიკსმა.

- მართალს ამბობთ, ჩემო ძვირფასო, - უპასუხა ფეიჯინმა და მხარზე ხელის მოთათუნება გაბედა, - მიხარია, თქვენგან ამას რომ ვისმენ.

- გიხარიათ! - წამოიძახა საიკსმა, - კარგი, დაე, ასე იყოს.

- ჰა-ჰა-ჰა! - გაიცინა ფეიჯინმა, თითქოს ამ სიტყვებმა დაამშვიდა, - დღეს წინანდელი ბილი ხართ. ზუსტად ადრინდელი.

- მე კი სულ არ ვგრძნობ თავს ასე, როდესაც მხარზე თქვენი დამჭკნარი კლანყები მადევს. მომამორეთ, - საიკსმა ებრაელის ხელი მოიშორა.

-- რატომ გაღელვებთ, ბილ, ეს, იმას ჰგავს, თითქოს დაგიჭირეს? - ფეიჯინმა

გადაწყვიტა, არ გაბრაზებულიყო.

- იმას ჰგავს, რომ თავად ეშმაკმა ჩამავლო, - უპასუხა საიკსმა, - ჯერ არ

შემხვედრია ადამიანი, თქვენისთანა სიფათი რომ ჰქონდეს. ალბათ, მამათქვენს ჰქონდა, იმას კიდევ, დარწმუნებული ვარ, ჭალარაშერეულ წითურ წვერს ცეცხლზე უხრუკავენ. ან იქნებ მამაც არ გყოლიათ და ეშმაკის ნაშიერი ხართ? ასე რომ იყოს, სულაც არ გამიკვირდებოდა.

ფეიჯინმა ამ კომპლიმენტზე არჩია, არაფერი ეპასუხა, მაგრამ საიკსს სახელოზე მოქაჩა და ნენსიზე მიანიშნა, რომელმაც საუბრით ისარგებლა, შლაპა დაიხურა და ოთახიდან გასვლას აპირებდა.

- ეი! - დაიყვირა საიკსმა, - ნენსი! სად მიდის ეს გოგო ამ შუადამისას?

- აქვე ახლოს.

- ეს რა პასუხია? - შეეკითხა საიკსი, - სად მიდიხარ?

- გითხარი, აქვე ახლოს.

- მე კიდევ გეკითხები: სად? - დაიყვირა საიკსმა, - გესმის თუ არა?

- არ ვიცი, სად, - უპასუხა გოგონამ.

- მაშინ მე ვიცი, - თქვა საიკსმა, რომელიც უფრო ჯიუტობდა, ვიდრე მისი სადმე გაშვების წინააღმდეგი იყო, - არსად. დაჯექი.

- ცუდად ვარ. უკვე გითხარი, - არ შეეპუა გოგონა, - სუფთა ჰაერზე უნდა გავიდე.

- თავი ფანჯარაში გაყავი, - უპასუხა საიკსმა.

- არ მყოფნის, - თქვა ნენსიმ, - ქუჩაში უნდა გავიდე, სუფთა ჰაერი ვისუნთქო.

- უმაგისოდაც გაძლებ, - უპასუხა საიკსმა. მერე წამოდგა, კარი ჩაკეტა და გასაღები გამოიღო, თავიდან შლაპა ჩამოჰგლიჯა და ძველი კარადის თავზე ააგდო, - ესეც ასე, ახლა წყნარად დაჯექი იქ, სადაც იჯექი, გასაგებია?

-- შლაპის უქონლობა ვერ დამაკავებს, - მიტკალივით გაფითრდა გოგონა, - რა გემართება, ბილ? იცი თუ არა, რას აკეთებ?

- ვიცი თუ არა... ოჰ! - წამოიყვირა საიკსმა და ფეიჯინს მიუბრუნდა, - ვერ ხედავთ, გაგიჟდა, თორემ ასე ლაპარაკს როგორ გამიბედავდა?

- მაიძულე, რადაც საშინელება ჩავიდინო, - ჩაიბურტყუნა გოგონამ, ორივე ხელი მკერდთან მიიტანა, თითქოს მრისხანების შემოტევის დაოკებას ცდილობდა, - გამიშვი, გესმის... ახლავე... ახლავე-მეთქი!

- არა, - თქვა საიკსმა.

- ფეიჯინ, უთხარით, გამიშვას. უმჯობესია, გამიშვას. მისთვისევა უკეთესი. გესმის თუ არა? - დაიყვირა ნენსიმ და ფეხი დააბაკუნა.

- მესმის თუ არა? - საიკსი მისკენ შებრუნდა, - თუ კიდევ ერთი წუთი შენი მოსმენა მომიწევს, ეს ძალიან ყელში გეცემა და გამოგლადრავს, რომ შენი ხმა აღარასოდეს გავიგონო. რა გეტაკა, ნაგავო, რა გჭირს?

- გამიშვი, - მტკიცედ თქვა გოგონამ და კართან იატაკზე მოკალათდა, - ბილ, გამიშვი! არც კი იცი, რას აკეთებ. არ იცი... მხოლოდ ერთი საათით... გამიშვი!.. გამიშვი!..

- ეშმაკმა წამილოს, თუ ეს გოგო ჭკუიდან არ იყოს გადასული! - საიკსმა მხარში ხელი ჩაავლო, - ადექი!

- არ ავდგები, ვიდრე არ გამიშვებ... ვიდრე არ გამიშვებ... არა... არა...
-
აკვივლდა გოგონა.

საიკსი ერთ წუთს იდგა და უყურებდა, მერე დრო იხელთა, ხელები გადაუგრინა და წინააღმდეგობის მიუხედავად, გვერდით ოთახში გაათრია; სკამზე დასვა, თავად გვერდით მიუჯდა და ხელს არ უშვებდა. ნენსი ხან გასხლტომას ცდილობდა, ხან ევედრებოდა, გაეშვა; ასე გრძელდებოდა იქამდე, ვიდრე თორმეტმა საათმა არ დარეკა; მერე დაქანცული მოეშვა და გაჩუმდა. საიკსმა ლანძღვა-გინების კორიანტელი მიაყოლა გაფრთხილებას, სახლიდან ფეხი არ მოეცვალა და ფეიჯინთან დაბრუნდა.

- უფ! - მძარცველმა შუბლიდან ოფლი მოიწმინდა, - რა უცნაური გოგოა.
- რა გითხრათ, ბილ? - გამოეხმაურა ჩაფიქრებული ფეიჯინი, - რა გითხრათ?

- როგორ გგონიათ, რატომ უნდოდა ღამით სახლიდან გასვლა? - შეეკითხა საიკსი, - მისმინეთ, ჩემზე უკეთ იცნობთ, ეს რას უნდა ნიშნავდეს?

- სიჯიუტეა. ჩემი აზრით, ჩვეულებრივი ქალური სიჯიუტე, ჩემო ძვირფასო.

- მეც ასე მგონია, - ჩაიბუზღუნა საიკსმა, - მეგონა, მოვარჯულე, მაგრამ რა ნაგავიც იყო, ისევ ისეთია.

- უარესი, - ფიქრიანად ჩაილაპარაკა ფეიჯინმა, - არასოდეს შევსწრებივარ, ასეთი სისულელის გამო ამგვარი რამ დამართოდეს.

- არც მე, - თქვა საიკსმა, - იქნებ ციებ-ცხელება გადაედო, ჰა?

- ეტყობა, ასეა.

- კიდევ ერთი მსგავსი გამოხდომისთვის ცოტა სისხლს გამოვუშვებ, ექიმის შეწუხება საჭირო არ არის, - თქვა საიკსმა.

ფეიჯინმა მკურნალობის ამგვარი მეთოდი თავის დაქნევით მოიწონა.

- მთელი დღეები და ღამეები აქ რომ ვეგდე, არ მომშორებია, თქვენ კი, ბოროტების, მგლების ნაშიერო, სიახლოვეს არ გამკარებიხართ, - თქვა საიკსმა, -
თანაც, მაშინ ძალიან გვიჭირდა და მგონი, ეს აწვალედა და აღიზიანებდა, დიდხანს იჯდა ოთახში და, ალბათ, ამიტომ გახდა ასეთი შფოთიანი.

- ასეც არის, ჩემო ძვირფასო, - ჩურჩულით უთხრა ებრაელმა, - ჩუმად.

ეს თქვა თუ არა, გოგონა ოთახში შემოვიდა და ადრინდელ ადგილზე დაჯდა.

თვალები დაუსივდა და გაუწითლდა. იჯდა და წინ და უკან ირწეოდა, თავს აქნევდა, მერე უეცრად გადაიხარხარა.

- აჰა, ახლა სხვა გზაზე წავიდა! - წამოიძახა საიკსმა და გაოგნებული მიაჩერდა თანამოსაუბრეს.

ფეიჯინმა თავი დაუქნია, რომ ყურადღება არ მიექცია; რამდენიმე წუთის შემდეგ გოგო გონს მოვიდა. ფეიჯინმა საიკსს უჩურჩულა, ახალი შეტევის საშიშროება აღარ არისო, შლაჰა აიღო და ღამე მშვიდობისა უსურვა. კართან შეჩერდა და იკითხა, ბნელ კიბეზე ჩასვლისას ხომ ვერ გაუნათებდნენ.

- გაუნათე, - საიკსმა ჩიბუხის გატენა დაიწყო, - დასანანი იქნება, კისერი თუ მოიტება და სეირის მოყვარულებს იმედი გაუცრუა. სანთლით გააცილე.

ნენსიმ სანთელი აიღო და მოხუცთან ერთად კიბეზე დაემუა. როცა დერეფანში გავიდნენ, ფეიჯინმა ტუჩებთან თითი მიიტანა, გოგონას მიუახლოვდა და ჩურჩულით ჰკითხა:

- რა ხდება, ნენსი, საყვარელო?

- რაზე ამბობთ? - ჩუმადვე ჰკითხა გოგონამ.

- ამ ყველაფრის მიზეზზე, - უპასუხა ფეიჯინმა, - თუ ის, -
დაკრუნჩხული თითი

მალლა ასწია, - ასე სასტიკად გექცევა (ნენსი, ის ხომ პირუტყვია, მხეცი და პირუტყვი), შენ რატომ არ...

- მერე? - თქვა გოგონამ, როდესაც ფეიჯინი გაჩუმდა, ტუჩებით თითქმის მის ყურს ეხებოდა და თვალს არ აცილებდა.

- ახლა არა, ამაზე სხვა დროს ვილაპარაკებთ. ნენსი, მე შენი ერთგული მეგობარი ვარ. საიმედო და უსაფრთხო საშუალებები მაქვს. თუ გინდა, შური იძიო იმაზე, ვინც ისე გექცევა, როგორც ძაღლს, ძაღლზე უარესადაც კი, იმიტომ, რომ ხანდახან ძაღლს ეფერება, - ჩემთან მოდი. გესმის, ჩემთან მოდი! ეს ნამძირალა ერთი დღით გყავს, მე კი საუკუნეა მიცნობ, ნენსი.

- კარგად გიცნობთ, - აუღელვებლად უპასუხა გოგონამ, - ღამე მშვიდობისა.

უკან დაიხია, როდესაც ფეიჯინმა ხელის ჩამორთმევა დააპირა, ისევ მტკიცედ თქვა „ღამე მშვიდობისა“, მის გამოსამშვიდობებელ მზერას

მრავალმნიშვნელოვანი თავის დაკვრით უპასუხა და კარი ჩაკეტა.

სახლისკენ მიმავალი ფეიჯინი ღრმად ჩაფიქრებულიყო. ნელა და თანდათან უყალიბდებოდა ეყვი – არა მხოლოდ დღევანდელი ამბის გამო, თუმცა, ისიც აძლიერებდა ეყვს, – რომ მძარცველის უხეშობით გაწამებულმა ნენსიმ ახალი მეგობრის გაჩენა მოინდომა. დამოკიდებულების შეცვლა, სახლიდან ხშირ-ხშირად გასვლა, ბანდის ინტერესებისადმი გულგრილობა, იმ ბანდის, რომლის ასეთი ერთგული იყო ოდესღაც, და ამ ყველაფერს დამატებული დაუოკებელი სურვილი, სადამოს გარკვეულ საათზე შინიდან წასულიყო, არა მხოლოდ სიმართლეს ამსგავსებდა ფეიჯინის ეჭვს, არამედ კიდევ უფრო განამტკიცებდა. ნენსის ახალი სიყვარულის ობიექტი მისი ხელქვეითი არ იყო.

ისეთ დამხმარესთან ერთად, როგორც ნენსი იყო, მისი ხელში ჩაგდება ფეიჯინისთვის ღირებული შენაძენი იქნებოდა (ასე ფიქრობდა ებრაელი) და ეს დაუყოვნებლივ უნდა მოეხერხებინა.

არც მეორე, კიდევ უფრო საზარელი მიზანი უნდა დავიწყებოდა. საიკსმა ძალიან ბევრი რამ იცოდა, ხოლო მისი უხეში დაცინვა ფეიჯინს მეტისმეტად აღიზიანებდა, თუმცა, ცდილობდა, არ გამოემჟღავნებინა. გოგონამ უნდა იცოდეს, რომ თუ მიატოვებს, ველარასოდეს დაიცავს თავს მისი მრისხანებისგან და ის შეიძლება მის ახალ გატაცების ობიექტსაც დაატყდეს თავს. ეს ყველაფერი დასახიჩრებით ან სიკვდილითაც შეიძლება დასრულდეს.

„უნდა დავიყოლიო, – ფიქრობდა ფეიჯინი, – დიდი ალბათობაა, რომ მოწამვლას დათანხმდეს. ამ მიზნით ქალებს უარესიც ჩაუდენიათ. გაქრება ერთი საშიში ნადირალა, რომელიც მეზიზღება, მის ადგილს სხვა დაიჭერს, ხოლო ჩემი გავლენა გოგონაზე, რასაც განამტკიცებს ის, რომ მისი დანაშაულის შესახებ ვიცი, უსაზღვრო გახდება“.

ამ აზრმა ფეიჯინს თავში მაშინ გაუელვა, ვიდრე მძარცველის ოთახში იჯდა, მერე გამომშვიდობებისას ბუნდოვანი მინიშნებებით სცადა, გოგონა გამოეცადა. არ გაჰკვირვებია, თუმცა, თავი ისე მოაჩვენა, თითქოს მისი სიტყვების მნიშვნელობას ვერ მიხვდა. გოგონა ყველაფერს მიხვდა. ამას მოწმობდა მისი მზერა გამომშვიდობებისას. შესაძლოა, სასტიკად იუაროს საიკსისთვის სიცოცხლის მოსწრაფება, ეს კი უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა, რომლის დავიწყება არ შეიძლებოდა. „როგორ გავაძლიერო ჩემი გავლენა, – ფიქრობდა სახლისკენ მიმავალი ფეიჯინი, – მეტი ძალაუფლება როგორ მოვიპოვო?“

მისნაირ ადამიანებს ეხერხებათ საშუალების გამონახვა. მაგალითად, აღიარებას არ მოსთხოვდა, მაგრამ ფეიჯინი ნენსის თვალთვალს დაიწყებდა, მისი გატაცების ობიექტს აღმოაჩენდა და თუ ნენსი მის შეთავაზებაზე უარს იტყოდა, დაემუქრებოდა ყველაფრის საიკსისთვის გამხელით (ნენსის კი საიკსის ძალიან ეშინოდა) და მაშინ თანხმობის მიღებას ხელს რადღა შეუშლიდა?

„ამას მივაღწევ, – თითქმის ხმამაღლა თქვა ფეიჯინმა, – მაშინ ველარ გამიბედავს უარს. ვერა, ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაბედავს. უკვე ყველაფერი მოვიფიქრე. ყველაფერი მზადაა და ამოქმედდება. ბოლოს

მოგიდებ!“

პირქუშად მიიხედა უკან, მუშტი მუქართ მოუღერა იმ მხარეს, სადაც ნაძირალა, მაგრამ მასზე ბევრად მამაცი მძარცველი დატოვა და გზა განაგრძო;

დაღვლარჭნილი თითებით დახეულ წამოსასხამს ისე აწვალებდა, თითქოს მისი

ხელები მოსისხლე მტერს ანადგურებდა.

თავი 45 ფეიჯინი ნოე კლეიპოლსსაიდუმლო მისიას აკისრებს

მეორე დღეს მოხუცი ადრე ადგა და მოუთმენლად ელოდა ახალი თანამზრახველის დაბრუნებას, რომელიც დიდი დაგვიანებით მოვიდა და მაშინვე საუზმეს ეცა.

- ბოლტერ, - ფეიჯინმა სკამი მისწია და მორის ბოლტერის წინ ჩამოჯდა.

- აქა ვარ, - უპასუხა ნოემ, - რა მოხდა? ვიდრე ვჭამ, ნურაფერს მთხოვთ. აქ,

თქვენთან, ერთი რამ არის ძალიან ცუდი: მშვიდად ჭამა შეუძლებელია.

- ერთდროულად ლაპარაკი და ჭამა არ შეგიძლიათ? - შეეკითხა ფეიჯინი, რომელიც მთელი გულით სწყევლიდა ახალგაზრდა მეგობრის ღორმუცელობას.

- ლაპარაკი შემიძლია. საქმე უკეთესადაც კი მიდის, როდესაც ვლაპარაკობ, -

ნოემ პურის უზარმაზარი ყუა მოიყრა, - შარლოტი სად არის?

- წავიდა, - უპასუხა ფეიჯინმა, - ამ დილით მე გავგზავნე სხვა ახალგაზრდა

ქალბატონთან, თქვენთან მარტო დარჩენა მსურდა.

- ოჰ! - თქვა ნოემ, - რა ცუდია, კარაქიანი ტოსტების მომზადება რომ არ უბრძანეთ წასვლამდე. კარგი, ილაპარაკეთ, ხელს არ მიშლით.

და მართლაც, ახლა, როდესაც მუცლის ამოყორვის მტკიცე სურვილით შეპყრობილი მაგიდას მიუჯდა, არ არსებობდა საშიშროება, რომელიც ხელს შეუშლიდა.

- ძვირფასო, გუშინ კარგად იმუშავეთ, - თქვა ფეიჯინმა, - შესანიშნავად. პირველივე დღეს ხუთი შილინგი და ათ-ნახევარი პენსი. ბარტყების გაფცქვნიით მთელ ქონებას დააგროვებთ.

- ამას დაამატეთ სამი პინტიანი ქილა და სარძევე, - თქვა მისტერ ბოლტერმა.

- დიახ, დიახ, ჩემო ძვირფასო. ქილებს რაც შეეხება, კარგად გამოვიდა, ხოლო

სარძევე მშვენიერი ნახელავია.

- მგონი, დამწყებისთვის ცუდი არ არის, - შენიშნა საკუთარი თავით კმაყოფილმა მისტერ ბოლტერმა, - ქილები მესრიდან ჩამოვხსენი, სარძევე კი დუქნის შესასვლელში იდგა. ვიფიქრე, აქ წვიმისგან არ დაჟანგდეს ან სურდო არ

აიკიდოს-მეთქი. როგორია? ჰა-ჰა-ჰა!

ფეიჯინმა თავი ისე მოაჩვენა, თითქოს გულიანად იცინოდა, მისტერ ბოლტერმა კი ხარხარის შემდეგ ლუკმებად გადაყლაპა უზარმაზარი კარაქიანი ყუა და ახლა მეორე ნაჭერს მიადგა.

- ბოლტერ, - ფეიჯინი მაგიდაზე გადაიხარა, - თქვენ, ჩემო ძვირფასო, ჩემთვის

ერთი სამუშაო უნდა შეასრულოთ, რომელსაც დიდი მონდომება და წინდახედულობა სჭირდება.

- მისმინეთ, - დაიწყო ბოლტერმა, - არც კი იფიქროთ სადმე სახიფათო ადგილზე ან იმ თქვენს პოლიციის განყოფილებაში ჩემი გაგზავნა. ეს არ არის საჩემო საქმე, ამას პირდაპირ გეუბნებით.

- სახიფათო არაფერია, - უპასუხა ებრაელმა, - მხოლოდ ერთ ქალს უნდა უთვალთვალოთ.

- ბებერს? - შეეკითხა ბოლტერი.

- ახალგაზრდას, - თქვა ფეიჯინმა.

- ამ საქმეს მშვენივრად გავართმევ თავს, სკოლაში მოხერხებული დამსმენი ვიყავი. და რატომ უნდა ვუთვალთვალო? იმიტომ ხომ არა, რომ...

- გასაკეთებელი არაფერია, მხოლოდ შემატყობინებთ, სად დადის, ვის ხვდება და თუ შესაძლებელია, დაიმახსოვრეთ ქუჩა ან სახლი, როდესაც საჭირო

შეიქნება; ყველაფერს მაცნობებთ, რასაც გაარკვევთ.

- რამდენს გადამიხდით? - ნოემ ჭიქა დადგა და პატრონს ჯიქურ მიაჩერდა.

-- თუ ყველაფერს კარგად შეასრულებთ, გირვანქა სტერლინგს, ჩემო ძვირფასო, მთელ გირვანქა სტერლინგს, - თქვა ფეიჯინმა, რომელსაც სურდა,

ნოემ ამ საქმით დაეინტერესებინა, - ასეთი ფასი არასოდეს გადამიხდია იმ სამუშაოში, რომელსაც მოგება არ მოაქვს.

- ვინ არის? - დაინტერესდა ნოემ.

- ერთი ჩვენიანი.

- ღმერთო! - წამოიყვირა ნოემ და ცხვირი მოყმუნა, - ესე იგი, რაღაცას ეჭვობთ?

- ახალი მეგობრები გაიჩინა, ჩემო ძვირფასო, მე კი უნდა ვიცოდე, ვინ არიან, -

უპასუხა ფეიჯინმა.

- გასაგებია, - თქვა ნოემ, - მხოლოდ იმისთვის, რომ თუ პატივცემული ადამიანები არიან, მათი გაცნობის საშუალება მოგეცეთ, ჰა-ჰა-ჰა! მზად ვარ, ეს

საქმე გავაკეთო.

- ვიცოდი, დამთანხმდებოდით! - წამოიძახა ფეიჯინმა, ალტაცებულმა იმით, რომ მისი გეგმა ხორცს ისხამდა.

- რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, - თქვა ნოემ, - მაგრამ სად არის? სად ჩავუსაფრდე? სად უნდა წავიდე?

- ამ ყველაფერს ჩემგან გაიგებთ, ძვირფასო. ქალს დაგანახვებთ, როცა დრო მოვა, - უპასუხა ფეიჯინმა, - მზად იყავით, დანარჩენს მე მივხედავ.

ის სალამოსა და კიდევ მომდევნო ორ სალამოს ჯამში ჩექმებსა და მეეტლის სამოსში გამოწყობილი იჯდა და გარეთ გასასვლელად ფეიჯინის ბრძანებას ელოდა. ექვსმა გრძელმა და დამღლელმა სალამომ გაიარა, ფეიჯინი ყოველ ჯერზე შინ იმედგაცრუებული ბრუნდებოდა და ეუბნებოდა, დრო ჯერ კიდევ არ

დამდგარაო. მეშვიდე დღეს სხვა დღეებზე ადრე დაბრუნდა, სიხარულს ძლივს

მალავდა. კვირადღე იყო.

- დღეს სახლიდან წავა, - თქვა ფეიჯინმა, - დარწმუნებული ვარ, სწორედ იმ

საქმეზე... მთელი დღე მარტო იყო, ის კაცი, ვისიც ეშინია, მხოლოდ გამთენიისას

დაბრუნდება. წავედით. აუჩქარეთ!

ნოე წამოხტა, ხმა არ ამოუღია, რადგან ებრაელის მღელვარება მასაც გადაედო. სახლიდან მალულად გავიდნენ და ქუჩების ლაბირინთის გავლის შემდეგ იმ დუქანს მიადგნენ, რომელშიც ნოემ ის ამოიღწო, სადაც ლონდონში ჩამოსვლის პირველი ღამე გაათია.

თერთმეტი საათი იყო და კარი ჩაეკეტათ, მაგრამ ის უხმაუროდ გაიღო, როდესაც ფეიჯინმა ხმადაბლა დაუსტვინა. უჩუმრად შევიდნენ და კარიც დაიკეტა.

ფეიჯინმა და კარის გამღებმა ახალგაზრდა ებრაელმა ძლივს გასაგონი ჩურჩულითა და შესტებით ანიშნეს პატარა ფანჯარაზე და სკამზე აძრომა სთხოვეს, ოთახში მყოფი ქალისთვის რომ შეეხედა.

- ის ქალია? - ჩურჩულით იკითხა ნოემ.

თანხმობის ნიშნად ფეიჯინმა თავი დაუქნია.

- სახეს ვერ ვხედავ, - წაიჩურჩულა ნოემ, - თავი დახრილი აქვს და სანთელი

კიდევ ზურგს უკან დგას.

- მოიცა, - უჩურჩულა ფეიჯინმა.

მან ბარნის ანიშნა და ის გავიდა. რამდენიმე წამის შემდეგ მეზობელ ოთახში შევიდა ვითომ სანთლისთვის ნამწვის მოსაცილებლად, ისე გადაადგვილა, როგორც საჭირო იყო, და გოგონას გამოუღაპარაკა, რამაც ეს უკანასკნელი აიძულა, თავი აეწია.

- ახლა ვხედავ, - წაიჩურჩულა ჯამში.

- კარგად?

- ათას სხვა ქალში ამოვიცნობ.

სწრაფად ჩავიდა ქვემოთ, რადგან ოთახის კარი გაიღო და გოგონა გამოვიდა. ფეიჯინმა ნოე ოთახის კუთხეში, ფარდით გამოყოფილ ნაწილში შეათრია და ორივემ სუნთქვა შეიკრა. გოგონამ მათ სულ რამდენიმე ფუტის დაშორებით ჩაუარა და იმ კარში გავიდა, რომლითაც ისინი შემოვიდნენ.

- სსს! - თქვა ახალგაზრდა ებრაელმა და კარი გაადო, - დროა!

ნოემ ფეიჯინს გადახედა და დუქნიდან გავარდა.

- მარცხნივ! - ჩურჩულით დაადევნა ყმაწვილმა, - მარცხნივ წადით და ქუჩის მეორე მხარეს გადადით.

ნოე ასეც მოიქცა და ქუჩის სანათების სინათლეზე გოგონას სილუეტი დაინახა, საკმაოდ წინ რომ იყო წასული. ისევ ქუჩის მეორე მხარეს მყოფი ნოე

მას იმხელა მანძილზე მიუახლოვდა, რასაც კეთილგონივრულად და მოხერხებულად მიიჩნევდა თვალთვალისთვის. გოგონამ ორ-სამჯერ შემფოთებულმა მიმოიხედა, მის უკან მიმავალი ორი მამაკაცი გაატარა. თითქოს

მხნეობა ემატებოდა, რაც უფრო შორს მიდიოდა, ახლა მისი ნაბიჯი მტკიცე გახდა. ჯაშუში მანძილს ინარჩუნებდა, მიდიოდა და თვალს არ აცილებდა. თავი 46 პაემანი შედგა

ეკლესიის ზარის თანახმად, თორმეტს თხუთმეტი წუთი აკლდა, როდესაც ლონდონის ხიდზე ორი ფიგურა გამოჩნდა. ერთი წინ სწრაფი ნაბიჯით მიიწევდა

და ქალი იყო, აქეთ-იქით შემფოთებით იხედებოდა, თითქოს ვიღაცას ელოდა ან

ეძებდა; მეორე, მამაკაცი, ყველაზე ბნელ ჩრდილებს აფარებდა თავს, რისი პოვნაც კი შეიძლებოდა და თავის ნაბიჯს ქალის ნაბიჯებს უხამებდა:

ჩერდებოდა

მაშინ, როდესაც ქალი გაჩერდებოდა; წინ მიდიოდა, როცა ქალი გზას აგრძელებდა, მაგრამ თავს არასოდეს აძლევდა უფლებას, დასწეოდა. ასე გადაიარეს ხიდი მიდლსექსიდან სურეის მხარემდე, როდესაც უეცრად ქალი, გამვლელებს სახეზე დამაბული რომ აცქერდებოდა, შეჩერდა, სავარაუდოდ, იმედი გაუცრუვდა და უკან გატრიალდა. შეტრიალდა უეცრად, მაგრამ იმისთვის,

ვინც უთვალთვალეზდა, ეს მოულოდნელობა არ ყოფილა: ხიდის ერთ-ერთი ბურჯის ნიშაში შეიმალა და უკეთ დასამალად მოაჯირზე გადაყრდნობილი იქამდე იცდიდა, ვიდრე ქალმა მოპირდაპირე ტროტუარზე არ ჩაიარა. მის წინ

თითქმის იმავე მანძილზე იყო, როგორც ადრე, ამიტომ კაცი ჩუმად გამოვიდა სამალავიდან და უკან გაჰყვა. ხიდის შუაში ქალი შედგა. შედგა კაციც.

ძალიან ბნელი დამე იყო, ავდრის გამო ასეთ დროს ხიდზე ხალხი კანტიკუნტად თუ ჩანდა. ისინი აჩქარებით ჩაივლიდნენ ხოლმე, არც ქალს, არც

მამაკაცს, რომელიც თვალთვალის ობიექტს თვალსაწიერიდან არ იშორებდა, ვერც კი ამჩნევდნენ და მით უმეტეს, ყურადღებას არ აქცევდნენ. მათმა იერმა

ვერც იმ საღამოს ლონდონის ხიდზე შემთხვევით აღმოჩენილი ლონდონელი მაწანწალების ყურადღება მიიპყრო, რომლებიც ცივი ნიშის ან თუნდაც უკარო თავშესაფრის ძიებაში იყვნენ, სადაც თვალის მოტყუებას შეძლებდნენ. ორივე გარინდებული იდგა, თავად არავის ელაპარაკებოდნენ და არც გამვლელები აბეზრებდნენ თავს.

მდინარის თავზე გაწოლილი ნისლი სხვადასხვა ვერფში გაჩერებული პატარა გემების წითელ სინათლეებს ამუქებდა და ნაპირზე ჩარიგებული პირქუში შენობები კიდევ უფრო გადღდაბნილი და ჩაბნელებული მოჩანდა. მდინარის ორივე ნაპირზე სახურავებისა და კარნიზების გროვიდან ამოზრდილიყო ძველი,

გაჭვარტლული საწყობების კედლები და ისინი პირქუშად ჩაჰყურებდნენ წყალს,

მეტისმეტად შავს, რათა მათი მოუქნელი სილუეტი აერეკლა. სიბნელებაში მოჩანდა მაცხოვრის ეკლესიის სამრეკლო და სენტ-მაგნუსის ეკლესიის შპილი –

დიდი ხნიდან ძველი ხიდის გიგანტური დარაჯები, მაგრამ გემების ანძების ტყეს

ქვემოთ და ეკლესიების შპილების გროვას ზემოთ ნისლის გამო თვალი თითქმის

ვერ ამჩნევდა.

აღელვებულმა გოგონამ რამდენჯერმაც გაიარ-გამოიარა და მთელი ამ ხნის განმავლობაში ჯამუში თვალს არ აცილებდა. ბოლოს წმინდა პავლეს ეკლესიის მძიმე ზარმა კიდევ ერთი დღის გარდაცვალების შესახებ აუწყა. ხალხმრავალ ქალაქზე შუაღამე ჩამოწვა. შუაღამე ჩამოწვა სასახლეზე, ღამის დუქანზე, ციხეზე, საგიჟეთზე, დაბადებისა და სიკვდილის პალატებზე, გარდაცვლილის გაშეშებულ სახესა და ბავშვის მშვიდობიან ძილზე.

ეკლესიის ზარის დარეკვიდან ორი წუთიც არ გასულა, რომ ხიდის სიახლოვეს დაქირავებული კარეტა შეჩერდა და იქიდან ახალგაზრდა ლედი და ჭადარა ჯენტლმენი გადმოვიდნენ, კარეტა გაუშვეს და პირდაპირ ხიდისკენ გაემართნენ.

ის იყო, ხიდზე ფეხი შედგეს, რომ გოგონა გამოცოცხლდა და მაშინვე მათკენ გაემართა.

ორივე წინ მიდიოდა და აქეთ-იქით იხედებოდა, თითქოს რაღაცას ელოდებოდნენ, რისი ასრულების იმედიც არ ჰქონდათ, და უეცრად, საიდანღაც

გოგონა გამოჩნდა. შეჩერდნენ და გაოცებულებმა წამოიყვირეს, მაგრამ მაშინვე გაჩუმდნენ, რადგან სწორედ ამ დროს მათთან ძალიან ახლოს ჩაიარა, თითქმის

შეეხო ვიღაც სოფლურად ჩაცმული კაცი.

– აქ არა! – სწრაფად თქვა ნენსიმ, – ამ ადგილზე თქვენთან საუბრის მეშინია.

წამოდით... გზიდან მოშორებით... ქვემოთ, კიბეზე.

როცა ეს სიტყვები თქვა და ხელით მიუთითა იმ ადგილზე, საითაც მათი წაყვანა სურდა, სოფლელმა ყმაწვილმა მიიხედა, სამივეს შეუღრინა, მთელი ტროტუარი რატომ ჩახერგეთო, და თავისი გზით წავიდა.

გოგონას მითითებული საფეხურები სურეის მხარეს, იმავე ნაპირზე, სადაც

მაცხოვრის ეკლესია დგას, მდინარეზე ჩასასვლელი კიბე იყო. სწორედ იქით მიდიოდა აჩქარებული ნაბიჯით სოფლურად გამოწყობილი კაცი, რომელიც არავის შეუნიშნავს, იქაურობა სწრაფად მოათვალიერა და ძირს დაეშვა.

ეს კიბე ხიდის ნაწილს წარმოადგენდა და სამი მალისგან შედგებოდა. მეორის ბოლოდან ქვემოთ ქვის კედელი მიდიოდა და მარცხენა მხარეს ორნამენტებით მორთული სვეტით ბოლოვდებოდა, რომელიც ტემზისკენ იყო მიმართული. კიბის

ქვედა საფეხურები ფართოა, ამიტომ კედლის კუთხეს ამოფარებულ ადამიანს მასზე თუნდაც ერთი საფეხურით მაღლა მდგომნი ვერ შენიშნავენ. ამ ადგილამდე მისულმა სოფლედმა ყმაწვილმა მიიხედ-მოიხედა და რაკი სხვა საფარი ვერ მომეზნა, ხოლო მიქცევის გამო ადგილი გამოთავისუფლდა, გვერდით შეუხვია და ზურგით მიეყრდნო სვეტს; იცდიდა და დარწმუნებული იყო,

რომ ქვემოთ არ ჩამოვიდოდნენ და თუნდაც საუბარი ვერ მოესმინა, იმას მაინც

მოახერხებდა, შემდეგ უსაფრთხოდ ჩასდგომოდა კვალში.

ამ დაშორებულ ადგილზე დრო ნელა გადიოდა, ჯამუშს კი ერთი სული ჰქონდა,

გაეგო ამგვარი, მისთვის მოულოდნელი შეხვედრის მიზეზი; ჩათვალა კიდევ, რომ

საქმე ჩაშლილია, თავს არწმუნებდა, რომ ძალიან მაღლა იდგნენ ან საიდუმლო

საუბრისთვის სრულიად სხვა ადგილი აირჩიეს. ის იყო, სამალავის დატოვებას

და კიბეზე ასვლას აპირებდა, რომ უეცრად ნაბიჯების ხმა მოესმა და სულ ცოტა

ხანში ზედ ყურთან ხმებიც მოესმა.

წელში გასწორდა, კედელს აეკრა, სუნთქვა შეიკრა და ყურადღებით მიუგდო ყური.

- საკმარისია, - გაისმა ხმა, რომელიც უქვევლია, ჯენტლმენს ეკუთვნოდა, - არ

დავუშვებ, რომ ეს ახალგაზრდა ლედი უფრო შონს წავიდეს. ცოტა მეგულება ისეთი, ვინც დაგიჯერებდათ და აქამდე გამოგყვებოდათ, მაგრამ როგორც ხედავთ, თქვენს ახირებას ვასრულებთ.

- ჩემს ახირებას ასრულებთ! - წამოიძახა გოგონამ, რომელსაც ჯამუში უთვალთვალებდა, - ძალიან თავაზიანი ბრძანდებით, სერ, რაც მართალია, მართალია. ახირებას ასრულებენ! კარგი, კარგი, არა აქვს მნიშვნელობა.

- კი მაგრამ, - მოლბა ჯენტლმენი, - ამ უცნაურ ადგილზე რატომ მოგვიყვანეთ?

რატომ არ მოგვეცით უფლება, გველაპარაკა იქ, ზემოთ, სადაც სინათლეა და გამვლელებიც გვხვდებიან, იმის ნაცვლად, რომ ბნელ და პირქუშ სოროში მოვსულიყავით?

- უკვე გითხარით, - უპასუხა ნენსიმ, - მეშინია თქვენთან იქ საუბრის. არ ვიცი,

რატომ, - გოგონას შეაჟრჟოლა, - დღეს ისეთმა შიშმა ამიტანა, ფეხზე ძლივს ვდგავარ.

- რისი გემინიათ? - ჰკითხა ჯენტლმენმა, რომელსაც გოგონა შეეცოდა.
- თავადაც არ ვიცი, - თქვა ნენსიმ, - ძალიან კი მინდა, ვიცოდე. მთელი დღეა თავიდან არ მშორდება საზარელი ფიქრები სიკვდილზე, სისხლიან სუდარებზე, ისეთმა შიშმა ამიტანა, თითქოს ცეცხლი წამიკიდეს. სადამოს, დრო რომ გამეყვანა, კითხვა დავიწყე და სტრიქონებს შორისაც საზარელ ზმანებებს ვხედავდი.
- ეს წარმოსახვაა, - დაამშვიდა ჯენტლმენმა.
- არა, წარმოსახვა არ არის, - ხრინწიანი ხმით თქვა გოგონამ, - შემძლია, დავიფიცო, რომ წიგნის ყოველ გვერდზე ვხედავდი შავი ასოებით დაწერილ სიტყვას „კუბო“. ჰო, დღეს სადამოს კი ჩემ გვერდით კუბო ჩაატარეს.
- უჩვეულო ამაში არაფერია, - უპასუხა ჯენტლმენმა, - ჩემ გვერდითაც ხშირად ჩაუტარებიათ.
- ნამდვილი კუბოები, - თქვა გოგონამ, - ეს კი ასეთი არ იყო.
- მის ხმაში რაღაც ისეთი უცნაური მოისმა, რომ ჩასაფრებულ ჯაშუშს გოგონას სიტყვების გაგონებაზე მარღვევში სისხლი გაეყინა. არასოდეს უგრძნია ისეთი შვება, როგორც ახალგაზრდა ლედის ხმის გაგონებისას, რომელიც გოგონას დამშვიდებას და შთაგონებით შექმნილი საზარელი ზმანებისთვის წინააღმდეგობის გაწევას სთხოვდა.
- ალერსიანად ესაუბრეთ, - უთხრა ახალგაზრდა ლედიმ თანამგზავს, - საბრალო! მგონი, ყველაზე მეტად ეს სჭირდება.
- თქვენი ნაცნობები, გულზვიადები და ღვთისმოშიშები, ცხვირს აიბზუებდნენ ჩემს დანახვაზე და მაშინვე კოცონსა და შურისძიებაზე მოჰყვებოდნენ ლაპარაკს! - წამოიძახა გოგონამ, - ოჰ, ძვირფასო ქალბატონო, ყველა ის, ვინც ღვთის მცნებებს აღიარებს, რატომ არ არის ჩვენნაირი ბეჩავეებისადმი ისეთივე კეთილი და გულისხმიერი, როგორც თქვენ? თქვენ, ახალგაზრდა, მშვენიერი, რომელსაც ყველაფერი აქვს, რაც სურს, ხომ შეიძლება გადიდგულდეთ, არადა, მათზე ბევრად მორიდებული ბრძანდებით.
- ოჰ! - თქვა მოხუცმა ჯენტლმენმა, - თურქმა პირი დაიბანა და აღმოსავლეთისკენ იხედება, რომ ლოცვა წაიკითხოს, ამ პატივსაცემი ადამიანების სახეებიდან კი, სამყაროს როდესაც უყურებენ, სამუდამოდ წაშლილა ღიმილი და ისინი მხოლოდ და მხოლოდ მისი ყველაზე ბნელი მხარისკენ იხედებიან. თუ არჩევანი უნდა გავაკეთო მაჰმადიანსა და ფარისეველს შორის, პირველს ვირჩევ!
- ამ სიტყვებით აშკარად ახალგაზრდა ლედის მიმართავდა და, სავარაუდოდ, ნენსის დასამშვიდებლად იყო წარმოთქმული. მალე ჯენტლმენი ისევ მიუბრუნდა გოგონას.

- წინა კვირას აქ არ იყავით, - თქვა მან.
- ვერ შევძელი მოსვლა, - უპასუხა ნენსიმ, - ძალით დამაკავეს.
- ვინ?
- იმან, ვისზედაც ახალგაზრდა ლედის უკვე მოვუყევი.
- იმედია, ეჭვი არავის აუღია, რომ იმ საქმეზე, რის გამოც დღეს აქ ხართ, ვინმესთან მოლაპარაკება დაიწყეთ? - იკითხა მოხუცმა ჯენტლმენმა.
- არა, - თავი გააქნია გოგონამ, - მისგან წასვლა არც ისე იოლია, თუ არ იცის, რატომ მივდივარ. მაშინაც იმიტომ მოვახერხე ახალგაზრდა ლედის ნახვა, რომ ოპიუმისანი ხსნარი დავალევი.
- იქამდე გაიღვიძა, ვიდრე დაბრუნდით? - ჰკითხა ჯენტლმენმა.
- არა. არავის აუღია ეყვი.
- კარგია, - თქვა ჯენტლმენმა, - ახლა კი ყური მიგდეთ.
- გისმენთ, - უპასუხა გოგონამ, როდესაც ის ერთი წუთით დადუმდა.
- ამ ახალგაზრდა ლედიმ, - დაიწყო ჯენტლმენმა, - მე და რამდენიმე მეგობარს, რომელთა ნდობა თავისუფლად შეიძლება, ყველაფერი გვიამბო, რაც ორი კვირის წინ თქვენ აცნობეთ. გამოგიტყდებით, თავდაპირველად ვეჭვობდი, შეიძლებოდა თუ არა თქვენი ნდობა, მაგრამ ახლა ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ შეიძლება.
- შეიძლება! - მხურვალედ დაუდასტურა გოგონამ.
- გიმეორებთ, მტკიცედ მჯერა. იმის დასადასტურებლად, რომ გენდობით, დაუფარავად გეტყვით, რომ იმ საიდუმლოს ამოხსნას ვაპირებთ, იმის მიუხედავად, თუ როგორია და მზად ვართ, მონკსი დავაშინოთ. მაგრამ თუ... თუ, -- განაგრძობდა ჯენტლმენი, - მისი დაკავება ვერ მოხერხდა ან დავაკავეთ, მაგრამ სათანადოდ ვერ მოვახდინეთ მასზე ზეწოლა, ებრაელი უნდა გასცეთ.
- ფეიჯინი?! - წამოიყვირა გოგონამ და უკან დაიხია.
- ეს კაცი უნდა გასცეთ, - თქვა ჯენტლმენმა.
- ამას არ გავაკეთებ! არასოდეს! - წამოიძახა გოგონამ, - მართალია, ხორცშესხმული ეშმაკია და ჩემთვის მასზე უარესიც, მაგრამ ამას არასოდეს გავაკეთებ.
- არ გავაკეთებთ? - კიდევ შეეკითხა ჯენტლმენი, რომელიც, როგორც ჩანს, ამ პასუხს ელოდა.

- არასოდეს, - გაიმეორა გოგონამ.
- ამიხსენით, რატომ?
- ერთი მიზეზით, - მტკიცედ მიუგო გოგონამ, - ერთი მიზეზის გამო, რაც იცის
ახალგაზრდა ლედიმ და ის მხარს დამიყურს, ვიცი, იმიტომ, რომ მისგან დაპირება მივიღე. მეორე მიზეზიცაა: როგორი საზიზღარიც უნდა იყოს მისი ცხოვრება, ჩემი ცხოვრებაც ასეთია; ბევრმა ჩვენგანმა ერთი გზა გაიარა და არ ვულაატებ იმათ, რომელთაგან თითოეულს ჩემი გაცემა შეეძლო, მაგრამ ასე არ მოქცეულან და მნიშვნელობა არა აქვს, როგორი ცუდი ადამიანები არიან.
- ასეთ შემთხვევაში, - სწრაფად თქვა ჯენტლმენმა, თითქოს ეს იყო მიზანი, რომლისკენაც ისწრაფოდა, - მონკსი ჩაგვაგდებინეთ ხელში და დანარჩენს ჩვენ მივხედავთ.
- მან რომ სხვები გასცეს?
- პირობას გამლევთ, თუ მისგან აღიარებას მივალწიეთ, საქმე ამით დასრულდება. რასაკვირველია, ოლივერის ხანმოკლე ცხოვრებაში არის ისეთი გარემოებები, რომელთა გახმაურება მძიმეა და თუ სიმართლე გავიგეთ, ეს ადამიანები საკადრის სასჯელს მიიღებენ.
- თუ ვერ გაიგეთ? - შეეკითხა გოგონა.
- მაშინ ეგ ფეიჯინი თქვენი თანხმობის გარეშე სასამართლოს არ გადაეცემა. ვფიქრობ, ასეთ შემთხვევაში შევძლებ ჩემი არგუმენტები მოგასმენინოთ, რომლებიც გაიძულებენ, დათმობთ.
- ახალგაზრდა ლედიც ამას მპირდება? - შეეკითხა გოგონა.
- დიახ, - უპასუხა როუზმა, - საზეიმოდ გპირდებით!
- მონკსი ვერასოდეს გაიგებს, საიდან გაიგეთ ყველაფერი? - ხანმოკლე დუმლილის შემდეგ იკითხა ნენსიმ.
- ვერასოდეს, - უპასუხა ჯენტლმენმა, - ამ ცნობებს ისე მიაწვდიან, რომ ვერაფრით მიხვდება.
- ბავშვობიდან მატყუარა ვიყავი და მატყუარებს შორის ვცხოვრობდი, - ისევ ხანმოკლე დუმლილის შემდეგ თქვა გოგონამ, - მაგრამ თქვენ გენდობით.
- მას შემდეგ, რაც ორივემ დაარწმუნა, რომ შეიძლებოდა მათი ნდობა, გოგონამ
ხმადაბლა - ჯაშუშს ძალიან უჭირდა მისი სიტყვების აზრის გაგებაც კი, - დაიწყო
ამბის მოყოლა, დაასახელა დუქანი და მისი ადგილმდებარეობა, სადაც მისი თვალთვალი დაიწყო. ხანდახან ლაპარაკს წყვეტდა, თითქოს ჯენტლმენი მისგან მიღებულ ცნობებს ნაჩქარევად იწერსო. ნენსიმ დაწვრილებით აღწერა დუქანი, დაასახელა ყველაზე ხელსაყრელი ადგილი თვალთვალისთვის ისე, რომ ეჭვი არავის აეღო, ასევე ის დღეები და საათები, როდესაც მონკსი ჩვეულებისამებრ

დუქანში დადიოდა. მერე რამდენიმე წუთით ჩაფიქრდა და მისი სახის ნაკვეთებისა და ჩვევების გონებაში აღდგენას ცდილობდა.

- ტანმაღალია, - თქვა გოგონამ, - ჩასკვნილი, მაგრამ მსუქანი არა; და როცა დადის, მუდამ უკან იხედება ხან ერთ, ხან მეორე მხარეს. ეს არ დაგავიწყდეთ, იმიტომ, რომ მისი თვალები ისე ღრმად არის ჩამჯდარი, აქამდე ასეთი რამ არ მინახავს და მხოლოდ ამ ერთი ნიშნითაც შეიძლება, ადვილად იცნოთ. მუქი პირისკანი აქვს, მუქი თმა და თვალები; მართალია, ოცდაექვს-ოცდარვა წელზე მეტის არ იქნება, მაგრამ მოტეხილი და პირქუშია. ფერმკრთალი და დაჭმული ტუჩები აქვს, იმიტომ, რომ საზარელი შეტევები ემართება, ხანდახან დასისხლიანებამდე იკბენს ხელებს. რატომ შეკრთით? - შეეკითხა გოგონა, რომელმაც მოულოდნელად ლაპარაკი შეწყვიტა.

ჯენტლმენმა სწრაფად უპასუხა, რომ რაღაც მოეჩვენა და სთხოვა, საუბარი გაეგრძელებინა.

- ამ ცნობების ნაწილი იმ დუქნის კლიენტებისგან დიდი წვალებით გავიგე, რომლის შესახებაც უკვე გელაპარაკეთ; თავად მხოლოდ ორჯერ მყავს ნანახი და ორჯერვე ფართო საწვიმარში იყო გახვეული. აი, სულ ეს არის ის ნიშნები, რომელთა მიხედვითაც შეგიძლიათ ამოიცნოთ. თუმცა, მოიცა! - დაამატა მან, - ყელზე, ჰალსტუხის ქვეშ, როცა თავს მიატრიალებს, შეგიძლიათ დაინახოთ...

- დიდი წითელი ლაქა, თითქოს დამწვრობის კვალია, - წამოიძახა ჯენტლმენმა.

-- როგორ? - იკითხა გოგონამ, - თქვენ მას იცნობთ?

ახალგაზრდა ლედიმ გაკვირვებულმა წამოიყვირა, რამდენიმე წამს ჩუმად იდგნენ და ჯაშუშს მათი სუნთქვა ესმოდა.

- მგონი, ჰო, - თქვა ჯენტლმენმა და დუმილი დაარფვია, - თქვენი აღწერილობის მიხედვით ვიცნობდი. ვნახოთ. ბევრი ადამიანი ძალიან ჰგავს ერთმანეთს. შეიძლება, ის არც არის.

ეს სიტყვები მოჩვენებითი გულგრილობით თქვა, ორი ნაბიჯით მიუახლოვდა ჯაშუშს, რომელმაც ნათლად გაიგონა, როგორ ჩაიბურტყუნა ჯენტლმენმა თავისთვის: „ნამდვილად ის არის!“

- ახლა, - თქვა მან და ხმაზე ეტყობოდა, იმ ადგილს დაუბრუნდა, სადაც მანამდე იდგა, - გოგონა, თქვენ ძალიან დიდი სამსახური გაგვიწიეთ. რით შემიძლია დაგეხმაროთ?

- არაფრით, - უპასუხა ნენსიმ.

- ნუ ჯიუტობთ, - არ ეშვებოდა ჯენტლმენი, რომლის ხმაში იმდენი ალერსი

იგრძნობოდა, ნებისმიერ ბევრად სასტიკსა და გულქვას დაიყოლიებდა, -
კარგად

დაფიქრდით და მითხარით.

- არაფრით, სერ, - გაიმეორა გოგონამ და ატირდა, - ვერაფრით
დამეხმარებით. არავითარი იმედი აღარ არსებობს.

- ამ იმედს თავად ჰკრავთ ხელს, - თქვა ჯენტლმენმა, - აქამდე ამაოდ
გაანიავეთ თქვენი ახალგაზრდული ძალა, ის ფასდაუდებელი საგანძური,
რომლითაც შემოქმედი მხოლოდ ერთადერთხელ გვაჯილდოებს, მაგრამ
მომავალს რაც შეეხება, მისი იმედი ყოველთვის შეიძლება გქონდეთ. იმას
ვერ

გეტყვით, რომ თქვენი სულისა და გულისთვის სიმშვიდის მონიყება ჩვენს
ხელთაა, რადგან სიმშვიდე მაშინ მოდის, თუ თავად ეძებთ მას; მაგრამ
ინგლისში ან, თუ აქ დარჩენის გეშინიათ, ნებისმიერ შორეულ ქვეყანაში
მშვიდად

ცხოვრება არა მხოლოდ შეგიძლიათ, არამედ ჩვენი დიდი სურვილიცაა, ამ
საქმის

მოგვარებაში დაგეხმაროთ. გათენებამდე, ვიდრე მზის პირველი სხივები ამ
მდინარეს გამოაცოცხლებს, თქვენი ძველი თანამზრახველებისთვის სრულიად
მიუღწეველ ადგილზე იქნებით, არავითარ კვალს არ დატოვებთ, თითქოს
ერთ

წამში გაქრით პირისაგან მიწისა. წამოდით! არ მინდა, ისევ იქ დაბრუნდეთ,
თუნდაც ერთი სიტყვა უთხრათ ძველი მეგობრებიდან რომელიმეს, ნაცნობ
ადგილებს თვალი შეავლოთ, ის ჰაერი შეისუნთქოთ, რომელსაც თქვენთვის
სიკვდილი და დაღუპვა მოაქვს. მიატოვეთ ეს ყველაფერი, ვიდრე დრო და
შესაძლებლობა არსებობს!

- ახლა შესაძლებელია მისი დაყოლიება! - წამოიძახა ახალგაზრდა ლედიმ, -
დარწმუნებული ვარ, ყოყმანობს.

- ვშიშობ, რომ არა, ჩემო ძვირფასო, - თქვა ჯენტლმენმა.

- დიახ, სერ, არ ვყოყმანობ, - საკუთარ თავთან ხანმოკლე გაბრძოლების
შემდეგ თქვა გოგონამ, - ძველ ცხოვრებას ვარ მიჯაჭვული, ახლა ის
მეზიზღება

და გულს მირევს, მაგრამ მიტოვება არ შემიძლია. შესაძლოა, ისე შორს
შევტოპე,

რომ იქიდან დაბრუნება შეუძლებელია; თუმცა, არ ვიცი: ეს რომ ჩემთვის
ადრე

გეთქვათ, იქნებ პასუხად გადამეხარხარა, მაგრამ ახლა ისევ მეშინია, -
ნენსიმ

ირგვლივ მიმოიხედა, - სახლში უნდა წავიდე.

- სახლში! - გაიმეორა ახალგაზრდა ლედიმ განსაკუთრებული აქცენტით.

- სახლში, ქალბატონო, - თქვა გოგონამ, - იმ სახლში, რომელიც თავად
ავაშენე ჩემი ცხოვრების განმავლობაში მძიმე შრომით. ერთმანეთს
დავემშვიდობოთ. შეიძლება მითვალთვალინ ან დამინახონ. წადით! წადით!
თუ

რაიმე სამსახური მაინც გაგიწიეთ, მხოლოდ ერთ რამეს გთხოვთ -
დამტოვეთ,

ხელს ნუ შემიშლით, ჩემი გზით წავიდე.

- ამ ყველაფერს აზრი არა აქვს, - ამოიოხრა ჯენტლმენმა, - შესაძლოა, ჩვენი აქ ყოფნით საფრთხეშიც ვაგდებთ. იმაზე მეტხანს დავაყოვნეთ, ვიდრე ვარაუდობდა.

- დიახ, დიახ, - აჰყვა გოგონა, - დამაყოვნეთ.

-- როგორ დამთავრდება ამ საბრალოს ცხოვრება?! - წამოიძახა ახალგაზრდა ლედი.

-- როგორ დამთავრდება? - გაიმეორა გოგონამ, - წინ გაიხედეთ, ქალბატონო.

შეხედეთ იმ შავ წყალს. რამდენჯერ წაგიკითხავთ, რომ ჩემნაირები წყალში გადავარდნილან და არ დაუტოვებიათ არც ერთი ცოცხალი არსება, რომელიც მათზე იდარდებდა და დაიტირებდა! შეიძლება წლები გავიდეს, შეიძლება თვეები, მაგრამ ამას ვერ ავცდები.

- ძალიან გთხოვთ, ამას ნუ ამბობთ, - ქვითინით გამოეხმაურა ახალგაზრდა ლედი.

- თქვენ ამას ვერასოდეს გაიგებთ, ძვირფასო ქალბატონო, ღმერთმა დაგიფაროთ, ასეთი საშინელებები გესმოდეთ! - უპასუხა გოგონამ, - ღამე მშვიდობისა!

ჯენტლმენი შებრუნდა.

- აი, საფულე, - წამოიყვირა ახალგაზრდა ლედი, - აიღეთ, გთხოვთ, რომ სულ მცირე თანხა მაინც გქონდეთ გაჭირვებისა და სასოწარკვეთილების ჟამს.

- არა! - თქვა გოგონამ, - ეს ფულის გამო არ გამიკეთებია... და მინდა ეს კარგად მახსოვდეს. მაგრამ... რაიმე ნივთი მომეცით, რომელსაც თქვენ ატარებდით. მინდა რამე მქონდეს, - არა, არა, ბეჭედი არა... ხელთათმანი ან

ცხვირსახოცი... რაღაც ისეთი, რაც შეიძლება თქვენს სახსოვრად შევინახო, ძვირფასო ქალბატონო... აი, ეს. ღმერთმა დაგლოცოთ! ღამე მშვიდობისა! ღამე მშვიდობისა!

გოგონას ძლიერმა მღელვარებამ, რომელსაც ეშინოდა, თუ დაინახავდნენ, სასტიკად სცემდნენ, ჯენტლმენი აიძულა, მისი თხოვნის თანახმად, გაეშვა. წამსვლელთა ნაბიჯების ხმა გაისმა და საუბარიც მიწყდა.

მალე ხიდზე ახალგაზრდა ლედი და მისი თანამგზავრი გამოჩნდნენ. ისინი კიბის ზედა საფეხურზე შეჩერდნენ.

- მოიცათ! - წამოიძახა ახალგაზრდა ლედი და ყური მიუგდო, - თითქოს მისი ძახილი მომესმა! ხმა გავიგონე!

- არა, ჩემო ძვირფასო, - უპასუხა მისტერ ბრაუნლოუმ და ნაღვლიანად მიიხედა უკან, - ისევ იქ დგას და ადგილიდან ფეხს არ მოიცვლის, ვიდრე არ წავალთ.

როუზ მეილი ფებს ითრევდა, მაგრამ მოხუცმა ჯენტლმენმა ხელი გამოსდო და თავაზიანად, მაგრამ დაბეჯითებით წაიყვანა. როგორც კი თვალს მიეფარნენ, გოგონა ქვის საფეხურზე დაეცა, მთელ სიგრძეზე გაწვა და ცხარე ცრემლით დაიტირა სულიერი იარა.

ცოტა ხნის შემდეგ წამოდგა, ბარბაცით აუყვა საფეხურებს და ქუჩაზე გავიდა. გაოგნებული ჯაშუში კიდევ რამდენიმე წუთს თავის სამალავში იდგა, მერე ფრთხილად მიმოიხედა და როდესაც დარწმუნდა, სრულიად მარტო იყო, წელს გავიდა სამალავიდან, კიბეს აუყვა და ისევ კედლების ჩრდილს ეფარებოდა სიარულისას.

როდესაც კიბის ბოლო საფეხურზე ავიდა, ლაჩრული შიშით გაიხედა-გამოიხედა, რათა დარწმუნებულიყო, რომ არავინ უთვალთვალებდა, მერე რაც ძალი და ღონე ჰქონდა და რის საშუალებასაც თავისი გრძელი ფეხები აძლევდა, ებრაელის სახლისკენ გაიქცა. თავი 47 საბედისწერო შედეგები

გათენებამდე ორი საათი იყო დარჩენილი; შემოდგომაზე ამ პერიოდს მართებულად შეიძლება ეწოდოს უკუნი დამე; ქუჩები მდუმარე და ცარიელია; თითქოს ბგერებსაც კი სძინავთ, ხოლო დაღლილი აღვირახსნილობა და დებოში მოსასვენებლად შინ ბრუნდება. სწორედ ამ მდუმარე და ჩუმ საათზე თავის ძველ სოროში ფეიჯინს არ ეძინა, დამანჭული და გაფითრებული სახით, წითელი, ჩასისხლიანებული თვალებით იმ ადამიანს ჰგავდა, რომელმაც ის-ის არის, ახალგათხრილი სამარიდან წამომდგარი საზარელი მოჩვენება იხილა და ავი სული მოსვენებას არ აძლევს.

ჩამქრალ ბუხართან მოკუნტული იჯდა ძველ, დაგლეჯილ საბანში გახვეული, სახით თითქმის დამდნარი სანთლისკენ, რომელიც მაგიდაზე მის წინ იდგა. ფიქრებში ჩადირული, მარჯვენა ხელის გრძელ, შავ ფრჩხილებს იღრღნიდა, ხოლო უკბილო ღრძილებზე რამდენიმე ეშვი მოუჩანდა, ისეთი, როგორიც ძაღლებს ან ვირთხებს აქვთ.

იატაკზე დაგდებულ ლეიბზე ნოე კლეიპოლს ეძინა. ბებერი ხანდახან მას გადახედავდა, მერე ისევ სანთელს მიაჩერდებოდა, რომლის ჩამწვარი პატრუქი მოიკაკვა, ხოლო ცხელი ცვილი მაგიდაზე იღვრებოდა და ეს აშკარად მოწმობდა, რომ ებრაელის ფიქრები სადღაც შორს ქროდა.

და ეს მართლაც ასე იყო. მისი არაჩვეულებრივი გეგმის კრახი; ზიზღი გოგონასადმი, რომელმაც გაბედა და უცხო ადამიანებს დაუკავშირდა; სრული უნდობლობა მისი უარისადმი, ის გაეცა; მწარე იმედგაცრუება, რადგან აღარ არსებობდა საიკსზე შურისძიების საშუალება; გამოაშკარავების, დაღუპვის, სიკვდილის შიში; ველური, დაუოკებელი მრისხანება - ამ ყველაფერმა ქარიშხალივით გაიელვა ფეიჯინის გონებაში, ხოლო გულს ეშმასეული ფიქრები და ყველაზე საზარელი განზრახვანი უღრღნიდა.

იჯდა და არ ირხეოდა, თითქოს ვერც კი ამჩნევდა, რამდენი ხანი იყო ასე, ვიდრე ქუჩაში ნაბიჯების ხმა არ გაისმა.

- როგორც იქნა, - წაიბუტბუტა და გამომშრალი, აღმოდებული ტუჩები მოიწმინდა, - როგორც იქნა!

როცა ამას ამბობდა, ზარის სუსტი ხმა გაისმა. ფეიჯინი უხმაუროდ ავიდა კარამდე მიმავალ კიბეზე და მალე დაბრუნდა ვიღაც კაცთან ერთად, რომელიც

ნიკაპამდე შეფუთვნილიყო და ილიაში ფუთა ამოედო. როდესაც ჩამოჯდა და პალტო გაიხადა, ეს ზორბა კაცი საიკსი აღმოჩნდა.

- აჰა! - მაგიდაზე ფუთა დადო, - ამას მიხედეთ და ეცადეთ, რაც შეიძლება

მეტი აიღოთ. ძალიან ვიწვალე მაგის ხელში ჩასაგდებად; სამი საათით ადრე ვვარაუდობდი მოსვლას.

ფეიჯინმა ფუთა კარადაში ჩაკეტა და ისევ ხმაამოუღებლად დაჯდა. ამ ხნის განმავლობაში თვალი არ მოუცილებია მძარცველისთვის და ახლა, როცა ერთმანეთის პირისპირ ისხდნენ, მან კი დაჟინებით შეხედა, ებრაელს ტუჩები ისე უთრთოდა, ხოლო სახე მღელვარებისგან ისე შესცვლოდა, რომ მძარცველმა

ძალაუნებურად სკამი უკან მისწია და გულწრფელად შეშინებულმა შეხედა.

- რა მოხდა? - წამოიყვირა საიკსმა, - რას მომშტერებიხართ?

ფეიჯინმა მარჯვენა ხელი ასწია და აკანკალებული მარცხენა ხელის საჩვენებელი თითით დაემუქრა, მაგრამ ისე ღელავდა, ხმის ამოდება ვერ შეძლო.

- ჯანდაბა! - დაიყვირა საიკსმა, შემფოთებულმა გულის ჯიბეში რაღაცას შეავლო ხელი, - ჭკუიდან შეცდა. ფრთხილად უნდა ვიყო.

- არა, არა, - ფეიჯინმა, როგორც იქნა, ხმის ამოდება შეძლო, - თქვენ არა...

თქვენ ის ადამიანი არა ხართ, ბილ. ვიცი, რომ ბრალი არ მიგიძღვით.

- ოჰ, მართლა? - საიკსმა რისხვით შეხედა და მის თვალწინ პისტოლეტი მეორე, უფრო ადვილად ხელმისაწვდომ ჯიბეში გადაიტანა, - თუ ასეა, ერთ-ერთ

ჩვენგანს ბედმა გაუღიმა. რომელს - ამას ნაკლები მნიშვნელობა აქვს.

- რაღაც უნდა გითხრათ, ბილ, - ფეიჯინმა სკამი მისკენ მისწია, - რის გამოც

თავს იმაზე ცუდად იგრძნობთ, ვიდრე ახლა მე ვარ.

- ჰოო? - უნდობლად ჰკითხა მძარცველმა, - მიდით! და დროზე, თორემ ნენსი

იფიქრებს, რომ ჩემი საქმე წასულია.

- საქმე წასულია! - წამოიყვირა ფეიჯინმა, - მას რაც შეეხება, ეს საკითხი გადაწყვეტილია!

გაოგნებული საიკსი ებრაელს მიაჩერდა და როდესაც დამაკმაყოფილებელი პასუხი ვერ მიიღო, ბებერს ქეჩოში სწვდა და მთელი ძალით შეანჯღრია.

- ამოღერღეთ! - დაიყვირა მან, - თუ არ მეტყვით, ცოტა ხანში სუნთქვას ვეღარ შეძლებთ. პირი გააღეთ და ყველაფერი მარტივად და გასაგებად მიაგზეთ. დროზე-მეთქი, ბებერო ქოფაკო, ამოღერღეთ!

- დავუშვათ, იმ ყმაწვილმა, იქ რომ სძინავს... - დაიწყო ფეიჯინმა.

საიკსი იმ მხარეს, სადაც ნოეს ეძინა, ისე შებრუნდა, თითქოს ახლა შეამჩნია.

- მერე? - ადრინდელ მდგომარეობას დაუბრუნდა.

- დავუშვათ, ამ ყმაწვილმა, - განაგრძო ფეიჯინმა, - გადაწყვიტა... ყველა ჩავვიშვას, ჯერ ამისათვის საჭირო ადამიანები მოძებნა, მერე ქუჩაში პაემანი დაუნიშნა, რომ თქვენი გარეგნობა აღეწერა, მიეთითებინა ყველა ნიშანი, რომლითაც თქვენი მოძებნა შესაძლებელი, და ადგილები, სადაც უფრო იოლია

თქვენი დაჭერა. დავუშვათ, ეს ყველაფერი ჩაიფიქრა და კიდევ ერთი საქმეც გასცა, რომელშიც ჩვენ ყველანი გარეული ვართ, - და ჩაიფიქრა თავისი ახირების, საკუთარი ხუმტურის დასაკმაყოფილებლად; იმიტომ კი არა, რომ მღვდელმა ყურში უჩურჩულა ან აქამდე მიიყვანა პურსა და წყალზე დასმით,

- არა, თავისი ახირების გამო, საკუთარი კმაყოფილებისთვის; წავიდა მალულად,

ღამით მოძებნა ისინი, რომლებიც ყველაზე მეტად არიან ჩვენზე დაგეშილი და

სწორედ მათ დაუკავშირდა. გესმით თუ არა? - დაიყვირა ებრაელმა და თვალები

რისხვით აუელვარდა, - დავუშვათ, მან ეს ყველაფერი მოიმოქმედა, მერე?

- მერე? - გაიმეორა საიკსმა და უშვერად შეიგინა, - ჩემს მოსვლამდე თუ ცოცხალი დარჩებოდა, ჩემი ჩექმის რკინის ქუსლით თავის ქალას იმდენ ნაკუწად

დავუმსხვრევდი, რამდენი თმის ღერიც აქვს.

- ასეთი რამ მე რომ ჩამეძინა? - დაიღრიალა ფეიჯინმა, - მე, რომელმაც ამდენი ვიცი და ამდენი ადამიანის გადაყოლება შემიძლია, მაშინ?

- არ ვიცი, - საიკსმა ამის გაფიქრებაზეც კი კბილები ააღრჭიალა, - ციხეში რაღაც ისეთს გავაკეთებდი, რომ ბორკილებს დამადებდნენ, მერე, თუ თქვენთან

ერთად გამასამართლებდნენ, სასამართლოში ყველას თვალწინ ამ ბორკილებით თავს გაგიპობდით. ამის ძალა ნამდვილად მეყოფოდა, - წაიბუტბუტა მძარცველმა და დაკუნთული ხელი ასწია, - თავს ისე გაგიჭექყავდით, თითქოს დატვირთულმა ოთხთვალამ გადაუარა.

- ამას ჩაიდენდით?

- ჩავიდენდი თუ არა? - შეეკითხა მძარცველი, - გამომცადეთ.

- ასე რომ მოქცეულიყო ჩარლი ან ცულლუტი, ან ბეტი, ან...

- რა მნიშვნელობა აქვს, - მოუთმენლად გააწყვეტინა საიკსმა, - ვინც უნდა ყოფილიყო, სწორედ ასევე გავუსწორდებოდი.

ფეიჯინი დაჟინებით უყურებდა მმარცველს, მერე ხელით ანიშნა, გაჩუმებულიყო, იატაკზე გაშლილ ლეიბზე დაიხარა და მძინარე შეანჯღრია, მის

გაღვიძებას ცდილობდა. საიკსი წინ გადაიხარა, იდაყვებით მუხლებს დაეყრდნო

და გაოგნებული უყურებდა, რისთვის იყო საჭირო ეს შეკითხვები და შემზადება.

- ბოლტერ! ბოლტერ! საბრალო! - ფეიჯინმა თვალები ასწია და მათში ის სიამოვნება იკითხებოდა, რასაც ახალი ამბის გამხელა მოჰგვრიდა, სიტყვებს კი

განსაკუთრებული ხაზგასმით წარმოთქვამდა, - დაიღალა... დაიღალა, იმდენს

ხანს უთვალთვალა... გოგოს უთვალთვალეზდა, ბილ!

- ეს რას ნიშნავს? - საიკსი სკამის საზურგეს მიეყრდნო.

ფეიჯინს არაფერი უთქვამს, ისევ მძინარეს მიუბრუნდა, წამოსწია და დასვა. როდესაც მისი ახალი სახელი რამდენჯერმე გაიმეორეს, ნოემ თვალები მოიფშვნიტა, გულიანად დაამთქნარა და ნამძინარევა მიმოიხედა.

- ყველაფერი კიდევ ერთხელ მიაშბეთ, რომ ამანაც მოისმინოს, - ებრაელმა თითით ანიშნა საიკსზე.

- რა გაიბოთ? - უკმაყოფილოდ შეიშმუშნა ნოე.

- მოჰყევით... ნენსიზე, - თქვა ფეიჯინმა და საიკსს მაჯაში ხელი წაავლო, რომ

სახელის გაგონებაზე სახლიდან არ გავარდნილიყო, არამედ ბოლომდე მოესმინა, - უკან მიჰყვებოდით?

- ჰო.

- ლონდონის ხიდამდე?

- ჰო.

- იქ ორ ადამიანს შეხვდა.

- დიახ, დიახ.

- ჭენტლმენსა და ახალგაზრდა ლედის, რომელთანაც ერთხელ უკვე მივიდა საკუთარი სურვილით, მან კი ყველა მეგობრის, უპირველესად კი მონკსის გაცემა

შესთავაზა და ის ასეც მოიქცა; სთხოვეს, მიეთითებინა დუქანი, სადაც ვიკრიბებით, და მან ესეც უთხრა; აი, რა გააკეთა. მოუყვა სიტყვასიტყვით ყველაფერს, თუმცა, მას არავინ დამუქრებია, მოუყვა საკუთარი სურვილით. იყო

თუ არა ასე? - დაიყვირა მრისხანებისგან გონდაკარგულმა ფეიჯინმა.

- მართალია, - თავი მოიქექა ნოემ, - ყველაფერი ასე იყო!

- გასულ კვირადღეზე რა თქვა?

- გასულ კვირადღეზე? - ჩაფიქრდა ნოე, - ხომ გითხარით.

- კიდევ, კიდევ მოჰყევი! - დაიყვირა ფეიჯინმა და უფრო ძლიერად ჩააფრინდა საიკსს, მეორე ხელი კი მუქარით შეარხია, პირზე დუჟი მოადგა.

- მათ იკითხეს... - ნამძინარევი ნოე თანდათან ფხიზლდებოდა, თითქოს მიხვდა საიკსის ვინაობას, - იკითხეს, რატომ არ მივიდა დაპირების თანახმად წინა კვირას. გოგომ კი თქვა, რომ ვერ შეძლო.

-- რატომ? რატომ? ამას უთხარი.

- იმიტომ, რომ სახლში ძალით დააკავა კაცმა, ბილმა, რომელზედაც მათ ადრე მოუყვა, - უპასუხა ნოემ.

- კიდევ რა უთხრა მასზე? - დაუყვირა ფეიჯინმა, - კიდევ რა უთხრა მათ ამ კაცზე? უთხარი, უთხარი!

- ის, რომ სახლიდან გასვლა მისთვის არც ისე იოლია, თუ იმ კაცმა არ იცის, სად მიდის, - თქვა ნოემ, - და ამიტომაც, როცა ახალგაზრდა ლედისთან პირველად მივიდა, მას - ჰა-ჰა! ეს რომ თქვა, ძალიან გამეცინა! - ოპიუმდანი ხსნარი დააღვინა.

- ეშმაკმა წაიღოს! - დაიღრიალა საიკსმა და ებრაელისგან თავი გაითავისუფლა, - ხელი გამიშვით!

მოხუცი ოთახის მეორე კუთხისკენ მოისროლა, ოთახიდან მრისხანებისგან გონდაკარგული გავარდა და კიბე აირბინა.

- ბილ, ბილ! - დაიყვირა ფეიჯინმა და გაეკიდა, - ერთი სიტყვა! მარტო ერთი სიტყვა მოისმინეთ!

ამ ერთ სიტყვას ვერ იტყოდა, მძარცველს რომ კარის გაღება შესძლებოდა, მაგრამ ამაოდ დაშვრა, ტყუილად დახარჯა ძალა და გინებაც. აქომინებული ებრაელი დაეწია.

- აქედან გამიშვით! - დაიყვირა საიკსმა, - არ დამელაპარაკოთ, ეს სახიფათოა. გამიშვით-მეთქი!

- მარტო ერთი სიტყვა მოისმინეთ, - ფეიჯინმა საკლიტულს ხელი დაადო, - ძალიან... სასტიკი არ იქნებით, ბილ, ხომ ასეა?

თენდებოდა და საკმარისი სინათლე იყო, ერთმანეთის სახეები რომ დაენახათ. მათი მზერა სულ მცირე ხნით შეხვდა ერთმანეთს და ორივეს თვალებში ის ცეცხლი გაკრთა, ეჭვს რომ არ იწვევდა.

- იმის თქმა მინდა, - ისე განაგრძო ფეიჯინმა, რომ ნათელი იყო, თავის მოჩვენებას აზრი აღარ ჰქონდა, - იმის თქმა მინდა, რომ გადაჭარბებული სისასტიკე სახიფათოა. ცბიერი იყავით, ბილ, და არა მეტისმეტად სასტიკი.

საიკსს ხმა არ ამოუღია, ფეიჯინის გაღებულ კარს ხელი ჰკრა და ქუჩაში გავარდა.

არც ერთხელ არ შეჩერებულა, არც ერთი წამით არ დაფიქრებულა, თავი არც მარჯვნივ მიუბრუნებია და არც მარცხნივ, არც ცისტვის შეუხედავს და არც მიწისთვის, არამედ უღმობელი შეუპოვრობით მხოლოდ წინ იყურებოდა; კრიჭა

ისე შეეკრა, გეგონებოდა, სადაცაა ყბის ძვლები კანს გაარღვევსო; მძარცველი შეუპოვრად მიქროდა წინ, არაფერი წაუბურდდუნებია, არც ერთი კუნთი არ მოდუნებია, ვიდრე სახლის კარის წინ არ აღმოჩნდა. უჩუმრად გადაატრიალა გასაღები, უხმაუროდ ავიდა კიბეზე და თავის ოთახში შესულმა, გასაღები ორჯერ

გადაატრიალა. კარს მძიმე მაგიდა მიადგა და საწოლის ფარდა გადასწია.

გოგონა სანახევროდ ჩაცმული იჭვა. მისმა მოსვლამ გააღვიძა და ნაჩქარევად, შემინებული წამოდგა.

- ადექი! - თქვა მამაკაცმა.

- შენ ხარ, ბილ? - გოგონას თითქოს მისი დაბრუნება გაუხარდა.

- მე ვარ, ადექი!

სანთელი ენთო, მაგრამ კაცმა ხელი დასტაცა, სასანთლიდან ამოიღო და ბუხრის ცხაურას ესროლა. დღის სუსტი სინათლე რომ დაინახა, გოგონამ ფარდის გადაწევა დააპირა.

- მოეშვი, - თქვა საიკსმა და ხელით გადაუღობა გზა, - საკმარისი სინათლეა იმისთვის, რის ჩადენასაც ახლა ვაპირებ.

-- ბილ, - ხმადაბლა ჰკითხა დამფრთხალმა გოგონამ, - ასე რატომ მიყურებ?

მძარცველი რამდენიმე წუთს ნესტოებგაფართოებული იჯდა, მკერდი აუღ-ჩაუდიოდა, თვალს არ აცილებდა; მერე თავსა და კისერში ხელი სტაცა, ოთახის შუაში გაათრია, კარისკენ მიიხედა და პირზე თავისი მძიმე ხელი დააფარა.

- ბილ, ბილ, - გოგონა სიკვდილის შიშით მოგვრილი ენერჯის მოზღვავეებით თავის გათავისუფლებას ცდილობდა და ხრიალებდა, - მე... მე... არ ვიყვირებ... არც ერთხელ არ ვიყვირებ... მომისმინე... დამელაპარაკე... მითხარი, ასეთი რა ჩავიდინე?

- თავადაც იცი, ეშმაკის ნაშიერო! - სული მოითქვა მძარცველმა, - ამ საღამოს გითვალთვალეზდნენ, შენი თითოეული სიტყვა მოისმინეს.

- ჰოდა, ღვთის გულისათვის, შეიბრალე ჩემი სიცოცხლე ისე, როგორც მე შენი

შევიბრალე! - წამოიძახა გოგონამ და სხეულზე მიეკრა, - ბილ, მვირფასო ბილ,
ჩემს მოსაკლავად გამბედაობა არ გეყოფა. ოჰ! იმ ყველაფერზე იფიქრე,
რაზეც
შენ გამო უარი ვთქვი, თუნდაც ამ სადამოს. ბილ, ბილ, ღვთის
გულისთვის,
საკუთარი თავისთვის, ჩემთვის, მოიცადე, ვიდრე ჩემს სისხლს დაღვრი!
შენი
ერთგული ვიყავი, ჩემს ბეჩავ სულს ვვიცავ, შენი ერთგული ვიყავი!

კაცი გამწარებული ცდილობდა, ხელები გაეთავისუფლებინა, მაგრამ მათ
გოგონას ხელები ეხვეოდა, ძალიან ცდილობდა, მაგრამ მისგან თავის
დაღწევას
ვერ ახერხებდა.

- ბილ! - დაიყვირა გოგონამ და სცადა, მკერდზე თავი მიედო, -
ჯენტლმენმა
და იმ საყვარელმა ლედიმ თავშესაფარი შემომთავაზეს რომელიმე უცხო
ქვეყანაში, სადაც განმარტობით, სიმშვიდეში ცხოვრებას შევძლებდი. ნება
მომეცი, კიდევ ერთხელ მოვინახულო ისინი, დავუჩოქო და ვთხოვო,
ასეთივე
სიკეთითა და გულისხმიერებით მოგექცნენ და მაშინ ორივენი დავტოვებთ ამ
საზარელ ადგილს, ერთმანეთისგან შორს უკეთეს ცხოვრებას დავიწყებთ,
დავივიწყებთ, აქამდე როგორ ვცხოვრობდით, ამის შესახებ მხოლოდ
ლოცვებში
გავიხსენებთ და ერთმანეთს აღარასოდეს შევხვდებით. მათ ასე მითხრეს...
ამას
ახლა ვგრძნობ... მაგრამ დრო გვჭირდება... თუნდაც სულ ცოტა დრო.

მძარცველმა ცალი ხელი გაითავისუფლა და პისტოლეტი ამოიღო.
მრისხანებით გონებადაბნელებულმა ის მაინც მოისაზრა, რომ გასროლა მის
დაუყოვნებელ დაპატიმრებას გამოიწვევდა. ამიტომ ძალ-ღონე მოიკრიბა და
მისკენ მაცქერალ სახეს, სულ ახლოს რომ იყო, იარაღი ორჯერ ძლიერად
ჩაართყა.

გოგონა დაბარბაცდა და შუბლზე გაჩენილი ღრმა იარიდან გადმოხეთქილი
სისხლით სანახევროდ დაბრმავებული, წაიქცა; მუხლებზე ძლივს დადგა,
გულისპირიდან თეთრი ცხვირსახოცი - როლუზ მეილის ცხვირსახოცი -
ამოიღო,
მისუსტებულმა, რამდენადაც კი შეეძლო, ხელები ზეცისკენ აღმართა, ლოცვა
წაიჩურჩულა და შემოქმედს მიტევება სთხოვა.

მისი სახე საზარელი სანახავი იყო. მკვლელმა კედლისკენ დაიხია, თვალებზე
ცალი ხელი აიფარა, მეორე ხელი მძიმე კეტს დაავლო და გოგონას ჩაართყა.
თავი 48 საიკსის გაქცევა

ყველა იმ ბოროტმოქმედებისგან, რომლებიც ღამის სიბნელეში ჩაძირულ
ლონდონში მომხდარა, ეს ყველაზე საზარელი დანაშაული გახლდათ. ყველა
ულმობელი დანაშაულისგან, რომლებმაც დილის ჰაერი მოწამლეს, ეს
ყველაზე
ბინძური და უწყალო იყო.

მზე, კამკაშა, ნათელი და სხვიმფინარე მზე, რომელსაც ადამიანისთვის

სინათლესთან ერთად ახალი სიცოცხლე, იმედი, სიხალისე მოაქვს, ხალხმრავალი ლონდონის თავზე ამოვიდა. ძვირფას ფერად მინასა და ქალაღლით აკრულ ფანჯარას, ეკლესიის გუმბათსა და ჭრილს დამპალ კედელში

ის თავის სხივებს თანაბრად ჰფენდა. მან ის ოთახიც გაანათა, სადაც მოკლული

გოგონა იწვა. მის სხეულს მოეფინა. საიკსმა ამ ნაკადის შეჩერება სცადა, მაგრამ

სხივები მაინც მოედინებოდა. თუ სანახაობა საზარელი იყო მკრთალ, განთიადის

ბინდბუნდში, როგორი სანახავი იქნებოდა ახლა, ამ თვალისმომჭრელ სინათლეზე!

საიკსი არ განძრეულა; განძრევის ეშინოდა. კვნესა გაისმა, ხელი გატოვდა და უეცრად თავს დატეხილი შიმის გამო კიდევ ჩაარტყა, მერე კიდევ და კიდევ. საბანი გადააფარა; მაგრამ მეტად მძიმე იყო თვალების წარმოდგენა და იმაზე ფიქრი, რომ ისინი მას უყურებს, ვიდრე იმის ყურება, როგორ დაჟინებით მისჩერებიან ზევას, თითქოს მზის სხივებით ჭერზე არეკლილ სისხლის გუბებს უმზერენ. ისევ გადახადა საბანი. იატაკზე სხეული ესვენა – მხოლოდ ხორცი და

სისხლი, მეტი არაფერი, – მაგრამ როგორი სხეული, და რამდენი სისხლი!

ასანთს გაჰკრა, ბუხარი გააჩადა და კეტი ცეცხლს შეუშვირა. მის ბოლოს მიჰკვროდა გოგონას თმა, რომელიც ააღდა, ფერფლად იქცა, წევამ მიიზიდა და

ტრიალით აფრინდა საკვამურისკენ. ამანაც კი, სიმამაცის მიუხედავად, შეაშინა;

კეტი ხელში მანამ ეჭირა, ვიდრე არ გადატყდა, მერე ნახშირზე დააგდო, მთლიანად რომ დამწვარიყო და ფერფლად ქცეულიყო. დაიბანა და სამოსი გაიწმინდა. სისხლის რამდენიმე წვეთის გამოყვანა ვერ შეძლო, ამიტომ ნაჭრები

ამოჭრა და ცეცხლს მისცა. რამდენი ასეთი ლაქა იყო ოთახში! ძაღლსაც კი თათები სისხლში ჰქონდა მოსვრილი.

ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ შეუქცევია ზურგი გვამისთვის; არც ერთი

წამით. ყველაფერი რომ მოითავა, კარისკენ უკან-უკან წავიდა, თან ძაღლს მიათრევდა, რომ თათები ისევ არ დაესვარა და დანაშაულის სამხილი ქუჩაში არ

გაეტანა. ჩუმად გააღო კარი, გავიდა, ჩაკეტა, გასაღები აიღო და სახლი დატოვა.

ქუჩა გადაჭრა და ზემოთ აიხედა, ფანჯარას ახედა, თითქოს სურდა, დარწმუნებულიყო, რომ ქუჩიდან არაფერი ჩანდა. ფანჯარაზე ისევ ფარდა იყო

ჩამოფარებული, რომლის გადაწვევაც გოგონას სურდა, რათა ოთახში სინათლე შემოეშვა, სინათლე, რომელიც ვეღარ დაინახა. თითქმის ფანჯარასთან იწვა.

ეს

საიკსმა კარგად იცოდა. ღმერთო, როგორ ანათებს მზის სხივები სწორედ იმ ადგილს!

ფანჯარას სულ ერთი წამით სტყორცნა მზერა. იმ ოთახიდან გამოსვლის შემდეგ გულზე მოეშვა. ძაღლს დაუსტვინა და სწრაფი ნაბიჯით მოშორდა იქაურობას.

მთელი იზლინგტონი გაიარა, ჰაიგეტის გორაკზე ავიდა, სადაც უიტინგტონის პატივსაცემად ქვა დევს; ჰაიგეიტ-ჰილისკენ ჩაუხვია; მიდიოდა უმიზნოდ, არ იცოდა, სად წასულიყო; გორაკიდან ჩასვლა დაიწყო, მერე ისევ მარჯვნივ გაუხვია

და ბილიკით გადაჭრა მინდორი, სინ-ვუდს გვერდი აუქცია და ჰემსტედ-ჰიტზე

გავიდა. უეინ-ჰიტთან ხეობას ჩაუარა, მოპირდაპირე მხარეს მიწაყრილზე ავიდა,

მერე ორი სოფლის, ჰემსტედისა და ჰაიგეტის, შემაერთებელი გზა გადაჭრა და

ნორტ-ენდთან მანანათი დაფარული მინდვრის ბოლოში გავიდა, სადღაც ცოცხალი ღობის ძირში მიწვა და დაიძინა.

მალე ისევ ადგა და წავიდა, მაგრამ არა სოფლისკენ, არამედ უკან, ლონდონისკენ, სავალი გზით, მერე საწინააღმდეგო მხრიდან გადაჭრა მინდორი,

რომელზედაც უკვე გაიარა; მინდვრებში დახეტიალებდა, დასასვენებლად თხრილებთან წვებოდა, ისევ წამოხტებოდა და სხვა ადგილს ეძებდა, მერე ისევ

დაბნეული დაეხეტებოდა.

სად მოენახა ახლომახლო ისეთი ადგილი, სადაც ბევრი ხალხი არ იქნებოდა, სადაც შეიძლება ჭამა და დაღევა? ჰენდონი. ეს მშვენიერი ადგილი იქვე ახლოს

იყო, იქაურობას იშვიათად სტუმრობდნენ. სწორედ იქით გაემართა, ხან მირბოდა, ხანაც, სრულიად გაუგებარი მიზეზით, ლოკოკინასავით მიზოზინებდა;

ზოგჯერ გაჩერდებოდა, ჯოხს ურტყამდა ბუჩქებს და ტოტებს ამტვრევდა. მაგრამ

როდესაც იქ ჩავიდა, მოეჩვენა, რომ ყველა, ზღურბლზე მდგარი ბავშვებიც კი,

ექვით ათვალაიერებდა. ხმის ამოუღებლად უკან გაბრუნდა, ვერ გახედა საჭმელ-სასმლის ყიდვა, თუმცა, უკვე მრავალი საათი იყო, პირში ლუკმა არ ჩასვლოდა; ისევ მანანებით დაფარულ მინდორზე მიაბიჯებდა, უმიზნოდ მიდიოდა.

ათობით მილი გაიარა და მაინც ისევ ძველ ადგილზე მიდიოდა. დილამ და ნაშუადღევმა გაიარა, დღე ილეოდა, ის კი ხან ერთ მხარეს დაადგებოდა გზას,

ხან - მეორე მხარეს, ხან ერთ გორაკზე ადიოდა, მერე უკან ეშვებოდა, სულ ერთ

ადგილს უტრიალებდა. ბოლოს ჰეტფილდისკენ გაემართა.

სალამოს ცხრა საათი ხდებოდა, როდესაც არაქათგამოცლილი კაცი და ძაღლი, უჩვეულო სეირნობით დაკოჭლებული, წყნარ სოფელში ეკლესიის ახლოს

მდებარე გორაკიდან დაემუნენ, პატარა ქუჩა გაიარეს და მომცრო დუქანში შეიძურწნენ, რომლის მკრთალმა სინათლემაც ისინი მიიზიდა. ოთახში ბუხარი

ენტო და სოფლელები სვამდნენ. უცნობისთვის ადგილი გაათავისუფლეს და ისიც ყველაზე შორეულ კუთხეში ჩამოჯდა, მარტო ჭამდა და სვამდა, უფრო სწორად, თავის ძაღლთან ერთად, რომელსაც დროდადრო ლუკმას

გადაუგდებდა.

დუქანში შეკრებილები მეზობლად მდებარე მინდვრებსა და ფერმებზე საუბრობდნენ, როდესაც ეს თემები ამოწურეს, წინა კვირას გარდაცვლილი მოხუცის ასაკის გარკვევა დაიწყო; ყმაწვილები მას ბებრუხანად თვლიდნენ, ხანდაზმულები კი ამტკიცებდნენ, ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა იყო.

ბოლოს

ერთმა ჭადარა ბაბუამ განაცხადა, ჩემზე უფროსი ნამდვილად არ გახლდათ, კიდევ ერთ ათ-თხუთმეტ წელსაც იცოცხლებდა, თავს რომ მოფრთხილებოდაო!

ეს საუბარი საყურადღებო და სახიფათო სრულებით არ იყო. მძარცველმა ფული გადაიხადა, თავის კუთხეში ჩუმად და შეუმჩნევლად იჯდა და თვლემდა, როდესაც ახალმოსულის ხმაურიანმა შესვლამ დუქანში გამოაღვიძა.

ეს გახლდათ ხუმარა და მხიარული ყმაწვილი, ერთდროულად მეწვრილმანე და ექიმბაში, რომელიც სოფლიდან სოფელში დადიოდა და სალეს ქვებს, საპარსის გასალეს თასმებს, საპარსებს, საპონს, ცხენის აკაზმულობის საპონს, ძაღლებისა და ცხენის წამლებს, იაფფასიან სუნამოებს, ნელსაცხებლებსა და სხვა ამგვარ ნივთებს ყიდდა; ეს ყველაფერი ზურგზე აკიდებულ ყუთში ჰქონდა.

მის გამოჩენას სოფლები უწყინარი ხუმრობებით შეხვდნენ, რომლებსაც ბოლო არ უჩანდა, ვიდრე მან არ ივანშმა, საოცრებებით სავსე ყუთი არ გახსნა

და სცადა, ხუმრობიდან სარგებელიც ენახა.

- ეს რა საქონელია? საჭმელად ვარგა, ჰარი? - ღიმილით ჰკითხა ერთ-ერთმა სოფელმა და ყუთის კუთხეში ლითონის ყუთებზე მიუთითა.

- აი ეს, - თქვა ყმაწვილმა და ერთ-ერთი ყუთი ამოიღო, - შეუცვლელი და ფასდაუდებელი საშუალებაა ყოველგვარი ლაქის ამოსაყვანად: ჟანგის, ტალახის, შხეფების - აბრეშუმიდან, ატლასიდან, სელიდან, ბატისტიდან, შავი

ქსოვილიდან, ხალიჩიდან, მერინოსიდან, მუსლინიდან, ბამბაზიიდან, შალის სხვა ქსოვილებიდან. ამოჰყავს ღვინის, ხილის წვენის, ლუდის, წყლის, საღებავის, მაზუთის ლაქები, - მნიშვნელობა არა აქვს, რისი ლაქაა, ეს შეუცვლელი და ფასდაუდებელი საშუალებაა. თუ ქალბატონის სახელს ლაქა მოეცხო, საკმარისია, ერთი ცალი გადაყლაპოს და მაშინვე გამოკეთდება, იმიტომ, რომ ეს საშუალება საწამლავეზე უარესია. თუ ჯენტლმენი ისურვებს მის

გამოცდას, ერთი პატარა ფირფიტა მიიღოს და ეჭვიც აღარ დარჩება, იმიტომ, რომ ტყვიანზე არანაკლებ მოქმედებს და გემოთი ბევრად საზიზღარია, ასე რომ,

მისთვის სასახელო იქნება, თუ გასინჯა. ერთი პენი ერთი ფირფიტისთვის. ასეთი

სასარგებლო რამ და მხოლოდ ერთი პენი!

ორი მყიდველი მაშინვე გამოჩნდა, მათ მიბაძვას კიდევ რამდენიმე აპირებდა. ეს რომ შენიშნა, მეწვრილმანემ ლაქლაქს უმატა:

- გამოშვებას ვერ ასწრებენ, რომ უკვე დატაცებულია! - განაგრძო ყმაწვილმა, -

თოთხმეტი ქარის წისქვილი, ექვსი ორთქლის ძრავა და გალვანური ბატარეა

დღედაღამ მუშაობს და მაინც ვერ ასწრებენ. მუშები იმდენს მუშაობენ, სამუშაო ადგილას იხოცებიან, ქვრივებს კი მაშინვე უხდიან პენსიას და თითო ბავშვზე წლის განმავლობაში ოც გირვანქა სტერლინგს, ტყუპს კი - ორმოცდაათს. ერთი პენი ერთი ფირფიტა! სიხარულით მივიღებ ორ ნახევარპენიანს და ოთხ ფართინგსაც. პენი ერთი ფირფიტისთვის! ღვინის, ხილის წვენის, ლუდის, წყლის, საღებავის, მაზუთის, ტალახის, სისხლის ლაქები! აი, ამ ჯენტლმენს ქუდზე ლაქა აქვს, რომელსაც ისე სწრაფად გამოვიყვან, ჩემთვის ლუდის შეკვეთასაც ვერ მოასწრებს.

- ჰეი! - დაიყვირა საიკსმა და წამოხტა, - მომეცით!

- გამოვიყვან, სერ, - არ დაიბნა მეწვრილმანე და შეკრებილებს თვალი ჩაუკრა, - ოთახის იმ ბოლომდე მისვლასაც ვერ მოასწრებთ, რომ ლაქა აღარ იქნება. ამ დუქანში შეკრებილო ჯენტლმენებო, ყურადღება მიაქციეთ მუქ ლაქას ამ ჯენტლმენის შლაპაზე, რომელიც სიდიდით შილინგისხელაა, ხოლო სისქით - ნახევარკრონიანის. მნიშვნელობა არა აქვს, ლაქა არის ღვინის, ხილის წვენის, ლუდის, წყლის, საღებავის, მაზუთის, ტალახის თუ სისხლის...

მეწვრილმანეს წინადადება დასრულებული არ ჰქონდა, რომ საიკსმა უშვერი გინებით მაგიდა გადააბრუნა, შლაპა ხელიდან გამოსტაცა და დუქნიდან გაიქცა.

იმავე უცნაური მერყეობისა და ახირების წყალობით, რომლითაც უნებურად მთელი დღის განმავლობაში იყო შეპყრობილი, როდესაც მკვლეელი დარწმუნდა, უკან არავინ მისდევდა და, სავარაუდოდ, ნასვამ ყმაწვილად მიიჩნიეს, ქალაქისკენ წავიდა. პატარა საფოსტო კარეტის ფარნის სინათლეს გვერდის აქცევას უპირებდა, მაგრამ ლონდონური საფოსტო კარეტა ამოიციწო. თითქმის გამოიციწო, ამას რა მოჰყვებოდა, მაგრამ გზაზე გადავიდა და ყური მიუგდო.

კარეტის კართან ფოსტალიონის ჩანთის მოლოდინში კარეტის მცველი იდგა. იმავე წამს მას მეტყევის ფორმაში გამოწყობილი მამაკაცი მიუახლოვდა, რომელსაც გუშაგმა ქვაფენილიდან კალათი მიაწოდა.

- ეს თქვენი ოჯახისთვისაა, - უთხრა მცველმა, - ეი, თქვენ, მანდ, გაინძერით! ეშმაკმა დალახვროს ეს ჩანთა, გუშინაც არ იყო მზად. ასე არაფრად ვარგა, გესმით თუ არა!

- ქალაქში ახალი რა არის, ბენ? - ჰკითხა მეტყევემ, რომელმაც უკან დაიხია, რომ უფრო მეტად დამტკბარიყო ცხენების ცქერით.

- თითქოს ისეთი არაფერი გამიგია, - უპასუხა ბენმა, რომელიც ამასობაში ხელთათმანს იცვამდა, - ჰურის ფასმა ცოტათი მოიმატა. სპიტელფილდსში ჩადენილ რაღაც მკვლელობაზეც ლაპარაკობდნენ, მაგრამ ამის დიდად არ მჯერა.

- არა, მართალია, - კარეტაში მჯდომმა ჯენტლმენმა ფანჯრიდან თავი გაყო,
-
თანაც, შემადრწუნებელი მკვლელობაა.

- რას ამბობთ, სერ! - წამოიძახა საფოსტო კარეტის მცველმა და ხელი
შლაპასთან მიიძო, - ვინ მოკლეს, სერ, კაცი თუ ქალი?

- ქალი, - უპასუხა ჯენტლმენმა, - ეჭვი აქვთ, რომ...

- ეი, ბენ! - მოთმინება დაკარგა მეეტლემ.

- ეშმაკმა წაიღოს ეს ჩანთა! - წამოიყვირა მცველმა, - თქვენ რა, ყველას
დაგეძინათ?

- მოვდივარ! - ფოსტის მმართველმა ჩანთა გამოურბენინა.

- მოვდივარ! - წაიბუზღუნა მცველმა, - ისე მოდის, თითქოს ახალგაზრდა
და

მდიდარი ქალბატონია, რომელმაც უნდა შემიყვაროს, მაგრამ რატომღაც ამას
საშველი არ ადგება. აბა, წავედით!

საყვირმა მხიარულად დაუკრა და კარეტა წავიდა. საიკსი ისევ ქუჩაში იდგა;
თითქოს ახლახან მოსმენილი ამბავი სრულებით არ აღელვებდა; არ
აღელვებდა

არც ერთი ძლიერი გრძნობა, ყოყმანის გარდა - საით წასულიყო? ბოლოს
ისევ

შეტრიალდა და ჰეტფილდიდან სენტ-ელბანსში მიმავალ გზას დაადგა.

ჯიუტად მიიწევდა წინ, მაგრამ ქალაქის უკან მოტოვების შემდეგ ცარიელ,
ბნელ გზაზე გასულმა იგრძნო, როგორ მიეპარა შიში და ძრწოლა, რომელიც
მისი

სულის ყველაზე ბნელ კუნჭულებამდე აღწევდა. ყველაფერი, რაც წინ იყო -
რეალური საგანი თუ ჩრდილი, მოძრავი თუ უძრავი, საზარელ ხილვებად
გარდაიქმნებოდა, მაგრამ ეს შიში ახლოსაც ვერ მივიდოდა იმ აკვიატებულ
გრძნობასთან, რომ თითქოს ფეხდაფეხ მისდევს ამ დილით დანახული
ზმანება.

სიბნელებში მის სილუეტს ხედავდა, შეეძლო ზუსტად აღეწერა მისი ნაკვთები,
დაენახა, როგორ ჯიუტად და მედიდურად მიაბიჯებს. ფოთლებში მისი
სამოსის

შრიალი ესმოდა, ქარის ყოველ მონახერს მისი უკანასკნელი ჩუმი კვნესა
მოჰქონდა. როცა საიკსი ჩერდებოდა, ჩერდებოდა ისიც; თუ გარბოდა, ისიც
უკან

მიჰყვებოდა, მაგრამ კი არ მირბოდა, რაც მკვლელისთვის შვება იყო, არამედ
რადაც მექანიკური ცხოვრების მქონე გვამივით მოძრაობდა; მას მიაქანებდა
სუსტი და მელანქოლიური ქარი, ჩადგომას რომ არ აპირებდა.

ხანდახან უკან შებრუნდებოდა დაუოკებელი სურვილით, მოჩვენება

განედევნა, თუნდაც ეს ერთი მზერა სიცოცხლის ფასად დასჯდომოდა, მაგრამ
თმა ყალყზე უდგებოდა და მარღვებში სისხლი ეყინებოდა, რადგან ის მასთან
ერთად შებრუნდებოდა და ისევ ზურგს უკან რჩებოდა. დილით თუ მის წინ
იყო,

ახლა - უკან, სულ მუდამ უკან. მიწაყრილს მიეყრდნო და გრძნობდა,
როგორ

დაჰყურებდა ზემოდან, ცივი დამეული ცის ფონზე მისი სილუეტი იკვეთებოდა.

ზურგზე გაწვა. მოჩვენება თავზე ედგა, უტყვი, უძრავი - ცოცხალი ძეგლი სისხლით დაწერილი ეპიტაფიით.

მკვლევლებზე, რომლებიც მართლმსაჯულებას დაუსხლტნენ, ნურავინ იტყვის, რომ განგებას, ალბათ, სძინავს. ამგვარი მტანჯველი შიშის დაუსრულებელი ერთი წუთი ათობით სასიკვდილო აგონიის ტოლფასია.

იმ მინდორში, სადაც მიდიოდა, ღამის გასათევად გამოსადეგი ფარდული იყო.

მისი კარის წინ სამი ვერხვი ამოზრდილიყო, რის გამოც ფარდულის შიგნით ძალიან ბნელოდა, ხოლო ქარი სევდიანად კვნესოდა ხეების ფოთლებში.

სიარული გათენებამდე აღარ შეეძლო, ამიტომ ფარდულის კედელთან მიწვა და

ახალი წამებისთვის მოემზადა.

წამებისთვის, რადგან მოჩვენება ისევ წინ დაუდგა, კიდევ უფრო საზარელი, ვიდრე ის, რომლისგანაც თავის დაღწევას ცდილობდა. ფართოდ გახელილი თვალები, ასეთი ჩამქრალი და გაშეშებული, მათი დანახვა უფრო ადვილი იყო,

ვიდრე მათზე ფიქრი, და სიბნელებში სწორედ ეს თვალები გამოჩნდა: მათში სინათლე იდგა, თუმცა, სინათლე არაფერს ანათებდა. ეს ორი თვალი თითქოს

ყველგან იყო. თვალს დახუჭავდა თუ არა, თვალწინ წარმოუდგებოდა ოთახი ყველა ნაცნობი ნივთით - ოთახის გონებაში წარმოდგენა რომ ნდომოდა, რასაკვირველია, ისინი არც კი გაახსენდებოდა, - ყველა ნივთი თავის ჩვეულ ადგილზე იყო. თავის ადგილზე იყო გვამიც და თვალები, რომლითაც ის საიკს

უყურებდა, როდესაც უხმაუროდ დატოვა ოთახი. წამოხტა და მინდორში გაიქცა.

ზმანება ახლა მის ზურგს უკან იყო. ისევ ფარდულში დაბრუნდა, დაეგდო და

მიიკუნტა. თვალები იმაზე ადრე გამოჩნდა, ვიდრე დაწოლას მოასწრებდა.

იქვე დარჩა, ისეთმა შიშმა აიტანა, არავის რომ არ გამოუცდია, მთელი სხეულით ცახცახებდა, ცივმა ოფლმა დაასხა, როდესაც უეცრად შორიდან ყვირილი და შეშინებული, აღელვებული ადამიანების ხმები მოესმა. ამ განმარტოებულ ადგილზე ადამიანის ხმის გაგონებამ, რომელიც თუნდაც უბედურების მაუწყებელი იყო, შვება მოჰგვარა. საშიშროებამ, რომელიც ემუქრებოდა, საიკს ახალი ძალა მიანიცა, ფეხზე წამოხტა და ფარდულიდან გაიქცა.

გეგონებოდათ, თავზემთ გადაჭიმულ ცას ცეცხლი უკიდიაო. ნაპერწკლების ნაკადთან ერთად ერთიმეორის მიყოლებით ზემოთ მიიწევდა ცეცხლის ენები; მრავალი მილის გარშემო გარემო გაეჩირადდნებინათ და კვამლის ღრუბლები იმ

მხარეს მიჰქონდათ, სადაც საიკსი იდგა. ღრიალმა მოიმატა, რადგან ყვირილი ახალმა ხმებმა აიტაცეს, უკვე ესმოდა „ხანძარი!“, რასაც ერწყმოდა განგამის ზარი, რაღაც მძიმის დაცემის გრუხუნი, ცეცხლის ტკაცუნი, როდესაც მისი ენები

მორიგ დაბრკოლებას წაწყდებოდა და ზეცისკენ ისე იწევდა, თითქოს ახალმა საზრდომ გამოკვება. ვიდრე უყურებდა, ხმაური გამლიერდა. იქ ადამიანები იყვნენ - ქალები და მამაკაცები - სინათლე, ალიაქოთი, მისთვის - ახალი

ცხოვრება. წინ გაიჭრა – პირდაპირ, დაუფიქრებლად, მანანის ბუჩქებსა და ღობეებს შეუჩერებლად ახტებოდა, როგორც მისი ძაღლი, რომელიც წინ გარბოდა ხმამაღალი, ყურისწამდები ყეფით.

ხანძრის ადგილამდე მიიღწინა. სანახევროდ ჩაცმული ადამიანები ერთმანეთს აწყდებოდნენ, ერთნი დაშინებული ცხენების თავლებიდან გამოყვანას ცდილობდნენ, სხვები ეზოდან და ბოსლებიდან საქონელს ერეკებოდნენ, აღმოდებული სახლებიდან, წითლად გავარვარებული, აყანყალეული ჭერის ძელებისა და ნაპერწკლების წვიმიდან ბარგს ეზიდებოდნენ. იქიდან, სადაც სულ რაღაც ერთი საათის წინ კარი და ფანჯრები იყო, ახლა აზვირთებული ცეცხლის ზღვა მოჩანდა; კედლები ირყეოდა და მერე მხურვალე ჭაში ცვიოდა; მიწაზე სიმხურვალისგან გათეთრებული სპილენძისა და რკინის დამდნარი ნაკადები მოედინებოდა. ქალები და ბავშვები წიოდნენ და კიოდნენ, მამაკაცები ერთმანეთს ყვირილით ამხნევებდნენ. სახანძრო ტუმბოების ჭრიალი, აღმოდებულ ხეზე წყლის ნაკადის სტვენა და შიშინი საერთო გუგუნს უერთდებოდა. თავადაც ხმის ჩახლეჩამდე ღრიალებდა, საკუთარ თავსა და მოგონებებს გაურბოდა, ბრბოს შუაგულში შევარდა. იმ დამეს აქეთ–იქით დაქროდა, ხან სახანძრო ტუმბოებთან საქმიანობდა, ხან კვამლსა და ალში მიიკვლევდა გზას და იქ აღმოჩნდებოდა, სადაც ყველაზე მეტი ხმაური და ხალხი იყო. იმ დამეს ყველგან იყო – გასაშლელ მისადგმელ კიბეებზე, ზემოთ და ქვემოთ, შენობების სახურავებზე, მისი სიმძიმის ქვეშ მოჭრიალე და მოზანზარე ძელებზე, ზვავივით წამოსული აგურებისა და ქვების გროვის ქვეშ – ყველგან, სადაც ცეცხლი მძვინვარებდა ისიც იყო, მაგრამ თითქოს მოჯადოებულიაო – არც ერთი ნაკაწრი, არც ერთი დამწვრობა, არც დაღლილობა უგრძნია, არაფერზე უფიქრია იქამდე, ვიდრე ისევ არ გათენდა და მხოლოდ კვამლი და ჩაშვებული ნანგრევები დარჩა.

ამ გიჟური აგზნებულობის ჩავლის შემდეგ ათმაგად დაუბრუნდა ჩადენილი დანაშაულის სისასტიკის შეგნება. დაეჭვებულმა მიმოიხედა: ადამიანები აქა–იქ შეჯგუფებულიყვნენ და შიშობდა, თავად ხომ არ იყო მათი საუბრის საგანი. ძაღლი პატრონის მრავლისმეტყველ ჟესტს დაემორჩილა და ორივე ნახანძრალიდან გაიძურწა. სახანძროს ტუმბოს ჩაუარა, სადაც რამდენიმე კაცი იჯდა, მათ დაუძახეს და წახემსება შესთავაზეს. პური და ხორცი შეყამა, როდესაც ლუდს დაეწაფა, გაიგონა, ლონდონიდან ჩამოსული მეხანძრეები მკვლელობაზე როგორ საუბრობდნენ.

– ვიღაც ამბობდა, მკვლელი ბირმინგემში წავიდაო, – თქვა ერთმა, – მაგრამ დაიჭერენ, იმიტომ, რომ მამებრები ფეხზე დგანან და ხვალ სადამოს ამის შესახებ მთელ ქვეყანას ეცოდინება.

სწრაფად მოსცილდა იქაურობას და იქამდე იარა, ვიდრე ფეხები არ მოეკვეთა, მხოლოდ ამის შემდეგ დაწვა ბილიკზე და დიდხანს ეძინა, მაგრამ

შფოთიანად. მერე ისევ წავიდა, ყოყმანობდა და ვერაფერი გადაეწყვიტა, მაგრამ კიდევ ერთი ღამის მარტოობაში გათევა თავზარს სცემდა. უეცრად სრულიად სასოწარკვეთილი გადაწყვეტილება მიიღო ლონდონში დაბრუნების თაობაზე.

„იქ ვინმეს მაინც დაველაპარაკები, - გაიფიქრა, - და საიმედოდ დასამალად ადგილიც არის. რაკი ხმა გავრცელდა, რომ ამ მიდამოებში ვარ, თავში არავის მოუვა აზრად, ქალაქში მეძებოს. რა მოხდება, ერთი კვირით მივიმალო, მერე ფეიჯინს ფული გამოვტყუო და საფრანგეთში გადავიდე? ეშმაკმა დალახვროს, ვცდი!“

ამ უეცარ მისწრაფებას მაშინვე დაემორჩილა. მიყრუებული გზებით უკან დაბრუნდა. დედაქალაქის სიახლოვეს დამალვა და დაბინდებულზე ლონდონში შესვლა ჰქონდა გადაწყვეტილი, ხოლო მიხვეულ-მოხვეული გზებით შერჩეულ უბნამდე მივიდოდა.

მაგრამ ძალღი. მისი ამოსაცნობი ნიშნები თუ გადასცეს, არ დაავიწყდებოდათ იმის მითითებაც, რომ ძალღიც გაქრა და, ალბათ, მასთან ერთად წავიდა. ამის

გამო, თუ ქუჩებში ძალღთან ერთად გამოჩნდა, შეიძლება დააპატიმრონ. ცხოველის დახრჩობა გადაწყვიტა და გზა განაგრძო, რომ შორიახლოს რაიმე ტბორი ეპოვა. გზად მოზრდილი ქვა აიღო და ცხვირსახოცში გაახვია.

ვიდრე ასე ემზადებოდა, ძალღი პატრონს თვალს არ აცილებდა; ინსტინქტმა უკარნახა ცხოველს მისი მიზანი ან იმ ირიბმა მზერამ, რომლითაც მმარცველმა

ცხოველს შეხედა - ის ჩვეულებრივზე პირქუში იყო. ძალღი ბევრად ჩამორჩებოდა, იმაზე ბევრად უკან იყო, ვიდრე სხვა დროს სჩვეოდა. როდესაც

პატრონმა ნაბიჯი შეანელა, კუდი ამოიძუა. მმარცველი პატარა ტბორთან შეჩერდა და მიიხედა ცხოველისთვის დასაძახებლად, მაგრამ ძალღი არ იძვროდა.

- არ გესმის? აქ მოდი! - დაუყვირა საიკსმა.

ძალღი უფრო ჩვევის გამო მიუახლოვდა, მაგრამ როგორც კი საიკსი დაიხარა მისთვის ყელზე ცხვირსახოცის შემოსახვევად, დაუღრინა და უკან გახტა.

- დაბრუნდი! - დაუყვირა მმარცველმა.

ძალღმა კუდი ააქიცინა, მაგრამ არ შერხეულა. საიკსმა ყულფი შეკრა და ისევ დაუძახა. ძალღი მიუახლოვდა, ერთ წამს იდგა, მერე შებრუნდა და თვალის დახამხამებაში მოკურცხლა.

საიკსმა დაუსტვინა, მერე ისევ და ისევ. ჩამოჯდა და დაელოდა, იმედი ჰქონდა, დაბრუნდებოდა, მაგრამ ძალღი აღარ დაბრუნებულა. ბოლოს წამოდგა

და გზა განაგრძო.

თავი 49 მონჰსი და მისტერ ბრაუნლოუ, როგორც იქნა, ერთმანეთს შეხვდნენ; ი; ახალი ამბავი, რომელმაც მათ საუბარი შეაწყვეტინა

უკვე ბინდებოდა, როცა მისტერ ბრაუნლოუ კარეტიდან ჩამოხტა თავისი სახლის წინ და კარზე წყნარად დააკაკუნა. კარი გაიღო, ჩასკვნილი კაცი საფეხურთან ახლოს გაჩერდა; კოფოზე მჯდარიც ჩამოვიდა და კარეტის მეორე მხარეს დადგა. ბრაუნლოუს ნიშანზე მესამე კაცს ხელი სტაცეს, აქეთ-იქიდან ამოუდგნენ და სახლისკენ გააქანეს. ამ კაცს მონკსი ერქვა.

ყველანი უხმოდ ავიდნენ კიბეზე, ბრაუნლოუ უკანა ოთახში შეუძღვათ. მონკსი, რომელიც აშკარად უხალისოდ მიჰყვებოდათ, გაჩერდა. ორმა მხლებელმა მოხუც ჯენტლმენს შეხედა.

- აირჩიოს, სხვა ხერხიც არის, - თქვა ბრაუნლოუმ, - თუ ყოყმანს დაიწყებს ან

თითს გაანძრევს, ქუჩაში გაათრიეთ, პოლიციას დაუმახეთ და ჩემი სახელით არამზადად გამოაცხადეთ.

- როგორ ბედავთ ეგ სახელი მიწოდოთ?

- თქვენ კი, ყმაწვილო, როგორ ბედავთ, ასე მოქცევას რომ მაიძულებთ? - ბრაუნლოუმ თვალი თვალში გაუყარა მონკსს, - იქნებ იმდენად დაუფიქრებელი

ხართ, რომ სახლიდან გაქცევას შეეცდებით? აჰა, ბატონო, თავისუფალი ბრძანდებით, შეგიძლიათ წახვიდეთ, ჩვენ უკან გამოგყვებით. ოღონდ იცოდეთ,

რაც კი წმინდაა, ყველაფერს ვფიცავ, იმწამსვე თაღლითად და ქურდად გამოცხადდებით, მაშინ კი თქვენი სისხლი თქვენივე თავზე იყოს!

- რა უფლებით ან რომელი კანონის საფუძველზე დამავლო ხელი ამ ორმა ქოფაკმა? - იკითხა მონკსმა და გვერდით მდგომით გადახედა.

- ჩემი უფლებით. ესენი მე გავათავისუფლე სასჯელისგან. თუ ფიქრობთ, რომ

თქვენი თავისუფლება იზღუდება - შეგეძლოთ, თავი დაგედწიათ, მაგრამ წყნარად ყოფნა არჩიეთ - ვიმეორებ, ისევ კანონის მფარველობას მიმართეთ. თუ

გაჯიუტდებით, მეც კანონს მივმართავ. იქ ვედარავინ გიშველით, ნურც მე დამაბრალებთ რამეს.

მონკსი შეყოყმანდა, სახეზე შიში დაეტყო.

-- სწრაფად გადაწყვიტეთ, - მტკიცედ უთხრა ბრაუნლოუმ, - თუ გირჩევენიათ,

საჯაროდ ვთქვა ყველაფერი, ისეთ გარდაუვალ სასჯელს დაიტეხთ თავზე, რომლის გაფიქრებაც კი მაძრწუნებს. თუ არა, ისარგებლეთ ჩემი გულმონწყალებითა და იმათი წყალობით, ვისაც ამდენი ტანჯვა-წამება მიაყენეთ,

ჩაჯექით ამ სავარძელში, ორი დღეა გელოდებათ.

მონკსმა გაუგებრად წაიბურტყუნა რადაც.

- ჩქარა, ერთი სიტყვაც და, გვიან იქნება.

მონკსი კვლავ ყოყმანობდა.

- დიდხანს ლაპარაკს აღარ ვაპირებ; როგორც სხვათა წმინდა ინტერესების

დამცველს, უფლება არა მაქვს.

- ნუთუ სხვა... სხვა გზა არაა? - ენის ბორძიკით ჰკითხა მონკსმა.

- არავითარი.

მონკსმა მოხუცის მკაცრ და შეუვალ სახეს შეავლო თვალი, მხრები აიჩეჩა და დაჯდა.

- კარი გარედან ჩაკეტეთ, - მიმართა ბრაუნლოუმ მხლებლებს - როცა დავრეკავ, მოდით.

ორივე დამორჩილდა.

- არაჩვეულებრივი მოპყრობაა მამაჩემის მეგობრისგან, სერ, - თქვა მონკსმა და ქული და მოსასხამი მოიხსნა.

- დიახაც, მამათქვენის მეგობარი ვიყავი, ყმაწვილო. ჩემი ახალგაზრდობის ყველა იმედი და სიკეთე მას უკავშირდება, მას და მის დას. ეს მშვენიერი არსება

ღმერთმა მიიხმო თავისთან, მე კი მარტო დამტოვა. მამათქვენი ჩემთან ერთად

დის სასიკვდილო სარეცელთან მუხლმოდრეკილი იდგა, ზუსტად იმ დილით, როცა - ზეცამ სხვაგვარად ინება - ჩემი მეუღლე უნდა გამხდარიყო. იმ დროიდან,

შეცდომებისა და ფათერაკების მიუხედავად, განუყრელი მეგობრები გავხდით.

მოგონებები დღესაც ცოცხლობს, თქვენი ერთი დანახვაც კი ეღვარდს ლიფორდს

მახსენებს, ეს მაიმულებს გულკეთილად მოგეპყროთ; თქვენ მაგივრად მრცხვენია, როგორ ლაფში სვრით მის სახელს.

- რა შუაშია სახელი? - იკითხა ბრაუნლოუს თანამოსაუბრემ, რომელიც ჩუმად,

გაკვირვებული შესცქეროდა მოხუცი ჯენტლმენის მღელვარებას, - ჩემთან რა კავშირი აქვს?

- არც არავითარი, ყოველ შემთხვევაში, თქვენთვის. თუმცა, მისი გვარიც ხომ

იყო; ამდენი წლის შემდეგაც მახსოვს განცდილი გრძნობის სიძლიერე. მოხარული ვარ, რომ სხვა სახელი დაირქვით.

- ეს ყველაფერი კარგი, - თქვა მონკსმა (ასე დავუმახოთ) დიდი ხნის სიჩუმის

შემდეგ. მას მოუთმენლობა ეტყობოდა, მისტერ ბრაუნლოუს კი სახეზე ხელები

აეფარებინა, - მაგრამ ჩემგან რას მოითხოვთ?

- ძმა გყავთ, - უპასუხა ბრაუნლოუმ და წამოიწია, - მისი სახელი რომ ჩაგჩურჩულეთ ქუჩაში შეხვედრისას, იმწამსვე შეშფოთდით და უკან გამომყევით.

- არავითარი ძმა არა მყავს. ხომ იცით, ერთადერთი ვაჟიშვილი ვარ. რატომ მელაპარაკებით ვიღაც ძმებზე? თქვენც ხომ მშვენივრად მოგეხსენებათ.

- ჯერ მომისმინეთ და მერე გამოიტანეთ დასკვნა, რა ვიცი ან თავად რა არ იცით. ნელ-ნელა დაგაინტერესებთ. მაგალითად, ვიცი, რომ ერთი ოჯახის ყველაზე ბინძური, შუბლვიწრო, ამპარტავნული ამბიციის წყალობით, მამათქვენი

უსიყვარულო ქორწინებით ხელფეხშეკრული აღმოჩნდა, თქვენ კი ამ ქორწინების პირდაპირი შედეგი ხართ.

- რა საჭიროა ასეთი მაღალფარდოვნება, - გაიცინა მონკსმა, - ფაქტი ხომ გაქვთ, ჰოდა, საკმარისია.

- ისიც კარგად ვიცი, - განაგრძო მოხუცმა ჯენტლმენმა, - რა უბედურება, ნელი

წამება და ტანჯვა დაატყდა წყვილს თავს. მძიმე ჯაჭვს ორივე დაათრევდა, სულელურმა ქორწინებამ სამუდამოდ მოუწამლა ორივეს სიცოცხლე. ცივი თავაზიანობა კამათით შეიცვალა, გულგრილობა - ათვალწუნებით, შემდეგ - ზიზღით, მერე კი სიძულვილში გადაიზარდა. ბოლოს ჯაჭვისგან თავის დასაღწევად ცალ-ცალკე დაიწყეს ცხოვრება; რაკი ერთხელ მიცემულ ფიცს მხოლოდ სიკვდილი დაარღვევდა, სცადეს თავიანთი კავშირის საზოგადოებისთვის დამალვა. დედათქვენმა ეს მოახერხა, მამის გულს კი შერჩა.

- ჰო, გაიყარნენ. მერედა რა?

- ის, რომ დედათქვენი კონტინენტზე ფუქსავატ ცხოვრებას ეწეოდა, ათი წლით უმცროსი ქმარი სრულებით დაივიწყა, მაშინ როცა, ეს უკანასკნელი ახალ

მეგობრებში ატარებდა დროს. მგონი, ეს ამბავი უნდა გცოდნოდათ.

- არ ვიცოდი, - მონკსმა თვალეხი დახარა, იატაკზე ფეხი დააბაკუნა იმ კაცის

იერით, რომელსაც არ სურს აღიარება.

-- ლაპარაკის მანერა მარწმუნებს, რომ ძალიანაც კარგად იცოდით, გაბოროტებული ამაზე ფიქრობდით და ვერასდროს დაივიწყეთ. მხედველობაში მაქვს თხუთმეტი წლის წინანდელი ამბები, მაშინ თერთმეტი წლის თუ იქნებოდით, მამათქვენი კი ოცდათერთმეტისა - ამიტომ ვამბობ, სულ მთლად

ყმაწვილი იყო-მეთქი; მამამ ცოლის შერთვა უბრძანა. თანდათანობით მოვყვე ყველაფერს, თუ სიმართლეს აღიარებთ?

- არაფერი მაქვს სათქმელი. თუ ასე ძალიან გინდათ, განაგრძეთ.

- ახალ მეგობართაგან ერთ-ერთი საზღვაო ოფიცერი იყო, ნახევარი წლის წინ დაქვრივებულს ორი ქალიშვილი დარჩენოდა; ერთი ცხრამეტი წლის მშვენიერი

გოგონა, მეორე - სამი-ოთხიოდე წლისა.

- კი მაგრამ, მე რა შუაში ვარ?

- იმ სოფლის მახლობლად ცხოვრობდნენ, - განაგრძო ბრაუნლოუმ, ვითომ ვერ გაიგო ნათქვამი, - სადაც მამათქვენი დასახლდა. სწრაფად დამეგობრდნენ.

ედვარდს იშვიათი ნიჭი ჰქონდა, ხასიათით დას ჰგავდა. ოფიცერს სულ უფრო მოსწონდა იგი. სასურველია, ამით დამთავრებულიყო ყველაფერი, მაგრამ მის ქალიშვილსაც იგივე გრძნობა გაუჩნდა.

მოხუცი ჯენტლმენი გაჩერდა; მონკსი იატაკს ჩასჩერებოდა და ტუჩებს იკვნეტდა. ბრაუნლოუმ მაშინვე განაგრძო:
– წლის ბოლოს საზეიმო ფიცი მისცა ამ გულუბრყვილო, უმანკო ქალიშვილს; ეს იყო ნამდვილი, მგზნებარე სიყვარული.

– ძალიან გრძელი ამბავი გამოგივიდათ, – შენიშნა მონკსმა და მოუსვენრად აწრიალდა.

– სევდიანი, მწუხარე ამბები, როგორც წესი, გრძელია ხოლმე, ყმაწვილო. ბედნიერი და სასიხარულო რომ ყოფილიყო, მაშინ მოკლე იქნებოდა. ამ მდიდარ

მშობელთაგან ერთ-ერთი, საკუთარ კეთილდღეობას ედვარდი რომ შესწირეს (ასეთი რამ ხშირად ხდება), გარდაიცვალა და უნებლიეთ გამოწვეული უბედურების გამოსასწორებლად ყველა დარდის წამალი – ფული დაუტოვა. რომში ჩასვლა იყო საჭირო, სადაც ეს პიროვნება ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად იმყოფებოდა და სიკვდილმაც მოუსწრო, საქმეები კი არეულ-დარეული დარჩა. მამათქვენი წავიდა, მასაც სასიკვდილო ავადმყოფობა

აეკიდა; დედათქვენმა ეს ამბავი რომ გაიგო, მაშინვე უკან გაჰყვა, თქვენც თან

წაგიყვანათ. მეორე დილით ედვარდი გარდაიცვალა, ანდერძი კი არ დაუტოვებია. არავითარი ანდერძი, მიაქციეთ ყურადღება. მთელი ქონება თქვენ ორის ხელში გადმოვიდა.

მონკსს სუნთქვა შეეკრა და თუმცა, თანამოსაუბრეს თვალებში არ უყურებდა, გამალებით უსმენდა. მისტერ ბრაუნლოუმ კვლავ შეისვენა, თითქოს უეცრად შვება იგრძნო, გახურებული სახე და ხელები შეიმშრალა.

– უცხოეთში გამგზავრებამდე, ლონდონს გამოიარა, – ნელა თქვა ბრაუნლოუმ და მონკსის სახეს დააკვირდა, – ჩემთან მოვიდა.

– არასდროს გამიგია ეგეთი რამ, – შეაწყვეტინა მონკსმა მოჩვენებითი უნდობლობით, სინამდვილეში კი უსიამოვნო მოულოდნელობისგან შეკრთა.

– სხვა რამეებთან ერთად საბრალო ქალიშვილის სურათი დამიტოვა – თავისი ხელით დახატული. წადებას ვერ ახერხებდა, მასთან განშორება კი უმძიმდა. მთელი არსებით განიცდიდა სინანულს; ბუნდოვნად ლაპარაკობდა, საკუთარი თავი შევარცხვინეო; გამანდო, რომ ქონების ფულზე გადაცვლას, ცოლისთვის და

თქვენთვის გადაცემასა და ინგლისიდან სამუდამოდ გაქრობას აპირებდა.

მივხვდი, მარტო წასვლა არ უნდოდა. მაგრამ თვით მე, ბავშვობის უძვირფასეს

მეგობარსაც კი დამიმალა, რა ჰქონდა განზრახული. დამპირდა, ყველაფერს მოგწერ, მერე კი ისევ გნახავო. ვაი, რომ ჩვენი შეხვედრა უკანასკნელი აღმოჩნდა! რასაკვირველია, არც წერილი მიმიღია, აღარც იგი მინახავს.

– სამაგიეროდ, – ხანმოკლე პაუზის მერე ხელახლა წამოიწყო ბრაუნლოუმ, –

ვიხმარ იმ სიტყვას, რომელსაც ჩვეულებრივ ამბობენ, რადგან ამქვეყნიურმა მსჯავრმა თუ მფარველობამ ყოველგვარი აზრი დაკარგა - ცოდვილი სიყვარულის

საგანს, საწყალ, მარტო დარჩენილ ქალიშვილს შევხვდი; უკვე გადაწყვეტილი მქონდა, მისი და მომავალი ბავშვისთვის თავშესაფარი მეპოვა. ვალებში ჩავარდნილი ოჯახი ერთი კვირის წინ ღამით გამგზავრებულიყო, სად ან რატომ, დანამდვილებით ვერაფერი შევიტყვე.

მონკსმა შვებით ამოისუნთქა და გამარჯვებული ღიმილით მიმოიხედა ოთახში.

- როცა თქვენი ძმა, - ბრაუნლოუმ სკამი უფრო ახლოს მისწია, - სუსტი, დაძონძილი, მიუსაფარი ბავშვი შემთხვევითობამ კი არა, მე ვიტყოდი, ღვთის განგებამ, ჩემს გზაზე მოიყვანა, მანკიერებისა და სამარცხვინო ცხოვრებისგან გადავარჩინე.

- რაო? - შეჰყვირა მონკსმა.

- აი, ხომ ვთქვი, ნელ-ნელა დაინტერესდებით ამ ამბით-მეთქი. ვხედავ, თქვენმა ცბიერმა თანამზრახველმა არ გითხრათ ჩემი სახელი, ჩათვალა, რომ საერთოდ არ მიცნობდით. იმას ვამბობდი, რომ ეს ბავშვი ვიხსენი. როცა ავადმყოფი ჩემს სახლში იწვა, გარეგნულმა მსგავსებამ ზემოთ ხსენებულ სურათთან გამაოცა. მიუხედავად იმისა, რომ სიბინძურისა და სიღატაკის ნიშნები

აჩნდა, დაღლილ-დაქანცული სახის ნაკვეთებმა ჩემი მეგობარი გამახსენა, თითქოს უეცარ ხილვაში გამომეცხადაო. ვფიქრობ, არ გჭირდებათ იმის შეხსენება, რომ ბიჭს მანამდე სტაცეს ხელი, სანამ მის ამბავს გავიგებდი.

- რატომ? - ფიცხლად იკითხა მონკსმა.

- იმიტომ, რომ ყველაფერი უჩემოდაც მშვენივრად იცით.

- მე?

- დამალვას აზრი აღარ აქვს. დაგიმტკიცებთ, ამაზე ბევრი რამ ვიცი.

- ჩემს... ჩემს წინააღმდეგ ვერაფერს დაამტკიცებთ. აბა, მიდით, სცადეთ!

- წაიბურტყუნა მონკსმა.

- მაგასაც ვნახავთ, - ბრაუნლოუმ მონკსს მზერა ესროლა, - ბიჭის კვალი დავკარგე, მეზნამ ტყუილუბრალოდ ჩამიარა. დედათქვენი უკვე გარდაცვლილიყო, ამიტომ საიდუმლოს ამოხსნა მხოლოდ თქვენ თუ შეგეძლოთ.

გავიგე, ვესტ-ინდოეთში დედის სიკვდილის შემდეგ - ესეც მე უნდა გითხრათ? -

თქვენს მამულში დაბრუნებულხართ, რომ დანაშაულებისთვის დევნას გაჰქცეოდით. იქ მითხრეს, რომ თვეების წინ ლონდონში წამოსულხართ, ოღონდ

სად, არავინ იცოდა. ინგლისში დავბრუნდი. თქვენი აგენტებიც ვერაფრით დამეხმარნენ. მათი თქმით, უცნაური მოგზაურობა დაგჩემდათ, ხან დღეებს ატარებდით აქ, ხან კი თვეობით გაქრებოდით ხოლმე. იმავე სახელგატეხილ

ადგილებს სტუმრობდით და იმავე უღირს თანამოაზრეებთან ატარებდით დროს,
ჯერ კიდევ სიყმაწვილეში რომ დაუახლოვდით. თქვენს აგენტებს კითხვებით თავი მოვაბეზრე, ქუჩებში დღისით თუ ღამით დავხეტიალეზი და მხოლოდ ორი საათის წინ, როგორც იქნა, მოგიხელთეთ.

- ახლა კი ცხვირწინ გყავართ, - მონკსი წამოდგა, - მერე რა? თაღლითობა და

მარცვა - ხმამაღალი სიტყვებია, თქვენი აზრით, გამართლებული მოჩვენებითი

მსგავსებით მომაკვდავის უხეირო ნაჯღაბნთან ერთი პატარა ჭინკას მსგავსებით.

ძმა!.. თქვენ არც კი იცით, მართლაც ჰყავდა თუ არა მაგ სენტიმენტალურ წყვილს

შვილი. ესეც კი არ იცით!

-- უფრო სწორად, არ ვიცოდი, - წამოდგა მისტერ ბრაუნლოუ, - მაგრამ ორ

კვირაში ყველაფერი შევიტყვე. ძმა გყავთ, მეტიც, პირადად იცნობთ. კიდევ სხვა

ანდერძიც იყო, რომელიც დედათქვენმა დაწვა. იქ ლაპარაკი იყო ერთ ბავშვზე,

სავარაუდოდ, უბედური კავშირის შედეგად დაბადებულზე. სრულიად შემთხვევით გადააწყდით და მამათქვენთან მისმა მსგავსებამ ეჭვები გაგიძლიერათ. წახვედით ბიჭის დაბადების ადგილას. არსებობდა ორი საბუთი -

დიდხანს დავიწყებული, რომელიც ნათესაობას ადასტურებდა. ორივე გაანადგურეთ, ებრაელ თანამზრახველს კი სიტყვასიტყვით ჩაუკაკლეთ: „ბავშვის

პიროვნების დამადასტურებელი ერთადერთი საბუთი მდინარის ფსკერზეა, ბებრუხანა, რომელმაც ეს ნივთები დედამისისგან მიიღო, საფლავეში გდია“. თქვენ უღირსი შვილი, ლაჩარი, მატყუარა ხართ, ქურდებსა და მკვლელებს ღამდამობით რომ ეთათბირებით, თქვენმა ხრიკებმა მილიონჯერ უკეთესი ადამიანი იმსხვერპლა, აკვნიდანვე მამის მწუხარების მიზეზი იყავით, გარყვნილებამ კი საზიზღარი ავადმყოფობით დაგატყოთ თავისი ნიშანი. ახლაც

ბედავთ, ედვინ ლიფორდ, ჩემ წინაშე თვალთმაქცობას?

- არა, არა, არა! - თქვა ამდენი ბრალდებით დაზაფრულმა მონკსმა.

-- თითოეული სიტყვა! - წამოიძახა მოხუცმა ჯენტლმენმა, - თქვენსა და ამ საძაგელ ბოროტმოქმედს შორის ნათქვამი თითოეული სიტყვა ვიცი. კედელზე ჩრდილებიც კი ყურს უგდებდნენ თქვენს საუბარს და ჩემთან მოჰქონდათ; დევნილი ბავშვის დანახვამ თვით მანკიერებას აღუძრა სიბრალოლი და ღირსებას რომ არ ჩამოუვარდებოდა, ისეთი სიმამაცე შთაბერა. შედეგად, მკვლელობა მოხდა, რომლის უშუალო თუ არა, ირიბი მონაწილე გამოდიხართ.

- არა, არა, - გააწყვეტინა მონკსმა, - მაგაზე არაფერი ვიცოდი. სიმართლის გაგებას ვაპირებდი, თქვენ რომ არ დამსხმოდით თავს. მეგონა, უბრალო ჩხუბი იყო.

- მიზეზი თქვენი საიდუმლოებების ნაწილობრივ გამჟღავნება იყო. ახლა ბოლომდე ახდით ფარდას?

- დიახ.

- სიმართლეს იტყვით, ფაქტებს დაიმოწმებთ და მოწმეების წინაშეც გაიმეორებთ?

- მაგასაც ვიზამ.

- აქ დარჩებით, სანამ დოკუმენტს არ შეადგენენ და მის დასამტკიცებლად გამომყვებით ისეთ ადგილას, რომელსაც საჭიროდ ჩავთვლი?

- თუ თვლით, რომ ასეა აუცილებელი, დიახ.

- კიდევ უფრო მეტს გთხოვთ. ბავშვს ანდერძით გათვალისწინებული პირობები უნდა მისცეთ, იმედია, არ დაგვიწყობიათ. ბიჭი ხომ ცოდვილი სიყვარულისგან იშვა, თავად კი უდანაშაულოა. მერე სადაც გნებავთ, იქ წაბრძანდით. საჭირო აღარაფერია.

მონკსი მოღუშული, სიძულვილითა და შიშით აღვსილი ფიქრობდა, დათანხმებულიყო თუ არა, როცა კარი გაიღო და აფორიაქებული მისტერ ლოსბერნი შემოვარდა.

- იმ კაცს დაიჭერენ, - შესძახა მან, - ამაღამ დაიჭერენ!

- მკვლელს? - ჰკითხა ბრაუნლოუმ.

- დიახ, დიახ. მისი ძალი ერთ ძველ სახლს უტრიალებდა, უეჭველია, ღამით

მისი პატრონი იქ დაიძალა. ყველა კუთხეში ჯაშუშები დგანან. რამდენიმეს ველაპარაკე, მითხრეს, ვერ გაიქცევაო. მთავრობა ას გირვანქას ჰპირდება მის დამყერს.

- კიდევ ორმოცდაათსაც დავუმატებ და თავად გამოვაცხადებ ამას, თუ იქამდე მიღწევა მოვახერხე. მისტერ მეილი სადღაა?

- ჰარი? როგორც კი თვალი მოჰკრა, რომ ეს თქვენი ნაცნობი კარეტაში თქვენთან ერთად ჩაჯდა, მაშინვე ცხენს მოახტა და მკვლელის დასაჭერ ადგილას გაქუსლა.

- და ფეიჯინი? მას რა მოუვიდა?

- როგორც ვიცი, ჯერ არ დაუკავებიათ, თუმცა, მალე ციხეში იქნება, დარწმუნებული ვარ.

- გადაწყვიტეთ? - ხმადაბლა ჰკითხა ბრაუნლოუმ მონკსს.

- დიახ, - მიუგო მონკსმა, - თქვენ... საიდუმლოს ხომ შემინახავთ?

- რა თქმა უნდა. ჩემს დაბრუნებამდე აქ იყავით. ეს ერთადერთი გზაა თქვენი უსაფრთხოების დასაცავად.

ბრაუნლოუ და ლოსბერნი ოთახიდან გავიდნენ, კარი ისევ დაიკეტა.

- რა ქენით? მოახერხეთ რამე? - ჩურჩულით ჰკითხა ექიმმა.

- დიახ, იმაზე მეტი, ვიდრე ვიმედოვნებდი. ბეჩავი გოგონასა და ჩემი უწინდელი ცნობების, ჩვენი კეთილი მეგობრის ზედამხედველობის წყალობით,

მკვლელს გასაქცევი აღარსად აქვს. ბოროტმოქმედება უკვე გასაჯაროვდა. გთხოვთ, ზეგ, შვიდი საათისთვის დანიშნოთ შეხვედრა. ჩვენ რამდენიმე საათით

ადრე მოვალთ, ყველას დასვენება დასჭირდება, განსაკუთრებით ახალგაზრდა ლედის, ალბათ, მეტი სიმტკიცის მოხმობა მოუწევს, რადგან ვშიშობ, წინასწარ

ვერ განვჭკვრეტთ, შედეგი რა იქნება. მე კი საცოდავი მოკლულისთვის შურისძიებაზე სისხლი მიდუნდს. რა გზით წავიდნენ?

- პირდაპირ პოლიციის განყოფილებაში მიდით, სწორედ დროზე მიასწრებთ. მე აქ დავრჩები, - უთხრა ლოსბერნმა.

ორი ჯენტლმენი ერთმანეთს დასცილდა, ორივე დაუოკებელ ციებ-ცხელებას შეეპყრო.

თავი 50 დევნა და რბოლა

ტემზის ნაპირას, როთერჰიტის ეკლესიის მახლობლად, იმ ადგილას, სადაც უშნო შენობები ჩამწკრივებულა, სადაც მდინარე ყველაზე მეტადაა დაბინძურებული ქვანახშირის მტვრითა და ერთმანეთთან ახლოს მიჯრილი სახლების დამრეცი სახურავებიდან აღენილი კვამლით, არის ლონდონის რაიონებს შორის უუცნაურესი, ყველაზე ბინძური და მყრალი დასახლება, რომელსაც სახელითაც კი არ იცნობს ლონდონელთა დიდი ნაწილი.

იქამდე მისაღწევად მგზავრმა უნდა გაიაროს ვიწრო, ტალახიანი ქუჩები, სადაც მდინარისპირა მცხოვრებთაგან ყველაზე გაუთლელი და ხეპრე ხალხი სახლობს და მხოლოდ მისთვის საჭირო ნივთებით ვაჭრობს.

მაღაზიებში იაფი და ტლანქი საქონელია, უხეში და უბრალო ტანსაცმელი მემველმანის კართან ან ფანჯრებთანაა გამოკიდებული. უმუშევარი მუშები, ბალასტის დამტარებლები, მენახშირეები, უტიფარი ქალები, ჩამომოძილი ბავშვები და გადაყრილი ნაგავი ერთმანეთში ირევა; მგზავრი კი გაჭირვებით მიიწევს წინ, თვალწინ გადაშლილი საშინელი ხედით, მთავარი ქუჩის მარჯვენა

თუ მარცხენა ვიწრო მოსახვევებიდან მოდენილი სიმყრალითა და დატვირთული

საზიდრების ჭრიალით შეწუხებული. ყველაზე მიყრუებულ ქუჩებს რომ მიაღწევს,

დაინახავს მორყეულფასადებიან, თითქმის ტროტუარზე გადმოწოლილ სახლებს;

დასანგრევად გამზადებულ, ჩამოშლილ კედლებს; საკვამურებს, რომლებიც სადაცაა ჩამოცვივდება; ძველი, ჟანგიანი გისოსებით დაფარულ ფანჯრებს, გადაგვარებისა და მოსაწყენი ყოფის ყველა ნიშნით.

სწორედ ამ ამაზრზენ უბანში, დოკჰედის იქით, საუთუორკის პატარა ქალაქში,

მდებარეობს ტალახიანი თხრილით გარშემორტყმული, ექვსი-შვიდი ფუტი, ან თუ

მოქცევაა, თხუთმეტი-ოცი ფუტი სიღრმის ჯეიკობის კუნძული. ადრე მილ-პონდი

ერქვა, დღეს კი ფოლი-დიჩის სახელითაა ცნობილი. ეს თხრილი ტემზის პატარა

უბეა, ლიდ-მილსის შესართავთან წყლით რომ მუდმივად ივსება, აქედან მოდის

მისი ძველი სახელწოდება. მილ-ლეინის ერთ-ერთ ხის ხიდზე მდგარი მოგზაური

დაინახავს ორივე მხარეს ჩალაგებულ სახლებსა და მათ მოზინადრეებს, კარ-ფანჯრებიდან სათლებს, მომცრო კასრებს ან ათასგვარ ყძურჭელს რომ უშვებენ წყლით ასავსებად; და თუ სახლებს კარგად დააკვირდება, გამოგნებელი სურათი გადაეშლება თვალწინ - დაინახავს ექვსიოდე სახლის უკანა კედლებზე გაყოლებულ მოყანყალებულ ხის აივნებს დამპალი იატაკით, რომლის ნახვრეტებიდან შლამი მოჩანს; დამსხვრეულ ფანჯრებს, საიდანაც სარეცხის გასაფენი თოკები გადმოუკიდიათ; ვიწრო და იმისთანა ბინძურ ოთახებს, რომ იქ თვით ჰაერიც კი მოწამლულია; ხით ნაგები გადმოზნექილი ხუხულები ლამის ზედ ტალახზე ჩამოზვავდნენ და უკვე დაფეხვილ წინამორბედებს შეუერთდნენ; ჩამავებული კედლები, ძირმორყეული საძირკველი, სიღარიბის, ჭუჭყის, ლპობისა და ნაყარნუყარის ყველაზე საძაგელი

გამოვლინებანი ფოლი-დიჩის ნაპირების ერთადერთი მორთულობაა.

ჯეიკობის კუნძულზე მაღაზიებს სახურავი აღარ აქვთ, კედლები ყველა მხრიდან ცვივა, ფანჯრები ფანჯრებს აღარ ჰგავს, საკვამურები ჭვარტლისგან გაშავებულია, მაგრამ კვამლი აღარ ამოდის. ოცდაათი-ორმოცი წლის წინ აქ აღებმცემობა ყვაოდა, ახლა კი გაუდაბურებულია; სახლებს პატრონი აღარ ჰყავთ

და ვისაც გაბედულება ჰყოფნის აქ საცხოვრებლად, იმათ თავშესაფრადღა თუ გამოდგება. ადამიანს ან საკმარისი მიზეზი უნდა ჰქონდეს, აქ რომ დაიმალოს, ან

კიდევ სიღატაკის მართლაცდა უკიდურეს ზღვრამდე დაეშვას.

ერთ-ერთ დანგრეულ სახლში, რომელსაც მხოლოდ კარ-ფანჯრებიღა შერჩენოდა მთელი და როგორც ზემოთ აღვწერეთ, უკანა მხარე თხრილს გადაჰყურებდა, სამი კაცი შეკრებილიყო. თითქოს უსიამოვნო შემთხვევის მოლოდინში არიანო, დროდადრო ერთმანეთს შეფიქრიანებულები გადახედავდნენ, უმეტესად კი დუმდნენ. სამთაგან ერთ-ერთი ტობი კრეკიტი იყო, მეორე - მისტერ ჩიტლინგი, მესამე კი ორმოცდაათიოდე წლის მძარცველი,

რომელსაც ცხვირი ძველ ჩხუბში მოემტვრია და სახეზეც ნაიარევი აჩნდა, ალბათ,

იმავე შემთხვევის შედეგი. ეს გამოქცეული კატორღელი, სახელად კეგსი, იყო.

- კარგი იქნებოდა, ძვირფასო, აქ მოსვლის ნაცვლად სხვა ბუნაგი მოგეძებნათ, როცა იმ ორ ძველში მაგრად ჩამოცხა, - უთხრა ტობიმ მისტერ ჩიტლინგს.

- ვინ გიშლიდა, ბრიყვო! - ჰკითხა კეგსმა.

- მეგონა, ამაზე უკეთესად შემხვდებოდით, - მელანქოლიურად თქვა ჩიტლინგმა.

- მისმინე, ყმაწვილო, - თქვა ტობიმ, - როცა ჩემნაირი კაცი განმარტოებით იმალება ასეთ მყუდრო სახლში, სადაც კაციშვილი ცხვირს ვერ შემოყოფს, არც

არავინ უთვალთვალებს და არც დამკრება მის ახლომახლო, მთლად სასიამოვნო

არ არის, როცა ვიზიტად ისეთ მდგომარეობაში მყოფი ახალგაზრდა ჯენტლმენი

ეწვევა (თუნდაც პატიოსანი და სასიამოვნო პარტნიორი იყოს, როცა კარტის თამაშის დრო აქვთ), როგორშიც თქვენ ხართ.

- განსაკუთრებით მაშინ, როცა ასეთ განმარტოებულ ახალგაზრდა კაცთან დაბინავებულა მისი მეგობარი, რომელიც უცხო ქვეყნიდან იმაზე ადრე დაბრუნდა, ვიდრე ელოდნენ, და მეტად მოკრძალებულია საიმისოდ, რომ ახალდაბრუნებული მოსამართლეებს წარუდგეს, - დაუმატა კეგსმა.

ხანმოკლე სიჩუმე ჩამოვარდა. ტობი კრეკიტი მიხვდა, უდარდელ საუბარს ვეღარ ახერხებდა და ისევ ჩიტლინგს მიუბრუნდა:

- მაშ, როდის დაიჭირეს ფეიჯინი?

- ზუსტად სადილობის დროს, ნაშუადღევს ორ საათზე. მე და ჩარლი საკვამურში ავმკვრით, ბოლტერმა წყლის ცარიელ ბაკში დურთა თავი, ოღონდ

იმსიგრძე ფეხების პატრონი მაინც დაინახეს და ხელი ჩაავლეს.

- ბეტის რა მოუვიდა?

- საწყალი ბეტი! გვამი დაინახა, ლაპარაკი დაუწყო და გაგიჟდა, - ჩიტლინგს

გამომეტყველება შეეცვალა, - წივილ-კივილით თავს ურტყამდა კედელს, ჰოდა,

პერანგი ჩამოაცვეს და საავადმყოფოში გააქანეს. ახლაც იქაა.

- პატარა ბეიტს რაღა დაემართა? - იკითხა კეგსმა.

- სახეტილოდ წავიდა, დადამებას ელოდება, ცოტა ხანში აქ გაჩნდება. სხვაგან ვერც წავა, „სამ ხეიბარში“ ვინც კი იყო, ყველა დაიჭირეს.

სუყველგან

დამსმენები წრიალებენ - ჩემი თვალით ვნახე.

- ცუდი ამბებია, - ტუჩზე იკბინა ტობიმ, - კიდევ ბევრი იქნება ეგეთი.

- იქ ზემოთ, უკვე შეუდგნენ საქმეს, - თქვა კეგსმა, - თუ ბოლტერი ენას მიუტანს, ფეიჯინს დამნაშავედ ცნობენ. პარასკევს სასამართლო დარბაზი შეიკრიბება და ექვს დღეში ჩამოაკონწიალებენ, დალახვროს ღმერთმა!

- ერთი ხალხის ბღავილი მოგასმენინათ! პოლიციელებმა ქაჯებივით გაიბრძოლეს, თორემ ნაკუწებად აქცევდნენ. ბრბომ ერთხელ წააქცია კიდევ, მაგრამ ისინი წრედ შემოერთყნენ. უნდა გენახათ, ტალახში ამოთხვრილი და დასისხლიანებული, როგორ ეკვროდა ფარაონს, გეგონებოდა, საუკეთესო მეგობრები არიანო! ახლაც ვხედავ, ბრბოში როგორ მილოდდავენ, ხალხის ჯგრო

კბილებს როგორ აღრჭიალებს, ვხედავ მის სისხლიან თმა-წვერს და მესმის დედაკაცების წივილი, გულს გამოვდადრავთო!

ამ საზარელი სცენის მომსწრე ჩიტლინგმა ყურებზე აიფარა ხელები, თვალმდებარეული ადგა და თითქოს ყურადღებების სხვა რამეზე გადასატანად გაიარ-გამოიარა.

ის ორი ჩუმად იჯდა და იატაკს დასცქეროდა. უცბად რაღაც ხმა გაისმა და ოთახში საიკსის ძალი შემოვარდა. ყველანი ფანჯარას მისცვივდნენ, შემდეგ კიბეზე ჩაირბინეს და ქუჩაში ამოყვეს თავი. ძალი ფანჯრის რაფაზე შეხტა, იმ სამს არ გასდევნებია, მისი პატრონი კი არსად ჩანდა.

- რას ნიშნავს ეს? - იკითხა ტობიმ, როცა შინ დაბრუნდნენ, - იმედია, აქეთ არ მოდის.

- მაშინ თავის ძაღლთან ერთად მოვიდოდა, - უპასუხა კეგსმა და პირუტყვის გასასინჯად დაიხარა, - ჩქარა, წყალი მოიტათ, იმდენი ურბენია, გული შეუღონდა.

- ნახეთ, წვეთიც არ დაუტოვებია, - განაგრძო კეგსმა, თან ძაღლს აკვირდებოდა, - ტალახშია ამოსვრილი, კოჭლობს კიდევ, გვარიანი მანძილი გამოუვლია.

- ასე თავპირისმტვრევით საიდან უნდა გამოქანებულიყო? - შესძახა ტობიმ, - რასაკვირველია, სამიკიტნოებს დაივლიდა, უცხოებს ნახავდა და როგორც სჩვევია ხოლმე, ჩვენთან დაბრუნდებოდა; კი, მაგრამ, პატრონი რატომ არ მოჰყვა თან?

- შეუძლებელია, მკვდარი იყოს, - თქვა ჩიტლინგმა, მკვლელის სახელის ხსენება ვერც ერთმა ვერ გაბედა, - რას იტყვით?

ტობიმ თავი გააქნია.

- ეგრე რომ იყოს, ძალი იმ ადგილისკენ წაგვიყვანდა. მგონი, საერთოდ მოუსვა ამ ქვეყნიდან, ოღონდ არც უნახავს, ისე. სხვანაირად ვერაფრით მოიშორებდა თავიდან.

ეს ვარაუდი ყველაზე უფრო სარწმუნო იყო, ამიტომ გადაწყვიტეს, უეჭველად მართალიაო; ძალი ყველასგან შეუმჩნევლად სკამის ქვეშ მიიყუჟა და ჩაეძინა.

ამასობაში დადამდა. დარაბები ჩამოუშვეს და მაგიდაზე სანთელი დადგეს. ორი დღის ამბებს ღრმა, მძიმე შთაბეჭდილება მოეხდინა სამივეზე, რასაც საფრთხე და გაურკვევლობა კიდევ უფრო აძლიერებდა. სკამები ერთმანეთთან ახლოს მიაჩოჩეს. თითოეულ გაფაჩუნებაზე კრთებოდნენ. თითქმის არ ლაპარაკობდნენ, მხოლოდ ჩურჩულით, თითქოს მოკლული ქალის გვამი მეზობელ ოთახში ესვენა.

ერთხანს ასე ისხდნენ, უეცრად კარზე ხმამაღალი კაკუნი გაისმა.

- პატარა ბეიტსი იქნება, - თქვა კეგსმა და შიშის გასაქარწყლებლად მიმოიხედა.

კაკუნის განმეორდა. ბეიტსი არ ყოფილა, ასე არასდროს აბრაზუნებდა.

კრეკიტი ფანჯარას მივარდა და აცახცახებულმა თავი გაყო. სტუმრის ვინაობის თქმა არ იყო მისთვის საჭირო, ფერმკრთალი სახე ისედაც ყველაფერს ამბობდა. ძალიც იმწამსვე კართან გაჩნდა და აწკმუტუნდა.

- ჯანდაბას, შემოვუშვათ, - განაცხადა კრეკიტმა და სანთელი აიღო.

- ასე აუცილებელია? რომ გავაგდოთ, ვერა? - ჰკითხა მეორე კაცმა ჩახლეჩილი ხმით.

- ვერა, უნდა შემოვიდეს.

- ბნელში მაინც ნუ დაგვტოვებ, - სთხოვა კეგსმა, ბუხრის თავზე მდგარი მეორე სანთელი ჩამოიღო და აანთო. ხელი ისე უკანკალებდა, სანამ ამ საქმეს მორჩებოდა, კაკუნი კიდევ ორჯერ შემოესმათ.

კრეკიტი კარისაკენ წავიდა. ცოტა ხანში კაცთან ერთად დაბრუნდა, რომელსაც ერთი ცხვირსახოცი სახის ქვედა ნაწილს უფარავდა, მეორე კი ქუდის

ქვეშ - თავს. ნელა მოიხსნა და გამოჩნდა მიტკალივით გაფითრებული სახე, ჩავარდნილი თვალები, ჩაცვივნილი ლოყები, სამი დღის წვერი, მკვდრისფერი კანი და ნაწყვეტ-ნაწყვეტი სუნთქვა; საიკსი მოჩვენებას ჰგავდა.

საიკსმა ხელი ოთახის შუაგულში მდგარი სკამის ზურგს შეახო, წაიბორძიკა; უკან მიიხედა და სკამი კედელთან შეძლებისდაგვარად ახლოს მისწია, შემდეგ დაჯდა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში სიტყვაც არავის დაუძრავს. საიკსი ხან ერთს აკვირდებოდა მდუმარედ, ხან - მეორეს. თუ რომელიმეს მზერა მისას შეხვდებოდა, წამსვე თვალს არიდებდა. როცა ყრუ, მიმქრალი ხმით ლაპარაკი დაიწყო, დანარჩენები შეხტნენ. საიკსისგან ასეთი ტემბრი არასდროს გაეგონათ.

- ეს ძალი როგორ გაჩნდა აქ? - იკითხა.

- მარტო მოვიდა. სამი საათის წინ.

- სადამოს გაზეთში ეწერა, ფეიჯინი წაიყვანესო. მართალია თუ არა?

- მართალია.

კვლავ სიჩუმე.

- ეშმაკსაც წაუღიხართ ყველა! - თქვა საიკსმა და ხელი შუბლზე მოისვა, - რაიმე უკეთესს ვერ მეტყვიო?

ყველა უხერხულად შეირხა, ხმა კი არავის ამოუღია.

- შენ, აქაურობის ბატონ-პატრონი რომ ბრძანდები, - მიუბრუნდა კრეკიტს,

-

რას იზამ, ჩამიშვებ თუ დამმაღავ, სანამ ჩვენზე ნადირობას არ მორჩებიან?

- თუ აქ უსაფრთხოდ ხარ, დარჩი, - ხანმოკლე ყოყმანის შემდეგ მიუგო

შეკითხვის ადრესატმა.

საიკსმა ნელა შეავლო თვალი კედელს, რომელსაც ზურგით ეყრდნობოდა და ისევ იკითხა:

- ის... გვამი დაკრძალეს?
სამივემ უარის ნიშნად თავი გააქნია.

- რატომ მერე! - იფეთქა და უწინდებურად ზურგს უკან გაიხედა, - ვერ გავიგე,
ასეთ სიმახინჯეს რისთვის ტოვებენ მიწის ზემოთ?.. ეს ვინღაა, ვინ არახუნებს?

კრეკიტმა ხელით ანიშნა, საშიში არაფერიაო, კარი გააღო და ჩარლი ბეიტსი შემოიყვანა. რაკი საიკსი კარის მოპირდაპირე მხარეს იჯდა, ახალმოსულს მაშინვე თვალში ეცა.

- ტობი, - შემრწუნებულმა ბიყმა უკან დაიხია, - კიბესთანვე რატომ არ მითხარი?

სამი კაცი ისეთი ავის მომასწავებელი დუმილით შეხვდა, საიკსმა გადაწყვიტა, ამით ესარგებლა. დანარჩენებს თავი დაუქნია, წამოდგა და თავი ისე მოაჩვენა, თითქოს ხელის ჩამორთმევას აპირებდა.

- ნება მომეცით, სხვა ოთახში გავიდე, - თქვა ბიჭმა და კიდეც უკან დაიხია.

- ჩარლი! შენ რა... არ მიცნობ?

- არ მომეკარო, - უპასუხა თავზარდაცემულმა ბიყმა, კუთხეში მიიკუნყა, - ურჩხულო!

მან და საიკსმა ერთმანეთს თვალეში ჩახედეს, ამ უკანასკნელის მზერამ თანდათანობით იატაკზე გადაინაცვლა.

- თქვენ სამი მოწმენი ხართ, - მუშტი გააქნია ბიჭმა და ლაპარაკში კიდეც უფრო აღელდა, - აგერ, ხომ ხედავთ, ამ კაცის არ მეშინია. თუ ეძებენ, დავასმენ.

კარგად მომისმინეთ. თუ უნდა, ან თუ გაბედავს, მომკლას, მაგრამ მაინც დავასმენ. თუნდაც ცოცხლად მოხარშვას უპირებდნენ. მკვლელობა!
გვიშველეთ!

თუ თქვენ სამიდან რომელიმეს ოდნავი გაბედულება მაინც გააჩნია, დამეხმარება. მკვლელი! გვიშველეთ! დაიჭირეთ!

რაკი არც ერთი არ ჩაერია და გაოგნებული შეჰყურებდა ამ სცენას, ბიჭი და მამაკაცი იატაკზე გაგორდნენ; პირველი აინუნშიაც არ აგდებდა მეორის მუშტებს,

მკერდზე ხელებს უჭერდა და მთელი ძალ-ღონით გაჰყვიროდა.

შეუკბრება მეტად უთანასწორო გამოდგა. საიკსმა ბიჭი ქვეშ მოიქცია, მუხლი ყელზე დააბჯინა და უცებ კრეკიტმა ფანჯრისკენ მიუთითა. ქვემოთ სინათლეები

მოჩანდა, ისმოდა ნაბიჯების ხმა და გაცხოველებული ლაპარაკი, ბრბო უახლოეს

ხიდთან იკრიბებოდა. ერთ-ერთი, როგორც ჩანს, მხედარი უნდა ყოფილიყო,

რადგან აურზაურში უსწორმასწორო ფილაქანზე ფლოქვების ცემის ხმა გამოირჩეოდა. შემდეგ ვიღაცამ კარზე ბრახაბრუხი ატეხა, ამას მოჰყვა ხრინწიანი

ჩურჩულიდან გაცოფებულ ღრიალში გადაზრდილი ხმაური, რომლის გაგონებაზეც

ყველაზე უმამაცესიც კი შედრკებოდა.

- აქეთ! - იწივლა ბიყმა.

- აქაა! შეამტვრიეთ კარი!

- მეფის სახელით, გააღეთ! - დაიძახა რამდენიმე ხმამ; ჩახრინწული ყვირილი ისევ გაისმა.

- კარი შემომტვრიეთ! - იყვირა ჩარლიმ, - არ გააღებენ. იქით წადით და სინათლე მოიტანეთ. შემომტვრიეთ!

გამუდმებულმა, მძიმე ბრახუნმა კარ-ფანჯრები შეაზანზარა. გარედან შემოსულმა სიხარულის შემახილებმა ნათელი გახადა, რომ ბლომად ხალხი ირეოდა სახლთან.

- კარი გააღეთ, ეს მწივანა ღლაპი სადმე უნდა ჩავამწყვდიო, - იყვირა გამძვინვარებულმა საიკსმა, წინ და უკან დარბოდა, ბიჭს კი ცარიელ ტომარასავით დაათრევდა, - ეს კარი. დროზე! - ჩარლის უბიძგა, გასაღები ჭუჭრუტანაში შეყო და გადაატრიალა, - შემოსასვლელი კარი დაცულია?

- ორმაგი საკეტი და ჯაჭვით, - მიუგო კრეკიტმა, რომელიც ორი ამხანაგის მსგავსად, კვლავ გაშტერებული იდგა.

- პანელები? გამძლეა?

- რკინის ფურცელი აკრავს.

- ფანჯრებსაც?

- ჰო, ფანჯრებსაც.

- ჯანდაბამდისაც გზა გქონიათ! - უღრიალა საიკსმა ბრბოს, ფანჯრის ჩარჩო ასწია და დაემუქრა, - რაც გინდათ, ის გიქნიათ! ისე მშვენივრად დაგტოვებთ

პირში ჩალაგამოვლებულეებს, სიცოცხლეში არ დაგავიწყდებათ!

საშინელი ყვირილიდან, რაც კი მოკვდავის ყურებს ოდესმე გაუგონია, გაცოფებული ბრბოს ბლავილს ვერაფერი შეედრებოდა. ზოგი სახლისთვის ცეცხლის წაკიდებას აპირებდა, ზოგი პოლიციელს სროლისკენ მოუწოდებდა. მხედარი მამაკაცი ცხენიდან ჩამოხტა, ხალხში გზა ისე ადვილად გაიკვლია, თითქოს წყალშიაო, ფანჯარასთან დადგა და მისმა მჭექარე ხმამ ყველას გადააჭარბა:

- ოცი გინეა იმას, ვინც კიბეს მოიტანს!

ახლოს მდგომებმა შემახილი აიტაცეს, მალე ასეულობით ადამიანმა ექოსავით გაიმეორა. მოითხოვდნენ კიბეებს, უროებს; ზოგიერთი ჩირაღდნებით

ხელში დარბოდა ამ ნივთების მოსამებნად, ბოლოს შედგებოდა და ისევ ღრიალს მორთავდა; თითო-ოროლა უძლურ წყევლა-კრულვას სჯერდებოდა; ესენი გიჟებივით დააბოტებდნენ და სხვებს უშლიდნენ ხელს; ყველაზე მარჯვენი საწვიმარი მილით აძრომას და ნაპრალეებში შესვლას ცდილობდნენ. მთელი ჯგრო ძლიერი ქარისგან აფრიალებული ხორბლის ყანასავით ფუთფუთებდა; ბრაზიანი ხმები ერთდებოდა.

- მოქცევა, - შესძახა საიკსმა, ფანჯარა ცხვირწინ მიუჯახუნა ხროვას და დაბარბაცდა, - რომ მოვედი, მოქცევა დაიწყო. თოკი, გრძელი თოკი მომეცით. ყველანი სახლის წინ დგანან. შეიძლება ფოლი-დიჩში ჩავხტე და ასე დავადწიო თავი. თოკი მოიტათ-მეთქი, თორემ კიდევ სამ მკვლელობას ჩავიდენ, მერე კი თავს მოვიკლავ.

პანიკაში ჩავარდნილმა ამხანაგებმა იმ ადგილისკენ მიუთითეს, სადაც ზემოთ ხსენებული საგანი იდო; მკვლელმა სასწრაფოდ ამოარჩია ყველაზე გრძელი და ძლიერი თოკი და სახლის სახურავისკენ ასვლას შეუდგა.

სახლის უკანა ფანჯრები აგურით იყო ამოშენებული, გარდა იმ ციციქნა სათავისისა, სადაც ჩარლი ჩაეკეტათ. მიუხედავად იმისა, რომ თავსაც კი ვერ გადაყოფდა, ბიჭი განაგრძობდა ბრბოს გაფრთხილებას. როგორც კი საიკსი სახურავზე გამოჩნდა, ბრბო ერთიანად დაიძრა. საიკსმა სახურავზე ასასვლელი კარი ფიცრით ისე ჩახერგა, რომელიც საგანგებოდ წამოიღო ამისთვის, რომ დიდი წვალეებით თუ გააღებდნენ, ისიც შიგნიდან. მერე კი კრამიტზე აფოფხდა და პარაპეტიდან გადაიხედა.

წყალი უკუიქცა, მის მაგივრად შლამიანი კალაპოტი დარჩა.

ბრბო უხმოდ აკვირდებოდა მის მოქმედებას და ცდილობდა, მიმხვდარიყო, რა ჰქონდა გუნებაში, თუმცა, რა დაინახეს, მკვლელს განზრახვა გაუცუდდაო, ჩურჩული ისევ გამარჯვების ყიჟინაში გადაიზარდა. ვინც ვერაფერი გაიგო, მაინც აჰყვა. თითქოს მთელი ლონდონი გმობდა დამნაშავეს.

აქა-იქ ჩირადნებით განათებული ბრაზიანი სახეები მოჩანდა, ყველა სახლის ყველა ფანჯარასთან; დარაბები იმსხვრეოდა, სახურავებზე ხალხი მიძვრებოდა; თითოეული ხიდი (კუნძულზე სულ სამი იყო) ბრბოს ფეხქვეშ იზნიქებოდა. ყველას მზერა საიკსისკენ მიეპყრო.

- როგორც იქნა, დავიჭირეთ, ვაშა!

ღრიანცელი გაორმაგდა.

-- ორმოცდაათ გირვანქას მივცემ იმას, ვინც ცოცხალს დაიყვრს, - იყვირა ერთმა მოხუცმა, - აქ დავრჩები, სანამ არ მომთხოვს გასამრჯელოს.

ისევ ღრიანცელი. შეიქნა აუტანელი ჭყლეტა. ახალი ამბავი ელვისებურად გავრცელდა. ვინც ფანჯრებთან შექუჩებულიყო, ისევ ქუჩაში გამოვარდა და ხიდზე მდგომთ შეუერთდა. გაისმა ჭედვაში მოყოლილთა და ძირს დაცემულთა

მოგუდული კვნესა. თითქოსდა მთელ მსოფლიოს სურდა ამ ერთი ადამიანის დასჯა.

ბრბოს სიველურითა და პირუტყვული სისასტიკით შეშინებული საიკსი სახურავზე მოკუნტულიყო. ხედავდა, გაქცევის ყველა საშუალება მოესპო, მაგრამ

რაკი ცვლილება შეამჩნია, წამოიწია და მტკიცედ გადაწყვიტა, ტალახში ამოსვრის ფასად ჩამხტარიყო თხრილში. არეულობითა და სიბნელით დროს იხელთებდა.

სახლში ატეხილი ფხაკუნით აშკარა გახდა, კარს უკვე მოსდგომოდნენ. საიკსი საკვამურს დაეყრდნო, თოკის ერთი ბოლო ზედ შემოახვია და მაგრად განასკვა,

მეორე ბოლოთი ხელებისა და კბილების დახმარებით ყულფი წამში გააკეთა. დაშვებისთანავე დანით თოკის გადაჭრას აპირებდა.

როგორც კი ყულფი თავზე ჩამოიცვა და ის იყო, იღლიებში ამოჩრა დაიწყო, ხიდზე მდგარმა მოხუცმა, რომელიც ბრბოს აკავებდა, ღრიალით ამცნო ყველას,

თხრილში ჩაშვებას აპირებსო და სწორედ ამ დროს საიკსმა უკან, სახურავისკენ

გაიხედა, ხელები თავზემთო აღმართა და თავზარდაცემულმა შეჰყვირა:

- კიდევ ეს წყეული თვალები! ყველა მხრიდან მაკვირდებიან! - შეჰღრიალა არაადამიანური ხმით.

ელდანაცემივით შეტორტმანდა, წონასწორობა დაკარგა და პარაპეტიდან გადმოვარდა. ყულფი კისერზე ჩამოსცმოდა. თოკი მისი წონისგან მშვილდის ძუასავით დაიჭიმა და საიკსი დასხლეტილი ისარივით ჩამოვარდა ოცდათხუთმეტი ფუტის სიმაღლიდან. მისმა სხეულმა გაიბრძოლა, საშინელმა კრუნჩხვამ დაუარა ხელ-ფეხში და უძრავად დაეკიდა, გაშემებულ ხელში დანით.

საკვამური აყანყალდა, თუმცა, სიმძიმეს გაუძლო. მკვლელი კედლის წინ ირწეოდა, ბიჭი კი სათავსის სარკმლის წინ მოქანავე გვამის თავიდან მოშორებას ცდილობდა და გამწარებული ითხოვდა შველას.

საიკსის ძაღლი, რომელიც აქამდე არ გამოჩენილა, უცნაურად აწრიალდა, შემზარავად აყმუვლდა და პატრონს მხრებზე შეახტა, მაგრამ ასცდა, თხრილში

ზურგით ჩავარდა, თავი ქვას მიახალა და ტვინი დაასხა.

თავი 51 რომელშიც არაერთ საიდუმლოს აეხდებოდა

ფარდა, აგრეთვე მასში ნახსენებია

დაქორწინებისშეთავაზება, თუმცა, ცოლისთვის

განკუთვნილფულზე არაფერია ნათქვამი

წინა თავში აღწერილი ამბებიდან მხოლოდ ორი დღე თუ იქნებოდა გასული, როცა ოლივერი ნაშუადღევის სამ საათზე სამგზავრო კარეტაში ჩაჯდა; კარეტა სწრაფად მიაქანებდა მშობლიური ქალაქისკენ. მასთან ერთად იყვნენ მისის მეილი, როუზი, მისის ბედუინი და გულკეთილი ექიმი. მისტერ ბრაუნლოუ კი

საფოსტო კარეტით მიჰყვებოდათ უკან და თან ახლდა ერთი პიროვნება, რომლის სახელიც არ გვიხსენებია.

გზად ბევრი არ ულაპარაკიათ, რადგან ოლივერი მღელვარებასა და ეჭვს

მოეცვა, რაც ფიქრებისთვის თავის მოყრაში უშლიდა ხელს, არც საუბრისთვის აქეზებდა დიდად, მის თანამგზავრებზე კი იგივე განცდანი ერთი შეხედვით ნაკლებად, თუმცა, მაინც ახდენდა გავლენას.

მისტერ ბრაუნლოუმ ბიჭსა და ორ ქალბატონს ძალიან ფრთხილად გააცნო მონკსის მიერ წამოყენებული პირობები. მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი

მგზავრობის მიზანს კარგად დაწყებული საქმის წარმატებით დასრულება წარმოადგენდა, მთელი საკითხი რაღაც იდუმალეზით მოცულად, საეჭვოდ ჩანდა, ეს გარემოება კი ყველას დამაბულ მოლოდინში ამყოფებდა.

იმავე კეთილმა მეგობარმა, მისტერ ლოსბერნის დახმარებით, ურთიერთობის ყველა წყარო ჩაახშო, რადგან შესაძლებელი იყო, რომელიმე მათგანის წყალობით საშინელ ამბებს მათ ყურამდე მოედწია. „ერთ დღესაც ყველაფერს გაიგებენ, მაგრამ სჯობს ამისთვის უკეთესი დრო გამოვნახოთ, ახლა არ ღირს“, –

თქვა მან. ამიტომ კრინტსაც არავინ ძრავდა: თითოეული მგზავრი საკუთარ ფიქრებში ჩაძირულიყო; ცდილობდნენ, იმ გამოცანის პასუხს მიმხედარიყვნენ, რამაც ერთად შეჰყარათ, გარეგნულად კი არაფერს იმჩნევდნენ.

თუმცადაღა, საერთო განწყობილების ზეგავლენით ოლივერი ჩუმად იჯდა. კარეტა უცნობი გზით მის მშობლიურ ქალაქს უახლოვდებოდა და ადვილი წარმოსადგენია, მოგონებათა ნაკადს რა შორეულ დროში უნდა გადაესროლა, სხვადასხვა განცდას გული როგორ უნდა აემგერებინა, როცა გაახსენდა საკუთარი ცხოვრების გზა, საბრალო, ღარიბი, უსახლკარო მოხეტიალე ბიყუნა,

უმეგობრო, ყოველგვარ დახმარებას მოკლებული და თავშესაფრის უქონელი.

– აი, შეხედეთ! – წამოიძახა, როუზის ხელს ჩაეჭიდა და კარეტის ფანჯრისკენ

გაიშვირა თითი, – ეს ის საფეხურია, საიდანაც ჩამოვიპარე, ესენი კი ღობეები.

აქედან უჩუმრად გადმოვძვერი, მეშინოდა, ვინმეს ხელი არ ეტაცა და უკან ძალით არ წავეთრეთ! აი, იქ კიდევ მინდვრებისკენ მიმავალი გზაა, ძველი სახლისკენ მიდის, სადაც ბავშვობა გავატარე! ეჰ, დიკ, დიკ, ჩემო ძველო მეგობარო, ნეტავ ახლა გხედავდე მაინც!

– მალე ნახავ, – მიუგო როუზმა და ბიჭის ხელები თავისაში ნაზად მოიქცია, –

ეტყვი, რა ბედნიერი ხარ, რა მდიდარი და რომ არაფერი გახარებს ისე, თავად

მას რომ ხედავ ბედნიერს.

– დიახ, დიახ, ნამდვილად, – თქვა ოლივერმა, – ჩვენ კი იქიდან წამოვიყვანთ,

ჩავაცმევთ, ვასწავლით და სადმე წყნარ, მყუდრო სოფელში გავგზავნით, რომ ჯანმრთელი და ძლიერი გაიზარდოს, არა?

მოდიმარ ბიჭს ისე ავსებოდა თვალები სიხარულის ცრემლებით, გულაჩვილებულმა როუზმა სიტყვის დამტრა ვერ მოახერხა და მხოლოდ თანხმობის ნიშნად დაუქნია თავი.

– ვიცი, კეთილად და ალერსიანად მოეპყრობით, თქვენ ხომ ყველას ასე ექცევით, – განაგრძო ოლივერმა, – ჯერ მისი ამბავი აგაღელვებთ და აგატირებთ

კიდევ, თუმცა, არა უშავს, მალე გაივლის, ისევ გაიღიმებთ - ესეც კარგად ვიცი -

იმის გაფიქრებაზე, რაოდენ შეცვლილია ახლა, ჩემზეც ხომ იგივე იფიქრეთ. გაქცევისას მითხრა, ღმერთმა დაგლოცოსო, - ოლივერს გული აუჩუყდა, - ჰოდა,

მეც ვეტყვი, ღმერთმა დაგლოცოს-მეთქი და ვაჩვენებ, როგორ მიყვარს!

ამასობაში კარეტა ქალაქის ვიწრო ქუჩებში შეგრიალდა. ოლივერს დიდად არ გასჭირვებია მღელვარების მოთოკვა და დამშვიდდა. აქ ისევ იყო მეკუბოლე საუერბერის ფარდული, ოღონდ იმაზე პატარა და უსახური ჩანდა, ვიდრე ახსოვდა. თითქმის ყველა ნაცნობი მაღაზია თუ სახლი რაიმე შემთხვევასთან იყო დაკავშირებული. მაგალითად, ჰემფილდის ოთხთვალა კიდევ იდგა ძველი

სამიკიტნოს კართან. ამ ოთხთვალას თავადაც იყენებდა ხოლმე. აქვე იყო შრომის სახლი, ყმაწვილობის საშინელი ციხე, რომლის დაღვრემილი და პირქუში

ფანჯრები ქუჩას გადაჰყურებდნენ; ჭიმკართან ისევ ის ტანხმელი დარაჯი იდგა,

მის დანახვაზე ოლივერმა უნებურად უკან დაიხია, მერე თავის თავზე გაეცინა, რა

სულელი ვარო, ატირდა, ბოლოს ისევ გაიცინა - კარებსა და ფანჯრებთან ნაცნობ

სახეებს მოჰკრა თვალი, ასე მოეჩვენა, თითქოს ეს ადგილი მხოლოდ გუშინ დაეტოვებინა, მისი ახალი ცხოვრება კი მხიარული სიზმარი ყოფილიყო.

მაგრამ ახალი ცხოვრება სიზმარი კი არა, ნამდვილი, ბედნიერი რეალობა იყო.

კარეტა ქალაქის მთავარი სასტუმროს ჭიმკარში შევიდა და გაჩერდა (ადრე ოლივერი აღტაცებული შეჰყურებდა ამ შენობას და მდიდრულ სასახლედ მიაჩნდა; თუმცაღა, დღეს ცოტათი შელახული მოეჩვენა); აქ მისტერ გრიმუიგი

ელოდათ. მან კარეტიდან გადმოსულ ქალბატონებს აკოცა, დანარჩენებს კი, თითქოს მათი ბაბუააო, გულკეთილი ღიმილითა და ალერსიანად მიესალმა. ერთხელაც არ უთქვამს, ჩემს თავის ქალას შეგჭამო, არც მაშინ, ბებერ ფორეიტორს ლონდონისკენ მიმავალ უახლოეს გზაზე რომ შეეკამათა, დაიჟინა,

გზა მე უკეთ ვიციო, არადა, მხოლოდ ერთხელ ემგზავრა ამ გზით, და იმ დღეს

ადრე დაწვა დასაძინებლად. რაღაც ჯადოქრობის წყალობით სადილი და საძინებელი ოთახები უკვე მოემზადებინათ.

და მაინც, ყველაფრის მიუხედავად, ნახევარსაათიანი ფაციფუცის შემდეგ, ისევ ის ნაცნობი, მძიმე სიჩუმე ჩამოწვა. მისტერ ბრაუნლოუ სადილზე არ შემოსულა, თავის ოთახში დარჩა. დანარჩენი ორი ჯენტლმენი აღელვებული დარბოდა აქეთ-იქით, ხან ერთი შემოვარდებოდა და გავარდებოდა, ხან მეორე.

სასადილო ოთახში ხანმოკლე ყოფნის დროსაც განმარტოებით საუბრობდნენ.

მისის მეილის უხმეს; ერთსაათიანი გაუჩინარების შემდეგ კი მოხუცი ტირილისგან თვალეზღვრითელი დაბრუნდა. ეს ყველაფერი როუზსა და ოლივერს ანერვიულებდა. გაოგნებულები უხერხულად ისხდნენ, ერთი-ორჯერ თუ

გადაუგდებდნენ სიტყვას ერთმანეთს, ისიც ჩურჩულით, თითქოს საკუთარი ხმის

გაგონებისა ემინიათო.

- როგორც იქნა, საათის ისრებმა ცხრას მიაღწიეს; ის იყო, იმედი გადაეწურათ, დღეს ვერაფერს შევიტყობთო, რომ ოთახში მისტერ ლოსბერნი და მისტერ გრიმუიგი შემოვიდნენ ერთი მამაკაცის თანხლებით, რომლის დანახვაზეც ოლივერმა მოულოდნელობისგან კინაღამ შეჰყვირა. უთხრეს, ეგ შენი ძმა არისო, და სწორედაც რომ ამ ძმას შეხვდა ბაზრობაზე და მასვე მოჰკრა თვალი ფეიჯინთან ერთად პატარა ოთახის ფანჯრიდან. მონკსმა განცვიფრებულ ბიჭს დაუფარავი სიძულვილით სავსე მზერა მიაპყრო და კართან ახლოს დაჯდა. მისტერ ბრაუნლოუ კი ქაღალდებით ხელში მაგიდასთან ახლოს მსხდომი როუზისა და ოლივერისკენ გაემართა.
- ძალიან მძიმე საქმეა, - თქვა მან, - მაგრამ ლონდონში მრავალი ჯენტლმენის თანდასწრებით ხელმოწერილი ეს განცხადებები აქაც უნდა გამეორდეს. შემეძლო, თავიდან ამეცილებინა შენთვის, თუმცა, მაინც სანამ წავალთ, შენივე პირით უნდა გავიგოთ. კარგად იცი, რატომაც.
 - ჰო, კარგი, დაიწყეთ, - უპასუხა პიროვნებამ, ვისაც მიმართეს, - დროზე. აქ დიდხანს ნუდარ გამაჩერებთ.
 - ეს ბავშვი, - მისტერ ბრაუნლოუმ ოლივერი თავისკენ მიიზიდა და თავზე ხელი დაადო, - შენი ნახევარძმაა, ჩემო საბრალო მეგობარო ედვინ ლიფორდ, ანუ მამაშენისა და ჩემი ძვირფასი მეგობრის, მის დაბადებას გადაყოლილი საბრალო აგნეს ფლემინგის უკანონო შვილი.
 - მართალია, - მიუგო მონკსმა და აკანკალებულ ბიჭს მოღუშული მიაშტერდა. ოლივერს ეგონა, ჩემი გულისცემა ესმისო, - ეგ ბავშვი ნაბიჭვარია.
 - ეგ სიტყვა, - მკაცრად შეეკამათა მისტერ ბრაუნლოუ, - მიცვალებულთა შეურაცხყოფაა, იმ ხალხის, ვინც სააქაოს უბადრუკ მსჯავრსა და კიცხვას მოსცილდა. შენ გარდა არავის სცხებს ლაქას და მაგას არც აქვს მნიშვნელობა, ბიჭი ხომ ამ ქალაქში დაიბადა.
 - ამ ქალაქის შრომის სახლში, - გაისმა კუმტი პასუხი, - მანდ ხომ გაქვთ ისტორია, - გაღიზიანებულმა მიუთითა ქაღალდებზე.
 - პირადად უნდა მოვისმინო, - მისტერ ბრაუნლოუმ დამსწრეთ მოავლო თვალი.
 - კი ბატონო, მაშინ მოისმინეთ! მამამისი რომში ავად გახდა; ცოლმა, ესე იგი, დედაჩემმა ჩაკითხა; პარიზიდან წავიდა და მეც თან წამიყვანა, როგორც ვიცი, თავისი ქონების მისაღებად. ცოლ-ქმარი კარგა ხანია გაცილებული იყო, ერთმანეთი არ უყვარდათ. მამაჩემს გონება დაებინდა, ამიტომ ვერც გვიცნო, მეორე დღემდე ეძინა, მერე კი გარდაიცვალა. სხვა ქაღალდებთან ერთად მაგიდაზე ორი წერილი იდო. ავადმყოფობამ რომ შემოუტია, იმ ღამეს შეედგინა,

პირადად თქვენ მოგმართავდათ, მისტერ ბრაუნლოუ. კონვერტზე მოკლედ ეწერა,
ჩემს სიკვდილამდე არ გახსნათო. ამ ფურცლებიდან ერთ-ერთი იმ
გოგოსთვის,
აგნესისთვის, განკუთვნილი ბარათი იყო, მეორე კი - ანდერძი.
- რა ეწერა წერილში?

- წერილში?.. ყველაფერი, აღსარება, მონანიება და ლოცვა, ღვთისადმი
ვედრება, დაიფარეო. რა თქმა უნდა, ატყუებდა, რაღაც საიდუმლო მიზეზებს
იგონებდა, რომლებიც მასთან დაქორწინებაში უშლიდა ხელს. ისიც მიენდო
და

ერთ დღესაც ეს ნდობა მეტისმეტად შორს წავიდა, შედეგად კი დაკარგა ის,
რასაც ვერავინ დაუბრუნებდა - თავისი ღირსება. ბავშვის დაბადებამდე
რამდენიმე თვეს რჩებოდა; მამაჩემის თქმით, თუ იცოცხლებდა, ყველაფერს
იღონებდა, რომ სირცხვილი დაემალა, მაგრამ თუ მოკვდებოდა, ქალს
სთხოვდა,
მისი სახელი არ დაეწყველა ან არ ეფიქრა, თითქოს ცოდვის შედეგი მასზე ან
მის

შვილზე გავრცელდებოდა, რადგან ყველაფერში თავად იყო დამნაშავე.
შეახსენა, პატარა მედალიონი და ნათლობის სახელამოტვიფრული ბეყედი -
იმედი ჰქონდა, ერთ დღესაც ახალ გვარს დაამატებდა, - რომ მოგეცი,
უწინდებურად გულთან ატარეო, ბოლოს კი ერთსა და იმავე სიტყვებს
იმეორებდა, გეგონებოდა, ჭკუა დაკარგაო. მეც ასე ვფიქრობ.

- და ანდერძი? - ჰკითხა მისტერ ბრაუნლოუმ.

ოლივერი ცხარე ცრემლით ტიროდა.

მონკსი ხმას არ იღებდა.

- ანდერძი, - მის მაგივრად განაგრძო მისტერ ბრაუნლოუმ, - იმავე
განწყობისა
გახლდათ. ლაპარაკობდა ცოლის მიერ მიყენებულ უბედურებებზე; იმაზე,
როგორ

ამჩნევდა შენში ცუდ, საეჭვო მიდრეკილებებს, გარყვნილებასა და ბოროტებას;
როგორ გაქეზებდნენ, რომ საკუთარი მამა გძულებოდა. შენ და დედაშენს
წლიური შემოსავალი, რვაასი გირვანქა დაგიტოვათ, თავის ქონებას კი ორად
ყოფდა: ერთი - აგნეს ფლემინგისთვის, მეორე კი ბავშვისთვის გადაინახა, იმ
შემთხვევაში, თუ ის ცოცხალი დაიბადებოდა და მოზარდობის ასაკს
მიაღწევდა.

თუკი გოგონა აღმოჩნდებოდა, ეს ფული უპირობოდ უნდა მიეღო, მაგრამ თუ
ვაჟი,

მამინ პირობა უნდა დაედო, რომ სრულწლოვანებას მიღწეულს, საკუთარი
სახელი არასდროს უნდა შეეღალა არავითარი მდაბალი, ლაჩრული, უმსგავსი
საქციელით. მამაშენი ასე იმიტომ მოიქცა, აგნესისა უყოყმანოდ სწამდა,
მტკიცედ იყო დარწმუნებული, ბავშვი მის კეთილ გულსა და სულგრძელ
ხასიათს

მიიღებდა მემკვიდრეობით, ეს რწმენა სიკვდილის მოახლოებასთან ერთად
კიდევ უფრო გაუძლიერდა. თუ იმედი გაუცრუვდებოდა, ფულს მთლიანად
შენ

გადმოგცემდა - თუკი ორივე ვაჟი ავკაცობით ერთმანეთს გაუთანაბრდებოდა,
ფული ამ ორიდან ყველაზე უგულოს ერგებოდა.

- დედაჩემი, - ხმას აუმაღლა მონკსმა, - ისე მოიქცა, როგორც ყველა ქალი

უნდა მოქცეულიყო - ანდერძი დაწვა, წერილი კი ადრესატამდე ვერ მივიდა, დედაჩემმა შეინახა, ოდესმე თუ ვინმე აგნესის გამართლებას შეეცდებოდა. ამ უკანასკნელის მამას ყველა წვრილმანი მოახსენა და მძულვარებამ რაღაც-რაღაცები გააზვიადებინა კიდევ - ამისთვის მადლობას ვუხდი. შერცხვენილი მამა შვილებთან ერთად უელსის მიყრუებულ კუთხეში წავიდა, თან გვარი გამოიცვალა, რომ მეგობრებს ვერ გაეგოთ მისი ადგილსამყოფელი. აგნესს რამდენიმე კვირის წინ მალულად დაეტოვებინა სახლი, მამამისი ფეხით დადიოდა და თითოეულ ქალაქში თუ სოფელში ეძებდა; დამით შინ დაბრუნდა, ეგონა, მისმა ქალიშვილმა სირცხვილის დასამალად თავი მოიკლა და მოხუცს გული გაუსკდა.

ხანმოკლე სიჩუმე ისევ მისტერ ბრაუნლოუმ დაარღვია:

- წლების შემდეგ, - განაგრძო თხრობა, - ამ კაცის - ედვინ ლიფორდის - დედა მოვიდა ჩემთან. შვილმა თვრამეტი წლის ასაკში მიატოვა, წაართვა ძვირფასეულობა და ფული, რომელიც აზარტულ თამაშებში გაფლანგა, ყალბი საბუთები იშოვა და ლონდონში გაიქცა. დედამისს უკუბრუნებელი, მტანჯველი სწეულება შეეყარა და უნდოდა, სიკვდილამდე შვილის დაბრუნებას მოსწრებოდა. ძებნა გამოცხადდა, რომელიც ჯერ უსარგებლო გამოდგა, ბოლოს კი წარმატებით დასრულდა და ედვინი დედასთან ერთად საფრანგეთში დაბრუნდა.

- ...სადაც დიდი ტანჯვა-წამების მერე სიკვდილმა მოუსწრო, - თქვა მონკსმა, - მანამდე ყველა საიდუმლო გამანდო და ანდერძად დამიტოვა ამ საქმეში ჩართული პირებისადმი სიძულვილი, თუმცა, ეს სრულიადაც არ იყო საჭირო, რადგან სიძულვილმა გაცილებით ადრე შემიპყრო. დედაჩემს არ სჯეროდა, თითქოს აგნესმა თავი მოიკლა. მისი ვარაუდით, ჯანმრთელი ვაჟი უნდა გასჩენოდა. მე შევფიცე, ოდესმე თუ ეს ბიჭი გზაზე გადამიდგებოდა, დევნით სიცოცხლეს გავუმწარებდი, მასზე სასტიკად ვიძიებდი შურს და თუ შევძლებდი, ამ საზიზღარ ანდერძს მისი სახრჩობელამდე მიყვანით გავაქარწყლებდი. დედაჩემი მართალი გამოდგა. ბოლოს აკი თვალში შემეჩხირა. ჩემი საქმე კარგად დავიწყე, იმ ყბედმა როსკიპმა კიდევ ყველაფერი ჩამიშალა!

ავაზაკმა ხელები გადააჭდო ერთმანეთს და უმწეობისგან გაბოროტებული, საკუთარი თავის წყევლა-კრულვას მოჰყვა. მისტერ ბრაუნლოუ თავზარდაცემულ მსმენელებს მიუბრუნდა და აუხსნა, რომ მონკსი ებრაელს დიდ ჯილდოს ჰპირდებოდა ოლივერის დაჭერის სანაცვლოდ, ოღონდ თუ ბიჭს გადაარჩენდნენ, ფულის ნაწილი უნდა აენაზღაურებინა. სოფელშიც იმიტომ ჩავიდნენ, რომ მისი ვინაობა ზუსტად დაედგინათ. ბოლოს ბრაუნლოუმ ისევ მონკსს ჰკითხა:

- მედალიონი და ბეჭედი რა უყავი?

- იმ კაცისა და ქალისგან ვიყიდე, ვისზეც გითხარით. მაგათ მომვლელისგან მიიღეს, იმან კი აგნესის ცხედარს ააცალა, - უპასუხა მონკსმა ისე, თავიც არ აუწევია, - მშვენივრად მოგეხსენებათ, რაც ვუყავი.

მისტერ ბრაუნლოუმ მისტერ გრიმუიგს თავი ოდნავ დაუქნია, ისიც მკვირცხლად გავიდა და ცოტა ხანში მისის ბამბლი და მისი ქმარი შემოათრია.

- ამას რას ხედავს ჩემი თვალები! - თვალთმაქცური სიხარულით იყვირა მისტერ ბამბლმა, - ნუთუ ეს პატარა ოლივერია? ოჰ, ო-ლი-ვერ, რომ იცოდე, შენზე როგორ ვდა-არ-დობდი...

- ენა დაიმოკლე, სულელო, - ჩაილაპარაკა მისის ბამბლმა.

- რა ვქნა, მისის ბამბლ, არ შემიძლია! - განაცხადა შრომის სახლის პატრონმა, - აბა, არ უნდა გამიხარდეს? მე ხომ... სამრევლო სკოლაში მივიყვანე?

ახლა კი ვხედავ აქ, ძალიან თავაზიან ქალბატონებსა და ბატონებთან ერთად! ეს

ბიჭი ისე მიყვარდა, თითქოს ჩემი... ეე, ბაბუაჩემი ყოფილიყოს, - გაჭირვებით

იპოვა შესაფერისი სიტყვა, - ყმაწვილო ოლივერ, ძვირფასო, დალოცვილი თეთრქილეტიანი ჯენტლმენი გემახსოვრება, არა? ჰოდა, ის საწყალი საიქიოში გაემგზავრა წინა კვირას, მუხის კუბოში ჩაასვენეს, ვარაყიანი სახელურებით, მაშ!

- კარგი, კარგი, სერ, - მკვახედ მიმართა გრიმუიგმა, - თავი ხელში აიყვანეთ.

- ვეცდები, სერ, - მიუგო მისტერ ბამბლმა, - როგორ ბრძანდებით, სერ? იმედი მაქვს, კარგად.

ეს კითხვა მისტერ ბრაუნლოუს ეხებოდა, რომელმაც ნაბიჯი წინ წადგა და პატივსაცემ წყვილს გაუსწორდა, მონკსზე მიუთითა და ჰკითხა:

- ამ კაცს იცნობთ?

- არა, - პირდაპირ უპასუხა მისის ბამბლმა.

- იქნებ თქვენ? - მისტერ ბამბლს მიუბრუნდა ბრაუნლოუ.

- ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს.

- არც არაფერი მიგიყიდიათ მისთვის?

- არასოდეს, - თქვა მისის ბამბლმა.

- არასდროს გქონიათ, მაგალითად, ერთი ოქროს მედალიონი და ბეჭედი?

- არა, რასაკვირველია. ვერ გავიგე, რისთვის მოგვიყვანეს აქ, სისულელებების მოსასმენად და სალაპარაკოდ? - იკითხა ქალმა.

ბრაუნლოუმ ისევ დაუქნია გრიმუიგს თავი, ეს უკანასკნელიც წინანდელი

სისხარტით გავიდა და ამჯერად ორი დამბლადაცემული დედაბერი შემოიყვანა.
მოხუცები ბარბაცით მოდიოდნენ.

- ბებერი სალი რომ მოკვდა, იმ ღამით კარი კი დაგიკეტავთ, - დაიწყო ერთ-ერთმა და აკანკალებული ხელი გაიშვირა, - ოღონდ ხმის ჩახშობა და ბზარების ამოვსება ვერ მოახერხეთ.

- ჰო, ვერა, - თქვა მეორემ და უკბილო ყბების ქნევით მიმოიხედა, - ნამდვილად ვერა.

- მშვენივრად გავიგონეთ, სალი როგორ ცდილობდა თავისი ამბის მოყოლას, მერე თქვენ რაღაც ქაღალდი გამოართვით, მეორე დღეს კი დაგინახეთ, მევახშესთან რომ გაქანდით, - დაამატა პირველმა.

- სწორია, - განაგრძო მეორემ, - იქ მედალიონი და ოქროს ბეჭედი იყო. ორივე მოგცეს. ჩვენც იქვე ვიყავით, ბატონო, ეგრე კი არ არის!

- უფრო მეტიც, - დაამატა პირველმა, - დიდი ხნის წინ ბებერმა სალიმ გვითხრა, იმ ახალგაზრდა დედამ რომ გაანდო, ამ ყველაფერს ვერ გადავიტან და ბავშვის მამის საფლავთან ახლოს მინდა მოვკვდეო.

- გნებავთ მევახშის ნახვა? - იკითხა მისტერ გრიმუიგმა და კარისკენ წავიდა.

- არა, - იუარა მისის ბამბლმა, - თუ ეს, - მონკსისკენ გაიშვირა ხელი, - იმდენად ლაჩარი აღმოჩნდა, რომ ყველაფერი ადიარა, მგონი, ასეა კიდევ, და თავად თქვენ ამ დედაბრებს გამოჰკითხეთ ყველაფერი, სხვა აღარაფერი მაქვს სათქმელი. დიახ, ვაღიარებ, მივყიდე, ახლა უკვე ისეთ ადგილას არის, ვეღარ იპოვით. მერედა რა?

- არც არაფერი, - მიუგო მისტერ ბრაუნლოუმ, - ერთი ეგ არის, თანამდებობისთვის სანდო არც ერთი არა ხართ და აღარ უნდა დაინიშნოთ. შეგიძლიათ წაბრძანდეთ.

- იმედია, - როგორც კი გრიმუიგი ორ მოხუც ქალთან ერთად გავიდა, მისტერ ბამბლმა მწუხარე სახით ჰკითხა ბრაუნლოუს, - იმედია, ეს პატარა უსიამოვნება ჩემს სამრევლო საქმიანობას ხელს არ შეუშლის?

- პირიქით, რა თქმა უნდა, შეუშლის. ჯობდა, ამაზე გეფიქრათ.

- მისის ბამბლის ბრალია ყველაფერი, მაგის გაკეთებულია, - დაიჟინა მისტერ ბამბლმა, მანამდე ოთახში მიიხედ-მოიხედა და დარწმუნდა, ცოლი აქ არ არისო.

- ეგ არ არის საპატო მიზეზი, - მიუგო მისტერ ბრაუნლოუმ, - სამკაულების განადგურებას ესწრებოდით. მეტიც, თქვენ უფრო გამოდიხართ დამნაშავე,

რადგან კანონის ძალით, ცოლი თქვენი რჩევა-დარიგებების შესაბამისად მოქმედებს.

- თუ მაგას ამბობს, ესე იგი, მაგისთანა კანონი ვირი... იდიოტი ყოფილა,
-
მისტერ ბამბლმა თავისი ქუდი ჩაბდუნა, - კანონის ძალა თუ არის, ესე
იგი, ცოლი
არ ჰყოლია და ეგ არის. ჰოდა, მთელი გულით ვუსურვებ თვალი აეხილოს,
ადგეს
და თვითონ გამოცადოს... გამოცადოს!

ამ ორი უკანასკნელი სიტყვის ხაზგასმით მისტერ ბამბლმა ქუდი ჩამოიფხატა,
ჯიბებში ხელები ჩაიწყო და მეუღლეს კიბეზე ჩაჰყვა.

- ქალიშვილო, - მიმართა მისტერ ბრაუნლოუმ როუზს, - ხელი მომეციო.
ნუ
კანკალებთ, ბოლო სიტყვების გაგონების არ უნდა შეგეშინდეთ.

- თუ მე მეხება - თუმცა, არ ვიცი, რანაირად, - გთხოვთ, სხვა დროს
მომასმენინოთ. ახლა ძალა აღარ შემრჩა.

- არა, - მიუგო მოხუცმა ჯენტლმენმა და ხელკავი გაუყარა, -
დარწმუნებული
ვარ, ბევრად ძლიერი ბრძანდებით... ამ ახალგაზრდა ქალს იცნობთ, სერ? -
მიუბრუნდა ბრაუნლოუ მონკსს.

- ვიცნობ, - თქვა მონკსმა.

- არასდროს მინახავხართ, - ძლივს გასაგონი ხმით უთხრა როუზმა.

- მე კი ხშირად გხედავდით.

- უბედური აგნესის მამას ორი ქალიშვილი ჰყავდა. მეორეს რა ბედი ეწია? -
ჰკითხა მისტერ ბრაუნლოუმ.

- როცა მამამისი უცხო ადგილას გარდაიცვალა, ყოველგვარი წერილის,
წიგნის
ან თუნდაც ფურცლის ნაგლეჯის გარეშე, საიდანაც ნათესავებსა და მეგობრებს
შეეძლებოდათ მისი პოვნა, ბავშვი ღარიბ-ღატაკმა მოჯამაგირეებმა წაიყვანეს
და
საკუთარი შვილივით გაზარდეს.

- მიდი, განაგრძე, - ბრაუნლოუმ მისის მეილის ანიშნა, მოახლოებულიყო.

- ამ ხალხის მოძებნა ერთხანს შეუძლებელი იყო, მაგრამ სადაც მეგობრობა
მარცხდება, იქ სიძულვილი გზას მუჯლუგუნებით იკვლევს. წლების შემდეგ
დედაჩემმა, როგორც იქნა, მიაგნო მათ კვალს და ბავშვიც იპოვა.

- და თავისთან წაიყვანა, არა?

- არა. ოჯახი ხელმოკლედ ცხოვრობდა და უკვე ნანობდა გოგონასადმი
გამოჩენილ სიკეთეს - ყოველ შემთხვევაში, მამობილი - ამიტომ დატოვა
მათთან, ცოტაოდენი ფული მისცა, რომელიც დიდხანს არ ეყოფოდათ და
შეჰპირდა, მეტს გამოგიზავნითო, რის გაკეთებასაც არ აპირებდა.

დედობილ-მამობილის უკმაყოფილება ან სიღარიბე ბავშვის უბედურებისთვის არ

იკმარა, ადგა და თავისებურად გადააკეთა გოგონას დის სამარცხვინო ამბავი, უთხრა, თვალყური ადევნეთ, რადგან თავადაც უკანონო შვილია, ადრე თუ გვიან,

ცული სისხლი თავს იჩენსო. ამ ხალხმაც დაიჯერა მონაყოლი, გოგომ კი ჩვენდა

გასახარად, საშინელი ცხოვრება გამოიარა, სანამ ჩესტერში ერთმა ქვრივმა შემთხვევით არ მოჰკრა თვალი, შეიბრალა და თავისთან წაიყვანა. მგონი, რაღაც

ჯადო თუ წყევლა გვექონდა აკიდებული; ყველა მცდელობის მიუხედავად, გოგო

ქვრივთან დარჩა და ბედნიერიც იყო. ორი-სამი წელი აღარ მინახავს, ბოლოს კი

რამდენიმე თვის წინ გადავეყარე.

-- ახლა ხომ ხედავ?

- ვხედავ, თქვენს მკლავზე დაყრდნობილს.

- მაინც ჩემი დისწულია, - შესძახა მისის მეილიმ და როუზი გულში ჩაიკრა, -

მაინც ჩემი უძვირფასესი შვილია. მთელი ქვეყნის განძისთვისაც კი არ დაგვარგავდი ახლა. ეს ხომ ჩემი უსაყვარლესი მეგობარია!

- თქვენ ერთადერთი, ყველაზე კეთილი და საუკეთესო მეგობარი იყავით ჩემთვის. მგონი, გული გამისკდება, ამდენ ღელვას ველარ გავუძლებ.

- შენ ყველაზე მოსიყვარულე, სათუთი არსება ხარ, ვისი ნახვის ბედნიერებაც ოდესმე მქონია, - მოეხვია მისის მეილი, - წამოდი, საყვარელო, აგერ იმ საბრალო ბავშვს ერთი სული აქვს, როდის ჩაგეხუტება. აი, ნახე!

- დეიდას არასდროს დავუძახებ, - თქვა ოლივერმა და კისერზე შემოაჭლო მკლავები, - დეიდა კი არა, ჩემი და არის. მაშინვე მიეხვდი, ასე რომ შემეყვარებოდი, ძვირფასო როუზ!

მოდი, ცრემლებსა და ნაწყვეტ-ნაწყვეტ სიტყვებს, ობლების ხვევნა-კოცნას პატივი ვცეთ. მამა, და, დედა ამ ერთ წამში დაიკარგნენ და კვლავ შეიყარნენ.

სიხარულს დარდი ენაცვლებოდა, თუმცა, მწარე ცრემლები არავის სდიოდა, რადგან დარდიც კი ტკბილმა მოგონებებმა შეარბილა, ტკივილი კი გააყუჩა.

დიდხანს იყვნენ მარტონი. ბოლოს უეცარმა ჩუმმა კაკუნმა სტუმრის მოსვლა აუწყათ. კარს ოლივერი მივარდა, ფართოდ გააღო და ჰარი მეილი შემოუშვა.

- ყველაფერი ვიცი, - თქვა ჰარიმ და როუზს გვერდით მიუჯდა, - ძვირფასო

როუზ, ყველაფერი ვიცი. აქ შემთხვევით არ მოვხვედრილვარ, - დაუმატა კარგა

ხნის სიჩუმის შემდეგ, - ის ამბავიც ამ საღამოს კი არა, გუშინ, მხოლოდ გუშინ

გავიგე. ალბათ, მიხვდით, თქვენივე პირობის შესახსენებლად მოვედი.

- ერთი წუთით, მგონი, ასე თქვით, ყველაფერი ვიციო, - თქვა როუზმა.

- ასეა. ადრე უფლება მომეცით ერთი წლის განმავლობაში ნებისმიერ დროს განმეახლებინა ჩვენი ბოლო საუბრის შინაარსი.

- სწორია.

- არა იმისთვის, რომ თქვენი გადაწყვეტილება შემეცვალა, არამედ, თუ ინებებდით, ისევ გაგემეორებინათ. მე თქვენ ფეხქვეშ გაგიგებდით ჩემს მდგომარეობას საზოგადოებაში და ქონებას, რაც კი გამაჩნია, და იმ შემთხვევაში, თუკი მაინც მტკიცედ იდგებოდით საკუთარ სიტყვაზე, დავიფიცე, არც სიტყვით, არც საქმით არ შევეცდებოდი თქვენი ნების გატეხას.

- დიახ, და რა მიზეზებიც მაშინ მქონდა, იგივე მიზეზები მაქვს ახლაც, - მტკიცედ მიუგო როუზმა, - თუ ოდესმე გამაჩნდა მოვალეობა მოხუცი ქალის მიმართ, რომლის სიკეთემაც უბედური ცხოვრებისა და გაჭირვებისგან მიხსნა, როდის უნდა ვიგრძნო იგი, თუ არა ამ სადამოს? რასაკვირველია, ჩემთვის მტკივნეული სულიერი ბრძოლაა, მაგრამ ატანა შემძლია, ამ ბრძოლაში გამარჯვებით კი ძალიან ვამაყობ.

- დღევანდელი სადამოს აღსარებანი... .

- დღევანდელი სადამოს აღსარებანი, - წყნარად მიუგო როუზმა, - არაფერს ცვლის.

- როუზ, საკუთარ თავს აიძულებთ, გული აიყაროთ ჩემზე, - მიმართა ჰარიმ.

- ოჰ, ჰარი, ჰარი, - ცრემლები წასკდა ახალგაზრდა ქალს, - როგორ მინდა, ეს ტკივილი ავიცილო.

- მაშ, რატომ იტანჯავთ თავს? - ჰარიმ მისი ხელი აიღო, - იმაზე იფიქრეთ, რაც ამ სადამოს შეიტყვეთ.

- და რა შევიტყვე? ის, რომ მამაჩემს ისე გაუტეხა გული სირცხვილმა, ყველაფერი მიატოვა? საკმარისია, ჰარი, გვეყოფა ამაზე ლაპარაკი.

- ჯერ არა, - ყმაწვილმა ფეხზე წამომდგარი როუზი შეაკავა, - ჩემი იმედი, სურვილები, მიზნები, ყოველი ფიქრი, თქვენდამი ჩემი სიყვარულის გარდა, ძირფესვიანად შეიცვალა. მე ახლა ფუჭ, ამაო საზოგადოებაში საპატიო ადგილს

კი არ გთავაზობთ, არც ავყია, გესლიან სამყაროსთან ურთიერთობას, სადაც უაზროდ წითლდებიან და ნამდვილ სირცხვილს ყალბისგან ვერ არჩევენ, არამედ

გულსა და სახლს. დიახ, ჩემო კარგო როუზ, მხოლოდ ამ ორს. ეს ორიღა დამრჩა

თქვენთვის მოსაცემი.

- რას ნიშნავს ეს ყველაფერი? - ენა დაება ქალს.

- აი, რას - ბოლოს, როცა დაგტოვებთ, მტკიცედ გადაწყვიტე, დამენგრია თქვენსა და ჩემ შორის არსებული ყველა მოჩვენებითი წინაღობა; მიმეტოვებინა

ის გარემო, თუ არ მიგიღებდათ და ყველა პიროვნებისთვის მექცია ზურგი, ვინც

კი წარმოშობის გამო ზემოდან დაგიწყებდათ ცქერას. ვთქვი და გავაკეთე.
ამის

გამო ვინც ჩამომშორდა, თქვენც ჩამოგშორდათ, ესე იგი, ამით თქვენი
სიმართლე დამტკიცდა. ადრე მოდიმარი ჩემი მფარველი, კეთილისმყოფელი,
გავლენიანი ნათესავები დღეს ცივად მიმზერენ. მაგრამ ინგლისის ერთ
ყველაზე

მდიდარ საგრაფოში არის მხიარული მინდვრები, შრიალა ხეები, სოფლის
ერთ

ეკლესიასთან კი - ჩემი, როუზ, საკუთრივ ჩემი, მყუდრო სახლი გვექნება,
თქვენთან ერთად იქ უფრო ბედნიერი ვიქნები, ვიდრე მარტო, ყველა
წარსული,

ამო და ფუჭი იმედით გარემოცული. აი, ასეთია ახლა ჩემი მდგომარეობაც
და

წოდებაც და მე მათ თქვენ გიძღვნი!

- ცოტა არ იყოს, მოსაწყენია სადილისთვის შეყვარებულების ლოდინი, -
თქვა

თავზე ცხვირსახოცდაფარებულმა, გაღვიძებულმა მისტერ გრიმუიგმა.

სიმართლე ითქვას, სადილი საჭიროზე მეტხანს იცდიდა და მისის მეილიმ,
ჰარიმ და როუზმა (რომლებიც ოთახში ერთად შემოვიდნენ) თავის
გასამართლებელი სიტყვა ვერ იპოვეს.

- სერიოზულად ვფიქრობდი, ავდგები და ჩემს თავის ქალას შევჭამ, რაკი
სხვა

არაფერი იქნება-მეთქი, - განაცხადა გრიმუიგმა, - თუ ნებას მომცემთ, ახლა
გავკადნიერდები და საპატარძლოს ჩემს გულითად სალამს გადავცემ.

მისტერ გრიმუიგმა გულიანად ჩაკოცა ახალგაზრდა ლედი, რამაც
დარცხვნილ როუზს ალმური მოსდო. იგივე სურვილი ექიმსა და მისტერ
ბრაუნლოუსაც გადაედო. მავანნი იფიცებოდნენ, პირველი მაგალითი ჰარი
მეილიმ მოგვცა მეზობელ ოთახშიოთ, მაგრამ უფრო ავტორიტეტული პირები
ამას

ცილისწამებად მიიჩნევდნენ, რადგან ჰარი მეილი ახალგაზრდა და თანაც
პასტორი ბრძანდებოდა.

- ოლივერ, შვილო, - მიმართა მისის მეილიმ, - სად იყავი, რატომ ხარ
ასეთი

ნაღვლიანი? ცრემლები სახეზე ჩამოგდის. რა მოხდა?

ვავლახ, ასეა, ყველაზე სანუკვარი იმედი გვიცრუვდება ხოლმე.

საბრალო დიკი აღარ იყო!

თავი 52 ფეიჯინის უკანასკნელი ღამე

სასამართლო დარბაზი ხალხით იყო გამოტენილი. ყველა მხრიდან
ცნობისმოყვარე და ანთებული თვალები იცქირებოდნენ. საბრალოდებო სკამიდან
შორეულ კუთხე-კუნჭულამდე მოფენილი ათასობით მზერა ერთ ადამიანს -
ფეიჯინს აკვირდებოდა. წინ, უკან, მაღლა, დაბლა, მარჯვნივ, მარცხნივ -
უამრავი

მოციმციმე თვალი ცის კამარასავით ერთკა.

თავად კი იდგა, ერთი ხელი ხის ფიცარზე ედო, მეორე ყურთან მიეტანა,
თავი

წინ გადაეხარა, რომ მთავარი მოსამართლის ყოველი სიტყვა უკეთ გაეგონა.

ხანდახან, როცა მის სასარგებლოდ გამოჩნდებოდა რაიმე, თუნდაც მსუბუქი გარემოება, ნაფიც მსაჯულებს დაჟინებით მიაშტერდებოდა, მათი რეაქციის შესამოწმებლად. მაგრამ საშინელი პირდაპირობით წამოყენებული დამამძიმებელი არგუმენტები რომ გაისმებოდა, თავის ადვოკატს შეხედავდა, უხმოდ სთხოვდა, კიდევ სცადეო. თუ მღელვარების ამ ნიშნებს არ ჩავთვლით, ფეიჯინი არაფერს აკეთებდა, არც კი ინძრეოდა. პროცესის დასაწყისიდანვე ასე უძრავად იდგა. მოსამართლეს ლაპარაკი დაესრულებინა, ის კი ახლაც დამაბული, ყურადღებით მისჩერებოდა ამ უკანასკნელს.

დარბაზში მსუბუქი შრიალი გაისმა. ფეიჯინმა მიიხედ-მოიხედა, ნაფიცი მსაჯულები განაჩენის გამოსატანად შექუჩებულიყვნენ. დარბაზს თვალი რომ მოავლო, დაინახა, დამსწრეები ერთმანეთს თავზე ადგებოდნენ, რომ ბრალდებულისთვის შეეხედათ, ზოგი სათვალეს იკეთებდა, ზოგი კი ზიზღითა და შემძრწუნებული გამომეტყველებით ეჩურჩულებოდა მეზობელს. თითო-ოროლას მთლიანად ნაფიცი მსაჯულებისკენ ჰქონდა ყურადღება მიპყრობილი და მოუთმენლად ელოდა განაჩენს. მაგრამ ერთი სახეც კი ვერ შეამჩნია - თვით ქალებისაც კი - თანაგრძნობა ან მისი დასჯის სურვილის გარდა სხვა რამ გამოეხატა.

ამ სურათს შეცბუნებული უცქერდა, როცა ისევ სამარისებური სიჩუმე გამეფდა. ნაფიცი მსაჯულები მოსამართლეს მიუბრუნდნენ მხოლოდ იმისთვის, რომ დარბაზის დატოვების ნებართვა აეღოთ. დამწუხრებული ფეიჯინი შეეცადა, მიმხვდარიყო, უმრავლესობა ვის მხარეს იქნებოდა, თუმცა, ამაოდ. ციხის ზედამხედველი მხარზე შეეხო. მექანიკურად გაჰყვა და საბრალდებო სკამზე დაჯდა. ზედამხედველს რომ არ მიეთითებინა, სკამს თვითონ ვერც შენიშნავდა.

დარბაზს ხელმეორედ გადახედა. დამსწრეთაგან ერთნი ჭამდნენ, მეორენი კი ცხვირსახოცით ინიავებდნენ, რადგან ხალხმრავლობის გამო ძალიან ცხელოდა. ერთი ყმაწვილი უბის პატარა წიგნაკში ფეიჯინის სახის ჩანახატს აკეთებდა. უცბად ფანქრის წვერი გადაუტყდა და დანით გათლას შეუდგა; ფეიჯინმა ისარგებლა ამით და ჩანახატს ცნობისმოყვარედ დახედა, მსგავსება თუ არისო.

შემდეგ, მოსამართლეს მიაპყრო მზერა და დაიწყო მის ტანსაცმელზე ფიქრი, რა ეღირებოდა და როგორ იცვამდა. მერხზე ერთი მოხუცი, მსუქანი ჯენტლმენი იჯდა, რომელიც ცოტა ხნის წინ გავიდა, ახლა კი ისევ შემოსულიყო. ფეიჯინი დაინტერესდა, სადილზე წავიდა თუ არა, თუ კი, სად, როგორ და რა მიირთვა. ამ უაზრო ფიქრებმა რამდენიმე ხანს გასტანა, მერე ახალმა საგანმა მიიქცია მისი ყურადღება.

მთელი ეს დრო ვერ მოეცილებინა განცდა, თითქოს მის ფეხქვეშ საფლავმა დაალო პირი, რა თქმა უნდა, გამუდმებით თან სდევდა ეს შეგრძნება, მაგრამ აქამდე ბუნდოვანი, გაურკვეველი იყო. აკანკალებული და სიკვდილზე ფიქრით

ცხელბაატანილი უნებლიეთ რკინის გისოსების დათვლას შეუდგა. თავის თავს ეკითხებოდა, ნეტავ ამ ერთს წვერი როგორ წასტყდა, თუ შეაკეთებენ ან ასე ხომ არ დატოვებენო. მერე ეშაფოტისა და სახრჩობელას საზარლობაზე ჩაფიქრდა – ცოტა ხნით გაჩერდა, დააკვირდა კაცს, იატაკს გასაგრილებლად წყალს რომ ასხამდა – და ისევ განაგრძო.

მოულოდნელად დარბაზს ხმამაღლა მოუწოდეს სიჩუმისკენ, ყველა სუნთქვაშეკრული მიაჩერდა კარს. ნაფიცი მსაჯულები დაბრუნდნენ და ფეიჯინის ახლოს გაჩერდნენ. მათ თითქოსდა ქვისგან გამოკვეთილ სახეებზე ვერაფერს ამოიკითხავდი. არავითარი შარიშური თუ ჩასუნთქვა-ამოსუნთქვა აღარ ისმოდა.

„დამნაშავეა!“

მთელი შენობა ყვირილმა შეაზანზარა, ხალხის ხმამ ქუხილივით იჭექა და ნათქვამი ექოსავით გაიმეორა. ბრბო სიხარულით შეხვდა ახალ ამბავს, რომ დამნაშავე ორშაბათს დაისჯებოდა სიკვდილით.

ხმაური მიწყნარდა, ფეიჯინს თავის გასამართლებელი სიტყვის უფლება მისცეს. ამ უკანასკნელმა ყურადღებით შეხედა პიროვნებას, ვინც შეკითხვა დაუსვა, თუმცა, მეორეჯერ დასჭირდა შეხსენება, რომ ნათლად გაეგონა. პასუხად

ძლივს ამოილაპარაკა, მოხუცი, ბებერი კაცი ვარო და ისევ დადუმდა.

მოსამართლემ შავი ქუდი დაიხურა, პატიმარი კი იმავე პოზაში დარჩა. ერთმა ქალმა ამის დანახვაზე შეჰყვირა; ფეიჯინმა თავი ასწია, თითქოს გააღიზიანა შემახილმა და უკეთ გასაგონად წინ გადაიხარა. მიმართვა საზეიმო იყო, განაჩენი კი ამაზრზენი. სიკვდილმისჯილი კი მარმარილოს ქანდაკებასავით გაშემებულიყო, სახეზე ნაკვთიც არ შერხევია. ყბადაღებული და გამტერებული ჯერ ისევ ორად მოკეცილიყო, რომ ციხის ზედამხედველმა მხარზე მოჰკიდა ხელი.

ფეიჯინმა არაფრისმთქმელი თვალები უკანასკნელად მოავლო იქაურობას და მორჩილად გაჰყვა.

გაატარეს ფილაქანდაგებულ ოთახში, სადაც სხვა პატიმრები იცდიდნენ ან ეზოს ჭიშკართან შეკრებილ თავიანთ მეგობრებს ესაუბრებოდნენ. თავად ფეიჯინს არავინ ელაპარაკებოდა, მისი მოახლოებისას პატიმრები გაიფანტნენ, რომ გისოსებზე ჩაბლაუჭებული ხალხისთვის დაენახვებინათ. მაშინვე საგინებელი სიტყვები, ყვირილი და სისინი გაისმა. ფეიჯინმა მუშტი შეკრა, შესაძლებლობა რომ ჰქონოდა, შიგ სახეში შეაფურთხებდა ყველას, მაგრამ ერთი-ორი მქრქალი ლამპით განათებული, კუშტი დერეფნით სწრაფად მიარბენინებდნენ ციხისკენ.

აქ გაჩხრიკეს და დარწმუნდნენ, რომ არაფერი ჰქონდა, რითიც ტუსადს თავის მოკვლა შეეძლებოდა, შემდეგ სიკვდილმისჯილთათვის განკუთვნილ ერთ-ერთ საკანში შეიყვანეს და მარტო დატოვეს.

ფეიჯინი დაჯდა კარის მოპირდაპირედ მდგარ ქვის ძელსკამზე, რომელიც ერთდროულად სკამისა და საწოლის დანიშნულებას ასრულებდა. ჩასისხლიანებული თვალებით იატაკს დააშტერდა და ფიქრებისთვის თავის მოყრა სცადა. მოსამართლის ნათქვამი გაახსენდა, მაშინ ეგონა, ერთი სიტყვაც

არ გამიგიაო. ბოლოს ნელ-ნელა ყველაფერი თავის ადგილას დადგა: ყულფი კისერზე და მოხრჩობით სიკვდილი. ეს იქნებოდა დასასრული.

ამასობაში დადამდა და საკანში სიბნელე ჩამოწვა. ფეიჯინს ყველა ჩამოხრჩობა მოაგონდა, ზოგიერთი მისი დამსახურება იყო. რამდენიმე მათგანს დაესწრო კიდეც, დამნაშავეები ტუჩებზე ლოცვაშერჩენილი იხოცებოდნენ, რაზეც მერე დამცინავად ლაზღანდარობდა. იმდენმა შემთხვევამ გაიელვა მის გონებაში, ვერ დაითვლიდა. რა უცნაურ ხმას გამოსცემდნენ ფიცრები, მერე კი მძლავრი და ღონიერი მამაკაცები როგორ უცებ იქცეოდნენ ტანსაცმლის მოქანავე ნაფლეთებად!

შესაძლოა, ისინიც ისხდნენ აქ, ამ ქვაზე. უკვე ძალიან ბნელოდა, რატომ არ მოჰქონდათ სინათლე? საკანი მრავალი წელი იყო, აეშენებინათ, უამრავმა სიკვდილმისჯილმა აქ გაატარა სიცოცხლის დარჩენილი საათები. ფეიჯინს ასე ეგონა, გვამებისგან აგებულ აკლდამაში ვწევარო, - აგერ, ქუდი, აი, ყულფიც, შეკრული ხელები, ნაცნობი სახეები, სამაგელი ფარდის მიღმა რომ შეეუჟულან. სინათლე, სინათლე!

როცა ლამის ხელები გადაიტყავა მძიმე კარსა და კედლებზე ბრახუნით, ორი კაცი გამოჩნდა: ერთს სანთელი ეკავა, რომელიც ერთ-ერთ კედელში ჩასმულ რკინის შანდალში დაამაგრა, მეორემ საბანი შემოიტანა. ახლა ტუსაღზე თვალი უნდა სჭეროდათ.

დადგა ღამე, ბნელი, მწუხარე და ჩუმი. სხვებს უხაროდათ ეკლესიის ზარის გაგონება, რადგან მათთვის დღის მოსვლასა და ახალ სიცოცხლეს ნიშნავდა. მისთვის კი ამ ხმას სასოწარკვეთილება მოჰქონდა. რკინის ყოველი ზარის გუგუნე ყრუ, მძიმე სიტყვად ჩაესმოდა - სიკვდილი. რაში ანაღვლებდა მხიარული დღე და მისი ნათელი, აქაც კი რომ აღწევდა? გლოვის ერთ-ერთი სახეობა იყო, დაცინვაშერეული გაფრთხილება.

ერთი დღეც მიილია. ან კი იყო დღე? არც იყო. მოსვლისთანავე გაქრებოდა, მის ნაცვლად ერთდროულად გრძელი და მოკლე ღამე ჩნდებოდა. გრძელი, ავის მომასწავებელი სიჩუმით, მოკლე - გაფრენილი საათებით. ფეიჯინი ხანდახან ბოდავდა და იწყევლებოდა, ან გამწარებული ღრიალით თმას იგლეჯდა. პატივსაცემი ერთმორწმუნენი მასთან ერთად სალოცავად მოდიოდნენ, მაგრამ ყველას წყევლა-კრულვით ისტუმრებდა. კეთილმოწყალე მცდელობის განახლებას რომ შეეცადნენ, ცემა-ტყეპით გაყარა.

შაბათის ღამე. ერთადერთი დარჩენილი ღამე. ამ ფიქრში კვირადღემ მოუსწრო.

უკანასკნელი ღამით საკუთარი უმწეო მდგომარეობა მთელი სიმძიმით

დააწვა. იმის იმედი კი არ ჰქონდა, შემიწყალებენო, უბრალოდ, არ ეგონა, ასე მალე თუ მოაწევდა სიკვდილის საათი. საკანში მჯდომარე ორ კაცს იშვიათად ელაპარაკებოდა, ისინიც არ ცდილობდნენ მისი ყურადღების მიქცევას. ფეიჯინი მილ-ღვიძილში იწვა. ახლა ყოველ წუთს წამოიმართებოდა, სიცხიანი და პირდაღებული, წრიალებდა, სახეზე კი ისეთი შიშის ზარი და მრისხანება უკრთოდა, მსგავს სანახაობას მიჩვეული ორი ზედამხედველიც კი შეძრწუნებული უკან იხევდა. ბოლოს გაწამებული იმდენად აუტანელი შესახედავი გახდა, ერთ კაცს აღარ შეემლო მასთან მარტო ყოფნა, ამიტომ ახლა ორივე დარაჯობდა.

ფეიჯინი ქვის საწოლზე მოიკუნტა და წარსულზე დაიწყო ფიქრი. მისი დაჭერის დღეს ბრბომ რაღაც საგნები ესროლა, რის გამოც თავი ტილოს ნაჭრით შეუხვიეს. წითური თმა ფერდაკარგულ სახეზე ჩამოშლოდა, წვერი გასწეწოდა, თვალები ციებიანივით უელავდა. ჭუჭყიანი კანი სიცხისგან გახურებოდა. რვა-ცხრა-ათი. თუ ეს ყველაფერი მასხრობა მის დასაშინებლად არ იყო მოგონილი და ნამდვილად საათის ისრები ენაცვლებოდნენ ერთმანეთს, მაშინ სადღა იქნებოდა თვითონ, ეს ისრები ციფერბლატს მთლიანად რომ შემოუვლიდნენ? თერთმეტი! კიდევ ერთმა დაჰკრა, სანამ წინა საათის მანიშნებელი რეკვა ყურებში გაუქრებოდა. დილის რვა საათზე, თავისი თავის გარდა არავინ ეყოლებოდა გვერდით, თერთმეტზე...

ნიუგეიტის შემზარავ კედლებს, რომლებიც ამდენ უბედურებას და გამოუთქმელ მწუხარებას მალავდნენ არათუ ადამიანთა თვალთაგან, არამედ – მეტისმეტად დიდხანს – მათი ფიქრებისგანაც, არასოდეს უხილავთ ასეთი საშინელი სანახაობა.

ჩიხის წინ მოტრიალე ხალხი, თავის თავს რომ ეკითხებოდა, ხვალ ჩამოსახრჩობი ტუსადი ნეტავ რას აკეთებსო, ღამით თვალს არ მოხუყავდა, ოღონდაც კი თვალი შეევილო, რა მდგომარეობაში იყო ფეიჯინი.

სალამოდან შუალამემდე ორი-სამი კაცი კარიბჭესთან მივიდოდა და შემოფოთებული კითხულობდა, განაჩენი გადადეს თუ არაო. უარყოფითი პასუხის მიღებისთანავე შეკრებილთ აცნობებდნენ, ერთმანეთს აჩვენებდნენ კარს, საიდანაც სიკვდილმისჯილი უნდა გამოეყვანათ, და სახრჩობელას ადგილს. შემდეგ ყველა ფეხათრევით მიდიოდა, თან უკან-უკან იხედებოდნენ, ცდილობდნენ, წარმოედგინათ, როგორი სანახავი იქნებოდა ეს ყველაფერი. ერთ საათში ქუჩა დაიცალა.

ციხისკენ მისასვლელი გზა გაიწმინდა; უკვე შავად შეღებილ ბარიერებს დგამდნენ ბრბოს შესაკავებლად, რომ ალაცათან მისტერ ბრაუნლოუ და ოლივერი გამოჩნდნენ. მაშინვე შემოუშვეს.

- ახალგაზრდა ჯენტლმენიც უნდა შემოვიდეს, სერ? - იკითხა გამცილებელმა, - ხომ იცით, ეს არ არის ბავშვების სანახავი.

- რა თქმა უნდა, არა, მეგობარო, - უპასუხა ბრაუნლოუმ, - მაგრამ ტუსაღთან გასარჩევი საქმე ამ ბიჭთან არის დაკავშირებული. იგი დიდხანს იყო მომსწრე მისი ზეობისა და ავკაცობის, ამიტომ, ჩემი აზრით, მართალია, შიშის თუ გულისტკივილის ფასად, მაგრამ უნდა ნახოს.

უკანასკნელი სიტყვები ჩუმად წარმოთქვა, რომ ოლივერს ვერ გაეგონა. გამცილებელმა ქუდზე მოიკიდა ხელი, ოლივერს ცნობისმოყვარე მზერა შეავლო, მოპირდაპირე ჭიშკარი გამოაღო და ბნელი, მიხვეულ-მოხვეული გზებით საკნისკენ გაუძღვა.

- ეს ის ადგილია, სადაც გამოივლის, - მიუთითა კაცმა. რამდენიმე მუშა მდუმარედ ამზადებდა რაღაცას, - თუ ბოლომდე გაჰყვებით, გასასვლელ კარს ნახავთ.

სტუმრები მოკირწყლულიატაკიანი, საჭმლის მომზადებისთვის საჭირო სპილენძის ნივთებით აღჭურვილი სამზარეულოთი გამოატარა, და კარზე ანიშნა.

კარის ზემოთ ცხაური იყო დატანებული. აქედან ჩაქუჩისა და ლაპარაკის ხმები ისმოდა, როგორც ჩანს, უკვე სახრჩობელას აღმართვას იწყებდნენ.

შემდეგ რამდენიმე ჭიშკარი გაიარეს, თითოეულს დარაჯი იცავდა; ღია ეზოდან ვიწრო კიბით დერეფანში ავიდნენ, რომლის მარცხენა მხარეს მძიმე კარების რიგი მიუყვებოდა. დარაჯმა ანიშნა, გაჩერდითო, ერთ-ერთ კარზე გასაღებების აცმით დააკაკუნა. ფეიჯინის ორი მეთვალყურე ხანმოკლე ჩურჩულის შემდეგ დერეფანში ზმორებით გამოვიდა. აშკარად უხაროდათ ხანმოკლე შესვენება. სტუმრები ტუსაღთან შეიყვანეს.

სიკვდილმისჯილი საწოლზე იჯდა, აქეთ-იქით ირწეოდა, ბურტყუნებდა და ხაფანგში მომწყვდეულ მხეცს უფრო ჰგავდა, ვიდრე ადამიანს. მისი გონება ერთთავად წარსულ ცხოვრებას დასტრიალებდა. სტუმრებს ვერ ამჩნევდა, ეგონა, მელანდებიანო.

- კარგი ბიჭი ხარ, ჩარლი, ყოჩად, - წაიჩიფჩიფა, - აგე, ოლივერიც მოსულა, ჰა-ჰა-ჰა! ოლივერიც! რა ჯენტლმენი დამდგარა! მართლა, წაიყვანეთ ბიჭი დასამინებლად! დარაჯმა ოლივერის თავისუფალი ხელი აიდო და ჩურჩულით გაამხნევა ისე, რომ პატიმრისთვის თვალი არ მოუშორებია.

- დააწვინეთ-მეთქი! - იყვირა ფეიჯინმა, - გაიგონეთ, რაც ვთქვი? სუყველაფერი ამის ბრალია. მთელი ფულის დახარჯვა მომიწევს ამისთვის ქურდობის სასწავლებლად. ბოლტერის ყელი... ბილ, გოგოზე ნუ იდარდებ... ბოლტერს გამოსყერი ყელი, რაც შეიძლება ღრმად. თავი მოაჭერი!

- ფეიჯინ, - მიმართა დარაჯმა.

- ეგ მე ვარ! - დაიძახა ებრაელმა და იმწამსვე სასამართლო პროცესის დროს მიღებული ყურადღებიანი სახე დაუბრუნდა, - ერთი ბეხრეკი გახლავართ,

მილორდ, ერთი საწყალი, დაჩაჩანაკებული ბერიკაცი!

- აგერ ერთ ვიღაცას უნდა შენი ნახვა და, მგონი, კითხვების დასმაც.
გეყოფა,
ფეიჯინ, შენ ხომ კაცი ხარ!

- ცოტა ხანში აღარ, - მიუგო ტუსადმა, დამინებული და გაცოფებული
სახით, -
ჯანდაბას წასულა ყველა, ნეტამც თვითონ ამოწყდნენ! რა უფლება აქვთ, ასე
ცხვარივით გამგზავნონ სასაკლაოზე?

სიტყვა არ დაესრულებინა, რომ უეცრად ოლივერი და მისტერ ბრაუნლოუ
შენიშნა. კუთხეში მიიკუნჭა, თან ამოილულლულა, მიპასუხეთ, აქ რა
გინდათო.

- მშვიდად, - უთხრა დარაჯმა და პატიმარი დასვა, - შეგიძლიათ
ესაუბროთ,
სერ, ოღონდ სწრაფად, თორემ ხომ ხედავთ, როგორია. რაც დრო გავა, სულ
უფრო გადაირევა.

მისტერ ბრაუნლოუ წინ წამოვიდა.

- ფეიჯინ, მონკსმა ქალაქები გადმოგცა შესანახად.

- ტყუილია, ყველაფერი სიცრუეა. არანაირი ქალაქი არ მქონია.

- კარგი ერთი, ღვთის გულისათვის. ახლა მაინც ნუ ამბობ მაგას,
სიკვდილთან
ახლოს მდგომი. მხოლოდ ის მითხარი, სად დევს. ბილ საიკსი მკვდარია,
მონკსმა აღიარა; დამალვას აზრი აღარ აქვს. სად არის ქალაქები?
- ოლივერ, - დაუძახა ფეიჯინმა, - მოდი აქ! რაღაც უნდა გითხრა ყურში.

- არ მეშინია, - ხმადაბლა თქვა ოლივერმა და მისტერ ბრაუნლოუს ხელი
გაუშვა.

ფეიჯინმა ბიჭი თავისკენ მიიზიდა და უთხრა:

- ქალაქები პირველ სართულზე ოთახი რომაა, იმის ბუხარში, ტილოს
ქისაში
დავმალე. შენთან უნდა ვილაპარაკო, ძვირფასო. მინდა გაგესაუბრო.

- რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, ოღონდ ჯერ ჩემთან ერთად ილოცე.
თუნდაც
ერთი ლოცვა თქვი, მუხლებზე, ჩემთან ერთად, მერე კი დილამდე
ვილაპარაკოთ.

- გარეთ, გარეთ, - იყო ფეიჯინის პასუხი, ბიჭი კარამდე მიათრია და
უაზროდ
მიმოიხედა, - უთხარი, ჩაემინა-თქო, დაგიჯერებენ. ასე, ახლა შეგიძლიათ
გამიყვანოთ, თუ ასე ძალიან გნებავთ. აბა, დროზე, დროზე!

- ღმერთო, შეუძდე ამ უბედურ ავაზაკს! - ატირდა ოლივერი.

- ასე, ასე, - თქვა ფეიჯინმა, - წავედით აქედან. ჯერ ამ კარით. სულ მთლად

ვკანკალებ, თუმცა, არა უშავს, ნუ მიაქცევთ ყურადღებას. ოღონდ დაუჩქარეთ, ხომ გითხარით. ჩქარა, სახრჩობელასთან-მეთქი!

- კიდევ რაიმეს გაგება ხომ არ გასურდათ, სერ? - იკითხა დარაჯმა.

- არა, - მიუგო ბრაუნლოუმ, - იმედი რომ მქონდეს, ოდნავ მაინც მოვა გონზე. . .

- ვერა, სერ, შეუძლებელია, - თავი გააქნია დარაჯმა, - სჭობს, დატოვოთ.

საკნის კარი გაიღო, ზედამხედველები დაბრუნებულიყვნენ.

- ძლივს, როგორც იქნა. ცოტა ფრთხილად, ოღონდ ასე ნუ ზოზინებთ. უფრო სწრაფად! - იყვირა ფეიჯინმა.

ოლივერს ხელები გააშვებინეს. იმედაკარგულმა ფეიჯინმა სულ ერთი წამით გაიბრძოლა, მერე კი ყურისწამლებად აღრიალდა, ისე, რომ მძიმე კედლებიც კი შერყია. ეზოში გაიყვანეს.

ციხეში დარჩენამ მოუწიათ, რადგან ოლივერს ამ ზარდამცემი სურათისგან კინალამ გული წაუვიდა და რამდენიმე საათით სიარულის უნარი წაერთვა.

უკვე თენდებოდა, როცა გარეთ გამოვიდნენ. ბრბოს თავი მოეყარა. ფანჯრებში სახეები მოჩანდა. ყველა ეწეოდა, დროის მოსაკლავად კარტს თამაშობდა, კინკლაობდა, კამათობდა, ხუმრობდა. ყველაფერი სიცოცხლის ხალისზე მეტყველებდა, გარდა ცენტრში აღმართული შავი ეშაფოტის, განივი კოჭის, თოკის - სიკვდილის უმსგავსი, მახინჯი იარაღებისა. თავი 53 და უკანასკნელი თავი

პიროვნებათა ბედი, რომლებიც ამ ამბავში მოვიხსენიეთ, თითქმის გადაწყვეტილია. მემატანისთვის ახლა ორიოდ სიტყვადაა საჭირო მოკლედ ასახსნელად.

სამ თვეზე ცოტა ხანში როუზ ფლემინგმა და ჰარი მეილიმ პატარა სოფლის ეკლესიაში იქორწინეს. როგორც უკვე ითქვა, ეს ახალგაზრდა პასტორის საქმიანობის ადგილი უნდა ყოფილიყო; იმავე დღეს ახალ, მყუდრო სახლში გადავიდნენ საცხოვრებლად.

მისის მეილი ახალგაზრდა წყვილთან დასახლდა, რათა ეგემა სიამე, რაც სიბერესა და ღირსებას მოაქვს - სხვისი ბედნიერებით ტკბობა, ვისზეც ყოველთვის ალერსსა და სიყვარულს აფრქვევდა.

გამომიებიდან ისე ჩანდა, მონკის ქონება (რომელიც არასდროს აყვავებულა არც თავად მონკის, არც დედამისის ხელში) თანაბრად ნაწილდებოდა მასა და

ოლივერს შორის, თითოეულს სამი ათას გირვანქა სტერლინგზე მეტი უნდა რგებოდა, მამის ანდერძით კი ფული სრულად გადადიოდა ოლივერის ხელში.

მაგრამ მისტერ ბრაუნლოუს არ სურდა უფროსი ვაჟიშვილისთვის გამოსწორებისა

და პატიოსანი სამუშაოს შოვნის შესაძლებლობა წაერთმია, ამიტომ ქონების გაყოფა შესთავაზა, რასაც ოლივერი სიხარულით დათანხმდა.

მონკსი ამ გვართვე გაემგზავრა ამერიკაში, სწრაფად გაფლანგა ქონების ნაწილი და დაუბრუნდა ძველ ჩვევებს. ბოლოს თაღლითობისთვის დაიყირეს, ძველი ავადმყოფობა ისევ შეეყარა და ციხეში გარდაიცვალა. ფეიჯინის ბანდის სხვა წევრებიც სამშობლოდან შორს დაიდუპნენ.

ბრაუნლოუმ ოლივერი იშვილა და მასა და მოხუც მწე ქალთან ერთად პასტორის სახლიდან – სადაც მისი ძვირფასი მეგობრები ცხოვრობდნენ, – მილის

დაშორებით დასახლდა. დარჩენილი დღეები ოლივერის გულთბილ, პატიოსან საზოგადოებაში გაატარა. ერთად ცხოვრების წყალობით კი ისეთ ბედნიერებას ეზიარნენ, როგორც კი შეიძლება ამ ცვალებად სამყაროში.

ახალგაზრდების ქორწინების შემდეგ ექიმი ჩერტსიში დაბრუნდა.

მეგობრებისგან დაშორებული მოწყენილი დაიარებოდა ხოლმე და ამტანი რომ არ ყოფილიყო, ფიცხი, ფხუკიანი გახდებოდა. ორი-სამი თვე საკუთარ თავს უმეორებდა, ჰაერი არ მიხდებო, საბოლოოდ, როცა დაასკვნა, რომ ადგილი მართლაც აღარ მოსწონდა, საქმე თავის ასისტენტს გადააბარა, მეგობარი პასტორის სოფლის გარეთ იყიდა სახლი და მაშინვე გამოკეთდა. ხელი მიჰყო მებაღეობას, მცენარეების დარგვას, თევზაობას, დურგლობასა და სხვა ამგვარ საქმიანობას, ყველა მათგანს თავისებური მგზნებარებით მისდევდა და მეზობლობაში დიდი ავტორიტეტი მოიპოვა.

ჩერტსიდან წამოსვლამდე მისტერ გრიმუიგთან მჭიდრო მეგობრობის დამყარება მოახერხა, ექსცენტრიკულმა ჯენტლმენმაც იმავე გრძნობით უპასუხა.

გრიმუიგი ლოსბერნს წელიწადში რამდენჯერმე ეწვევა ხოლმე და ყოველთვის დიდი გულმოდგინებითა და მხნედ რგავს, თევზაობს, დურგლობს; ოღონდ თავისებური, მხოლოდ მისეული მანერით მუშაობს, სულ ამტკიცებს, ჩემი მეთოდი საუკეთესოაო. კვირაობით ახალგაზრდა პასტორის ქადაგებას აკრიტიკებს, მერე ლოსბერნს საიდუმლოდ ეუბნება, კი, ძალიან მომწონს, მაგრამ

მირჩევნია, არ გამოვამჟღავნო. ბრაუნლოუ ხშირად ეხუმრება და იმ ღამით ოლივერზე გამოთქმულ მოსაზრებას ახსენებს; გრიმუიგი კი მიუგებს, ხომ მართალი გამოვდექი, ბიჭი არ დაბრუნებულაო და პასუხი დიდად ამხიარულებს ორივე ჯენტლმენს.

მისტერ ნოე კლეიპოლს, ფეიჯინის გაცემის გამო რომ შეიწყალეს, თავისი პროფესია მაინცდამაინც სახეიროდ აღარ მოეჩვენა, ამიტომ გადაწყვიტა, დამქანცველი შრომის გარეშე ეშოვა ფული. დიდი ფიქრის მერე ისევ დამსმენობა

წამოიწყო. აი, როგორ: კვირაში ერთხელ წირვის დროს სადად ჩაცმულ შარლოტთან ერთად გამოისეირნებს; რომელიმე სამიკიტნოსთან ამ უკანასკნელს გული შეუღონდება, თავად კი სამპენსიან ბრენდის ითხოვს ვითომდა მის გონზე მოსაყვანად, მეორე დღესვე ინფორმაცია მიაქვს სადაც ჯერ

არს და ჯარიმის ნახევარს ჩაიჯიბავს.

ხანდახან მისტერ კლეიპოლს მისდის გული, შედეგი კი იგივეა.

მისტერ და მისის ბამბლი გადატაკდნენ და იმავე შრომის სახლში აღმოჩნდნენ, სადაც წინათ სხვებზე მბრძანებლობდნენ. მისტერ ბამბლმა

განაცხადა, უბადრუკი ცხოვრების გამო იმის თავი ადარ მაქვს, ცოლისგან მოშორებით ყოფნის გამო მადლობელი ვიყო.

მისტერ ჯაილზი და ბრიტლსი თავ-თავიანთ საქმიანობას დაუბრუნდნენ. პირველი მთლად გამელოტდა, მეორე კი გაჭადარავდა. პასტორის სახლში სძინავთ ხოლმე; ერთი ეგ არის, ყურადღებას თანაბრად აქცევენ ოლივერს, ბრაუნლოუსა და ლოსბერნს, ასე რომ, სოფლელებს ვერ გაუგიათ, რომელი მათგანის სამსახურში არიან.

საიკის დანაშაულით შეძრული ჩარლი ბეიტსი დაფიქრდა, ეგებ პატიოსანი შრომით ცხოვრება სჯობდესო; რაკი დარწმუნდა, რომ მართლაც ასე აჯობებდა,

წარსულს ზურგი აქცია. ბევრი ბრძოლის, არცთუ იშვიათად გადატანილი ტანჯვის

შემდეგ დასახულ მიზანს მიაღწია – მოჯამაგირიდან და მებარგულიდან ნორდჰემპტონშირის ყველაზე მხიარულ მესაქონლედ იქცა.

ამ სიტყვების დამწერ ხელს ძალიან ენანება დასასრულთან მიახლოება; კარგი იქნებოდა, ცოტა კიდევ გაეგრძელებინა.

დიდი სიამოვნებით აღვწერდი იმ ადამიანების ბედნიერ ცხოვრებას, ვისთანაც ამდენი ხანი გავატარე. ვაჩვენებდი როუზ მეილის, მთელი თავისი მოხდენილობით, როგორ ავრცელებს თავის გარშემო სიკეთესა და ყველას აბედნიერებს. დავხატავდი ბუხრისპირა ან ზაფხულის ოჯახურ მხიარულებას; ნაშუადღევს გავყვებოდი მინდვრებში, მთვარიან სადამოთი გასეირნებისას მოვისმენდი მის ხავერდოვან ხმას; ვუცქერდი შინ და გარეთ მის დაულაღავ საქმიანობას; ვაჩვენებდი როუზისა და ოლივერის ურთიერთსიყვარულს, ყურს დაფუგდებდი მათი განსვენებული მეგობრების შესახებ ბაასს; გავიხსენებდი პატარა, საყვარელ სახეებს, თავიანთი დედის მუხლებზე რომ მოკალათებულიყვნენ და მათ სასაცილო ტიკტიკს; გავიხსენებდი შვილების შემხედვარე, გამხიარულებული როუზის წკრიალა სიცილსა და ბედნიერების ცრემლს, მშვენიერ ლურჯ თვალებში რომ უკრთოდა. თითოეულ მზერას, ღიმილს, ფიქრსა და სიტყვას მეხსიერებით აღვიდგენდი.

შემემლო, აღმეწერა, მისტერ ბრაუნლოუ თავისი ახალგაზრდა შვილობილის გონებას როგორ ადავსებდა ცოდნით და სულ უფრო ეჩვეოდა. ბიჭი მის ყოველ

იმედს ამართლებდა – ოლივერის სახემ გაახსენა უბედური მეგობრის უამრავი ტკბილ-მწარე ამბავი – მოვყვებოდი, ორი ობოლი როგორ გამოაწრთო გაჭირვებამ,

როგორ ასწავლა სხვების სიბრალული, გულმოწყალება, სხვისი უბედურების თანაგრძნობა, როგორ დამეგობრდნენ და ერთად ადავლენდნენ მათი მხსნელი, მფარველი ღმერთისადმი სამადლობელ ლოცვას – მაგრამ არაა საჭირო. ხომ ისედაც ვთქვი, რომ კარგად ცხოვრობენ, ბედნიერება კი შეუძლებელია სიყვარულის, ადამიანურობისა და ყოვლადმოწყალე უზენაესი არსების გარეშე, რომლის სიკეთეც თითოეულ სულდგმულზე ვრცელდება.

სოფლის ძველ ეკლესიაში ერთი მარმარილოს დაფა დევს. მასზე ერთადერთი სიტყვაა ამოტვიფრული: „აგნესი“. საფლავში კუბო არ დევს, შესაძლებელია, ბევრმა წელმა გაიაროს და სხვისი სახელები ამოკვეთონ! თუმცა, თუ მიცვალებულთა სულები მართლაც ბრუნდებიან დედამიწაზე და სიყვარულით დალოცვილ ადგილებს – მათი ნაცნობი ადამიანების სიყვარულით, რომელსაც სიკვდილიც კი ვერ აქრობს – სტუმრობენ ხოლმე, მაშინ შესაძლოა, აგნესის

მოჩვენებაც ხანდახან ეწვევა ამ პატარა, მყუდრო ადგილს. მე პირადად
მჯერა,
რომ ასეა, იმიტომ, რომ ეს ადგილი თავად ეკლესიაა, სიცოცხლეში კი აგნესი
საბრალო, გზაბნეული კრავი იყო.